ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲨᲐᲠᲛᲐᲜᲐᲕᲐ

სერგი მაკალათია

სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია

თბილისი 2006

© თამარ მაკალათია: სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია
საავტორო უფლებები დაცულია

რედაქტორი: მანანა გაბაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემლობა „საარი"
ISBN 99940-29-91-6

სერგი მაკალათიას ცხოვრება და მოღვაწეობა

ქართული ეთნოგრაფიის პატრიარქი — ასე შევიდა სერგი მაკალათია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამ დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მესაძირკვლე. მრავალმხრივი მოღვაწე ნაყოფიერად მუშაობდა ისტორიაში, არქეოლოგიაში, ნუმიზმატიკაში, ეწეოდა სამუზეუმო საქმიანობას, პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი იყო ქართული მეცნიერული მხარეთმცოდნეობის ფუძემდებელი. კოლოსალური შრომის უნარით დაჯილდოებულმა მკვლევარმა უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სფეროში.

2003 წ. სერგი მაკალათიას დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა. მან იცოცხლა 80 წელი, განვლო რთული გზა მეცნიერის, პრინციპული მოქალაქისა და პატრიოტისა. ს. მაკალათიამ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიზნად დაისახა ქვეყნის სამსახური რის შესახებაც თავად წერს: „უნივერსიტეტში სპეციალურად ვემზადებოდი საქართველოს ისტორიაში. მაინტერესებდა აგრეთვე ყოფა-ცხოვრების (ეთნოგრაფიის) საკითხები. ამან უფრო გააღრმავა ჩემში პატრიოტული გრძნობა და იმაზე ვფიქრობდი, თუ რითი გამეწია სამსახური ჩემი სამშობლოსათვის."

ს. მაკალათია იმ დროს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როდესაც საქართველოს სხვადასხვა მხარის ყოფა-ცხოვრება, ეკონომიკა და ისტორია არა თუ შესწავლილი, არამედ აღწერილიც არ იყო. საჭირო იყო ამ ხარვეზის ამოვსება იმ დროსა და პირობებში, როდესაც ბევრი რამ შეიძლება სამუდამოდ გამქრალიყო, დაკარგულიყო ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე, რომელსაც წმინდა სამეცნიერო ღირებულების გარდა, პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნდა. მკვლევარი მისთვის დამახასიათებელი ენერგიით, ხალისითა და სიყვარულით შეუდგა საქმეს და როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სამუდამო დავიწყებისათვის განწირულ მასალას სულზე მიუსწრო. ს. მაკალათიამ მოქმედების გეგმა შეადგინა, მაგრამ მას, როგორც თავადაც აღნიშნავს, კარგად ესმოდა, რომ ეს პატრიოტული და კულტურული საქმიანობა დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, მატერიალურ სახსრებსაც ითხოვდა. საქმისთვის თავდადებული, ენერგიული, შეუპოვარი, იგი გამოსავალს ყოველთვის პოულობდა, მაშინაც, როდესაც მუზეუმი ექსპედიციის დაფინანსებაზე უარს ეუბნებოდა იმ საბაბით, რომ არქეოლოგიის განყოფილებაში ირიცხებოდა და ეთნოგრაფია არ ეხებოდა. დამწყებ მეცნიერს, რომელიც წარსულის შესწავლისათვის ორივე დარგის

მომარჯვებას აუცილებლად მიიჩნევდა და გამოსავალს ყოველთვის პოულობდა, არა ერთხელ ზაფხულის შვებულება აუღია და საქართველოს სხვადასხვა მხარეში ექსკურსიამძღოლადაც კი უმუშავია. ასეთ პირობებში შეაგროვა მან ხევის, მთიულეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის უნიკალური მასალა, რომელსაც ცხოვრების ბოლომდე იძიებდა ყველა დროსა და პირობებში, ზამთარ-ზაფხულ, დარსა თუ ავდარში თვით საშიშ დროში, როდესაც ქვეყანაში ყაჩაღები დათარეშობდნენ, რაც მას რამდენჯერმე კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა... და მიდიოდა საქართველოს გზებზე სერგი მაკალათია, ჯერ სულ ახალგაზრდა, მერე მოხუცი, სიკვდილმაც ხომ გზაში, გორში, ლექციაზე მიმავალს მოუსწრო, ჯერ ისევ მხნე და ჭარმაგ მოხუცს.

ს. მაკალათიას ცხოვრება ნამდვილი ოდისეა იყო, მუდმივი ძიება, კვლევა ... XX ს. 30-იანი წლებიდან, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში,, ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდა მისი წიგნები – ,,მთიულეთი,'',,ხევი,'' ,,მთის რაჭა,'' ,,თუშეთი,'' ,,ხევსურეთი'', ,,მესხეთ-ჯავახეთი,'' ,,ფშავი,'' ,,სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია,'' ,,ატენის ხეობა,'' ,,ბორჯომის ხეობა,'' ,,თეძმის ხეობა,'' ,,ლეხურის ხეობა,'' ,,ლიახვის ხეობა,'' ,,ფრონის ხეობა,'' ,,ძამას ხეობა,'' ,,ქსნის ხეობა'' და სხვა. ხეობების მიზანმიმართული კვლევით მეცნიერმა ფაქტობრივად ვახუშტი ბაგრატიონის საქმე გააგრძელა. ,,მან – აღნიშნავს ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე – ქართველ ხალხს მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაუტოვა. ყველა ეთნოგრაფ მკვლევარს ასე რომ მოეხადა საქვეყნო ვალი, მაშინ ჩვენი ეთნოგრაფიული ლიტერატურა გაცილებით მდიდარი იქნებოდა და დავიწყების უფსკრულს ბევრი ეროვნული საუნჯე-საგანძური გადაურჩებოდა.'' ს. მაკალათიას შრომებს, დღეს უკვე პირველწყაროს მნიშვნელობა რომ გააჩნიათ და ეთნოგრაფებისთვის სამაგიდო წიგნებად იქცნენ, ხალხიც მოუთმენლად ელოდა. ისინი გამოსვლისთანავე, ბიბლიოგრაფიული იშვიათობა და მრავალი ქართველის ოჯახისათვის ძვირფასი რელიკვია ხდებოდა. ლ. ფრუიძის სიტყვებითვე მას ,,როგორც ეროვნულ სიწმინდეს, ისე უფრთხილდებოდნენ... მათზე პატრიოტული სულისკვეთებით მთელი თაობები აღიზარდა.'' ს.მაკალათიას შემოქმედება თავისი ხასიათით, ეროვნული მუხტით, საკუთარი ქვეყნისა და ყოფის შეცნობის თვალსაზრისით, ყოველი თაობისათვის ხელმისაწვდომი და ცნობილი უნდა იყოს, ისევე, როგორც მისი ბიოგრაფია, რომელიც რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღემდე არ დაწერილა.

ს. მაკალათიას შრომების ხელმეორედ გამოცემა მთის პრობლემებთან დაკავშირებით მთელი სიმწვავით რომ დადგა, XX ს. 80-90-იან წლებში განხორციელდა. მაშინ გამოვიდა მონოგრაფიები: ,,ხევ-

სურეთი", „მთის რაჭა," „თუშეთი", „ფშავი." მაშინდელმა თაობამ ეს მოვლენა იმ ჭრილში განიხილა, რომელიც თაობათა ცვლასთან დაკავშირებით, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ყოველთვის დადგება და რის შესახებაც „მთის რაჭის" შესავალ წერილში ნათქვამია: „ს. მაკალათიას მონოგრაფიების ხელმეორედ გამოცემა ცხოვრებისეულ აუცილებლობად იქცა. ისინი მკითხველმა ახლაც გულთბილად მიიღო და დახლებს ერთ დღესაც არ შერჩენია. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ს. მაკალათია, როგორც მკვლევარი და მწერალი ერთმანეთს ავსებს და ამ ბედნიერი შერწყმის შედეგად მისი შემოქმედება ხალხის სიყვარულს ყოველთვის დაიმსახურებს. მეცნიერმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ხალასი ნიჭითა და გასაოცარი ენერგიის წყალობით, შეძლო ყოფიდან სწრაფად გარდამავალი ეთნოგრაფიული სინამდვილის ასახვა. ამიტომ, რაც დრო გავა, მის ნაღვაწს ფასი უფრო მემატება." ასევე დრომ მოიტანა, დღევანდელი ახალი თაობაც ს. მაკალათიას შრომების ხელახალი მეცნიერული გამოცემის აუცილებლობის წინაშე რომ დადგა. ისიც ნიშანდობლივია, ის სამეგრელოს ისტორიითა და ეთნოგრაფიით რომ იწყება. ეს ის კუთხეა, სადაც მკვლევარი დაიბადა და ფეხი აიდგა, სადაც შეიცნო თავისი თავი და სამშობლო. სწორედ მშობლიურ სამეგრელოში, სოფელ სეფიეთში, ჯერ კიდევ ბავშვობაში ეზიარა ხალხურ ტრადიციებს.

ს. მაკალათიას პირად არქივში, ხელნაწერის სახით ინახება მისი მოგონებები „ცხოვრების გზაზე", საიდანაც ჩანს, რომ პატარა სერგი ხალხური დღესასწაულებისა და რიტუალების არა მხოლოდ დამკვირვებელი, არამედ უშუალო მონაწილეც იყო. ამის შესახებ ის წერს: „კვირაობით დედა გამოგვაწყობდა შვილებს და გაგვიშვებდა ე.წ. „ჯარში", სადაც იმართებოდა ტაშ-ფანდურა ცეკვა-თამაშით და ბოლოს ბურთაობა. საჯარე მოედანი ეკლესიასთან იყო, იქ თავს იყრიდა სოფლის ახალგაზრდობა და იმართებოდა თამაშობა. მე პატარაობიდან მიყვარდა ხალხური გართობების ცქერა და მოსმენა. იქვე მღეროდნენ, ჩააბამდნენ ფერხულს და სხვ.

დედას ძალიან უყვარდა და კიდეც ასრულებდა ყველა საოჯახო წესებსა და სალოცავებს, რომელშიც მეც ვიღებდი მონაწილეობას. ახალ წელიწადს, როგორც უფროსი ვაჟი, მე ვიყავი ოჯახის მეკვლე. დედა მომცემდა კოხტად გაწყობილ ჩიჩილაკს და თან მასწავლიდა, როგორ უნდა შემესრულებინა საკალანდო რიტუალი. მეც ხელში ჩიჩილაკით ეზოს შემოვუვლიდი, შემდეგ მივადგებოდი სახლის დახურულ კარებს და შევძახებდი, კარი გამიღეთ. დედა თეთრებში გამოწყობილი იდგა ოთახის შიგნით დაკეტილ კარებთან და მიპასუხებდა: რა მოგაქვსო? მეც ვუპასუხებდი საახალწლო

მილოცვებით (სამჯერ). შემდეგ დედა კარებს გააღებდა, მხიარულად გადამკოცნიდა და ორივე დავილოცებოდით ახალწლის ბედნიერებაზე. ახალწელიწადს წლის ბოლომდე მოჰყვებოდა სხვადასხვა სალოცავი: ოთხაშური, დოდგიმირი, სამგარიო, მირსობა და სხვ. ბავშვები ამ რიტუალის შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას ვიღებდით... მიყვარდა ეკლესიასა და წისქვილში სიარული, სადაც თავს იყრიდა მსნე და მოხუცი გლეხობა და მათ საუბარს ყურს ვუგდებდი, განსაკუთრებით მაინტერესებდა ძველი ამბების თხრობა და გმირული თავგადასავლები... დიდ მარხვაში მოხუცები საზიარებლად ეკლესიაში დადიოდნენ, ზოგჯერ მთელი დღეები რჩებოდნენ ეკლესიის ეზოში და თავს იყრიდნენ ეკლესიაზე მიშენებულ დარბაზში ე.წ. ,,საოსუროში'' (,,საქალებოში''). თუ ციოდა, იქ ცეცხლს დაანთებდნენ, მოხუცები მას გარშემო შემოუსხდებოდნენ, ყალიონებს გააბოლებდნენ და თავს იქცევდნენ ძველი ამბებითა და მოგონებებით. მეც მივუჯდებოდი მოხუცთა ამ კრებულს და ყურს ვუგდებდი მათ საუბარს. ახლაც მახსოვს მაშინდელი ნაამბობი სეფიეთის ეკლესიაზე, საბა ოჩიგავას გმირობაზე, მებატონე თოფურიძეებზე და სხვ.''

ასეთი იყო მაშინდელი სოფელი და ს. მაკალათიას ბავშვობის ატმოსფერო, რომელიც იმ შორეულ დროში პატარა ბიჭის ცნობიერებაში დაილექა და მომავალში, მისი, როგორც მკვლევრის, ცხოვრების მიზანი გახდა. ეს შთაბეჭდილებები, კლასიკური განათლება, აღმოსავლეთის ხალხების კულ-

1896 წელი. სოფელი სეფიეთი. მარჯვნიდან–სერგი მაკალათიას მშობლები, შუაში–ბებია, მარცხნივ–ს. მაკალათიას ბიძა და ბიცოლა.
ქვემოთ, მარცხნიდან მეორე– პატარა სერგი.

ტურული მემკვიდრეობის ღრმა ცოდნა, ხელს შეუწყობს მის წარმატებულ სამეცნიერო შემოქმედებას. სპეციალისტები აღნიშნავენ, მათ შორის, ეთნოგრაფი პროფ. ე. ნადირაძე წერს, რომ ს. მაკალათიას სწორედ ასეთი მომზადება „საშუალებას აძლევდა, ღრმად ჩასწვდომოდა მოვლენათა არსს და, რაც მთავარია, უმოკლესი გზით მისულიყო სწორ დასკვნამდე ეთნოკულტურულ მოვლენათა ნათესაობის შესახებ. საზოგადოდ ცნობილია, რომ ზოგჯერ ეს კავშირები ისეა დამძიმებული სხვადასხვა, უცხო შრეების ბალასტით და იმდენად ღრმადაა ჭეშმარიტების მარცვალი მასში ჩაკარგული, რომ მათი გაშიფვრა არავითარ მეთოდოლოგიურ პრინციპს არ ექვემდებარება. მეცნიერის შემოქმედებითი ნიჭი ის არის, რომ ზოგჯერ გვერდი აუაროს რუტინად ქცეულ დოგმებს და შეეცადოს სწორ ანალიზამდე მივიდეს. ჩვენი დაკვირვებით, სერგი მაკალათიას მეცნიერული მოღვაწეობის დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ასეთია და ამით, იგი განსაკუთრებულ ორიგინალურ ადგილს იმკვიდრებს ქართველოლოგიური დარგის მკვლევართა შორის.” იგივე მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავს სერგი მაკალათიასათვის თუ რამდენად „სისხლხორცეულად მახლობელი იყო ეთნოკულტურული გარემო, სადაც აღიზარდა და სადაც უხდებოდა მოღვაწეობა, სადაც ყალიბდებოდნენ რელიგიური აზროვნებისა და სოციალური ურთიერთობის მოდელები. ს. მაკალათიას, როგორც ხალხური რწმენა წარმოდგენებისა და რიტუალური მისტერიების პერსონაჟს, გაცილებით მეტის დანახვისა და ახსნის უნარი მიებოძა თავიდანვე და ეს გარემოება უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო მისი წარმატებული მეცნიერული მოღვაწეობისათვის.” ამ ატმოსფერომ, ივანე ჯავახიშვილის სკოლასთან ერთად სამეცნიერო ნიადაგი შეუმზადა ს. მაკალათიას ინტერესებს, იგი საქართველოს ისტორიის იმ სიღრმეებსა და მასშტაბებზე გაიყვანა, რომელიც დღეს კიდევ უფრო აქტუალურია. ახალ ვითარებაში, დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში, როდესაც საქართველოს ისტორიის არაერთი მხარე თავიდან გადასახედი და გასააზრებელია, უაღრესად მნიშვნელოვანია სერგი მაკალათიას მემკვიდრეობა, განსაკუთრებით ის შრომები, რომლებიც ეხმიანება ისეთ ურთულეს პრობლემას, როგორიცაა აღმოსავლეთის დიდ ცივილიზაციებთან კულტურულ-გენეტიკური ნათესაობა. მათში მეცნიერის მიერ საინტერესო ორიენტირებია დასმული, მოხმობილია და გაანალიზებული უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც უძვირფასესი წყაროა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. სამწუხაროა, და გასაკვირიც, რომ მკვლევრებს, რომლებიც ამ დიდ პრობლემაზე მუშაობენ, ენისა და არქეოლოგიური მასალებისგან განსხვავებით, ს. მაკალათიას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ფაქტობრივად არ გამოუყენებიათ. მეცნიერის ამ რიგის შრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მის ადრეულ გამოკვლევას „ღვთაება მითრას კულტი საქართველოში.” მასში, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, ახალგაზრდა მკვლევარი ასაბუთებს მითრას კულტის არსებობას საქართველოში, რომელსაც ძველ მსოფლიოში, ქრისტიანობის წინამორბედ წარმართ ღვთაებათა შორის, უპირველესი ადგილი უკავია. იგი არმაზის ღვთაების აჰურა-მაზდასთან კავ-

შირს განიხილავს. ყურადღებას ამახვილებს წინა აზიაში არსებული ამ კულტის გავრცელების გზებსა და მიზეზებზე კავკასიასა და ასევე რომში, სადაც მის სახელზე მისტერიები იმართებოდა. აგრეთვე ირანზე, სადაც ამ კულტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და რომელსაც თავისი პოლიტიკის წყალობით, საქართველოში მითრას კულტი მაზდეანობასთან ერთად შემოჰქონდა. მითრას კავკასიაში გავრცელების მთავარ პლაცდარმად მას კაბადოკია მიაჩნდა, რაც ბევრი თვალსაზრისით საყურადღებოა და მხედველობაში მისაღები.

ს. მაკალათია მითრას კულტის პოპულარობის მიზეზებსაც ეხება, რომელიც მორწმუნისაგან სულიერ სიწმინდეს ითხოვდა, სიკეთესა და შრომას ქადაგებდა, თავგანწირვასა და მამაცობას მორჩილებაზე მაღლა აყენებდა. მითრაიზმი, როგორც ბრძოლისა და ვაჟკაცობის მადიდებელი, უპირველეს ყოვლისა, სპარსელ მეფეთა მფარველ და ჯარისკაცთა სარწმუნოებად ითვლებოდა. საკითხის დასმისას ს. მაკალათიამ კარგად იცოდა, ქართულ ღვთაებათა პანთეონში, ქართულ საისტორიო წყაროებსა და ნივთიერ ძეგლებში, მითრას თაობაზე პირდაპირი ცნობები რომ არ მოიპოვებოდა, მაგრამ იგი, როგორც ამას თავადაც აღნიშნავს, ვარაუდის საფუძველს ქართველი ტომების მჭიდრო კულტურულ და სარწმუნოებრივ კავშირში ხედავდა. პრობლემის გარკვევის მიზნით, მან ქართველ ხალხში დაცულ წარმართული ხასიათის სალოცავებსა და რიტუალურ წესებს მიმართა. ქართულ მასალაზე მკვლევარმა გვიჩვენა მეგრულ წარმართულ მირსას ან მისარონის გენეტიკური კავშირი ირანულ-აღმოსავლურ მითრასთან („მიჰრასთან"), რომელიც სინათლის ღვთაებად ითვლებოდა. ს. მაკალათიამ ირანულ-რომაულ მითრასთან მეგრულ მირსობის შედარებისას, გარდა სახელწოდების მსგავსებისა, შინაგანი საერთო მომენტებიც აღმოაჩინა. ყურადღება მიაქცია აგრეთვე, რომ სამეგრელოში ისევე, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, მითრას დღე ერთსა და იმავე დროს, თებერვალში აღინიშნებოდა. ამ თვეს ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში ეწოდებოდა „თთუეი მიჰრაკანი," რაც ნიშნავს, მიჰრას ანუ მითრას თვეს. ს. მაკალათია ვარაუდს გამოთქვამს, რომ მირსობა, რომელიც მეგრელებში ხუთშაბათს (ცაშხა) აღინიშნებოდა, მითრასადმი იყო მიძღვნილი და რომ აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად, სამეგრელოშიც მირსობას ღორი იკვლებოდა. მან სამეგრელოს გარდა, სვანეთსა და გურიაში ღორის ღვთაებისადმი შეწირვა, გაიაზრა, როგორც მითრას კულტისადმი მიძღვნილი რიტუალი. ს. მაკალათიამ აჭარა-მაზდას კულტის გადმონაშთები საქართველოში დაასაბუთა სამეგრელოს („ჟინიანთარი", „მირსობა"), გურიის („მოისარობა"), სვანეთის („მეისარობ")

და აფხაზეთის („აითარი") მაგალითზე. მკვლევარმა ამ კულტის ნიშნები, რომლის მთავარი არსი კეთილ და ბოროტ ძალებს შორის ბრძოლაა, არქეოლოგიური მასალითა და ქართული ხალხური თქმულებებითაც დაადასტურა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ს. მაკალათიამ თქმულება ამირანზე და „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიები შეადარა ავესტას და მითრას შესახებ არსებულ მითებს და მათ შორის მსგავსება შენიშნა. მისი აზრით, ქართული და სპარსული მითების ამგვარი სიახლოვე ერთი და იმავე ღვთაების კულტით უნდა აიხსნებოდეს. ეს ღვთაება მითრა იყო, რომელმაც მეცნიერის სიტყვებით, უძველესი ქართული სარწმუნოებრივი განცდებისა და რიტუალების ნიადაგზე, ადგილობრივი ღვთაების განსახიერება მიიღო. მას, მისივე სიტყვებით, როგორც სინათლისა და სიკეთისათვის მებრძოლ ღვთაებას, ქართული რელიგიური გენია შესაბამის მითს უქმნიდა, რომელმაც საგმირო თქმულებებისა და ზღაპრების სახით ჩვენამდე მოაღწია. მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ თავისთავად ქართული მირსობა საყურადღებო მასალას შეიცავს ზოგადად მითრაიზმის შესწავლის თვალსაზრისით. მან ამ კულტის შემდგომ ევოლუციასაც მიაქცია ყურადღება.

სამეგრელოში მოპოვებული სათანადო მასალების მოხმობით, ს. მაკალათიამ სტატიაში „ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში" დაასაბუთა, რომ ქრისტიანობის პერიოდში, წმინდა გიორგიმ თანდათანობით შეცვალა მითრას რწმენა და კულტი და, რომ სამეგრელოს სინამდვილეში მან შეინარჩუნა „ჯეგე-მისარონის" (წმ. გიორგი-მითრას) სახელწოდება, გვიჩვენა ორივეს საერთო თვისებები, როგორც მებრძოლი სინათლისა და სიკეთის ღვთაებებისა. მეჯოგეთა და მოლაშქრეთა მფარველებისა, რომლებიც კურნავდნენ აგრეთვე დავრდომილებსა და ავადმყოფებს. მკვლევარმა ხალხურ წარმოდგენებსა და ნივთიერ ძეგლებზე, წმ. გიორგისა და მითრას განსახიერების ერთგვაროვნებაც შენიშნა: მსგავსი ჩაცმულობა – ხელში ფარი და შუბი, წელზე ხანჯალი და სხვ.

სპეციალისტების შეფასებით, მითრაიზმის, როგორც დიდი კულტურული მოვლენის, საქართველოში დადასტურება გასული საუკუნის მეცნიერებაში ახალი სიტყვა იყო. ეთნოგრაფიული მეთოდი, რომელიც მკვლევარმა თავისი დებულების გასამტკიცებლად გამოიყენა, ძალზედ ეფექტური და იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ კვლავ ძალაშია. მეცნიერთა აზრით, პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში, კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა ს. მაკალათიას მეცნიერული ალღო და სითამამე, მათივე შეფასებით ეს შრომები ყველა თაობის ეთნოგრაფებისა და არქეო-

ლოგების სამაგიდო წიგნებს წარმოადგენენ. ასევე ახალ სიტყვად ითვლება მეცნიერებაში მისი გამოკვლევა ფალოსის კულტის შესახებ. როდესაც არქეოლოგიური მასალების საფუძველზე დაისვა საკითხი საქართველოში აღნიშნული კულტის გავრცელების თაობაზე, ს. მაკალათიამ კვლავ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს მიმართა. სვანეთში დეტალურად შეისწავლა მურყვამობის — ფალოსის კულტის აშკარად გამოხატული რიტუალი, ქართლში ბერიკაობა — ყეენობა, იმერეთსა და სამეგრელოში ასეთივე ტიპის ეთნოგრაფიული მასალა, რის საფუძველზეც, საქართველოში განაყოფიერებისა და გამრავლების ამ კულტის არსებობა დაადასტურა. ამ და სხვა მასალაზე დაყრდნობით, მან გამოთქვა მოსაზრება ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ქართველური ტომების სარწმუნოებრივი ერთიანობის შესახებ, რაც ეხმიანება ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს დებულებას ქართველ ტომთა ერთიანი ეთნიკური საწყისის შესახებ.

ეთნოგრაფების აზრით, ასევე დიდია ს. მაკალათიას წვლილი ახალი წლის რიტუალის დადგენისა და შეფასების რთულ მოვლენაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში საყოფაცხოვრებო-რელიგიურ წარმოდგენათა ნიადაგზე ყალიბდებოდა. ამ თვალსაზრისით, მან ბევრი საერთო მონახა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შორის, რაც ქართველურ ტომთა ინტეგრირების პროცესის ასახვაცაა. მკვლევარმა საახალწლო რიტუალი, სხვადასხვა დროსა და ეპოქაში, სხვადასხვა კუთხით განიხილა. ამავე დროს საინტერესო პარალელები გაავლო აღმოსავლურ სამყაროსთან. ქართული საახალწლო ხონჩების განხილვისას ს. მაკალათიამ განსაკუთრებული ყურადღება ბასილას კულტზე გაამახვილა. ცომისგან გამომცხვარი ეს ანთროპომორფული ცენტრალური ფიგურა ერთი მხრივ ბაბილონში მარდუქს, მეორე მხრივ კი ეგვიპტეში ოსირისს — მზის ღვთაებას დაუკავშირა, ბასილას გარშემო შემოწყობილი კვერები კი მის ღვთაებებს. ს. მაკალათიამ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველმა, საახალწლო სარიტუალო ჩიჩილაკი ხეთა თაყვანისცემის უძველეს წესს მიუსადაგა. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ მზის თაყვანისცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული თხილის ხე, რომლისგანაც ჩიჩილაკი ითლება. მისი შემკობა სხვადასხვა მცენარეთა ტოტებით კი წმინდა კორომის იმიტაციას უნდა ნიშნავდეს, რასაც იმ ხალხში, სადაც იყო მნათობთა თაყვანისცემა, დიდი ადგილი ეკავა.

ქართულ საახალწლო დღესასწაულში მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ოჯახის მეკვლესა და მის რიტუალზე. იგი ვარაუდს გამოთქვამს, რომ ქართველი მეკვლე, რომელიც ჩიჩილაკს, როგორც მზის სიმბოლოს, ხელით ეხება, ბაბილონის

მეფეთა მსგავსად, მომაკალს წინასწარმეტყველებს. მეკვლეს მეცნიერი ქურუმს ადარებს, ახალი წლის კერას კი მის წმინდა სამსხვერპლოს. ერთი სიტყვით, ახალი წლის მზადების წესებში ის მზის ღვთაების რიტუალს ხედავს. ს. მაკალათია ქართულ საახალწლო რიტუალთან დაკავშირებით, ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და გაანალიზების საფუძველზე, საქართველოში ღორის კულტის განსაკუთრებულ ადგილს უჩვენებს და მოჰყავს სამეგრელოს მაგალითი, სადაც თითქმის ყველა რიტუალს, განსაკუთრებით საოჯახო კერასთან დაკავშირებულს, ღორით ან გოჭით იხდიან. ის ღორის შეწირვას მუხის ღვთაებას უკავშირებს. მისი ვარაუდი, რომ ღორისადმი თაყვანისცემა ჩვენი უძველესი წინაპრების ტოტემისტური შეხედულებებიდან უნდა იღებდეს სათავეს, სპეციალისტები მისაღებად მიიჩნევენ და თვლიან, რომ იგი ეხმაურება საზოგადოების ადრეულ საფეხურზე ჩამოყალიბებულ და დღეს მეცნიერებაში მიღებულ რელიგიურ სისტემათა კლასიფიკაციას. როგორც ზემოხსენებული, ისე სხვა არაერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქართველების ისტორიის, ყოფის, შრომის, ნივთიერი კულტურის, რელიგიის, მითოლოგიისა და სხვა საკითხების შესახებ, ს. მაკალათიამ ცალკეული კუთხეების მიხედვით გამოიკვლია, რითაც განაზოგადა და ნიადაგი მოუმზადა საქართველის მთლიანი ეთნოგრაფიული სურათის შესწავლას. ყველა ეს პრობლემა მეცნიერის მიერ მრავალრიცხოვან სტატიასა და მონოგრაფიაშია დასმული, რაც საგანგებო კვლევას ითხოვს და რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ის ჯერ არც კი დაწყებულა. ამდენად, მისი უზარმაზარი სამეცნიერო მემკვიდრეობის ღრმა და სერიოზული შესწავლა, მომავალ მკვლევარს ელოდება, რაც დღევანდელი გადასახედიდან თავად ს. მაკალათიას მემკვიდრეობის ახლებური გააზრების საშუალებასაც იძლევა. ამასთან, სპეციალისტთა აზრით, კვლავ საზრდოს მისცემს ისეთ დარგებს, როგორიცაა: ისტორია, ეთნოგრაფია, მითოლოგია, სოციოლოგია, ლიტერატურისმცოდნეობა, ფოლკლორისტიკა, რელიგია,

სერგი მაკალათია –XX ს. 60-იანი წლები.

სამართლის ისტორია. ქართული კულტურის ზოგადი პრობლემებით დაინტერესებული საზოგადოება მას გვერდს ვერ აუვლის.

ს. მაკალათიამ პირველი ეთნოგრაფიული ნაშრომი თავის პედაგოგს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ვასილ ბარნოვს რომ მიართვა, არ იყო შემთხვევითი. ეს იყო ერთგვარი მადლიერების გამოხატვა მასწავლებლისადმი, რითაც ის უზომოდ გაუხარებია. ვ. ბარნოვი პირველი აღმოჩნდა, ვინც ყმაწვილ სერგის თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას, ხალხური ადათებისადმი ინტერესი შეამჩნია და სამომავალოდ ეთნოგრაფიაში მუშაობა ურჩია. შემდგომში, ვ. ბარნოვს და ს. მაკალათიას, უკვე როგორც მეცნიერს, ამ მიმართულებით მუდმივი კავშირი ჰქონდათ. ეს კარგად ჩანს ს. მაკალათიას ერთი სტატიიდანაც, სადაც ის ცნობილ მწერალს მიწოდებული უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალისათვის მადლობას უხდის. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის პირობებში ვ. ბარნოვს, ცხადია, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქართული ტრადიციების, რომელშიც ქართველი ხალხის საუკუნოვანი სიბრძნე და გამოცდილება იდო, შენახვისა და მეცნიერული კვლევის მნიშვნელობა. მას, როგორც ბოლო დროს გაირკვა, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილისა და სხვათა მსგავსად, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობაც აღმოაჩნდა. ამ ავტორებმა არა მარტო გაიზიარეს ილია ჭავჭავაძის შეხედულება ქართული ეთნოგრაფიის საკითხებზე, არამედ უდიდესი ამაგი დასდეს აღნიშნული ეროვნული მეცნიერების განვითარებას. სწორედ ქართულმა მწერლობამ და პუბლიცისტიკამ შეუქმნა საფუძველი XIXს. მეორე ნახევარში ეთნოგრაფიის განვითარებას საქართველოში, ამიტომაც, ვასილ ბარნოვი, რომელიც გამიზნულად ფიქრობდა ამ ეროვნული დარგის მომავალზე, რჩევას აძლევდა თავის მოწაფე სერგი მაკალათიას, ეთნოგრაფიაში ემუშავა, მოძღვრავდა და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა, სწორ მიმართულებას უჩვენებდა, რის გამოც უკვე მხცოვანი მეცნიერი ვასილ ბარნოვს, ია კარგარეთელსა და სხვებს უდიდესი სიყვარულით იგონებდა — მათი ღვაწლი ახალი თაობის აღზრდაში განუზომლად დიდი იყო, რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში კი — გმირობის ტოლფასიც. ს. მაკალათიას სიტყვებით, იმ ვითარებაში, როდესაც „ზოგი გადაგვარებული ქართველი მოწაფე ქართულს არ სწავლობდა და ბარნოვის გაკვეთილსაც არ ესწრებოდა. ბარნოვის გაკვეთილი იყო სანიმუშო და ჩვენთვის სასიხარულო, მისი ტკბილი და ღრმა ქართული ენით საუბარი, მოწაფეებს გვხიბლავდა. დიდი შემოქმედებით გვიხსნიდა იგი გაკვეთილს, ზნეობრივად გვარიგებდა და გვინერგავდა ქართულისადმი სიყვარულს,

სამშობლოსადმი პატრიოტიზმს. მის გაკვეთილზე ყველანი სმენად ვიყავით გადაქცეულნი, ეუსმენდით სიყვარულით და მოკრძალებით. გაკვეთილი, რასაკვირველია, ყველამ იცოდა და ნიშნებსაც მაღალს გვიწერდა....სემინარიელებს გვიყვარდა ია კარგარეთელიც, ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორი, იგი გვასწავლიდა ქართულ გალობას, ია კარგარეთელი, ამასთანავე იყო დიდი პატრიოტი, შეუპოვარი და გაბედულიც, გაკვეთილზე უფრო გვესაუბრებოდა საქართველოს წარსულზე და მის მუსიკალურ კულტურაზე, ცოტას გვაგალობებდა, უფრო საერო, ხალხურ სიმღერებს გვამღერებდა." ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილთან შეხვედრამდე, ვასილ ბარნოვის როლი განსაკუთრებულია სერგი მაკალათიას ცხოვრებაში. იგი მომავალში, თავად უკვე პედაგოგი თავის სტუდენტებს ისევე ჩაუნერგავს სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას, როგორც მას დიდი მასწავლებლები უნერგავდნენ.

ს. მაკალათიას სახელი, მიუხედავად დიდი ღვაწლისა, ფართო საზოგადოებისთვის დღესაც ნაკლებად რომ არის ცნობილი, პიროვნულ მოკრძალებასთან ერთად, მისმა პოლიტიკურმა მრწამსმა და მტკიცე მოქალაქეობრივმა პოზიციამაც განაპირობა, რომლის დაცვაც დაპყრობილი ქვეყნის პირობებში არ ოყო იოლი. ს. მაკალათიას ცხოვრებაზე ეპოქის ყველა მოვლენა აისახა. დაიბადა 1893 წლის 2 დეკემბერს, მეფის რუსეთის რეჟიმის დროს, იცხოვრა დამოუკიდებელი საქართველოსა (1918-1921 წწ.) და კომუნისტური სისტემის პირობებში. იმპერიის პოლიტიკას ის ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას აღუდგა წინ. მას არც მენშევიკები უყვარდა, როგორც თავად აღნიშნავს — „პოლიტიკაში არაგულწრფელობისა და ეროვნულ საკითხში ორჭოფობის გამო." გაზეთ „საქართველოში" წერილებსაც აქვეყნებდა. მათ განსაკუთრებით აგრარულ რეფორმასა და მიწის საკითხთან დაკავშირებით აკრიტიკებდა, იმ ვითარებაში, როდესაც ქართულ მიწას პიროვნებები თუ ცალკეული პარტიები ასხვისებდნენ თვით ცალკეული პროვინციების სახითაც. არ იყო შემთხვევითი, რომ ს. მაკალათია ხდება მხარდამჭერი და ამომრჩეველი ეროვნულ - დემოკრატიული პარტიისა, რომელიც მისი ერთ-ერთი დამაარსებლის რევაზ გაბაშვილის სიტყვებით მიწის საკითხთან დაკავშირებით შეიქმნა. კომუნისტური რეჟიმის მიმართაც ს. მაკალათია ბოლომდე შეურიგებელი დარჩა. 1942 წელს ის დააპატიმრეს, მისი ძმა ნიკო კი გადაასახლეს. სერგი თითქმის ერთი წელი იჯდა ციხეში. უარეს განაჩენს ბეწვზე გადაურჩა, როდესაც ჩეკისტების მიერ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის დროს, მისმა შვილებმა — ცოტნემ და მედეამ — მოახერხეს

და წიგნში ჩადებული ანტიკომუნისტური პროკლამაცია გადამალეს.

ს. მაკალათია ბოლომდე გულით ატარებდა საქართველოს თავისუფლების იდეას. ამას მოწმობს მის არქივში გადანახული 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის ასლი და თამარ მეფის ორდენის ფოტოპირი, რომელსაც კომუნისტური რეჟიმის დროს თავის არქივში



ს. მაკალათია – შვილებთან, მედეასა და ცოტნესთან ერთად.

ინახავდა. ს. მაკალათიას არქივშივე ინახება მის სახელზე 1918 წ. 27 დეკემბერსა და 1919 წ. 5 მაისს გაცემული მოწმობები. პირველის თანახმად, ის მე-4 ბატალიონის მე-2 საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცია. მეორის მიხედვით კი–ბრიგადის სამმართველოში ჯარისკაცად ირიცხება. გასათვალისწინებელია, რომ 1918 წ. დეკემბერში სომხეთი თავს დაესხა საქართველოს. ეს იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რაზეც ყველა პატრიოტს, მათ შორის ს. მაკალათიასაც, შესაბამისი რეაქცია ჰქონდა.

ს. მაკალათიამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე (1974წ.), მისთვის დამახასიათებელი აკურატულობით, ყველაფერი მოაწესრიგა, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა – წიგნებს, ხელნაწერებს, შრომებს, ფოტომასალებს, დოკუმენტებს, თითქოს ეთხოვებოდა ცხოვრებას. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ის მამის მეგობრის შვილს, ისტორიკოს გივი ჟორდანიას უნახავს უნივერსიტეტის ბაღში. იჯდა

თურმე ფიქრებში წასული, უცნაურად გარინდებული, თითქოს უკვე სხვა სამყაროში გარდასული. გივი ჟორდანიას გულს მოხვედრია მისი სიტყვები — მე ჩემი საქმე უკვე გავაკეთე, ახლა სხვამ გააგრძელოსო, და მართლაც, სულ რამდენიმე დღეში ისევე ჩუმად, უხმაუროდ წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორც იცხოვრა, თუმცა მანამდე გონების თვალით კიდევ ერთხელ გადახედავს თავის ცხოვრებას, დაბადებიდან იმ თარიღამდე, რომელიც მისი მოგონებების უკანასკნელ ფურცელზეა აღნიშნული — 1974 წლის 2 დეკემბერი. ეს მისი დაბადების დღეცაა. ვინ იცის, იქნებ მან განგებ დაამთხვია ცხოვრების დასალიერი ამ დღეს და მასში სიცოცხლის ის ახალი ათვლა უნდა ვიგულისხმოთ, გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ მოღვაწენი და მამულიშვილნი რომ აგრძელებენ. მოგონებები მრავალმხრივია: სამეგრელო, სოფლის გარემო, მშობლები, წინაპრები, სკოლა, თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისის უნივერსიტეტი, პედაგოგები: ვასილ ბარნოვი, ია კარგარეთელი, იპოლიტე ვართაგავა, ივანე ჯავახიშვილი, და სხვ. სემინარიისა და უნივერსიტეტის ამხანაგები — ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილები, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჯანაშია, სოლომონ იორდანიშვილი.....ეთნოგრაფიული ექსპედიციები, არქეოლოგიური გათხრები, სამუზეუმო საქმიანობა, მეცნიერები — გიორგი ჩუბინაშვილი, ბორის კუფტინი, მოსე ჯანაშვილი, გიორგი ნიორაძე... მის საქმიანობასთან დაპირისპირებული ცალკეული კოლეგა, თუ ამავე საქმისთვის თავდადებული უბრალო ხალხი.

- ს. მაკალათია ყველა მოვლენას ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის თვალთახედვიდან განიხილავს. პიროვნების შეფასების მთავარ კრიტერიუმად კი ზნეობასთან ერთად, პატრიოტიზმი მიაჩნია. მისთვის ულამაზესი სოფელი სეფიეთი, მდინარე აბაშა რომ ჩამოუდის და სათავეს იღებს მდინარე ზანა, მხოლოდ დაბადების ადგილი არ არის, იგი ისტორიული ადგილიცაა. მისი მიდამო ისტორიულ ციხე-გოჯს აკრავს, რომელიც ს. მაკალათიას ოდა-სახლის აივნიდან კარგად ჩანს. მისი ყურება, მეცნიერს, ძალზედ უყვარდა. სეფიეთიც, რომლის სახელწოდება სასეფოდან, ანუ სამეფოდან მოდის, მისი სიტყვებით, არაერთხელ გამხდარა ბრძოლის ასპარეზად ლაზიკასა და ირან-ბიზანტიას შორის, რასაც მოწმობს, მდინარე აბაშის პირას 1931 წ. აღმოჩენილი III საუკუნის რომაული ფულების განძი. წლების შემდეგ 1944 წ. ს. მაკალათია მას სტატიას მიუძღვნის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბეში." სეფიეთის სიძველეთა შორის ის იქ დაცულ ძველ ეკლესიასაც მოიხსენიებს, ბაზილიკური ტიპის, თავისი ფორმით ერთადერთ და უნიკალურ ეკლესიას სამეგრელოში, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ქუსვაღწა-

რილი. ასევე წლების შემდეგ ს. მაკალათია მას, როგორც ისტორიულ ძეგლს, ბოლშევიკების ნგრევისაგან იხსნის. ასევე წლების მანძილზე მკვლევარი, რომელსაც თავის დიდ ოჯახთან ერთად, მეუღლის ძმების — რეპრესირებული ვახტანგისა და ლენინგრადში, ქართულ ხელნაწერებზე თავდაუზოგავი მუშაობით ჯანგატეხილი, უდროოდ გარდაცვლილი ლადო კოტეტიშვილების ობლად დარჩენილი ბავშვებიც ჰყავდა სარჩენი, საკუთარი ხელფასიდან ფულს უხდიდა ეკლესიის მცველს. ამ და სხვა სიკეთის მთესველს, თავის მოგონებებში მსგავსი ფაქტების აღნიშვნა საჭიროდ არც ჩაუთვლია.

ს. მაკალათია გვარისა და ოჯახის წარსულსაც ისტორიკოსის თვალთახედვიდან განიხილავს, ისტორიული საბუთების მოშველიებით. გვართან დაკავშირებით, ერთ გადმოცემასაც ეხება. თავდაპირველად ქოჩაკიძეები ყოფილან. საახალწლოდ თავად ქოჩაკიძეს მღვდელმთავარ ჭყონდიდელისთვის ძღვენი, ვერცხლის სინის მაგივრად, კალათით მიურთმევია, ეს წყენია ჭყონდიდელს და ქოჩაკი-

სეფიეთის ეკლესია. VI ს-ის დასაწყისი.

ძისთვის მა — კალათი, ანუ მეკალათე უწოდებია და უთქვამს დღეის შემდეგ შენი გვარი მაკალათია იქნებაო. უნივერსიტეტში სწავლისას, როდესაც ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს გაუცვნია, ღიმილით უთქვამს, „შენი გვარი უძველესია და იგი იხსენიება ჩილდირის ტბასთან აღმოჩენილ ურარტუს მეფის სარდურ II ის ლურსმულ წარწერაში, სადაც მოთხრობილია განთების ქალაქ მაკალთუნის დაპ-

ყრობებზეო (ძვ.წ. VIII ს.) თან ხუმრობით დაუმატა, ძველად იმ მიდამოში ლაზ-ჭანები — მეგრელების წინაპრები ცხოვრობდნენ და როგორც ჭან-მეგრელებს ჩვევიათ გადააკეთეს — იათი მაკალთუნი და მიიღეს მაკალათიაო". სეფიეთის მაკალათიების ეს შტო, როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, აფხაზეთიდან, სოფელ ილორიდან ყოფილა, სადაც მათი „ჯინჯი ხატი," ანუ ფუძის ხატი-სამლოცველოა, რომლისთვისაც ამ გვარს, ყოველ მეოთხე წელიწადს, კურატის შეწირვა მართებდა. ილორიდან ისინი ზანათსა და სუჯუნაში გადასახლებულან. შემდეგ კი ამ საგვარეულოდან, ორი ძმა სეფიეთში გადმოსულა საცხოვრებლად. ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1720-იან წლებში. მალე მაკალათიები სეფიეთში მომრავლებულან და მათ გარჯით, უნარითა და ნიჭით, თვით სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის ყურადღება მიუპყრიათ. მთავარს, მახაია მაკალათია, რომელსაც ხალხში „ინჯინერს" ეძახდნენ, ზუგდიდში წისქვილების ოსტატად, შემდეგ კი ყულევში ახალი ნავსადგურის ასაშენებლად წაუყვანია. მისთვის დადიანს, პატივისცემის ნიშნად, სახლის გადასახური კრამიტი უჩუქებია, რომლის მსგავსი მთელ სამეგრელოში მთავრის გარდა, არავის ჰქონია. დავით დადიანი ზრუნავდა აგრეთვე მებატონისაგან მათ გამოხსნაზე, რასაც მის მიერ 1852 წ. 24 თებერვალს გაცემული საბუთიც მოწმობს.

სერგის დიდი პაპა დავითია უკვე იმდენად შეძლებული გლეხი ყოფილა, რომ ამის ნიშნად, თავმომწონედ მჯდარა წითლად კუდშეღებილ ცხენზე და თავზე „პაპუცი", (ფაფანაკი) ხურებია. იგი მებატონე ისლამია თოფურიძეს ურჩობას უწევდა, სწორედ მისი შთამომავლები გადავიდნენ სასულიერო წოდებაში, გახდნენ სეფიეთის ეკლესიის მღვდლები, რაც იშვიათი იყო, ვინაიდან ძირითადად ეს თავად-აზნაურთა პრივილეგიას წარმოადგენდა. გადმოცემით, სერგის მამა — იოსები და პაპა—ნიკოლოზი ნამდვილი სამღვდლო, ღვთისნიერი ადამიანები ყოფილან. ებრალებოდათ ღარიბი, უმწეო ადამიანები და მათ მიმართ, პირნათლად ასრულებდნენ საღმრთო წერილის მოძღვრებას, ეხმარებოდნენ მატერიალურად, არიგებდნენ და ამხნევებდნენ მორალურად. სახლის გვერდით პატარა ქოხი ედგათ თურმე, სადაც გაჭირვებულებსა და მათხოვრებს იღებდნენ, აჭმევდნენ და ფულსაც აძლევდნენ. ზოგჯერ თავისი ტანსაცმელიც სახლიდან გამოჰქონდათ და აცმევდნენ. უფიქრიათ ხალხის განათლებაზეც, რომლის ძალა კარგად ესმოდათ და რის გამოც, ამდენს იღვწოდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება. მათ სეფიეთში, სადაც სკოლა არ ყოფილა, ქართულ ენაზე, პირველი სამრევლო სასწავლებლის გახსნაზე უზრუნვიათ. იოსებს ამ საქმეში სკოლის მეგობარი,

ისტორიკოსი თედო ჟორდანია ედგა მხარში, რომელიც აქტიურად გამოდიოდა იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას რომ უწყობდა ხელს და მეგრელებს არაქართველებად აცხადებდა. მას ამასთან დაკავშირებით წერილიც აქვს გამოქვეყნებული „ქართული ენისათვის ბრძოლა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში" (1913წ.), რომელსაც ს. მაკალათია იმოწმებს თავის წიგნში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია."

1880 წ. სეფიეთში, ეკლესიის ეზოში, ორ ცაცხვს შორის, სადაც ანდერძის თანახმად განისვენებს იოსებ მაკალათია, გაიხსნა აღნიშნული სასწავლებელი. მან 1923 წლამდე იარსება. წლების მანძილზე ისტორიასა და საღვთო სჯულს იქ იოსებ მაკალათია ასწავლიდა. მაგრამ იმისათვის, რომ მღვდლად ეკურთხებინათ, მას ოჯახი უნდა შეექმნა. მალე კიდევაც დაქორწინდა ლამაზსა და ცისფერთვალა მინადორა (მინაკო) თურქიაზე, რომელიც იმდენად მოსწონებია, რომ მზითევზე უარი უთქვამს. მინაკო — გეჯეთელი შეძლებული ვაჭრის გიგო თურქიას ცხრა შვილს შორის უფროსი ყოფილა. თურქიას, რომელიც რუსეთში ვაჭრობდა და იქიდან დიდძალი საქონელი ჩამოჰქონდა, დუქნები ჰქონია ძველ სენაკში. მან პირველმა ჩამოიტანა გეჯეთში საკერავი მანქანა და სამოვარი, უჩვენებია მათი მუშაობა, რითაც ხალხი უზომოდ გაუოცებია. მას ოჯახიც ევროპულად ჰქონია მოწყობილი და შვილებსაც მიაღებინა განათლება. მისი უფროსი ქალი მინაკო ახლადგახსნილ ძველი სენაკის სკოლაში დადიოდა. ორი წლის შემდეგ, ქართული და რუსული წერა-კითხვის დაუფლების შემდეგ სკოლიდან გამოუყვანიათ, ქალს ესეც ეყოფაო და თექვსმეტი წლის ასაკში გაუთხოვებიათ. მინაკო თურქიას მაყარში ყოფილა მისი დედის დეიდაშვილი, სახელგანთქმული ფალავანი ნესტორ ესებუა. ამ ქორწილსა და ნესტორ ესებუაზე დღესაც ჰყვებიან სეფიეთში ათასგვარ ამბავს და მას სერგი მაკალათიაც იგონებს: „ნესტორი მეც კარგად მახსოვს, იგი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ნესტორი მაღალი და ლამაზი ვაჟკაცი იყო. იცვამდა ჩოხა ახალუხს. ესებუა ქართული ჭიდაობის დიდი ოსტატი იყო. მან წააქცია ცნობილი თბილისელი მოჭიდავე კულა გლდანელი. ესებუა სიკვდილამდე არავის წაუქცევია. მის ფალავნობაზე ხალხში შემონახულია მრავალი ეპიზოდი და ლექსი." ასე შეიქმნა ძლიერი, პურადი, ხელგაშლილი და მაგარი ოჯახი. მინაკო მხნე და გამრჯე ქალი აღმოჩნდა, გონიერი და კეთილი. იოსებმა მებატონე თოფურიძისაგან მიწები შეიძინა, ააგო ხუთთვალიანი კარგი ოდა და ქალაქურად მოაწყო, ეზოც დეკორატიული მცენარეებით გაამწვანა. სტუმარი გამოულეველი იყო, ძირითადად, განათლებული, ქვეყნის ბედზე

დაფიქრებული საზოგადოება. იოსებს კარგი ბიბლიოთეკა ჰქონია. იწერდა „კვალს" და „ივერიას." ოჯახი ბედნიერი იყო, მაგრამ გულს აკლდა ის, რომ იოსებსა და მის ძმებს მხოლოდ ქალები უჩნდებოდათ. იოსების ოჯახი ვაჟის მოლოდინში იყო და ეს ბედნიერი დღეც დადგა, 1893 წლის 2 დეკემბერი. სიხარულსა და ზეიმს საზღვარი არ ჰქონია, თოფების სროლა, მილოცვები და ძღვნობა დიდხანს გაგრძელებულა. პაპა ნიკოლოზი ხატის წინაშე იდგა და ღმერთს მადლობას სწირავდა ნატვრის ასრულებისთვის. პირველი ვაჟისთვის სახელი სერგი თედო ჟორდანიას დაურქმევია, ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის სერგეი მესხის პატივსაცემად. მას უთქვამს, ამ ბავშვს ფართო შუბლი აქვს და შეიძლება მწერალი გამოვიდესო. წლების შემდეგ, რვა წლის სერგი იგივეს მოისმენს ერთი ბათუმელი ვექილისაგან, რაც ს. მაკალათიას, მისივე სიტყვებით, ღრმად ჩარჩენია მეხსიერებაში: „ხშირად ვიგონებდი ამ სიტყვებს და ვოცნებობდი, მართლაც თუ გაეხდებოდი მწერალი."

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ წესად იყო მიღებული ბავშვის

სერგი მაკალათიას კარ-მიდამო სოფელ სეფიეთში.

გაძიძავება და ბევრიც მოდიოდა საძიძაოდ, ერთადერთ ვაჟს მშობლები ვერ იმეტებდნენ და ყველას უარით ისტუმრებდნენ. სერგის აღმზრდელი დედა იყო.

ხუთი წლის იყო სერგი, როდესაც მამა გარდაეცვალა. 27 წლის მინადორა ყოველგვარი შემოსავლის გარეშე ოთხი ობოლი, მცირეწლოვანი შვილის ანაბარა დარჩა. იოსებ მაკალათიას დაკრძალვას გაბრიელ ეპისკოპოსი დასწრებია თავისი ამალით, დიდძალი

1907 წ. სერგი მაკალათია –სენაკის სასულიერო სემინარიის მოსწავლე.

სამღვდელოება, მასწავლებლობა და იმ დროის მოწინავე საზოგადოება. ოავის ანდერძში იოსები უმორჩილესად სთხოვდა მეუღლეს ყველაფერი, თვით სახლ-კარიც გაეყიდა, ოღონდ შვილებისათვის განათლება მიეცა. ამ ანდერძს მინადორა თურქია პირნათლად შეასრულებს.

დედის როლი განსაკუთრებული იყო სერგი მაკალათიას ცხოვრებაში, რის გამოც, დედას აღმერთებდა. რომ არა დედის თავდადება და დასახული მიზანი, შეიძლება მისი ცხოვრება სულ სხვანაირად წარმართულიყო. ზედმეტად მკვირცხლი და ანცი, პატარა სერგი სწავლას გულს ვერ უდებდა, როგორც თავად იგონებს, უფრო სატვა, ჩიტების დევნა, მათზე ნადირობა და მოშინაურება უყვარდა. დედის შიშით დადიოდა სკოლაში და არა უშავს რა სწავლობდა. ზოგიერთ პედაგოგს აღზრდის ისეთი მეთოდები ჰქონდა, როგორც ეს აკაკი წერეთელმა აღწერა ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი". სახაზავით ხელის გულის ახურება, სიმინდის მარცვლებზე დაჩოქება და სხვ. ერთხელ მკაცრად დაისაჯა იაკობ გოგებაშვილის „საწყალი გლეხის„ ახსნისას, როდესაც ვერ გაიგო, თუ რა იყო ერბო. სამეგრელოში ერბო არ გაეგოთ და, როგორც ჩანს, არც მასწავლებელმა იცოდა და, როდესაც პატარა სერგიმ კითხვა მესამედ დასვა, კლასიდან გააგდო. ცხრა წლის სერგი დედამ სენაკის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა და ბინად ნათესავთან დააყენა. სტუმრიან ოჯახში, სადაც გაკვეთილებს არავინ უმოწმებდა, პატარა სერგი დიდი ხალისით ეხმარებოდა დიასახლისს, სამაგიეროდ, სწავლაში ზარმაცობდა, რის გამოც, კლასში დარჩა, თანაც 1903 წ. მეორე განყოფილება დაიხურა და ის სკოლის გარეშე აღმოჩნდა: „სიზარმაცისათვის გამამათრახეს — წერს ის — დედა მაინც არ მეშვებოდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ან სიკვდილი, ან სწავლა." დედამ სერგი ახლა ბანძაში წაიყვანა სასწავლებლად, მაგრამ იქაც იგივე განმეორდა. დედამ ის კვლავ სენაკში გადმოიყვანა და მეორე განყოფილებაში დასვა. თან მასწავლებელი დაუქირავა რუსულსა და ანგარიშში, რისთვისაც ოჯახის ძვირფას რელიკვიას, მეუღლის საწერ მაგიდას შეელია, მაგრამ ცელქი და ონავარი ბავშვის მოთოკვა

ვერ ხერხდებოდა. ამასობაში ოჯახს კიდევ უფრო გაუჭირდა და ვალიც დაედო. მინადორამ მეუღლის ანდერძის თანახმად, სახლისა და საყანე მიწების ჩათვლითაც კი ყველაფერი გაყიდა და სენაკში გადასახლდა, რათა შვილებს თავს დადგომოდა. მან იქირავა ორი ოთახი, ერთში შვილებთან ერთად მოთავსდა, მეორეში კი მოწაფეები დააყენა, რისთვისაც გასამრჯელოდ თითეულისაგან შვიდ მანეთს ან სურსათ-სანოვაგეს იღებდა. ს. მაკალათია იხსენებს: „დედა ითვლებოდა სანიმუშო აღმზრდელ - დიასახლისად და სკოლა გამოსასწორებელ მოწაფეებს ჩვენთან აგზავნიდა. მშობლებიც მოდიოდნენ და ეხვეწებოდნენ დედას, რომ მათი შვილები აეყვანა. ამისათვის ზოგს ძღვენი მოჰქონდა, ზოგი ზედმეტსაც იხდიდა, მაგრამ ოთახში ექვსი მოწაფის მეტი არ ეტეოდა, დედაც უარით ისტუმრებდა. აყვანილ მოწაფეებს დედა ჩვენგან არ ანსხვავებდა. მათ უფრო აქცევდა ყურადღებას, კარგად კვებავდა და სუფთად ინახავდა. დედას შემუშავებული ჰქონდა აღზრდის მკაცრი რეჟიმი და ვერავინ ბედავდა ამ წესის დარღვევას. მოწაფეებს დედის დიდი მორიდება და პატივისცემა ჰქონდათ. დედამ არაერთი ცუღლუტი და ზარმაცი მოწაფე გამოასწორა.

დედის გადმოსვლამ სენაკში ჩემზე, დიდი მორალური გავლენა მოახდინა. დედის კონტროლისა და შიშის გამო მე გავურბოდი ამხანაგების აყოლას. არ შემეძლო საღამოს ცხრა საათის შემდეგ არსად დარჩენა. ცხრა საათი რომ შეიქმნებოდა, დედაჩემი მათრახით ჭიშკართან იდგა და ვაი იმას, ვისაც დაგვიანდებოდა. დედამ არ იცოდა წუწუნი, იყო მხნე და იმედიანი, დამხმარე არავინ ჰყავდა, მაგრამ ნდობა ჰქონდა. სესხსაც დროზე ჩაბარებდა, მეც ბავშვობის ასაკიდან გადავედი სიჭაბუკეში, სწავლის ინტერესიც გამეღვიძა და მეცადინეობას უფრო ბეჯითად მოვკიდე ხელი. მეორე კლასში გადასვლის შემდეგ, ცუდი ნიშანი არ მიმიღია, ვსწავლობდი ოთხებზე. დედისადმი შიში შემეცვალა სიბრალულით, დედა მეცოდებოდა, იგი ჩვენთვის თავდადებულად მუშაობდა, არაფერს ზოგავდა, რომ ჩვენთვის სწავლა და ცოდნა მოეცა.'' ამავე პერიოდში სერგი ისტორიამ გაიტაცა, კითხულობდა ბევრს, მათ შორის აკრძალულ ლიტერატურას — სენ სიმონს, ოუენს, მარქსსა და სხვ. მით უმეტეს, რომ 1907-1909 წლები იყო და საზოგადოება ძალზედ პოლიტიზებული. ის ყოველდღე სამკითხველოში ივლდა და ახალ გამოცემებს თვალს ადევნებდა. ეხერხებოდა ხატვა და ხაზვა, გატაცებით ხატავდა ისტორიულ რუკებს, გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტებს.

1910 წელს სერგი მაკალათიამ სენაკის სასულიერო სასწავლებელი პირველი ხარისხით დაამთავრა და თბილისის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა, სადაც, როგორც ობოლი,

პანსიონში მიიღეს. ტანისამოსის გარდა, სწავლა, ბინა, კვება და წიგნები უფასო ჰქონდა. გარიცხვის შიშით სემინარიის მკაცრი რეჟიმის დაცვა აუცილებელი იყო. ასე დაიწყო სერგი მაკალათიას ცხოვრების თბილისური პერიოდი, სადაც ყველაფერი უჩვეულო იყო. „პირველ დღეებში პანსიონის სადილს ვერ ვეგუებოდი, მიჩვეული ვიყავი მეგრულ საჭმელებს და რუსულს (ევროპულ კერძებს) უხალისოდ ვჭამდი. დილით მოჰქონდათ ჩაიზე კარაქი, ზოგჯერ ხიზილალა, ამას ჩვენ, ახალ შემოსული მეგრელები არ ვჭამდით, კარაქი და ხიზილალა ჩვენში არ იყო და ყველამ დავსტოვეთ. იქაურებმა ამაზე მორთეს სიცილი, დაიტაცეს და გადაყლაპეს, ჩვენ კი შორიდან შევსცქეროდით. მაგრამ კარაქისა და ხიზილალის გემო მალე გავიგეთ და მერე კი არავის ვუთმობდით.

სემინარიის შემადგენლობა ეროვნულად ჭრელი იყო. აქ იყვნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ბერძნები, ოსები და ქართველები თითქმის ყველა მხრიდან. რეჟიმი იყო რუსული და რუსები ბატონობდნენ. სწავლა იყო რუსულად, საუბარი მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის რუსულ ენაზე. ბევრი გვერია გარუსებული ქართველები, რომლებიც ქართულად არ ლაპარაკობდნენ, აქცენტი გაგვიფუჭდებაო. მოწაფეებში ერია ენატანიები (ჯაშუშები). ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ქართველებში პატრიოტული გრძნობების გამახვილებას და ეროვნულ შუღლს. ჩვენთვის ეს გრძნობა სენაკში უცნობი იყო, სადაც მხოლოდ მეგრელები ვსწავლობდით. სემინარიაში ეს გულისტკივილი პირველად ვიგრძენი, გამიცხოველდა ეროვნული თავმოყვარეობა და ღირსება. მოწინავე ამხანაგებთან ერთად, მეც ვებრძოდი გადაგვარებულ ქართველებს, ქართველ ამხანაგებში რუსულად არ ვლაპარაკობდი, ვიცავდი ქართული ენის სიწმინდესა და ქართველობას.

მასწავლებლებში ქართველობდნენ ვასილ ბარნოვი, ია კარგარეთელი და ოთარ გამზარდია. ამათ არ ერიდებოდათ მოწაფეებთან ქართულად ესაუბრათ და გვამხნევებდენენ ქართველობაში. ესენი გვიყვარდა, ყოველთვის ვეხვეოდით, დავსდევდით, რუსების გულის გასახეთქად ქართულად ხმამაღლა ვესაუბრებოდით.” ეს ხდებოდა იმ ვითარებაში, როდესაც სემინარიაში სხვა ქართველი მასწავლებლები და ზოგი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეც კი ქართულად საუბარს ვერ ბედავდა. სერგი მაკალათიას არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რაოდენ დიდი იყო მათი სიხარული, როდესაც წირვის დროს, მღვდელი ქართულს გაურევდა და ქართულად გალობდნენ: „პატრიოტული გრძნობა დაჭიმული იყო, ქართული გუნდი ხშირად რუსულს სჯობნიდა და ეს ჩვენ გვიხაროდა. სამოციქულოს ქართულად კითხ-

ულობდნენ, მხოლოდ დიდ დღესასწაულებში ჯერ რუსულად და მერე ქართულად. საქმე ჯობებაზე იყო, ირჩევდნენ და ამზადებდნენ კარგ ხმიანსა და წამკითხველ ქართველ მოწაფეს. ქართველები ამაშიც სჯობდნენ რუსებს" – იხსენებს სერგი მაკალათია, რომელიც სემინარიაში რუსიფიკატორულ პოლიტიკას ისევე მწვავედ განიცდიდა, როგორც ერთ დროს, სემინარიის მოწაფე და იმჟამად მისი პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა – ცნობილი საზოგადო მოღვაწე და კრიტიკოსი. სემინარიაში კარგად ახსოვდათ ის პერიოდი, როდესაც ამ სასწავლებლის მოწაფე ი. ვართაგავა სემინარისტთა გაფიცვის ერთ-ერთი მოთავე, ეგზარქოსს თხოვდა, მათი უკანონო დევნის შეწყვეტას, ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის შემოღებას. ამ გაფიცვას ილია ჭავჭავაძე უჭერდა მხარს თავისი პუბლიცისტური წერილებითა თუ უმაღლეს მოხელეთათვის მიმართვებით. ამის გამო 1897 წელს „ივერია" რვა თვითაც კი დააპატიმრეს. სემინარიაში გაბატონებული რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა ილიას შემდეგ სხვა საზოგადო მოღვაწეებმაც გააგრძელეს. ეს ბრძოლა სემინარიის შიგნით მოწაფეებს შორისაც გრძელდებოდა, რაც პატარა სერგისაც შეეხო, რომელიც ხედავდა, რომ სასწავლებელში გართობაც კი იდეოლოგიზირებელი იყო. წელიწადში ერთხელ მიჰყავდათ ოპერის თეატრში, როგორც წესი, რუსული პატრიოტული ოპერის გლინკას „სიცოცხლე მეფისათვის" მოსასმენად. სემინარიის დღესასწაული „ანდრიობაც", რომელიც ასეთივე ელფერს ატარებდა, წელიწადში ერთხელ, დეკემბერში იმართებოდა, მას მთავარმართებლის მეუღლე გრაფინია დაშკოვაც ესწრებოდა. ერთხელ, სემინარიის სახელით, მისთვის თაიგულის გადაცემა სერგი მაკალათიასთვის დაუვალებიათ, რასაც ის ასე იხსენებს: „საშინლად ვღელავდი. სემინარიის ფორმაში გამოწყობილი, თეთრ ხელთათმანებში და ხელში დიდი თაიგულით ააქტო დარბაზის კარების წინ ვუცდიდი გრაფინიას მობრძანებას. წირვა დამთავრდა. გრაფინია თავისი ამალით ეკლესიიდან დარბაზისაკენ გამოემართა, მე მას მოწიწებით სალამი მივეცი, თაიგული მივართვი და ხელზე ვაკოცე. მან კეფაზე მაკოცა, რამაც შიშისაგან ტანში ლახვარივით გამიარა."

სერგი მაკალათია – თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე

სალამოს იმართებოდა სემინარიელთა კონცერტი, მღეროდა ქართული გუნდი, იდგმებოდა წარმოდგენები, გამოდიოდნენ დეკლამატორები, სემინარიელი ყმაწვილი პოეტები — გიორგი ლეონიძე, ვასო გორგაძე და სხვ. იმართებოდა ცეკვები და სერგიც ვალსის და სხვადასხვა ევროპული ცეკვის პასაჟებს დიდი მონდომებითა და ხალისით ასრულებდა მოწვეულ ქალთა ეპარქიული სასწავლებლის მოწაფეებთან. ამ ერთი დღით, მომავალ ანდრიობამდე, მთავრდებოდა სემინარიელთა გართობა.

სემინარიაში, სადაც ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი სპექტრი იყო ასახული, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაც შეინიშნებოდა. ეს იყო ქართული საზოგადოებისთვის ისტორიულად დამახასიათებელი ურთიერთდახმარების პრინციპი, რომელიც ყველა დროში წარმატებით მუშაობდა. სემინარიაში ბევრი ღარიბი იყო. სერგი მაკალათიას სიტყვებით, ძირითადად აქ სასულიერო წოდების დაბალი ფენის, დიაკვნების, სოფლის ღარიბი მღვდლის შვილები და ობლები სწავლობდნენ: „ღარიბ ამხანაგებს, ვისაც პანსიონში არ იღებდნენ, ვუწევდით დახმარებას საჭმლის მიწოდებაში. ღარიბ ამხანაგს სასადილოს მორიგე ჩუმად ასადილებდა. ზოგჯერ სასადილოდან ნარჩენებს ამოვუტანდით და მალულად ვასადილებდით ამხანაგს.” თავად მასაც ხომ, ხელმოკლე ობოლს, რამდენი კეთილი ადამიანი ხელს უმართავდა, თუნდაც სეფიეთელი მეეტლე ლუკა გაბუნია, რომელსაც ეცოდებოდა ობოლი სერგი და სასწავლებელში მიმავალი უფასოდ მიჰყავდა აბაშის რკინიგზის სადგურში. მხოლოდ ერთს სთხოვდა, როცა გაიზრდები და კარგი კაცი გამოხვალ, მაშინ გამიხსენეო და სერგიმაც გაიხსენა იგი თავისი მოგონებების ფურცლებზე.

სერგი მაკალათია, როგორც თავადაც აღნიშნავს, არ იყო სამღვდლოდ განწყობილი. სემინარიაშიც სწავლა იდეოლოგიურ წინააღმდეგობებზე იყო აგებული. სასწავლებლიდან, სასულიერო პირებს რომ ამზადებდა, ბევრი ათეისტურად განწყობილი ადამიანი გამოდიოდა. სემინარიას კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და სერგიც დიდ დროს უთმობდა კითხვას. მონაწილეობდა სემინარიელთა წრეში, რომელიც ლიტერატურითა და ხელოვნებით იყო დაინტერესებული და როგორც მხატვარი თავის ნახატებსაც ფენდა. ზაფხულის არდადეგების დროს სენაკში ბრუნდებოდა, სადაც საგზაო ხარჯებისთვის მოწაფეებს ამზადებდა.

შემონახულია ს. მაკალათიას სემინარიაში სწავლის დროინდელი ჩანაწერები: „მხოლოდ ბუნებით ბრმას ან ძალად ბრმას, დაბრმავებულს არ შეუძლიან დაინახოს, რომ დღეს ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის ხელში უძლიერეს იარაღთაგანია ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ თავისუფლების დასათრგუნავად და რომ ჩვენი ეკლესია სინოდისაგან უნდა განთავისუფლდეს.”

„ქართულ ეკლესიას, ქართველ ერს, რუსეთის მთავრობამ 140 მილიონი მანეთი წაართვა, მერე იცით რას ნიშნავს ერთი მუჭა ხალხისთვის 140 მილიონი მანეთი? ამ აუარებელ ქონებას სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 15 მილიონი მანეთი წმინდა შემოსავალი ექნებოდა. საყურადღებო ის არის, რომ სომხებს 1915 წ. მთავრობამ უკანვე დაუბრუნა საეკლესიო მამულები, საქართველოს საეკლესიო მამულების შემოსავალი კი, რომელიც წელიწადში 15 მილიონ მანეთს უდრის, დღესაც ხაზინას მიაქვს და ამ ფულიდან ქართულ ეკლესიაზე უმნიშვნელო ნაწილი მოდის. კავკასიის ადმინისტრაცია სომხებს ყოველთვის უპირატესობას აძლევდა ქართველებთან... რუსეთის მთავრობამ ოსმალეთიდან ორას ათასზე მეტი სომეხი გადმოასახლა და დაასახლა მესხეთში, ბორჩალოში, ახალქალაქისა და ახალციხის მხარეებში. ამით მთავრობას უნდოდა ხელოვნურად გაეთქვიფა ქართველი ერი სხვა ხალხებში და ამით შეესუსტებინა მისი ძალა.”

„ყოველსავე შევიწროებას და დამცირებას საზღვარი აქვს, მოთმინება დაუსრულებელი არაა და აღმაშფოთებელი გრძნობა ადრე იქნება თუ გვიან გზას გამონახავს.”

„კავკასიის მცხოვრებთ, მომავალში უნდა მიენიჭოთ უფლება ეროვნულ მისწრაფებათა თავისუფალი განვითარების.”

„იმდაგვარ ისტორიულ დროს, რომელშიც ვცხოვრობთ, საჭიროა განსაკუთრებული სიმხნევე, გაცხოველება ყოველგვარი საზოგადოებრივი სოლიდარული მუშაობისა და არა მოდუნება მიჩუმება იმ მცირე ცხოველმყოფლობისა რომელსაც ჩვეულებრივ ვიჩენდით.”

„ყოვლად შეუძლებელია, ერი აღორძინების გზას დაადგეს, თუ ერის შემადგენელი ნაწილები ზნეობრივ ღირსებას მოკლებულნი არიან.”

„მამულიშვილმა უნდა დაიცვას საკუთარი ეროვნული კაპიტალი, არა მარტო როგორც ეკონომიკური ფაქტორი, არამედ, აგრეთვე როგორც საფუძველი მეცნიერებისა, მწერლობისა და ხელოვნებისა.”

„ბევრის მეტყველია და დიდად მანუგეშებელი ის ერთსულოვნება, სინაზე, გულწრფელობა, მწარე სევდა, რომლითაც ჩვენი ხალხი ეგებება აკაკის ცხედარს. დიდი ეროვნული ძალა ჩანს ამ საერთო გლოვასა და პატივისცემაში...აკაკის დასაფლავებას ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი დაესწრო. ყოველი მხრიდან გაისმოდა „ერთობა,” „შეკავშირება,” „სამშობლო,” „ერი,” „ეროვნული,” „ქართველი,” „საქართველო”... აკაკის დასაფლავება ეს ერთგვარი აპოთეოზი იყო ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისა, ჩვენი ეროვნული გამოფხიზლებისა და ამ აპოთეოზის სიდიადემ ჩვენი მტერი და მოყვარეც მოჰხიბლა.”

1916 წ. სერგი მაკალათიამ თბილისის სასულიერო სემინარია პირველი ხარისხით დაამთავრა. ხელმოკლეობა, I მსოფლიო ომი და მოახლოებული რევოლუცია, პეტერბურგში სწავლის გაგრძელების საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ სამსახურზე უნდა ეზრუნა. სეფიეთის კარ-მიდამოც აღდგენას საჭიროებდა. პირველი სამსახური, სადაც მან მხოლოდ ერთი კვირა გაძლო, უჩვეულო და საშიშიც იყო. სამტრედიის რკინიგზის სადგურზე, სადაც წვიმა და ქარი ხშირია, დღე და ღამე ჯარასავით უნდა ეტრიალა. მას ჩამომდგარი საბარგო მატარებლების გრძელი ვაგონების ნომრები უშეცდომოდ უნდა აღენუსხა, ვაგონებს შორის გამძვრალიყო. სამსახური, სადაც მორალური ატმოსფეროც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მალე დატოვა.

1917 წელს ს. მაკალათია კვლავ თბილისში დაბრუნდა და ერობის კავშირში საქმის მწარმოებლად მოეწყო. მუშაობის პირობები არ იყო ძნელი და ხელფასსაც არაუშავდა. მდგმურად მთაწმინდაზე დაბინავდა. ასე აღმოჩნდა ის კოტეტიშვილების მეზობლად, რომლებიც არაერთი ხელმოკლე ოჯახის მსგავსად, თავადაც საკუთარი სახლის ერთ ოთახს აქირავებდნენ და ვის მდგმურებს შორის გალაკტიონ ტაბიძეც ყოფილა, რომელსაც ხშირად იგონებდნენ და ბევრ საინტერესო ამბავსაც ჰყვებოდნენ. მალე სერგი დაუახლოვდა ამ ოჯახს, რომელიც მისი ოჯახის მსგავსად ქართული ტრადიციების მატარებელი იყო. ილია კოტეტიშვილი — წერს ის — „მღვდელი იყო და კარგი ქართული ოჯახიც ჰქონდა. მისი ვაჟები ჩემთან სწავლობდნენ სემინარიაში. უფროსი იყო ვახტანგი, იურევის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტი, ლიტერატორი. მეორე ძმა ლადო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელმაც შემდეგში გამოსცა ქართული სამედიცინო კარაბადინები.

ამ მწიგნობრის ოჯახს მე დავუახლოვდი და მალე გავხდი მათი სიძე. ჩემმა მეუღლემ ივლიტამ დაამთავრა ეპარქიული სასწავლებელი, პატრიოტი იყო და ცარიზმის მოძულე. არასდროს რუსულად ქართველთან არ დაილაპარაკებდა, გარუსებულ ქართველებს ებრძოდა და ქართული კულტურის საქმეს ემსახურებოდა. ამ ნიადაგზე მოხდა ჩვენი დაახლოებაც. მეც ასეთივე განწყობისა ვიყავი, მიყვარდა ქართული საქმე, ვებრძოდი გარუსება-გადაგვარებას. გვიყვარდა ქართული წიგნი, ადათ-ჩვეები, ქართული სიდარბაისლე, კონსერვატორობა, რომელიც გამოიხატებოდა ძველი მამაპაპური საოჯახო წესების დაცვა-შესრულებაში. ჩემი სიდედრი ეკატერინე (კატო) ბიძინაშვილი იყო სოფელ კარბიდან (ქართლი). წერა-კითხვა შინაურობაში ესწავლა. უყვარდა გაზეთებისა და წიგნების კითხვა. ჭკვიანი და გონიერი მანდილოსანი იყო. ატარებდა ქართულ ტანსაცმელს,

თავდაუხურავად კარში არ გავიდოდა. იგი იყო ძველი ქართული ტრადიციების მატარებელი და შვილებსაც ქართულად ზრდიდა." ეს უაღრესად წესიერი და საქმიანი ოჯახი, მაკალათიებისა და სხვა მრავალი ქართული ოჯახის მსგავსად, მატერიალურ სიდუხჭირეს იუმორით, ურთიერთდახმარებით, მაღალი იდეალებითა და იმ დიდი რწმენით უმკლავდებოდა, რასაც სამშობლოს მსახურება ჰქვია. სწორედ ამ წრთობის ოჯახებიდან გამოდიოდნენ ფართო ინტერესების ეროვნული მოღვაწენი, მეცნიერები, შემოქმედნი, ქართული სამეცნიერო

ილია კოტეტიშვილი

სკოლის ფუძემდებლები: ვახტანგ კოტეტიშვილი — ფოლკლორის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი, ლიტერატორი, მხატვარი, მოქანდაკე, სხვადასხვა დროს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, გაზეთ „ქართული სიტყვის" რედაქტორი, საქართველოს სახ. მუზეუმში ფოლკლორის განყოფილებისა და არქივის დამაარსებელი. იგი ივ. ჯავახიშვილმა მიიწვია უნივერსიტეტში, სადაც პირველი ფოლკლორული სალექციო კურსი წაიკითხა. მოაწყო პირველი ფოლკლორული ექსპედიცია, დააარსა ფოლკლორის კათედრა. ვახტანგი 1937წ. ორმოცდაოთხი წლის ასაკში რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ლადო

კოტეტიშვილი, ვახტანგის ძმა – ექიმი ნევროპათოლოგი პირველმა ივ. ჯავახიშვილმა აღიარა საქართველოში ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებლად. მისივე დახასიათებით, ექიმებს შორის იგი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ამ საქმისთვის ცოდნა, მონდომება და ნებისყოფა გამოიჩინა. ლენინგრადში ძველ სამედიცინო კარაბადინების ხელნაწერებზე თავდაუზოგავმა მუშაობამ, ორმოცდახუთი წლის ასაკში მისი სიცოცხლე იმსხვერპლა. მალე გამოვა ლადო კოტეტიშვილის მოთხრობების კრებული, რითაც ქართული საზოგადოების წინაშე იგი წარსდგება როგორც კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო მწერალი. კოტეტიშვილების სიძე, ს. მაკალათია, როგორც აღინიშნა საფუძველს უყრის მეცნიერული მხარეთმცოდნეობის და ეთნოგრაფიის კვლევასა და ისტორიის სხვადასხვა დისციპლინაში იღვწვის. მისი ვაჟი პროფესორი ცოტნე მაკალათია ქართული ჰემატოლოგიის სკოლის თვალსაჩინო ფიგურა გახდა. იგი იყო ავტორი სხვადასხვა გამოგონებისა და მათ შორის, რვა სამედიცინო ხელსაწყოს პატენტის მფლობელი.

ქალიშვილმა მედეამ, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებულმა სტუდენტმა, თავისი ბედი დაუკავშირა და შესანიშნავი მეუღლეობა გაუწია აკადემიკოს ვალერიან გაბაშვილს. მათი ქორწილის დროისათვის ს. მაკალათია ახალი გამოსული იყო კომუნისტების ციხიდან. ვალერიან გაბაშვილის მამა, ნოე ჟორდანიას მთავრობის წევრი, ახალი გადასახლებული იყო შუა აზიაში, საიდანაც ის აღარ დაბრუნებულა. ივ. ჯავახიშვილის პირველი სტუდენტის სერგი მაკალათიას სიძე, ვალერიან გაბაშვილი, ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელი ასპირანტი აღმოჩნდა. მწერალი და მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სკოლის ფუძემდებელი, ახალგაზრდობაში კოტე მარჯანიშვილის დასის წევრი იყო. სიცოცხლის ბოლოს იგი აქვეყნებს ახალგაზრდობაში დაწერილ რომანს „აივნიანი ქალაქი" ფსევდონიმით ნიკოლოზ გაბაონი. მასში XIXს. თბილისის ისტორიის ფონზე ყველა ის პრობლემაა დასმული, რომელიც დღეს კიდევ უფრო აქტუალურია. ამ ოჯახებით იკვრებოდა ის ძალა, რომელიც დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მთელ ენერგიას განათლების დიდ ფუნდამენტსა და ახალგაზრდობის აღზრდაში დებდა. თავისი სამშობლოს წარსულის საუკეთესო მცოდნეებს კარგად ესმოდათ განათლების ის დიდი ძალა, რომლის გარეშეც ერს მომავალი და თვითგამორკვევის უნარი არ გააჩნია. ისინი თავის გარშემო იკრებდნენ საზოგადოებას, თავის ოჯახებში ყველა თაობას, რომელთა ხსოვნაში მრავალი ისტორიაა შემონახული, მხიარული, თუ სევდიანი, მათ შორისაა კოტეტიანთ თუმნიანის ამბავიც. სერგი

მარჯვნივ – ს. მაკალათიას მეუღლე ივლიტა, სიდედრი ეკატერინე და ქალიშვილი მედეა.

ეახტანგ კოტეტიშვილი–დისწულებთან მედეასა და ცოტნესთან, მარცხნივ–ქალიშვილ მანანასთან ერთად.

დგანან–სერგი მაკალათია და ლადო კოტეტიშვილი, სხედან– ილია კოტეტიშვილი და ლადოს მეუღლე ნინო მაყაშვილი.

ლადო კოტეტიშვილი.

მედეა მაკალათია.

მაკალათიას მეუღლეს, ივლიტას, პირველი ხელფასი აუღია და გადაუწყვეტია თუმნიანი, თავისი სტუდენტი ძმის ვახტანგისთვის გაეგზავნა პეტერბურგში. ვახტანგს ფული მიუღია, უმცროსი გიგო გახსენებია, კული დასწვია და კიევში, სადაც მისი ძმა სწავლობდა, გადაუგზავნია. გიგოს, თავის მხრივ, უფიქრია, ვინ იცის ლადოს, რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როგორ უჭირსო და თუმნიანი მისთვის გაუგზავნია. ლადოს კი ივლიტა, ძმებისა და ოჯახისათვის თავდადებული და შესცოდებია და უფიქრია ამ ფულით მას თბილისში დახმარებოდა. ასე მოიარა ამ ერთმა თუმნიანმა რუსეთის იმპერია და საქართველოში დაბრუნდა.

როგორც აღვნიშნეთ, ამ მრავალმხრივსა და საინტერესო ადამიანებს, რომლებიც ცხოვრების ამაოებაზე მაღლა იდგნენ, ყოველდღიური სირთულეების იუმორში აღქმისა და დანახვის უნარი ჰქონდათ. უყვარდათ სიცილი, მოლხენა და ერთმანეთის გათამაშება. ომის დროს, სერგის ვაუს ცოტნეს, რომელიც დიდი ჩხირკედელა ვინმე ყოფილა, თავის ფოტოლაბორატორიაში ფარულად მიკროფონი დაუმონტაჟებია, რომლითაც საოჯახო რადიომიმღებში ერთვებოდა და უკანასკნელი ცნობების გადმოცემის შემდეგ, თავისი ოჯახის წევრებზე, სხვადასხვა სახალისო ამბავს აუწყებდა. თვით საოცრად, ენამოსწრებული ბებია კატო, რომლის შერქმეული ზედმეტი სახელები მთელ უბანს ერქვა, მუნჯდებოდა, როდესაც ცოტნე მისი რიგებში დგომის ეპოპეას დიდი იუმორით ჰყვებოდა. ფერი-ფური მისდიოდა მის დას მედეას. როდესაც დიქტორი, ანუ ცოტნე, მკაცრი ხმით აცხადებდა: იმ დროს, როდესაც საბჭოთა ადამიანები ფრონტზე

ვალერიან გაბაშვილი.

იბრძვიან, ზურგში კი მოწინავე კოლმეურნეები და მუშები თავდაუზოგაცად შრომობენ, სერგი მაკალათიას, ლეო ქიაჩელის, სიმონ ყაუხჩიშვილის ფუქსავატი ქალიშვილები და განუყრელი მეგობრები ოპერაში ათენებენ და აღამებენო. დროა, უნივერსიტეტის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რეაგირება მოახდინოს ამ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გადმონაშთებზეო. ერთხელ, რადიომ ფრონტიდან უკანასკნელი ამბების შემდეგ, გადმოსცა: პროფესორი სერგი მაკალათია, რომელიც სახელოვან ქართველ მეცნიერებთან, კორნელი კეკელიძესთან, ნიკო მუსხელიშვილთან და სხვებთან ერთად კომუნიზმის მშენებელთა რიგში დგას, ეს-ეს არის დაბრუნდა თელავიდან. ამჟამად, შინ ბრძანდება და სადილობს, ლობიოს მიირთმევს. მას მალე მანქანა მოაკითხავს და გორში, სადაც ასევე ლექციების წასაკითხად და მომავალი თაობების აღსაზრდელად მიემგზავრება, წაიყვანსო. სერგი გაოცებულა. კარგი — უთქვამს მას — ვთქვათ იციან, რომ სახლში ვარო, მაგრამ ახლა რომ ლობიოს ეჭამ, ეს საიდანღა უნდა იცოდნენო. თუმცა, მანქანის მოლოდინში, თვალი მაინც გზისაკენ ეჭირა და წამდაუწუმ ფანჯრიდან იყურებოდა თურმე.

ბევრ ასეთ ამბავს მოისმენთ, უკვე საგვარეულო რეპერტუარად რომ იქცა, იმ ოჯახურ შეკრებებზე, რომელსაც სერგი მაკალათიამ დაუდო საფუძველი და მისი შთამომავლები დღემდე აგრძელებენ.

სერგი მაკალათია, თუ ექსპედიციაში არ იყო, თავაუღებლივ მუშაობდა თავის კაბინეტში, რომელიც ისტორიული ნივთების ნამდვილი პატარა, მყუდრო მუზეუმი იყო. საქორწინო მოგზაურობაც სამეცნიერო ექსპედიციაში გაატარა, მთიულეთში, სადაც მეუღლესთან ერთად, ცხენებით მოიარა ეს ულამაზესი მხარე.

სერგის და ივლიტას სამი შვილი ეყოლათ — მედეა, ცოტნე და ქაიხოსრო (ქაქუცა), რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის პატივსაცემად დაარქვეს. ქაიხოსრო ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მისი ხსოვნისათვის ვახტანგ კოტეტიშვილმა შექმნა პატარა ბიჭის ბუსტი მტრედით ხელში.

თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ, უკვე მენშევიკების ხანაში, ეს ახალგაზრდა ოჯახიც, მრავალთა მსგავსად, ხელმოკლეობას განიცდიდა. ერობათა კავშირის დახურვის შემდეგ, ს. მაკალათია მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ განყოფილებაში მუშაობდა. 1918 წელი მის ცხოვრებაში იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ გაიხსნა პირველი ეროვნული უნივერსიტეტი და პირველი განცხადებაც სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე მან შეიტანა. ს. მაკალათია იხსენებს: „უნივერსიტეტი გაიხსნა საზეიმო ვითარებაში. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ შევდიოდი პირველ ქართულ

1918 წ. სერგი მაკალათია – თბილისის უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი.

უნივერსიტეტში. ჩვენს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე პირველი ლექცია წაიკითხა პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიაზე. დიდ აუდიტორიაში სამასი მსმენელი იყო, მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა. დიდი ყურადღებით ვისმენდით ივანეს დარბაისლურ, ქართული ენით წაკითხულ ლექციას.'' ძნელი იყო სტუდენტი სერგისთვის ერთდროულად სწავლა და მუშაობა, ოჯახზე ზრუნვა, მისი შენახვა. როგორც თავად ამბობდა, ხშირად ერთი ხელით აკვანს არწევდა, მეორეთი წიგნი ეკავა და მეცადინეობდა. უნივერსიტეტში ლექციები საღამოობით იკითხებოდა, რაც მას საშუალებას აძლევდა, ემსახურა. სერგი ხშირად ღამეებს ათენებდა, საგნებს კარგად და პირველი აბარებდა, აქტიურად მუშაობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ სექციებში ს. მაკალათია იმ ჯგუფში აღმოჩნდა რომელიც საქართველოს ისტორიის განხრით, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა და ყველაზე ძლიერი იყო. ისინი ქართულ ტერმინოლოგიას ამუშავებდნენ: „პროფესორი ივანე ჯავახიშვილი სტუდენტებს ყველაზე მეტად გვიყვარდა — იგონებს ს. მაკალათია — ლექციებზე და კერძო საუბარში გვინერგავდა მეცნიერებისადმი, მამულისა და სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულს. ამასთანავე იყო მეტად თავაზიანი, კეთილშობილი, სალმის მიცემას ვერ ვასწრებდით, ხელს გვართმევდა ფეხზე ადგომით.'' პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის დავალებით ს. მაკალათიამ წაიკითხა რეფერატი — „ატენის სიონი''. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაამუშავა და წაიკითხა „ძველი კოლხეთი'', „ახალწელიწადი საქართველოში''. აღნიშნული მოხსენებები დაიბეჭდა სტუდენტურ ჟურნალ „მომავალში''. ამ დროს, მთელი სტუდენტობა, პოლიტიზირებული და პარტიებად დაყოფილი იყო. ს. მაკალათია, რომელიც არ ემხრობოდა სოციალ-დემოკრატებსა და მათ მთავრობას, წერს, რომ „როგორც პატრიოტი, თანაუგრძნობდა მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-დამოუკიდებლობისათვის. არჩევნების დროს მათ ვაძლევდი ხმას და წერილებს ვათავსებდი გაზეთ „საქართველოში“.

სერგი მაკალათიას, რომელიც ისტორიასა და არქეოლოგიაში

მუშაობაზე ოცნებობდა, სასამართლო, სადაც ოჯახის შენახვის მიზნით მსახურობდა, არ იზიდავდა. 1921 წ. მენშევიკური მთავრობის დამხობის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ სასამართლოს რეორგანიზაცია დაიწყო, იგი სამსახურიდან წამოვიდა. შემთხვევით მას ქუჩაში სკოლის ამხანაგი სოლომონ იორდანიშვილი შეხვედრია, რომელიც მდივნად მუშაობდა საქართველოს მუზეუმში, პარალელურად კი უნივერსიტეტში სწავლობდა. ვინაიდან, იგი არქეოლოგიურ განყოფილებაში გადადიოდა, მან სერგის თავისი ადგილი შესთავაზა. ასე აღმოჩნდა ს. მაკალათია მუზეუმში ჯერ მდივნად, სადაც ბევრს ითმენდა და იტანდა, როგორმე არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ განყოფილებაში რომ გადასულიყო. კავკასიის მუზეუმის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, რუსები წასულიყვნენ, ქართველი სპეციალისტები კი არ არსებობდნენ. ამიტომ სერგი მაკალათიას, ჯერ ისევ სტუდენტს მოუხდა უზარმაზარი სამუშაოს ჩატარება არქეოლოგიურსა და ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, კოლექციების შემოწმება მოწესრიგება, რუსული კატალოგების გადმოქართულება და სხვ. ამ საქმეს მან, როგორც აღნიშნავდა, ხალისით მოჰკიდა ხელი, მით უმეტეს, რომ აინტერესებდა კოლექციების გაცნობა, გარკვევა და შესწავლა. ამასობაში უნივერსიტეტის დამთავრების დროც მოვიდა.

1922 წელს სერგი მაკალათიამ წარჩინებით ჩაბარა ყველა საგანი და დადგა ღირსშესანიშნავი ისტორიული დღე ქართული უნივერსიტეტის პირველი გამოშვებისა. წინა დღეს სტუდენტებს ივანე ჯავახიშვილი შეხვდა და კურსთან ერთად, რომლის ჯგუფხელიც ს. მაკალათია იყო, სამახსოვრო, დღეს უკვე ასე ცნობილი, ისტორიული ფოტოსურათი გადაიღო. მან წარჩინებულებს ასპირანტურაში დარჩენა, სხვადასხვა ეპოქასა და ისტორიის დამხმარე დისციპლინებში მუშაობის გეგმა დაუსახა. სერგი მაკალათიას კი მუზეუმში არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში დაწყებული კვლევის გაგრძელება შესთავაზა. როდესაც სერგიმ მას შესჩივლა, რომ იქ განსწავლული ხელმძღვანელის გარეშე სამეცნიერო მუშაობა გაუჭირდებოდა, ამაზე ივანე ჯავახიშვილმა უპასუხა, ყველაზე კარგი ხელმძღვანელი წიგნებია, მუზეუმს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, იკითხეთ სამეცნიერო ლიტერატურა და გახდებით სწავლული სპეციალისტიო. ამ რჩევამ, პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, დაარწმუნა ახალგაზრდა სერგი, რამდენად სწორი იყო მისი მასწავლებელი. ივნისის თვეში უნივერსიტეტის კურსმა გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართა ივანე ჯავახიშვილს. მას ესწრებოდნენ დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი და სხვ. ამხანაგების დავალებით, სიმონ ჯანაშიამ და სერგი მაკალათიამ, შეადგინეს მიმართვის ტექსტი. რომელიც XI ს. ხელით (მხედრულით) გადაწერა

კალიგრაფმა გიორგი ნათიძემ. ეს ტექსტი ქართულ მინანქრიან ვერცხლის აზარფეშასთან ერთად მასწავლებელს მიართვეს. ტექსტის შინაარსი ასეთი იყო:

„დიდად პატივცემულო ძვირფასო მასწავლებელო,
ბატონო ივანე !

სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საისტორიო დარგის კურსდამთავრებული, საქართველოს ისტორიის სემინარიაში მომუშავე, სტუდენტთა პირველი წყება გიძღვნით თქვენ, ნიშნად გულითადი მადლობისა და უღრმესი პატივისცემისა, ამ მცირე სახსოვარს და სურათს. ამ ღირებულებით მცირე ძღვენში ჩაქსოვილია ჩვენი თქვენდამი უღრმესი მადლობა იმ დიდი და ხელთუქმნელი განძისათვის, რომელიც თქვენ ჩვენთვის გაიმეტეთ: ეს არის უანგარო სიყვარული სამშობლოსა და მისი წარსულის ცოდნისადმი, თქვენი მადლიანი კალმითა და სიტყვით ჩვენს გულში ღრმად ჩანერგილი. ჩვენ განსაკუთრებული ბედნიერება გვხვდა წილად. ამ ოთხი წლის განმავლობაში, მიუხედავად მძიმე პირობებისა, თქვენმა დაუღალავმა და თავგანწირულმა ხელმძღვანელობამ დაგვაახლოვა დასა-

თბილისის სახ. უნივერსიტეტის, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის, საქართველოს ისტორიის სემინარში კურსდამთავრებულთა პირველი ჯგუფი. 1922 წ. II რიგში მარჯვნიდან მეორე– ს. მაკალათია.

ხულ მიზანს. თქვენს ამაგს არასდროს დავიიწყებთ და გარწმუნებთ, რომ თქვენგან მიღებულ ცოდნას შეძლებისდაგვარად გავანაყოფიერებთ და მოვახმართ ერის სამსახურს. გიძღვნით მოწიწებით გულწრფელ სალამს და გისურვებთ დღეგრძელობას."

პირველი სადღეგრძელო ფეხზე ადგომით, გულთბილი სიტყვებითა და მრავალჟამიერით ივანე ჯავახიშვილს მიეძღვნა. სამადლობელ სიტყვაში ივანე ჯავახიშვილმა ასე მიმართა სტუდენტებს:

„მე ბედნიერი ვარ დღეს, რომ ვხედავ ჩვენი ხანგრძლივი ოცნებისა და ბრძოლის ნაყოფს. ჩვენ მიერ დაარსებული პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველ გამოშვებას. ეს არის ჩვენი დიდი ეროვნული გამარჯვება, ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურული აღორძინების მტკიცე საძირკველი და თქვენ, ჩემო საყვარელო მოწაფეებო, მშობლიური ისტორიის მცოდნეობა, შეძენილი სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე შეიტანეთ და გაავრცელეთ ხალხში, რომ მან იცოდეს, აცნობიერებდეს და აფასებდეს თავის ისტორიულ წარსულს. ეს იქნება საწინდარი ჩვენი ერის პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობისა. თქვენ უნდა იღვაწოთ და არ მისცეთ განსვენება თვალთა თქვენთა, ვითარცა გიორგი მთაწმინდელი, რომ მოიპოვოთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო მომავალი."

სტუდენტებმა ფეხზე ადგომით მადლობა გადაუხადეს საყვარელ მასწავლებელს და მრავალჟამიერი დააგუგუნეს. ივანე ჯავახიშვილი ღვინოს არ სვამდა, ავადმყოფობის გამო ფრთხილობდა, მაგრამ ეს სამადლობელო სადღეგრძელო მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო, რომ სავსე ჭიქა დასცალა და როგორც სერგი მაკალათია წერს „ამით გამოხატა თავისი ულრმესი სიხარული და პატივისცემა ჩვენდამი."

სერგი მაკალათიას ცხოვრებაში კვლავ ახალი ერა დაიწყო, რომელიც ერთი შეხედვით, ხელის შემშლელი პირობების თვალსაზრისით, არ უნდა ყოფილიყო ისეთი რთული, როგორც ეს შემდგომში აღმოჩნდა. ასპარეზი იყო დიდი და საქმე იმდენი, მრავალი თაობა რომ ვერ გასწვდებოდა. საოცარია, მაგრამ ამ უკონფლიქტო, კეთილგანწყობილ ადამიანს დიდი წინააღმდეგობები და ზოგიერთი კოლეგის დევნა ერგო წილად. მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომელს, რომელსაც სამუზეუმო მასალის შესწავლა-გარჩევაში უკვე დიდი პრაქტიკული ცოდნა ჰქონდა, მხოლოდ ტექნიკურ საქმეს სთხოვდნენ, სამეცნიერო მუშაობას კი უკრძალავდნენ. ამის გამო, ხელმძღვანელობას რომ არ შეემჩნია, არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში ჩუმად მუშაობდა, თუმცა ხშირად თვით მუზეუმის დირექტორთანაც აბეზღებდნენ იმ

მოტივით, რომ მუშაობდა თავისთვის და არა მუზეუმისთვის. მისი პასუხი ყოველთვის ასეთი იყო „ვმუშაობ ჩემთვის კი არა, სამშობლო მხარეების შესწავლა-გაცნობაზე, რაც მე დიდ ეროვნულ საქმედ მიმაჩნია და მე მგონია, ყოველი ქართველი მეცნიერი ხელს უნდა უწყობდეს და არა უშლიდეს ასეთ მუშაობას. მივიღე გაფრთხილება, მაგრამ მე მაინც განვაგრძნობდი ჩემ საყვარელ საქმეს, მხოლოდ ახლა ვიქცეოდი ფრთხილად და მალულად ვწერდი — ზოგჯერ ზედ გაშლილ წიგნებს დავაწყობდი და ასეთ ატმოსფეროში მიხდებოდა მუშაობა." ამ პირობებში დაწერა მან წიგნი მთიულეთზე და სხვა შრომები.

საკანდიდატო (1939) და სადოქტორო (1948) დისერტაციები —„ხევსურეთი" და „ქართველური ტომების ეთნოგრაფია," ს. მაკალათია იძულებული გახდა მოსკოვსა და ლენინგრადში დაეცვა. ამასაც მწარედ იხსენებს მეცნიერი. მას ხომ იმ უნივერსიტეტში არ მისცეს დისერტაციის დაცვის საშუალება, სადაც ერთი პირველი სტუდენტთაგანიც იყო: „ძნელი იყო ასეთ მდგომარეობასთან შერიგება, ილახებოდა ჩემი ეროვნული თვითშეგნება, რომ მშობლიურ თემაზე უცხოეთში, უცხო ენაზე დამეცვა დისერტაცია," გულისტკივილით იგონებდა მეცნიერი. აღსანიშნავია, რომ 1939 წ. 15 მაისს ს. მაკალათიას მიერ ლენინგრადის უნივერსიტეტში დაცული დისერტაცია გარკვეული თვალსაზრისით, ამ უნივერსიტეტისთვისაც მოვლენა იყო. ეს კარგად ჩანს საკავშირო სამეცნიერო ორგანოში დაბეჭდილი სტატიის სათაურიდანაც: „პირველი ეთნოგრაფიული დისპუტი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში." საქმე ისაა, რომ ბოლო რვა წლის მანძილზე საბჭოთა უნივერსიტეტებში ეთნოგრაფია აღარ ისწავლებოდა, რაც საგანგებოდ აღინიშნა ს. მაკალათიას ოფიციალური ოპონენტების, აკადემიკოსების ვ. სტრუვესა და დ. ზელენინის მიერ. მათ კმაყოფილება გამოთქვეს, რომ ბოლოს და ბოლოს სხვა დარგების გვერდით ეთნოგრაფიამ კვლავ მოიპოვა სრული უფლებები უნივერსიტეტში. დისერტაციის მსვლელობისას, ოპონენტებმა და დისპუტში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ს. მაკალათიას მონოგრაფია „ხევსურეთი" პირველი ფუნდამენტური ნაშრომი იყო ხევსურების შესახებ. მისი სხვადასხვა ასპექტით განხილვისას, აღინიშნა ისიც, რომ დისერტანტმა გააქარწყლა მთელი რიგი ე.წ. „სამეცნიერო ლეგენდები", მათ შორის, ხევსურების სამუდამო გაქრობის თაობაზე, რის შესახებაც 1935 წ. გამოცემული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიაც კი წერდა. დისერტანტის თაობაზე, რომლის ნაშრომსაც უმაღლესი შეფასება მიეცა, ითქვა ისიც, რომ საკავშირო წრეებისათვის კარგად ცნობილი მეცნიერი ამ დროისათვის უკვე ცხრა მონოგრაფიისა და მრავალი სტატიის ავტორი იყო.

1948 წელს, როდესაც ს. მაკალათია უკვე სადოქტორო დისერტაციის დასაცავად იძულებული გახდა მოსკოვში გამგზავრებულიყო, დაცვის წინ ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა ს. ტოლსტოვმა მისი გადადება ურჩია. ს. მაკალათია იგონებს: „მე ვთხოვე ეთქვა ამის მიზეზი. მან მიპასუხა: აქ დარბაზში სხედან თქვენი თანამემამულენი, რომლებსაც განზრახული აქვთ ჩაგიშალონ დისერტაციის დაცვაო. ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში, შიში და უკან დახევა ასეთ შემთხვევაში მე არ მახასიათებდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ, ბოდიში მოვიხადე და კატეგორიული უარი განვაცხადე დაცვის გადადებაზე. დაცვაზე გამოვიდა თბილისიდან ჩამოსული ჩემი მოწინააღმდეგე ჯგუფი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.” ასე გახდა სერგი მაკალათია პირველი ეთნოგრაფი დოქტორი საქართველოში, რაც, მისი სიტყვებით, მოსვენებას არ აძლევდა მასთან დაპირისპირებულ ჯგუფს. „შიში და უკან დახევა მე არ მახასიათებდა,” ამ სიტყვების თქმა მას არაერთგზის დასჭირდება ცხოვრების გზაზე, მაშინაც, როდესაც სამეცნიერო ასპარეზს უზღუდავდნენ, მას კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ემუშავა საქართველოს ისტორიაში, არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და ნუმიზმატიკაში, რადგანაც, როგორც ამას თავადაც აღნიშნავს, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ მეცნიერების ოთხივე დარგის კომპლექსური შესწავლით იყო შესაძლებელი საქართველოს ისტორიული წარსულის არაერთი საკითხის გაშუქება და გარკვევა. ს. მაკალათიას უკან არ დაუხევია მაშინაც, როდესაც სახელმწიფო უხეშად ერეოდა მეცნიერების საქმეებში, რაც ზოგჯერ თავად მეცნიერის ფიზიკურ არსებობასაც უქმნიდა საფრთხეს. მისთვის 1948 წელი სხვა მხრივაც აღმოჩნდა რთული. იგი გორის მუზეუმის დირექტორობიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ საუბარია წერილში გრიფით სრულიად საიდუმლოდ (1949,I/8), რომელიც აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ხელმძღვანელობისადმია მიწერილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომიტეტის მიერ. მასში საუბარია ს. მაკალათიას გათავისუფლების მოტივებზე და მისი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მიღების მიზანშეუწონლობაზე, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტზე „რომელსაც საბჭოთა ცოტა სწამს, რაც მან პრაქტიკულად დაამტკიცა მუზეუმში მუშაობის დროს...ხელმძღვანელ ორგანოებისადმი დამოკიდებულებაშიც უცნაურად იქცევა, ხშირად ვერ ერკვევა საბჭოთა სისტემაში.” აღნიშნული წერილიდან, რომლის დაწერის დროისათვის ს. მაკალათიას უკვე გამოცდილი ჰქონდა საბჭოთა ციხის სისასტიკე და რომელიც ეპოქის ნამდვილი დოკუ-

1941 წ. სერგი მაკალათია.
გადაღებულია ლენინგრადში.

მენტია, ირკვევა, რომ მას, გორის მუზეუმისა და პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელს, თბილისში ჩამოსვლა, სადაც იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, შეზღუდული ჰქონდა, რაც ფაქტობრივად თბილისიდან გასახლებას ნიშნავდა. მუქარის ტონით დაწერილი წერილი მეცნიერის დისკრედიტაციის, მისი მოღვაწეობის აბუჩად აგდებასთან ერთად, რეპრესიისაკენ მოწოდებასაც შეიცავს. მასში ვკითხულობთ: ,,ს.მაკალათია, როგორც მუზეუმის დირექტორი არ ხელმძღვანელობდა კომიტეტის ბრძანებებითა და მითითებით. კომიტეტის ბრძანებები და სადირექტივო წერილები მას არ განუხილავს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, არც თანამშრომელთა შორის და, რაც მთავარია, არც ერთი ჩვენი მითითება არა აქვს განხორციელებული, კერძოდ, სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოწინავე ადამიანთა და სამამულო ომის შესახებ გამოფენა არ ჰქონდა მოწყობილი. მან მუზეუმი ისე გამოაფინა, როგორც თვითონ სურდა და თითქოს პროფილიც შეუცვალა თავისი სურვილისამებრ...

ს. მაკალათია გორიდან კვირაში ორი-სამი დღე ჩამოდიოდა თვითნებურად, მიუხედავად იმისა, რომ გავაფრთხილეთ არ ევლო თბილისში უნებართვოდ. მან ეს არაფრად ჩააგდო და თბილისში დაიარებოდა თავისი პირადი სურვილებით. ამით ის უხეშად არღვევდა საბჭოთა კანონებს.

1948 წ. ს. მაკალათიამ გადასახლებიდან დაბრუნებულ ვინმე იოსებ მეგრელიძეს დაავალა შრომის დაწერა დიდოურ ფალური კერპების შესახებ, რაც მუზეუმისთვის არ წარმოადგენდა აუცილებელ საჭიროებას და სამუშაო გამოუძებნა მას მატერიალური ხელშეწყობის მიზნით. პოეტ ი. მჭედლიშვილს ს. მაკალათიამ შეაგროვებინა ფოლკლორი, რაშიც მისცა ჰონორარი. ეს მასალები, როგორც ს. მაკალათია აცხადებს, მას მიუღია შეუმოწმებლად, რის უფლებაც მას როგორც მუზეუმის დირექტორს არ ჰქონდა. ი. მჭედლიშვილის მიერ შეგროვებული მასალა მიუღებელია, როგორც

ფოლკლორი, რადგან მას უსაუბრია უფრო ყოფილ მამასახლისებთან, ხოლო რაც მთავარია, ამ მასალებში არის დაშვებული პოლიტიკური შეცდომები და ი. მჭედლიშვილის ანტისაბჭოთა ლაყბობა. ს. მაკალათიასა და ი. მჭედლიშვილის იდეური სიახლოვე ცხადია, არ არის საკვირველი, მაგრამ ს. მაკალათიამ პასუხი უნდა აგოს ამ საქმეზე. ს. მაკალათია მუზეუმისთვის იძენდა ისეთ ნივთებსა და ისეთი რაოდენობით, რაც არ იყო გამოწვეული აუცილებლობით. შესაძენად ხარჯავდა ათიათას მანეთობით, ხოლო საბჭოთა მშენებლობის განყოფილებასა და თანადროული ექსპონატების შესაძენად ფულს თითქმის არ ხარჯავდა... მუზეუმს დღემდე არა აქვს კარგად შესრულებული ჩვენი ბელადების სურათები. საერთოდ, საბჭოთა პერიოდის საკითხზე მუზეუმი არ მუშაობდა მიუხედავად მრავალი მითითებისა. ცხადია, ასეთი მუშაობით მუზეუმი ვერ გახდებოდა ისეთ დაწესებულებად, რომელიც დაეხმარებოდა ჩვენს პარტიას, მოსახლეობის აღზრდის საქმეში. ისიც ცხადია, რომ ყველაფერი ზემოხსენებული ს. მაკალათიას „მოღვაწეობაში" არ არის შემთხვევითი. ის მოქმედებდა თავისი მცდარი შეხედულებებით და ცხადია მცდარი იყო მისი შედეგებიც. საბოლოოდ ს. მაკალათიამ არაფერი გააკეთა ჩვენი დავალებებისა და თავისი პირობების შესასრულებლად. გამოეცხადა საყვედური და გაფრთხილებული იქნა, რომ თუ უახლოეს ხანაში არ გამოასწორებდა მუზეუმის მუშაობას, მის მიმართ მიღებული იქნებოდა სასჯელის უფრო მკაცრი ზომა. მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, ს. მაკალათიამ არამცთუ გამოასწორა ნაკლოვანებები და დამახინჯებები, კომიტეტის მიმართ დაიწყო მუქარა და წერილობითი პროტესტები განაცხადა კომიტეტის ბრძანებაზე, კომიტეტში რამდენჯერმე გამოძახებისას არ გამოცხადდა. იგი თვლის, რომ არც ერთი მუხლი არ შეეფერება სინამდვილეს... ს. მაკალათია, როდესაც კომიტეტმა განიხილა მისი საკითხი, ცხადია, ღირსი იყო მოგვეხსნა სამუშაოდან და მიგვეცა პასუხისგებაში, მაგრამ იმის გამო, რომ მუზეუმის დირექტორს სასწრაფოდ ვერ გამოვნახავდით, ამავე დროს შეგვპირდა მუზეუმის რემონტის ჩატარებასა და გამოფენის მოწყობას, მიზანშეწონილად ვცანით ეს ღონისძიებები გაეტარებინა და შემდგომ ჩაგვეტარებინა ფინანსური რევიზია. ს. მაკალათია კომიტეტს მოექცა, როგორც გარეშე პიროვნება და არა საბჭოთა მუშაკი, საბოლოოდ არაფერი გააკეთა ჩვენი დავალებებისა და თავისი დაპირებების შესასრულებლად და იმის გამო, რომ მან არ შეასრულა კომიტეტის ბრძანებები და დავალებები, განთავისუფლებულ იქნას სამუშაოდან სრულიად."

ს. მაკალათია საქართველოს ისტორიაში ლექციებსაც უძველესი

დროიდან 1801 წლამდე, ან გასაბჭოებამდე – 1921 წლამდე კითხულობდა. ამის შემდეგ, როგორც გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელი სტუდენტები დღესაც იხსენებენ, იგი მათ ეუბნებოდა, შემდეგი პერიოდი თავად ისწავლეთ, უჩემოდაც კარგად გაერკვევითო. ს. მაკალათიას, რამდენად კარგად ჰქონდა გაცნობიერებული არჩეული გზის სირთულე და მიზნები, რომლითაც მისი დიდი წინაპრები და მასწავლებლები მიდიოდნენ ეს კარგად ჩანს ივ. ჯავახიშვილზე დაწერილი სტატიიდან, სადაც იგი აღნიშნავს: „მისი შემოქმედებითი ნიჭი და ერუდიცია გამთბარი იყო სამშობლოს სიყვარულით და ეს დიადი გრძნობა მან ეპიგრაფად წარუმძღვარა თავის ერთ-ერთ შრომას: „დიდი არს ძალა სიყვარულისაი.” მას უყვარდა სამშობლო, ერი და ჭაბუკობიდანვე მიზნად დაისახა შეესწავლა სამშობლოს ისტორია, ივ. ჯავახიშვილს ღრმად სწამდა, რომ მშობლიური ისტორიის ცოდნის გარეშე უიმედოა ერის თვითგამორკვევაზე ოცნება და ძნელია ახლის შექმნა, წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ათვისების გარეშე. მით უმეტეს, რუსეთის ცარიზმის ბატონობის პერიოდში, როდესაც ქართველი ერი რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით ადგა გადაგვარების გზას და მას მოსპობილი ჰქონდა ყოველგვარი საშუალება შეესწავლა თავისი ენა და ლიტერატურა. ამ დუხჭირ დროსა და პირობებში სწორედ გმირობა იყო, რომ ახალგაზრდა ქართველს ხელი მოეკიდა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის და ისიც იმდროინდელ პეტერბურგის უნივერსიტეტში. პატრიოტიზმით აღსავსე ახალგაზრდა სტუდენტი ივ. ჯავახიშვილი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში... მისი მიზანია, დაეუფლოს სამეცნიერო კვლევის მეთოდებს ისტორიულ მეცნიერებაში, სპეციალურად კი ქართულში, რომ საქართველოს ისტორია გადაქცეულიყო სამეცნიერო კვლევის საგნად უნივერსიტეტში. ეს კი იმდროინდელ პოლიტიკურ გარემოში არ იყო ადვილი საქმე... მისაბაძია და სამაგალითო ივ. ჯავახიშვილის თავდადებული მუშაობა. მისი მეცნიერული შემოქმედება ემსახურებოდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს... იგი უკვდავია და ქართველი ხალხის ხსოვნაში მუდამ დარჩება საამაყო მეცნიერად, რომელმაც უანდერძა მას „ქართველი ერის ისტორია” და მით მოიხადა თავისი ეროვნული ვალი.”

ს. მაკალათია ივ. ჯავახიშვილზე საუბრისას, საგანგებოდ აღნიშნავს მის ქართულ აღზრდას, იმ დროს, როდესაც არცთუ მცირე რაოდენობა სხვა ქართული ოჯახებისა, რუსულად აღზრდას ანიჭებდნენ უპირატესობას, რასაც ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ გიმნაზიაში უცხადებდა პროტესტს და რუსულად მოლაპარაკე ქართველ ყმაწვილებს მხოლოდ ქართულად მიმართავდა. ამის შესახებ ს. მაკა-

ლათია წერს: „გიმნაზიაში ყოფნის დროს ივ. ჯავახიშვილი გამოირჩეოდა ქართული ენისა და ისტორიის ცოდნით, უყვარდა მშობლიური ენა და მხარე. კიცხავდა გარუსებისა და გადაგვარების გზაზე შემდგარ ამხანაგებს. საქართველოს წარსულის გაცნობის მიზნით, იგი მოგზაურობდა ხოვლეს მიდამოებში, ეცნობოდა ისტორიულ ძეგლებს და ამხნაგებსაც ურჩევდა წრეების დაარსებას ქართველი ხალხის წარსულის შესასწავლად." სწორედ საკუთარ ნიადაგს ეფუძნებოდა ივანე ჯავახიშვილის ყველა დიდი წამოწყება და ფართო, მასშტაბური ევროპული განათლება. ამისკენ მოუწოდებდა ის თავის მოწაფეებს და მათ შორის ს. მაკალათიას, რომელიც როგორც ეს უკვე აღინიშნა მისი რჩევით იწყებს საქართველოს სახ. მუზეუმში მუშაობას. ს. მაკალათია მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომელი, გატაცებით ეცნობოდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურას — რატცელს, შულცს, მორგანს, კოვალევსკის, ლამბერტის, ხიზანიშვილს, რ. ერისთავსა და სხვ. აღნიშნული მასალის გაცნობისას, განსაკუთრებით დაინტერესდა მ. კოვალევსკის თეორიებით გვაროვნული წყობილების სტრუქტურის შესახებ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მაგრამ ამ საკითხში გასარკვევად, ქართული ეთნოგრაფიული მასალა არ იყო საკმარისი რაოდენობის. საჭირო იყო ქვეყნის ყველა კუთხის განზოგადოებული შესწავლა, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში სერგი მაკალათია გატაცებული იყო ქართული წარმართული რწმენა-წარმოდგენების კვლევით, სახელდობრ, მითრასა და ფალოსის კულტით საქართველოში, რაც ახალი სიტყვა იყო მეცნიერებაში. ამ თემებით ის, 1924 და 1926 წლებში, პირველი საჯარო მოხსენებებით გამოვიდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა და რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ს. მაკალათიას პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1923 წელს აბაშის რაიონში ჩატარდა, სადაც მისი ერთ-ერთი ძირითადი მთხრობელი დედა მინადორა თურქია იყო, ძველი ადათების, რიტუალებისა და ხალხური მედიცინის კარგი მცოდნე და მოყვარული. მართალია, სამეგრელო არაერთმა მოგზაურმა, თუ მისიონერმა აღწერა (არქანჯელო ლამბერტი, მურიე, კასტელი, შარდენი და სხვ.), მოგვიანებით კი რუსებმა (კ. ბოროზდინი, ხ. გროზდოვი...), მაგრამ ყველა, გამომდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან, სუბიექტური და არასრულყოფილი იყო. ამით განსაკუთრებით რუსული ლიტერატურა გამოირჩეოდა, რომელსაც, როგორც წიგნის შესავალში აღნიშნავს ს. მაკალათია, მიზნად ჰქონდა დასახული სამეგრელოს წარსულის გაყალბება და მეგრელების არაქართველებად გამოცხადება. ქართულ

პერიოდულ გამოცემებშიც, სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაზე არსებული ზოგიერთი კორესპონდენცია, მცირე გამონაკლისის გარდა (რ. ერისთავი, თ. სახოკია), მოკლებული იყო მეცნიერულ ღირებულებას. ამდენად, ქართულ ენაზე სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი არ მოიპოვებოდა. მეცნიერის წინაშე რთული ამოცანა იდგა, რაც თავდაუზოგავ მუშაობას ითხოვდა.

1923-1939 წლებში ს. მაკალათიამ აბაშის გარდა, მოიარა მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის, სენაკის, გალისა და ოჩამჩირის რაიონები, მოინახულა სამეგრელოს ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი და ისტორიული ძეგლი. ხალხის ყოფა ცხოვრების შესწავლის მიზნით, ერთი ზაფხული სამეგრელოს ცნობილ აგარაკზე – ლებარდე-ჩეგვალაში გაატარა, სადაც სეზონზე უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ისინი ისეთი მონდომებით აწერინებდნენ მკვლევარს ძველ ადათ წესებს, ლექსებს, ზღაპრებს და სხვ. რომ ჩაწერას ძლივს ასწრებდა. მასალის თვალსაჩინოებისთვის ზოგი ლარჭემს უკრავდა, ზოგი ჩონგურზე ამღერებდა, მასიურ სცენებსაც აწყობდნენ, მაგალითად, ფერხული „ოხოხოია", „ხუჯიში ოსხაპური", „ძავრალე" და სხვ. შეკრებილი დიდძალი მასალა სერგი მაკალათიამ გადაამუშავა და 1941 წელს გამოსცა წიგნად „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია", ვრცელი გამოკვლევით, სადაც სამეგრელოს, როგორც დიდი ქართული სამყაროს ორგანული ნაწილის, წარსული პირველად წარმოაჩინა, ძველი კოლხეთიდან მოყოლებული სამეგრელოს საამოავროს რუსეთთან შეერთებამდე ყველა იმ პროცესის ჩვენებით, რაც ამ მხარემ მთელს საქართველოსთან ერთად გაიარა. „საქართველოს ძველი ისტორია ფაქტიურად კოლხეთის ისტორიით იწყება და ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ ამისდა მიუხედავად კოლხეთის ისტორია ჯერ კიდევ შესასწავლია." იმ დროს, როდესაც ს. მაკალათია ამ სიტყვებს წერდა და ამას თავადაც აღნიშნავს, არ არსებობდა კოლხეთზე მონოგრაფიული გამოკვლევა, რაც მისი მთლიანი ისტორიული სურათის გააზრების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ

1923 წ. სამეგრელოს ექსპედიცია. ს. მაკალათია დედასთან ერთად.

აღნიშნული გამოკვლევა მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, სადაც მან არაერთი საინტერესო და საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა, ამავე დროს საკითხთა ის წრე დასახა, რომელზეც მომავალში ყურადღება უნდა გამახვილებულიყო. მანვე გვიჩვენა მეგრელთა წინაპრების — კოლხებისა და ლაზების ისტორიული მისია და ქართულ სახელმწიფოებრიობაში ის ადგილი და როლი, რისი ისტორიული ხსოვნაც მუდამ არსებობდა და ილია ჭავჭავაძეს ცნობილი სიტყვები ათქმევინა — სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახეო.

ს. მაკალათია ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის კონტექსტში ამ კუთხის განხილვისა და მისი სხვადასხვა ეტაპის ჩვენებისას, მრავალ საკითხთა შორის, ისეთ მტკივნეულ პრობლემასაც ეხება, როგორიცაა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა. იკვლევს მის გამომწვევ, საშინაო, თუ საგარეო ფაქტორებს, რაც ოსმალთა ბატონობით იყო გამოწვეული, ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ამ მახინჯ მოვლენას ისე განიხილავენ, როგორც ქართველთა მანკიერ თვისებას, თუმცა ის, როგორც აკად. ვ. გაბაშვილი სპეციალურ გამოკვლევაში აღნიშნავს, თანაბრად იყო დამახასიათებელი, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებისათვის. ევროპისათვის XIV-XV სს. ნიშანდობლივი აღნიშნული მოვლენა XVII-XVIII სს. საგრძნობლად შემცირდა, რაც, მეცნიერის სიტყვებით, განვითარების ახალი (ბურჟუაზიული) გზით იყო განპირობებული. სამაგიეროდ, აზიაში შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ფეოდალიზმის გადმონაშთები XIX ს. 60-იან წლებამდე, ზოგან კი XX საუკუნემდე გაგრძელდა. ამიტომ, ტყვის სყიდვა შემორჩა არა ევროპას, არამედ აზიას. საქართველოშიც, სადაც ოსმალთა ბატონობის შედეგად ქვეყანა დასავლეთისგან იზოლირებული აღმოჩნდა, ეს მოვლენა გახანგრძლივდა. ასეთია მეცნიერული ახსნა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ყოველთვის არიან ძალები, მტრის დასაყრდენი რომ ხდებიან და იოლი კეთილდღეობის მიღწევის გზაზე მოყვასის განადგურებას, ძარცვას, არაფრად მიიჩნევენ. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ისინიც, ვინც მას წინ აღუდგებიან და ებრძვიან. ასევე იყო სამეგრელოშიც, რომლის ტრაგედიაც არა მხლოდ ოსმალთა პერიოდის უკიდურესი გაჭირვებიდან მოდიოდა, მრავალი ბოროტების წყარო რომ იყო, არამედ ქართველი ხალხის სილამაზიდანაც, რის შესახებაც, ბევრი დაწერილა აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ისევე როგორც ქართველი ტყვეების მშვენიერებაზე.

სამეგრელოში ხანგრძლივი ექსპედიციების შუალედში, 1928-1929 წწ. ს. მაკალათიამ მთიულეთში იმოგზაურა. საქართველოს ყველაზე

ცნობილ, სილამაზით განთქმულ სამხედრო გზაზე მდებარე ამ მხარეს საზოგადოება ყველაზე ნაკლებად იცნობდა. მეცნიერის სიტყვებით, ამით აიხსნებოდა ის სავალალო მდგომარეობა, რომ ზოგი მთიულს მთიელისაგან ვერ არჩევდა და გუდამაყარი საქართველოს მიღმა ეგონა. მოგზაურებსაც მისი ყოფა არ აუწერიათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე ისტორიულად და სტრატეგიულ-ეკონომიკურად მუდამ მნიშვნელოვანი იყო. სამხედრო გზის სიდიადეს კი, როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, არაერთი მგზავრი აუმეტ-ყველებია, რომელსაც მისთვის თავისი განცდები ლექსად, თუ პროზად უძღვნია. თავად მკვლევარიც ოავის წიგნს ამ გზის აღწერით იწყებს, „რომელიც გველივით მიიკლაკნება არაგვ-თერგის ვიწრო ხეებში და კავკასიონის ბუმბერაზების გადალახვით ჩრდილოეთის ველებისაკენ ეშვება. მისი მიდამოს აზიდული მწვერვალების მონუმენტალობა, დაწვეტილი მყინვარების ელვარება და ქოჩორა მთების სურნელება მგზავრზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. დაღარულ კლდეების ნაპრალებიდან გადმონახეთქი ჩანჩქერების შხუილი, არაგვის დუდუნი და აქაფებულ თერგის გუგუნი ადამიანში იწვევს ბუნების ძალოვანების დიად განცდებს. მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს ეს ვიწრო და ხვეული გზა თავისი თავბრუდამხვევი ქანებითა და

ს. მაკალათია – მთიულეთის ექსპედიციაში (მარცხნივ პირველი).

უფსკრულებით შიშის ჟრუანტელის მომგვრელია.” ამ ნაშრომში, ისევე როგორც სხვაგან, ხალხის ყოფის გაუმჯობესებაზე ზრუნავს და ხელისუფლებას მოუწოდებს: „ჩვენში მხარეთმცოდნეობას დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა. უნდა გვახსოვდეს, რომ მხარეთმცოდნეობა მხარეთ აღმშენებლობის გზა და საშუალებაა.”

1930 წ. გამოცემულ მონოგრაფიის – „მთიულეთის” შესავალში ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ მას არახელსაყრელ პირობებში უხდე-

ბოდა მუშაობა, რაშიც, ერთი მხრივ, უსახსრობას, გამოწვეულს დაფინანსებაზე მუზეუმის უარით, მეორე მხრივ კი, დროის სიმცირეს გულისხმობდა, ვინაიდან ექსპედიციის ფულს ექსკურსიამძღოლობით შოულობდა ფასანაურის საექსკურსიო ბაზაში. უსახსრობის გამო, მას საშუალება არ ჰქონდა ფოტოგრაფიით უხვად ესარგებლა, არც მხატვარი ჰყავდა და ჩახატვა გაზომვასაც თავად ასრულებდა. თითქმის პარალელურად (1926–1928 წწ), ს. მაკალათიამ მთის რაჭაში იმოგზაურა, სადაც საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა შეაგროვა, უამრავი ხალხური თქმულება და ლექსი ჩაიწერა. მალე, 1930 წ. გამოვიდა მისი ერთ-ერთი პირველი მონოგრაფია „მთის რაჭა", პირველი მხარეთმცოდნეობითი ნარკვევი რიონისა და ჭანჭახ-ის სათავეებში მდებარე სამი სოფლის – ღების, ჭიორასა და გლოლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ „მთის რაჭა"– ხალხური ტერმინი, ს. მაკალათიას ამ ნაშრომის შემდეგ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერ-ატურაში. წიგნის წარმატებას, რაჭველთა ოჯახებს აქა-იქ რელიკვიად რომ შემორჩათ, მხატვრულმა გამოცემამაც შეუწყო ხელი. მისი გაფორმე-ბა ქართული გამოყენებითი ხელოვნებისა და მხატვრული რეწვის დიდ მცოდნეს, პროფესორ დავით ციციშვილს ეკუთვნს. საზოგადოდ, იმ მხატვრებს შორის, ვინც ს. მაკალათიასთან თანამშრომლობდა, უნდა აღინიშნოს, უჩა ჯაფარიძე, ლ. ხუციშვილი, განსაკუთრებით კი ლადო გრიგოლია, ქართული წიგნისა და შრიფტის დიდოსტატი, რომელიც წარმოშობით ს. მაკალათიას მშობლიურ სოფელ სეფიეთიდან იყო.

1987 წ. „მთის რაჭის" წიგნის მეორე გამოცემის რედაქტორი ლ. ფრუიძე აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მკვლევარი დროულად მიხვდა, თუ რა მისია ეკისრებოდა – გადაერჩინა და შთამომავლო-ბისათვის შემოენახა 20-იან წლებამდე მოღწეული რეალიები, რომ ის სამუდამოდ არ დაკარგვოდა მომავალ თაობას. სხვა რომ არაფერი, განაგრძობს ის, ს. მაკალათიამ სოფელ ღებში 50 „დუროიანი" სახლი აღწერა. ხალხური ხუროთმოძღვრების ეს უიშვიათესი და უბრწყინვალესი ნიმუშები ისე განადგურდა გულისტკივილიც არავის გამოუთქვამს. იქვე იმასაც დასძენს, რომ „სამწუხაროდ, მთის რაჭაში ასევე ხელაღებით განადგურდა ს. მაკალათიას მიერ დიდი სიყვარულითა და ძალისხმევით გამოვლენილი საერო თუ სასული-ერო მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი, რაც შეეხება თქმულე-ბა-გადმოცემებს, რელიგიურ და სოციალური ყოფის თავისებურებებს, ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში დღემდე ს. მაკალათიას წიგნის მეშვეობით ცოცხლობენ. „ჩვენი სერგო" – ასე უწოდებენ მადლიერი რაჭველები თავიანთ მემატიანეს, აწ განსვენებულ, და-მაშვრალ სწავლულს სერგი მაკალათიას, ხალხის თანადგომა, მად-

ლიერება, სიყვარული შემოქმედისათვის ყველაზე დიდი ჯილდოა.”

ს. მაკალათია ამბობდა, რომ, „განვლილ რწმენათა ცოცხალი მუზეუმი ხალხია.” მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მკვლევარი ხალხში იმყოფებოდეს და უშუალოდ ეცნობოდეს იმ განცდებს, რომელსაც ის თავის ხატობა-დღეობებში, თუ სხვადასხვა წეს-ჩვეულების დროს ასახიერებს. მეცნიერის წარმატებული მუშაობის ერთ-ერთი საწინდარი ხალხის სიყვარული და მასთან ურთიერთობის უნარი

ს. მაკალათია მთის რაჭაში (მარცხნივ მესამე).

იყო. ხალხს უკვირდა მისი ასეთი თავდადებული შრომა მათი წარსულისა და ყოფა-ცხოვრების შესასწავლად და დიდი პატივით ეპყრობოდნენ. მთხრობელებს განსაკუთრებით მოსწონდათ, რომ მან ბევრი იცოდა მათი კუთხის შესახებ, რის გამოც, კიდევ უფრო დიდი ხალისით უყვებოდნენ მამა-პაპათა ძველ წესებს და სიყვარულით აწერინებდნენ ლოცვებს, საგალობლებს, ზეპირად გალექსილ გმირულ ეპიზოდებს, მეფეთა წყალობის წიგნების შინაარსს და, ხშირად მეცნიერს ისტორიული თავგადასავლის კარგი ცოდნით აოცებდნენ. ს. მაკალათია იქვე ხაზავდა და ხატავდა ყოფის დამახასიათებელ რეალიებს, სახლის ორნამენტებს, ხალიჩის სახეებს, ტანისამოსის მოქარგულობასა და სხვ., იღებდა ფოტომასალებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველ და ახალ გეოგრაფიულ სახელწოდებათა გარკვევა-დადგენას. ხალხთან ერთად ღამისთევით მიდიოდა ხატობებში, ქორწილებში, სატირალში, მეცხვარეებთან ცხვარში, სადაც საღამოობით, კოცონთან ჩონგურზე დაკვრას, ლექსებსა

და ხალხურ სიმღერებს უსმენდა და, თუ ზოგიერთი კოლეგის ინტრიგა აღმართში მიწეულ ქვასავით ხვდებოდა იმ საქმეს, რის გამოც, გულდაწყვეტით იტყოდა, ქართული საქმის კეთებაში ხელს მიშლიანო, სამაგიეროდ, განსაკუთრებული იყო ხალხის თანადგომა, რომელიც მოუთმენლად ელოდა, სიხარულით ხვდებოდა სერგი მაკალათიას წიგნებს და ზოგ მოხუცს ამისათვის წერა-კითხვაც კი უსწავლია. ამავე დროს, ხალხი ის პირუთვნელი მსაჯულიც იყო, რომელიც ჭეშმარიტ ისტორიას ითხოვდა და ძალისხმევას არ იშურებდა ობიექტური ინფორმაციის მისაწოდებლად. ეთნოგრაფებმა კარგად იციან, ფშავში საეჭვო ვითარებაში როგორ დაიღუპა ერთი პიროვნება, რომელმაც ფშავლებზე არაობიექტური, შეურაცხმყოფელი წიგნი დაწერა რის გამოსწორებასაც სერგი მაკალათიას სთხოვდნენ. ეს პირობა მან 1934 წელს შეასრულა, მონოგრაფიით — „ფშავი", სადაც ობიექტურად წარმოაჩინა ფშაველთა ზოგადი ბუნება-ხასიათის მაღალი თვისებები, თავისუფლების მოყვარეობა, სიმამაცე და პოეტური ბუნება.

სერგი მაკალათიას ფშავში და საზოგადოდ მთაში მუშაობისას, სადაც ნდობის ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ძმის ნიკოს სახელიც ეხმარებოდა, რომელიც იმ დროს სვანეთში, ხევსა და ფშავ-ხევსურეთში მასწავლებლობდა და შეძლებისდაგვარად, ეთნოგრაფიულ მასალებსაც აწვდიდა. „მას კარგად ესმოდა — წერს მეცნიერი — რომ ხალხთან ყველაზე ახლოს მასწავლებელი იდგა და მხოლოდ შეგნებულს, გათვითცნობიერებულ მასწავლებელს შეეძლო ხალხის მიუდგომელი შესწავლა და ხალხში შეგნებისა და სიახლის შეტანა." ნიკო მაკალათიამ არაერთი ნიჭიერი მთიელი ბავშვი თბილისში ჩამოიყვანა და შემოქმედების ფართო გზა გაუხსნა. ზრუნავდა ახალგაზრდობაზე გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც, სოფელ სეფიეთში, სადაც, მამის, იოსების მსგავსად, სიცოცხლის ბოლომდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწე-

1932 წ. ფშავი. მასალის ჩაწერა. შუაში ს. მაკალათია.

ოდა. ასევე იღვწოდა სერგიც, რომელმაც მშობლიურ სოფელ სეფიეთში ჭეშმარიტად ბრწყინვალე ბიბლიოთეკასაც ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც წლების მანძილზე ახალი წიგნებით ავსებდა და, რომელიც 1992 წ. მოვლენების დროს, ცეცხლმა შთანთქა.

ხალხის თანადგომა და ინტერესი მეცნიერს დიდ სტიმულს აძლევდა, დაღლილობასაც უხსნიდა რთულ გზაზე ფეხით მიმავალს, რასაც ქართული ბუნების მშვენიერებაც უნელებდა და იშლებოდა მის თვალწინ წარსულის სურათები, სხვადასხვა ეპოქა–ნამოსახლარები, ციხე-კოშკები, ეკლესიები, ეკლესია-სამლოცველოთა ნანგრევები, ძველი ქართული საფლავები, რომელსაც აღწერს, აღნუსხავს, ნანახი მრავალ ფიქრს აუშლის. ჯავახეთში ყოფნისას წერს: „ათვალიერებ თორის მშვენიერ ბუნებას და გსურს ჩაწვდე თორის წარსულის საიდუმლოებას. მაგრამ ვისგან და როგორ? ბუნება უტყვია, ადგილი უკაცრიელი „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი", დგეხარ განმარტოებით თორის ნანგრევზე ხელში ფანქრითა და საზომით, გსურს აგეგმო ჟამთა სიავით ჩაფერფლილი დიდ თორელთა ნამოსახლარი. ფიქრობ, ნახაზების საშუალებით აღადგინო ჩაქცეული ციხე-დარბაზის ნაგებობის სიმტკიცე და სიდიადე." ფიქრებს აღუძრავს ცხირეთის ციხეც, სადაც ზაფხულობით ქართლის მეფეები ისვენებდნენ. ასევე ნოსტე: „მოსჩანს გიორგი საakაძის კოშკი. მაგონდება საakაძის გმირული თავგადასავალი. ჟამთა ვითარებაში საakაძის სასახლის ნაგებობანი

ყაზბეგის საექსკურსიო ჯგუფი. ხელმძღვანელი ს. მაკალათია
(ზის მარცხნიდან მეორე).

დანგრეულა, ობლად დარჩენილა მხოლოდ ერთი მაღალი კოშკი, რომელიც მწუხარებით გადასცქერის ნოსტეს გაპარტახებულ მიდამოს." ირან - საქართველოს ურთიერთობის მშვენიერ ძეგლს აწყდება სოფელ გარიყულაში ე.წ. „მარშლიანთ სასახლეს". სპარსულ სტილში გადაწყვეტილი მდიდრული, მაღალი ხელოვნებით შესრულებული დარბაზები სპარსელ ოსტატთა მიერაა მოხატული. იგი შემახიის გენერალ-გუბერნატორს კონსტანტინე თარხნიშვილს აუგია, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონია სპარსეთის შაჰთან, მისი რჩევით და სპარსეთიდან გამოგზავნილი ხელოსნების მეშვეობით მას ეს სასახლე აუშენებია, უკვე გაპარტახების გზაზე მდგარი და კიდევ რამდენი წარსულის სურათი გადაიშლება მკლევრის თვალწინ, რამდენ მანამდე უცნობ ძეგლს გამოავლენს და შეისწავლის, რამდენ ახალ წარწერას აღმოაჩენს და გაშიფრავს, რამდენ ისტორიულ ძეგლსა თუ ნივთთან ეჭნება შეხება, სამშობლოს წინაშე როგორც ვალმოხდილს ისეც რომ განიხილავს, თუნდაც ატენის ციხეს, რომელზეც წერს: „შესაქცერი სიამაყით ამ მრავალომგადახდილ ატენის ციხეს, გრძნობ კმაყოფილებას, რომ მან შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს დაცვის საქმეში და ახლა ჩვენ მოგვიწოდებს შევისწავლოთ მისი ისტორიული თავგადასავალი." მეცნიერის უწყვეტ კავშირს წარსულთან და ისტორიკოსის ხედვას სამყაროსი კარგად ხედავდნენ თანამედროვენი. მწერალმა ოთარ ჩხეიძემ მისი ეს თვისება კარგად ასახა ჯერ მისდამი მიძღვნილ ესსეში „მეციხოვნე", შემდეგ კი დოკუმენტურ რომანში „ჩემი სავანე" (2001წ.), რომლის ერთ-ერთი მოქმედი პირი სერგი მაკალათიაა, ვის პორტრეტსაც შესანიშნავად ხატავს და ვის შესახებაც წერს: „გაჰყურებდა და გაჰყურებდა გორის ციხესა, — თუ მიდიოდა, ისე მიდიოდა, თუ იდგა, იდგა ისე იმგვარადა, აუდიტორიაც ისეთი ერჩივნა, საიდანაც რო ციხე მოსჩანდა. შეჰხედეთ ციხესაო, შეახსენებდა სტუდენტებსაცა, რო შევიდოდა, რო გამოვიდოდა მაშინაცაო.... და გაოცდა სერგი, როდესაც გამწვანებიდან მოსულებმა ციხის კალთებზე ტყის გაშენება დაიწყეს, როგორც რომ მოხვდებოდათ, რაც მოხვდებოდათ ისე: ციხის კალთებზე ტყეს რა უნდაო. არა სჯეროდა. ნუთუ არაფერი წაუკითხიათ, ნუთუ არაფერი გაუგონიათ, ნუთუ არც ჩემთვის მოუსმენიათო, ციხის კალთებზე ტყე სადა თქმულაო.....ღმერთო დიდებულოო, თვალი თუ ამეჭრა, თვალი თუ მატყუებსო, თავს იმშვიდებდა მხოლოდღა ამითი.

მაინც ციხესაც ველარ გასცქეროდა.

მერე ხმებოდა ის ნარგავები, უწყლობითა რაღა თქმა უნდა. და უხაროდა სერგისა, რო ხმებოდა ნარგავები ციხის კალთებზედა. მაგრამ და რაო, მაინც მოიკიდა ფეხი თანდათანობითა, იფესვა ფესვმა, მოიკიდა და მოიკიდა, როგორც რო მტერიც მოიკიდებდა

ფეხსა. მოიკიდა და მოიკიდა. მოიკიდებდა და აიღებდა ციხესა. და აღარც რო ციხეს გაჰყურებდა სერგი, აღებულ ციხესა, თავი ჩაეკიდა, თითქოს რო მკლავები ზურგთუკან გაუკრავთო, თითქოს რო სტამბოლის ბაზარზე მიჰყავთ დამარცხებული მეციხოვნეიო...”

საქართველოს სხვადასხვა კუთხე მკვლევარს თავისებურად ხიბლავდა, – გმირული წარსულით, სილამაზით, ფშავი კი, როგორც ვაჟას სამშობლო, ისე იზიდავდა, სადაც 1932 წ. გაემგზავრა და პირველად ჩარგალს ესტუმრა. დაბინავდა ვაჟა-ფშაველას სახლში, სადაც მას დიასახლისობას ვაჟას მეუღლე თამარი უწევდა. მრავალი ქართველის მსგავსად, მასაც უხაროდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მკვლევარს ხალხის ყოფა-ცხოვრების გაცნობა-შესწავლაში: „შინ იბარებდა მოხუც ქალებს, უნმარტავდა–აღნიშნავს სერგი მაკალათია–ჩემი - ჩამოსვლის მიზანს და სთხოვდა ჩემთვის ეამბნათ ძველი ფშავური წესები, თამარმაც ბევრი რამ იცოდა და როდესაც მოცლა ჰქონდა, დაუზარებლად ყვებოდა. იგი, როგორც სხვა ფშაველი ქალებიც, სამკალში მიდიოდა, ერთი ჰექტარი ხორბალი ეთესა და დილით, სანამ დაცხებოდა, მკიდა, ზოგჯერ მკაში მეც ვშველოდი მას, რაც ფშაველ ქალებს უკვირდათ და ამაზე ლექსიც კი გამოთქვეს. ფშაველებს უყვართ საუბარი წაწლობაზე, არც ქალები იჩენდნენ მორცხვობას და მაწერინებდნენ წაწლობის წესებს, ლექსებსა და შაირებს წაწლობაზე... ვაჟა–ფშაველასაც ჰყვარებია წაწლობა და ცნობილი მოწაწლეც ყოფილა. ამ თემებს სერგო მაკალათიამ

ფასანაურის საექსკურსიო ჯგუფი. ხელმძღვანელი ს. მაკალათი (მარჯვნივ მეოთხე).

ცალკე წერილიც მიუძღვნა („ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა). ვაჟას, იგონებს მეცნიერი, სიყვარულით იხსენიებდნენ, მხოლოდ ვაჟა არ ემორჩილებოდა თურმე თემურ ადათებსო, თავის კარ-მიდამო და საყანე მიწები თემისგან გამოყოფილი ჰქონია და თემში წილს არ იდებდა." იმ დროისათვის, როდესაც ს. მაკალათია ფშავში მუშაობდა, ამ რაიონზე ცოტა რამ იყო ცნობილი. მართალია, ვაჟა-ფშაველასა და ნ. ხიზანიშვილს ქართულ პერიოდიკაში საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალები ჰქონდათ გამოქვეყნებული, მაგრამ ფშავის მთლიანი ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა არ არსებობდა. ს. მაკალათიას მონოგრაფიამ ფშავზე ეს ხარვეზი ამოავსო.

1934 წ. გამოვიდა ს. მაკალათიას მონოგრაფია „ხევი". ავტორს მისეული ხედვით და სტილით შევყავართ სამყაროში, რომელიც თვალწარმტაცი ბუნების წყალობით, არაერთხელ გამხდარა ქართველ თუ უცხოელ პოეტთა შთაგონების წყარო და თავად მეცნიერისაც, რომლის შრომებს ბუნების აღწერა განსაკუთრებულ განწყობას სძენს: „ხევი განთქმულია თავისი ბუნების მონუმენტალობით, სადაც დარიალის ვიწრო ხევში შმაგი თერგი იბრძვის და გუგუნებს." ასე იწყება ეს წიგნი, „ჟრუანტელის მომგვრელია დარიალის ხეობა: ირგვლივ ზეცამდის აწვეტილი სალი კლდეები, ძირს დაკლაკნილი ვიწრო ბილიკი, რომელსაც აქაფებული თერგის ზვირთები გამალებით ეხეთქებიან. მაღალი წვერიდან ამაყად გადმოიცქირებიან ბახტრისა და დარიალის ძველი ციხე, მაგრამ ხევის სიამაყე მაინც მყინვარწვერია, რომლის შეევრცხლილი წვერი შარავანდედივით ანათებს. ხევის ამ დიადი ბუნებით ადამიანის არაერთი მოდგმა დამტკბარა და შთაბეჭდილებით დატვირთულს მისთვის მრავალი ქება-დიდება მიუძღვნია." ახსენდება ალექსანდრე ყაზბეგიც, მისი სიტყვებით, რომანტიკულად რომ განიცადა ეს ბუნება და მოგვცა მოხეველების ცხოვრების დიდი ტილო. მაგრამ ამ აღმაფრენის უკან რა გაჭირვება იმალებოდა ძნელია ამის წარმოდგენა, რომელსაც მხოლოდ ს. მაკალათიას მოგონებების ფურცლებიდან ვიგებთ. ხევშიც დაუფინანსებლობის გამო ექსკურსიამძღოლად მუშაობდა იმ დროს, როდესაც სურსათის შეძენა ძნელი იყო და ხშირად გზაში წყლის სმით იკლავდა შიმშილს.

სერგი მაკალათიას ეთნოგრაფიულმა საქმიანობამ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, განსაკუთრებით გეოგრაფიული საზოგადოების მთამსვლელთა განყოფილება დაინტერესდა, რომლის ხელმძღვანელი ახალგაზრდა მთამსვლელი შოთა მიქელაძე იყო. მეცნიერის დახასიათებით და ეს მისთვის მთავარი იყო, სამშობ-

ლოსათვის თავდადებული შ. მიქელაძე „გარდა კარგი გარეგნობისა და ხასიათის, ფართო ნიჭითა და განათლებით გამოირჩეოდა.” მას კარგად ესმოდა, რომ მწვერვალებისკენ მხოლოდ ალპინისტურ-ტურისტული განავარდება არ იყო საკმარისი, დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო მათი მიდამოების გეოგრაფიულ-ეკონომიკური და ისტორიულ- ეთნოგრაფიული შესწავლა, რასაც ს. მაკალათია ასე გულმოდგინედ ეწეოდა. მეცნიერმა მიიღო შ. მიქელაძის მიწვევა, მალე ის გეოგრაფიული საზოგადოების მთამსვლელთა განყოფილების საბჭოს წევრი გახდა, რომლის ხაზითაც სხვადასხვა ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა და არაერთი ნაშრომი გამოსცა. ის პირველი მკვლევარი აღმოჩნდება, ვინც მყინვარწვერისკენ მიმავალ მთამსვლელებს დაემგზავრება და ბეთლემს ესტუმრება. აგვისტოს თვე იყო, იგონებს მეცნიერი, „გზა იყო ძნელი და სახიფათო, ყინულოვანი ტაფობის ე.წ. ფირნის ველის გადალახვის შემდეგ, დაიწყო ბეთლემის მიდამო. მე აქ გამოვემშვიდობე მყინვარწვერზე მთამსვლელებს და გადავუხვიე ბეთლემისაკენ. მძიმე ნაბიჯებით ვარღვევდით მყინვარების ღორღიან მორენას და შუადღისას დამაშვრალნი ძლივს ავედით ბეთლემში, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 4000 მეტრს აღემატება. ცოტათი შესვენების შემდეგ მე და ჩემი მეგზური დავტრიალდით, რომ ჩქარა ამეწერა ბეთლემი და გადამელო ფოტოები. დახანება არ შეიძლებოდა, მოსალოდნელი იყო ამინდის შეცვლა და გამობრუნებისას, შუა გზაზე დარჩენა. ამის შიშმა დაგვავიწყა დაღლილობა, შიმშილი და მოქანცულობა. ორი საათის განმავლობაში მე მოვასწარი აქ ყველაფრის დათვალიერება, აღწერა და ფოტოგადაღება. ჩემი გამყოლიც მაშურებდა, რომ დაღამებამდე ჩავსულიყავით ბინაზე. ჩვენდა სასიხარულოდ, ამინდი კარგი დაგვიდგა და სწრაფად გამოებრუნდით ყაზბეგისაკენ. მოხევეებს უკვირდათ მუშაობაში ასეთი თავდადება, ჩვენთან მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ ბეთლემში ნანახის გაზიარებას. მე სიამოვნებით ვუყვებოდი ჩემს შთაბეჭდილებას, რომ მათგანაც მიმეღო რაიმე ახალი ცნობები ბეთლემზე.” მოხევეები, ბევრ მათგანში მეცნიერი ძველი მოხევის გმირულ და შეუდრეკელ სახესაც რომ ხედავდა, ასეთივე ინტერესით შეხვდნენ მის დაბრუნებას სპარსანგელოზის მაღალი მწვერვალიდან, სადაც წინათ დიდი ხატობები იმართებოდა და იმჟამად არც ერთი მლოცველი აღარ იყო. დაათვალიერა ამ სამლოცველოს ხატ-ნიშნები, საზარე და სალუდე. აღწერა და ფოტო გადაულო ყველა რიტუალური ხასიათის ნაგებობას. ამის შემდეგ, ს. მაკალათია კიდევ არაერთხელ წავა მთამსვლელებთან ერთად მთიანი საქართველოს რთულსა და სახიფათო გზებზე, რასაც მისი მეგობრისა და თანამო-

აზრის შოთა მიქელაძის სიცოცხლე შეეწირება, რომლის დაღუპვაც დიდი დანაკლისი იყო ქართული საქმისათვის და ვის ხსოვნასაც მიუძღვნა მონოგრაფია „ხევი.” თავად სერგი მაკალათიაც ხომ რამდენჯერმე გადაურჩა სიკვდილს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მის წიგნში „თუშეთი” სათავგადასავლო რომანივით იკითხება, საიდანაც ჩანს ისიც, თუ როგორ პირობებში, ზოგჯერ სიცოცხლისთვისაც რომ სახიფათო იყო, აგროვებდა იგი ქართველი ხალხისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ძვირფას მასალას. მიუხედავად იმისა, რომ თელავში ჩასულები გააფრთხილეს, თუშეთში ყაჩაღობაა და არ წახვიდეთო, სერგიმ მაინც განაგრძო გზა.

„საღამოს 9 საათზე დავბინავდით ტყეში „კიდუკის ბოლოზე.” ცა მოიღრუბლა. გავშალეთ კარავი. შუაღამისას ჟუჟუნა წვიმა დაუშვა. გათენდა. ღრუბლის ნაფლეთები ირევიან. ღილა ნისლიანია. ექსპედიცია შეუდგა გამგზავრების თადარიგს: ცხენები დაიკაზმა და დაბარგულები კეპნის წყლის ხევით გზას გავუდექით. ბილიკი დაკლაკნილია, დასხლეტილი და ღადაღუდა. მალე დაუშვა კოკისპირული წვიმა. მივდივართ ფორთხვით და ხოხვით. გზის გაგრძელება შეუძლებელია და დავბანაკდით ორწყლის დავაკებაზე, სადაც კეპნის წყალს აბანოს წყალი უერთდება. მას აქ ორწყალს უწოდებენ. გაიშალა კარავი და დაწუწულები ვუცდით გამოდარებას. უკვე დღის 11 საათია და არ დარობს. თანამგზავრი თუშები არ იცდიან, გვაჩქარებენ, რომ ღამის ბანაკზე დროზე მივასწროთ. ისევ ავიბარგეთ და თავსხმაში შევუდექით კეპნის გადასვლას. დაკლაკნილი ბილიკი ლიპია და ძნელი გასავლელი. გავიარეთ 7 კილომეტრი და კეპნის ტყეში წყაროსთან ხმა გაისმა „რუკი ვერხო.” მგზავრები გავშეშდით. წინ გადმოგვიდგა თოფმოღერილი ყაჩაღი. მან დაუშტვინა და სხვებიც გამოვიდნენ. მოვიდა მათი ბელადი ვალი. ეს ტიპიური ლეკია, ხანშიშესული და მრისხანე. მას ახლდა თავისი ახალგაზრდა ქალიშვილი ვაჟურად გადაცმული და შეიარაღებული. ყაჩაღი ოთხია და ოთხივე დიდოელი. გაგვჩხრიკეს. ჯიბე-უბეში რაც რამ

1931 წ. საუზმე მეცხვარეებთან. შუაში ს. მაკალათია.

გვებადა, წაგვართვეს. ფული გასინჯეს და იცოტავეს. ვალმა ჩვენი ვინაობა გამოიძია. ვალი ყოფილი ნაიბი და ნამამასახლისარია. ძლივს ახერხებს ქართულ-რუსულ ლაპარაკს და თან დახოცვით გვემუქრება. ყაჩაღებს ჩვენი ბარგი კოოპერატივის საქონელი ეგონა, ჩვენ საგანგებო დავალებით მოვლენილი მოხელეები. ყაჩაღებმა ბარგი გახსნეს, რაც მოეწონათ, ამოალაგეს და წაიღეს. შემდეგ ბარგი ისევ შეგვაკერვინეს და ცხენებზე ავკიდეთ. გვეგონა, გვისტუმრებენო და ცოტაოდენი შვება ვიგრძენით. მაგრამ ამაოდ. ახლა ფული მოგვთხოვეს. მძიმე იყო ექსპედიციისათვის ამის შესრულება. ეს ნიშნავდა ექსპედიციის მუშაობის ჩაშლას და ხელცარიელი უკან დაბრუნებას. ფულის არ მიცემაც საბედისწერო იყო. ფული კი ყუთში გვქონდა ჩაკეტილი...აბა ახლა ხევში ჩადით, ბარგიანი ცხენები აქ დატოვეთ და სანამ ფულს არ ჩაგვაბარებთ, მანდ იყავითო, თან თოფებით გვიტევენ. ჩემმა თანამგზავრმა ირაკლი ელანიძემ წამჩურჩულა: ხევში ჩასვლა სიკვდილის ნიშანია, მე თუში ვარ და ვაჟკაცურად უნდა მოვკვდეო. თქმა და რევოლვერის ამოღება ერთი იყო. ნიშანში ვალი ამოიღო. ჩახმახი ამუშავდა, მაგრამ დანესტიანებული საბედისწერო ტყვია არ გავარდა. თუშს რევოლვერი ყაჩაღებმა გამოსტაცეს, დაითრიეს და სცემეს. კოკისპირული წვიმაა. ექსპედიცია მძიმე წუთებს განიცდის. ამ დროს ტყეში გაისმა მგზავრთა ხმაური და ცხენების ჭიხვინი," ესენი კახეთს მიმავალი თუშები აღმოჩნდნენ. ამ შემთხვევითობამ გადაარჩინა ექსპედიციის წევრები სიკვდილს. ლეკებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, თუშებმა ისინი გამოიხსნეს და გაუშვეს. სერგი მაკალათია, გახარებული, რომ მან სიკვდილით დამუქრების საშიშროების მიუხედავად, მაინც მოახერხა ექსპედიციის გასაგრძელებლად საჭირო ფულის და ფოტოაპარატის გადამალვა, გზას გაუდგა. 1934 წ. გამოვიდა მისი მონოგრაფია „თუშეთი".

1931 წ. თუშეთი. მარცხნიდან პირველი ს. მაკალათია.

მკვლევარი სხვა დროსაც გადარჩა, როდესაც ფშავში შეიპყრეს და თვალებახვეული ტყეში რაზმის უფროსთან მიიყვანეს. იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი აღ-

მოჩნდა, იმ დროს მრავალთა მსგავსად, ტყეში გახიზნული პატრიოტი, პოეტი და თანამედროვეთა მოგონებებით საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი მიხა ხელაშვილი, რომლის საუნივერსიტეტო განათლებაზე ზრუნვას ქაქუცა ჩოლოყაშვილი აპირებდა და რომელიც ბოლშევიკებთან ბრძოლას ემსხვერპლა. მას მაშინვე უცვნია სერგი მაკალათია და როგორც ქართული საქმისთვის თავდადებული

1933წ. ხევსურეთი. არხოტი. ს. მაკალათია.

პატრიოტი, დიდი პატივით გაუშვია. ასე ეხებოდა ს. მაკალათია მუშაობის პროცესში საქართველოს უახლესი ისტორიის იმ მხარეს, იმ ხალხს, ვინც ბოლშევიკების მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებად იქცნენ. იმ დროს, ნაწილი მთებსა და ტყეებს თავს აფარებდა. მათ შორის, თომა ბალიაურიცაა, ვის სახლშიც, როგორც ეს სერგი მაკალათიას მოგონებებიდან ჩანს, მან ხევსურეთში, არხოტში, ექსპედიციის დროს, ბინა დაიდო. თომა ბალიაური, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, მიხა ხელაშვილის მსგავსად, მას საზღვარგარეთ არ გაჰყოლია. ხევსურეთის აჯანყების ორგანიზატორი, ქართული ჯიშის, სილამაზისა და რაინდობის განსახიერება იგი გარეგნობითაც თურმე საოცრად ჰგავდა ჩოლოყაშვილს. იმ დროს, როდესაც სერგი მაკალათია თომას ესტუმრა ის ბოლშევიკური რეჟიმისაგან დევნილი, ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო კაცი, არხოტს აფარებდა თავს, რის გამოც,

1933 წ. ხევსურეთი. მასალების ჩაწერა. შუაში ს. მაკალათია.

ზამთარში ცხრა თვე გარე სამყაროს მოწყვეტილი, ამბობდა თურმე „ზამთრის არსვატი ცოცხალი სამარეაო." სერგის დახასიათებით, თომა ბალიაური მასავით მღვდლის შვილი, ნაკითხი და შეგნებული კაცი, კარგი მცოდნე ხევსურული ადათ-წესებისა, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მუშაობაში. თომას დიდი ავტორიტეტი და რეკომენდაციები მას ყველგან გზას უხსნიდა, ვინაიდან, იმ საშიშ დროში, ბარიდან მოსულ კაცს ხევსურები უნდობლად უყურებდნენ და მხოლოდ კარგ მეგობარსა თუ ნათესაურ კავშირს შეეძლო უზრუნველეყო ხევსურეთში უშიშრად მოგზაურობა. თომა, სერგის ძმის, ნიკოს მეულლის მელო ბალიაურის ბიძაშვილი იყო. ამ ორი გვარის — მაკალათიებისა და ბალიაურების ცხოვრების გზა კიდევ არაერთხელ გადაიკვეთება სამშობლოს ბედთან დაკავშირებით. ბოლშევიკებისაგან მიპარვით, ვერაგულად მოკლული თომას სისხლს მელოს ძმა ლადო და ბიძაშვილი ვახტანგ ბალიაურები აიღებენ. წლების შემდეგ, 1942 წლის შეთქმულს ლადოს და მის ცოლისძმას ნიკოს გადაასახლებენ. წლების შემდეგ, გადასახლებიდან დაბრუნებული ნიკო მაკალათია, კვლავ უკან მიბრუნდება, რისკის ფასად ლადოს ნეშტს საქართველოში, ფშავში, ფარულად ჩამოიტანს და შუაფხოს მიწას მიაბარებს. ეს ის ლადო ბალიაურია, ვისაც ს. მაკალათია თავის მონოგრაფიაში — „ფშავი", იმ პირთა შორის მოიხსენიებს, მუშაობაში ხელის შეწყობისა და ცნობების მოწოდებისათვის მადლობას რომ უხდის. წლების შემდეგ, ბალიაურთა ამ შტოს შთამომავლები და სერგი მაკალათიას შვილიშვილები იმ ეროვნული ხელისუფლების წევრები გახდებიან, 1990 წელს, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტს რომ აღადგენენ. მაშინ კი იმ შორეულ დროში, რთულსა და დაძაბულ პერიოდში, სერგი მაკალათია იმ დიდი ნდობით სარგებლობდა, რაც იოლად მოსაპოვებელი არ იყო ხევსურებში. მას ყველგან ეპატიჟებოდნენ და ყველგან საპატიო ადგილას სვამდნენ, როგორც წესი, ხევისბერის გვერდით, რომელიც, თავის მხრივ, მას ყოველმხრივ ხელს უწყობდა. თვით დამწყალობების გრძელ ტექსტს, რომელიც ჩვეულებრივ ჩქარა და შეუსვენებლივ წარმოითქმის, ნელა ამბობდა, იმისათვის, რომ მეცნიერს ის შეუცდომლად ჩაეწერა. სერგი იქაურ მძიმე პირობებსაც მალე შეეგუა. იძინებდა თივაზე და ერბოში ჩაყრილი აგურივით მაგარი ქერის პურით იკვებებოდა.

ს. მაკალათიას წიგნი ხევსურეთზე 1935 წ. გამოვიდა. მან შეავსო მანამდე არსებული დიდი ხარვეზი რეგიონზე, რომლითაც ჯერ კიდევ XIX ს. დაინტერესდნენ. ეთნოგრაფები და სოციოლოგები ხევსურეთში კავკასიური კულტურის „პრიმატებს" ეძებდნენ და ადამიანთა საზოგადოების განვითარების პირველადი ფორმაციის გადმონაშთებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთი თავისებური სამყაროთი ყოველთვის იზიდავდა მოგზაურებს, რომლებიც იქ ეგზოტიკურ სანახაობასა და ჯვაროსანთა წინაპრებს ეძებდნენ, რაიმე სერიოზული ამ კუთხეზე არ დაწერილა. გერმანულ და რუსულ ენებზე არსებული ლიტერატურა მოძველებული და შეცდომებით სავსე იყო. ამავე დროს, როგორც ამას ს. მაკალათია აღნიშნავს, ხევსურებისთვის გაუგებარ, უცხო ენებზე შექმნილი ეს ლიტერატურა მიზნად არ ისახავდა მათი ცხოვრების დაწინაურებასა და კულტურულ-ეკონომიკურ გარდაქმნას. პირიქით, მათ შესახებ ყალბ და სენსაციურ ცნობებს ავრცელებდნენ, ამტიცებდნენ, რომ ხევსურეთს არ შეუძლია მაღალი კულტურის შეთვისება, გადაგვარების გზაზეა შემდგარი და განწირული. როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა, რომ მან დისერტაცია ხევსურეთზე დაიცვა, მონოგრაფია „ხევსურეთი" რუსულადაც გამოაქვეყნა და ბევრი რამ ცილისწამებლური და არასწორი გააქარწყლა. მისი ძალისხმევით, დიდი მონდომებით, ისტორიის ჭეშმარიტების დასადგენად რომ არ იშურებდა, სიმართლე რუსმა მეცნიერებმაც აღიარეს. აღსანიშნავია, რომ ს. მაკალათიას მონოგრაფიამდე ხევსურეთს თვით ქართული საზოგადოებაც არ იცნობდა. ქართულ ენაზე მხოლოდ ნ. ურბნელის მიერ გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილი რამდენიმე ნარკვევი არსებობდა. ამიტომ ს. მაკალათიას ნაშრომს, ხევსურეთის ყოფის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო მრავლისმომცველი და მრავალმხრივი პირველი წიგნი, დაწერილი ქართულ ენაზე. ამით დასრულდა აგრეთვე ს. მაკალათიას მიერ გეგმით გათვალისწინებული ექსპედიციები, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების მხარეთმცოდნეობის შესწავლას ისახავდა მიზნად. იგი დაიწყო 1928-1929 წლებში მთიულეთში, 1930წ. გაგრძელდა ხევში, 1931წ. თუშეთში, 1932წ., ფშავში და 1933წ. დასრულდა ხევსურეთში. ასე შეავსო ს. მაკალათიამ ის დიდი ხარვეზი მთის შესწავლის მხრივ, რასაც მანამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ხოლო ზოგიერთი მთიელის შესახებ ლიტერატურა არც კი არსებობდა, განსაკუთრებით ქართულ ენაზე. დასკვნის სახით ს. მაკალათია წერს: „მძიმე იყო ეს მუშაობა, რომელსაც თან ახლდა მრავალი დაბრკოლება, მაგრამ გეგმა შესრულებულია და ეს ჩვენ გვამხნევებს, რომ შემდეგში ასეთივე მუშაობა ჩავატაროთ: სვანეთში, ოსეთში და კავკასიონის გაღმა მთიელებში: ქისტეთში, დიდოეთში და სხვ. რომელთა შესახებ მხარეთმცოდნური ლიტერატურა ქართულ ენაზე ერთობ მცირეა." ცხადია ს. მაკალათიას კარგად ესმოდა, რომ ერთი ადამიანის ცხოვრება ყველაფერს ვერ გაწვდებოდა, მაგრამ საკითხის ასე მასშტაბურად დასმა მეტყველებს, რამდენად მნიშ-

ენელოვანი იყო მისთვის როგორც მკვლევრისთვის პრობლემათა ზოგად კავკასიურ ჭრილში განხილვა.

მთასთან მიმართებაში ს. მაკალათიამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. ზემოთ აღნიშნულ შრომებში მან ცალკე რაიონების მიხედვით აღწერა და შეისწავლა მთიანეთში დაცული სახლ-კოშკები, მათი ნაგებობების ტექნიკა და ფუნქციური დანიშნულება, რაც მანამდე, მათი გენეზისის თვალთახედვიდან არ განხილულა. ამ და სხვა საკითხებს ის შეეხო საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე დაწერილ წიგნებსა და სპეციალურ მონოგრაფიაში: „საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში", სადაც საქართველოს ბინათმშენებლობის ისტორიის გაშუქების ახალი ცდა აქვს მოცემული. იგი სვანურ-თუშურ-ხევსურული და საბრძოლო კოშკების მშენებელ ოსტატთა ვინაობითაც დაინტერესდა, რომლის გარკვევას ხელს უშლიდა ისიც, რომ მათ შესახებ წერილობითი ცნობები არ მოიპოვება. მაგრამ მეცნიერმა მაინც მოგვცა გარკვეული დასკვნები ნაგებობის ტექნიკისა და სტილის ანალიზის თვალსაზრისით, აგრეთვე ხალხურ თქმულება-გადმოცემათა მიხედვით, რომელიც თავისთავად ძალზედ საინტერესო წყაროა. მაგალითად, სვანური კოშკების შესახებ, მას მოჰყავს თქმულება, რომლის თანახმად, ისინი სვან ოსტატებს თამარ მეფის მიერ დახატული გეგმის მიხედვით აუგიათ — ქართულ ყაიდაზე ნაგები თაღიანი სათოფურეებითა და თაღიანი არშიით, რომელიც საზოგადოდ ქართულ ხუროთმოძღვრებასა და ქართულ ორნამენტს ახასიათებს და რაც თამარზე ცნობილ გადმოცემებს კიდევ ერთ საინტერესო შტრიხს მატებს.

ბევრმა დრომ ჩაიარა მას შემდეგ, რაც ს. მაკალათია საქართველოს მთაში დადიოდა და სწავლობდა, მაგრამ მას იქ დღესაც იგონებენ და მის სადღეგრძელოს დღესაც მოისმენთ.

ს. მაკალათიას საექსპედიციო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან ბევრი რამ, იმ ფოტომასალამაც შემოინახა, რომელიც მის წიგნებშია წარმოდგენილი, უფრო დიდი, გამოუქვეყნებელი ნაწილი კი მეცნიერის არქივსა და მუზეუმებში ინახება. ეს ერთგვარი ეპოქის დოკუმენტიცაა, საიდანაც ჩანს მისი უტყუარი ალღო და მხატვრული ხედვა. ფოტოხელოვნებაც მკვლევარმა მისთვის დამახასიათებელი მონდომებითა და პასუხისმგებლობით პროფესიულ დონეზე აითვისა, საამისოდ სამთვიანი კურსებიც გაიარა, ვინაიდან ექსპედიციისთვის ფოტოგრაფის აყვანა ძვირი ჯდებოდა. მაშინ ხალხში ფოტოგრაფი ძალზედ ფასობდა და ცხოველ ინტერესს იწვევდა, რაც დიდად წაადგა მის საქმეს. ამას არა ერთი კურიოზული ამბავიც ახლდა. ერთხელ, თეთრ კოსტუმში გამოწყობილი, ფოტოაპარატით მომარჯვებული

მეცნიერი, მილიციას ჯაშუში ჰგონია და დაუკავია. ს. მაკალათიას მდიდარი ფოტომასალის გამომზეურება და ალბომის სახით გამოცემა იქნება მატიანე, რომელიც მეცნიერის თვალით დანახულ საქართველოს წარსულის სურათებს გააცოცხლებს, იმ სამყაროსა და ადამიანებს, ვის წრეშიც ის ტრიალებდა და იღვწოდა.

ს. მაკალათიას არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში ერთდროული მუშაობის ნაყოფი იყო მისი არაერთი მეცნიერული მიგნება. ერთ - ერთი მათგანი იმ პერიოდისაა, (1930) როდესაც, ახალგაზრდა სერგის, როგორც ეს უკვე აღინიშნა, მუზეუმმა მთიულეთში, რომელიც პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო, ეთნოგრაფიული ექსპედიციის დაფინანსებაზე უარი უთხრა. ამ შემთხვევაშიც, ს. მაკალათიამ გამოსავალი გამოძებნა, ორი თვით ზაფხულის შვებულება აიღო და ფასანაურის საექსკურსიო ბაზაში ექსკურსიის ხელმძღვანელად გაფორმდა. მთიულეთში თავის ტურისტებთან ერთად, გლეხის ოჯახში მისული იგი ერთ საინტერესო ფაქტს წააწყდა, რის საფუძველზეც საყურადღებო სამეცნიერო დაკვირვება მოახდინა. ოთახის შუაგულში დიასახლისი იჯდა და სადღეგრძელში კარაქს დღევებდა. ს. მაკალათიას ამოუცანია და პარალელი გაუკეთია ბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილ ამავე ტიპის ჭურჭელთან, რომლის დანიშნულებაც არქეოლოგიაში მანამდე უცნობი იყო.

არქეოლოგიაში მუშაობამ ს. მაკალათია ნუმიზმატიკაში მიიყვანა. მუზეუმის შესაბამისი კოლექციების მოწესრიგებამ, რომელზეც იგი, მისი სიტყვებით, ასევე დიდი ხალისით მუშაობდა, საშუალება მისცა საფუძვლიანად გასცნობოდა ამ დარგს. მან მუზეუმის კოლექციები არა ერთი საინტერესო, უნიკალური მონეტით გაამდიდრა. საამისოდ ნამდვილი გამომძიებლის უნარსაც კი იჩენდა, საკუთარ ფულს ხომ არ ინანებდა, საყვარელ კოლექციებსაც ელეოდა, ოღონდ ესა თუ ის მონეტა, თუ მონეტათა განძი შემთხვევით აღმომჩენთა ხელიდან გამოეხსნა. როგორც თავადაც აღნიშნავს, სიხარულისგან კრთოდა და მისთვის ნამდვილი ბედნიერება იყო, როდესაც კოლექციონერს ყოველი ახალი საინტერესო მონეტა მოჰქონდა. ასეთი წვალებით მოუყარა მან თავი არაერთ ცნობილ განძს რომელიც სხვადასხვა კოლექციონერის ხელში გადასვლის საფრთხის წინაშე იდგა. 1931 წ. მის მშობლიურ სეფიეთში აღმოჩნდა განძი, რომელიც ხუთასამდე რომაული ფულისაგან შედგება და დღესაც მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, მან ხუთი წელი იმუშავა და 1944 წ. სტატიის სახით გამოსცა. მასში ს. მაკალათიამ თორმეტი რომაელი იმპერატორის მონეტა გამოამზეურა იმპერატორ ტრაიანედან (98–117წწ) მოყოლებული დამთავრებული ალექსანდრე სევერით

მთიულეთის საექსკურსიო ჯგუფი. ხელმძღვანელი
ს. მაკალათია (მარცხნიდან მეოთხე)

(222–235წწ.), გვიჩვენა მათი მნიშვნელობა რომაული მონეტების მიმოქცევისა და ტოპოგრაფიის საკითხის თვალსაზრისით, ზოგადად კი დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის ურთიერთობის ისტორიისათვის. საინტერესო და იშვიათ მონეტებს მან სამეგრელოს სხვა რეგიონებშიც მიაგნო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მეცნიერმა განსაკუთრებული ყურადღება კოლხური ფულის კვლევას დაუთმო იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო გარკვეული მისი ვარიანტების სხვაობა, წონა, შენადნობების ღირებულება და სხვ. დღესაც ითვლება, რომ კოლხური თეთრის პრობლემა არა მარტო ქართული ნუმიზმატიკის, არამედ საზოგადოდ ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ს. მაკალათიამ აღნიშნული მონეტების იმდროინდელი ღირებულება და ეკონომიკური მნიშვნელობა წარმოაჩინა.

ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია ს. მაკალათიას მიერ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი კირმანეულის ტიპის უნიკალური მონეტა, რომელიც მან საავსებით სამართლიანად ვამეყ დადიანს (XIVს.) მიაკუთვნა. მისი აზრით, მხოლოდ ამ მასშტაბის მოღვაწეს, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული ხობისა და წალენჯიხის ბრწყინვალე არქიტექტურა და ფრესკები, შეეძლო ისეთი ყაიდის მონეტის მოჭრა, რაც სამეგრელოს ბიზანტიასთან მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს. ს. მაკა-

ლათია სწორედ ამ განძზე მუშაობის დროს დაუახლოვდა შემდგომში ცნობილ ნუმიზმატს დავით კაპანაძეს, რომელიც მაშინ ამ დარგიდან შორს იყო. იგი კოოპერაციაში სავაჭრო ნაწილში მუშაობდა. მას შემთხვევით ძველი მონეტები ჩავარდნოდა ხელთ და მათი სადაურობისა და მნიშვნელობის დასადგენად ს. მაკალათიასთვის მიეტანა. აქედან დაიწყო დ. კაპანაძის დაინტერესება ნუმიზმატიკით, ის მალე მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში მოეწყო. ს. მაკალათიას ბუნებაზე მეტყველებს ის სიხარული, რითაც თვალს ადევნებდა დ. კაპანაძის წარმატებას: „აი რას ნიშნავს ინტერესი და ნებისყოფის სიმტკიცე, რომ ადამიანმა მიაღწიოს დასახულ მიზანს," — წერს იგი და აღნიშნავს: „მე ის მახარებდა, რომ ჩემი რჩევითა და დახმარებით დავით კაპანაძე გახდა მეცნიერი და ნაყოფიერად მუშაობდა ქართულ ნუმიზმატიკაში." ს. მაკალათიას სიხარული პირველ რიგში ქართული საქმის წარმატებით იყო განპირობებული. ამ თვალსაზრისით და ეს მისი მოგონებებიდანაც კარგად ჩანს, რომ არავის, ვინც უნდა ყოფილიყო, სამშობლოს სამსახურს თუ ცდილობდა, სულ მცირე წვლილსაც არ უკარგავდა. მეცნიერი მათზე დიდი სითბოთი საუბრობს, მათ შორისაა უსამართლოდ მივიწყებული ელისაბედ ორბელიანი, „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულად მთარგმელი, დიდგვაროვანი ქართველი ქალი, მოწმე და მშვენება გარდასული საზოგადოებისა, ყოველგვარ გაჭირვებას ღირსეულად რომ იტანდა. მასთან ს. მაკალათიას სტატიები მიჰქონდა სათარგმნელად და მასზე შეძლებისდაგვარადაც ზრუნავდა. ორბელიანთან მუშაობას, ვისთანაც მისი ვაჟი ცოტნე ფრანგულს ეუფლებოდა, ის ასე იგონებს: „ელისაბედი იყო ევროპულად განათლებული ქალი, ამასთანავე, მეტად გულისხმიერი და თავაზიანი. მას უხაროდა ქართული კულტურის ძეგლების გახმაურება ევროპაში და გულმოდგინედ თარგმნიდა, იგი თარგმნაში იჩენდა მეცნიერულ სიზუსტეს, ჯერ შეისწავლიდა ტექსტის შინაარსს საფუძვლიანად და შემდეგ თარგმნიდა. გაუგებარ ადგილებს ჩააციედებოდა და ვიდრე სავსებით არ განუმარტავდი არ თარგმნიდა." ს. მაკალათიას მოგონებებიდან ჩანს აგრეთვე, ქართული საქმე როგორ უხაროდა უბრალო გლეხსა თუ სოფლის ინტელიგენტს, ვისაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა. მათ შორის ისეთსაც, წერა-კითხვა რომ არ იცოდა, მაგრამ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი" და ძველი ქართული ეპოსი.

ს. მაკალათია ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ პირველი პროფესიონალი არქეოლოგი იყო. მის სახელთანაა დაკავშირებული რეკას, დვანის, ტყვიავის გათხრები და გვიანანტიკური სამარხების კვლევა. მან არაერთი საინტერესო სტატია დაგვიტოვა, როგორიცაა:

„არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფელ საკობიანოში, დაბლა-გომში და აღაიანში", „არქეოლოგიური აღმოჩენები მეჯუდის ხეობაში," „1920-1924 წლებში საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის", „ბორის ნეკროპოლის დათარიღება", „ყორღანული ტიპის ბალთა დვანიდან" და სხვ.

1936 წ. არქეოლოგიური გათხრები სოფელ რეკაში.

1944 წ. ვანის არქეოლოგიური გათხრები. მარცხნიდან პირველი ს. მაკალათია.

ს. მაკალათიას პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია რეკას (ქვალონის) ყორღანთან არის დაკავშირებული. იგი ამ არქეოლოგიურ მასალას, ახალ სიტყვას რომ წარმოადგენდა მეცნიერებაში, უცხოეთში პუბლიკაციებით საერთაშორისო რეზონანს აძლევდა, ამით მკვლევარი საქართველოს ისტორიისა და კულტურის პროპაგანდასაც ეწეოდა. 1936 წ. ტყვიავის კოლექტიური სამარხების საფუძველზე, რომელიც დღემდე ამ ტიპის ერთადერთი ცნობილი ძეგლია საქართველოში და, რომელსაც მან თავიდანვე სწორი ინტერპრეტაცია მისცა, მანამდე უცნობი და სადავო საკითხი დაასაბუთა — ძვ. წ. 2500 წ. ენეოლითის ხანაში შიდა ქართლში მოსახლეობის არსებობა. ეს იყო ახალი აღმოჩენა ქართულ არქეოლოგიაში. დვანის გათხრებმა ამავე რაიონში რკინის ეპოქა დაადასტურა და დაკრძალვის სკვითური წესი ე.წ. სკვითური ტრიადა. მიუხედავად ამ გათხრების მნიშვნელობისა, მისი გაუქმება უნდოდათ იმ საბაბით, რომ ს. მაკალათია ნებადაურთველად აწარმოებდა სამუშაოებს, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ეს მორიგი ფანდიც მიმართული მეცნიერის

წინააღმდეგ, არ გაუვიდათ მისი შეუპოვარი, მტკიცე ხასიათიდან გამომდინარე. მან გათხრები ბოლომდე მიიყვანა. ს. მაკალათიას ღირსებად, სპეციალისტთა აზრით, ისიც ითვლება, რომ მოპოვებულ არქეოლოგიურსა თუ ნუმიზმატიკურ მასალას მყისვე აქვეყნებდა, რაც სამეცნიერო წრეებისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა და დღეს ამ თვალსაზრისითაც მისაბაძია.

არქეოლოგი პროფ. იულონ გაგოშიძე მრავლისმეტყველად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სერგი მაკალათიას, როგორც არქეოლოგს, დიდად აფასებდა საქართველოში მოღვაწე დიდი არქეოლოგი ბორის კუფტინი. 1944 წელსაც, როდესაც სერგი მაკალათიამ დვანში 14 სამარხი გათხარა, რომელშიც საინტერესო ინვენტარი აღმოჩნდა დასაფლავების უძველესი წესით, ბორის კუფტინი მყისვე იქ გაჩნდა. სერგი მაკალათია იგონებს: „ეს აღმოჩენა პრესის საშუალებით გახმაურდა და აღმოჩენების დასათვალიერებლად გვეწვიენ სტუმრებიც. მათ შორის იყო პროფესორი ბორის კუფტინიც, რომელიც გატაცებული იყო ქართული არქეოლოგიით, იგი იყენებდა ყველა ხერხსა და საშუალებას – რაც შეიძლება მეტი ცნობები შეეკრიბა არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. ხელში მუდამ კალამი ჰქონდა მომარჯვებული ცნობების ჩასაწერად და ნივთების ჩასახატავად, მხარზე ეკიდა ფოტოაპარატი და იქვე იღებდა მისთვის საინტერესო მომენტებს. იგი მუშაობდა დაუღალავად, სადაც გაიგებდა არქეოლოგიურ აღმოჩენებს იქვე გაჩნდებოდა. ზოგჯერ ცდილობდა ახლად აღმოჩენილი ნივთების დაუფლებას, რაც იწვევდა სხვებში მტრობასა და მითქმა-მოთქმას.”

ს. მაკალათიას ხელში, მისი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თოთხმეტწლიანი მოღვაწეობის პერიოდში (1921-1935 წწ.), გაიარა ყველა არქეოლოგიურმა ნივთმა, რომელიც აქ შემოვიდა. მათი კატალოგში შეტანა და აღწერა მან განახორციელა. ამასთანავე, მისთვის საინტერესო მასალები მეცნიერულად გამოიკვლია და სხვადასხვა დროს სტატიების სახით გამოსცა. არქეოლოგიაში ს. მაკალათიას მოღვაწეობას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ამ დარგზე დიდად არ ზრუნავდნენ, მუზეუმში მუშაობას მაქსიმალურად იყენებდა ამ სფეროს მოვლა-პატრონობისთვის, რისთვისაც დროს და შესაძლებლობებს არ ზოგავდა. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ემართება საქმის კაცს და მით უმეტეს, ხელისუფლებისათვის არახელსაყრელ პიროვნებას, მას 1935 წ. მუზეუმი დაატოვებინეს. უფრო მეტი, ამის შემდეგ თბილისში მუშაობის ყველა გზა სამუდამოდ მოუჭრეს. თუმცა თბილისში მოღვაწეობა, როგორც მან თავისი ცხოვრებით გვიჩვენა, აუცილებელი არ არის ქართული საქმის საკეთებლად.

1934წ. 20 ნოემბერს თბილისში საზეიმო ვითარებაში დაარსდა

საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, რომლის სწავლულ მდივნადაც ს. მაკალათია აირჩიეს. საზოგადოების მიზანი საქართველოს ყველა მსხვილ რაიონში მუზეუმებისა და ფილიალების შექმნა იყო: „მთელი ამ სამუშაოთა ორგანიზატორი და ხელმძღანელი მე ვიყავი — წერს სერგი მაკალათია — სამუშაო იყო რთული და პასუხსაგები, მაგრამ ამისა არ მეშინოდა, ჩემთვის მხარეთმცოდნეობა და სამშობლოსმცოდნეობა ერთი და იგივე მცნება იყო და სამშობლოს შესწავლისათვის ჩემთვის სიძნელე და დაბრკოლება არ არსებობდა." პირველი მუზეუმი 1935 წ. ყაზბეგში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მოხეევეთა სიხარულსა და აღტაცებას ამ დღეს საზღვარი არ ჰქონია, მათი წვლილი ხომ განსაკუთრებული იყო, რაც საქმის ხელშეწყობასა და მუზეუმისთვის უსასყიდლოდ ნივთების გადაცემაშიც გამოიხატებოდა. ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამოფენის მოწყობაში მას მხარში ედგნენ პოეტი ტიციან ტაბიძე და ‘ლიტერატორი სოლომონ ყუბანეიშვილი, რომელმაც ს. მაკალათიას ხელშეწყობით გამოსცა მონოგრაფია ვაჟა-ფშაველას წინაპრებზე. ასევე ს. მაკალათიას ხელშეწყობით ყაზბეგში დაარსდა გაზეთი „ახალი ხევი." ამის შემდეგ მან უკვე გორის მუზეუმს დაუდო საფუძველი, რომლის დირექტორიც წლების მანძილზე (1937-1948 წწ.) თავად იყო. ამ საქმესაც ის ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით მიუდგა. ფიზიკურადაც მუშაობდა. ხელში ჩაქუჩი და მაკრატელი, ხან კი სახაზავი და კალამი ეჭირა, ექსპონატებს წმენდდა, თავს უყრიდა, რომ მუზეუმი დანიშნულ ვადაზე გახსნილიყო. ეთნოგრაფიის განყოფილებაში მეტი სიცოცხლის შეტანის მიზნით, მან ცოცხალი კუთხის მოწყობაც გადაწყვიტა და საამისოდ მანეკენები შეიძინა. მაგრამ ისინი რუსეთში დამზადებული ტიპიური რუსები იყვნენ და გორის მუზეუმისთვის არ გამოდგებოდნენ. სერგი მაკალათია იგონებს: „საჭირო იყო მათი პირისახის ქართულ ტიპზე გადაკეთება, მხატვარიც შეუდგა მათი რუსული ცხვირის ქართულ მოკაუჭებულ ცხვირზე გადაკეთებას. ბევრი ვხეხეთ, ვკონკეთ და ბოლოს მაინც მივამსგავსეთ ქართლელს. ახლა საქმე მიდგა მანეკენების ქართულ ტანისამოსში გამოწყობაზე. მამაკაცი ქართულ ქულაჯაში მე გამოვაწყე თავის ქამარ-ხანჯალით, ყაბალახითა და ფაფახით. ქალებს მივანდე ქალის გამოწყობა ქართულ კაბაში, შეეხედე ჩიხტი აქვს გვერდით მოქცეული და ლეჩაქი კი უშნოდ ჩამოკონწიალებული. მოვხადე თავხურვა ხელახლად დავახურე ლეჩაქი, ძველებურად, ქართულად. ქალები კი დარცხვენით მიცქეროდნენ და თან ილიმებოდნენ, რომ ვჯობნიდი მათ თავხურვის გაწყობაში. ჩქარა მოეწყო მუზეუმის ეს გამოფენები, რომელიც დროზე გაიხსნა

და ქართლის მოსახლეობა მას სიყვარულითა და ინტერესით ათვალიერებდა. „შემდეგი იყო ახალციხის მუზეუმი, რომლის გახსნაც რუსთაველის საიუბილეო მეშვიდასე წლისთავს მიესადაგა და რომლის მოწყობაც კვლავ სერგი მაკალათიას დაევალა. ამ საქმეს ის რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე, დიდი გულისყურით მოეკიდა. განსაკუთრებით იმ მაჰმადიან ქართველთა მდგომარეობას განიცდიდა, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ, გვარები კი ქართული ჰქონდათ, ცხადია, გულთან ახლოს ეს იმ ადგილობრივ მესხებსაც მიჰქონდათ, ვინც მას ექსპედიციაში ახლდნენ. თავისი კუთხის მოყვარე და ერთგული ადამიანები, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ გამაჰმადიანებულ თანამემამულეებში ქართული წერა-კითხვა გაევრცელებინათ. ს. მაკალათია საგანგებოდ აღნიშნავს ქართველ კათოლოკეთა პატრიოტიზმსაც, ყველგან თბილად რომ ხვდებოდნენ, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ და უმასპინძლდებოდნენ. მკვლევარმა მესხეთ-ჯავახეთში შეკრებილი მასალა 1938 წ. ცალკე წიგნად გამოსცა, მხარეზე, რომელმაც მკვლევრის სიტყვებით „ისტორიულ წარსულში დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული დაწინაურების საქმეში. იგი იყო საქართველოს მეწინავე სადროშე და მან შემოსეულ მტრებისაგან მრავალი აოხრება და სიდუხჭირე განიცადა.”

ს. მაკალათიას სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე მესტიის, ცაგერის, კასპის სამხარეთმცოდნეო მუზეუმების დაარსება. წლების მანძილზე თანამშრომლობდა ზუგდიდისა და საქართველოს სხვადასხვა მუზეუმთან. მის არქივში დაცული წერილებიდანაც ჩანს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, მას მუდმივად უკავშირდებოდნენ, რჩევას და დახმარებას სთხოვდნენ ქვეყნის არა ერთი რეგიონიდან. ჩანს ისიც, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა აფხაზეთისა და აჭარის მიმართ, რასაც ხედავდნენ და აფასებდნენ იქაური, მასთან მიმოწერაში მყოფი პატრიოტები. ამ მხრივ, ამ რეგიონებში, იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა საქმეს აგრძელებდა, რომელთა როლი განუზომელია. ს. მაკალათიას სამუზეუმო საქმიანობას, მისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში ასე აფასებდა ამ დარგის თავდადებული მოღვაწე, წლების მანძილზე მარტვილის მუზეუმის დირექტორი გივი ელიავა: „მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და მისი კოლექტივი უაღრესად დავალებულია ამ დიდი სწავლული მოღვაწისა და ადამიანისაგან. ის უდიდესი გულისხმიერებით ეხმაურებოდა ყოველ ჩვენს ახალ წამოწყებას, იხილავდა ჩვენს შრომებს. დიდი გულითადობით უკვლევდა გზას ჩვენს ყოველ ახალ წამოწყებას, ჩვენი კოლექტივის ახალბედა წევრებს ზრდიდა და ასწავლიდა მათ. იგი იყო ერთ-ერთი გამამდიდრებელი, მზრუნველი და მეცნიერულ დონეზე გარ-

დამქმნელი ზუგდიდის მუზეუმისა, წლების განმავლობაში აკვებდა მის ფონდებს, აღრმავებდა მის ექსპოზიციას." მისივე სიტყვებით, „სერგი მაკალათიასთან ყოველი ახალი შეხვედრა რაღაც ახალს, დიდსა და საინტერესოს სძენდა ადამიანს, სტუდენტს, თუ მოქალაქეს. იყო სამაგალითო მოამაგე ყოველი მამულიშვილური წამოწყებისა და საქმისა."

ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით, არაერთი საკანდიდატო, თუ სადოქტორო დისერტაციაა დაცული. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი რეცენზიები, რომლებმაც, როგორც ამას სპეციალისტები აღნიშნავენ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული საისტორიო აზრის განვითარების საქმეში. მაგალითად ს. მაკალათიას რეცენზია დიმიტრი გულიას ნაშრომზე „აფხაზეთის ისტორია", ეს არის არა მხოლოდ ისტორიკოსის, არამედ მოქალაქის პოზიციაც მიმართული ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ, რომელიც შემდგომ შემზარავი სახით უბრუნდება უკვე ხალხს.

ს. მაკალათია, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა აგრეთვე ქართული კულტურისა და მეცნიერების ხალხში გავრცელებას. ამ მიზნით მან გამოსცა პოპულარული ბროშურები: „თამარ მეფე", „დემეტრე თავდადებული", „გიორგი ბრწყინვალე" და სხვ. მაგრამ ამ მხრივ, მისთვის განსაკუთრებული ასპარეზი მაინც პედაგოგიური მოღვაწეობა, ახალგაზრდებთან მუშაობა იყო, წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ცხინვალი), ძირითადად კი გორში. „მე ყოველთვის მაინტერესებდა — წერს ის — ახალგაზრდების პატრიოტული აღზრდა და მათი ჩაბმა სამშობლოს მხარეების გაცნობა შესწავლის საქმეში. ვკითხულობდი საქართველოს ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის კურსს და თეორიულად თუ პრაქტიკულად ვეხმარებოდი მომავალ პედაგოგებს მშობლიური ისტორიისა და მხარეების შესწავლა-გაცნობის საქმეში." ს. მაკალათიას მოღვაწეობის ეს მხარეც კარგად დახატა ოთარ ჩხეიძემ ზემოხსენებულ დოკუმენტურ რომანში „ჩემი სავანე." გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი, წლების განმავლობაში სერგი მაკალათიასთან ერთად მუშაობდა. ნაწარმოებში ერთი ინსტიტუტის მაგალითზე, საზოგადოების მთელი სპექტრი თუ პროცესებია ასახული. მიდის ერთი და მოდის სხვა თაობა. იცვლება ღირებულებები. ს. მაკალათია ხედავს ყოველივეს. ბევრი რამ არ მოსწონს, ამბობს და განიცდის და მწერალიც მის ნათქვამს ასე გადმოგვცემს: „დრო გავა და მე აღარ ვიქნები. აღარც ის იქნებაო, აღარც ისაო, აღარც ისაო, აღარც ისაო, ჩამოთვლიდა ღირსეულ ადამიანებსა, ინსტიტუტისათვის რაღა

თქმა უნდა. სამაგიეროდ ეს დარჩებაო, ესაო, ესაო, ჩამოთვლიდა და მიანიშნებდა ზოგზოგ ყმაწვილსა, ინსტიტუტში რომ დაეტოვებინათ სამეცნიეროდ მოსამზადებლადა; რო დაეტოვებინათ და რო ემზადებოდნენ ვითომცაო, ოღონდ რო არ გააჩნდათ სულ მცირე ნიშატი საამისოდა, სულ მცირე, სულ მცირე ნიშატიც არაო. სამაგიერდ სხვა ნიჭი ეტყობოდათ, სხვა ნიჭი და სხვა მოხერხებანი. ეტყობოდათ. ატყობდა. მე აღარ ვიქნები და ესენი დარჩებიანო. მაშინ ინსტიტუტიც აღარ იქნებაო. რა იქნება, ვერ გეტყვითო, ოღონდ ეს ვიცი, ინსტიტუტი რო აღარ გადარჩებაო. ვინ უწყის თუ რა ხალხი დადგნენო. შეედავებოდნენ გამომწვევადა. არ დაიჯეროთო, არ დაიჯეროთო, არ დაიჯეროთო, კეთილს არ ელოდეთ მაგათგანაო". და რახან არ მოსწონდა „სალამიც არ უნდოდა იმათი, სალამიც არა, სახეს იმიტომაც მიიბრუნებდა ხოლმე, სალამი არ მომცენო." ამის გამოც იშვიათად შევიდოდა საპროფესოროში, უფრო დერეფანში დასეირნობდა, სამაგიეროდ სტუდენტებს შორის უყვარდა ტრიალი „იკვლევდა თუ ვინ საიდან ჩამოსულიყო. იკვლევდა მართლაც იკვლევდა. მოსწონდა ისინი, ანთუ უფრო მოსწონდა ისინი, რომელნიც უფრო ახლოს იყვნენ უთვალსაჩინოეს ძეგლებთანა საქართველოს ისტორიისა. მოსწონდა, მოსწონდა. უახლოვდებოდა. უხაროდა. თითქოს იმათ რო აეშენებინოთ, ანთუ იმათ რო განეახლებინოთ, ანთუ იმათ რო გადაერჩინოთ იმა ნგრევისა თუ მუსვრის წლებშია, ანთუ იმათა, თვითონვე იმათ, ანთუ წინაპრებსა იმათსასა, სულერთიაო. უხაროდა. უხაროდა. თითქოს რო ხელახლა უბრუნდებოდა იმა ადგილებსა, ერთხელა თუ რამდენჯერმე რო უკვე შემოეკლო და კვლავ რო ჰქონდა სურვილი შემოვლისა, კიდევ რამდენჯერმე შემოვლის სურვილი. უხაროდა. არც ივიწყებდა, რო დაამთავრებდნენ ინსტიტუტსა. იმახსოვრებდა ძეგლების მიხედვითა. ზოგჯერ კიდევაც გაეხუმრებოდნენ, დაუსახელებდნენ სხვას სხვა ძეგლებთანა. შეუსწორებდა, მყისვე, მყისვე შეუსწორებდა .... უფლისციხე ჰო დაქნილი ჰქონდა, — ამას გეგმაში არც შეიტანდა, არც რო პრაქტიკად ჩაუთვლიდა სტუდენტებსა: იქ უნდა ყოფილიყვნენ და ხშირადაც უნდა ყოფილიყვნენ. ყურებზე ხელებს აიფარებდა თუ ვინმე ეტყოდა, ჯერ არა ვყოფილვარო. ყურებზე ხელებს აიფარებდა. არც გაჰკიცხავდა, არც მოუწონებდა რაღა თქმა უნდა. შეაგროვებდა ასეთებსა, ლექტორები იქნებოდნენ თუ სტუდენტები იქნებოდნენ, ვინც იქნებოდნენ სულ ერთია, შეაგროვებდა და წაუძღვებოდა, წაუძღვებოდა და უხსნიდა, უხსნიდა და უჩიჩინებდა. უჩიჩინებდა და უჩიჩინებდა. ლექციებიც რო ასეთი ჰქონდა, — დაწვრილებითი, საბუთიანი, რო არ აჰყვებოდა ზოგად მსჯელობებსა, არც არავითარ ტენდენციას არ აჰყვებოდა,

რაც უნდა მოდური ყოფილიყო არ აჰყვებოდა" თანამშრომელთა დახასიათებით, ლექციას ხომ არ გააცდენდა და სტუდენტიც არ გაუცდენდა, პირიქით, ნიჭიერთ არა თუ დამატებით ამეცადინებდა, მატერიალურადაც ეხმარებოდა. მათ შორის ზოგს, უკიდურესად გაჭირვებულს თავისთანაც კი აცხოვრებდა, ცხოვრების გზას უკა-

1937წ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ექსკურსია უფლისციხეში. ცენტრში ს. მაკალათია.

ფავდა და სამშობლოს მსახურებისთვის ამზადებდა. სტუმართმოყვარე, კარგი მასპინძელი, თვით ომისა და გაჭირვების წლებშიც, უკანასკნელ ლუკმას უყოფდა სხვებს. მეცნიერის დიდი განუყრელი პორტფელი კი ჭეშმარიტად ჯადოსნური იყო ბავშვებისთვის, სადაც მათთვის რაიმე ტკბილეული ყოველთვის მოიძებნებოდა.

ინსტიტუტში, განაგრძობს ოთარ ჩხეიძე, გეგმიურ ნაშრომსაც დროზე და წესიერად წარმოადგენდა, არც რამეს მოითხოვდა და არც აუხირდებოდა ვინმეს, მოხუცობაშიც უჭრიდა მუხლი, სტუდენტებს ასისტენტს არ ანდობდა და თავად მიუძღოდა მათ მიუვალ ხეობებში, ციხე-მონასტრებში, მუდამ მოწესრიგებული, გამოწკეპილი და „უხსნიდა გმირულ ისტორიასა, გასაოცარ ისტორიასა, გამძლეობასა საქართველოსი, შემართებასა ქართველებისა.." ასეთი ახსოვდათ სერგი მაკალათია მის კოლეგებს გორის პედინსტიტუტიდან, სადაც

1935 წლიდან ასწავლიდა, მაშინ ამ ინსტიტუტის ერთადერთი პროფესორი, რის გამოც, ხუმრობით საპროფესოროს – სამაკალათიოსაც ეძახდნენ. ოთარ ჩხეიძეს არც ის ავიწყდება 9 მარტის ცნობილი, ტრაგიკული ამბების შემდეგ შავი დღე რომ აყარეს სერგის. გორის გარნიზონში რუსეთ-საქართველოს შესახებ წაკითხული საჯარო ლექცია რუს სამხედროებს არ მოეწონათ, ჯერ იქვე შეედავნენ ლექტორს და მერე საჩივარიც აღძრეს, არასწორად გააშუქა რუსეთ

საქართველოს ურთიერთობის საფუძვლებიო და აგორდა ტალღა კრიტიკისა თუ დაბეზღებისა გორიდან თბილისამდე და თბილისიდან გორამდე. სერგი მაკალათია, მრავალგზის შეაჩვენეს, პრესაში თუ კათედრაზე, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა და მძაფრ შემოტევას ჯიქურ და შეუპოვრად შემდეგი სიტყვებით პასუხობდა: „ეს რა კათედრაა, ყველა ისტორიების კათედრაა, საკუთრივ საქართველოს ისტორიის კათედრა არ არისო, საქართველოს ისტორია აქ არავინ არ იცის, ხოლო კათედრის გამგეშ ჰო საერთოდ არაფერიც არ იცისო. ყველაზე მეტად იმაზე მოსდიოდა გული რაღა თქმა უნდა, სხვები თავს უკრავდნენ ასკილივითაო" და ჰკილავდა გამგეს, ვისაც მისი სიტყვებით არც ივანე ჯავახიშვილი წაეკითხა და ვერც ჰალსტუხის შეკვრა ესწავლა. მაგრამ საქმე არ ითმენდა და ს. მაკალათია კვლავ მუშაობაში ეფლობოდა. სწორედ გორში მოღვაწეობის პერიოდში მან შუა ქართლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა განიზრახა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების ცენტრს წარმოადგენდა არ იყო შესწავლილი. ამ მიზნით, ყოველწლიურად, ქართლის ერთ რომელიმე ხეობაში აწყობდა ექსპედიციას და აუცილებლად სტუდენტების მონაწილეობით რათა, როგორც ამას თავად მეცნიერი აღნიშნავს, საველე-სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება და სამეცნიერო კვლევა-დაკვირვების ჩვევები შეეძინათ. ქართლის შესწავლაში ის ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიით ხელმძღვანელობდა, რომელშიც ქართლის მხარეები ხეობების მიხედვითაა აღწერილი, ოღონდ მოკლედ და სქემატურად. ს. მაკალათიას მიზანს კი ამ ხეობათა ვრცელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა წარმოადგენდა. ასე გაჩნდა მისი შრომები „ატენის ხეობა", „ძამას ხეობა," „ლიახვის ხეობა" და სხვ. როგორც გარდასულ დღეთა გამოძახილი, დრო და დრო, პრესის ფურცლებზე გაიელვებს ს. მაკალთიას ქართლის ექსპედიციის მონაწილეთა, მაშინ ახალგაზრდები რომ იყვნენ, მოგონებები. ეს იყო მართლა დაუვიწყარი ექსპედიციები, რის შესახებაც გაზეთ „ახალ ეპოქაში" (2003, 28 XI-XII) ა. ტაბატაძე წერს: საზაფხულო არდადეგები რომ დაიწ-

ყებოდა, ს. მაკალათია რამდენიმე სტუდენტს წაიყოლიებდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესწავლას აგრძელებდა. ახლა წარმოვიდგინოთ რომელიღაც გადაკარგული სოფლის ერთ უბრალო სახლში, ზოგჯერ კი კარავში შეყუჟული პროფესორი სერგი მაკალათია და მისი მსმენელი სტუდენტები. ვის და რას უნდა მიეცა იმ სტუდენტებისათვის იმაზე დიდი რამ, რასაც ის ახალგაზრდები მიიღებდნენ იმ შინაურული საუბრების დროს სახელოვანი ერისკაცისაგან. არა, არ შევმცდარვარ, რომ დიდი ხნის მერე მისდამი მიძღვნილი ჩემი ლექსიც სწორედ ასე იწყება: „ბატონი სერგი მაკალათია ერისკაცობის მაგალითია...'' აღნიშნული წერილი ძალზედ ნიშანდობლივი სათაურით: „დიდებული კოჰორტა'', კარგად გამოხატავს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორთა — სერგი მაკალათიას, სიმონ გაჩეჩილაძის, ნიკოლოზ კანდელაკის, ნიკოლოზ გუგუშვილის, ნოდარ ალანიას, ოთარ ჩხეიძის, თედო უთურგაიძისა და სხვათა წვლილს. ავტორის სიტყვებით, ეს იყო ბედნიერი წლები გორისა და გორელებისათვის, უფრო მეტად კი გორელი სტუდენტებისათვის, ვისაც სულიერ ამინდს უქმნიდნენ და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდნენ. მათი წყალობით ქალაქში მუდამ ტრიალებდა ამაღლებული პოეტური განწყობილება. და მაშინ, როდესაც ა. ტაბატაძის სიტყვებით „ეს ჩინებული კოჰორტა მოღვაწეობდა გორში, სწორედ სამშობლოს, ქართული ენის, ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხი იდგა განსაკუთრებული სიმწვავით და ამდენად, მათი ყოველი სიტყვა, ყოველი ლექცია უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ჩვეულებრივი ლექციაა.'' ამით ის ნიადაგიც მზადდებოდა, რაც თავის შედეგს ყოველთვის იძლეოდა. სწორედ გორმა გაბედა და ინსტიტუტში, ხელისუფლებისაგან დევნილ სიმონ ჩიქოვანს, საღამო გაუმართა. ლადო გუდიაშვილის გამოფენა მისი რეპრესიების ჟამს, გორში მოეწყო. ჟურნალ „ცისკრის'' წინამორბედის ალმანახ „ლიახვის'' ხელნაწერის უფლებით გამოცემა, რომელსაც მოჰყვა „მერანი'' და „ლიახვი'' ოთარ ჩხეიძის ძალისხმევით ასევე გორში განხორციელდა.

ს. მაკალათია ქართლის ექსპედიციების დროს, პარალელურად არქეოლოგიურ დაზვერვასაც აწარმოებდა. 1938 წ. მან სოფელ ტყვიავში ყორღანული სამარხების გათხრა დაიწყო. მოსახლეობა იმდენად სკეპტიკურად უყურებდა იმ ადგილზე რაიმე ისტორიული ძეგლის არსებობას, რომ მეცნიერი ოქროს მაძიებელიც კი ეგონა. მაგრამ ორ კვირაში ს. მაკალათიას ვარაუდი დადასტურდა. ამ ძეგლზე მან ორი ზაფხული იმუშავა და ახალი სიტყვაც თქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. პარალელურად, ს. მაკალათია ინტენსიურ ეთნოგრაფიულ ძიებებს აგრძელებდა. დრო მიდიოდა, იბეჭდებოდა სტატიები და მონოგრაფიები, კიდევ უფრო იზრდებოდა ს. მაკალა-

თიას მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა. დრო გავიდა, ბევრი მათგანი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მიივიწყეს მეცნიერის სახელი. მწერალი ო. ჩხეიძე მასზე ამ კუთხით საუბრისას აღნიშნავს, რომ თავის დროზეც, ეს ჩუმი და თავაუღებელი მოღვაწე „არ გახლდათ ისეთი კაცი პრემიებისა და იუბილეებისათვის რო გადაედო თავი, რო ეხმაურა თავისი სახელის გარშემო, რო მოეთხოვა და მოეთხოვა, — არა, არ გახლდათ ასეთი კაცი." მაგრამ ყველა დროში იყვნენ პიროვნებები, ვინც ს. მაკალათიას მსგავს მოღვაწეებს პატივს მიაგებდნენ. მათ შორის იყო დიდი ქართველი მათემატიკოსი, მაშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ილია ვეკუა. მისმა ძალისხმევამ განაპირობა, ს. მაკალათია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში რომ განისვენებს.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა 2003 წ. 19 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამართულ სერგი მაკალათიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე, სადაც ფაქტობრივად მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის პირველი სერიოზული განხილვა მოხდა და სამომავლო გეგმები დაისახა. ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა პროფ. იულონ გაგოშიძემ არაერთ კითხვას შემდეგი პასუხი გასცა: „ყველა, ვინც პირადად იცნობდა ბატონ სერგი მაკალათიას, დამეთანხმება, რომ ეს იყო უაღრესად თავაზიანი, თბილი და საოცრად კეთილგანწყობილი პიროვნება და მით უფრო საოცარია, რომ მისი ცხოვრება კონფლიქტებით იყო სავსე და მას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა თავისი

1957 წ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტების ექსკურსია მცხეთაში (ცენტრში ს. მაკალათია).

სამეცნიერო მოღვაწეობის პროცესში. რატომ დაიცვა სერგი მაკალათიამ ორივე დისერტაცია რუსეთში და არა საქართველოში და რა უნდოდა ქართველების ჯგუფს მოსკოვში, რომ გამოცხადდა მისი დისერტაციის ჩასაგდებად? რატომ ასწავლიდა მხცოვანი მეცნიერი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და რად ვერ გამოიძებნა წლების განმავლობაში მისთვის სამუშაო ადგილი თბილისში?.... ბევრი

ს. მაკალათია შვილიშვილებთან – თამარ და ქეთევან მაკალათიებთან ერთად.

ვიფიქრე და მგონი მივაგენი....საქმე ისაა, რომ ბატონი სერგი მაკალათია თავისებური ანაქრონიზმი გახლდათ XX საუკუნის საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში იმ დროს, როდესაც საყოველთაოდ დამკვიდრდა მეცნიერთა ვიწრო სპეციალიზაცია, როცა მაგალითად, არქეოლოგიაში ქვის ხანის სპეციალისტს არაფერი ეკითხებოდა ბრინჯაოს ან ანტიკური ხანისა და პირიქით, საიდანღაც მოგვევლინა მეცნიერი-უნივერსალი, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას ემუშავა ერთდროულად ისტორიკოსადაც, ეთნოგრაფადაც, არქეოლოგადაც, ნუმიზმატადაც და, რაც განსაკუთრებით აუტანელი იყო მავანთათვის, წარმატებით ახერხებდა ამას.. .მაგრამ ამ ტიპის უნივერსალური მეცნიერები კარგა ხანია გადაშენდნენ და XIX საუკუნეშიც კი დიდ იშვიათობას წარმოადგენდნენ, არა თუ XX-ში. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ბრალდებები დილეტანტიზმში, რასაც სერგი მაკალათიას გასული საუკუნის ოციან წლებში უყენებდნენ, როცა იგი მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების უმცროსი მეცნიერი იყო და განყოფილების გამგე საყვედურობდა ეთნოგრაფიაში რად მუშაობო, მოგვი-

ანებით კი პირიქით, არქეოლოგად მუშაობას უშლიდნენ, ეთნოგრაფი ხარო.

ასე ხდებოდა. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან უფლება გვაქვს სრული კატეგორიულობით განვაცხადოთ, რომ სერგი მაკალათია იყო ჭეშმარიტი პროფესიონალი სამეცნიერო მოღვაწეობის მის მიერ არჩეულ ყველა სფეროში... სერგი მაკალათიას სამართლიანად მიაჩნდა, რომ ყოველი ისტორიკოსი უნდა ერკვეოდეს ისეთ ისტორიულ დისციპლინებში, როგორებიცაა: ეთნოგრაფია, არქეოლოგია და ნუმიზმატიკა. დიდი ივანე ჯავახიშვილის საისტორიო სკოლამ, რომელსაც ეზიარა სერგი მაკალათია თბილისის უნივერსიტეტში, სამშობლოსი და საქმის უსაზღვრო სიყვარულმა, რაც ოჯახიდან მიიღო და კოლოსალურმა შრომისუნარიანობამ, რაც უთუოდ ღვთის წყალობა იყო, განაპირობა ის, რომ ისტორიკოსი სერგი მაკალთია არა თუ ერკვეოდა ხსენებულ დისციპლინებში, არამედ წარმატებით მუშაობდა კიდეც ამ დარგებში და მან იმდენის გაკეთება შეძლო, რაც ერთი მოზრდილი მრავალდარგოვანი ინსტიტუტისთვისაც კი ცოტა არ იქნებოდა." ასე შეაფასეს ს. მაკალათია სხვებმაც, უკვე სხვა თაობამ, სხვა დროში, სხვა მკითხველმა, მეცნიერი, რომლის შემოქმედებამაც გაუძლო დროს და კვლავ უძვირფასესი პირველი წყაროა ეთნოგრაფებისა და ჰუმანიტარული დარგის მკვლევართათვის.

საქართველოსა და კავკასიის მიმართ ინტერესის გაზრდამ დასავლეთში განაპირობა ს. მაკალათიას შრომებისადმი ინტერესიც. მას იყენებენ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში სასემინარო და სალექციო მუშაობისას, კავკასიის ეთნოლინგვისტური სპეკკურსების ჩატარების დროს. მონრეალის უნივერსიტეტში კ. თუიტი, ჩიკაგოს უნივესიტეტში პროფ. ფრიდმანის კათედრა, სორბონის უნივერსიტეტში გ. შარაშიძე და სხვ.

ს. მაკალათიამ ხალხის ცხოვრებით იცხოვრა, რაც ასევე არ იყო იოლი და ალბათ არ არის შემთხვევითი, ხალხიდანაც რომ წამოვიდა მისი წიგნის „სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის" ხელახალი გამოცემის სურვილი, რომელიც პირველად 1941 წ. დაიბეჭდა და უკვე კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ქართულ საქმეს და ახალ თაობას უთუოდ წაადგებოდა სერგი მაკალათიას შრომების სრული გამოცემა საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ („ხევი," „თუშეთი," „ხევსურეთი," „ფშავი," „მთის რაჭა," „ქსნის ხეობა," „ლიახვის ხეობა" და სხვ.). ეს იქნებოდა ნამდვილი საჩუქარი როგორც მკვლევართათვის, ასევე სამშობლოს წარსულითა და ტრადიციებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

მანანა გაბაშვილი

წინასიტყვაობა

სამეგრელო თავისი ისტორიული წარსულითა და ყოფა-ცხოვრებით ფრიად საინტერესო კუთხეა. მაგრამ ის დღემდე არ ყოფილა სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. მართალია, სამეგრელოს ისტორიითა და ყოფა-ცხოვრებით დაინტერესება წარსულში დიდი იყო და არა ერთ მოგზაურს აუწერია მისი ბუნება, ისტორია და ზნე-ჩვეულებანი. მათ შორის, ყველაზე ვრცელი და საყურადღებო აღწერილობა დაგვიტოვეს: *არქანჯელო ლამბერტიმ* (1633–1653), რომელმაც სამეგრელოში დიდხანს იცხოვრა, ფრანგმა მოგზაურმა *ჟ. შარდენმა* (1672–73წ.), *ჟ. მურიემ* (1880წ.) და სხვა. მაგრამ ამ უცხოელ მისიონერებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ მოეცათ ძველი სამეგრელოს ნამდვილი სურათი და მისი ობიექტური ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა. მათ ხშირად არ იცოდნენ ადგილობრივი ენა, ადათ-ჩვეები, ვერ ერკვეოდნენ სამეგრელოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებში და ამის გამო, იძლეოდნენ ყალბსა და ცალმხრივ დახასიათებას.

ამასთანავე, უცხოელ მოგზაურებს სამეგრელოში ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიზნები. რომის პაპის მისიონერები, როგორებიც იყვნენ: ა. ლამბერტი, ი. ძამპი, კასტელი და სხვა ცდილობდნენ მეგრელების გაკათოლიკებას და ეკლესიურად სამეგრელოს რომთან დაკავშირებას. ამიტომ მათი აღწერილობაც გაჟღენთილია კლერიკალიზმით, სამეგრელოს წარსული და ყოფა-ცხოვრება გაშუქებულია კათოლიციზმის თვალსაზრისით და ობიექტურობასაც მოკლებულია.

რაც შეეხება მეორე ტიპის მოგზაურებს, როგორიც იყო, სხვათა შორის, ჟ. შარდენიც, მათ აინტერესებდათ კომერცია და სავაჭრო გზებისა და ბაზრების დაზვერვა. ამ ჯგუფის წარმომადგენლები ვაჭრული თვალსაზრისით აშუქებდნენ სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებას, ამიტომ, ძნელია მათ აღწერილობაზე დამყარებით, სამეგრელოს წარსულის სწორი სოციალ-პოლიტიკური სურათის დადგენა.

რაც შეეხება რუსულ ლიტერატურას, არც აქ მოიპოვება სამეგრელოს შესახებ მთლიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი, გარდა *კ. ბოროზდინის* ნარკვევისა, რომელშიც გაშუქებულია სამეგრელოს სამთავროს არსებობის უკანასკნელი პერიოდი. თვითმპყრობელური რუსეთი სამეგრელოში ატარებდა რუსი-

ფიკატორულ პოლიტიკას და იმდროინდელ რუსულ ლიტერატურაში გაყალბებულია სამეგრელოს ისტორიული წარსული იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინათ მეგრელების არაქართველობა. ხ. გროზდოვი, ტეპცოვი, ა. გრენი, მაშუკო, პეტროვი, სტეპანოვი და სხვები აგროვებდნენ მეგრული ფოლკლორის და ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მასალებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ მეცნიერულ ღირებულებას. მათ არ იცოდნენ მეგრული და არც ქართული ენა, აგროვებდნენ სხვების დახმარებით, შეუმოწმებელ მასალებს თარგმნიდნენ დამახინჯებულად და ამგვარ მასალაზე დაყრდნობით, ცდილობდნენ მეგრელების ყოფა-ცხოვრების გაშუქებას. ამის შედეგი იყო რუსიფიკატორების მტკიცება, რომ „ჩამორჩენილ" მეგრელების გაკულტურება შესაძლებელია მხოლოდ მათი გარუსებითო.

სამეგრელოს შესწავლით დაინტერესებას წინათ არც ჩვენში ჰქონია ადგილი. მართალია, ქართულ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაზე ზოგიერთი კორესპონდენციის ხასიათის წერილები, მაგრამ ეს წერილები მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას. გამონაკლისს წარმოადგენს *თ. სახოკიას* საყურადღებო ეთნოგრაფიული წერილი მეგრულ „კალანდობაზე" და მისივე რუსულად დაწერილი მეგრული ქორწილისა და ტირილის შესახებ. აგრეთვე *რ. ერისთავის* რუსულ ენაზე დაბეჭდილი წერილები „ბატონყმობა სამეგრელოში". მეგრული სალოცავები კი პირველად აღწერა *ი. ქობალიამ* რუსულ ენაზე. მაგრამ ეს აღწერა არ არის სრული და ისიც დამახინჯებულია.

ერთი სიტყვით, ჩვენ დღემდის არ .მოგვეპოვებოდა ქართულ ენაზე სამეგრელოს შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი. ძველი ყოფის ახალზე გარდაქმნა, პირველყოვლისა, მოითხოვს ძველის კარგად შესწავლას და კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლიან ათვისებას. ამიტომ გვმართებს კარგად და საფუძვლიანად ვიცოდეთ ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსული და ყოფა-ცხოვრება.

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას ჩვენ ვაწარმოებდით 1923 წლიდან, როდესაც საქართველოს მუზეუმის მივლინებით პირველად საშუალება მომეცა მასალები შემეკრიბა დღევანდელ აბაშის რაიონში, ძველ „საჭყონდიდოში". 1935 წლიდან საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების გეგმითა და ხელშეწყობით ჩვენ მოვაწყვეთ სამეგრელოს რაიონებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპედიციები. 1935 წელს მუშაობას

ვაწარმოებდით მარტვილსა და ჩხოროწყუს რაიონში; 1936 წელს წალენჯიხისა, ზუგდიდისა და ხობის რაიონებში; 1938 წელს სენაკის რაიონში, 1939 წ. კი გალისა და ოჩამჩირის რაიონში.

აღნიშნულ რაიონებში შეკრიბეთ საკმაოდ მდიდარი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა, რომლის ნაწილი დამუშავდა აქ წარმოდგენილი „ეთნოგრაფიული ნარკვევის" სახით. ჩვენი მიზანი იყო წინამდებარე ნარკვევში მოგვეცა მეტი ახალი მასალა, რომ ამით შეივსოს სამეგრელოს შესახებ არსებული ეთნოგრაფიული ცნობები.

ის ჩვეულები და წესები, რომლებიც ჩვენს ნარკვევშია მოთავსებული, დღეს უკვე არ სრულდება თავისი ძველი სახით, მაგრამ პირადად ნანახისა და დაკვირვების საშუალებით და აგრეთვე მოხუცების გამოკითხვით, შევძელით ძველი ყოფის დამახასიათებელი ადათ-ჩვეულების დადგენა.

რასაკვირველია, ჩვენი ეს შრომა არ არის სრულქმნილი და ამით არ ამოიწურება სამეგრელოს მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსული. ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი და ფართო მეცნიერული კვლევისა, რომლის მთავარ ობიექტად ახლო წარსულში სამეგრელო უნდა გადაიქცეს.

დასასრულ, ამ მუშაობის დროს ადგილზე ხელის შეწყობისა და მასალების მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებ: *ეფემია სისოს ასულ კვარაცხელიას* (წალენჯიხა), *ზაქარია ტოტიას ძე კვარაცხელიას* (სოფ. ნაკიფუ), *ვასილ გულუას* (სენაკი), *ლაუ კანკიას* (ხეთა), *ვიცი ჯათუს ძე ფიფიას* (ჩქვალერი), *ბეგი გამსახურდიას* (სოფ. დიხაზურგა), *ბეგი თირქიას* (ყულისკარი), *ალექსი ოჩიგავას* და *დედაჩემს, მინადორა მაკალათიას* (სოფ. სეფიეთი). ასევე გულწრფელი დახმარებისათვის ექსპედიციის წევრებს, სტუდენტებს: *მ. ეზუგბაიას, გ. გობეჩიას* და *ა. ფაჩულიას.*

წიგნში მოთავსებული ფოტოსურათები გადაღებულია ჩემ მიერ. ნახატები და ნახაზები შეასრულეს მხატვრებმა: *ლ. წილოსანმა* და *ლ. ხუციშვილმა.*

15/XI – 1940 წ. ს. მაკალათია

ისტორიული მიმოხილვა

1. ძველი კოლხეთი

სამეგრელოს ისტორიული წარსული დაკავშირებულია ძველ კოლხეთთან, რომელშიც ტერიტორიულად მთლიანად შედიოდა დღევანდელი სამეგრელო. მართალია, თანამედროვე მეგრელებისა და ძველი კოლხების ერთტომობის საკითხი ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს, მაგრამ, უეჭველია, რომ მათ შორის ტომობრივ-ეთნიკური ნათესაობა უნდა არსებულიყო. ტერიტორიულად კი მეგრელები კოლხების უშუალო მემკვიდრენი არიან.

ამასთანავე, ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, ეს მხარე იცვლიდა თავის გეოგრაფიულ-პოლიტიკურ სახელწოდებას. უძველეს დროს მას ეწოდებოდა „*კოლხიდა*“ ან *კოლხეთი*, საშუალო საუკუნეების ადრინდელ პერიოდში „*ლაზიკა*“ ან *ეგრისი*, შემდეგ *ოდიში* და ახლა კი იგი ცნობილია *სამეგრელოს* სახელწოდებით. ამიტომ სამეგრელოს ისტორიაც იყოფა სამ მთავარ პერიოდად: *კოლხეთის, ლაზიკისა* და *ოდიშ-სამეგრელოსი*.

საქართველოს ძველი ისტორია ფაქტიურად კოლხეთის ისტორიით იწყება, ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, კოლხეთის ისტორია ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ანტიკურ მწერლობაში იგი ცნობილია „კოლხიდის“ სახელწოდებით და უძველესი ცნობები მის შესახებ შემონახულია ძველ ბერძნულ თქმულებებსა და მითოლოგიაში[1];

---

[1] ძველ საბერძნეთში ცნობილი არგონავტების სახელგანთქმული მოგზაურობა დაკავშირებული იყო კოლხეთის სამეფოსთან, სადაც ხალხური თქმულებით, ინახებოდა ოქროს საწმისი (ვერძის ტყავი) და ამ საწმისის გატაცება საბერძნეთის გმირებმა შეძლეს თურმე კოლხეთის მეფის აიეტის ასულის მედეას დახმარებით. მედეას შეუყვარდება არგონავტების მეთაური იასონი, რომელსაც იგი ჯადოქრობის საშუალებით ხელში ჩაუგდებს ოქროს საწმისს და იასონთან ერთად გაიქცევა საბერძნეთში. (ამის შესახებ. იხ. *Шталь*, Герои Греции в войне и мире; *L. Schiller*, "Medea im Drama alter und neuer Zeit"; *I. Vater*, Argonautenzug; *Аполон Родосский*, Argonautica III, Лат., 1, 2, 412-424; *ალ. ჭყონია*, „არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში“, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომათია, ტფ., 1890წ., გვ. 28-36.

ეს თქმულება შეტანილია აგრეთვე ჰომეროსისა და ჰესიოდეს „ილია და ოდისეაში“, რომელიც დათარიღებულია XI-X ს. ძველი წელთაღრიცხვით.

აგრეთვე საბერძნეთისა და რომის საისტორიო მწერლობაში[1]. მაგრამ კრიტიკულად ეს წყაროები განხილული და შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. ქართულ საისტორიო წყაროებში ძველი კოლხეთის შესახებ ცნობები არ მოიპოვება და სახელწოდება კოლხეთი არც კი იხსენიება. თვით კოლხებს თავიანთი ისტორიული წარსულის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობები არ დაუტოვებიათ და ისტორიაში ისინი უმწერლობო ერად არიან ცნობილი. ამასთანავე, ძველი კოლხეთის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი მთლიანი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომ მასზე ვიქონიოთ ზოგადი წარმოდგენა[2]. ამის გამო, რასაკვირველია, ერთგვარ სიძნელეს შეიცავს კოლხეთის ისტორიული წარსულის სრული სურათის მოცემა.

საკითხი კოლხების ვინაობისა და მათი წარმოშობის სადაურობაზე საისტორიო მწერლობაში ჯერ არ არის საბოლოოდ დადგენილი და გარკვეული. ამის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს. *ჰეროდოტეს* აზრით, კოლხები ეგვიპტელების ჩამომავლები

---

[1] კლასიკური მწერლების თხზულებებში კოლხეთის მთლიანი აღწერილობა არ მოიპოვება, მაგრამ ის ნაწყვეტი ცნობები, რომლებიც მათ თხზულებებში შემონახულია, წარმოადგენს მეტად ძვირფას და ერთადერთ წერილობით წყაროს კოლხეთის ისტორიის შესასწავლად; ყველაზე ვრცელი ცნობები კოლხეთის შესახებ დაგვიტოვეს *ჰეროდოტემ* (V-VI სს. ძვ. წ.), *ქსენოფონტემ* (V-IV სს. ძვ. წ.), *სტრაბონმა* (I ს. ძვ. წ.), *დიოდორე სიცილიელმა* (I ს. ძვ. წ.) და *არიანემ* (II ს. ჩვ. წ.). მათი ცნობები ამოკრეფილია და რუსული თარგმანით მოთავსებულია ვ. ლატიშევის კრებულში, В. Латышев, Известия греческих и римских писателей о Кавказе, т. I и II; ქართული თარგმანი იხ. *ალ. ჭყონია*, ისტორიული ნარკვევი, ტფ., 1890 წ.

[2] კლასიკური მწერლების ცნობების ვრცელი და კრიტიკული განხილვა კოლხეთის შესახებ აქვს *ა. უსლარს*: ***П.К. Услар***, Древнейшие сказания о Кавказе, Записки Кав. отд. Рус. географ. О-ва, кн. XII, Тбилиси, 1881г., стр. 445-552; მისივე Записки о Колхах, იქვე т., XIV, 2; *დ. ი. ჩუბინიშვილი*, ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა; კოლხეთის განათლებისა და კულტურის შესახებ, ***Garl Ritter***, Erdkunden II; კოლხების ვინაობის საკითხს ეხება ***Vivien de S-t Martin***, Memoire historique sur la geographie ancienne du Caucase depuis les agronautes; ბერძნების ახალშენებზე კოლხიდაში, ***Dubois de Montpereux***, Voyage autour du Caucase, 1839, v. I; კოლხიდელების და თუბალ-მოსოხების ალებ-მიცემაზე, ***Er. Lenormant***, Histoire ancienne de l'Orient, t. I, et. IV; Montesquieu - De l'esprit des lois; ***А.С. Хаханов***, Древнейшие пределы разселения грузин по Малой Азии, 1890 г. მისივე, ЗИРГО XXII; ვრცელი გამოკვლევა კოლხების შესახებ მოეპოვება პროფ. *ივ. ჯავახიშვილს*, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1913 წ. გვ. 20-91.

არიან, იგი ამბობს:

„კოლხიდის მცხოვრებნი, მგონია, ეგვიპტელები არიან. აქ საკუთარ ჩემს აზრს ვამბობ და არა სხვისაგან მოგონილს. რადგან ეს აზრი ფიქრად მომივიდა, ცნობები შევკრიბე ამის თაობაზე როგორც ეგვიპტელებისა, ისე კოლხიდელებისაგან. კოლხიდელებს უფრო მეტი ახსოვთ ეგვიპტელების შესახებ, ვიდრე ეგვიპტელებს — კოლხიდელებისა. ეგვიპტელები იმას კი ამბობენ, კოლხიდელები ჩვენი აზრით, სეზოსტრისის ჯარის ნარჩენიაო. ჩემი აზრი დავამყარე იმაზე, რომ კოლხიდელები შავგვრემანები და თმასუჭუჭიანები არიან. კოლხიდელებს, ეგვიპტელებს და ეთიოპიელებს ჩვეულებად აქვთ წინადაცვეთა. ყოფა-ცხოვრება და ენაც ერთმანეთისას უგავთ“-ო. (Histoire d'Herodote, trad. par Giguet; В. Лат., I, გვ. 8-9; *ალ. ჭყონია*, გვ. 109). ამავე მოსაზრებას იმეორებენ დიონისე, სტრაბონი და სხვები. ჰეროდოტეს ეს ჰიპოთეზა კოლხებისა და ეგვიპტელების ერთ ჩამომავლობაზე უარყოფილია საისტორიო მწერლობაში.

ბერძენი მწერლები კოლხებს და მოსინიკებს ბიბლიური ნოეს შვილის იაფეტის შთამომავლებად თვლიდნენ. მაგალითად, *ევსევი კესარიელის* აზრით, კოლხები და მოსინიკები იაფეტის მოდგმისანი არიანო (Лат., I, 667). ეპიფანეც კი კოლხებსა და მოსინიკებს იაფეტიანებად ასახელებს (Лат., I, 708).

თანამედროვე მეცნიერებაში წამოყენებულია ჰიპოთეზა კოლხების შუამდინარეთიდან გადმოსახლების შესახებ ამიერკავკასიაში და ამ კოლხებს უკავშირებენ ასურულ-ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ *„კასკია“*-ს. ამ ჰიპოთეზის მიხედვით პროფ. *ივ. ჯავახიშვილი* თავის გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ კოლხები შთამომავალნი არიან იმ ძველ „კასკაია“-ს, რომლებიც ცხოვრობდნენ XII-XI სს. ძვ. წ. შუამდინარეთში, ძველ ქალდეაში და მოხსენებული არიან ასურულ ლურსმულ წარწერებშიო. აქ ასურელებთან ბრძოლაში კასკები დამარცხებულან და ისინი VIII-VII სს. ძვ. წ. ქართველთა დანარჩენ ტომებთან მუსკებთან და თუბალებთან ერთად, კაბადოკია-პონტოთი გადმოსახლებულან ამიერკავკასიაში და კასკები დაბინავებულან შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს (*ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 36-73).

ეს ჰიპოთეზა უფრო დაფუძნებულია ტერმინების *„კოლხი“* და *„კასკაია“*-ს ლინგვისტურ ანალიზზე და იგი არ არის შეჯერებული ისტორიული ხასიათის ფაქტებით და არქეოლოგიური აღმოჩენებით. ამასთანავე, მიგრაციის ეს თეორია ერთგვარ წინააღმ-

დეგობაშია ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე უკვე აღმოჩენილ მატერიალური კულტურის ძეგლებთან და იმ უძველეს თქმულებებთან, რომლებიც დაცულია ბერძნულ მითოლოგიაში, როგორიც იყო, სხვათა შორის, არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს სახელგანთქმული გალაშქრება მომხდარა ჰომეროსის წინათ და თვით ჰომეროსი „ოდისეაში" თავისი გმირის ოდისეის მგზავრობას ადარებს არგონავტების მოგზაურობას. ჰომეროსის პოემა „ოდისეა" დათარიღებულია XI-X სს. ძვ. წ. და ამის მიხედვით ირკვევა, რომ კოლხეთი ამ დროს დასახლებული ყოფილა კოლხებით, რომლებსაც საკმაოდ ძლიერი და სახელმოხვეჭილი სამეფო შეუქმნიათ, რაც აშკარად ეწინააღმდეგება კოლხების გადმოსახლების თეორიას შუამდინარეთიდან შავი ზღვის სანაპიროზე VII-VI სს. ძვ. წ. ამასთანავე, არქეოლოგიური აღმოჩენებიც აშკარად მოწმობენ, რომ ძველი კოლხეთის ტერიტორია უძველეს დროიდან დასახლებული ყოფილა. აქ აღმოჩენილი ქვისა და ბრინჯაოს ხანის მდიდარი კულტურა[1] აშკარად მიგვითითებენ, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე იყო უწყვეტი მოსახლეობა, რომელსაც გაუვლია ქვისა და ბრინჯაოს ხანა და ისტორიულ პერიოდში კი აქაურ მოსახლეობას კოლხების სახით შეუქმნია საკმაოდ მაღალი კულტურა. ეს გარემოება ეჭვის ქვეშ აყენებს კოლხების გადმოსახლების თეორიას და ამავე დროს, ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოლხები და მათი მონათესავე ქართველი ტომები

---

[1] ძველი კოლხეთის, ანუ დღევანდელ დასავლეთ საქართველის ტერიტორიაზე აღმოჩენილია პალეოლითის ან ძველი ქვის ხანის გამოქვაბულები, დამახასიათებელი ქვისა, კაჟისა და ძვლის იარაღებით, რომლებიც დათარიღებულია დაახლოებით 30 000 წ. ძვ. წ. ასეთი გამოქვაბულები აღმოჩენილია 1914 წ. წყალწითელასთან სოფ. გოდოგანში, 1916 წ. ჭიათურაში გვარჯილას კლდეში (კოლექცია ინახება საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში), 1932 წ. ხარაგაულში ე.წ. დევის ხვრელში (იხ. *გ. ნორაძე*, პალეოლითის ადამიანი დევის ხვრელში, თბ. 1933 წ.), 1934 წ. აფხაზეთში (იხ. *С.Н. Замятин*, Палеолит Абхазии, Сухуми, 1937).

რაც შეეხება ბრინჯაოს კულტურას, იგი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, მდიდრად არის წარმოდგენილი. მაღალი ხელოვნებით გაკეთებული ბრინჯაოს სამკაულები და იარაღები განძის სახით აღმოჩენილია: აჭარის წყალზე, ბათუმში, ციხისძირში, ნოსირში, წალენჯიხაში, ჯვარში, საბერიოში, თაგილონში, ზეკარში, ცაგერში და სხვა. ბრინჯაოს ეს განძეული დაცულია საქართველოს მუზეუმებში და ჯერ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოქვეყნებული; ზოგადი დასასიათება ამ ბრინჯაოს კულტურისა მოეპოვება *ა. იესენს. А. А. Иессен*, "К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе". (См. *А. А. Иессен* и *Б. Е. Деген-Ковалевский*, Из истории древней металлургии Кавказа, Москва-Ленинград, 1935 г., стр. 7-200)

აქაური მკვიდრნი (აბორიგენები) არიან,[1] რომელთა წინაპრებს უძველეს დროიდან უცხოვრიათ აწინდელი საქართველოს ტერიტორიაზე და გაუვლიათ საზოგადოებრივი განვითარების ქვისა და ბრინჯაოს ხანა და ისტორიულ პერიოდში მათ შეუქმნიათ საკმაოდ მაღალი კულტურა.



კაჟის იარაღები. აღმოჩენილია სამეგრელოში. ზუგდიდის მუზეუმის კოლექცია.

ძველი კოლხეთი გეოგრაფიულად მდებარეობდა შავი ზღვის ნაპირას, დღევანდელ დასავლეთ საქართველოში. მისი საზღვრები პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებთან დაკავშირებით იცვლებოდა. საკუთრივ კოლხეთი მისი ვიწრო ეთნიკური მნიშვნელობით ეწოდებოდა რიონის ხეობას და უმთავრესად შეიცავდა დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიას. მაგრამ თავისი ფართო მნიშვნელობით, პოლიტიკური ძლიერების პერიოდში, კოლხეთი მოიცავდა მდინარე ჭოროხის ხეობას, ე.ი. ლაზეთს, აჭარას და გურიას,

---

[1] ქართულ ისტორიოგრაფში ეს პრობლემა ჯერ არ გამხდარა მეცნიერული მსჯელობისა და კვლევის საგნად. დღემდის ჩვენში გაბატონებულია მიგრაციის თეორია, რომელიც უმთავრესად ემყარება ლინგვისტურ-ტოპონიმურ ანალიზს და ვერ იძლევა დამაჯერებელ დასაბუთებას. რაც შეეხება, ჩვენებური მატერიალური კულტურის ქვისა და ბრინჯაოს ნაშთებს, ისინი ნაკლებად არიან გამოყენებული ეთნოგენეზის პრობლემების გასაშუქებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, ჩვენში არქეოლოგიური

აგრეთვე ენგურის ხეობას, ე.ი. აფხაზეთის ტერიტორიას. კოლხების პოლიტიკური ძლიერების ხანაში V-I სს. ძვ.წ. მთელ ამ მხარეს ბერძნები უწოდებდნენ „კოლხიდა"-ს. მისი საზღვრები იყო: აღმოსავლეთით — ლიხის მთა, დასავლეთით — შავი ზღვა ბიჭვინტიდან ტრაპიზონამდის. სტრაბონის მოწმობით, დიოსკურიიდან მიდის კოლხეთის ზღვის პირი ტრაპიზონამდე (Лат., I, გვ. 169). ჩრდილოეთით — კავკასიის ქედი და სამხრეთით — მას საზღვრავდა—მესხეთი. სტრაბონის ცნობით, კოლხეთი მდებარეობდა მესხეთის და კავკასიის მთებს შორის (Лат., I, გვ. 169).

კოლხეთის საზღვრები აღწერილი აქვს პტოლემეს (II ს. ახ. წ.) თავის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში. ის ამბობს, რომ ჩრდილოეთით კოლხეთს საზღვრავს ნაწილი სარმატიისა (ძველი სკვითია), დასავლეთით — პონტ ექვსინის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს მდინარე კორაქსისა და მდინარე ფაზისის ზღვის შესართავის კუთხეში, აღმოსავლეთით — იბერია, სამხრეთით — კაპადოკიის პონტოს ნაწილი და მისი მომდევნო დიდი სომხეთის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს 740 — 440 — 400 (Лат., I, გვ. 240).

კოლხეთის მთავარი მდინარე იყო ფაზისი (რიონი). ძველი მწერლები ფაზისის სათავეებს სხვადასხვა ადგილას უჩვენებდნენ და მას ხშირად ურევდნენ, სხვათა შორის, მდ. ფაზისს (არეზს) და ჭოროხს. დიონისე მოგვითხრობს, რომ მდ. ფაზისს, რომელიც თავის სწრაფ და აქაფებულ ტალღებს ზღვაში ისვრის, სათავეები აქვს სომხეთის მთებშიო (Лат., I, გვ. 240). შედარებით ყველაზე უფრო სწორი ფაზისის (რიონის) აღწერა სტრაბონს მოეპოვება. მისი ცნობით, ფაზის მდინარის პირად მდებარეობს ქალაქი იმავე სახელისა (ფაზისის ქალაქი), რომელსაც საზღვრავს ერთი მხრით — მდინარე, მეორე მხრით — ტბა და მესამე მხრით — ზღვა. კოლხეთის ნიადაგი, — ამბობს იგი, ფაზის მდინარის შესართავთან — ქვიშიანია, დაბლობი და ნოტიო (Лат., I, გვ. 137). სტრაბონის ეს აღწერილობა იძლევა დღევანდელი ფოთისა და მისი მიდამოს სურათს. მდ. ფაზისს ერთვოდა ბოასი (ყვირილა), ჰიპპოსი (ცხენის-

---

აღმოჩენებისა და ეთნოგრაფიული მოვლენების პარალელურ შესწავლას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს კულტურის ნივთების გაზრებულ ახსნას უმეტეს შემთხვევაში იძლევიან ქართული ეთნოგრაფიული მოვლენები (S.Makalathia, "Einige ethnographisch-arhoaologische Parallelen aus Georgien", Mitteilungen der Antropologischen Gesellschaft in Wien, Bd. LX, Wien. 1930, gv. 361-365).

წყალი) და გლავკოსი (ტეხური). გარდა ფაზისისა, კოლხეთში მიედინებოდნენ ჭოროხი და ენგური თავიანთი შენაკადებით.

კოლხეთში არსებობდა შემდეგი ქალაქები: ეა, შემდეგში *არქეოპოლისად* წოდებული (დღევანდელი ნოქალაქევი). ეა

კაჟის იარაღები. აღმოჩენილია სამეგრელოში. ზუგდიდის მუზეუმის კოლექცია.

კოლხეთის სატახტო ქალაქი ყოფილა, რომელსაც პირველად ეწვივნენ არგონავტები. ქალაქი ეა მოხსენიებულია ელადის პოეზიაში, მაგრამ მის ადგილმდებარეობას ძველი მწერლები განსხვავებით უჩვენებდნენ. მათ შორის ეას შესახებ შედარებით უფრო სწორი აღწერილობა მოეპოვება *სტეფანე ბიზანტიელს*, რომელიც ამბობს: „ეს კოლხიდელების ქალაქია, გაშენებულია აიეტის მიერ, რომელიც 300 სტადიონით დაშორებულია ზღვას. მას უვლის ორი მიდნარე — ჰიპპოს და კიანოს (Лат., I, გვ. 253). ეს აღწერილობა მიახლოებით უდგება ნოქალაქევის მდებარეობას,

რომელსაც ჩამოუდის ორი მდინარე: აბაშა და ტეხური. ამასთანავე, ბერძნული 300 სტადიონი დაახლოებით უდრის 50 კილომეტრს და ეას (ნოქალაქევის) ზღვიდან დაშორების ეს მანძილიც უდგება სინამდვილეს.

ბრინჯაოს იარაღები. ზუგდიდის მუზეუმის კოლექცია.

ქ. ფაზისი (ფოთი) მდებარეობდა რიონისა (ფაზისის) და შავი ზღვის შესართავში. სკილაკის აღწერით (IV ს. ძვ. წ.) მდ. ფაზისის ზღვაში შესართავთან გაშენებულია ელინთა ქალაქი ფაზისიო (Лат., I, გვ. 86).

უფრო ზუსტი აღწერილობა ქ. ფაზისისა მოეპოვება სტრაბონს, რომლის მიხედვით, ქ. ფაზისს ერთის მხრით საზღვრავს შავი ზღვა, მეორეს მხრით — რიონი და მესამეს მხრით — პალიასტომის ტბა. ამ ცნობაში მოცემულია ქ. ფოთის მდებარეობის სრული სურათი.

ქალაქი *დიოსკურია*. ამ ქალაქის დაარსებას ბერძნული მითო-

ლოგია მიაწერს მეზღვაურთა ღმერთებს – დიოსკურებს. დიოსკურიას მეორე სახელიც რქმევია „*სებასტოპოლისი*“. სტეფანე ბიზანტიელის მოწმობით, შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქ დიოსკურიას უწინ სებასტოპოლისი ეწოდებოდაო (Лат., I, გვ. 259). სტრაბონი მოგვითხრობს, „რომ დიოსკურია მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთის კიდეზე, ზღვის ყურეში და ამიტომ უწოდებენ მას შავი ზღვის კუთხეს. ამ ქალაქიდან იწყება ყელი, რომელიც მიემართება შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. თვით ქალაქი წარმოადგენს სავაჭრო ადგილს გარშემო მცხოვრებთათვის“-ო (Лат., I, გვ. 136).

როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ძველი დიოსკურია დღევანდელი სოხუმი (ცხუმი), ან მასთან ახლოს მდებარე რომელიმე ქალაქია. ამას მოწმობს, *არიანეს* (IIს. ახ. წ.) ცნობა, რომელიც ამბობს, რომ პირველი ნავსადგური დიოსკურიიდან არის ბიჭვინტა, რომელიც მისგან 350 სტადიონითაა დაშორებული (Лат., I, გვ. 223). დაახლოებით ასეთივე მანძილია დღევანდელ სოხუმსა და ბიჭვინტას შორის.

ქალაქი *პიტიუნტი*, დღევანდელი ბიჭვინტა, იყო კოლხეთის სავაჭრო ციხე-ქალაქი. სტრაბონი მას დიდ ქალაქს უწოდებს, პლინიუსი კი უმდიდრეს ქალაქს. *ზოსიმეს* ცნობით, 294 წ. იმპერატორ დეცის მეფობის დროს, სკვითები შეესივნენ ბიჭვინტას და მათ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ქალაქი აიღეს და გაძარცვეს.

ციხე-ქალაქი *კიტეა* მოხსენიებულია არგონავტების მოგზაურობაში. ის არის აპოლონ როდოსელის მიერ (III ს. ძვ. წ.) მოხსენიებული კოტიაიონ, რიონზე მდებარე, დღევანდელი ქუთაისი. პროკოპი კესარიელს მოყვანილი აქვს არიანეს თხზულებიდან ცნობა, რომ რიონზე მდებარე ციხეს ბერძნები უწოდებენ კოტაიონს, ლაზები კი კუთათისსო[1].

ციხე-ქალაქი *სარაპანი* ცნობილია კოლხეთის ისტორიაში, როგორც დიდი ნავსადგური, რომელიც მდებარეობდა მდ. ყვირილაზე. იგი წარმოადგენდა სავაჭრო საქონელის საწყობს. აქვე იკრიბებოდნენ ვაჭრები, რომლებიც აღებ-მიცემობას აწარმოებდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. სტრაბონის მოწმობით, ფაზის მდინარეში დადიოდნენ გემები სარაპნის ციხემდე, რომელსაც თავისი სიდიდით შეეძლო მთელი ქალაქის

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“ ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბილისი, 1934 წ., გვ. 164.

მცხოვრებთა დატევა (Лат., I, გვ. 136; გეორგიკა, 304-307).

აქ დასახლებულ მსხვილ ციხე-ქალაქებთან, ერთად, კოლხეთში არსებობდა აგრეთვე უფრო მცირე ქალაქებიც, მაგალითად, ციხე *სკანდა, ვარდციხე* (როდოპოლისი), ციხე *უქიმერიონი* და სხვა.

კოლხეთის ჰავისა და ბუნების აღწერა მოეპოვება *ჰიპოკრატეს* (VI-V სს. ძვ. წ.). ჩვენ აქ მოვიყვანთ მის ცნობებს უცვლელად:

„ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ფაზის მდინარე, არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილი ტყით. იქაური მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში; წყალში იშენებენ სახლებს ხისას, ანუ წნელისას. გარეთ გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქში, ანუ ბაზარში უნდა წავიდნენ. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უდგათ მთლიან ხისაგან გაკეთებული ნავები და ამ ნავებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულს. ხმარობენ წვიმის წყალს, რომელიც არის თბილი, მდორე და აყროლებული სიცხისაგან. ფაზისს ყველა მდინარეებზე უფრო ნელი და მდორე დინება აქვს. ამ ქვეყნის ხილი ცუდი თვისებისაა, უგემური და წყლის სიუხვის გამო, არასოდეს მწიფდება. წყლისაგან ნისლი ადის, რომელიც მუდამ გარს არტყია ამ ქვეყანას. ამ მიზეზებს უნდა მიეწეროს, რომ აქაური მცხოვრებნი ეგრე განირჩევიან ყველა სხვა ერთაგან: ისინი ტანით მაღალნი არიან, მაგრამ იმდენად მსუქნები, რომ არ უჩანთ არც სახსრები და არც ძარღვები; ფერი აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქოს სიყვითლით არიანო ავად. ყველაფერს ერიდებიან, რაც კი დაღლის. ამ ქვეყანაში ზამთარსა და ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბოსიცივის მხრით. აქ უფრო ხშირია სამხრეთის ქარი. ამის გარდა, იცის კიდევ ადგილობრივი ქარი, რომელიც არის ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო. ამ ქარს ეძახიან „კენხრონს". ჩრდილოეთის ქარი აქ იშვიათია და არ აქვს არც ძალა და არც მნიშვნელობა" (Лат., I, გვ. 58; ა. ჭყონია, 110).

კოლხეთის მოსახლეობის შესახებ ჩვენ არა გვაქვს უტყუარი ცნობები, მაგრამ იმ მცირეოდენი მასალების მიხედვით, რომელიც მოიპოვება ძველ ბერძნულ მწერლობაში, შესაძლებელია დადგენა, რომ მოსახლეობა ეკუთვნოდა ქართველთა ტომის სამ შტოს: *კოლხებს*, რომელშიაც შედიოდნენ *მაკრონები* (მეგრელები) და *ჭან-ლაზები, აფშილ-აფხაზებს* და *სვანებს*. კოლხეთის მოსახლეობაში შედიოდნენ მათივე მონათესავე მცირე ტომები: *მოსინიკები, ჰენიოხები* და *ზიდრიტები*. ამ ტომებს შორის თავდაპირველად გაბატონებული იყვნენ კოლხები, რომელთა ხელში იყო პოლი-

ტიკური ძალაუფლება და მთელ ამ მხარეს მათ მიანიჭეს თავიანთი ტომობრივი სახელწოდება — კოლხეთი. კოლხების მოსახლეობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი მწერლები სხვადასხვა ადგილას უჩვენებენ და ეს გარემოება საბაბს აძლევდა *უსლარს* ეთქვა, რომ კოლხები მოკლებული უნდა ყოფილიყვნენ მკვიდრ მოსახლეობას და ვაჭრობასთან დაკავშირებით უფრო ეწოდნენ მოძრავ ცხოვრებას, როგორც დღეს ებრაელები ქრისტიანებს შორისო. (*Услар*, გვ. 412). მისივე აზრით, დროთა განმავლობაში ეს მოვაჭრე კოლხები სრულიად მოისპნენ და თანამედროვე შავი ზღვის ნაპირას მოსახლე ტომთა შორის ძველი კოლხების შთამომავალი არ არსებობსო (იქვე, გვ. 413). *ა. ხახანაშვილის* აზრით: „კოლხებს, შესაძლებელია არ ჰქონოდათ განსაკუთრებული ტომობრივი სახელწოდება; კოლხები მეტად მცირერიცხოვანი იყვნენ, ცხოვრობდნენ ლაზებსა და მანრალებს შორის. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება ისინი ცნობილნი იქნენ მრავალრიცხოვან ერად“ (*А. Хаханов*, Рассел. груз. по Малой Азии, გვ. 17).

ამგვარი დასკვნის გაზიარება, რასაკვირველია, ძნელია, მით უმეტეს, რომ კოლხებს თავიანთ შესახებ წერილობითი ცნობები არ დაუტოვებიათ, ბერძნები კი მათ უწოდებდნენ კოლხებს. მაგრამ ადგილობრივ თავიანთ ენაზე, თუ რა ტომობრივ სახელწოდებას ატარებდნენ ისინი, ჩვენ არ ვიცით.

ყოველ შემთხვევაში, ბერძნული მწერლობის მიხედვით კოლხები, რასაკვირველია, არსებობდნენ, ეწეოდნენ ბინადარ ცხოვრებას და საკმაოდ ძლიერ და გავლენიან ტომად იყვნენ ცნობილი. მათ შესახებ *ჰეროდოტე* გარკვევით ამბობს, რომ „სპარსელებს საზღვრად აქვთ სამხრეთის ზღვა, რომელიც იწოდება წითელ ზღვად, იმათ ზევით, ჩრდილოეთით, მიდიელები ცხოვრობენ; მიდიელების ზევით სასპერებია და სასპერების ზევით კოლხიდელები; კოლხიდელებს საზღვრად აქვთ ჩრდილოეთის ზღვა (შავი ზღვა), რომელსაც შეერთვის ფაზისის მდინარე. ამ ოთხ ერს უჭირავს მთელი ქვეყანა ერთის ზღვიდან მეორემდე“-ო. (Лат., I, გვ. 20-21).

აქედან ირკვევა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მობინადრე კოლხებს საკმაოდ დიდი ტერიტორია სჭერიათ.

კოლხების მონათესავე მცირერიცხოვან ტომებს შორის, უფრო ცნობილი არიან, ბერძნული მწერლობის მიხედვით, *მოსინიკები* ან *ჰეპტაკომიტები*.

აპოლონ როდოსელის მოწმობით, „მოსინიკეებს სჭერიათ

ტყიანი და მაღალი ადგილები, ცხოვრობდნენ ხის კოშკებში, მკვიდრად შემოკავებულში, რომელსაც ეწოდებოდა მოსინები. აქედან წარმოიშვა თვით მათი ტომობრივი სახელწოდება მოსინები"-ო (Лат., I, вып. 2, გვ. 413).

სტრაბონის მოწმობით, „მოსინიკები მეომარი და გულადი ხალხი ყოფილა, მათ მოუსპიათ სამი გუნდი რომაელთა მხედრობისა მითრიდატთან ომის დროს" (Лат., I, გვ. 158).

კოლხეთის მოსახლეობის მეორე შტოს ეკუთვნოდნენ აფშილ-ა ბ ა ზ გ ე ბ ი (აფხაზები), რომელნიც კოლხეთის სამხრეთით ბინადრობდნენ და ეჭირათ მდინარე ენგურის მიდამო. მათ შესახებ ძველ ბერძნულ მწერლობაში მცირე ცნობები მოიპოვება, მხოლოდ არიანე (II ს. ახ. წ.) მოგვითხრობს, რომ ლაზების მოსაზღვრე აბშილებია, აფშილებს საზღვრავს აბაზგებიო (იხ. რუკა I).

კოლხეთის მოსახლეობის ქართველთა მესამე შტოს ეკუთვნოდნენ სუანები (სვანები). მათ შესახებ უფრო მცირე ცნობებია ძველ ბერძნულ მწერლობაში შემონახული. მხოლოდ სტრაბონს აქვს მათ შესახებ შემდეგი ცნობა: „სვანებს უჭირავთ დიოსკურიის მაღალი მთები და იქიდან მბრძანებლობენ გარშემო ხალხზე. იმათ ჰყავთ მეფე, რომელიც 300 მხედრისაგან შემდგარი კრების შემწეობით განაგებს. მათში ყველა მხედარია, მხოლოდ აკლიათ მუდმივი ჯარის გაწვრთნილობა" (Лат., I, გვ. 138).

კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ბერძნულ წყაროებში მცირე ცნობებია შემონახული. ამიტომ ძნელია კოლხეთის სახელმწიფოებრივი წყობილების სრული სურათის მოცემა. მაგრამ იმდროინდელი ცნობების მიხედვით, ირკვევა აშკარად, რომ V-III სს. ძვ. წ. კოლხეთი იმყოფებოდა გარდამავალ ხანაში, როდესაც გვაროვნული წყობილება უკვე დაშლილი იყო და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან ერთად, იწყებოდა ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდი. კოლხეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში იდგა მეფე — „ბასილევსი", რომლის ხელისუფლება გადადიოდა გაბატონებულ საგვარეულოს უფროსზე.

კოლხეთის პირველ მეფედ ბერძნულ მითოლოგიაში მოხსენებულია *აიეტი*, რომელიც წარმოდგენილია ძლიერ და მდიდარ მეფედ. აიეტის სიმდიდრეზე ბერძნებმა შექმნეს მშვენიერი მითი ოქროს საწმისის მოტაცებაზე კოლხეთიდან და ეს გარემოება ჩვენ ერთგვარ საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოლხეთი ძველად მართლაც წარმოადგენდა საკმაოდ დაწინაურებულ სამეფოს. ამას ხელს უწყობდა კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობაც. მას ეჭირა

შავი ზღვის სანაპიროები, საიდანაც გადიოდა ე.წ. ინდოეთის სავაჭრო გზა. ამის გამო, უძველესი დროიდან, კოლხეთი იზიდავდა ახალშენების მაძიებელ საბერძნეთის მეზღვაურებსა და ვაჭრებს დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან კი — ძველი ირანის მბრძანებლებს, რომლებიც მოისწრაფოდნენ შავი ზღვის სანაპიროსაკენ. ამის გამო, ორივე ეს მხარე ცდილობდა კოლხეთის სანაპიროების ხელში ჩაგდებას და იქ თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ბატონობის განმტკიცებას. უკვე V ს. ძვ. წ. ჰეროდოტეს მოწმობით, კოლხეთი მოქცეული ყოფილა ირანის გავლენაში და იგი შედიოდა მე-19 საგამგეო სატრაპიაში: „მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები შეადგენდნენ მე-19 სატრაპიას და იხდიდნენ სამას ტალანტს. კოლხიდელები და მათი მეზობლები, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიის ქედის გადმოლმა (კავკასიის ქედის იქეთა მხარე — კი არ ემორჩილება სპარსეთს), თავისი ნებით, დღესაც უგზავნიან სპარსეთის ხელმწიფეს ძღვენად ას-ას ყმაწვილ ვაჟს და ქალს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ“ (*ალ. ჭყონია*, 107; Лат., I, გვ. 9).

ამასთანავე, კოლხეთში მოსახლე ტომები მოვალენი ყოფილან ირანის მბრძანებლებს მიშველებოდნენ ლაშქრით და იარაღით[1]. სარდლებსაც ირანის მეფეები ნიშნავდნენ და უმეტეს შემთხვევაში, სარდლებად ირანელები ყოფილან: „მაკრონების და მოსინიკების სარდალი, ამბობს ჰეროდოტე, იყო არტაიკტესი, შვილი ხერასმისა, მარების და კოლხიდელების სარდალი იყო ფარანდატესი, შვილი ტეასპისა“ (*ალ. ჭყონია*, 108).

ამგვარად გაძლიერებული ირანის ძლევამოსილი აქემენელთა დინასტიის მეფეებს თავიანთი პოლიტიკური ბატონობა გაუვრცელებიათ კოლხეთზე, რომელიც მას ხარკს აძლევდა.

პირველ საუკუნეში ძვ. წ. პონტოში გაძლიერდა მეფე მითრიდატე VI ევპატორად წოდებული. მან დაიპყრო მცირე აზიის ქვეყნები და შექმნა საკმაოდ ძლიერი ბოსფორის სამეფო.

მითრიდატმა თავისი გავლენა ჩქარა შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ხალხებზედაც გაავრცელა. კოლხეთის მეფეები კარგად გრძნობდნენ მითრიდატის ძლევამოსილებას და ცდილობდნენ სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით მისი ბატონობის თავიდან აცდენას, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულნი გამხდარან მიელოთ მითრიდატის პოლიტიკური ბატონობა. რომაელი მწერლის *აპპიანეს*

---

[1] *იხ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, 1927წ. I, გვ. 166.

(I ს. ძვ.წ.) მოწმობით: „მითრიდატმა დაიმორჩილა მრავალი მეზობლად მყოფი ტომი, მათ რიცხვში, გულადი ტომი კოლხებისა, რომლებიც ცხოვრობენ შავი ზღვის პირასაო“ (Лат., I, 2, გვ. 526). სტაბონის ცნობით, მითრიდატი მას შემდეგ, რაც კოლხეთი მის ხელში გადავიდა, ამ ქვეყნის გამგედ ან მოურავად ნიშნავდა ვისმეს თავის მეგობართაგან, მათ შორის იყო, ამბობს სტრაბონი აგრეთვე დედაჩემის ბიძა (პაპაჩემის ძმა) მოაფერნიო. (Лат., I, გვ. 137).

მაგრამ მითრიდატის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა კოლხეთში. მითრიდატის გაძლიერება აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში საფრთხეს უმზადებდა რომის ბატონობას და ამიტომ, რომის სენატმა გადაწყვიტა მითრიდატის დამარცხება და ეს საქმე მიანდო ცნობილ მხედართმთავარს პომპეუსს. რამდენიმე შეტაკების შემდეგ, პომპეუსმა გაიმარჯვა და დამარცხებული მითრიდატი გაიქცა კოლხეთში. ამის შემდეგ, როგორც ბერძნულ-რომაული წყაროები გადმოგვცემენ, პომპეუსმა დროებით შეაჩერა მითრიდატზე შეტევა, რადგანაც მას, პირველ ყოვლისა, ესაჭიროებოდა სომხეთის მხრით ზურგის გამაგრება. ეს გარემოება მოითხოვდა სომხეთის მეფის ტიგრან დიდის დამორჩილებას, რომელთანაც მითრიდატი ნათესაურ კავშირში იყო. 66 წ. ძვ. წ. პომპეუსმა გაილაშქრა სომხეთში[1] და მან იგი ადვილად დაიმორჩილა. 65 წ. ძვ. წ. პომპეუსმა ახლა იქიდან განიზრახა გალაშქრება კოლხეთში, სადაც იმყოფებოდა მითრიდატი. მაგრამ ეს სამხედრო ოპერაცია ზურგის უზრუნველსაყოფად მოითხოვდა იბერიისა და ალბანეთის დამორჩილებასაც. ამ მიზნით, რომის ლაშქარი არეზისა და მტკვრის ხეობით შეიჭრა ალბანეთსა და იბერიაში. იბერიის მეფე არტაგი იძულებული იყო დამორჩილებოდა პომპეუსს.

იბერიიდან პომპეუსმა გაილაშქრა კოლხეთზე, სადაც მას ეგულებოდა მითრიდატი. რომის ჯარი მდ. რიონით შევიდა ქ. ფაზისში (ფოთში), სადაც პომპეუსს უცდიდა რომის ფლოტი სერვილის მეთაურობით. მაგრამ პომპეუსმა აქ ხელში ვერ ჩაიგდო მითრიდატი, რომელიც პომპეუსის მოახლოებისას, კოლხეთიდან გაიქცა თავის ბოსფორის სამეფოში.

პომპეუსმა კოლხეთი დაიმორჩილა და რომაელებმა აქ მეფედ დააყენეს არისტარხი, რომელიც ფულსაც სჭრიდა ასეთი წარწერით:

---

[1] *Я. А. Манандян*, Круговой путь Помпея в Закавказье, Вестник Древней Истории, кн. 4, Москва 1939 г., стр. 77-90.

„კოლხეთის მეფის არისტარხისა“[1].

ამგვარად, კოლხეთი პომპეუსმა დაუმორჩილა რომის ბატონობას და აქ მოსახლე ტომები ახლა მოექცნენ გაძლიერებული რომის პოლიტიკურ-ეკონომიკურ გავლენაში.

სტაბონის ცნობით, როდესაც რომაელებმა მითრიდატე ტახტიდან ჩამოაგდეს, მთელი მისი სახელმწიფო დაიშალა და განაწილებულ იქნა სხვადასხვა მთავართა შორის. უკანასკნელ მეფედ კოლხიდისა იყო პოლემონი, რომლის სიკვდილის შემდეგ, მისი ცოლი პითოდორა, ქალი ჭკვიანი და საქმის მცოდნე, გახდა მეფედ კოლხიდელებისა, ტრაპიზონისა, ფარნაკიისა და მათ ზემოთ მცხოვრები ბარბაროსებისა. დღეს მთელ ამ მხარეს, რომელიც ფაზისის და ევფრატის აქეთ არის, განაგებენ რომაელები ან მათგან დანიშნული მთავრებიო (Лат., I, გვ. 137-138).

მაგრამ კოლხეთი რომის ბატონობას ურჩობდა და როდესაც რომს ძლიერი მეტოქე ძალა გამოუჩნდებოდა, იგი მზად იყო განდგომისათვის. იულიუს კეისარის (48 წ. ძვ. წ.) დროს კოლხეთი გამდგარა და რომაელებს იგი ხელმეორედ დაუპყრიათ[2]. (Лат., II, გვ. 618-620).

არისტარხის ფული.

ერთი სიტყვით, კოლხეთში თანდათანობით განმტკიცდა რომის კეისრის ბატონობა. ეს ის დრო იყო, როდესაც რომის რესპუბლიკური წყობილება გადაგვარდა და რომის სახელმწიფოში დამყარდა თვითმპყრობელობის მკაცრი რეჟიმი.

რომაელები თავიანთი ბატონობის პირველ პერიოდში კოლხეთის შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ. მხოლოდ ახლად არჩეულ მეფეს

---

[1] *О. Ф. Ретовский*, Драхма Аристарха Колхидского. Труды Москов. Нумизм. О -ва, т. III. стр. I

[2] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 171.

ამტკიცებდა რომის კეისარი, მისგან იღებდა სამეფო ნიშნებს, აგრეთვე ერთგულების ნიშნად, კოლხეთის მეფეს მძევლები უნდა მიეცა და რომის მოთხოვნისამებრ, ჯარით და იარაღით მიშველებოდა მას.

იბერიისა და კოლხეთის დამორჩილების შემდეგ, რომის იმპერატორები შეუდგნენ ამიერკავკასიაში თავიანთი ბატონობის განმტკიცებას, ციხე-სიმაგრეების განახლებას და ყველა შემოსასვლელი კარის გამაგრებას. მით უმეტეს, რომის იმპერიას ამიერკავკასიაში ჩქარა გამოუჩნდა ძლიერი მეტოქე, ეს იყო ძველი ირანი. რომისა და ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები პირველად ერთმანეთს დაეჯახნენ მცირე აზიისა და სომხეთის საკითხში. რომაელებმა ორივე ეს ქვეყანა დაიპყრეს და ამგვარად რომის იმპერიამ ხელში ჩაიგდო ირანის ეს ორი მეტად მნიშვნელოვანი ქვეყანა. გაძლიერებული რომი ახლა უახლოვდებოდა ირანის საზღვრებს და ამით საფრთხეს უმზადებდა ირანის ბატონობას.

რომის იმპერია, ამასთანავე, მიისწრაფოდა აღმოსავლეთის ქვეყნების დასაპყრობად, ამიტომ რომისათვის პოლიტიკურ აუცილებლობას შეადგენდა არა მარტო ამიერკავკასიის და მცირე აზიის დაპყრობა, არამედ თვით ძლიერი ირანის შეზღუდვა და თავისი გავლენის სფეროში მოქცევა.

ირანის მმართველები კარგად გრძნობდნენ, თუ რა საფრთხეს უმზადებდა მათ გაძლიერებული რომის იმპერია იბერიისა და კოლხეთის ხელში ჩაგდებით. ამას ჩქარა მოჰყვა რომსა და ირანს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გართულება.

მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საჭირო იყო კოლხეთის მეფეებთან მეგობრული კავშირის განმტკიცება, ადგილობრივი ციხე-სიმაგრეების განახლება და გამაგრება.

ამ მიზნით, ფაზისსა და დიოსკურიაში (სებასტოპოლისი), რომლებიც სავაჭრო ქალაქებს წარმოადგენდნენ, რომის კეისარს თავისი მეციხოვნე ჯარები ჩაუყენებია. ფაზისის ხის კოშკი და გალავანი რომაელებს დაუშლიათ და აუგიათ აგურის ზღუდე და კოშკები. ციხეზე იარაღები დაუდგამთ და ციხის ზღუდის გარშემო ორმაგი განიერი თხრილი შემოუვლიათ.

ამასთანავე, ბოლო რომ მოეღოთ კოლხების მხრივ მოსალოდნელი განდგომისათვის, რომაელებს აქაც მიუმართავთ თავიანთი ნაცადი ხერხისათვის „divide de impera“ — „დაყავი და იბატონე“. არიანეს აღწერის მიხედვით, 134 წელს ადრიანე კეისარის დროს, კოლხეთში ოთხი პატარა სამეფო ყოფილა: ლაზთა სამეფო — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მის ჩრდილოეთით — აფშილების სამეფო იყო,

ამაზე უფრო ჩრდილოეთით კი — აფხაზთა სამეფო და ამაზე უფრო ზევით — სანიგების ან სანების სამეფო მდებარეობდა (Лат., I, გვ. 222).

ამგვარად, თუ პომპეუსის შემოსვლამდის კოლხეთი წარმოადგენდა ერთ სამეფოს, სადაც მეფობდა არისტარხი, უკვე 134 წ. ახ. წ. ამავე კოლხეთში აღმოცენებულა ოთხი სამეფო, რომელსაც თურმე ოთხი მეფე განაგებდა.

არიანეს მოხსენებიდან ისიც ირკვევა, რომ ოთხივე მეფეს ხელისუფლება მიღებული და დამტკიცებული ჰქონდა რომის კეისრისაგან და მათ შორის წინანდელ კოლხეთის მეფის მსგავსად, უპირატესობა არცერთს არ ჰქონია. მართალია, აქ მოსახლე ტომებს შორის რომის ბატონობის პერიოდში დაწინაურდნენ ლაზები, მაგრამ აფშილების, აფხაზების და სანიგების მეფეებს თავიანთი ხელისუფლება ლაზთა მეფისაგან კი არ ჰქონიათ მიღებული, არამედ რომის კეისრისაგან, რომლისგანაც თვით ლაზთა მეფეც ყოფილა დამტკიცებული. ანტონინე კეისარს ლაზებისათვის მეფედ თურმე ბაკური დაუნიშნავს (*ივ. ჯავახიშვილი*, I, 179).ამასთანავე, საყურადღებოა, რომ არიანეს აღწერილობაში კოლხები არც კი არიან მოხსენიებული.

ეს გარემოება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ კოლხებმა რომაელების შემოსევის შემდეგ, დაკარგეს პოლიტიკური ჰეგემონია და სამეფოს ხელისუფლება გადავიდა კოლხების მონათესავე ტომზე ლაზებზე, რომლებიც წინათ ემორჩილებოდნენ კოლხების მეფეებს.

კოლხების ხელიდან პოლიტიკური მესვეურობის ლაზების ხელში გადასვლას მოჰყვა თვით ამ სახელმწიფოებრივი ერთეულის სახელწოდების შეცვლაც და ამიერიდან რომაელებმა მას კოლხეთის ნაცვლად უწოდეს — *ლაზიკა*, ან *ლაზიკე*.

ლაზიკის წარმოქმნიდან იწყება სამეგრელოს ისტორიის ახალი პერიოდი, ე.წ. ადრინდელ ფეოდალური, რომელსაც ჩვენ შემდეგში განვიხილავთ. ახლა აქ მოკლედ შევეხებით კოლხეთის *კულტურულ* ვითარებას განვლილ პერიოდში.

ძველ კოლხეთში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება. კლასიკური ხანის მწერლები აქებენ კოლხების სტუმართმოყვარეობას და მათი ცნობით, კოლხიდელები დიდ დახმარებას უწევდნენ თურმე ზღვის ღელვისაგან გადარჩენილებს ფულით, სურსათის მიწოდებით, თუ სხვა საშუალებებით. *ნიკოლოზ დამასკელის* მოწმობით, 64 წ. ძვ. წ. მოსინიკები თავიანთ პურს თანასწორად უყოფდნენ მათ ქვეყანაში შემოსულ უცხოელებს (Лат., I, 2, 456). ძველი მწერლების აღწერილობით, კოლხეთის მოსახლეობა ხის სახლებში ცხოვრობდა. სახლები მალალ ბოძებიანი ყოფილა, კოშკების მსგავსად ნაგები. კოლხები იძულებულნი იყვნენო ასეთ შენობებში ეცხოვრათ, რადგანაც ხშირად წვიმების გამო დედამიწა იყო

სველი და ნესტიანი. მოსახლეობა უმთავრესად იკვებებოდა პურით, ღომით (ღომის ღომი), მოხარშული წაბლით, ხილით და ხორცით[1]. ხმარობდნენ დამარილებულ ზღვის ღორის ქონს. ღვინოსაც სვამდნენო, მაგრამ წყალ-ნარევს. ქსენოფონტეს ცნობით, აქაური ღვინო უწყლოდ ყოფილა მწლაკე, წყლით კი გემოიანი და სურნელოვანი (*ალ. ჭყონია*, 116, Лат., I, 82).

ქსენოფონტეს მოწმობით, როდესაც ბერძნებმა მოსინიკების ქალაქი აიღეს, მათ სახლებში ბევრი პური იპოვეს. ეს პური სარდაფებში ყოფილა შენახული. ამას გარდა, უნახავთ ახალი პურის ძნებიც და თიხის ქვევრებში დამარილებული ზღვის ღორის ქონი. ბელღლებში ეწყო მრავალი წაბლი, რომელსაც მოსინიკები ხარშავდნენ და პურის მაგივრად ხმარობდნენ.

ყველაფერი ეს კოლხეთის მეურნეობის დაწინაურებას მოწმობს. კოლხეთში, ამასთანავე, ბევრი თაფლიც მოდიოდა. ქსენოფონტეს კოლხეთის თაფლი მიაჩნია მაწყინარად და აი, რას მოგვითხრობს ის ამის შესახებ თავის „ანაბაზისში"[2]: „როდესაც კოლხეთით მიმავალმა მისმა ჯარისკაცებმა იქ იპოვეს ბლომად საკვები და დაუწყეს თაფლს ჭამა, მაშინვე აუტყდათ პირიდან ღებინება და ბოდვაც. ზოგი მათგანი გახელებულს დაემსგავსა, ზოგი კი — მკვდარს. მეორე დღეს, იმავე საათზე, რა დროსაც ავად გახდნენ, ისევ განიკურნენო" (Лат., I, 76).

დაახლოებით ასეთივე ცნობა მოპოვება კოლხეთის თაფლის შესახებ სტრაბონსაც: „ექტაკომიტებმა (მოსინიკებმა), მოგვითხრობს იგი, მოსპეს

---

[1] კლასიკური მწერლების ამ ცნობებს ადასტურებენ არქეოლოგიური აღმოჩენები ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე 1933 წელს სოფ. რეკაში, სადგურ ქვალონის მახლობლად (სენაკის რაიონი) აღმოჩნდა დიდი ყორღანი „ნაოხვამუ", რომლის გათხრის დროს ოთხი მეტრის სიღრმეში ნაპოვნი იყო ხის ნაგებობა ბოძებიანი სახლის ტიპისა და ამ ნაგებობის ორმოები საესე აღმოჩნდა წაბლისა და თხილის ნაჭუჭებით, აგრეთვე ფეტვის ქერქით, ტახის ძვლებით და სხვა პროდუქტის ნარჩენებით. აქვე აღმოჩნდა თიხის და ხის ჭურჭელი, ხელსაფქვაი და სხვა. აღმოჩენილი ინვენტარის შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ რეკას ყორღანი უნდა მიეკუთვნოს IV-III სს. ძვ. წ. ნაპოვნი კოლექცია დღეს დაცულია ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[2] ირანიდან გამობრუნებულმა ბერძნების 10 000 ჯარმა ქსენოფონტეს მეთაურობით, გაიარა კოლხეთის ტერიტორიაზე და ქსენოფონტეს თავის „ანაბაზისში" აღწერილი აქვს გზადაგზა კოლხეთში მოსახლე ტომებთან შეხვედრა და მათი ყოფა-ცხოვრება.

ალ. ჭყონია, ქსენოფონტეს ცნობარი საქართველოს უძველეს მკვიდრთა შესახებ (431-354 წწ. ძვ. წ.) ისტორიული ნარკვევი, გვ. 111-117; ***Arthur Boucher***, Anabase de Xenophon (La Retraite des Dix mille), Paris-Nancy, 1913.

В. Н. Худадов, Отступление десяти тысяч греков от Ефрата до Трапезунда через Закавказье (Исторические Записки, Акад. Наук СССР, Москва, 1937 г., т. 1, стр. 103-128).

პომპეუსის ლაშქარის სამი რაზმი, რომლებიც მათ ქვეყანაში გადიოდნენ. ექსტაკომიტებმა გზაში დააწყვეს ჯამები მათრობელა თაფლით, რომელიც მზადდება განსაკუთრებული მცენარისაგან. როდესაც ჯარისკაცები დათვრნენ ამ თაფლით[1] და გონება დაკარგეს, მაშინ



თიხის ქოთანი. აღმოჩენილია სოფ. რეკაში.
ფოთის მუზეუმის კოლექცია.

ისინი ადვილად დაამარცხესო" (Лат., I, стр. 158).

ჰეროდოტეს ცნობით, კოლხებს ჩვეულებად ჰქონდათ წინადაცვეთა. ნიკოლოზ დამასკელის მოწმობით, კოლხები თავიანთ მიცვალებულებს მიწაში არ ასაფლავებდნენ თურმე, არამედ ტყავში შეახვევდნენ და ხეზე ჩამოკიდებდნენ. ამის შესახებ *აპოლონ როდოსელი* (III ს. ძვ. წ.) მოგვითხრობს: „კოლხიდელები მამაკაცის გვამს არც ცეცხლში წვავენ და არც მიწაში ასაფლავებენ, არამედ — ხარის ტყავში სდებენ და ქალაქგარეთ ხეებზე ჩამოკიდებენო" (Лат., I, вып. 2, стр. 410).

კოლხების მეფეები მთის წვერზე აგებულ კოშკებში ცხოვრობდნენ თურმე, საზოგადო ხარჯებით იკვებებოდნენ და მათ იცავდნენ საგანგებო მცველები. კოლხები, ამასთანავე გულადი და მეომარი ხალხი ყოფილა, სალაშქროდ გამოდიოდნენ თავიანთი სარდლების მეთაურობით და ჰეროდოტეს მოწმობით, იარაღად ხმარობდნენ: პატარა ფარებს,

---

[1] მათრობელა თაფლი მთიან სამეგრელოში დღესაც მოიპოვება. ამ თაფლს აქ უწოდებენ „შქერის თაფლს", რომელიც თხელია და ნაკლები სიტკბოს მქონეც.

მოკლე შუბებს და საომარ დანებს (Лат., I, 57). ქსენოფონტეს ცნობით: „მოსინიკებს მარჯვენა ხელში ეჭირათ ძელის ფარი, მარცხენა ხელში — შუბი, ტანზე ეცვათ სქელი ნაქსოვი პერანგი, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდათ. თავზე ეხურათ ტყავის მუზარადი და



ბრინჯაოს შუბისწვერი. აღმოჩენილია სოფ. რეკაში.
ფოთის მუზეუმის კოლექცია.

აგრეთვე ატარებდნენ რკინის ცულებს“ (Лат., I, 80).

კოლხების რელიგიური რწმენის შესახებ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში შედარებით მცირე ცნობები მოიპოვება[1], რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ კოლხეთს სარწმუნოებრივი ურთიერთობა ჰქონია ძველ საბერძნეთსა და ირანთან.

არიანეს მოწმობით (II ს. ახ. წ.), მდინარე ფაზისის შესავალთან მარცხენა მხარეს, აღმართულია ფაზიანების ღმერთი ქალი, რომელიც გარეგნული გამოსახულებით ღმერთ-ქალი რეა არისო (Лат., I, 220).

---

[1] საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი მწერლები კოლხეთის აღწერის დროს, იქაურ ღმერთებს ადგილობრივი სახელით კი არ იხსენიებენ, არამედ თითოეულ მათგანს კულტის მსგავსების მიხედვით აძლევენ შესატყვისი ბერძნული ღმერთის სახელს, მაგალითად, მზისას — აპოლონს უწოდებენ, ტყისა და ნადირისას — არტემიდას, ბრძოლისას — არესს და სხვა. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, ძველ კოლხეთში, თუ რა ადგილობრივ სახელს ატარებდნენ ის ღმერთები, რომლებიც მოხსენიებული არიან ბერძნულ წყაროებში. რომ კოლხეთში არტემის (მთვარე) და მისი ძმის აპოლონის (მზე) კულტი და ტაძარი არსებულა, ამას ადასტურებს 1899 წ. ყუბანის ოლქში აღმოჩენილი ერთი ვერცხლის ფიალა, რომელზედაც დაცულია ასეთი შესანიშნავი ბერძნული წარწერა: „მე ვარ (ვეკუთვნი) აპოლონ წინამძღოლს, რომელიც ფაზისშია (ან ფაზისელს — ფოთელს)“. ეს ფიალა დათარიღებულია V ს. ძვ. წ. (იხ. Изв. Археол. Комисии, вып. 1, 1901 г., стр. 99-100б 18; *М. И. Ростовцев*, Скифия и Боспор, Лгр. 1925 г., стр. 571).

ასეთივე ცნობა მოეპოვება *პავზანიუსს* თავის „ელადის აღწერაში“ (173 წ. ახ. წ.) იგი ამბობს: „სპარტაში ყველაზე უწმინდესი სიწმინდე არის საკურთხეველი არეასი, რომლის ქანდაკება, როგორც ამბობენ, დიოსკურებს გადმოუტანიათ კოლხეთიდანო“ (Лат., I, 2, 572).

ამასთანავე, პავზანიუსი გადმოგვცემს, რომ კოლხეთში დიდ პატივისცემაში ყოფილა აგრეთვე ათინა ასინისელისა, რომელსაც იქ საკურთხეველიც ჰქონია.

ამ გარედან შემოსულ ბერძნულ-რომაულ კულტებთან ერთად, კოლხეთში გავრცელებული ყოფილა ხეთა თაყვანისცემა. პროკოპი კესარიელის მოწმობით, ტყეების თაყვანისცემა ძლიერ გავრცელებული ყოფილა განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც უმთავრესად თაყვანსა სცემდნენ მუხას[1].

ირანის პოლიტიკურ-კულტურულ გავლენასთან დაკავშირებით- ძველ კოლხეთში გავრცელებული ყოფილა მაზდეანური რწმენაც, რაც გამოიხატებოდა ცეცხლის თაყვანისცემაში, რასაც სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ მაზდეანური ჩვეულებების მიხედვით, კოლხეთშიაც სასტიკად ყოფილა აკრძალული მიცვალებულის დასაფლავება მიწაში, რომელიც წმინდა სტიქიონად ითვლებოდა.

ქრისტიანობაც პირველი საუკუნიდან გავრცელდა კოლხეთში. ამ ახალი რწმენის შემომტანნი და გამავრცელებელნი იყვნენ რომიდან კოლხეთში გადასახლებული ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები.

თეოდორიტე კვიპრელის მოწმობით, ქ. ბიჭვინტა რომაელებმა აქციეს იმდროინდელ დასასჯელ ადგილად, სადაც სხვათა შორის, გადაასახლეს იოანე ღვთისმეტყველიო.

კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელებას ის გარემოებაც მოწმობს, რომ პირველ მსოფლიო კრებას 325 წელს დასწრებია ქ. ფაზისის (ფოთი) ეპისკოპოსი.

ძველი მწერლების ცნობების მიხედვით, ძველი კოლხეთი კულ-

---

[1] მუხის თაყვანისცემა დაკავშირებული იყო მზის ღვთაების კულტთან და მუხა მზის ღვთაების სადგომად ითვლებოდა. ჩვენში ამ რწმენის გადმონაშთი დღემდის მოიპოვება: ქართლში განთქმულია რკონი, სადაც დგას დიდი ცაცხვის ხე და მას თაყვანს სცემენ. აფხაზები მუხას უმართავენ ღღესასწაულს „აშმაპ“ და მუხას თაყვანსა სცემენ. სამეგრელოში ცნობილი იყო მარტვილის დიდი მუხა „ჭყონ-დიდი“. ამასთან არის აგრეთვე დაკავშირებული ხატის ტყეების არსებობაც. ამ ტყეებს ხატის შიშით, ხელს ვერ ახლებდნენ და იცავდნენ მას, როგორც სიწმინდეს. (*იხ. ჯაჯანიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1927 წ., გვ. 86-89, *ს. მაკალათია*. ახალწელიწადი საქართველოში, თბილისი, 1927 წ.).

ტურულ-ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა ყოფილა. ამას ხელს უწყობდა თვით კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელსაც ეჭირა შავი ზღვის სანაპიროები. აქედან გადიოდა ინდოეთისკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზა. თვით კოლხებიც დაწინაურებული ყოფილან ვაჭრობასა და ხელოსნობაში, განსაკუთრებით ლითონის დამუშავებაში. ამ დარგში თავი გამოუჩენიათ მოსინიკებს, რომლებიც ამზადებდნენ განსაკუთრებული ელვარების მქონე თითბრის ჭურჭელს „მოსინად" წოდებულს.

სტრაბონის მოწმობით, მის დროსაც კოლხებს ბლომად გამოჰქონდათ მადნებიდან ოქრო, ვერცხლი და რკინა. სვანეთის ოქროსქვიშიან ნაკადულების შესახებ ძველმა მწერლებმა მრავალი თქმულება დატოვეს[1].

ლითონისაგან კოლხები სახმარ ჭურჭელთან ერთად ამზადებდნენ აგრეთვე სამკაულებსაც. თავიანთი ნაწარმი მათ გასაყიდად გამოჰქონდათ შინაურ და უცხოეთის ბაზარზე. ამას გარდა, უცხოეთის ბაზარზე გასაყიდად გაჰქონდათ: ხომალდების ასაშენებელი ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, კუპრი და სხვა. სელისაგან კოლხები ქსოვდნენ საუკეთესო ტილოს, რომელიც ერთგვარ მეტოქეობას უწევდა თურმე ეგვიპტურ ტილოს. „ეს ქვეყანა (კოლხიდა) მდიდარია სხვადასხვა ნაყოფით და გემთსაშენ მასალითო: მზადდება დიდძალი ხე-ტყე, რომელიც გადააქვთ მდინარეების საშუალებით. ჭარბად ამზადებენ ტილოს, ცვილს, კუპრს და სხვა. ტილოს დამზადებაში მათ სახელიც მოიხვეჭეს და აქაური ტილო გააქვთ უცხოეთის ქვეყნებშიო" (Лат., I, 137).

ჰეროდოტეს მოწმობით „მარტო კოლხები აკეთებენ ტილოს იმ რიგადვე, როგორც ეგვიპტელები. ბერძნები სარდონის სელს ეძახიან იმ სელს, რომელიც კოლხეთიდან მოაქვთ, ეგვიპტიდან შემოტანილ სელს კი ეგვიპტურს უწოდებენო" (Лат., I, 9).

კოლხეთში მიწათმოქმედებაც საკმაოდ განვითარებული იყო.

---

[1] მათ შორის ყველაზე საყურადღებო ცნობა სტრაბონს აქვს თავის გეოგრაფიულ აღწერაში. როდესაც ის ეხება სვანეთს, ამბობს, რომ „ამ ქვეყნის ნაკადულებ'თან მოაქვთ ოქროს ქვიშა, რომელსაც მკვიდრი მაცხოვრებლები დაჩხვლეტილი გობებისა და გრძელბეწვიანი ტყავის შემწეობით აგროვებენო. ამ გარემოებამ დაბადაო, ამბობენ ზოგიერთები, ოქროს მატყლოვან ვერძის მითი" — (ალ. ჭყონია, გვ. 206; Лат., I, გვ. 138). ეს ცნობა ჩვენმა დრომ სინამდვილედ აქცია. დღეს უკვე სვანეთში, ენგურსა და მის შენაკადებში წარმოებს ოქროს ძიება ფართო მასშტაბით და ოქროსაც საკმაო რაოდენობით პოულობენ.

მოჰყავდათ საკმაოდ დიდი რაოდენობის ხორბლეული, რომლის შესანახად დიდ სარდაფებსაც კი აგებდნენ. მისდევდნენ აგრეთვე მესაქონლეობას. ქსენოფონტეს ცნობით, კოლხები ტრაპიზონით აგზავნიდნენ მსხვილფეხა საქონელს გასაყიდად სხვადასხვა ქვეყანაში.

კოლხეთში კარგი სავაჭრო ქალაქებიც არსებობდა, მათ შორის ცნობილი იყო დიოსკურია (სებასტოპოლისი). დიოსკურიას ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია მეზობელ ქვეყნებთან. უმთავრესი სავაჭრო საგანი მისი აღებ-მიცემობისა მარილი იყო. სტრაბონის მოწმობით, ქალაქი დიოსკურია წარმოადგენდა საერთო სავაჭრო ადგილს გარშემო მცხოვრებთათვის. აქ იკრიბებოდა 70 სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ერიო (Лат., I, 136). მეორე მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი კოლხეთისა, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობაში იყო ქ. ფაზისი (ფოთი), რომელიც მდებარეობდა ინდოეთის სავაჭრო გზაზე და წარმოადგენდა სავაჭრო საქონლის ბრუნვის დიდ ნავსადგურს.

ინდოეთის ამ სავაჭრო გზაზე საქონლის გადაზიდვა წარმოებდა ამგვარად; ქ. ფაზისიდან მდინარე ფაზისით (რიონით) სავაჭრო საქონელი გადაჰქონდათ ნავებით ციხე-ქალაქ სარაპანამდე. აქედან საქონელი უნდა გადაეზიდათ ზურგით ან სახედრებით მდ. ყვირილას დაკლაკნილ ხევებში, სადაც ასოცჯერ უნდა გადასულიყვნენ ხიდებზე. შემდეგ ოთხი დღის საურმე გზით საქონელი გადაჰქონდათ მტკვრის ხეობაში (ბორჯომის ხეობა). აქ საქონელს ისევე ნავებზე გადატვირთავდნენ და იგი მტკვრით კასპიის ზღვამდის ჩაჰქონდათ, საიდანაც გზა ინდოეთისაკენ მიდიოდა.

ერთი სიტყვით, ძველად ცნობილი იყო ინდოეთის სავაჭრო გზა, რომელიც ირკანიის (კასპიის) ზღვით შემოდიოდა მტკვრის ხეობით ალბანია-იბერიაში და შემდეგ ყვირილა-რიონით — კოლხეთში.

მას ბოლო ჰქონდა ქალაქ ფაზისში. ამ სავაჭრო გზით უცხოელებთან ერთად, რასაკვირველია, კოლხებიც სარგებლობდნენ და ისინი გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდნენ იმ დიდ ვაჭრობაში, რომელიც ამ გზის მეშვეობით წარმოებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. კოლხებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ შავი ზღვის პირას მდებარე საბერძნეთის ახალშენებთან და ეს გარემოება ხელს უწყობდა კოლხეთის საბერძნეთთან კულტურულ-ეკონომიკურ დაახლოებას. ვაჭრობის განვითარება - დაწინაურებას ჩქარა მოჰყვა ფულის ნიშნების ტრიალი და ბერძნული ფულების წაბაძვით, უკვე VI საუკუნიდან ძვ. წ.

კოლხეთშიც ჩნდება საკუთარი ფული, რომელიც ცნობილია „კოლხურად“. ვერცხლის ეს ფულები იჭრებოდა დიდრაქმიანი და ნახევარ დრაქმიანი (წვრილი) და მრავალია აღმოჩენილი დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიის ფარგლებში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ასეთი ფულები სხვაგან არ არის აღმოჩენილი და, ეტყობა, იგი უმთავრესად ტრიალებდა კოლხეთის ფარგლებში. კოლხური ფულის ერთ მხარეზე ამოკვეთილია გრძელთმიანი ქალის თავის პროფილი, რომელიც რკალშია ჩასმული, მეორე მხარეზე კი ხარის თავი, რომელიც ქვეყნის მეურნეობის მთავარი დარგის, მესაქონლეობის მაჩვენებელია და თვით ფულის პირვანდელი სახელწოდებაც ამ სავაჭრო (სავალუტო) საქონლის ეკვივალენტი იყო. ამას ისიც მოწმობს, რომ ფულის აღმნიშვნელი ძველი ლათინური ტერმინი „პეკუნია“ პირუტყვს ნიშნავდა. ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველი ქართული „ხვასტაგი“, რაც ერთსა და იმავე დროს, ნიშნავდა ფულსა და ოთხფეხა საქონელს.



კოლხური ფულები.

ფულის მოჭრა, ამასთანავე, დამოკიდებულია ძვირფასი ლითონის მარაგზე და კოლხური ვერცხლის ფულების სიმრავლე აშკარად ადასტურებს ძველი მწერლების ცნობებს კოლხეთის ამ მხრივ სიმდიდრის შესახებ[1].

---

[1] კოლხური ფულები ჩნდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხეთის ისტორიულ ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოში კი ის იშვიათია. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, რომლებთანაც კოლხეთს კულტურულ-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა, კოლხური ფულები აქაც არ აღმოჩენილა. კოლხური ფულები ტრიალებდა VI-I სს. ძვ. წ., (*ს. მაკალათია*, კოლხური დიდრაქმა, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1933 წ. გვ. 193-202).

განვითარებული ვაჭრობა მოითხოვდა სათანადო ხელშემწყობ პირობებს: ადვილ მიმოსვლას, კარგ გზებს, დასასვენებელ სადგურებს, გზის დაცვა-უშიშროებას, პირად და ქონებრივ ხელშეუხებლობას და სხვა. კოლხებს მართლაც უზრუნვიათ ამ სავაჭრო გზის მოწესრიგებისათვის. გზების ნაპირას აღმართული ყოფილა ქვის ფიალები (გზამკვლელები), რომლებზედაც ნაჩვენები იყო გზების მიმართულებანი და მგზავრთათვის დასასვენებელი ადგილები. გზების მიმართულების ცოდნაში კოლხები დახელოვნებული ყოფილან, რასაც ფიცარზე ხატავდნენ რუკის მსგავსად და მგზავრობის დროს თან ატარებდნენ თურმე (Carl Ritter; *ალ. ჭყონია*, გვ. 124).

აპოლონ როდოსელის (Argonaut. VI; Лат., I, 2, 422) და მისის სხოლიასტის სიტყვით კოლხებს ჯერ კიდევ ძველთაგანვე ჰქონდათ წინაპართაგან დასწავლილი ზღვისა და ხმელეთის გზების ფირფიტაზე გამოხატვა თავიანთ სამგზავროდ. ეს ფირფიტები ჯერ ქვისა იყო და შემდეგ ხისა. მათ ეწოდებოდა კურბეისი. უეჭველია, რომ ეს ფირფიტები ნასახია ლანდქარტებისა და ადვილი საფიქრებელია, რომ ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონდა ამისთანა ფირფიტები, როცა ჩამოთვალა ჩრდილოეთის ერთა სავაჭრო გზები ბორისთენისა და პონტოს მიდამოებში (*ალ. ჭყონია*, გვ. 125).

სტრაბონისა და პლინიუსის მოწმობით, მდინარე ყვირილაზე სავაჭრო ხასიათის დიდი შენობები ყოფილა გაშენებული. რომ არ შეფერხებულიყო ნაოსნობა, ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავდა რიონისა, ყვირილასი და მტკვრის ხეობების ამოწმენდაზე და სურამის ქედზე გადასასვლელი გზის დაცვა-შეკეთებაზე. მდინარეებზე გადასასვლელად ხიდები ყოფილა გამართული. სტრაბონის ცნობით, ფაზის მდინარეზე ას ოცი ხიდი ყოფილა გადებული. სტრაბონი ამბობს: „ფაზის მდინარე ჯერ ნელ-ნელა და ფრიად მიხვეულ-მოხვეულად მიდის, რასაც ამტკიცებს ის ას ოცი ხიდი, რომელიც გადებულია იქ და რომლის შემწეობით კაცმა უნდა გადაიაროს და გადმოიაროს ეს მდინარე"[1] (*ალ. ჭყონია*, გვ. 210; Лат., I, 139).

პ. უსლარის აზრით, ინდოეთიდან წამოღებული საქონელი კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე მრავალჯერ უნდა ამოეზიდათ მდინარეებიდან

---

[1] კლასიკური მწერლები ფაზისის სახელწოდებას ხშირად ურევენ და ამ სახელით, გარდა რიონისა, ზოგჯერ იხსენიებენ ხან ჭოროხს და ხან ყვირილას. ამ შემთხვევაში კი ფაზისად სტრაბონი გულისხმობს ყვირილას, რომელიც შორაპნის ქვემოთ ერთვის რიონს.

და ხან ხმელეთით და ხან ისევ მდინარეებით უნდა ეტარებინათ. ყოველივე ეს ნიშნები სატრანზიტო ვაჭრობისა, ამტკიცებს, რომ კავკასიაში მიმოსვლა კეთილმოწყობილი ყოფილა და უშიშარი. ეჭვს გარეშეა, რომ უძველეს დროში, ფაზისზე (რიონზე) დაჰყავდათ სავაჭრო გემები. შორაპნის ზევით საქონელი დაჰქონდათ მდინარის ზემო ნაწილის გაყოლებით, დაკლაკნილ ხევში, სადაც ას ოცდაერ უნდა გადასულიყვნენ ხიდებზე (*П. К. Услар*, стр., 425-426). კულტურულ-ეკონომიკურად დაწინაურებულ კოლხეთს უნდა ჰქონოდა თავისი მწერლობაც, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. არსებული წყაროების მიხედვით, ირკვევა, რომ კოლხები სარგებლობდნენ ბერძნული დამწერლობით, რასაც მოწმობს, სხვათა შორის, კოლხურ ფულებზე გამოსახული ბერძნული ასოები და აგრეთვე კოლხეთის მეფის არისტარსის ფულზე ბერძნული წარწერა[1].

საბერძნეთ-რომსა და კოლხეთს შორის კულტურულ ურთიერთობას მოწმობს აგრეთვე კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური ნაშთები. მათ შორის საყურადღებოა, 1933 წელს დაბლაგომში (სამტრედიის რაიონი) აღმოჩენილი ქვევრის სამარხები, რომლებშიაც აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის სამკაულები და წვრილი კოლხური ვერცხლის ფულები. დაბლაგომის ეს სამარხები ეკუთვნის III-I სს. ძვ.წ.[2]. თვით დაბლაგომი მდებარეობს ისტორიულად მნიშვნელოვან მუხირისის მხარეში მდ. რიონსა და ცხენისწყალს შორის. ეს ადგილი აღწერილი აქვთ ბიზანტიელ მწერლებს, როგორც მდიდარი და ნაყოფიერი კუთხე კოლხეთისა[3].

ასეთივე მნიშვნელოვანია სოფ. ბორში (ხარაგაულის რაიონი) აღმოჩენილი ძვირფასი განძი, რომელიც შეიცავდა ვერცხლის ჭურჭელსა და სამკაულებს. ამ ნივთების ნაკეთობა და სტილი რომაულია და ეკუთვნის I ს. ჩვ. წ.[4] ბორი მდებარეობს ძველ ციხე-ქალაქ შორაპანთან, რომელიც წარმოადგენდა კოლხეთის დიდ სავაჭრო ცენტრს.

---

[1] ***О. Ф. Ретовский***, Драхма Аристарха Колхидского, ТМН О-ва, III, გვ. 1; ***Е. А. Пахомов***, Монеты Грузии, გვ. 6-7.

[2] დაბლაგომის არქეოლოგიურ გათხრებს ჩვენ ვაწარმოებდით 1933 წელს. განათხარი მასალა დამუშავებულია და დაიბეჭდა (იხ. ***С. Макалатия***, Археологические находки в Даблагоми и Агаяни, Совєтская Археология, Т. V, 1940 г., стр. 265-271).

[3] პროკოპი კესარიელი, იხ. მოხირისი, გეორგიკა, ბიზანტ. მწერ. ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბილისი 1934 წ., გვ. 73, 90, 163, 166, 167, 178.

[4] ***Придик***, Новые Кавказские клады, МАР, стр. 34, 101-109.

1930 წელს ენგურის პირას სოფ. თაგილონში (ზუგდიდის რაიონი). აღმოჩნდა მაღალი ხელოვნებით შესრულებული ოქროსაგან გამოქანდაკებული ირმის თავი, ოქროს სამკაულები, ვერცხლის ფიალა და სხვა. ეს ნივთები ეკუთვნის I ს. ახ. წ.[1]

ამავე სტილისა და ხელოვნების ნივთები აღმოჩნდა აგრეთვე 1929 წელს სოფ. ნოსირში. მათში შესანიშნავია გველის ქანდაკება ოქროსი, ბეჭდები, ღილები და სხვა. ნოსირი აბაშასა და ტეხურის შუა არის მოთავსებული, სწორედ იმ ადგილას, სადაც დიდი საომარი ოპერაციები სწარმოებდა რომსა და ირანს შორის კოლხეთის დასაპყრობად. მის სამხრეთით იყო ციხესიმაგრე ნესოსი, დღევანდელი ისულეთი, ჩრდილოეთით კი არქეოპოლისი, ახლა ნოქალაქევი[2].

ალექსანდრე ძაკელონელის ოქროს ფული სოფ. რეყედან.

საყურადღებოა, რომ ასეთივე აღმოჩენას ადგილი ჰქონდა არქეოპოლისის (ნოქალაქევის) მახლობად, მდინარე აბაშის პირას, სოფ. ბანძაში 1923 წელს. აქ აღმოჩნდა რომის ბატონობის პერიოდის სამკაულები, ვერცხლის ფიალა და იმპერატორ ანტონინეს ვერცხლის ფული[3].

როგორც ცნობილია, ანტონინე კეისარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლაზიკის (კოლხეთის) სამეფოს, რომელიც მისივე მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ლაზიკის მეფედ მას ბაკური (Pacorum) დაუნიშნავს[4].

ბანძის მახლობლად სოფ. სეფიეთში, რომელიც 7 კილომეტრით

---

[1] *А. Амиранашвили*, Новая находка в низовьях р. Ингура, Тб; 1935 г.

[2] იხ. *გეორგიკა*, შენიშვნა. გვ. 189.

[3] *ს. ბაკალათია*, 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქარ. მუზ. მოამბე, ტ. IV, თბ., 1928 წ., გვ. 182-186.

[4] იხ. *Латышев*, т. 2, вып. 2, გვ. 194; *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 161.

არის დაშორებული ნოქალაქევს (ძველ არქეოპოლისს), 1931 წელს აღმოჩნდა რომაული ფულების დიდი განძი, რომელიც შეიცავდა 500 ც. ვერცხლის ფულს. ეს ფულები მოჭრილია სხვადასხვა დროს დაწყებული *იმპერატორ ტრაიანედან* (98-117 წწ.) და *ალექსანდრე სევერით* (222-235 წწ.) დამთავრებული. სულ 14 იმპერატორის მიერ მოჭრილი ვერცხლის ფულებია[1]. სოფ. სეფიეთი აბაშის პირას მდებარეობს და ეს ადგილი წარმოადგენდა



რომაული ფულები. აღმოჩენილია სოფ. სეფიეთში.

ირან-ბიზანტიის ბრძოლების ერთ-ერთ ასპარეზს.

რომაული ფულების ასეთი დიდი განძის აღმოჩენა კოლხეთის ტერიტორიაზე მეორე შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. პირველ ასეთ აღმოჩენას ადგილი ჰქონდა სოფ. გერზეულში, სოხუმის რაიონში

[1] ეს განძი ჩემ მიერ შესწავლილია და გამოსაცემად არის გამზადებული.

(ძველი კოლხეთის ტერიტორია), სადაც აღმოჩენილია 467ც. რომაული ვერცხლის ფული კაბადოკიის კეისრისათვის მოჭრილი. ფულების ეს განძი ეკუთვნის I-II სს. ახ. წ. და იგი იჭრებოდა იმპერატორ ნერონიდან (54-68 წწ.) ლუკი ვერონამდის (161-169 წწ.)[1].

ყველა ეს აღმოჩენა ადასტურებს კლასიკური მწერლების ცნობებს, რომ ძველი კოლხეთის მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური განვითარება საკმაოდ მაღალი დონისა იყო.

2. ლაზიკა — ეგრისი

რომაელების შემოსევის შემდეგ, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ძველი კოლხების პოლიტიკური მესვეურობა გადადის ლაზების ან ეგრისელების ხელში და მთელ ამ მხარესაც რომაელებმა უწოდეს „ლაზიკა". მაგრამ ამის შემდეგაც ამ მხარეს დიდხანს შერჩა პარალელურად თავისი პირვანდელი სახელწოდება — კოლხეთიც და რომაულ-ბერძნულ მწერლობაში ლაზიკა გაიგივებულია კოლხეთთან. *პროკოპი კესარიელი*, რომელიც ცხოვრობდა VI ს. პირველ ნახევარში, თავის თხზულებაში „De bello Gothico" IV, ამბობს: „რომ კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკა ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო"[2]. ამასვე იმეორებს *იოანე ლიდე* (VI ს.): „ევროპაშია კოლხიკე, რომელსაც ახლა ლაზიკეს ეძახიან"-ო (იქვე, გვ. 205). არიანეს უსახელო რედაქტორი (V ს. ახ. წ.) ამტკიცებს: დიოსკურიიდან ან სებასტოპოლიდან მდ. აფრასამდე უწინ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ახლა შეერქვათ ლაზები"-ო (Лат., I, 275).

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ V-VI საუკუნეების ცნობილი ბიზანტიელი მწერლები, განსაკუთრებით პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი, რომლებსაც მოეპოვებათ ყველაზე ვრცელი ცნობები ლაზიკის შესახებ, ხშირად მას იხსენიებენ კოლხეთის სახელწოდებით.

---

[1] ***М. М. Иващенко***, Герзеульский клад монет Кесарии Кападокийской (Изв. ГАИМК, т. VII, вып. X, Ленинград, 1931г.).

[2] „გეორგიკა", ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა; თბ., 1934 წ., გვ. 21.

ლაზურ-მეგრული ტომობრივი სახელწოდება — *ლაზი* სვანური წარმოშობისაა „*ზან*“ ან „*ჯან*“, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ სვანები მეგრელებს დღესაც ეძახიან „*ზანარ*“-ს, სამეგრელოს კი „*ზან*“-ს.

აკად. *ნ. მარის* თქმით: „ტერმინი „*ლაზ*“ არის ელინიზირებული ფორმა „*ზანები*“-ს ქვეყნის სახელწოდებისა. ის წარმოშობილია პრეფიქსი „la(-zen-i)-ის“ დახმარებით, მაგრამ იგი წარმოშობით არც ჭანურია და არც მეგრული. ის შეიძლება იყოს ნაშთი იაფეტური შტოს სვანური ჯგუფის რომელიმე ენისა. სახელწოდება „*ჭანი*“ გადაჰქონდათ მეგრელებზედაც; ლაზიკის ქვეშ ხშირად იგულისხმებოდა სამეგრელო, როგორც მაგალითად იმპერატორ ჰერაკლეს დროს მეგრელების სახელწოდება ვრცელდებოდა ჭანებზედაც. სამეგრელოს ქვეშ ესმოდათ ლაზიკა, ამიტომ ხშირად ტრაპიზონის შესახებ ვკითხულობთ, რომ ეს ქალაქი იმყოფება სამეგრელოშიო“[1].

ლაზურ-მეგრული სამეფოს ეს რომაულ-ბიზანტიური სახელწოდება — ლაზიკა ქართულ საისტორიო მწერლობაში არ იხსენიება. ქართულ მატიანეში იგი ცნობილია „*ეგრისი*“-ს[2] სამეფოს სახელწოდებით.

აქედან არის ნაწარმოები მეგრელების სატომო სახელი ძველ სომხურში „*ეგერ*“-ქ და აფხაზური *აგრ-უა*. ამ ფუძიდან „ეგერ“ ნაწარმოებია ქართული მ-ეგერ-ელი და ადგილობრივი (მეგრული) „მ-არგ-ალი“[3]. ეს ფორმა მოცემულია აგრეთვე პტოლემეს „*მანრალებში*“. თავის გეოგრაფიულ აღწერაში ის ამბობს: „რომ კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზემოგანში კი მანრალები (მეგრელები) და ხალხი, რომელიც ცხოვრობს ეკრეკტიკის ქვეყანაში“-ო (Лат., I, 241). იხ რუკა II.

ერთი სიტყვით, აქედან ირკვევა, რომ სამეგრელოს ძველი ქართული

---

[1] *Н. Марр*, Крещение армян, грузин, абхазов и аланов (Зап. Вост. От. Имп. Рус. Археол. общ., т. XVI, стр. 165-166); его-же, Из поездки в Турецкий Лазистан, СПБ. 1900 г., стр. 571).

[2] *ლეონტი მროველი*, ცხოვრება მეფეთა, (იხ. მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება. ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ. 1916 წ., გვ. 2-3, 10, 19-21), ვახუშტი, აღწერა ეგრისის ქვეყნისა, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1904 წ. გვ. 255;

ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, თბილ., უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, თბილ., 1936 წ., გვ. 266-276.

[3] *И. В. Мегрелидзе*, Лазский и мегрельский слой в грузинском (Труды инст. языка и мышления им. Н. Я. Марра, Ленинград, 1938, стр. 67).

ს. კაკაბაძე, სახელწოდება 'მარგ-ალი“-ს წარმოშობას უკავშირებს კოლხეთში მოსახლე ტომს „მარ“-ს, რომელსაც ჰეკატე მოსინიკების მეზობლად ასახელებს (იხ. *ს. კაკაბაძე*, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წ. I, თბილისი, 1934 წ., გვ. 66).

სახელწოდება — *ეგრისი* და შემდეგში აქედან ნაწარმოები *სა-მ-ეგრ-ელო* აღნიშნავდა რომაულ-ბიზანტიურ ლაზიკას.

ქართველ მემატიანეს *ლეონტი მროველს* სახელწოდება ეგრისი გამოჰყავს მეგრელების მითიური წინაპარი — ეგროსისაგან და იგი იძლევა ამის წარმოშობის ასეთ სქემას: „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა ამა ნათესავთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძის წული იაფეთისი ნოეს ძისა"-ო (იხ. ქართ. ცხოვრება, გვ. I). ლეონტის თეორიით, ამ თარგამოსს ჰყოლია რვა გმირი შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას და *ეგროსი*, რომლისაგან მეგრელები წარმოშობილან[1].

ეგროსისათვის თარგამოსს მიუცია დღევანდელი დასავლეთი საქართველო: „ეგროსსა მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღუარი აღმოსავლით მთა ლიხი, დასავლით ზღუა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი, აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია" (ქარ. ცხოვ., გვ. 3).

ამგვარად, ლეონტი მროველის თეორიით, მეგრელები წარმოშობილან ეგროსისაგან, დასახლებულან დასავლეთ საქართველოში და მათ ქვეყანასაც ეგრისი დარქმევია. ლეონტი მროველის ამ ეპიზოდური და საეჭვო შინაარსის თხრობის გარდა, სხვა ცნობები III-IV სს. ეგრისის შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობაში ჩვენ არ მოგვეპოვება. აღნიშნული პერიოდის ეგრის-ლაზიკის ისტორიის შესწავლისა და გაცნობის საშუალებას იძლევა ბიზანტიური საისტორიო წყაროები, რომელშიაც იგი ცნობილია მხოლოდ ლაზიკის სახელწოდებით. ამიტომ ეგრისის ნაცვლად, ჩვენ აქ ვხმარობთ სახელწოდება ლაზიკას, როგორც ეს სახელწოდება მიღებული და გამტკიცებულია საისტორიო მწერლობაში.

ლაზიკის სამეფო მოქცეული იყო ძველი კოლხეთის საზღვრებში, რომელიც შეიცავდა მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. მის დასავლეთ-სამხრეთით ცხოვრობდა მათივე მონათესავე ტომი სანები ან ჭანები, რომელთა საზღვარი აღწევდა ტრაპიზონამდე. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით: „ჭანები ცხოვრობდნენ ევქსინის პონტოს სამხრეთით ქალაქ ტრაპიზონის ქვემოთ"-ო[2].

---

[1] საყურადღებოა, რომ ბერძენ მწერალს ეპიფანეს (IV ს.) ლაზები ნოეს შვილის ხემის შთამომავლად მიაჩნდა (Лат., I, 707).

[2] *ს. ყაუხჩიშვილი*, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ ტ. III, სახუნტის გამოცემა, თბ., 1936წ., გვ. 181.

ლაზიკის სამეფოში მოსახლეობდნენ შემდეგი ტომები: თვით ლაზ-მეგრელები, წინათ კოლხებად წოდებული. პროკოპი კესარიელი ამბობს: „კოლხები შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფაზის მდინარეზე მოსახლეობენ. ხოლო სახელი „კოლხები", როგორც სხვა მრავალი ტომისა, ამჟამად „ლაზთა" სახელად შეიცვალა"-ო (*გეორგიკა*, გვ. 91).

ამასვე იმეორებს აგათია სქოლასტიკოსი, რომელიც ამბობს: „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას"-ო (ბიზ. მწერ. ცნობები, ტ. III, გვ. 27).

ამ ლაზ-მეგრულ ტომს ეჭირა ლაზიკის ცენტრალური ტერიტორია — რიონ-ჭოროხის ხეობა, მათი შენაკადებით. პტოლემეს ცნობის მიხედვით, ზღვის პირი და ჭოროხის ხეობა ეჭირა ლაზურ მოსახლეობას, ზეგანი და რიონის (ფაზისის) ხეობა კი მეგრელებს. ლაზიკის სამეფოში შედიოდნენ აბაზგები (აფხაზები), რომლებიც ემორჩილებოდნენ ლაზთა მეფეებს: ზღვის პირას, ამბობს პროკოპი კესარიელი, აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილი კავკასიონის მთებამდე გრძელდება. აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი (*გეორგიკა*, გვ. 103).

ლაზიკის ჩრდილოეთის საზღვარზე მდებარეობდა სკვიმია (ლეჩხუმი) და სვანია (სვანეთი), რომელნიც ემორჩილებოდნენ ლაზთა მეფეებს. პროკოპი კესარიელის ცნობით: „ამათ შემდეგ (ლაზიკეში) შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია, ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მაცხოვრებლებს მთავრებად ჰყავდათ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ" (*გეორგიკა*, გვ. 96-97).

ერთი სიტყვით, ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ეჭირა საკმაოდ ფართო ტერიტორია, რომელიც შეიცავდა დღევანდელ გურიას, ქვემო იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სამეგრელოს, სვანეთს და აფხაზეთს.

ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი და სატახტო ქალაქი იყო არქეოპოლისი[1] (ნოქალაქევი). ეს ქალაქი მდებარეობდა მდ. ტეხურის

---

[1] არქეოპოლისი დადგენილია დღევანდელ ნოქალაქევად, რომელიც მდებარეობს სენაკის რაიონში და სადგურ სენაკიდან 17 კილომეტრით არის დაშორებული ჩრდილოალმოსავლეთით. აქ დღემდის არის დაცული მისი ძველი კედელი, ციხე-კოშკები, V ს. ეკლესია და სხვ. (იხ. არქეოპოლისი, ბიზანტიის მწერლების ცნობები საქართ. შესახებ, ტ. III, გვ. 318-320); *Г. Чубинашвили* "К вопросу о Нокалакеви", ტფ., უნივერ. მოამბე, ტ. XI, გვ. 118 -138. ვახუშტის ნოქალაქევის ეს ციხე მიაჩნია ციხე-გოჯად, რომელიც ქართლის ცხოვრების ცნობით, აუშენებია ეგრისის ერისთავს ქუჯის (ქართ. ცხოვ. გვ. 20). ამის შესახებ ვახუშტი ამბობს: „აწ სენაკის ზეით, უნაგირას ძირში, არს ნოქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული"-ო (იხ. მისი საქარ. გეორგ., გვ. 298); *თედო ჟორდანია*, ციხე ქუჯისა, ანუ ციხე გოჯი, გაზ. „იერია", 1900 წ., №№ 192, 193.

პირას და შემოზღუდული იყო მაღალი გალავნით და ციხე-კოშკებით. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: „არქეოპოლისი არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“-ო (*გეორგიკა*, გვ. 152).

ლაზიკის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში იდგა მეფე, რომელსაც ირჩევდნენ მემკვიდრეობით. ლაზიკის მეფეს ამტკიცებდა ბიზანტიის კეისარი, რომლისგანაც იგი იღებდა სამეფო ნიშნებსა და საჩუქრებს. ლაზიკა ბიზანტიას არც ხარკსა და არც ჯარს უგზავნიდა მხოლოდ ვალდებული იყო ჩრდილოეთის საზღვრები გაემაგრებინა და იქიდან ჰუნები და სხვა ტომები არ გადმოეშვა და ბიზანტიის სამფლობელო მათი შემოსევისაგან დაეცვა.

ლაზიკა-ბიზანტიის ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ ვრცელ ცნობებს იძლევა პროკოპი კესარიელი, რომელიც მოგვითხრობს:

„ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთებიდან ლაზიკეზე გამოვლით რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე, რომ არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან და არც ჯარს და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად, — რა სახითაც უნდა ყოფილიყო ეს — და მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მარილი ჰქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რამ სიკეთე; ისინი მხოლოდ აწვდიდნენ ტყავსაფარებს, ტყავებს და მონებს და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდნენ“-ო (*გეორგიკა*, 45-46).

პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, ლაზთა მეფეები ენათესავებოდნენ ბიზანტიის კეისრებს და ცოლად ირთავდნენ მათ ქალებს:

„ლაზთა მეფეები, ამბობს პროკოპი კესარიელი, ბიზანტიონში გზავნიდნენ ელჩებს და მეფის თანხმობით, უნათესავებდნენ დარბაზისაგანთ და მოჰყავდათ იქიდან ქალები ცოლებად“-ო (*გეორგიკა*, 129).

ამასთანავე, ლაზებს და მათ მესვეურებს არ აკლდათ პოლიტიკური გამჭრიახობა და გულადობა, რასაც აღნიშნავენ თვით ბიზანტიელი მწერლებიც. აგათია სქოლასტიკოსი ლაზებს ასე ახასიათებს:

„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზე მბრძანებლობენ: ამყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით. იმ დროს, როდესაც წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამდე მათთან არგოს ნავი მივიდოდა[1], ეხლანდელი მცხოვრებლები დაცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით, თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონით სახე მიუციათ“-ო (ბიზ. მწერ. ცმ., ტ. III, გვ. 50-51).

ლაზიკის სამეფოს ჰქონდა მდიდარი და ნოყიერი ადგილებიც, როგორიც იყო, მაგალითად, მოხირისი, რომლის შესახებ პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს.

„მოხირისი[2] ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება ეს ითქვას. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი (რიონი); მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელსაც კოტიაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთა-

---

[36] აქ იგულისხმება მითი არგონავტების მოგზაურობის შესახებ კოლხეთში. არგოსი ნიშნავს ხომალდს, რომლითაც არგონავტები პირველად ესტუმრნენ კოლხეთის მეფე აიეტს.

[37] ეს მხარე მდებარეობდა მდინარე ცხენისწყალსა და რიონს შუა. მას რიონი საზღვრავდა სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი შეიცავდა დაახლოებით დღევანდელი სამტრედიის, ხონისა და ქუთაისის რაიონებს. სახელწოდება მოხირისი (მუხირისის, მუხურის) დღესაც ცოცხალია სამეგრელოში: სოფ. მუხური (სენაკ. რ-ნი), სოფ. მუხური ჩხოროწყუს რაიონში, მუხურჩა და სხვა (იხ. გეორგიკა, შენიშვნა მოხირისზე, გვ. 177-178).

თისს ეძახიან“-ო (*გეორგიკა*, გვ. 163-164).

ლაზიკას თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ეჭირა სტრატეგიული მნიშვნელობის შავი ზღვის სანაპირო. ლაზიკიდან დასავლეთიდან ღმოსავლეთისაკენ გადიოდა იბერია-ალბანიის სავაჭრო გზა ირან-ინდოეთში მიმავალი. ლაზიკის ჩრდილოეთის საზღვრებიდან ბიზანტიას საფრთხე მოელოდა ჰუნებისა და სხვა ჩრდილოეთში მობინადრე ტომების შემოსევებით. მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე მოსალოდნელი იყო ირანის მხრივ, რომელიც ვერ ურიგდებოდა ბიზანტიის ბატონობას ამიერკავკასიაში და მცირე აზიის ქვეყნებში. ამიტომ ლაზიკის შემომტკიცებას და ციხე-სიმაგრეებით შემოზღუდვას ბიზანტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აქცევდა. ლაზიკის ციხე-სიმაგრეებში ცნობილია სკანდე, შორაპანი, როდოპოლისი, ტელეფისი, ნესოსი, უქიმერიონი, არქეოპოლისის ციხე, პეტრა და სხვ.[1]

მათ შორის პირველ-ხარისხოვან ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა პეტრას ციხე, რომელიც ააგეს ბიზანტიელებმა იუსტინიანე კეისრის დროს.

ამ ციხე-სიმაგრეებს პროკოპი კესარიელი ასე აგვიწერს: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული. სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისკენაა. ყველაზე შესანიშნაები ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასდროს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა“-ო (*გეორგიკა*, გვ. 72-73). შემდეგ პროკოპი კესარიელი თვით ქალაქ პეტრას ასე აგვიწერს:

„პეტრა ზღვის პირა ქალაქია კოლხეთში ეგრეთ წოდებულ ექვსინის პონტოსთან. ქალაქი პეტრა მიუვალია ჯერ ზღვის მხრით, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც აქ ყოველი მხრით არის აღმართული: აქედან არის, რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად.

---

[38] ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზიკაში (იხ. ბიზ. მწერ. ცნობები, ტ. II, დამატება, გვ. 304-320); სკანდის ციხე მდებარეობს ჩხარის რაიონში იმავე სახელწოდების სოფელში; შორაპნის ციხის ნანგრევები დღესაც დაცულია შორაპანში; როდოპოლისი, იგივე ვარდციხე მდებარეობს ბაღდადის რაიონში. ტელეფისი მდებარეობდა სოფ. ტოლებში, გურიაში; ნესოსი იყო აგებული სოფ. ისულაში, სენაკის რაიონი; უქიმერიონი მდებარეობდა ქუთაისის მახლობლად.

მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას დაბლობში. ისიც არც თუ ისე ფართე, ვინაიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეებია დაკიდებული"-ო.[1] (*გეორგიკა*, გვ. 54-57).

პეტრას ციხის ასეთი გამაგრება გამოწვეული იყო ირანის შემოტევის შიშით. ირანი ვერ ითმენდა ბიზანტიის ბატონობას იბერიასა და ლაზიკაში და იგი ემზადებოდა ამ ორივე ქვეყნის ხელში ჩასაგდებად.

ირანსა და რომს შორის პოლიტიკური ურთიერთობა უფრო გამწვავდა, როდესაც ირანის სამეფოს სათავეში მოექცნენ სასანიანთა საგვარეულოს მეფეები. ამ დინასტიის პირველი ძლიერი შაჰი იყო არდაშირი, რომელმაც დაამარცხა წინანდელი დინასტიის (არშაკუნიანების) მეფე და 224 წ. ხელში ჩაიგდო მთელი ირანი. არდაშირი და სასანელთა ახალი სამეფო გვარი სპარსეთის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მიმართულების განმაახლებელი და სულის ჩამდგმელი იყვნენ. მან უარყო ბერძნული კულტურის გავლენა, რწმენა და ადათ-ჩვეანი. სამაგიეროდ, განაახლა ძველი ირანული ადათები, აღადგინა და გააძლიერა პართული ეროვნული რელიგია — მაზდეანიზმი (ცეცხლთაყვანისცემა).

არდაშირმა, ამასთანავე, თავის სახელმწიფოში ჩაატარა მთელი რიგი რეფორმები, შემოიერთა მრავალი პროვინცია, შექმნა ძლიერი მხედრობა, განავითარა აღებ-მიცემობა და სხვა. გაძლიერებულმა ირანმა ახლა დაიწყო რომის იმპერიის წინააღმდეგ აქტიური პოლიტიკის წარმოება მცირე აზიისა და ამიერ-კავკასიის დასაპყრობად. სასანიანთა მეფეების მიზანი იყო რომის ბატონობის განდევნა იბერია-ლაზიკიდან და შავი ზღვის სანაპიროების შემომტკიცება, რათა აქედან გადასულიყვნენ თვით რომაელთა შეტევაზე.

ამიტომ სასანიდებმა დაიწყეს პირველ რიგში იბერიაზე შეტევა, როგორც მოსაზღვრე ქვეყანაზე და ცდილობდნენ იბერიის სამეფოს რომის ბატონობიდან გამოგლეჯას. ირანისა და რომაელ-იბერიელთა

---

[1] პეტრას ადგილ-მდებარეობას საისტორიო მწერლობაში სხვადასხვა ადგილას უჩვენებენ. ბიზანტიელი მწერლების აღწერით იგი მდებარეობდა შავი ზღვის პირას, დღევანდელი ბათუმის მახლობლად და ამ ძველ პეტრად დღეს მიჩნეულია ციხისძირი, იხ. გეორგიკა, შენიშვნა, გვ. 58-60, 77; *Акад. Успенский*, Старинная крепость на устье Чороха, Изв. Акад. Наук., 1917 г., №2, 163-169; *ს. ჯანაშია*, „ციხე-ქალაქი პეტრას აშენება, პეტრას ადგილმდებარეობა", ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფილ., 1935 წ., გვ. 27-34.

ჯარებს შორის ამის გამო რამდენიმე შეტაკებას ჰქონდა ადგილი. ბოლოს ირანის მეფე ნარსე (293-302 წწ.) დაამარცხა რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ და მათ შორის 298 წ. ქალაქ ნიზიბინში დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იბერია რომის მფარველობაში დარჩა (ბიზანტ. მწერ. ცნ. ტ. III, გვ. 192-194).

ამ პოლიტიკურ ბრძოლას დაერთო რელიგიური ანტაგონიზმი, რაც გამოიხატებოდა მაზდეანობისა და ქრისტიანული მოძღვრების პირველობისათვის ბრძოლაში იბერიისა და ლაზიკის სამეფოში.

ირანის შაჰები თავიდანვე ცდილობდნენ, რომ იბერია-ლაზიკა თავიანთი პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის ქვეშ მოექციათ და ამიტომ აქტიურად ავრცელებდნენ მათში მაზდეანურ რწმენას.

ცეცხლის თაყვანისცემის ცენტრად იბერიაში ითვლებოდა მცხეთა, სადაც ენთო ცეცხლის გაუქრობელი კოცონი და მაზდეანთა მოგვები სალმრთო ცერემონიალს ასრულებდნენ. ამ რწმენის მიღებით თუ თანაგრძნობით განისაზღვრებოდა იბერია-ლაზიკაში პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც.

ამის საწინააღმდეგოდ, რომი-ბიზანტია იბერია-ლაზიკაში ავრცელებდა თავის ქრისტიანულ მოძღვრებას. ქრისტიანული მოძღვრება დასავლეთის რწმენითა და იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი და ამიტომ ქრისტიანობის გავრცელება ირანულ მაზდეანობას იბერია-ლაზიკეში საფრთხეს უმზადებდა.

ნიზიბინის (298 წ.) ხელშეკრულების შემდეგ, გამარჯვებული რომისათვის საჭირო გახდა იბერია-ლაზიკის პოლიტიკურ-იდეოლოგიური შემომტკიცების მიზნით, გავლენიან პირთა მაზდეანური რწმენიდან განთავისუფლება, ქრისტეს მოძღვრებაზე მოქცევა და ამგვარად სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურადაც ამ ორი ქვეყნის რომთან დაკავშირება. ქრისტიანობა ამ დროს (313 წ.) აღიარებული იყო რომის ოფიციალურ რელიგიად და 337 წ. შესაძლებელი გახდა იბერია-ლაზიკაში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარება[1]. ქრისტიანობის განმტკიცება ნიშნავდა რომის პოლიტიკური ძალაუფლების გამარჯვებას იბერია-ლაზიკაში.

ირანის მეფეები ამას კარგად ხედავდნენ და ყოველგვარ ხერხს იყენებდნენ, რომ თავიანთი გავლენა როგორმე შეენარჩუნებინათ

---

[1] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ. 1927 წ., გვ. 163-208.

იბერია-ლაზიკაში. ისინი რამდენჯერმე შეეცადნენ რომის მიერ დანიშნული და დამტკიცებული იბერია-ლაზიკის მეფე ტახტიდან გადაეგდოთ და თავიანთი კანდიდატი დაესვათ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ.

ირანის პოლიტიკურ გავლენასა და გაბატონებას იბერია-ლაზიკაში ხელს უშლიდა ქრისტიანობა, რომელიც ორივე ქვეყანას იდეოლოგიურად და კულტურულ-სარწმუნოებრივად აკავშირებდა აღმოსავლეთ რომ-ბიზანტიასთან.[1]

ამიტომ ირანის საზრუნავი ახლა ის იყო, რომ იბერია-ლაზიკაში ქრისტიანობა აღმოეფხვრა და შეეცვალა იგი მაზდეანური რწმენით. ამ ამოცანის განხორციელებას შეუდგა ირანის შაჰი იეზდიგერდ II (438-457 წწ.), რომელმაც შეძლო სომხეთის დაპყრობის შემდეგ, იბერიის მეფის ვახტანგ გორგასლის (446-499 წწ.) დამარცხება და იბერიის სამეფოს ხელში ჩაგდება.[2]

ამის შემდეგ, ირანის მეფეები შეუდგნენ ლაზიკის გადმობირებას თავიანთ მხარეზე და საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ლაზთა მეფეებთან, ურჩევდნენ მათ მიეღოთ მაზდეანობა და ამით თავი დაეღწიათ ბიზანტიის ბატონობისაგან.

ამ მიმართულებით უფრო აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა მეფე კავადი (488-531 წწ.), რომელიც ბიზანტიას ედავებოდა ლაზიკაზე თავის უფლებებს. ამ საკითხის მოსაგვარებლად ბიზანტიასა და ირანს შორის ჩქარა დაიწყო მოლაპარაკება. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის სიტყვებით: „ირანის წარმომადგენელ-

---

[41] ამ პერიოდში საისტორიო წყაროებში აღმოსავლეთი რომი და ბიზანტია იხსენიება ერთი და იგივე მნიშვნელობით. ჩვენც მას ასეთივე მნიშვნელობით ვხმარობთ.

ბიზანტია შეადგენდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს. როდესაც რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (312-337 წწ.) ქრისტიანობა 313 წელს აღიარა რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად, მან წარმართული რომიდან თავისი საბრძანებელი გადაიტანა 330 წელს ძველ ბიზანტიაში, რომელიც მდებარეობდა ბოსფორის სრუტესთან. ამ ქალაქს ეწოდა კონსტანტინოპოლი და იგი ჩქარა გადაიქცა რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად. თეოდოსი დიდის სიკვდილის შემდეგ (395 წ.), რომის იმპერია ადმინისტრაციულად იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთში გამეფდა არკადი, დასავლეთის ნაწილში კი ჰონორი. ამის შედეგად, აღმოსავლეთის ნაწილის ცენტრად თანდათანობით იქცა ძველი ბიზანტია, დასავლეთისა კი — რომი. VII საუკუნემდე აღმოსავლეთი ნაწილი ატარებდა რომისა და აგრეთვე ბიზანტიის სახელწოდებას, შემდეგში კი, როდესაც აღმოსავლეთის ნაწილში ლათინური ენა შეცვალა ბერძნულმა და გაბატონდა ბერძნულ-აღმოსავლური კულტურა, მას ეწოდა ბიზანტია.

[42] *იე. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 216.

მა სეოსმა თქვა, რომ კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკა ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ. რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ ამას, სპარსელები რომ ლაზიკესაც ეცილებოდნენ"-ო (*გეორგიკა*, გვ. 21).

ლაზთა მეფე წათე ამ შემთხვევაში მერყეობდა და ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდა ბიზანტიასა და ირანს შორის. წათეს მიზანი იყო თავი გაენთავისუფლებინა ორივე მოდავე მხარის მფარველობისაგან. სარგებლობდა მოხერხებული მომენტებით და გადადიოდა ხან ერთისა და ხან მეორის მხარეზე. ლაზიკის მეფე კარგად გრძნობდა, რომ ირანსა და ბიზანტიას სურდათ ლაზიკის დაპყრობა, მისი დამოუკიდებლობის მოსპობა და უბრალო კოლონიად გადაქცევა.

ბოლოს ლაზიკა იძულებული გამხდარა ერთ-ერთი მხარის პოლიტიკური ორიენტაცია მიეღო და 515 წ. ლაზთა მეფე წათე მიდის ბიზანტიაში და კეისარ იუსტინეს წარუდგება თხოვნით, რომ იგი მიიღოს თავის მფარველობაში, დაამტკიცოს ლაზთა მეფედ და ალუთქვა ქრისტიანული რწმენის აღიარება. კეისარმა ყველაფერი ეს სიამოვნებით შეუსრულა წათეს, მონათლა იგი და მისი შვილიც. სამეფო გვირგვინითა და ძვირფასი საჩუქრებით წათე დაბრუნდა ლაზიკაში. ამის შესახებ *იოანე მალალა* ასე მოგვითხრობს:

„იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათე გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს (ირანს). სპარსელთა მეფე იყო კავადი, რომელიც ოდესღაც თვით წათეს, ლაზთა მეფის, მეგობრად ითვლებოდა და ამ კავადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო; ამიტომაც იყო, რომ როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათე) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგანაც ეშინოდა — ვაი თუ სპარსელთა მეფე კავადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა. ხოლო, როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, ის მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიაში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა; გაქრისტიანებულმა წათემ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი, სახელად ვალერიანე. მან თან წაიყვანა ის და წავიდა საკუთარ ქვეყანაში, დაგვირგვინებული რომაელთა მეფის იუსტინეს მიერ; მას ემოსა რომაული სამეფო გვირგვინი და თეთრი წმინდა აბრეშუმის ქლამიდი, რომელსაც ძოწეული ზოლის ნაცვლად ჰქონდა

ოქროს სამეფო ზოლი, სადაც შუაში სურათი იყო თვით იუსტინე მეფის გამოსახულებით; აგრეთვე თეთრი სტიქარიპარაგავდი, ამასაც ჰქონდა სამეფო ოქრომკედები, იმნაირადვე თვით მეფის გამოსახულებით; წალები, რომელთაც ატარებდა, თავისი საკუთარი ქვეყნიდან ჩამოეტანა და მარგალიტებით იყო შემკული სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი სარტყელიც მარგალიტებით იყო შემკული" (ბიზანტ. მწერ. ცნ. ტ. III, გვ. 263-265).

კავადმა ეს რომ შეიტყო, საშინლად განრისხდა და ბიზანტიის კეისარს უსაყვედურა, რომ ჩემს ქვეშევრდომს, ლაზიკის მეფეს, სხვადასხვა საჩუქრით მართმევო. ამის შესახებ იოანე მალალა ასე მოგვითხრობს: „ეს რომ გაიგო სპარსელთა მეფემ, კავადმა ელჩის პირით შეუთვალა იუსტინე მეფეს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის მეგობრობაა დადებული და ზავია შეკრული, შენ მაინც მტრულად იქცევი. აი, მაგალითად, ჩემი ქვეშევრდომი მეფე ლაზებისა შენ აკურთხე, თუმცა ის რომაელთა ხელქვეითი კი არ ყოფილა, არამედ იმთავითვე სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო".

ამაზე რომაელთა მეფემ იუსტინემ შემდეგი შეუთვალა ელჩის პირით:

„ჩვენ შენი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არც არავინ მიგვიღია და არც გადმოგვიბირებია: ჩვენთან, ჩვენს სამეფოში, მოვიდა ერთი კაცი, სახელად წათე, და მუდარით მოგვმართა, ჩვენ გვეხსნა იგი წარმართული სარწმუნოებისაგან, უწმინდურ მსხვერპლებისაგან და ეშმაკთა ცდუნებისაგან და გაგვექრისტიანებინა, რათა ის ზიარებულიყო საუკუნო ღმერთისა და ყოველთა დამბადებლის წყალობას. ჩვენ იგი გავაქრისტიანეთ და მის საკუთარ ქვეყანაში გავისტუმრეთ"-ო (იქვე, გვ. 266-267).

ამის გამო, ირანსა და ბიზანტიას შორის დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკება და დესპანების მიმოსვლა. ირანის მეფის დესპანები უმტკიცებენ ბიზანტიელებს, რომ თქვენ ლაზიკა ძალმომრეობით გიჭირავთო, იგი ეკუთვნის ირანის მეფესო. ბიზანტიელები კი თავისას გაიძახოდნენ, რომ ლაზიკა მუდამ ჩვენს მფლობელობაში შედიოდაო.

მშვიდობიანი გზით რომ ვერას გახდა ირანის მეფე, მაშინ მან 520 წელს ლაზთა მეფის წათეს წინააღმდეგ გაილაშქრა, რომ იგი უგულობისათვის სასტიკად დაესაჯა. წათეს მიეშველა ბიზანტიის კეისარი და ლაზ-ბიზანტიელთა შეერთებულმა მხედრობამ ირანის ლაშქარი დაამარცხა და უკუაქცია.

ამას მოჰყვა კავადის წინააღმდეგ ამბოხება იბერიაში და იბერიის მეფე გურგენმა ბიზანტიის კეისარს იუსტინეს (518-527 წწ.) გაუგზავნა მოციქულები და სთხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ. კეისარმა გურგენის სამეფოს დასაცავად ბრძანება გასცა ჯარი გაეგზავნათ, მაგრამ სანამ ბიზანტიის ჯარი იბერიაში შემოვიდოდა, ეს ყველაფერი კავადმა გაიგო და იბერიაში გაილაშქრა. დამარცხებული გურგენ მეფე იბერიიდან გაიქცა ლაზიკაში, საიდანაც იგი თავისი ამალით 523 წელს ბიზანტიაში გაიხიზნა.

531 წელს გარდაიცვალა ირანის მეფე კავადი, რომელიც აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა იბერია-ლაზიკის დასაპყრობად და ამის გამო ხანგრძლივ ებრძოდა ბიზანტიას. ეს გარემოება მეტად ართულებდა პოლიტიკურ ურთიერთობას ბიზანტია-ირანს შორის და კავადის მემკვიდრემ ხოსრო I (531-579 წწ.), და ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ მშვიდობიანობაზე დაიწყეს მოლაპარაკება და 532 წელს დაიდო მათ შორის „საუკუნო ზავი" (ე.წ. „უვადო") ხელშეკრულება.

ეს ზავი შეიცავდა შემდეგ პირობებს: ორივე მხარე ვალდებული იყო ერთმანეთისთვის დაებრუნებინათ დაპყრობილი ადგილები. იბერია-ლაზიკის საზღვარზე ბიზანტიელებს საგანგებო მხედართმთავარი არ ეყოლებოდათ. იბერიიდან გამოქცეულ ქართველებს, სურვილისამებრ, შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნება, ამ ხელშეკრულების თანახმად, ირანელებმა ბიზანტიას ლაზიკის ორი ციხეც დაუბრუნეს (*პრ. კესარიელი*, გეორგიკა, გვ. 31-33).

ამ 532 წლის ზავით იბერია (ქართლი) ისევ ირანელებს დარჩათ, ლაზიკა კი ბიზანტიას. ირანელებმა იბერიაში მეფობა მოსპეს და შემდეგ შეუდგნენ მისი ტერიტორიის დაპყრობის საქმეს: ამაგრებენ იბერიაში შემოსასვლელ ყველა კარებს, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ე.წ. დარიალანის (დარიალის) კარს, საიდანაც ქართველებს შეეძლოთ ხაზარებისა და ჰუნების გადმოყვანა და ირანზე შესევა.

საუკუნო ზავის შემდეგ, ბიზანტიელებმაც ხელი მოჰკიდეს ლაზიკის საზღვრების გამაგრებას, რომ იგი დაეცვათ ირანის მხრივ მოსალოდნელი შეტევისაგან. ამ მიზნით, ბიზანტიელებმა ლაზიკის ციხეებში თავიანთი ჯარები ჩააყენეს. ლაზთა მეფეს ბიზანტიელთა ასეთი მოქცევა არ მოსწონდა. მას ეშინოდა, რომ ჯარის შემოყვანისა და ციხეების გამაგრების შემდეგ, ბიზანტიას ადვილად შეეძლო ლაზიკის მთლიანად დაპყრობა და აქაც მეფობის მოსპობა. ამასთანავე, ბიზანტიის ამ ჯარების უფროსები მეტად უდიერად იქცეოდნენ, მოსახლეობას სხვადასხვა მოთხოვნილებით ძლიერ აწუხებდნენ,

აყენებდნენ შეურაცხყოფას და სხვა. მათში ყველაზე უდიერი იყო სარდალი იოანე ციბე. მისი თანამედროვე ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი მას ასე ახასიათებს: „ხოლო შემდეგ იუსტინიანემ სხვა მთავრები გაგზავნა ლაზიკეში, მათ შორის იოანეც, რომელსაც ციბეს უწოდებდნენ, კაცი არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალი, რომელმაც სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო, რომ, რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გაამრუდა და არივდარია. მანვე დააჯერა მეფე იუსტინიანე — ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა. იქ დაჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში და ძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ, არამედ მან (ე.ი. იოანემ) შემოიღო ეგრეთ წოდებული მონოპოლია და თვით გადაიქცა მეწვრილმანედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომად: ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს ისე, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო. გარდა ამისა, ბარბაროსები (ე.ი. ლაზები) იმითაც იყვნენ უკმაყოფილონი, რომ მათ რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია“ (*პრ. კესარიელი*, გეორგიკა, გვ. 47-48).

ეს ბიზანტიელი მხედართმთავარი იმდენად გათამამდა თურმე, რომ ლაზიკის შინაურ საქმეებშიაც ერეოდა და მეფე გუბაზი თავის უფლებებში ისე შეუზღუდავს, რომ მას მარტო მეფის სახელი შერჩენია, ყველა საგარეო და საშინაო საქმეებს ფაქტიურად იოანე განაგებდა. სამეფო ძალაუფლების მითვისებასთან, იოანე, როგორც პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, პირადი გამდიდრების მიზნით, ცდილობდა სავაჭრო ადგილების ხელში ჩაგდებას (ფაზისი, პიტიუნტი, სებასტოპოლისი და სხვა) და ვაჭრებს იგი ნებას არ აძლევდა საქონელი შეესყიდათ, მხოლოდ ჯერ თვითონ ყიდულობდა და შემდეგ კი მაღალ ფასებში მათზე ჰყიდდა. ასეთი სპეკულაციით, იოანე ციბე უფრო გაძლიერდა და ახლა იგი ქონებრივ-ეკონომიკურადაც დაეპატრონა ლაზთა სამეფოს.

პროკოპი კესარიელის სიტყვებით, იოანეს ასეთმა უხეშმა პოლიტიკამ და ხალხის ყვლეფამ მეტად შეაწუხა ლაზიკის მოსახლეობა და ამან ლაზთა მეფე გუბაზი და მისი ქვეშევრდომნი მოთმინებიდან

გამოიყვანა. მეფე გუბაზმა ამის შესახებ არაერთხელ მიმართა საჩივრით ბიზანტიის კეისარს, მაგრამ ასეთი დასმენა უფრო აბოროტებდა იოანე ციბეს და ლაზიკის მმართველ წრეებს იგი უფრო მკაცრად ეკიდებოდა.

მაშინ გუბაზმა გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა სპარსეთის მეფე ხოსროსათვის და მას საიდუმლოდ კაცები გაუგზავნა. პროკოპი კესარიელის ცნობით, ხოსროს ლაზების მოციქულები მიუღია და მათგან მოუსმენია შემდეგი სიტყვები: „კოლხები ხომ ძველითგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ახლაც არის დაცული. ხოლო შემდეგ ხანებში ჩვენს წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა — მოხდა კი ეს ან თქვენი უზრუნველობით იმათზე, ან სხვა მიზეზის გამო (ჩვენ ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით). ახლა კი ჩვენ და ლაზიკის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ განსაჯეთ ჩვენ შესახებ. საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენს წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ, რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ. იმ აზრით, რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფევ, რანაირ დასკვნამდე მივიდნენ: რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო რაც მათი საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თითოეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად, ისინი გვართმევდნენ მთელ ოქროსაც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახეს. საქმით კი ისინი გვმძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრილმანე (იოანე) რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით,

მოგების საშუალებად ხდის. აი, ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა. იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ახლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებთ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგვხდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“-ო (იხ. *გეორგიკა*, გვ. 49-53).

როგორც ჩვენ ვხედავთ, ლაზთა მეფის ელჩების ამ სიტყვაში გარკვევით არის გადმოცემული ლაზიკის დუხჭირი მდგომარეობა და აგრეთვე მთელი ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა ლაზიკაში ბიზანტიის ხელისუფლება. საყურადღებოა აგრეთვე ელჩების ის მითითება, თუ რა დიდი სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა ლაზიკის შემოერთებას ირანისათვის, რომელსაც აქედან შეეძლო მთელი შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდება და შემდეგ კი თვით ბიზანტიის სატახტო ქალაქის დაპყრობაც.

სპარსეთის მეფეს ლაზიკის მოციქულების წინადადება ძალიან მოეწონა თურმე და მათ დახმარებას შეპირდა. დესპანებმა ალუთქვეს შაჰს, რომ გზებისა ნუ გეშინიათ, ჩვენ თვითონ გავუძღვებით თქვენს ჯარს და კარგი გზით ვატარებთო. ხოსრომ ამასთანავე ელჩები გააფრთხილა, ეს მათი შეთანხმება ჯერ საიდუმლოდ შეენახათ და არავისთვის გაემჟღავნებინათ. ამავე დროს, ხოსრო ლაშქრის შეგროვების თადარიგს შეუდგა და იგი განგებ ხმებს ავრცელებდა, რომ იბერიაში მივდივარ, ვითომც იქაური საქმეების მოსაგვარებლადო.

542 წელს ხოსრო მეფე გასალაშქრებლად მზად იყო და დიდი ჯარით ის იბერიაში შევიდა, აქედან კი ლაზიკისაკენ დაიძრა. ირანის ლაშქარს ლაზების მეთაურები მიუძღოდნენ. სპარსეთის ჯარს უხდებოდა ძნელი გასასვლელი გზების გადალახვა. როდესაც ლაზიკის შუაგულს ხოსრო მიუახლოვდა, მას მიეგება ლაზთა მეფე გუბაზი, რომელიც მიესალმა ირანის მეფე ხოსროს, როგორც თავის მფარველს და სამეფო ძალაუფლება და მთელი ლაზიკა მას

გადასცა (იხ. *გეორგიკა*, გვ. 54).

ირანის ლაშქარმა ციხე-ქალაქ პეტრას ალყა შემოარტყა. ბიზანტიის ჯარი მას დიდ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ხოსროს დიდი ზარალის შემდეგ, ქალაქი მაინც აიღო და ახლა იგი გადავიდა პეტრას ციხე-სიმაგრეების გარემოცვაზე. მეციხოვნე ჯარის სარდალი იოანე ციბე ჭრილობისაგან ჩქარა გარდაიცვალა, ამით ისარგებლეს სპარსელებმა და დაიწყეს პეტრას ციხის ზღუდის ქვეშ თხრილის გაყვანა, რომ ხოსროს ლაშქარი ამ გზით შესულიყო ციხეში. მაშინ ბიზანტიის მეციხოვნე ჯარი დაფრთხა და სთხოვა ხოსროს შერიგება. ხოსრო შეპირდა, რომ მეციხოვნეებს და მათ ქონებას იგი ხელს არ ახლებდა და ყველას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. მაშინ ციხის კარები გაულეს ხოსროს და მან პეტრას ციხე-ქალაქი დაიჭირა. ხოსრომ ხელში ჩაიგდო იოანე ციბეს დიდძალი ქონება და ამით დაკმაყოფილდა.

ხოსრო ამ გამარჯვებით ნასიამოვნები დარჩა და იგი დარწმუნებული იყო, რომ ლაზიკის შემომტკიცების შემდეგ, მას საფრთხე არ მოელოდა დასავლეთის მხრიდან. პირიქით, ახლა მას შეეძლო აქედან გადასულიყო ბიზანტიის შეტევაზე, ხელში ჩაეგდო შავი ზღვის სანაპირო ვაჭრობა, გაეძლიერებინა ნაოსნობა და ამგვარად გაბატონებულიყო შავ ზღვაზე. ამასთანავე, ხოსროს კარგად ესმოდა, რომ ლაზიკის ბიზანტიიდან მოწყვეტის შემდეგ ამბოხების საშუალება ესპობოდა თვით იბერიასაც, რომელსაც მუდამ ზურგს უმაგრებდა დასავლეთით ლაზიკა და ბიზანტია, სადაც მეამბოხე იბერიელები ყოველთვის თავშესაფარს პოულობდნენ.

ირანის ეს დაპყრობითი პოლიტიკა დიდ საფრთხეს უმზადებდა ლაზიკის დამოუკიდებელ არსებობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ირანელებმა ხელთ იგდეს შავი ზღვის სანაპირო სავაჭრო ქალაქები და ინდოეთის სატრანზიტო გზა. ამან ლაზიკა მოწყვიტა დასავლეთის ვაჭრობას და მას საშუალება არ ჰქონდა თავისი აღებ-მიცემობა ეწარმოებინა. ეს იწვევდა ქვეყნის ეკონომიკურად დაქვეითებას და ლაზიკის სამეფოს მოსპობის გზაზე აყენებდა. ამასთანავე, სპარსეთის პოლიტიკა ლაზიკაში ბიზანტიასთან შედარებით, უფრო დესპოტური აღმოჩნდა. ირანი ერეოდა გუბაზ მეფის შინაურ საქმეებში, მათი მოხელეები მოსახლეობას აწუხებდნენ სხვადასხვა გადასახადით. მეციხოვნე ჯარი მცხოვრებლებს ეპყრობოდა უდიერად და ხშირად სარჩოსაც სტაცებდა და სხვა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქრისტიანებისათვის.

ირანელები სდევნიდნენ და ავიწროებდნენ გაქრისტიანებულ ლაზიკს მოსახლეობას, რომელთა შორის ძალდატანებით ავრცელებდნენ მაზდეანობას.

ამიტომ ლაზიკის ხელისუფლება და მოსახლეობა ირანის პოლიტიკით უკვე უკმაყოფილო იყო. ლაზიკას ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის გამოყენების იმედი გაუცრუვდა. გუბაზი გრძნობდა თავის პოლიტიკურ შეცდომას და იგი ახლა იმაზე ფიქრობდა თუ როგორ დაეღწია თავი ირანის ბატონობისაგან.

ხოსრომ ყველაფერი ეს კარგად იცოდა, იგი უნდობლად ეპყრობოდა ლაზიკის მეფეს. მან გადაწყვიტა ლაზიკის საბოლოოდ დაპყრობა, რომ ამით მოესპო ლაზიკაში აჯანყების ყოველგვარი ცდა, ამიტომ ხოსრომ განიზრახა ლაზთა მეფის გუბაზის მოკვლა, ლაზიკის მოსახლეობის აყრა და ირანში გადასახლება, მათ ნაცვლად კი ლაზიკაში სპარსთა ტომების გადმოსახლება. ამის შესახებ პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: „მას (ხოსროს) ხომ ღირსშესანიშნავ მონაპოვრად მიაჩნდა კოლხიდის ქვეყანა, ჰქონდა მტკიცე საკუთრებად მითვისებული, რადგან, მისი აზრით, სპარსეთის ძალაუფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა. ყველაზე უფრო კი, მას იმედი ჰქონდა — ლაზიკის მხრით გაძლიერება სპარსელებისათვის იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ იქიდან შეტევით ისინი ადვილად შესძლებდნენ თავს დასხმოდნენ და მოულოდნელად დაეპყროთ ბიზანტიელები. ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკის შემოერთება, ხოლო ლაზებისადმი ნდობა მას ძალიან ნაკლებად ჰქონდა. ლაზთა უმეტესობა სპარსელების ხელისუფლების ქვეშ საგრძნობლად შეწუხდა. სპარსელები ცხოვრებაში ზომაზე მეტად მკაცრნი არიან და მათი კანონებიც მიუწვდომელია ყველასათვის და მათი დადგენილებები — სრულიად მიუღებელი. ლაზების მიმართ მაინც განსაკუთრებით ძლიერ იჩენს თავს განსხვავება მსოფლმხედველობისა და ცხოვრებისა, რადგან ლაზები ქრისტიანები არიან. ამის გარდა ლაზიკაში არსად არ არის მარილი და არც ხორბლეული მოდის, ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით რომაელთა სანაპიროებიდან და ამაში ისინი ფულს კი არ აძლევენ მომწოდებლებს, არამედ ტყავებს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდებათ. ცხადია, ეს რომ დაჰკარგეს, გამწარებული იყვნენ. რადგან ხოსრომ ეს იცოდა, ის იმის ცდაში იყო, რომ, ვიდრე ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდებოდნენ, წინასწარ უზურნველეყო თავისი მდგომარეობა. და მას, ამის განმზრახველს, ყველაზე

უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა რომ თავიდან მოეცილებინა ლაზთა მეფე გუბაზი და ლაზები იქიდან სრულიად გადაესახლებინა და ამრიგად იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც"-ო (*გეორგიკა*, 64-68).

თავისი ეს განზრახვა ხოსრომ გაანდო ერთ დაახლოებულ პირს — ფაბრიზს და მას თან გაატანა ლაზიკაში 300 მეომარი. ფაბრიზმა ლაზიკაში დაიწყო გუბაზის უკმაყოფილო პირების დარაზმვა, რომ მათი დახმარებით შეესრულებინა გუბაზის მოკვლის აქტი. მაგრამ გუბაზმა ფაბრიზის ეს განზრახვა დროზე ადრე შეიტყო და ამან აღაშფოთა გუბაზი და ლაზიკის წარჩინებულები. ახლა გუბაზმა მოციქულები გაუგზავნა ბიზანტიის კეისარს იუსტინიანეს, აცნობა მდგომარეობა და სთხოვა — „ეპატიებინა ლაზებისათვის ის, რაც მათ წინათ ჩაიდინეს, და ყოველი ღონით ხელი შეეწყო მათთვის, რომ განთავისუფლებულიყვნენ მიდთა (სპარსელების) ძალაუფლებისაგანო" (*გეორგიკა*, 70-71).

ერთი სიტყვით, ლაზთა მეფე გუბაზი ემუდარებოდა იუსტინიანე კეისარს, ოღონდ სპარსეთის განსაცდელისაგან გამოეყვანა და ისევ თქვენი მორჩილი და მომხრე ვიქნებიო.

იუსტინიანე კეისარმა გუბაზის თხოვნა შეიწყნარა და ლაზიკიდან ირანის განსადევნად გაგზავნა 7. 000 ჯარისკაცი და 1. 000 ჭანი დაგისთეს მეთაურობით.

ხოსრომ ლაზიკის განდგომის ამბავი გაიგო თუ არა, მაშინვე გამოგზავნა მაშველი ჯარი სარდალ მერმეროეს მეთაურობით. დაიწყო ბრძოლები პეტრას ციხის გარშემო, სადაც გამაგრებული იყვნენ ირანის მეციხოვნენი. ბოლოს ეს ბრძოლა დამთავრდა ბიზანტია-ლაზიკის გამარჯვებით და 549 წელს მათ შესძლეს ლაზიკიდან ირანის ჯარის განდევნა. მაგრამ ირანის შაჰი იარაღს მაინც არ ყრიდა 550 წ. გამოგზავნა სარდალი ხურიანი დიდი ჯარით, რომელიც ლაზიკაში შემოვიდა მუხურის ხეობით და დაბანაკდა ცხენისწყლის ნაპირას. დიდი შეტაკების შემდეგ ირანელები აქაც დამარცხდნენ და გამარჯვებულმა მოკავშირეებმა მათი ბანაკი ხელში ჩაიგდეს.

ამ ბრძოლის შემდეგ, ლაზები უკმაყოფილოები იყვნენ დაგისთეს მოქმედებით და იგი დაასმინეს კეისართან, სპარსელების მოსყიდულიაო. კეისარმა იგი დაიბარა კონსტანტინოპოლში და ციხეში ჩაგდო. მის ნაცვლად კეისარმა ლაზიკაში გამოგზავნა სარდალი ბესსა.

ირანის ლაზიკიდან გასადევნად მთავარი იყო პეტრას ციხის

აღება, სადაც ირანის ჯარი იყო გამაგრებული. ამ ციხეს ეჭირა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი და ახლა ბიზანტიის სარდლის საზრუნავი საქმე ამ ციხის აღება იყო.

ამ მიზნით, 551 წელს ბესსა თავისი ჯარით დაიძრა პეტრას ციხისაკენ, გარსშემოერტყა მას და დაიწყო ბრძოლა. მეციხოვნე ჯარი ბესსას დიდ წინააღმდეგობას უწევდა, რადგან ამ ციხის აღებით წყდებოდა ირანის ბატონობის საკითხი ლაზიკაში. დიდი ბრძოლის შემდეგ, ბესსამ პეტრა აიღო და ციხის კედლები დაანგრია. ეს რომ შეიტყო ირანიდან მომავალმა მერმეროემ, თავისი დიდი ჯარით გაემართა ბიზანტიელთა ბანაკისაკენ, მიადგა ლაზიკის სატახტო ქალაქს არქეოპოლისს (ნოქალაქევი) და მას ალყა შემოარტყა: დაიწყო ბრძოლა, რომელშიაც დამარცხდა მერმეროე და იგი იძულებული იყო დაეხია აექეოპოლისიდან მუხურისის სანახებში ქუთაისისაკენ.

550 წელს ირანმა მოახერხა ბიზანტიასთან დროებითი ზავი შეეკრა ხუთი წლის ვადით. ამ ხელშეკრულების თანახმად, ბიზანტია ვალდებული იყო დიდი ფულადი სუბსიდია ეძლია ირანისათვის, ამან კი ხელი შეუწყო ირანის ფინანსურ მოღონიერებას და საშუალება მისცა მას გაეძლიერებინა თავისი საომარი მოქმედებაც. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ლაზიკის ზოგიერთი წრეები, განსაკუთრებით სარდლები, უკმაყოფილონი იყვნენ ბიზანტიის ჯარის უხეშობით. მათი ჯარის მეთაურები ურცხვად ძარცავდნენ მოსახლეობას და ზედმეტი გადასახადებით აწუხებდნენ. ამიტომ ეს ბიზანტიის მოწინააღმდეგე ჯგუფი ახლა მოქმედებდა ირანის სასარგებლოდ და მათ ჩუმად გადასცეს ირანელებს ქუთაისის პირდაპირ მდებარე უქიმერიონის ციხე. ამ ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და მისი ხელში ჩაგდებით ირანელებმა ლაზებსა და ბიზანტიელებს მოუჭრეს ის გზა, რომელიც მიდიოდა ლეჩხუმ-სვანეთისა და ქვემო იმერეთისაკენ.

რაც შეეხება მეფე გუბაზს, იგი მტკიცედ იდგა ბიზანტიის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, ამაგრებდა საზღვრებს და საომრად ემზადებოდა.

551 წელს გაზაფხულდა თუ არა, განახლდა ბრძოლა ირანსა და ბიზანტიას შორის. რამდენიმე შეტაკების შემდეგ მუხურისში, ქუთაისში, არქეოპოლისში და სხვა, ირანელებმა გაიმარჯვეს და მერმეროემ ციხეების გარდა, ბიზანტიელების მთელი ბანაკი ხელში ჩაიგდო. აღებულ ციხეებში მან ირანის ჯარი ჩააყენა, რომ დაპყ-

რობილი ადგილები მტრისათვის არ დაენებებინა.

ირანელების ამ გამარჯვებებს გუბაზი ბიზანტიის სარდლების უმოქმედობას და უნიჭობას მიაწერდა, ისინი ნაკლებად იყვნენ ლაზიკის დაცვით დაინტერესებულნი და გუბაზი მათ ანგარებასა და ხალხის ყვლეფაში ბრალსა სდებდა. ამიტომ ბიზანტიის სამივე სარდალს: მარტინესს, ბესსას და რუსტიკეს გუბაზი არ ენდობოდა, უკმაყოფილებას უცხადებდა და ამაზე გუბაზმა არაერთხელ შესჩივლა ბიზანტიის კეისარს, რომ შენი მოხელეები საქმეს მიფუჭებენო. ბოლოს კეისარმა ყურადღება მიაქცია გუბაზის ჩივილს, ბესსა გადააყენეს, დანარჩენებს კი გამოეცხადათ კეისრის სასტიკი საყვედური.

ამის შესახებ აგათია სქოლასტიკოსი მოგვითხრობს: „როდესაც რომაელები დამარცხდნენ (ირანელებთან ბრძოლაში), სამარცხვინოდ გაიქცნენ და თავიანთი ბარგის ერთი ნაწილიც მტერს მიუტოვეს. ლაზთა მეფემ გუბაზმა, რომელსაც ასეთი სამარცხვინო საქმე შეუფერებლად მიაჩნდა და რომელსაც ეშინოდა — ვაითუ, ამის მეტი კიდევ რამე შეუფერებელი მოხდესო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი, ბრალს სდებდა სტრატეგოსებს და ყველაფერს რაც მოხდა, მათ უგუნურობას მიაწერდა. განსაკუთრებით ამტყუნებდა ბესსას, მის შემდეგ მარტინესსა და რუსტიკეს.“ (ბიზ. მწ. ცნ., ტ. II, 42-44).

ამაზე გუბაზს ბიზანტიის სარდლები გადაეკიდნენ და იმის ცდაში იყვნენ, როგორმე შური ეძიათ გუბაზზე და მოეკლათ იგი. ამ მიზნით, სარდლებმა გუბაზი არაერთხელ დააბეზღეს კეისართან, რომ ვითომ გუბაზს ირანელებთან საიდუმლო კავშირი აქვს, კეისარს ღალატობსო. ამით რომ ვერას გახდნენ, მაშინ მათ ვერაგულად მოკლეს მეფე გუბაზი. ამან მთელი ლაზიკა აღაშფოთა და მოსალოდნელი იყო დიდი ამბოხება. აგათია სქოლასტიკოსის თქმით, „ლაზთა მთელი ლაშქარი აღელდა ამ ამბის გამო და ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შერეოდნენ რომაელებს, არც მათთან ერთად ელაშქრათ. როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უაღრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა“-ო (იქვე, 50).

გუბაზის მკვლელობის გარშემო ლაზიკის დიდებულები გაიყვნენ ორ ჯგუფად: ერთი იდგა ირანის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, მეორე კი ბიზანტიის ორიენტაციაზე. ირანოფილური ჯგუფი გუბაზის

მკვლელობაში ბრალსა სდებდა იუსტინიანე კეისარს, მოითხოვდა ბიზანტიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას. ამ ჯგუფის მეთაური იყო ლაზიკაში განთქმული *კაცი აიეტი*, რომელიც ამტკიცებდა, რომ გუბაზის მკვლელობა იუსტინიანე კეისრის საქმეა, ბერძნები ვერაგი ხალხია, ამიტომ სჯობს სპარსელებს მივეხმაროთ და ბიზანტიაზე შური ვიძიოთო. ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილს აიეტის მიერ წარმოთქმულ სიტყვიდან, რომელიც ვრცლად მოყვანილი აქვს აგათია სქოლასტიკოსს: „საკმარისია გავიხსენოთ, სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს. გაქრა კოლხთა ძველი ლირსება და ამიერიდან ველარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვბრძანებლობდეთ. ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვსხედვართ და ვმსჯელობთ — მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი (ბიზანტიელების) თავხედობა ამაზე არ შეჩერდა. მეფეც გაიძვერა ჰყავდათ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა. და ეს ბოროტმოქმედება რომ ასე ერთბაშად იქნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შეასრულეს. სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისაგან. თუ ვინმე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული; ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება. მე ვფიქრობ, უმჯობესია, იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას მოკავშირეთა მიმართ. და აი, ამას რომ შეიტყობენ ჩვენგან სპარსელები და გაიგებენ, ჯეროვანი სიყვარულით მოგვეპყრობიან და ჩვენთვის იბრძოლებენ. გარდა ამისა ჩვენ ნებაყოფლობითი მომხრობით, ისინი მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსადეგ ქვეყანას და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათო. ასე ილაპარაკა აიეტმა, განაგრძობს აგათია და მთელი ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის ყვირილი მორთო; იმ დღესვე აპირებდნენ სპარსელების მხარეზე გადასვლას“-ო (იქვე, 64-71).

მეორე, ბიზანტიის ორიენტაციის ჯგუფის მეთაური იყო *ფარტაზი*, რომელიც ამტკიცებდა, რომ კეისარი ამ სამარცხვინო მკვლელობის მონაწილე არ შეიძლება იყოსო, საკმარისია იუსტინი-

ანეს ავუხსნათ საქმის ნამდვილი ვითარება და მოვსთხოვოთ მას დამნაშავეთა დასჯა და იგი ყველაფერს აგვისრულებსო.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ფარტაზის სიტყვის ზოგიერთ ადგილს:

„ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს.

აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყოს საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ კიცხავდეთ. წყეული და შეჩვენებული არიან ისინი, რომელთაც განგმირეს გუბაზი, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო. მაგრამ ეს მრჩეველი (აიეტი), რომელიც დიდი ხანია მიდიელების (სპარსელების) მომხრეობას იჩენს და მოწადინებულია ჩვენც გადაგვიყვანოს მათ მხარეზე, ცდილობს შეგვაშინოს — თითქოს ბავშვები ვიყვეთ და გვიმტკიცებს, რომაელები არ იკმარებენ ამას, რაც გაბედეს, კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. ამბობს იმასაც, რომ მათ დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელი. ამას ამბობს ის და აქებს და ადიდებს სპარსელებს; ის ფიქრობს, რომ ამ გზით დაგვარწმუნებს ჩვენ და ჩვენც ახლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით აშკარა მტრებს და ხვეწნას დავუწყებთ. არც რომაულ რაზმებს, მით უმეტეს, არც მათ მეფეს არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ. რუსტიკე და მარტინე, რომელთაც შურდათ მისი (გუბაზის) წარმატება, აჰყენენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს და დანარჩენი სარდლები არათუ მათ არ ეხმარებოდნენ, არამედ აშკარადაც სწუხდნენ. უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით და ამასთანავე, ერთად მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვილია ჩვენს თავზე. ყველაზე უფრო უწმინდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას. ისინი (სპარსელები) აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების (ქრისტიანულის) შესრულებას და თავიანთ წესებზე (მაზდეანობაზე) გადაგვიყვანენ. ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ? რას მოვიგებთ იმით, რომ, ვთქვათ, მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთ? რომ კიდევაც ნება დაგვრთონ და ჩვენ ნებაზე მიგვიშვან, სულ ერთია — მაინც არ ეჭნებათ ჩვენ მიმართ კეთილი განწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენ-

დამი ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული. ჰო და, აბა რის გულისათვის უნდა გადავიდეთ კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუკი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ისღა გვექნება, რომ ისინი უფრო ადვილად მოგვაყენებენ ვნებას, ვინაიდან ფარული მტრისაგან უფრო ძნელია დაცვა, ვიდრე აშკარასაგან. მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან"-ო (იქვე, 72-81).

ხანგრძლივი კამათისა და ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ფარტაზის ჯგუფმა, რომელიც სხვათა შორის, ამტკიცებდა, რომ ბიზანტიელები ჩვენი ერთმორწმუნენი არიან, სპარსელები კი ქრისტიანებს სდევნიან და ლაზიკაშიაც ქრისტიანობას მოსპობენ და გვაიძულებენ მივიღოთ მაზდეანობაო.

ამის შემდეგ, ლაზებმა აირჩიეს წარმომადგენლები და გაგზავნეს ისინი კონსტანტინოპოლში, სადაც წარუდგნენ იუსტინიანე კეისარს და ყველაფერი საქმის ვითარება მოახსენეს. კეისარს მოსთხოვეს დამნაშავეთა სასტიკი დასჯა და ლაზიკის მეფედ გუბაზის ძმის წათე II-ის დამტკიცება.

კეისარმა ლაზების ეს მოთხოვნა მაშინვე შეასრულა. ლაზიკის მეფედ მან დაამტკიცა წათე, უბოძა მას სამეფო ნიშნები და დიდად დასაჩუქრებული ლაზიკაში გაისტუმრა, ლაზიკაში მოსვლისთანავე, ათანასე შეუდგა გუბაზის მკვლელობის საქმის გამოძიებას და ორივე ბრალდებული რუსტიკე და იოანე დააპატიმრეს. მათი გასამართლება მოაწყვეს ლაზიკის დედაქალაქ — არქეოპოლისში, სადაც საქმის გარჩევას დაესწრნენ ლაზიკის მთელი დიდებულები. ამ გასამართლების პროცესს ვრცლად აგვიწერს აგათია სქოლასტიკოსი. ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ნაწყვეტს:

„რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსაღოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა, კოლხთა კაცები, რომელნიც ბრალმდებლად იყვნენ დანიშნულნი, წამოდგნენ მაშინვე, როდესაც მსაჯულმა გამოაცხადა — თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ თუ გსურთ და, რადგან საბრალდებო ბევრი ჰქონდათ სათქმელი, თქვეს შემდეგი:

„ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოთ. ნუთუ ამის შემდეგ, ის, რაც მათ გაბედეს, არ უნდა ჩაგვეთვალა ნამდვილ უბედურებად და უსაზიზღრეს მკვლელობად, როდესაც ეს უსამართლობა ეხება მეგობარსა და კეთილის მსურველს? ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუ კი თქვენი გულისათვის იყო ეს აუცილებელი. მას აბრალებდნენ მიდიზმის (სპარსეთის) მიმხრობას, ტირანობას, რომაელთა მოღალატეობას! ის მოკლეს რუსტიკემ და იოანემ, ამ საძაგელმა და საზიზღარმა კაცებმა მოკლეს მეფე! ის, რომ მართლაც დამნაშავე ყოფილიყო, ამათ მიერ კი არ უნდა ყოფილიყო ის მაშინვე მოსპობილი, არამედ მისი საქმე დინჯად უნდა გაერჩია რომაელთა და კოლხთა საერთო მეფეს, როგორც უდიდესსა და ყოველთა უძლიერესს და სათანადო სასჯელი დაენიშნა. მაგრამ, ვინაიდან ამათ არ ჰქონდათ არავითარი კანონიერი საბუთი მისი მოკვლისათვის, უფრო კი შურიანობით გამოწვეული უზომო მტრობა აღიზიანებდა მათ, ბოროტება ჩადინათ, ამიტომ, რადგან ყველაფერი ეს ნამდვილად ასეა, უნდა მივუყენოთ ამათ ისეთი ღირსეული სასჯელი, რომლის გამოძებნასაც კი შევძლებთ“-ო (იქვე, 129-141).

ამის შემდეგ, მსაჯული სიტყვას აძლევს გუბაზის მკვლელებს: „სიჩუმე ჩამოვარდა, შუაში წარსდგა რუსტიკე თავის ძმასთან იოანესთან ერთად და თქვა შემდეგი: ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ეს სამსჯავრო და უდიდესი სიამაყის მომგვრელი: მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა მოღალატისა და ტირანის მოსპობა. კიდევაც რომ სიკვდილი შეგვხვდეს, სიამოვნებით მივეგებებით მას. ვინაიდან, გზაზე წაგვყვება ის შეგნება, რომ კოლხების ბატონებად რომაელები დავტოვეთ და სხვებს არ ჩავაგდებინეთ ის ხელში. გუბაზი ჩვენ მოვკალით. მერე რა მოხდა აქ საშინელი, თუ ჩვენ მოვკალით მოღალატე ადამიანი და ჩვენი მტერი? გუბაზი ხომ წარმოშობით ბარბაროსი იყო და ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი მზაკვრობით იყო დასნეულებული; გარდა ამისა, ჩვენ მიმართ ისეთი ბოროტებით იყო განმსჭვალული, რომ არც კი თვლიდა საჭიროდ ამის დაფარვას. ვინაიდან, ყოველმხრივ დამტკიცებულია, რომ გუბაზი მტერი და მოღალატე იყო და ტირანის ზრახვების მატარებელი, სულ ერთი არ იყო კოლხებისათვის, ჩვენ მოვკლავდით მას თუ

სხვები? თუმცა, ჩვენ, მათი აზრით, საზიზღარნი და საძაგელნი ვართ, მაგრამ სინამდვილეში მეფისა და რომაელთა ერთგულნი ვართ და თავზე არ მოვუსვამთ იმათ, ვინც ცდილობს მახე დაგვიგოს"-ო (იქვე, 141-152).

სენატორმა ათანასემ ორივე სარდალი ბრალდებულად ცნო და ისინი სიკვდილით დასაჯეს.

ლაზიკის შინაური საქმეების მოწესრიგების შემდეგ, მეფე წათე და ბიზანტიის სარდლები შეუდგნენ ირანელების წინააღმდეგ გალაშქრების სამზადისს. დაიწყო ბრძოლები. ირანელებმა თავდაპირველი გამარჯვების შემდეგ, ორი დიდი დამარცხება განიცადეს: ქალაქ ფაზისთან (ფოთი), სადაც მათ დაკარგეს 10 000 ჯარისკაცი და მეორე — არქეოპოლისთან. ამასთანავე ირანი იძულებული იყო ბიზანტიისათვის დაეთმო ქალაქი როდოპოლისი (ვარდციხე), ამიტომ ხოსრო მეფეს ლაზიკის დაპყრობის საქმე წაგებულად მიაჩნდა და მან ზავის შეკვრა არჩია. მით უმეტეს, ირანელების ლაშქრობას ლაზიკაში მრავალი დაბრკოლება ელობებოდა: ადგილის სიშორე, სიძნელე გზისა, რომელიც იბერიიდან ლაზიკაში გადადიოდა სურამის უღელტეხილის ვიწრო და ძნელ გასავლელ ხეობებში, ულრანი ტყეების გაჩეხვა, ხიდების აგება და სხვა, მეტად აბრკოლებდა ირანიდან ლაზიკაში ჯარის გადაყვანას.

ამასთანავე, ჯარისთვის სურსათის მიწოდების საქმეც მეტად გაძნელებული იყო იბერია-ლაზიკის ვიწრო ხეობაში.

ამ მხრივ მოწინააღმდეგე მხარე — ბიზანტია უფრო ხელსაყრელ პირობებში მოქმედებდა. ბიზანტიის ჯარი სარგებლობდა შავი ზღვის სიახლოვით და ისინი ზღვის საშუალებით დროზე ამარაგებდნენ ჯარს სურსათით, იარაღით და სამხედრო ოპერაციებსაც უფრო მოხერხებით აწარმოებდნენ.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 562 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დროებით შეწყდა საომარი მოქმედება და დაიდო ზავი, რომელიც უნდა ყოფილიყო განსაზღვრული 50 წლით. ამ ზავის თანახმად, ირანი ლაზიკაზე ხელს იღებდა და მას უთმობდა ბიზანტიას. არც ერთ მხარეს ნება არ ჰქონდა ლაზიკა-იბერიის საზღვარზე ციხე აეგო. ირანს ნება არ ეძლეოდა კასპიის ზღვის (დარუბანდის) კარები გაეხსნა და იქედან პირიქითელი კავკასიელი ტომები გადმოეშვა. ორივე ქვეყნის ვაჭრებს თანასწორი უფლება ეძლეოდათ აღებ-მიცემობა ეწარმოებინათ ლაზიკის ტერიტორიაზე. ირანელებს თავიანთ სამფლობელოში ქრისტიანების შეკვიწროება

და დევნა უნდა შეეწყვიტათ და ქრისტიანებისთვის ნება მიეცათ მიცვალებული მიწაში დაესაფლავებინათ.

ამ ზავის შემდეგ, სადაო საკითხად დარჩა სვანეთი, რომელიც ეკუთვნოდა ლაზიკას. მართალია, სვანეთს თავისი მთავრები ჰყავდა, მაგრამ ამ მთავრებს ამტკიცებდნენ ლაზთა მეფეები. სვანეთი ლაზთა მეფეებს გადასახადის სახით ყოველწლიურად აძლევდა თაფლს, ნადირის ტყავს და სხვა. სამაგიეროდ, ლაზთა მეფე სვანეთს .სურსათით ამარაგებდა.

ირან-ბიზანტიის დიდი ომიანობის დროს სვანებსა და გუბაზს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილა და გუბაზმა სვანებს სურსათი არ მიაწოდა თურმე. ამით ისარგებლა ირანმა და სვანეთი მან თავის მხარეზე გადმოიბირა. *მენანდრე პროტექტორის* სიტყვით: „მას შემდეგ, რაც ლაზთა მეფესა და იმ დროს იქ მოსარდლე რომაელ მარტინესს შორის მტრობა ჩამოვარდა, ამის გამო, კოლხეთმა არ გაუგზავნა სვანებს ჩვეულებრივი სურსათი: ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ. ამიტომ სვანებმა იმაზე გაჯავრებულებმა, რომ მათ მოუსპეს დაწესებული დახმარება, შეუთვალეს სპარსელებს, რომ თუ ისინი იქ მოვიდოდნენ, სვანეთს მათ ჩააბარებდნენ“ (იქვე, 214).

როცა 562 წლის ზავი დაიდო, ბიზანტიელები ამტკიცებდნენ, რომ სვანეთი ლაზიკის ქვეშევრდომი ქვეყანაა და ლაზიკასთან ერთად იგი ჩვენ გვეკუთვნისო. ბიზანტიის კეისრის საზავო ხელშეკრულების წამომადგენელი პეტრე უმტკიცებდა ირანის მეფეს ხოსროს:

„თუ ჩვენ უკვე ლაზიკის უფალნი გავხდით, სვანეთიც მოგვემატოს, ვინაიდან, ვინც გამგებელს ჰფლობს, ნუთუ მისი არ უნდა იყოს მისი ხელქვეითიც. არც ლაზები და არც თვით სვანები არ მიიჩნევენ სადავოდ, თითქოს სვანეთი წინათ ლაზთა ქვეშევრდომი არ ყოფილიყოს, არც იმას, რომ სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება. ეს თქვა პეტრემ და საბუთებით დაუმტკიცა ხოსროს, რომ ლაზთა მეფეები უფრო ძველი იყვნენ და რომ სვანთა გამგებლები ერთიმეორეზე ინიშნებოდნენ მათგან.

მეფემ თქვა: „როდესაც მე დავიჭირე სკანდა, სარაპანა და ლაზიკა, თქვენ არ გითქვამთ, რომ მაშინ სვანეთი თქვენს ქვეშევრდომთა რიცხვში გყავდათ. აქედან ცხადია, რომ ისინი ლაზების ქვეშევრდომნი არ ყოფილან; ვინაიდან ისინი მათი მფლობელები-

თურთ ჩვენ შემოგვიერთდებოდნენ".

პეტრემ უპასუხა: „ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო, როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს, ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი ლეონის დრომდე". შემდეგ პეტრემ ქლამიდიდან გამოიღო წინ ერთი წიგნაკი, სადაც ერთი-მეორეზე ცალ-ცალკე ნაჩვენები იყვნენ ლაზთა მეფეები, რომლებსაც გაუხელისუფლებიათ სვანთა სარდლებიო (იქვე, 213-227). მაგრამ არც ერთი მხარე დათმობაზე არ მიდიოდა, მაშინ დაადგინეს ამ საკითხის გადაწყვეტა თვით სვანებისათვის მიენდოთ და ვისაც ისინი მოისურვებდნენ, სვანეთიც მას დარჩებოდა".

ირანელები სვანეთს სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგანაც სვანეთის ჩრდილოეთის საზღვარზე იყო გზა, საიდანაც ჩრდილო კავკასიის ველებზე მობინადრე ტომები სკვითები და სხვები გადმოდიოდნენ. ასეთივე მნიშვნელობას აძლევდა სვანეთს ბიზანტიის კეისარი იუსტინე, რომელიც თანახმა იყო ირანისაგან სვანეთი ფულითაც ეყიდა.

ამის შესახებ მენანდრე მოგვითხრობს: „იუსტინე მეფემ მიანდო იოანეს, რომ, თუ სპარსელები მოისურვებდნენ სასყიდლით გადაეცათ ეს ქვეყანა, ეთქვა, რომ ის თანახმა არის, ვინაიდან სვანეთი, მართალია, ღირსშესანიშნავი არ იყო, მაგრამ ის მაინც თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით, მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ.

იმათ (ე.ი. სპარსელებმა) უთხრეს, რომ მზად არიან დაუთმონ სვანეთი რომაელებს, ხოლო იმ პირობით, თუ მიიღებენ ფულს და სასყიდელს ამ დათმობისათვის"-ო (იქვე 228-229).

ბოლოს ირანი იძულებული შეიქმნა ხელი აეღო თავის პრეტენზიებზე სვანეთზე და ამრიგად, ეს ხანგრძლივი ბრძოლა რომა-

ელების გამარჯვებით დამთავრდა.

მაგრამ 562 წლის ხელშეკრულების შემდეგაც არ შეწყვეტილა ირან-ბიზანტიას შორის ბრძოლა ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების დასაპყრობად. ლაზიკის ხელში ჩაგდებით ბიზანტიელები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური გავლენის ქვეშ იბერიაც მოექციათ, მით უმეტეს, იბერია გაქრისტიანებული ქვეყანა იყო და მას სულიერ-სარწმუნოებრივი კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან, საიდანაც შემოდიოდა ქრისტიანული კულტურა და საეკლესიო წყობილება.

თვით იბერიის დიდებულები ცდილობდნენ ლაზების მეშვეობით კულტურული კავშირი გაებათ ბიზანტიასთან. მართალია, დადებული ხელშეკრულებით ირანს ეკრძალებოდა ქრისტიანების დევნა და ძალდატანებით მაზდეანობის გავრცელება, მაგრამ სინამდვილეში ეს არ სრულდებოდა და იბერიის ქრისტიანები განიცდიდნენ ირანის მოხელეებისაგან პოლიტიკურ დევნასა და შევიწროებას.

ამის გამო, 571 წელს ირანს აუჯანყდა სომხეთი და იგი ბიზანტიის მხარეზე გადავიდა. ამას მოჰყვა იბერიის ავჯანყებაც 572 წელს და იბერიაც ემხრობა ბიზანტიას. მეამბოხეებს ეხმარებოდნენ ლაზები, აბაზგები და ალანები, რომელთა ზურგს უკან მოქმედებდა ბიზანტია, აწვდიდა მათ ფულს, იარაღს და ჯარსაც, რომ მათი ხელით ირანისათვის წაერთმია სომხეთი და იბერია. ეს ბრძოლა გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს, გამარჯვება იყო ცვალებადი.

576 წელს ირანის შაჰმა ხოსრო II-მ ისარგებლა ბიზანტიის შინაური შფოთით და მან დაიპყრო სომხეთი, ანტიოქია, კაბადოკია და სხვა მცირე აზიის მნიშვნელოვანი ქალაქები. გაძლიერებული ირანისაგან ასეთივე საშიშროება მოელოდა იბერია-ლაზიკასაც. მაგრამ ხოსრო II-ის ამ გამარჯვებას ბოლო მოუღო ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ, რომელიც დიდი ჯარით გადავიდა ირანის წინააღმდეგ შეტევაზე.

ჰერაკლეს მიემხრნენ ლაზები, აფხაზები და იბერიის მოსახლეობის ერთი ნაწილი. კეისარმა მაშველად მოიწვია აგრეთვე ხაზარები, რომლებიც გადმოსულან ხაკანის მეთაურობით. ეს ხაკანი ქართულ მატიანეში ცნობილია „ჯიბღუ“-ს სახელით.[1]

---

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (Е. Такайшвили, Описание рукописей обш. роспостр. грамот. среди груз. насел., том II, вып. 4., Тиф. 1906-1912 г., стр. 724-725).

ჰერაკლე კეისარმა თავისი მოკავშირე ხაზართა ჯარით ალყა შემოარტყა თბილისს, სადაც გამაგრებული იყო ირანის ჯარი. დიდი ბრძოლის შემდეგ, 626 წელს ჰერაკლემ თბილისი აიღო და აღმოსავლეთ საქართველოდან ირანელები განდევნა.[1]

ამგვარად, ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივი ბრძოლა ლაზიკა-იბერიის დასაპყრობად ბოლოს ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა. ლაზიკამ ბიზანტიის ბატონობის დროს შეინარჩუნა ქრისტიანული რწმენა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და VII ს. პირველ ნახევარში არაბთა შემოსევამ ბოლო მოუღო ჩვენში ბიზანტიასა და ირანს შორის ქიშპობას.

ეს ბრძოლა იყო ხანგრძლივი, რომელმაც გასტანა I-VII საუკუნეებამდე და იბერია-ლაზიკის დაპყრობაში ერთმანეთს ეცილებოდა ორი დიდი სახელმწიფო — რომი და ირანი. თითოეული მათგანი ცდილობდა ლაზიკის დაპყრობას და მის გამოყენებას თავისი აგრესიული მიზნებისათვის, რომ მოეპოვებინათ პოლიტიკურ-ეკონომიკური უპირატესობანი აღმოსავლეთსა და მცირე აზიის ქვეყნებში. ამ ბრძოლის ერთ-ერთ ასპარეზად იბერია-ლაზიკა იყო ქცეული და ლაზიკამ ორივეს მხრით — რომისა და ირანის შემოსევით — განიცადა არაერთი აოხრება. მაგრამ ლაზთა მეფეები მედგრად იბრძოდნენ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. ლაზებს ორივე დამპყრობელი გარეშე ძალა ერთნაირად ეჯავრებოდათ, მაგრამ წინააღმდეგობის გასაწევად მათ არ გააჩნდათ საკუთარი ძალა და საშუალებები, ამიტომ ლაზთა მეფეებს უხდებოდათ ეწარმოებინათ ორჭოფული პოლიტიკა და ძალთა განწყობილების მიხედვით ისინი გადადიოდნენ ხან ერთისა და ხან მეორე მოწინააღმდეგის მხარეზე.

რომის კეისრებს და ირანის შაჰებს არ სჯეროდათ, რასაკვირველია, ლაზთა მეფეების გულწრფელობის. ისინი ცდილობდნენ კულტურული ზეგავლენისა და ერთი რწმენის გავრცელების გზით ლაზიკის შემომტკიცებას, ამიტომ ხელშეკრულების დადებასთან ერთად სიმტკიცის ნიშნად ისინი ლაზებისაგან მოითხოვდნენ მძევლებს, რომლებიც მათ კარზე იზრდებოდნენ, სწავლობდნენ იქაურ ენას, ითვისებდნენ ზნე-ჩვეულებებს და ასეთი პირებისაგან დამ-

---

[1] *იე. ჯაჯანიშვილი,* „ჰერაკლე კეისრის ბრძოლა სპარსეთთან და მისი შედეგი საქართველოში", ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1928 წ., გვ. 241-248.

პყრობლები იჩენდნენ თავიანთ პოლიტიკურ მეგობრებს.

მეორე საშუალება და ძლიერი იარაღი, რომელსაც დამპყრობელი მხარეები იყენებდნენ, იყო რელიგია. ირანი მოგვების დახმარებით ავრცელებდა ლაზიკაში მაზდეანობას, რომ ლაზიკაში განემტკიცებინა თავისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბატონობა. რომი კი ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებით და საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობით ცდილობდა ირანის გავლენის განდევნას ლაზიკიდან.

კულტურულ-სარწმუნოებრივად, ლაზიკას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უფრო რომთან, ვიდრე ირანთან. ტერიტორიითაც ლაზიკა რომის მოსაზღვრე იყო, საიდანაც უფრო ადრე და ადვილად შემოდიოდა განათლება და კულტურა, ვიდრე შორეული ირანიდან. ამიტომ, ქრისტიანული რწმენაც ლაზიკაში ადრეე გავრცელებული და განმტკიცებული იყო. ლაზიკის სამღვდელოება განაგებდა მეზობელი ჭანების საეკლესიო საქმეებსაც. პროკოპი კესარიელის ცნობით, „ამჟამად იქაური (ჭანეთის) მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელ-მსახურებს“-ო (*გეორგიკა*, 95).

ლაზებს ქრისტიანული მონასტრები უცხოეთშიაც ჰქონიათ, სახელდობრ იერუსალიმის უდაბნოში (იქვე, 192). ამ პერიოდში ლაზებს საკუთარი დამწერლობა არ ჰქონიათ და ისინი უფრო სარგებლობდნენ ბერძნული დამწერლობით. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, „კოლხებს უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“-ო (ბიზ, მწერ, ცნობები, ტ. III, გვ. 127).

ამასვე მოწმობს ბერძენი მწერალი თემისტი (317-388 წწ.), რომელიც ამბობს, რომ კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული სწავლა-განათლება და კულტურა. კოლხები მონაწილეობას იღებდნენ თურმე ელინთა დღესასწაულებში, რომელშიაც არა ერთ კოლხიდელს თავი უსახელებია თავისი მჭერმეტყველებითა და რიტორიკით (Лат., I, 696).

ამავე ბიზანტიელი რიტორისა და ფილოსოფოსის თემისტის სიტყვიდან ჩანს, რომ IV ს. შუა წლებში კოლხეთში (ლაზიკაში), ფოთის მახლობლად, არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც განათლებას ღებულობდნენ ბიზანტიიდან მივლინებული ახალგაზრდები და მასაც რიტორიკული განათლება მიუღია კოლხეთში: „მეც, ჩემო კარგებო, ამბობს თემისტი, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან

წამოსულმა დაისადგურა, რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ"-ო.[1]

ლაზთა მეფეები თავიანთ დიპლომატიურ მიმოწერასა და სხვადასხვა მნიშვნელოვან საბუთებს, როგორც პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, ინახავდნენ თურმე. სხვათა შორის, როდესაც გუბაზ მეფის დესპანები მივიდნენ სპარსეთში, ხოსრო I-ს მოახსენეს, რომ მათ შენახული აქვთ ყველა ის ზავის წიგნები და ხელშეკრულებანი, რომლებიც მათ წინაპრებს ირანის მეფეებთან ჰქონიათ დადებული (*გეორგიკა*, 49). V-VI საუკუნეებში ლაზიკაში სამეფო საქმეებს განაგებდა გაბატონებული წოდება, რომლის სათავეში იდგა მეფე. მეფის უფლებები მემკვიდრეობით გადადიოდა იმაზე, ვინც გვარში გარდაცვლილი მეფის მომდევნო იყო წლოვანებით. მეფეს ირჩევდნენ სამეფო გვარიდან უფროსობის მიხედვით. მაგალითად, ლაზიკის მეფე წათე I-ის შემდეგ გამეფდა არა მისი შვილი გუბაზი, არამედ მომდევნო ძმა — ოფსითე.

ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობის პერიოდში ლაზთა მეფეები თავიანთ სამეფო საქმეებს თავისუფლად განაგებდნენ, მხოლოდ ფორმალურ დამტკიცებას, სამეფო ნიშნებსა და საჩუქრებს იღებდნენ ბიზანტიის კეისრისაგან.

3. ეგრისის სამეფოს დაშლა და აფხაზეთის საერისთავოს დაარსება

თბილისის აღებისა და იბერია-ეგრისიდან ირანელების განდევნის შემდეგ, კეისარი ჰერაკლე ცდილობდა ორივე ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობას მით უმეტეს, რომ ამ დროს დაიწყო ძლევამოსილი ლაშქრობა არაბებისა, რომლებიც უახლოვდებოდნენ ამიერკავკასიის საზღვრებს. მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცდენად საჭირო იყო იბერიისა და ეგრისის საზღვრების გამაგრებასთან ერთად, მოსახლეობის პოლიტიკურ-იდეოლოგიური შემომტკიცებაც.

ამ მიზნით, ჰერაკლე შეუდგა ცეცხლითა და მახვილით აქ

---

[1] *ს. ყაუხჩიშვილი*, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში (საქარ. მუზეუმის მოამბე, ტ. X, ტფ., 1940, გვ. 337-338).

ქრისტიანობის გავრცელებას, რომ საბოლოოდ აღმოეფხვრა წარმართობა. „ჰერაკლე თბილისს და მცხეთად და უჯარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტიანენი ქალაქთა შინა შემოკრბნენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოსრნენ; ხოლო მათ ნათლის ღებაჲ არ ინებეს ზაკუით თანა აღერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს; ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტეჲსი და წარვიდა“-ო, მოგვითხრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (Опис.II, 725-736).

ამასთანავე, ბიზანტიის კეისრის პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა ეგრისის სამეფოს მთლიანობის დაშლა-დაქუცმაცებას წვრილ საერისთავოებად, რომ ამით უზრუნველეყო თავისი ბატონობა მთელი შავი ზღვის სანაპიროზე. მან წარსულის მაგალითებიდან კარგად იცოდა ეგრისის მეფეების მერყეობა და განდგომის მრავალი შემთხვევაც. ლაზთა მეფეები ასეთ ურჩობას თვით ჰერაკლესაც უწევდნენ და როგორც ბიზანტიელი მემატიანეები გადმოგვცემენ, ლაზებმა, აფხაზებმა და იბერიელებმა ჰერაკლე კეისარს შორეულ ლაშქრობაზე უარი განუცხადეს თურმე. *თეოფანეს* სიტყვებით: „ჰერაკლეს ერთი წლის შემდეგ უნდოდა თვით სპარსთა მეფის ლაშქარს ხოსროს შებმოდა, მაგრამ ჯარმა, მეტადრე — კი ლაზებმა, აფხაზებმა და იბერებმა არ მოინდომესო (თეოფანე, Chronographia, I, გვ. 309); ხოლო, როდესაც ჰერაკლეს სპარსთა ლაშქარი მოეწია, ლაზებმა და აფხაზებმა მოკავშირეობაზე კეისარს უარი უთხრეს და შინისაკენ გაემგზავრნენო“ (იქვე, 310).

ამგვარი შემთხვევა საბაბს აძლევდა ბიზანტიის კეისარს, ბოლო მოელო ეგრისის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობისათვის და აქაც, როგორც იბერიაში, მოესპო მეფობა და ხელი შეეწყო ცალკე საერისთავოების წარმოქმნისათვის.

ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის და როგორ უნდოდა მომხდარიყო ერთმეფობის მოსპობა ეგრისში. მხოლოდ მემატიანის თეოფანეს ცნობიდან ირკვევა, რომ 689 წელს ეგრისში მეფობა არ ყოფილა, ქვეყანას მართავდა ლაზიკის პატრიკიოზი, ე.ი. ეგრისის მფლობელი (ერისთავი) სერგი ბარნუკის ძე, რომელიც ბიზანტიელებს აჯანყებია და თავისი სამფლობელო გადაუცია არაბებისათვის (Chronographia, I, გვ. 370)[1].

---

[1] *იე. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 349.

აქედან აშკარაა, რომ ბიზანტიის კეისარს VII საუკუნის მიწურულში განუხორციელებია თავისი აგრესიული ზრახვანი ეგრისის სამეფოს მიმართ, მოუსპია აქ მეფობა და განუწესებია ერისთავები. ერთი მათგანი სერგი ბარნუკის ძე ატარებდა ბიზანტიის საკარისკაცო წოდებულებას პატრიკიოსისას.

რასაკვირველია, ასეთი ძალდატანებითი აქტი უბრძოლველად არ ჩაივლიდა. მაგრამ ეგრისის პატარა სამეფოს დიდხანს არ შეეძლო გამკლავებოდა ძლიერ ბიზანტიას და იგი იძულებული იყო მის წინაშე ქედი მოეხარა.

მართლაც, ამ პერიოდში ეგრისის სამეფო დასუსტებული და დაუძლურებული იყო ხანგრძლივი ომებით, რომელსაც აქ აწარმოებდნენ ირანი და ბიზანტია თითქმის ორი საუკუნის მანძილზე.

ეგრისის სამეფოს დაშლის ფაქტს ქართველი მემატიანე ჯუანშერიც აღნიშნავს, ჯუანშერის ცნობით, ადგილობრივი ლაზურ-მეგრული დინასტია ხელისუფლების სათავეში არა ჩანს, მათ ნაცვლად ეგრისში გაბატონებულან ქართლის ერისთავები, რომლებსაც VIII ს. დამდეგს ეგრისი აფხაზეთის საზღვრამდის დაუჭერიათ: „წარმოვიდა არჩილ და დაემჯიდრა, ეგრისს, ვიდრე შორაპნამდე და განამაგრნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისასა“-ო[1].

აქ მოხსენიებული არჩილი იყო ქართლის მეფე (668-718 წწ.), რომელიც არაბების შიშით, იძულებული იყო ქართლიდან გაქცეულიყო ეგრისში და როგორც ისტორიკოსი ჯუანშერი გადმოგვცემს, მას და მის მემკვიდრეებს დაუპყრიათ ეგრისის სამეფო აფხაზეთის საზღვრამდის[2].

ეგრისის სამეფოს დაშლის პროცესს ხელს უწყობდა აგრეთვე გართულებული საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო არაბთა შემოსევის საშიშროებით. არაბებმა 643 წლიდან დაიპყრეს აღმოსავლეთი საქართველო და ახლა ისინი ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ეგრისი, რომლის აღების შემდეგ, არაბებს შეეძლოთ ბიზანტიის პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის განდევნა როგორც შავი ზღვის სანაპიროებიდან, აგრეთვე

---

[1] ქართლის ცხოვრება „მატიანეი ქართლისაჲ“ მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი 1906, გვ. 209.

2 *ეახუშტი*, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის კომენტარებით, თბილ., 1885 წ., გვ. 116-118.

მთელი ამიერკავკასიიდან,

ბიზანტიის კეისარი კარგად გრძნობდა, თუ რა საფრთხეს უმზადებდა მის ბატონობას არაბების გაძლიერება აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამიტომ ბიზანტიის კეისარი შეუდგა საზღვრების გამაგრებასა და ჩრდილოეთის ხალხების ამხედრებას არაბების წინააღმდეგ. 685 წელს ხაზარები შემოესივნენ იბერიასა და ალბანიას. მათ დიდი ზარალი მიაყენეს არაბებს. ამით ისარგებლა იუსტინიანე II-მ და 688 წელს გამოგზავნა დიდი ჯარი, რომელმაც არაბები დაამარცხა. ამან გამოიწვია არაბების ძლიერი ჯარის გამოლაშქრება 730 წ. მურვანის მეთაურობით[1]. ქართველი მემატიანის ჯუანშერის ცნობით, სომხეთიდან მურვანი შემოსულა ქართლში, აუღია დარიალის კარები, გაუმაგრებია იგი, რომ ბიზანტიისათვის მოესპო საშუალება იქიდან გამოეყვანა მაშველი ჯარი ხაზარებისა. ქართლის აღების შემდეგ მურვანი 735 წელს გადავიდა სამცხეში და აქ ოძრხეს ციხესთან მან დაამარცხა იბერიელთა ჯარი. ქართლის ერისთავები მირი და არჩილი გაიხიზნენ ეგრისში. ახლა მურვანმა განიზრახა თვით ეგრისში გაელაშქრა. მურვანის ჯარი დაბანაკდა ჭყონდიდის ანუ მარტვილის მიდამოებში და აქედან მურვანმა გაილაშქრა და აიღო ციხე-გოჯი (ნოქალაქევი), შემდეგ კლისური, ანუ კელასურის ციხე, ცხომი, ანუ სოხუმი. მან შეძლო თითქმის მთელი შავი ზღვის სანაპიროების დალაშქვრა.

მურვანის ლაშქრობა სასტიკ ხასიათს ატარებდა და ქართველი მემატიანის ჯუანშერის ცნობით მურვანის შემოსევამ მთლად გაანადგურა და ააოხრა საქართველო. „აღარ იპოებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე“—ო (ჯუანშერი, ქართ. ცხოვრება, გვ. 205).

მურვანის მიერ სამცხისა და ეგრისის დალაშქვრა, ეს არაბების მხრივ იყო ბიზანტიაზე აშკარა შეტევაზე გადასვლა, რადგანაც ორივე ქვეყანა იმყოფებოდა ბიზანტიის მფარველობაში. ამიტომ ბიზანტიის შიშით არაბებმა იქ ვერ შეძლეს ფეხის მომაგრება და მათ ეს მხარე ჩქარა დატოვეს. მაგრამ ბიზანტიის კეისარი მაინც არ იყო გარანტირებული, რომ არაბები ისევე არ განაახლებდნენ შავი ზღვის სანაპიროების დალაშქვრას. ეს გარემოება მოითხოვდა დიდ პოლიტიკურ სიფხიზლეს. ეგრისისა და სამცხის საზღვრების გამაგრე-

---

[1] *იხ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., გვ. 350-352; *ს. ჯანაშია*, არაბობა საქართველოში, თბილ., 1936 წ., გვ. 34-35.

ბასთან ერთად, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ბიზანტიის ერთგული პირების ჩაყენება ეგრისის საერისთავოში. ბიზანტიას, რასაკვირველია, არ გამოადგებოდა ისეთი მთავარი, როგორიც იყო ლაზიკას პატრიკიოზი სერგი ბარნუკის ძე, რომელსაც კეისრის მტრობით თავისი საერისთავო არაბებისათვის გადაეცა. ამიტომაც ბიზანტიის კეისარი აწინაურებს აფხაზეთის ერისთავს, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი აგრესიული ინტერესების შემსრულებელი.

ასეთი იყო ერისთავი ლეონ I, რომელსაც დამკვიდრებული ჰქონია კეისარისაგან საერისთავოდ აფხაზეთი კლისურიდან დიდის ხაზარეთის მდინარემდე[1]. აფხაზეთის ამ ერისთავებს ნიშნავდნენ ბიზანტიის კეისრები და საისტორიო მწერლობაში ჯერ გამორკვეული არ არის მათი ვინაობა და სადაურობა[2].

აფხაზეთს ტერიტორიულად ეგრისის სამეფოში ეჭირა ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სტრატეგიული ადგილი, რომელიც იცავდა ეგრისის დასავლეთის სანაპიროებს საკმაოდ კარგად გამაგრებული ნაგებობით. ბიზანტიასთან ეკონომიკურ ურთიერთობაში აფხაზეთის სანაპიროები დიდ როლს ასრულებდნენ, აქ იყო მთელი რიგი სავაჭრო ქალაქები, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებთან აწარმოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს. ბიზანტიის კეისრის მიერ აფხაზეთის მოწყვეტა და ცალკე საერისთავოდ გამოყოფა აშკარად მიმართული იყო ეგრისის სამეფოს მთლიანობის წინააღმდეგ. ბიზანტია ამ შემთხვევაში აფხაზეთის სამთავროს მფარველობით და გაძლიერებით ცდილობდა ერთის მხრით, ეგრისის სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაშლას, მეორეს მხრით — აფხაზეთი გადაექცია ერთგვარ საფარად და ციხე-სიმაგრედ არაბების შემოტევის წინააღმდეგ.

ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა ბიზანტია საქართველოს სამხრეთის საზღვარზე, სადაც წარმოიქმნა საკმაოდ ძლიერი საერისთავო ტაო-კლარჯეთისა, რომლის პირველი ერისთავი იყო აშოტ კურაპალატი, არაბებისაგან დევნილი ქართლის ერისთავი აშოტი დაეხსნა არტანუჯში და მიიღო ბიზანტიის კეისრის მფარველობა. არტანუჯის ციხე და ტაო-კლარჯეთის საერისთავო ემსახურებოდა ბიზანტიის პოლიტიკურ ინტერესებს და იცავდა არაბების შემოსევისაგან მის სამხრეთის საზღვრებს[3].

---

[1] *ეკ. თაყაიშვილი*, საისტორიო მასალანი „მეფეთა დივანი", ძველი საქართველო ტ. II, თბილისი, 1913 წ. განყ. III, გვ. 54; მატიანეი ქართლისაი, გვ. 208-209; *დ. ბაქრაძე*, ისტორია საქართველოსი, თბილისი 1886 წ., გვ. 274.

[2] ამის შესახებ ვრცელი განმარტება მოეპოვება *დ. ბაქრაძეს* (იხ. *ვახუშტი*, საქართველოს ისტორია, გვ. 132-133. შენიშვნა).

[3] *ს. მაკალათია*, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი, 1938 წ., გვ. 15.

ორივე ეს საერისთავო იმყოფებოდა ბიზანტიის მფლობელობაში და ბიზანტიის კეისრები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ამ საერისთავოების გაძლიერებას, კერძოდ, ჯარის დახმარებით, რათა მათი საშუალებით გაეძლიერებინათ თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენა მთელს საქართველოში.

ამასთანავე, ორივე ეს საერისთავო წარმოადგენს არაბებისაგან შევიწროებულ და დევნილ ქართველთა თავშესაფარს,

მურვანის შემოსევის შემდეგ შეიცვალა არაბების პოლიტიკა და ახლა არაბები უფრო სასტიკად ექცეოდნენ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას და მათ მთავრებს ავიწროვებდნენ ქონებრივად, უფლებრივად და სარწმუნოებრივად.

აბასიანთა გვარის ხალიფების მეფობაში არაბებმა შემოიღეს მკაცრი სარწმუნოებრივი მაჰმადიანური მიმართულება პოლიტიკაში და თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად ქვეშევრდომებისაგან მოითხოვდნენ გამაჰმადიანებას. დაპყრობილ ქვეყნებს ამასთანავე ხარკი გაუდიდეს და მოსახლეობა დიდი ხარჯისაგან მძიმე პირობებში მოექცა[1].

არაბთა ხალიფები სარგებლობდნენ ქართლის ერისთავების სიმრავლით, მათ შორის არსებული შუღლით, ქიშპობით და ცდილობდნენ ზოგიერთი მათგანის გადმობირებას და გამაჰმადიანებას. ხალიფები ერეოდნენ ქართლის ერისთავების მართვა-გამგეობაში და იმ ერისთავს, რომელიც ურჩობას გაბედავდა, სდევნიდნენ და ატუსაღებდნენ.

პოლიტიკურ დევნას ერთვოდა სარწმუნოებრივი და ეკონომიკური შევიწროებანი. არაბები ქრისტიანებს უნდობლად უცქეროდნენ და ქართლის მოსახლეობა ამის გამო განიცდიდა დიდ გაჭირვებას, განსაკუთრებით მისი მაღალი წოდება, რომელსაც არაბები აიძულებდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა. წინაალმდეგ შემთხვევაში, ართმევდნენ მათ ხელისუფლებას და ქონებას.

მაგრამ ვისაც გასაქცევი არ ჰქონდა და არსებობაც უჭირდა, იგი იძულებული ხდებოდა მიეღო მაჰმადიანობა და როგორც იოანე საბანისძე ამბობს: „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“-ო[2].

---

[1] Из соч. Баладзори, Книга завоевания стран, текст и перевод с арабского проф. *П. К. Жузе*, Баку, 1927 г., стр. 30-32; из соч. Якубы, "История", текст и перевод с арабского проф. *П. К. Жузе*, Баку, 1927 г., стр. 13-14; *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 350-352.

[2] *იოანე საბანისძე*, აბო თბილელი, (იხ. *კეკელიძე*, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფ. 1935 წ. გვ. 58).

არაბებისაგან დევნილი ქართლის მოსახლეობის ნაწილი იხიზ-ნებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ: ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთსა და ეგრისში, რომლებიც ამ დროს ბიზან-ტიის კეისრის მფარველობაში იყვნენ, იქ შედარებით მშვიდო-ბიანობა სუფევდა. აღმოსავლეთ საქართველოდან ეგრისში გახიზ-ვნას ამ დროს ჰქონდა ფართო ხასიათი. მაგალითად, როდესაც ნერსე ქართლის ერისთავი აფხაზეთში გაიხიზნა, მას გაჰყოლია 300 მამაკაცი, დიდებულთა მრავალი ოჯახი თავიანთი ყმებითა და მსახურებით.

ეგრისში გაიხიზნენ თავიანთი ამალით ქართლის ერისთავები: არჩილ, იოანე, ჯუანშერი და სხვ. (ქართ. ცხოვრება, გვ. 208, 216). ჩვენ ვიცით, რომ ეგრისში რიონის სამხრეთით მდებარე მხარე V-VI სს. ირანსა და რომს შორის ხანგრძლივი ბრძოლის გამო თითქმის უკაცრიელი იყო. VI საუკუნიდან დაწყებული VII-VIII სს. ჯერ სპარსელებისაგან და შემდეგ არაბებისაგან დევ-ნილი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ მხარეში იხიზნებოდა, სახლდებოდა თავისუფალ ადგილებზე და იგი აქ პოულობდა მეტ პოლიტიკურ-ეკონომიკურ თავისუფლებას. ამგვარად VII-VIII საუკუნეებში ეგრისში ჩნდება შემდეგი გაქართე-ბული ნაწილები: *აჭარა*, *გურია* და *იმერეთი*. (იხ. რუკა III).

პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ ამბობს: „პლინიუ-სისა, პტოლემაიოსისა და პროკოპი კესარიელის ცნობები ამტკი-ცებენ, რომ კოლხეთის სამხრეთისა და აღმოსავლეთის ნაწილში მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ. მაგრამ ამას ცოტა არ იყოს ის გარემოება არღვევს, რომ ახლა იმ ადგილებში, სახელდობრ, გურიასა და იმერეთში მეგრული კი არა, ქართულია გაბატონებული. გურულები და იმერლები მეგრულ-ლაზების მიწა-წყლის შივ შუა გულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად კოლხეთის ეს მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო: ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება. ან არადა, მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ.

მაგალითად მთა ჯიხანჯირი (ჯიხა — ციხე), ჯუმათი, ოჩხამური (ჩხომი — თევზი), ჭანიეთი, მდ. გუბაზეული და სხვა.

ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლოთ. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო გურიაში კი არა, ახლა ცხენისწყალი მეგრულის აღმოსავლეთის საზღვრად ითვლება: საგეოგრაფიო სახელები კი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ; მაგალითად: სოფ. ჯიხაიში (ჯიხა — ციხე), ჩხენიში, კულაში და სხვა. ქუთაისის ჩრდილოეთითაც მდინარე რიონის მიდამოებიც ძველად მეგრელებს უნდა სჭეროდათ; აქაც ასეთი საგეოგრაფიო სახელები გვხვდება, როგორიც მაგალითად: ჯიმას ვარა (ჯიმა — ძმა), ოფურჩხეთი, ტყეიში, გვერიში, ოკრიბა და სხვა. საგეოგრაფიო სახელების შესწავლა, დაასკვნის პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მაშასადამე უეჭველ ჰყოფს, რომ მთელი ეს მიწა-წყალი, მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს ეკუთვნოდა. ასე იყო როგორც ჩანს სტრაბონის, პლინიუსისა და პტოლემაიოსის თხზულებებიდან პირველს ორს საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი, ან აღმოსავლეთით, ან არადა სამხრეთ-აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთ-ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილ ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართველებულ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ"-ო[1].

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას ამტკიცებს გურულ კილოში შემონახული ლაზურ-მეგრული ფენის მრავალი ფაქტები. აგრეთვე მატერიალური კულტურის ტერმინები და ამ მხარის ადგილმდებარეობის ტოპონიმური სახელწოდებანი აშკარად მიგვითითებენ მათ ლაზურ-მეგრულ წარმოშობაზე[2].

ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამდა *პროფ. ი. ყიფშიძე*, რომელიც ამტკიცებდა, რომ მეგრელებს ძველად ეჭირათ უფრო დიდი ტერიტორია, ვიდრე დღესაო, რასაც აშკარად მოწმობს მეგრული

---

[1] *პროფ. ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ. 1913 წ. გვ. 56-57.
[2] ***И. В. Мегрелидзе***, Лазский и мегрельский слои в Гурийском (Труды института языка и мышления имени Н. Я. Марра, Ленинград 1938 г., стр. 76-85).

გეოგრაფიული ნომენკლატურისა და ხალხური ლექსიკის გავრცელება გურია-იმერეთ-რაჭაშიო[1].

როდის უნდა მომხდარიყო ეს? ამაზე პროფ. *ივ. ჯავახიშვილი* იძლევა ასეთ განმარტებას: „პროკოპი კესარიელის სიტყვით, რიონის სამხრეთით მდებარე ქვეყანა იმის დროს (V-VI სს.) მეტად ნაკლებად ყოფილა დასახლებული, თითქმის სრულებით უკაცური ყოფილა. ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც გურია ეწოდება. მაშასადამე, ცხადია, რომ გურიის მერმინდელი მცხოვრებნი ადგილობრივი მკვიდრნი არა ყოფილან და, როგორც სჩანს, იბერიიდან და ქართლიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი. სპარსელ-ბიზანტიელთა ომიანობისა და იქნებ სხვა მიზეზების წყალობით, ადგილობრივი თავდაპირველი მეგრულ-ლაზური მოსახლეობა ამოწყვეტილა და VI ს-ში ეს მხარე ცარიელი ყოფილა. ამგვარად გურიის ახალი მოსახლეობა შეიძლება გამოჩენილიყო VI საუკუნის შემდგომ, განსაკუთრებით VI-VIII სს., მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველო — იბერია არაბთა მძლავრ და მკაცრ ბატონობის ქვეშ იყო და ხალხი აუტანელ მოხარკეობას გაურბოდა. ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირერიცხოვანი მკვიდრნი გაუქართებიათ, მაგრამ თვითონაც შეუთვისებიათ მათგან ბევრი რამ და ნარევ მოსახლეობას შეუქმნია ახალი ენა-კილო“ (იქვე, გვ. 57-58).

ამ საკითხის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული *ნ. მარს*, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ მეგრელებს ვხედავთ მხოლოდ დღევანდელ სამეგრელოს საზღვრებში, მაგრამ წინათ, როგორც ისტორიული ცნობებიდან ჩანს, იგი ატარებდა უფრო ფართო სახელწოდებას *„ეგერ“*. ამ ფუძიდან წარმოიშვა მისი სახელწოდება *„ეგრისი“*, რომლის ქვეშ იგულისხმებოდა მთელი დასავლეთი საქართველო, დღევანდელი გურიით და იმერეთით.

აკად. ნ. მარი თვით სახელწოდება „გურია“-ს წარმოშობას გენეტიკურად უკავშირებს *„სამარგალო“*-ს (სამეგრელოს): Первый элемент gur по спирантной огласовке ger, gur имеем в древнейшем названии мегрелов и их страны. E-ger® E-gr-i-si (¬ E–ger–i+si), современное sa-mar-galo Мегрелия, m+a-

---

[1] *И. Кипшидзе*, О названии “Мингрельский” или “Иверский” язык. Пределы его распространения в древности (Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПБ 1914 г., стр. 13-17).

r-gal-i мегре, (ец), (¬ m+a+ga) er-al; по свистящей огласовке gar (л.-м. о « и - гр. a, g-q) имеем в самоназвании грузии - Qa-rtu-el (Н. Я. Марр, Язык и Мышление, т. III, стр. 184). "Гурия, надо предупредить, есть кусок вырезанный из территории, населенной народами шипящей группы по языкам мегрельскому и чанскому"[1].

ამასთანავე *ნ. მარს* სახელწოდება იმერეთი და სამეგრელო მიაჩნია ერთი და იგივე მნიშვნელობის ტერმინად და ამბობს: "Мы знаем, что термины Имеретия и Мингрелия были тождественны" (იქვე, გვ. 169).

ერთი სიტყვით, როგორც აქ მოტანილი საბუთებიდან და მოსაზრებებიდან გამოირკვა, VII-VIII სს-ში იწყება აღმოსავლეთ-სამხრეთ საქართველოდან ქართლელი ტომების გადასახლება ეგრისის ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა მისი პოლიტიკური და ეთნიკური მთლიანობის დარღვევა. ამგვარად, ეგრისში თანდათანობით წარმოიქმნა ახალი საერისთავოები. მათ შორის შემდეგში გაძლიერდა აფხაზეთის საერისთავო, რომელსაც მფარველობას უწევდა ბიზანტიის კეისარი.

ეგრისის სამეფოს ამ რღვევითა და ხელსაყრელი პოლიტიკური შემთხვევებით სარგებლობდნენ აფხაზთა ერისთავები, რომლებმაც შედარებით ადვილად დაიპყრეს ეგრისის მთელი ტერიტორია. როგორც საისტორიო წყაროები გადმოგვცემენ, ერისთავმა ლეონ II-მ ისარგებლა ბიზანტიის კეისარის დაუძლურებით, განუდგა მას და ხაზარების დახმარებით დაიჭირა მთელი ეგრისი ლიხის მთამდე და 786 წელს მან თავის თავი გამოაცხადა აფხაზთა მეფედ (იხ. ძველი საქართველო, II, გვ. 54).

ამის შესახებ ქართველი მემატიანე ჯუანშერი მოგვითხრობს:

„რა ჟამს მოუძლურდნენ ბერძნები, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსა მიეცა სამკუდროდ აფხაზეთი. ეს ლეონ მეორე ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძლია მათითა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებული იყო ერისთავი" (ქართ. ცხ., 218).

---

[1] *Н. Я. Марр*, Рецензия на книгу И. И. Мещанинова, Халдоведение. - ЯС, кн. VI, стр. 204; *И. Мегрелидзе*, "Название Грузия", Лазский и мегрельский слой в гурийском, стр. 66-67.

ეგრისის შემოერთების შემდეგ, ლეონ II-მ თავის სატახტო ქალაქად აქცია ქუთაისი, რომელიც შეიქმნა ახლად წარმოქმნილ ფეოდალურ სამეფოს პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრად.

ამგვარად შეიქმნა ახალი პოლიტიკური ერთეული, ფეოდალურ ურთიერთობაზე წარმოშობილი აფხაზთა სამეფო, რომელიც მთლიანად შეიცავდა ძველი ეგრისის სამეფოს ტერიტორიას. ამ მხარესაც თანდათანობით ეწოდა აფხაზთა სამეფო. იგი არ წარმოადგენდა ისეთ ტომობრივ სამეფოს, როდესაც სამეფო ხელისუფლება ერთ რომელიმე ტომის ხელში იყო მოქცეული. მისი გაერთიანება მიმდინარეობდა ფეოდალურ ურთიერთობაზე დამყარებით.

ამიტომ აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნა და გაძლიერება არ ნიშნავდა ერთი რომელიმე ტომის პოლიტიკურ გაბატონებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ კოლხეთში და ლაზიკა-ეგრისში. ამ სამეფოს სახელწოდება აფხაზთა და არა აფხაზეთისა გულისხმობდა მთლიანად გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს და იგი ტერიტორიულად შეიცავდა აფხაზეთს, სამეგრელოს, გურიას-აჭარას და იმერეთს.

აფხაზეთის სამეფოს შესახებ ვახუშტიც ასეთივე განმარტებას იძლევა. თავის გეოგრაფიულ აღწერას ვახუშტი ასე იწყებს: „ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა". შემდეგ ამას მიჰყვება: „სახელისათჳს. ქვეყნისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველი *ეგრისი*, მეორე *აფხაზეთი*, მესამე *იმერეთი*. რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგრისის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თჳსთა ხვდა წილად ქვეყანა ესე, ხოლო აფხაზეთი — ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს. ეს ლეონ გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თჳსთა. და მოიღო საერისთაოსა თჳსისა სახელი ეგრისსა ზედა. არამედ იმერეთი — ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი. ხოლო ესე აფხაზეთი, ანუ იმერეთი განიყოფების ადგილებად და ეს განყოფით ადგილებთა სახელები დავსწეროთ თჳს თჳსთა რიგითა ზედა[1].

---

[1] *ვახუშტი*, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1904 წ., გვ. 255-256.

ასევე ესმის აფხაზეთის სამეფო *დ. ბაქრაძეს*, რომელიც ამბობს: „აფხაზეთის ერისთავნი თუმცა ისხდნენ აფხაზეთში, მაგრამ, როდესაც იმათ მიითვისეს მეფის ხარისხი, მაშინ იმათ თავიანთი რეზიდენცია გადაიტანეს ქუთაისს. თვით სახელწოდება აფხაზეთისა მისთვისეს მთელს იმერეთს. ამისთვის, როდესაც ძველ მწერლობაში ვკითხულობთ: „აფხაზეთის სამეფო სახლი, აფხაზეთის კათალიკოსი, აფხაზეთის ერი, აფხაზეთის სამეფო", ამ სიტყვებით იგულისხმება „იმერეთის სამეფო სახლი, იმერეთის კათალიკოსი, იმერეთის ერი, იმერეთის სამეფო"[1].

მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი აფხაზეთის სამეფოს სახელწოდებისა და მისი წარმოშობის შესახებ შემცდარ განმარტებას იძლევა. *დ. გულია* თავის „აფხაზეთის ისტორიაში" (Д. Гулия, История Абхазии, т. 1, изд. Наркомпроса Абхазии, Тбил., 1925 г. стр. 181-222). ამტკიცებს, რომ აფხაზთა სამეფო იყო აფხაზური ეროვნული სახელმწიფო და მთელ დასავლეთ საქართველოში აფხაზები ბატონობდნენო. იმდროინდელი გაერთიანებული საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეობაც მიჩნეულია აფხაზების საქმედ. ავტორის გაგებით აფხაზების მეფე და კათალიკოსი საჭეთმპყრობელი ყოფილა მთელი საქართველოსი და სომხეთისაც. აფხაზთა სამეფოს ასეთი გაგება მცდარია და ისტორიულად გაუმართლებელი[2].

ერთი სიტყვით, ქართულ ისტორიოგრაფიაში პოლიტიკურ-ეთნიკურად გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს VIII-X სს-ში ეწოდებოდა შემკრებლობითი მნიშვნელობით აფხაზთა სამეფო, რომელსაც მისი წარმოქმნის პირველ პერიოდში მესვეურობდნენ აფხაზეთის საერისთავოს დინასტიის მეფეები.

აფხაზეთის სამეფოში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეგრისი ან სამეგრელო, რომლის სახელმწიფოებრივმა განვითარებამ წარმოშვა ფეოდალურ წყობილებაზე აღმოცენებული ახალი პოლიტიკური ერთეული, აფხაზეთის სამეფოდ წოდებული. ამით ძველმა ეგრისმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია და ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოს ფეოდალური ერთეულების ერთ სამეფოდ გაერთიანების პროცესი. გაერთიანებისათვის ბრძოლამ, როგორც

---

[1] *დ. ბაქრაძე*, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1888 წ., გვ. 270.

[2] ის. ჩემი რეცენზია *დ. გულიას* აფხაზეთის ისტორიაზე. ჟურ. საქართველოს განათლების მუშაკი, თბილისი, 1925 წ., №1, გვ. 46-49.

ვიცით, IX საუკუნიდან დაწყებული XI საუკუნემდის გასტანა. მასში მონაწილეობას იღებდა ოთხი ძლიერი და მსხვილი ფეოდალური საერისთავო: აფხაზეთისა, ტაო-კლარჯეთისა, ქართლისა და კახეთის საერისთავო.

ქართლის საერისთავოს ეჭირა შუა ქართლის ტერიტორია. ქართლის ერისთავი გამაგრებული იყო უფლისციხეში, რომელიც ქართლის ერისთავ-მთავრების ციხე-სიმაგრესა და პოლიტიკური მოღვაწეობის ერთგვარ ცენტრს წარმოადგენდა. უფლისციხეს ეჭირა აგრეთვე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი და როგორც ბუნებრივი სიმაგრე, საიმედო თავშესაფარი იყო ერისთავებისთვის.

ქართლი თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობით საქართველოსა და საზოგადოდ ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი კუთხე იყო. მას ეჭირა გეოგრაფიულად ცენტრალური ადგილი და ამიტომ, რომელი ერისთავის ხელშიც მოექცეოდა ქართლი, ის იქნებოდა საქართველოს ფაქტიური გამაერთიანებელი.

ამიტომ, საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლები წარმოებდა ქართლის გარშემო და თითოეული მებრძოლი საერისთავო ცდილობდა ამ კუთხის ხელში ჩაგდებას, რომ თავისი თავი გამოეცხადებინა გაერთიანებული საქართველოს მეფედ.

ბრძოლა იყო ხანგრძლივი და ამ ბრძოლის პირველ პერიოდში გაიმარჯვეს აფხაზთა მეფეებმა. 904 წელს აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ გაილაშქრა ქართლზე და იგი მან დაიპყრო. კონსტანტინეს გამარჯვებამ დიდი შიში გამოიწვია მეზობელ საერისთავოებში და ახლა მის წინააღმდეგ გამოილაშქრეს სომეხთა მეფემ სუმბატმა და ტაო-კლარჯეთის ერისთავმა ადარნასემ, „ქართველთა მეფედ“ წოდებულმა. მოკავშირეებს აუღიათ უფლისციხე, კონსტანტინე კი მთიულეთში გახიზნულა. მაგრამ, როდესაც კონსტანტინემ გაიგო თურმე, რომ მოკავშირეები ქართლს აოხრებენო, განუზრახავს დაზავება და ამ მიზნით, მას სუმბატისათვის მოციქულები მიუგზავნია. სომეხი ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის გადმოცემით, როცა ზავის პირობებზე გაიმართა საუბარი, ამ დროს უეცრად ადარნასე ქართველთა მეფის ბრძანებით მისცვივდნენ კონსტანტინეს და დაატყვევეს იგი. დატყვევებული კონსტანტინე სუმბატს ანისში გაუგზავნია.

ამ ამბავმა იმდენად აღაშფოთა მეგრელები, ამბობს *იოანე კათალიკოსი*, რომ კონსტანტინეს მაგიერ გადაწყვიტეს სხვა უფრო მხნე და გულადი კაცი დაესვათ მეფედ. ეს რომ სუმბატმა

შეიტყო, შეფიქრიანდა, ვაი თუ, ახალი მეფე საშიში მეტოქე აღმოჩნდეს და ამიტომ ოთხი თვის შემდგომ ისევ კონსტანტინეს განთავისუფლება არჩია და აასრულა კიდეცო (იოანე კათალიკოზი, 201-202; Brosset, Additions, 164).

ქართლის ხელში ჩაგდების შემდეგ, კონსტანტინემ ჩქარა დაიპყრო კახეთის საერისთავოც და ამგვარად პოლიტიკური მესვეურობა საქართველოში ამიერიდან აფხაზთა მეფეების ხელში გადადიოდა[1]. მაგრამ ამ გაერთიანებას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართლის ფეოდალები, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთი ფეოდალური სამფლობელოების დამოუკიდებლობისათვის.

ლეონ აფხაზთა მეფის სიკვდილის შემდეგ აფხაზეთის ტახტზე ავიდა მისი ძმა დემეტრე (967-975 წწ.), რომელსაც ჩქარა გამოუჩნდა ტახტის მეტოქედ ძმა თეოდოსი. დემეტრე თავს დაესხა თეოდოსს და უკანასკნელი იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო ქართლში. აქ მას მიეშველნენ ქართლ-კახეთის დიდებულები, რომლებიც იბრძოდნენ აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ. ბოლოს დემეტრემ შეიპყრო თეოდოსი და მას თვალები დასთხარეს.

ამის შემდეგ დემეტრე ჩქარა გარდაიცვალა და რადგანაც ის უშვილო იყო, სამეფო ტახტზე დასვეს უსინათლო თეოდოსი (975-978 წწ.). თეოდოსს ქვეყნის მართვა არ შეეძლო, ამით ისარგებლეს დიდგვაროვანმა აზნაურებმა და დაიწყეს განდგომა. მშვიდობიანობა ისევ შეირყა და საქართველოს მთლიანობას დიდი საფრთხე მოელოდა. მაშინ ქართლის აზნაურების ერთმა ჯგუფმა *იოანე მარუშიძის* რჩევით და მეთაურობით, გადაწყვიტა ქართლი გადაეცათ ტაოს ერისთავის დავით კურაპალატისათვის. ამაზე ქართლის მემატიანე მოგვითხრობს: „ამან (იოანე მარუშიძემ) წარავლინა მოციქულნი წინაშე დავით კურაპალატისა, აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიჭიროს თვით, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედეულად აფხაზეთი და ქართლი ესევე". (ქართ. ცხ. გვ. 236).

ერთი სიტყვით, იოანე მარუშიძე ურჩევდა დავით კურაპალატს, გაერთიანებული საქართველოს მეფედ დაესვა ბაგრატი, რომელიც მას შვილად ჰყავდა აყვანილი. ეს ბაგრატი იყო აფხაზთა მეფე გიორგი II-ის ასულის გურანდუხტის შვილი და მას დედის მხრით

---

[1] *იხ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 385.

ეკუთვნოდა აფხაზთა სამეფო. მამის მხრით ბაგრატს ეკუთვნოდა ქართლი და კლარჯეთი, (როგორც გურგენის შვილს და ბაგრატ II ქართველთა მეფის (რეგვენის) შვილიშვილს), ტაო კი ბაგრატს ეკუთვნოდა, როგორც დავით კურაპალატის შვილობილს. ამიტომ თუ აფხაზეთის ტახტზე ბაგრატს დასვამდნენ, ის ფეოდალური მემკვიდრეობის ადათის მიხედვით, მართლაც გახდებოდა გაერთიანებული საქართველოს მეფე. ამ მოსაზრებით ურჩევდა იოანე მარუშიძე დავით კურაპალატს ეს გეგმა განეხორციელებინა.

974 წელს დავით კურაპალატი გადმოვიდა ქართლში დიდი ჯარით, აიღო უფლისციხე და მეფედ დასვა ბაგრატი. აფხაზეთის სამეფო ამ დროს განიცდიდა შინაურ შფოთსა და ბრძოლებს. გაძლიერებული ფეოდალები არ ემორჩილებოდნენ უსინათლო მეფის ხელისუფლებას. დავით კურაპალატმა ახლა განიზრახა აფხაზეთში გაემეფებინა კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი, რომელიც 980 წელს აღიარებულ იქნა აფხაზეთისა და ქართლის მეფედ.

ამგვარად, ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.) სახით, შესაძლებელი გახდა საქართველოს დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილების ერთ სამეფოდ გაერთიანება, რასაც დიდი პოლიტიკურ-ეროვნული და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა[1]. ამ დროიდან იწყება ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ზრდა აფხაზეთის, ეი. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ქართული კულტურის მატარებელი იყო ბაგრატოვანთა გვარის მეფეთა ახალი დინასტია — ბაგრატ III და მისი მემკვიდრეები, რომლებმაც შესძლეს ქართლურ-მესხურ-ჯავახური ენისა და კულტურის ნიადაგზე აფხაზთა სამეფოში მოსახლე ქართველ ტომების (ჭან-ლაზ-მეგრელების, აფხაზების, სვანების) ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური გაერთიანება[2].

ამასთანავე, აფხაზთა სამეფო თანდათანობით თავისუფლდება უცხო ბერძნული ენისა და მწერლობის გავლენისაგან. გაერთიანების შემ-

---

[1] ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 19-25.

[2] ამის შესახებ დ. ბაკრაძე შენიშნავს: „დიდი ყურადღების ღირსია ისტორიული სვე მეგრულ-ჭანურის ენისა. ძველისძველად ამ ენის კვალს უჩვენებენ იმ სივრცეზე, რომელიც მდებარეობს ჰალისის მდინარის მიყოლებით მცირე აზიაში, ვიდრე კავკასის ქედამდე: ამ საზღვრებში იმას ეპყრა შეუწყვეტლად მთელი შავი ზღვის პირი. მაგრამ იქ, სადაც კი მისი ახლო მონათესავე ქართული ენა მეგრული ენის მოსაზღვრედ ხდება, პირველი სრულებით იერთებს უკანასკნელს. თუ არა ამ გზით, სხვა გზით არ შეგვიძლიან აეხსნათ გავრცელება ქართულის ენისა მთელს შავი ზღვის პირზე რიონის პირიდან ჭოროხის პირამდე“ (იხ. მისი ისტორია საქარ., გვ. 272).

დეგ იწყება ქართული ენისა და დამწერლობის გაბატონება აფხაზთა სამეფოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საეკლესიო უწყებაში აფხაზეთის ეკლესია, რომელიც წინათ ემორჩილებოდა ბიზანტიის ეკლესიას, ახლა თავისუფლდება ასეთი დამოკიდებულებისაგან და იგი უერთდება ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოს.

ამას მოჰყვა საკუთარი კულტურის ცენტრების შექმნა და ამ მიზნით, აფხაზთა მეფე გიორგი II-მ (912-957 წწ.) სამეგრელოს ცენტრში ააშენა მარტვილის მონასტერი, დააარსა ჭყონდიდის საეპისკოპოსო. ამის შესახებ მემატიანე ამბობს, რომ გიორგი აფხაზთა მეფემ: „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი სიმრავლითა წმინდათა მარტვილთათა"-ო (ქარ. ცხ. გვ. 229). შემდეგში მარტვილის ეს მონასტერი იქცა ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად.

4. ქართული ფეოდალური მონარქიის გაძლიერება, მისი დაცემა და ოდიშის სამთავროს წარმოქმნა

საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანების პროცესი, როგორც ვიცით, დაიწყო ბაგრატ III-ის გამეფებიდან (978 წ.). მაგრამ ეს გაერთიანება თავდაპირველად ნელი ნაბიჯით მიდიოდა, რადგანაც საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის ცენტრი თბილისი ჯერ კიდევ არაბთა ამირას ხელში იმყოფებოდა. ბაგრატის მომდევნო აფხაზთა მეფეები თბილისის შემოერთების აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ, მაგრამ მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შეძლო ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, თბილისის აღება 1122 წ., არაბების განდევნა და თავისი ტახტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა. დავით აღმაშენებელმა, ამასთანავე, შეძლო ქართული ფეოდალური სამთავროსაერისთავოების გაერთიანება და ფეოდალები იძულებული იყვნენ მისი უპირატესობა ეცნოთ. XI საუკუნიდან ქართული ფეოდალური მონარქია დიდი სისწრაფით ვითარდებოდა და მან გიორგი III-ის და თამარ მეფის დროს მიაღწია საკმაოდ დიდ ძლიერებას.

ამ ფეოდალური მონარქიის სათავეში იდგა მეფე და იგი ითვლებოდა ყველაზე დიდ და ძლიერ ფეოდალ-მონარქად, რომელიც ქვეყანას განაგებდა გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატიის

დახმარებით.

ამასთანავე, საქართველოს მთელი ტერიტორია დანაწილებული იყო საერისთავოებად, „საპატრონოებად". დიდგვაროვანი ერისთავ-ფეოდალები მეფესთან იყვნენ პატრონყმურ დამოკიდებულებაში. მფარველობისა და პატრონობის მისაღებად ფეოდალურ საქართველოში არსებობდა შეწყალების სხვადასხვა წესი (ბენეფიციუმი), რომელიც გამოიხატებოდა შეწყალებულისადმი რაიმე საჩუქრის გაცემაში, მიწა იქნებოდა ეს თუ რაიმე თანამდებობა.

სახელმწიფოს მმართველობის სათავეში იყვნენ დიდგვაროვნები და ამ წრიდან ირჩევდნენ დარბაზის (სათათბიროს) წევრებს, ვაზირებს და ერისთავებს. XI-XII საუკუნეებში საქართველოს პროვინციების მართვა-გამგეობა ამ ერისთავებს ჰქონდათ ჩაბარებული. ერისთავებს ნიშნავდა მეფე და მათ ეწოდებოდათ „საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი". თამარის მეფობისას არსებობდა შემდეგი საერისთაონი: „*სვანეთის, ცხუმის (აფხაზეთის), ოდიშის (სამეგრელოს), რაჭის, ქართლისა და ჰერეთის*. თამარის მიერ ამ საერისთავოებში ერისთავთა არჩევისა და განწესების შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ერისთავნი მისი ჟამისანი ესენი იყუნეს: ბარამ ვარდანიძე — სვანთა ერისთავი. კახაბერ კახაბერიძე — რაჭის ერისთავი, დოლათო შარვაშისძე — ცხუმის ერისთავად, ამუნელისა ძე, ოდიშის ერისთავად — ბედიანი; ლიხთ-ამერით ქართლის ერისთავად — რატი სურამელი. კახეთის ერისთავად — ბაკურ — ყმა, ძაგანისძე და ჰერეთის ერისთავად — გრიგოლისძე ასათ". (ისტორიანი და აზმანი, გვ. 410-411)[1]. მემატიანის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ XII ს. ოდიშის[2] საერისთავოში თამარს განუწესებია ვინმე *ბედიანი*. ერისთავი

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1897 წ., გვ. 410-411.

[2] *ოდიში* პირველად იხსენიება თამარ მეფის დროს (იხ. ისტორიანი და აზმანი, გვ. 411). *ს. კაკაბძე* სახელწოდება *ოდიშს* უკავშირებს კოლხეთში მოსახლე ტომს „დიზერს", რომელსაც ჰეკატე (VI ს. ძვ. წ.) იხსენიებს. *ს. კაკაბძის* სიტყვებით: ტომი დიზერი შემდეგ გაქრა, მაგრამ მისგან დარჩა გეოგრაფიული სახელი უკვე მეგრული თაესართი ოდიშ-ი (დიშ, დიზ) (იხ. მისი ქართული სახელმწ. გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, ტ. I, 1934 წ., გვ. 65).

ვახუშტი თაეის საქართველოს ისტორიაში და გეოგრაფიაში ყველგან იხსენიებს *ოდიშს* და *ოდიშარი*. „ხოლო ესე ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. ეგრისის წყალს იქით დასავლეთისა ეპყრათ ბერძენთა, აქ არს ადგილი იგი. ამისათვის უწოდეს მეგრელნი. ხოლო ოდიში: — განდგნენ რა ეგროსის მდინარისის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდიან: „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩვენი და ისახელნენ აქამდე ესრეთ" (ვახუშტი, საქართ. გეოგრაფია, გვ. 294, ოდიშისათვის). სამეგრელოს ეს სახელწოდება შერჩა თითქმის XIX ს. დამდეგამდის. მდ. ენგურის გამოღმა მხარეს მეგრელები დღესაც ოდიშს უწოდებენ. აქ არის სოფელი ოდიშიც (ლედგებიე) და გვარიც ოდიშარია.

თავის სახელისუფლებოში უფლებამოსილი პირი იყო. ის ეკუთვნოდა მაღალ მოხელეთა წრეს და უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო სავაზიროში[1]. „ძეგლი ერისთავთა"-ს[2] სიტყვით, ერისთავს ჰქონდა თავისი სამოსელი, ბეჭედი, საყურე და სარტყელი, აგრეთვე დროშა და შუბი. ერისთავს ჰყავდა ხელქვეითი მოხელეები, რომლებიც ასრულებდნენ მის განკარგულებებს და უწევდნენ

მარტვილის ეკლესია XIII ს.

მას სხვადასხვა სამსახურს. ასეთი იყო ციხისთავი, ხევისუფალი, მამასახლისი გზირი და სხვ. სამეფო დარბაზობის დროს ერისთავთ-ერისთავებს საჯდომს უკან ედგათ მოლარეთ-უხუცესები, რომლებსაც ეჭირათ ერისთავის ხმალი და ფარი[3].

ერთი სიტყვით, ოდიშის ერისთავი ინიშნებოდა საქართველოს მეფის მიერ და იგი ვალდებული იყო მეფისათვის გაეწია ერთგული სამსახური. მაგრამ ყველა საერისთავო ერთნაირი ღირსებითა და პატივით არ სარგებლობდა. მათ შორის მაღლა იდგა ის ერისთავი, რომელიც იყო „მჯდომი მეფეთა ადგილსა", ე.ი. ეჭირა ძველ მეფეთა

---

[1] *პროფ. ივ. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წ. I ქუთაისი, 1919 წ., გვ. 203-206.

[2] *თ. ჟორდანია*, ქრონიკები II თბილისი, 1893 წ., გვ. 4.

[3] *ექ. თაყაიშვილი*, ხელმწიფოს კარის გარიგება, ტფილისი, 1920 წ.

ნაჯდომი საერისთავო. ამგვარ საერისთავოთა შორის იყო ოდიშიც, რომელიც წარმოადგენდა ძველ ეგრისის მეფეთა საჯდომ ადგილს.

ოდიშის სამთავროს დაწინაურება დაიწყო თამარ მეფის დროს, როდესაც თამარის კარზე აღზევებულმა მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა მიიღო შეწყალებით „საპატრონოდ" ლიხთ-იმერეთი: „ვარდან დადიანი, მსახურთ-უხუცესი, აქათ პატრონი ორბეთისა და კაენისა, და ლიხთ-იქით ნიკოფსიამდის უცილობელად ქონებისაო" (ქართ. ცხოვრება, ზ. ჭ., გვ. 426, ისტ-ნი და აზმანი, გვ. 435).

დადიანის გვარის წარმოშობისა და სადაურობის საკითხი ჯერ კიდევ გამოკვლეული და დადგენილი არ არის. *მარი ბროსეს* აზრით, დადიანის თანამდებობა იხსენიება ივერიაში XI საუკუნის დამდეგიდან. სიტყვა დადიანი სწარმოებს სპარსულ სიტყვიდან „დად" და სომხურიდან „*დატავორ*"-მსაჯული[1].

ამასთანავე, მ. ბროსეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს გვარი წარმოშობილ იყოს „*დადი*"-სგან, ოდესმე სოფელი და ციხე-სიმაგრე სამეგრელოში[2]. ვახუშტიც უჩვენებს დადის წყალს, დადის დაბის გამო წოდებულს[3]. დ. ბაქრაძის აზრით, სამეგრელოსა და გურიის მთავრები დადიანები და გურიელები წარმოშობილნი არიან სვანთა ერისთავის ვარდანიძისაგან. ამას ის მოწმობს, რომ წარწერებზე ხშირად სამეგრელოს მთავრები თავის თავს იხსენიებენ დადიან-გურიელად, გურიის მთავრები კი გურიელ-დადიანად. ბოლოს ბაქრაძე დაასკვნის, რომ ჩვენ სრულ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ გურიელისა და დადიანების პირველი დინასტია ორივე წარმოშობით, ეკუთვნოდეს ვარდანიძის გვარს, რომელიც ერისთაობდა სვანეთში გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) დროსო[4].

ქართლის ცხოვრებაში პირველად იხსენიება ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეფობაში იოანე დადიანი, რომელიც ლიპარიტ ერისთავს ბაგრატის მომხრე და სხვა ერისთავ-დიდებულებთან ერთად შეუპყრია ანისში (ქართლის ცხოვრება, ზ. ჭ. გვ. 329). შემდეგ გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) მეფობაში ცნობილია შანშე დადიანი. იგი მეფეს განდგომია, ხელში ჩაუგდია ქალაქი ანისი და

---

[1] *მ. ბროსე* საქართველოს ისტორია, ნაწ. II, ტფილისი, 1895 წ., გვ. 166.
[2] *M. Brosset*, l'Histoire de la Georgie, I, 385.
[3] *ვახუშტი*, საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი, 1904 წ., გვ. 304.
[4] *Д. Бакрадзе*, Археологич. путешествие по Грузии и Адчарии, с. 269.

იბრძოდა ამ ქალაქის დასაკუთრებისათვის. მაგრამ მეფის ჯარს ანისი აუღია და დამარცხებული შანშე დადიანი გაქცეულა. ამის შესახებ ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს:

„კვალად ინება შეყრა და გალაშქრება (იგულისხმება გიორგი III) დიდად ქალაქად ანისად, რომელიც ძველ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო. და მორიდებითა ბერძენთათა, და მიმოცვალებითა ჟამთათა დიდად გვარიანთა ვიეთმე შანშე დადიანთა თანა განდგომილ ქმნილიყო, ამას-ზედა მყის მიმხდომმან ჰყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა. სიტყუით და საქმით ბოლოდ დასტეხნეს მსგავსად მეხის-ტეხისა და ელვისა სახედ გარდახვეწასა შინა შანშე დადიანისასა, ხელთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თჳსისა“ (ქართ. ცხოვრება, ზ. ჭ., გვ. 386). ერთი სიტყვით, როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, პირველი დადიანების მოღვაწეობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ძველი ანისის მფლობელობასთან. სომხეთის სავაჭრო ქალაქებში ანისს საქართველოსთან ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა. ამ ქალაქს ამასთანავე ეძლეოდა დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოს სამხრეთის საზღვრების დასაცავად. ამიტომ დადიანები ცდილობდნენ ამ ქალაქის ხელში ჩაგდებით მოეპოვებინათ პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერება და გავლენა საქართველოს სამხრეთ ნაწილში. შეიძლება ამ ნიადაგზე მომხდარიყო დადიანების დაახლოება თამარის სამეფოს კართან და ერთი მათგანის ვარდან დადიანის დაწინაურება, რომელსაც თამარისაგან ებოძა მსახურთ-უხუცესობა და „პატრონობა“ ლიხთ-იმერეთისა. ამგვარად, ვარდან დადიანი ხდება მფლობელი და პატრონი მთელი დასავლეთი საქართველოსი და მისი მემკვიდრეები შემდეგში თანდათანობით ამტკიცებენ აქ თავიანთ პოლიტიკურ ძალაუფლებებს.

თამარის მიერ აღზევებული და განდიდებული ვარდან დადიანი, როგორც მემატიანის ცნობიდან ჩანს, გიორგი რუსთან ბრძოლაში განუდგა თამარს და მიემხრო გიორგის მომხრეთა ჯგუფს. ვარდანმა შეძლო თამარის წინააღმდეგ აემხედრებინა ლიხთ-იმერეთის ერისთავები, რომლებიც შედიოდნენ მის საპატრონოში. მემატიანის სიტყვით, „მიერთო (ე. ი. მიემხრო გიორგი რუსს) ვარდან დადიანი, მსახურთ-უხუცესი, აქათ პატრონი ორბეთისა და კაენისა და ლიხთ-იქით ნიკოფსიამდის უცილობლად ქონებისა. მას შეეყარა ყოველი სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკვერი, და არგვეთი: და მომრთველმან სანიგთა და ქაშაგთამან აფიცნეს

რუსისა გამეფებისა და მისისა მეფე ყოფისათჳს დიდებულთა და ლაშქართა მის ქვეყანასათა“ (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., 426).

თამარმა გიორგი რუსის მომხრე ჯგუფი დაამარცხა და, როგორც ირკვევა, ვარდან დადიანს სხვა მეამბოხე დიდებულებთან ერთად, მოუხერხებია თამართან შერიგება და ამგვარად მას შეუნარჩუნებია ლიხთ-იმერეთზე „პატრონობა“.

რუსუდანის მეფობაში (1223-1245 წწ.) დაწინაურებულა ცოტნე დადიანი, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გავლენა იმდროინდელ ერისთავ-დიდებულთა შორის. რუსუდანის მოწოდებით, ცოტნე დადიანი ებრძოდა ჯალალედინს, რომელმაც აიღო თბილისი 1225 წელს და რუსუდანი გაიხიზნა ქუთაისში.

მემატიანის სიტყვებით: „ხოლო ესე რა ესმა რუსუდანს, უბრძანა ყოველთა სპათა მისთა იმერთა და ამერთა... დადიანს ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა“ (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., გვ. 521). ცოტნე დადიანი მონაწილეობას იღებდა რუსუდანის მოლაპარაკებაში მონღოლებთან, რომ მათ საქართველოს მეფედ დაემტკიცებინათ დავით ნარინი რუსუდანის-ძე. როდესაც ამ მიზნით რუსუდანი გადმოვიდა იმერეთიდან ტფილისში მის ამალაში პირველად მოხსენიებულია ცოტნე დადიანი: „ხოლო რუსუდან თან წარიტანნა ყოველნი მთავარნი ლიხთ იმერელნი, დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი, ბედიანი, რაჭის ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი, წარემართნეს და შევიდეს ტფილისს” (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., გვ. 531).

რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, სანამ მონღოლთა ყაენი დავით ნარინს მეფედ დაამტკიცებდა, საქართველო ფაქტობრივად რჩებოდა უმეფოდ და ამიტომ მონღოლთა ნოინებმა საქართველო დაანაწილეს რამდენიმე სამთავროდ და თითოეულ სამთავროს მმართველად დანიშნეს დიდებული ერისთავები: „პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, ამას მიათვალეს ლაშქარი ჰერეთ-კახეთისა, კამბეჩანისა, ტფილისითგან აღმართ ვიდრე მთამდე შამახისა, და შანშეს ჰელთ-უდვეს მამული მისი და ავაგისი. ვარამ გაგელსა ხელთ — უდვეს ყოველი სომხითი. გრიგოლ სურამელსა — ქართლი და თორელსა გამრეკელსა მსგავსადვე ეგარსლანისასა საჭაბუკოთ შინა ხელთ-უდვეს ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე. ხოლო ცოტნე დადიანს და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამეფო“ (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., გვ. 541).

ეს ცოტნე დადიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ დიდებულ ერისთავების მიერ მოწყობილ შეთქმულებაში კოხტას მთაზე მონღოლების წინააღმდეგ. ამ შეთქმულებაში დადიანმა გამოიჩინა გმირობა და ამხანაგებისადმი თავდადება. მემატიანის ცნობით, მონღოლების მეხარკეობით და ლაშქრობით შეწუხებულმა ერისთავ-დიდებულებმა გადაწყვიტეს მონღოლებთან შებრძოლება და მათი განდევნა: „და ვერ ძალგვიძს წინააღმდგომად თათართა და იგინი ბოროტად გვაჭირვებენ ჩვენ და ყოველთა წელთა ალმუთს წაგვასხმენ ყოველთა ჭირთა და ბოროტთა შესამთხვევად. და არა არს ღონე ჩვენი და ჩვენ უმეფონი ვართ, აწ შეეკრბეთ ყოველნი და ვებრძოლნეთ თათართა". ამას ზედა განიყარნეს უშორეს მყოფნი აკხასნი, დადიანი ცოტნე, ბედიანი, კაცი კეთილი და სრული ყოვლისა საღმთოთა და საკაცობითა და რაჭის ერისთავი, ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად"-ო (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., გვ. 547).

ყველა ამ საჭირბოროტო და მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე დიდებულებმა ფარული თათბირი მოაწყვეს თურმე კოხტას მთაზე. მაგრამ მონღოლთა ნოინებმა ეს ამბავი დროზე შეიტყვეს, შეიპყრეს შეთქმულების მონაწილე დიდებულ-ერისთავები და გაგზავნეს ანისში. იქ, ჭარმაღან ნოინის განკარგულებით, ქართველ დიდებულებს ხელები შეუკრეს თურმე, ტანზე თაფლი წაუსვეს და მზეზე დაჰყარეს. ბუზებისაგან შეთქმულები საშინლად იტანჯებოდნენ. ცოტნე დადიანი კოხტას მთაზე დაგვიანებით მისულა, როდესაც გაუგია საქმის ვითარება, იგი მაშინვე ანისში წასულა:

„ხოლო ვითარ მოეახლა პაემანი, მოვიდა დადიანიცა ცოტნე ლაშქრითა, მას ადგილსა, რომელ არს რკინის-ჯუარი, შორის სამცხისა და ღადოსა და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად და ყოველთავე ყოფა ბოროტთა სატანჯველითა შინა, მწუხარე იქმნა უზომოდ, და თუსად სიკუდილად შეჰრაცხა საქმე იგი. წარავლინა ლაშქარი თუსი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები თავისა თუსისა მეგობართა თუსთათუს"-ო (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., გვ. 548). ანისში მისულ ცოტნე დადიანს უნახავს თავისი მეგობრები საშინელ ტანჯვაში, გაუხდია ტანისამოსი, თავის ხელით წაუსვამს ტანზე თაფლი და მათში ჩამჯდარა. მემატიანის თქმით, მონღოლებს გაკვირვებიათ დადიანის ასეთი მოქცევა და ჰკითხეს ამის მიზეზი. დადიანს უპასუხნია: „ჩვენ ყოველნი ამად შეეკრბით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქვენი და ბრძანება თქვენი აღვასრულოთ, ესე იყო მიზეზი

შეკრებისა ჩვენისა"-ო (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., გვ. 549). ვინაიდან მონღოლთა ნოინებისათვის სხვებსაც ასეთივე ჩვენება მიუციათ, მონღოლებს ყველანი გაუნთავისუფლებიათ.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ოდიშის ერისთავ-მთავრები ბედიან დადიანები ვერ ბედავდნენ მეფის ურჩობას და მას უწევდნენ ერთგულ სახელმწიფოებრივ სამსახურს.

ამასთანავე, ოდიშის საერთისთავოში იმყოფებოდა *ჭყონდიდის საეპისკოპოსო*, რომელსაც ჰქონდა დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნლობა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდლობა და მწიგნობართ-უხუცესობა ერთი ვაზირის ხელში გააერთიანა. ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ მაღალი სამღვდელოების წარმომადგენელს, რომელიც განაგებდა ჭყონდიდის (მარტვილის) საეპისკოპოსო კათედრას და მას უწოდებდნენ ჭყონდიდელსა და ვაზირთა შორის უპირველესს[1].

ჭყონდიდელი იყო მეფის მრჩეველი, მართლმსაჯული და ულონოთა და ქვრივთა მზრუნველი. მეფის შემდეგ, მწიგნობართ-უხუცესი იყო ქვეყნის უზენაესი წარმომადგენელი და პოლიტიკის მიმართულების მიმცემი. მას უწოდებდნენ მეფის „მამას" (ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 19) და მეფეც სახელმწიფო საქმეებზე პირველად მასთან თათბირობდა. მასვე ეკითხებოდა სასულიერო წოდების საქმეების მოწესრიგება. ომისა და ზავის საკითხებში იგი მონაწილეობას იღებდა და ლაშქრის წვევაზე გაცემული ბრძანებები მას სისრულეში მოჰყავდა. მეფის სალაშქროდ წასვლის დროს სამეფო საქმეებს ის მართავდა და სხვა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში, ოდიშის საერისთავოს წარმომადგენელნი დადიანები და ჭყონდიდის კათედრის მესვეურნი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესნი, შედიოდნენ გაერთიანებული საქართველოს სამეფოს საავაზიროში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო საქმეებში. მაგრამ ეს პატრონყმურ ურთიერთობაზე აღმოცენებული ფეოდალური მონარქია მატარებელი იყო შინაგანი გამთიშველი ძალებისა და ამის გამო, განიცდიდა მერყეობას. მეფეები მიისწრაფოდნენ განემტკიცებინათ თავიანთი უფლება და შეეზღუდათ ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც იბრძოდა, რათა შეესუს-

---

[1] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ., 1919 წ. (იხ. მწიგნობართ-უხუცესი, გვ. 126); ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 3.

ტებინა მეფის უფლება და გაეძლიერებინა ფეოდალ-ერისთავების პოლიტიკური და უფლებრივი ბატონობა. ასეთი შინაგანი წინააღმდეგობა ძირს უთხრიდა გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს, რომლის ერისთავ-ფეოდალები მუდამ მზად იყვნენ განდგომისთვის, მხოლოდ ამისათვის ეძებდნენ ხელსაყრელ პოლიტიკურ მომენტს, რათა თავისი თავი ელიარებინათ დამოუკიდებელ ერისთავებად. ასეთი პირობები შეიქმნა მონღოლთა შემოსევიდან. როდესაც მონღოლებმა თბილისი აიღეს 1238 წ., მეფის ხელისუფლება დასუსტდა და დაეცა. ამას მოჰყვა საქართველოს მთლიანობის დაშლა და მონღოლების ხელის შეწყობით, ერისთავების გაძლიერება. მონღოლებისაგან დევნილი დავით ნარინი გადადის იმერეთში, სადაც იგი დიდებულებმა და ერისთავებმა აღიარეს მეფედ: „ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სვანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფედ ჰყვეს დავით, რუსუდანის ძე, აფხაზთა, ვიდრე ლიხთამდე"-ო (ქართ. ცხოვ., ზ. ჭ., გვ. 559).

ამგვარად, საქართველო გაიყო ორ სამეფოდ: ქართლისა და იმერეთის სამეფოდ. ჩქარა ამას მოჰყვა თითოეულ სამეფოს საერისთავოებად დანაწილება, რომლის შესახებ ვახუშტი ასე მოგვითხრობს: „ხოლო დაჯდა ნარინ დავით მეფედ იმერთა (1259-1293 წწ.). ამიერით იწოდა დავით და მას ქვემოთნი მეფედ იმერთა და არღა-რა აფხაზთა"-ო. ამ დავით IV ნარინის (1243-1259 წწ.) მეფობის დროს ოდიშის ერისთავად იხსენიება ბედან დადიანი, რომელსაც განუახლებია და შეუმკია სხვადასხვა ეკლესიის ხატები. ის მოხსენებულია წალენჯიხის ჯვარცმის ხატის წარწერაში: „მანდატურთუხუცესი დადიანი ბედანი და ძე მათი, მეორე მამკობი დადიანი გიორგი"[1].

ხობის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატზე დაცულია ბედან დადიანის ასეთი წარწერა: „ქ. ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო, დედოფალო, შემწე და მეოხ და მფარველ ეყავ გულისმოდგინეთ მამკობსა წმიდისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ერისთავთ-ერისთავსა, მანდატურთუხუცესს, ბედანსა დადიანსა და დიოფალთ დიოფალსა ხუაშაქსა, რომლისა შემოწირვითა მოიჭედა ზურგი ესე" (*ექვ. თაყაიშვილი*, იქვე, გვ. 141).

---

[1] *ექვ. თაყაიშვილი*, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. II, ტფილისი, 1913-1914 წწ., გვ. 227; M. Brosset, Voyage archeologique, Rapports, I, 1849, Mingrelie - Odichi, 42-43.

ასევე ბედანი მოხსენიებულია მარტვილის ტაძრის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში: „...ახლად მამკობი კნინთა მიერ ულირსი მანდატურთუხუცესი ბედანი დადიანი და მეუღლე, ვითხოვთ მე, ულირსი ხუაშაქი, ქართლისა ერისთავისა ასული ძითურთ გიორგით და ივანეთ — გვიოხენ, ყოვლად უხრწნელო რა ჟამს დაჯდეს ძე შენი განკითხვად დღესა მას საშინელსა“ (იქვე, გვ. 49).

ვახუშტით: „შემდგომად ნარინ დავით მეფისა დაჯდა მეფედ ძე დავითისა უხუცესი კონსტანტინე (1293-1327 წწ.). ამ კონსტანტინეს წინ აღუდგა ძმა თავისი მიქელ და არა უტევებდა მეფობისა დაპყრობად იმერეთისა და მიქელ დაიპყრა რაჭა, ლეჩხუმი და არგვეთი და აქვნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა, შლილობა და შფოთი და ხდომა ურთიერთთა და იყო ოხრება ქვეყნისა. ამისთვის შეიჭირვებდენ დიდებულნი ამის სამეფოსანი და ვერა რითა ჰყვეს ზავნი მათ შორის. იხილა დადიანმან გიორგიმ ესე ვითარება მათ შორის, მაშინ მიიტაცა საერისთაო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე, ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი და გურიელმან გურია და სვანთა ერისთავმან სვანეთი და განიმკვიდრეს თვისად და არღა-რა ეგოდენსა მორჩილებასა შინა იყუნენ მეფეთასა. ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი (1323 წ.) და დაჯდა მის წილ ძე მისი მამია და ამან უმეტესად დაიპყრა ოდიში“-ო (იქვე, გვ. 276).

ამგვარად, ერისთავებმა ისარგებლეს იმერეთის სამეფოს შინაური შფოთითა და განხეთქილებით და მოიპოვეს თავიანთი საერისთავოს დამოუკიდებლობა. მათ შორის შედარებით ძლიერი იყო ოდიშის საერისთავო, რომლის პირველ ერისთავ-მთავრად უნდა ჩაითვალოს გიორგი I დადიანი. ეს გიორგი შვილი იყო ბედან დადიანისა და იგიც ატარებდა ერისთავთ-ერისთავისა და მანდატურთ-უხუცესის სახელწოდებას. მისი ფრესკა ასომთავრული წარწერით დღემდის დაცულია ბედიის ტაძრის სამხრეთის კედელზე, სადაც იგი წარმოდგენილია თავისი მეუღლით და შვილით[1].

ამ გიორგი I დადიანისა და მისი მემკვიდრეების საზრუნავი საქმე ახლა იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და სამთავროს საზღვრების გაფართოება-გამაგრება. ამ ხანებში ოდიშის ცალკე სამთავროდ გამოყოფა და განცალკევება საფრთხეს უმზადებდა

---

[1] *M. Brosset*, Voyage archeologique, Rapports, I,ST. Peter. 1849, Samourzakan - Aphkhazie, 91-92.

იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ მთლიანობას და მის დამოუკიდებელ არსებობას. იმერეთის მეფე-მთავრები ამ დროს სარგებლობდნენ თემურ-ლენგის შემოსევით აღმოსავლეთ საქართველოში და მთელი მათი მოლვაწეობა მიმართული იყო საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის და მისი შვილის გიორგი VII-ის წინააღმდეგ, რომ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით ესარგებლათ და იმერეთი ელიარებინათ ცალკე დამოუკიდებელ სამეფოდ, ამ ბრძოლაში დადიანი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ემხრობოდა ბაგრატსა და გიორგის და იცავდა საქართველოს მთლიანობას. დადიანი კარგად ერკვეოდა, რომ იმერეთის მეფეების დამოუკიდებელობა და გაძლიერება საფრთხის ქვეშ აყენებდა ოდიშის სამთავროს დამოუკიდებელ არსებობას. ამასთანავე, მისთვის პოლიტიკური მოსაზრებით და კულტურულად, უფრო მისაღები იყო მთლიანი საქართველოს მეფის ვასალად ყოფნა, ვიდრე იმერეთის მეფის ქვეშევრდომობა. ამიტომ დადიანები ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ებრძვიან იმერეთის მეფე-მთავრების სეპარატიულ მისწრაფებებს და აშკარად ემხრობიან საქართველოს მეფეებს. 1386 წელს თემურ-ლენგმა დაიწყო საქართველოზე გამოლაშქრება. ბაგრატ V შეუდგა სამზადისს და ლაშქრის შეყრას თემურის წინააღმდეგ, მაგრამ ათაბაგი ბექა, თემურის შიშით, ბაგრატს განუდგა, მიემხრო თემურ-ლენგს და სთხოვა ზავი და მორჩილება. მაგრამ საათაბაგოს განდგომით ბაგრატ V არ შეშინდა და იგი განაგრძობდა სამხედრო სამზადისს. იმერეთში მან გაგზავნა თავისი ძე გიორგი, რომ იქაური მთავრები არ განდგომოდნენ მას. ოდიშის მთავრად ამ დროს იყო ბაგრატის მიერ დამტკიცებული გიორგი I-ის ძე ვამეყ I დადიანი (1386—1396 წწ.), რომელიც მტკიცედ იდგა ბაგრატის ერთგულებაზე.

1387 წ. მონღოლებმა თბილისი აიღეს, ტყვედ ჩაიგდეს თვით მეფე ბაგრატი და მისი მეუღლე დედოფალი ანა. ამით ისარგებლეს მთავრებმა და დაიწყო მათი განდგომა. პირველად მეფეს განუდგა სამცხის ათაბაგი ბექა. ხოლო, როდესაც გიორგი ბაგრატის ძე იმერეთიდან წამოვიდა ათაბაგის დასამორჩილებლად, იმერეთის მთავარმა ალექსანდრე ბაგრატის ძემ 1388 წელს თავი მეფედ გამოაცხადა. მაგრამ მისი მეფობა არ ცნო ვამეყ დადიანმა, რომელიც ერთგულ სამსხურს უწევდა ბაგრატ მეფეს (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრება, გვ. 278). მაშინ ალექსანდრეს მემკვიდრემ იმერეთის მეფე გიორგი I-მა (1389-1392 წწ.) განიზრახა ურჩობისათვის დადიანის დამორჩილება იარაღით. ის დიდი ჯარით გადავიდა ოდიშში.

მაგრამ დიდი ბრძლის შემდეგ ვამეყ I დადიანმა გიორგი მეფე დაამარცხა და ამ ბრძოლაში თვით გიორგი იქნა მოკლული. ამის შესახებ *ვახუშტი* მოგვითხრობს: „და შემდგომად ალექსანდრე მეფისა დაჯდა ძმა მისი გიორგი მეფედ იმერთა. არღა-რა ინებეს მთავართა მათ მორჩილება გიორგი მეფისა. ამისთვის განიზრახა ამან გიორგი ბრძოლა ვამიყ დადიანისა, რამეთუ უკეთუ სძლიოს და დაიმორჩილოს იგი, სხვანიც ყოველნი დაიპყრას. შემოკრბნა სპანი იმერთანი, წარვიდა და შთავიდა ოდიშს. დღესა ერთსა ეწყო ვამიყ დადიანი და ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად იძლია სპანი იმერთა და მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი. ხოლო ლტოლვილნი იმერნი მოვიდნენ თავის თვისად: მაშინ განზრახვითა ვამიყ დადიანისათა ჩამოვიდა გიორგი ძე დიდისა ბაგრატ მეფისა და დაიპყრა კვალად იმერეთი“-ო[1].

აქედან ირკვევა, რომ ვამეყ დადიანის დახმარებით, იმერეთში ჯარით გადმოსულა გიორგი VII ბაგრატის ძე და მას ისევ დაუპყრია იმერეთის სამეფო.

ასეთი ერთგული სამსახურისათვის გიორგი VII-მ ვამეყის შვილს მამია II-ს უბოძა ცხომის, ანუ ცხუმის საერისთავო[2]. ვამეყ დადიანს გაულაშქრია ჯიქეთში, დაუპყრია იქ ციხე-სიმაგრეები და დიდი ნადავლით დაბრუნებულა. სხვათა შორის, მას თან წამოუღია მარმარილოს სვეტები და ფიქალები, რომლებიც დღესაც დაცულია ხობის მონასტრის კედლებში.

ამის შესახებ ხობის ტაძრის ეგვტერის წარწერა მოგვითხრობს:

„ქ. სახელითა ღმრთისათა ერისთავთ ერისთავმან და მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა პატრონისა ერისთავთ ერისთავისა დადიანისა გიორგის შედეგად მიუხდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათჳს, რათამცა მოემსახურა. და სძლო და შეურაცხ და უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი, ყოველნივე ძალითა მოირჭუნა. მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალნი მოარბივნა. რაოდენნი მოეწყო, მათი მძევალნი წამოასხნა და სხვანი აოტნა. და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი და მამა-დედათა ლარნაკი და მისი და მარეხ გააერთა. საუკუნემცა არს ხსენება მათი“ (*ექვ. თაყაიშვილი,*

---

[1] *ვახუშტი*, საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913 წ., გვ. 279.
[2] *ვახუშტი*, საქართველოს ცხოვრება, დ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემული თბილისში, 1885 წ., გვ. 291.

არქეოლ. მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 133; M. Brosset, Voyage, I, 38-39). საყურადღებოა, რომ ვამეყ I დადიანი საკუთარ ფულსაც ჭრიდა თურმე. ამას მოწმობს 1927 წელს ქ. სოხუმში ერთ გორაკზე, რომელზედაც ბაგრატის კოშკის ნანგრევია, ვერცხლის ფულების განძის აღმოჩენა. ეს განძი შეიცავდა ტრაპიზონის მეფის იოანე II-ს (1280-1297 წწ.) ასპრების წაბაძულობის ქართულ ფულებს, რომელშიაც ერია ვამეყ დადიანის სახელით მოჭრილი დღემდის უცნობი ვერცხლის ფული[1]. ვამეყის მემკვიდრე, მამია II, რომელმაც გიორგი VII-ის ერთგული სამსახურისთვის მიიღო ცხომის საერისთაო, ახლა ცდილობდა დაეპყრო აფხაზეთი და ამ მიზნით, მას დიდი ჯარით გაულაშქრია აფხაზეთში.

ამ ბრძოლაში დადიანის ჯარი დამარცხებულა და თვით მამიაც მოუკლავთ: „არამედ იხილა რა მამია დადიანმა ეს ვითარებანი, ინება დამორჩილება აფხაზთა და ამასვე წელსა შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი, მეგრელნი და წარვიდა და მისრულს აფხაზეთსა ეწყო შარვაშიძე აფხაზით. სიმაგრის გამო მოსწყვიდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია და ნეშტნი სპანი აოტნეს და ლტოლვილნი მივიდნენ ოდიშს“ (ვახუშტი, საქარ. ისტორია, გვ. 297-298). თავისი ერთგული ერისთავის დამარცხებამ და სიკვდილმა შეაშფოთა საქართველოს მეფე ალექსანდრე (1412-1442 წწ.), რომელიც გადმოსულა ოდიშში და დადიანობა უბოძებია მამიას შვილის ლიპარიტისათვის.

ლიპარიტ I დადიანი თანამედროვე იყო საქართველოს მეფე გიორგი VIII-ისა (1446-1466 წწ.), რომლის მეფობაში იწყება გამწვავებული ბრძოლა საქართველოს მეფე-მთავართა შორის. ამას ხელს უწყობდა გართულებული საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, სახელდობრ, ოსმალების გაძლიერება აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ქვეყნებში. 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ამით ხელში ჩაიგდეს მთელი შავი ზღვის სანაპიროები და ახლა ძლიერი ოსმალების სახით საქართველოს

---

[1] *Е. А. Похомов*, Клады Азербайджана и других республик и краев кавказа, вып. II, Баку, 1938 г. გვ. 46, №483, (1940 წლის მაისში მე პირადად გავსინჯე და ფოტოგრაფიულად გადავიღე აღნიშნული ფული, რომელიც ინახება ალექსანდრე სიმონოვის ოჯახში ქ. სოხუმში. ეს ფული ვერცხლისაა და მას ერთ მხარეზე აქვს მხედრული წარწერა: „ვამეყ“. მეორეზე კი გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი (გვირგვინოსანი), სახე დამასინჯებულია და წარმოადგენს ტრაპიზონის მეფის იოანე II-ის წაბაძულობას იხ. სურ. 10).

გამოუჩნდა საშიში მტერი, რომელიც საქართველოს უტევდა დასავლეთ-სამხრეთის მიმართულებით.

ამის გამო, გიორგი VIII-ს საქართველოს სამეფოს მთლიანობის დასაცავად უხდებოდა ბრძოლა ერთის მხრით, გარეშე მტრებთან და მეორეს მხრით, მთავრებთან, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ. პირველად გიორგი მეფეს განუდგა ყვარყვარე

ვამეყ დადიანის ფული.

ათაბაგი და იმერეთის ერისთავი ბაგრატი. ათაბაგმა ყვარყვარემ და ბაგრატმა კავშირი შეკრეს გიორგის წინააღმდეგ და ათაბაგის დახმარებით ბაგრატმა 1462 წ. გვირგვინი იკურთხა ქუთაისში და იმერეთში გამეფდა. ბაგრატმა მიიმხრო ლიხთ-იმერეთის მთავრებიც: დადიანი, გურიელი, აფხაზეთისა და სვანეთის ერისთავები და ისინი დამოუკიდებელ მმართველებად აღიარა. ამგვარად, იმერეთის მეფე-მთავრები გიორგი მეფეს განუდგნენ. გიორგი მეფემ სცადა განდგომილებთან შეთანხმება, მაგრამ იგი იმერეთში დამარცხდა და უკანვე გამობრუნდა. 1466 წელს გიორგიმ გაილაშქრა ათაბაგ ყვარყვარეს დასამორჩილებლად. ბრძოლა მოხდა ფარავნის ტბასთან, სადაც გიორგი დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა ათაბაგს. იმერეთის მეფემ ბაგრატ II-მ ამით ისარგებლდა და 1466 წ. ქართლი დაიპყრო. ყვარყვარე ათაბაგი, რომელმაც მეფე შეიპყრო, ჩქარა გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ ბაადურმა მეფე გიორგისაგან მიიღო დამოუკიდებლობის სიმტკიცის პირობა და იგი ტყვეობიდან გაანთავისუფლა.

ამგვარად, საქართველოს მეფე გიორგი VIII მეფე-მთავართა შორის ატეხილ ბრძოლაში დამარცხდა და იგი ჩქარა გარდაიცვალა, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ფეოდალური მონარქიის მთლიანობის დარღვევა და მისი დანაწილება რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ.

ამასთანავე, საშიშ ხასიათს იღებდა საგარეო მდგომარეობაც: აღმოსავლეთით საქართველოს დაპყრობით ემუქრებოდა ირანის ძლიერი შაჰი უზუნ-ჰასანი, დასავლეთ-სამხრეთით კი ოსმალეთი,

რომელმაც დარდანელის სრუტეები მაგრად ჩაკეტა და მთელი შავი ზღვის სანაპიროები გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია. ოსმალეთის ეს გაძლიერება შიშს იწვევდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ასეთ შიშს, რასაკვირველია, საქართველოს მეფე მთავრებიც კარგად გრძნობდნენ და, როდესაც რომის პაპმა პიოს II-მ მოუწოდა ქრისტიანულ სახელმწიფოებს ოსმალებზე გალაშქრებისათვის, ამან დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მეფე-მთავრებს შორის. დახმარება და მონაწილეობის მიღება აღუთქვამს სამეგრელოს მთავარს ბედიანს, რომელიც ლუდოვიკო ბოლონელის მიერ შეგროვილ პირობის ბარათში მოხსენიებულია მეფედ. მეფე გიორგი VIII თავის 1459 წლის ეპისტოლეში სხვა მოკავშირეთა შორის ბედიანს იხსენიებს სამეგრელოს მეფედ[1].

„მე გიორგი მეფე პერსთა (sic, სპარსთა?),
ბედიანი სამეგრელოს მეფე,
ყუარყუარე ქართველთა მთავარი,
რაბია (Sic) ანოკაციის მთავარი“.

თვით ყვარყვარე ათაბაგი ამავე წელს დაწერილ წიგნში ლაშქრობაში მონაწილე პირთა შორის იხსენიებს ბედიან სამეგრელოს მეფეს. შემდეგ 1460 წ. ევროპაში მისულ საქართველოს ელჩებს განუცხადებიათ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებენ: „ბენდას (ბედიანი) სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე და ბაგრატ იმერთა, რომელნიც აწ გიორგიანებად იწოდებიან და მანია (მამია) გურიის ერისთავი და ფაბია ანგოსიის მთავარი (*მ. თამარაშვილი*, ისტ. 598. შეად. ქართ., ტექსტი გვ. 62).

ეს ბედიანი უნდა იყოს ლიპარიტ I დადიანი და თანამედროვე აქ მოყვანილ ტექსტში მოხსენიებულ ქართველ მეფე-მთავართა. იგი იხსენიება ეპისტოლეში ბედიანად, როგორც სამეგრელოს მთავრები ქართულ წყაროებში არიან ცნობილნი. საყურადღებოა, რომ ეს ბედიანი (ლიპარიტ I) მოხსენიებულია, როგორც სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე. ამის შესახებ პროფ. *ივ. ჯავახიშვილი* ასეთ განმარტებას იძლევა: „ბედიანი ცალკე ერთეულის მთავრად ითვლებოდა. იგი სამეგრელოსა და აფხაზეთის მფლობელი იყო და იმდენად ფართო უფლებით ყოფილა მოსილი, რომ მეფედაც კი იწოდება. ჯარიც საკუთარი ჰყოლია და მართვა-გამგეობაც საკუთარი ექნებოდა“-ო[2].

---

[1] *მიქელ თამარაშვილი*, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902 წ., გვ. 594, 595-597; (ქართ. ტექსტი, 57-58, 59).

[2] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, ნაწ. I, (XI საუკ.), თბილისი, 1924 წ., გვ. 59.

სამეგრელოს მთავარი ბედიანი XV ს. ქართული წყაროების მიხედვით, ფლობდა საკმაოდ ფართო ტერიტორიას; „ეპყრა ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქვემოთი, სვანეთის მთის გადმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი". მასვე ექვემდებარებოდა აფხაზეთი ეკიქეთამდის, მაგრამ იგი „მორჩილებდა არა ყოველსა ბრძანებასა დადიანისასა".

სადადიანოს საზღვრები დაახლოებით მოცემულია აგრეთვე „მცნება სარეკულოში", რომელშიაც ნათქვამია: „ლიხთა ამერისა ჭოროხსა აქათ, ოესეთსა აქათ, ზღვა პონტოსა აქათ, სადა დიდსა ბიჭუინტისა სამზღუარი მიაწევს". თვით ბედიანი ერისთავთ-ერისთავი შამადავლე (1470-1474 წწ.) ამ ძეგლში მოხსენებულია „დადიან-გურიელად". აქედან ირკვევა, რომ დადიანს სამეგრელოს და აფხაზეთთან ერთად ექვემდებარებოდა გურიაც. ამას ადასტურებენ აგრეთვე ვენეტიკელი დესპანები *იოსაფა ბარბაროს* და *ამბროზიო კონტარინის* ცნობები სამეგრელოს შესახებ. საქართველოს დასავლეთ ნაწილს, ამბობენ ისინი, ფლობდა სამეგრელოს მთავარი, რომელსაც *ბედიანი*[1] ეწოდებოდა. ბედიანის სამთავროს დასავლეთით — სებასტოპოლიც მას ეკუთვნოდა (ი. ბარბარო, მოამბე, 1894 წ., II, 45 და ამბროზიო კონტარინი, იქვე, 49). ჩრდილოეთით კი საბედიანოს საზღვარი აღწევდა ჩერქეზეთამდისო. აღმოსავ-

---

[1] ეს სახელწოდება დაკავშირებულია ადგილ ბედიასთან, რომელიც მდებარეობს სამურზაყანოში, ოქუმის წყალზე. სოფ. ბედია ცნობილია თავისი ძველი ტაძრით, რომელიც აშენებულია მეფე ბაგრატ III-ის მიერ (980-1014 წწ.) ეს ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად ითვლება. აქვე დაცულია ბედიელ მთავრებისა და ეპისკოპოსების სადგომი — პალატი (იხ. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, ЗОЛКА, I, АКАК, V, VI, Brosset, Voyage, I, 91-92).

ვახუშტის ცნობით: ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს — ძე თარგამოსისა და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თუსი. არამედ ამის შემდგომად უწოდეს ბედია, რომელი დასვა მეფემან ფარნაოზ ქუეკი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინაიდან ჰპოვა ბედი. მერმე აფხაზთა მეფის ლევანისაგან განიყო და ცხომის ერისთავი სხვა, ბედიისა სხვა, აფხაზთა სხვა. თამარ მეფემდე ესრეთ. შემდგომად რუსუდანისა, ოდიშისა დაბისა დადიანი და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა" (ვახუშტი, საქარ. გეოგრაფია, ბედია, ტფილისი, 1904 წ., გვ. 305). XII-XV სს. ბედიას დიდი პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ოდიშის ისტორიაში და სამეგრელოს ერისთავები იწოდებოდნენ ბედიან-დადიანებად. შემდგომ ბედია იქცა საეპისკოპოსო საკრებულოდ და აქაური ეპისკოპოსები იწოდებოდნენ ბედიელებად, რომლებსაც საქართველოს საეკლესიო იერარქიაში ეჭირათ 26-ე ადგილი.

ლეთით იგი ესაზღვრებოდა საქართველოს მეფის ბაგრატის საბრძანებელს, რომლისაგან მას ჰყოფდა ერთი მდინარეო (უნდა ვიგულისხმოთ ცხენისწყალი).

მათივე ცნობით, ბედიანის სამთავრო იმ დროს წარმოადგენდა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც ჰქონდა თავისი საზღვრები და ციხე-სიმაგრეები, ჰყავდა ჯარი და საკუთარი მართვა-გამგეობა (იქვე, 56). მაგრამ საქართველოს მეფის უზენაეს უფლებას ბედიანი ნომინალურად მაინც ცნობდა თურმე და მეფეს შეეძლო, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჩარეულიყო ბედიანის საქმეებში (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, წ. IV, გვ. 111). ოდიშის ამ გაძლიერებულ ბედიან-დადიანებს, რომლებიც მეფის სახელწოდებასაც კი ატარებდნენ, ახლა არ სურდათ იმერეთის მეფის ვასალობა და იბრძოდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. მით უმეტეს, მაგალითის მაჩვენებელი იყო სამცხის ათაბაგი, რომელმაც შეძლო ასეთი დამოუკიდებლობის მიღება. თვით იმერეთის სამეფო ამ დროს არ წარმოადგენდა მთლიან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთეულს. ის დასუსტებული იყო შინაგანი ბრძოლებით, კულტურულ-ეკონომიკურადაც ძალზე ჩამორჩენილი იყო, რომ მას შესძლებოდა არსებული სამთავროების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება.

ლიპარიტ I დადიანი, იმერეთის მეფე ბაგრატ II-ეს მიემხრო დამოუკიდებლობის სანქციის მიღების მიზნით. ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდნენ ლიპარიტის მემკვიდრეებიც. მაგრამ, როდესაც ბაგრატ II იმდენად გაძლიერდა, რომ მან შეძლო ქართლის დაპყრობა და ხელში ჩაგდება, ამან შეაშფოთა ვამეყ II დადიანი (1474-1482 წწ.), რომელიც კარგად გრძნობდა, თუ რა საფრთხე მოელოდა მის სამთავროს დამოუკიდებლობას ბაგრატის ასეთი გაძლიერებით. ამიტომ, ვამეყ II-მ განიზრახა ბაგრატის შესუსტება, განუდგა მას და დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა: „ხოლო ამან ვამიყ დადიანმა აღარა ინება გაძლიერება უმეტესად ბაგრატ მეფისა, შემოიკრიბა აფხაზნი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა იმერეთისა. ესმა ესე ბაგრატ მეფესა, ქართლს მყოფსა, და წარვიდა მსწრაფლად სპითა დიდითა და მოსრულსა ოდიშს ეწყო დადიანი ვამიყ და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი. შემდგომად იძლია დადიანი ვამიყ. მაშინ შევიდა ბაგრატ მეფე ოდიშს, აღიხუნა ციხენი და დაიპყრა ოდიში“-ო (ვახუშტი, საქარ. ცხოვრება, 282).

ვამეყ II დადიანი ამ დამარცხების შემდეგ უფრო მედგარ ბრძო-

ლას განაგრძობდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ბაგრატ II-ის შემდეგ იმერეთში გამეფდა მისი ძე ალექსანდრე II (1484-1510 წწ.), რომელმაც გვირგვინის კურთხევის დღეს მიიწვია ვამეყ დადიანი და სხვა მთავრებიც. დადიანი არ მივიდა და მისი განზრახვით არც სხვა ერისთავები დაესწრნენ. ეს იყო დადიანის აშკარა განდგომა და ვამეყიც ახლა ცდილობდა ტახტიდან ალექსანდრეს გადაგდებას. ამ მიზნით, მან მოიწვია ქართლის მეფე კონსტანტინე III (1469-1505 წწ.), რომელმაც დადიანის დახმარებით დაიპყრო იმერეთი.

ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა ვამეყის მემკვიდრე ლიპარიტ I (1482-1512 წწ.), რომელიც იმერეთის მეფესთან ბრძოლაში უკავშირდებოდა ქართლის მეფეს. ეს ბრძოლა იყო ხანგრძლივი, რაც იწვევდა ერთმანეთის დალაშქვრას, მუდმივ შფოთსა და ძმათა შორის სისხლის ღვრას. ამავე დროს, საქართველოს დიდი საშიშროება მოელოდა ოსმალებისაგან, რომლებიც უახლოვდებოდნენ საქართველოს სამხრეთ საზღვრებს, მათ განზრახული ჰქონდათ სამცხე-საათაბაგოს ხელში ჩაგდება. ეს გარემოება დიდ საფრთხეს უმზადებდა იმერეთის სამეფოს არსებობას და ბაგრატ II-მ (1510-1548 წწ.) დახმარება სთხოვა ქართლის მეფეს ლუარსაბ I-ს. ორივენი შეერთებული ძალით გაემართნენ სამცხისაკენ.

აქ სოხოისტასთან 1545 წ. მოხდა სასტიკი ბრძოლა, გაიმარჯვეს ოსმალებმა და მათ დაიპყრეს საათაბაგო[1].

ოდიშის მთავარმა ლევან I-მა (1532-1572 წწ.) ისარგებლა ბაგრატ მეფის დამარცხებით, განუდგა მას და განიზრახა თავისი სამთავროს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ ბაგრატმა იგი შეიპყრო 1546 წელს და დაამწყვდია გელათის სამრეკლოში. დადიანმა აქ იმერეთის ფეოდალების დახმარებით მოახერხა გაპარვა და გახდა დამოუკიდებელი მთავარი. ამის შესახებ ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა აქუნდა შური დიდი დადიანისა, რამეთუ მაშინ ოდეს შეება, ურუმთა ბაგრატ, ესე დადიანი მაშინ არა თანა მწე-ეყო მას. ამისთვის განიხარა და მოიწვია დადიანი ლეონ ჭალასა ხონისასა და ღალატად შეიპყრა იგი ბაგრატ მპყრობელმან იმერეთისამან და პატიმარ ჰყო გელათს სამრეკლოსა შინა. მაშინ ათაბაგმან

---

[1] *ბ. მკალათია*, „ოსმალების შემოსევა და სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა-გამაჰმადიანება", მესხეთ-ჯავახეთი, ტფილისი, 1938 წ., გვ. 54-62.

ქაიხოსრო, ჰსცნო რა შეპყრობა დადიანისა, აღძრა ჩხეიძე ხოფილანდრე და გააპარა დადიანი ოდიშს და კვალად იპყრა დადიანმან ოდიში"-ო (ქარ. ცხოვრება, ზ. ჭ., გვ. 724-725) დადიანის კვალს მიჰყვა გურიელიც და იგიც არ ცნობდა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის უფლებას.

ამგვარად, სოხოისტის ომში დამარცხების შემდეგ, ოდიში და გურია ფაქტიურად გახდნენ იმერეთის მეფის ბაგრატ III-ისაგან დამოუკიდებელი სამთავრონი, მხოლოდ ჯერ კიდევ აღიარებდნენ იმერეთის მეფის უპირატესობას. ირანსა და ოსმალეთს შორის აღმოსავლეთში წარმოებული ბრძოლები 1553 წელს დროებით დასრულდა და მათ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიაც, სხვათა შორის, შეტანილი იყო საქართველოს საკითხიც. ქართლი, კახეთი და ქაიხოსრო ათაბაგის სამფლობელო მიაკუთვნეს ირანს, ოსმალეთის მფლობელობაში კი მოექცა: იმერეთის სამეფო საგურიელო და სადადიანოსთან ერთად. ოსმალეთს დარჩა აგრეთვე მის მიერ ძალით დაკავებული საათაბაგოს სამხრეთი ნაწილები.

ამ ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთი ახლა გადავიდა ამ სამთავროების შეტევაზე, რათა ორივე სამთავრო მოექცია თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ოსმალები ჯერ მიადგნენ გურიის სამთავროს და დაიპყრეს ჭანეთი, შავი ზღვის ნაპირი ჭოროხამდის და ააშენეს გონიოს ციხე. ამით ოსმალებმა შეკრეს შავი ზღვის სანაპირო, რის გამოც, დაეცა ვაჭრობა და კავშირი დასავლეთ საქართველოს პროვინციებთან. ამ გარემოებამ მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ოდიში-გურია, რადგანაც დასავლეთ საქართველოს მოესპო ზოგიერთი აუცილებელი საქონლის მიღების საშუალება, როგორც, მაგალითად, მარილის. ამან აიძულა იმერეთის მეფემთავრები ქედი მოეხარათ ოსმალეთის წინაშე და სულთნის ხაზინის სასარგებლოდ დათანხმებულიყვნენ ყოველგვარი გადასახადის გაღებაზე, რომლის ნაწილს შეადგენდა ქალ-ვაჟების გაგზავნა. ოსმალეთის აგრესია საფრთხეს უმზადებდა დადიანსაც. ფაშები მას პირდებოდნენ იმერეთისაგან დამოუკიდებლობას, თუ იგი მიიღებდა სულთნის ყმობას. 1557 წელს ლევან I დადიანი გაემგზავრა სტამბოლს, აღუთქვა სულთანს ერთგულება და საჩუქრად მიართვა მას ძვირფასი ლალი.

გაძლიერებული ლევან I, რომელიც ფლობდა სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიას, ახლა ვერ ითმენდა გურიელის მეტოქეობას. ხელში რომ ჩაეგდო ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური მესვეურობა,

დადიანმა ახლა განიზრახა გურიის სამთავროს დამორჩილება. მათ შორის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო იმერეთის მეფის ლევანის დროს (1585-1590 წწ.). იმერეთის მმართველი წრეები ამ ბრძოლაში მხარს უჭერდნენ გურიელს, რომ შეესუსტებინათ დადიანის ძლიერება და გავლენა.

ამის გამო, მამია IV დადიანმა გაილაშქრა იმერეთზე, დაამარცხა მეფე ლევანი და ციხეში ჩასვა. ტყვეობაში მყოფი მეფე ჩქარა გარდაიცვალა. იმერეთში დადიანმა გაამეფა ლევანის ბიძაშვილი როსტომ კონსტანტინეს ძე (1590-1605 წწ.). ამის შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს „არამედ განძლიერდა მეფესა და დადიანსა შორის მტრობა ძლიერად, შეკრიბა ამისთვის დადიანმან მამია სპანი თვისნი და მოვიდა ქუთათისს. ამას ეკვეთა მეფე ლევან სპითა თვისითა იმერთათა და ძლიერისა ბრძოლისა შემდეგ სძლო დადიანმან და შეიპყრა მეფე ლევან, წარიყვანა ოდიშს და პატიმარჰყო ციხესა შინა შხეფსა და მოკუდა შემდგომად მეფე ლევან პატიმრობასა შინა შხეფისა ციხესა შინა“ (ვახუშტი, საქარ. ცხოვრება, 295).

ასეთივე ბრძოლას აწარმოებდა მამიას შემდეგ მისი ძმა მანუჩარ I დადიანი, რომელიც ცდილობდა დაემარცხებინა გურიელი და მისი მოკავშირე იმერეთის მეფე. იმერეთში როსტომის გამეფება ნიშნავდა დადიანის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას ლიხთ-იმერეთში, რაც მოსვენებას არ აძლევდა გიორგი გურიელს. მაშინ გიორგი გურიელმა დახმარება სთხოვა ოსმალეთს, რომელთა შემწეობით გურიელმა აიღო ქუთაისი, გადაყენა დადიანის კანდიდატი მეფე როსტომი და იმერეთს მეფედ დასვა ლევან მეფის მეორე ბიძაშვილი ბაგრატ თეიმურაზის ძე (1590 წ.). დადიანისა და გურიელის ეს ბრძოლა იმერეთის სამეფოში დიდ არევ-დარევას იწვევდა და იმერეთის დიდებულებმა დახმარება სთხოვეს ქართლის მეფე სვიმონს დადიანისაგან დასაცავად. სვიმონ I (1578-1600 წწ.) გადავიდა დიდი ჯარით და ზარბაზნებით იმერეთში. იგი ოფიშკვითში შეებრძოლა მანუჩარსა და მის მოკავშირე როსტომ მეფეს. მაგრამ დადიანმა სვიმონი დაამარცხა და იმერეთში ისევ როსტომი გაამეფა: „დადიანმა შემოიკრიბნა სპანი და როსტომ მის თანა რაოდენითმე იმერელითა, დაესხა გარიჟრაჟს სვიმონ მეფესა, იძლია მეფე სვიმონი და ივლტოდა ქართლს. ხოლო დადიანმან აღიღო ალაფი დიდი და ზარბაზნები წარიღო ოდიშს. მოიყვანა როსტომ და აკურთხეს ქუთაისს მეფედ“-ო (ვახუშტი, საქარ. ცხოვრება, 297).

დადიანის ამ გამარჯვების შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო რაჟამს ესმა მეფესა სვიმონს საქმე, შეიყარა და წარმოვიდა, მივიდა ქუთაისს და აღიღო ციხე და დაიპყრა კვალად იმერეთი და ვერღა-რა დაუდგა როსტომ და წარვიდა ოდიშს დადიანისა-თანა. მაშინ წარვიდა მეფე სვიმონ დადიანისა ზედა, ჩავიდა და დაიბანაკა ოფიშკვითს დიდებითა და ძალითა მრავლითა და წარიღო თანა ზარბაზნები დიდ-დიდნი, სახელოანნი, რომელი აწცა არის ზუგ-დიდს და უდიდესი ზარბაზანი ერთი არს რუხს დღესაცა. არამედ ჰსძლო სამართალმან დადიანისამან და მიეცა გამარჯვება ქართველთა ზედა. ილტვოდეს ქართველნი და მრავალნი ამოწყვიტეს მუნ და დაშთა მუნ მრავალი საუნჯე და დიდნი თოფნი და ზარბაზანნი, რომელ არს დღესაც ზუგდიდს“ (ქართ. ცხოვრება, ზ. ჭ.,გვ. 758-761). ამგვარად, გურიელთან მეტოქეობა დამთავრდა დადიანის გამარჯვებით და დადიანის გავლენის ქვეშ მოექცა იმერეთის მეფე და გურიელიც. ერთი სიტყვით, XVI საუკუნის დასასრულს ოდიშის სამთავროს ლიხთ-იმერეთში ეჭირა პირველი ადგილი, იგი იყო ყველაზე ძლიერი სამთავრო, რომელსაც ემორჩილებოდა აფხაზეთი და გურია. მასვე ძლიერი გავლენა ჰქონდა იმერეთის სამეფოზე და იმერეთის მეფის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში დადიანების კეთილგანწყობილებას გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა ეძლეოდა. ამასთანავე, სადადიანოს საკმაოდ დიდი ტერი-ტორია ეჭირა, მისი საზღვარი აღწევდა ჯიქეთამდის.

სადადიანოს ასეთი ტერიტორიული გაძლიერება შურს იწვევდა როგორც მეზობელ სამთავროებში, აგრეთვე ოსმალებშიაც, რომ-ლებიც მიზნად ისახავდნენ შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობას და დადიანების სამთავროს თავიანთ პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოქცევას. ამ მიზნით, XVII ს. დასაწყისში ოსმალები შეეცადნენ გამოეყენებინათ აფხაზეთის მმართველი წრეები, რომლებიც შურით შესცქეროდნენ დადიანის გაძლიერებას. აფხა-ზეთში ამ დროს ძლიერი იყო ოსმალეთის გავლენა. ფეოდალური არისტოკრატია თანდათანობით გადადიოდა მაჰმადიანობაზე და ოდიშისაგან დამოუკიდებლობის მიზნით, ისინი უკავშირდებოდნენ ოსმალეთის ფაშებს და ებრძოდნენ ოსმალეთის ჯარის დახმარებით დადიანსა და გურიელს. აფხაზეთის დიდგვაროვანთა შორის ყვე-ლაზე ძლიერნი იყვნენ შერვაშიძეები და ამ გვარმა XVII საუკუნის დასაწყისში ოსმალების დახმარებით შეძლო აფხაზეთის ცალკე საერისთავოდ გამოყოფა. ამ ახალ საერისთავოს აღმოსავლეთ

საზღვრად დაედო მდ. კოდორი, რომელიც ჰყოფდა მას ოდიშის საერისთავოსაგან.

ამგვარად, XVII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენდა რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული: იმერეთის სამეფო, ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები. მათი მოსაზღვრე იყო ახალციხის საფაშო. მათ შორის არსებობდა დაუსრულებელი შფოთი და ბრძოლა თავიანთ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, თითოეული მათგანი ცდილობდა მეორის ხარჯზე ტერიტორიულ გაფართოებას, პოლიტიკური გავლენისა და ძლიერების მოპოვებას. ბრძოლა იყო დაუნდობელი და მკაცრი, რის გამოც, მოსახლეობა ნადგურდებოდა, მეურნეობა ეცემოდა, გავრცელებული იყო ტყვეთა სყიდვა და სხვა. საქართველოს მეფე-მთავართა ასეთი ურთიერთობით სარგებლობდნენ გარეშე მტრები და პირველ ყოვლისა, ოსმალეთი, რომელიც თავის პოლიტიკურ საქმეს აკეთებდა: იპყრობდა შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, ყიდულობდა დიდძალ ტყვეებს, ავრცელებდა მაჰმადიანობას, სადაც ეს შესაძლებელი იყო და ამ გზით იგი ცდილობდა ამ მხარეების სარწმუნოებრივადაც შემომტკიცებას.

ფეოდალურ-ბატონყმური ინტერესით გამსჭვალული საქართველოს მეფე-მთავრები ამ შემთხვევაში იჩენდნენ პოლიტიკურ სიბეცეს და ვერ ერკვეოდნენ ოსმალეთის ძირგამომთხრელ მუშაობაში. მათ ვერ შეძლეს საქართველოს მთლიანობის დაცვა გარეშე და შინაურ მტრებისაგან. ამის გამო არსებულმა შინაურმა ბრძოლამ XVII ს. მიიღო უფრო მწვავე ხასიათი და ოდიშის სამთავროც მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

მანუჩარ დადიანის შემდეგ ოდიშის სამთავრო დაიჭირა მისმა მემკვიდრემ ლევან II-მ (1611-1657 წწ.), რომელიც ითვლებოდა ძლიერ მთავრად და მას უწოდებდნენ ლევან დიდს.

ლევანი თავისი აღზრდით, მორალით და პოლიტიკური შეგნებით ღვიძლი შვილი იყო იმ ეპოქისა, რომლმაც საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში წარმოშვა მეფე თეიმურაზ I, ლუარსაბ II და სხვანი. ლევან დადიანიც ეკუთვნოდა ამ მოღვაწეთა ჯგუფს. პირად მამაცობასთან ერთად მასაც ახასიათებდა ორჭოფობა და თვალთმაქცობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთი იყო იმდროინდელი მორალი, როდესაც გაბატონებული წოდება ადამიანებს ჰყიდდა, შეთქმულება და ღალატი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. მით უმეტეს,

ლევანი პატარაობიდან იზრდებოდა კახეთში, თავის ბაბუა ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) ოჯახში, სადაც შაჰ-აბასის მუხანათური პოლიტიკის სისტემას იგი პატარაობიდან იცნობდა. ამასთანავე, კახეთის მეფის კარზე პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ ოსმალეთისა და მოსკოვის მეფის დიპლომატები, გაბატონებული იყო თვალთმაქცობა, მლიქვნელობა და ყოველგვარი სიბოროტე.

ასეთ პირობებში აღზრდილ ლევან დადიანსაც, რასაკვირველია, ახასიათებდა ორპირობა, ცბიერება, სიმკაცრე და სხვა, რაც იმ ეპოქის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად იყო მიჩნეული. ამიტომ *ვახუშტი* ლევანს ასე ახასიათებს: „რამეთუ ესე ლევან იყო ბოროტი, ხვანჯიანი, ამაყი, მზაკვარი და ძვირისმომხსენე და იმარჯვებდა ჟამთა“-ო (იხ. საქარ. ცხოვრება, გვ. 299).

მაგრამ, ამასთანავე, ლევან დადიანი იყო ნიჭიერი მთავარი, უშიშარი და მტკიცე ნებისყოვის ადამიანი, რომელიც კარგად ერკვეოდა იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოხერხებულად იბრძოდა თავისი სამთავროს გაძლიერებისათვის იმ ხერხებითა და საშუალებებით, რომელიც მაშინ იყო გამოყენებული.

ლევანს მისი თანამედროვე იტალიელი მისიონერი, *არქანჯელო ლამბერტი* ასე ახასიათებს: „ეს მთავარი ჩვენს განათლებულ ქვეყანაში რომ აღზრდილიყო და ჩვენის საუკეთესო მასწავლებლებისაგან რომ სწავლა-განათლება მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოძღვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნებით შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე-ჩვეულება. უსაქმურად მისი ნახვა შეუძლებელია. პირიქით, მუდამ დაუღალავად შრომობს და ყოველთვის მზად არის ყოველგვარის ვარჯიშობისათვის. ლაშქრობაში ჩქარია, ჩუმი და მხნე. ამიტომ ყოველ ომში იგი იმარჯვებს. მეხსიერება ისე ძლიერი აქვს, რომ დავიწყება რა არის, არც იცის. ხომ მრავალი მოლაპარაკება აქვს სხვადასხვა საქმის გამო, მაგრამ ყოველის მოლაპარაკების და ხელშეკრულების უმცირესი სიტყვაც კი გაახსენდება ექვსის და შვიდის წლის შემდეგაც“-ო[1]. ასევე ახასიათებს ლევან II-ს ფრანგი მოგზაური *ჟ. შარდენი*, რომელიც ამბობს: „რომ ლევან დადიანი სამეგრელოს ერთი შესანიშნავი მთავარი იყო, გულადი, დიდად გონიერი, მართალი და მტერთან ბრძოლაში გამარჯვებული. ეს

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. ალ. ჭყონიას თარგმანი, თბილისი, 1938 წ., გვ. 22-23.

მთავარი იქნებოდა საუკეთესო ადამიანი, რომ იგი დაბადებულიყო უკეთეს ქვეყანაში“-ო[1].

ასეთი ნიჭითა და გამჭრიახობით აღჭურვილი ლევან დადიანი განაგრძობდა თავის მამის პოლიტიკას, რათა სადადიანოს დამოუკიდებლობა განემტკიცებინა. ლევანი მიზნად ისახავდა ესარგებლა იმერეთის სამეფოს შინაური არეულობით და ხელში ჩაეგდო მეზობელი სამთავროები, განედევნა იმერეთის მეფე და თვითონ გამეფებულიყო დასავლეთ საქართველოში. ამ მიზნის განსახორციელებლად, ლევანი ყოველგვარ პოლიტიკურ ხერხს იყენებდა: სამთავროებს უკავშირდებოდა ნათესაურად, ოსმალებთან და რუსეთთან აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებას, აწყობდა შინაურ ამბოხებებს გავლენიანი თავადების გადმობირებით, ქმნიდა საკმაოდ ძლიერ ჯარს და აწყობდა გამუდმებულ ლაშქრობას იმერეთის წინააღმდეგ.

ამ დროს იმერეთში მეფობდა გიორგი IV (1604-1639 წწ.), რომელსაც დადიანი მოსვენებას არ აძლევდა. დადიანმა კავშირი შეკრა გურია-აფხაზეთთან და მათ სიმტკიცის მიზნით დაემოყვრა. შემდეგ ლევანმა მოახერხა იმერეთის გავლენიანი ფეოდალების მიმხრობა და 1623 წელს მან გაილაშქრა გიორგი IV-ის წინააღმდეგ ქუთაისზე. აქ მოხდა სასტიკი ბრძოლა. გაიმარჯვა დადიანმა, რომელმაც შეიპყრო მრავალი ტყვე და მოითხოვა მათი გამოსასყიდი: „მოვიდა ლევან დადიანი სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი. იძლია მეფე გიორგი და ილტვოდა: მაშინ დადიანმა შეიპყრა მრავალნი წარჩინებული და მდაბიურნი, აღიღო ალაფი და იავარი და წარვიდა ოდიშს“ (ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 300).

ეს პირველი შემთხვევა იყო დასავლეთ საქართველოს შინაურ ომში წაყვანილი ტყვეების დასახსნელად ფულის მოთხოვნისა. ამის შემდეგ, ეს წესი განმტკიცდა და ფეოდალებმა იგი გაიხადეს შემოსავლის ერთგვარ წყაროდ და ახლა ამ მიზნითაც დაიწყეს ერთმანეთის დარბევა.

ლევანმა არ იცოდა შებრალება და იგი სასტიკად ეპყრობოდა მოწინააღმდეგეს. ამასთანავე, იყო ეჭვიანი და დაუნდობელი. მან თავის მეუღლეს, შერვაშიძის ასულს, შესწამა სიძვა, დასაჯა იგი

---

[1] Путешествие кавалера *Шардена* по Закавказию в 1672-1673 г. перевод Д. П. Носовича, с. 125.

ცხვირის მოჭრით და უკანვე გაგზავნა აფხაზეთში. მისგან ნაყოლი ორი შვილიც მოაკვლევინა. შემდეგ ცოლი წაართვა თავის ბიძას გიორგი ლიპარტიანს, ჭილაძის ასული ნესტან-დარეჯანი და დედოფლად დაისვა. ასეთმა საქციელმა გამოიწვია აფხაზეთის სამთავროს დადიანისაგან განდგომა და შინაური აღშფოთება ლევანის წინააღმდეგ. შედგა შეთქმულება, რომელსაც ხელს უწყობდა აფხაზეთის მთავარი და იმერეთის მეფე გიორგი IV.

შეთქმულების მიზანი იყო ლევანის მოკვლა და მისი ძმის იოსების გადადიანება. მაგრამ შეთქმულებმა ვერ მოკლეს ლევანი, მას მიაყენეს მხოლოდ მსუბუქი ჭრილობა, რომლისაგან იგი ჩქარა განიკურნა. ლევანმა მათზე შური იძია, მრავალი დახოცა, თავის ძმას იოსებს თვალები დასთხარა და ახლა დაიწყო აფხაზეთის წინააღმდეგ სალაშქროდ მზადება. ლევანმა ორჯერ გაილაშქრა აფხაზეთში, სასტიკად დაამარცხა აფხაზები და ნადავლითა და ტყვეებით დაბრუნდა. ამ გამარჯვების შესახებ ილორის წმ. გიორგის ხატზე დაცული იყო ლევან დადიანის შემდეგი წარწერა: „მას ჟამსა, ოდეს მიუხვდით შარვაშიძეს ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ მოვაოხრეთ. კიდევ მეორეთ მიუხვდით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ, და სადაც სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ"-ო[1]. შერვაშიძე იძულებული იყო დადიანს დამორჩილებოდა და დადიანმა მას ხარკად დაადო ყოველწლიურად მწევარ-მეძებრების მიცემა. ახლა დადიანი შეუდგა გურიის სამთავროს დამორჩილების თადარიგს. ამის საბაბიც ჩქარა მიეცა. გურიის მთავრის შვილმა სვიმონმა მოაკვლევინა თავისი მამა გურიელი მამია და თვითონ დაჯდა მთავრად 1625 წელს. ამან გამოიწვია გურიაში აღშფოთება. ლევანმა ისარგებლა შემთხვევით, გაილაშქრა გურიაში და დაამარცხა სვიმონი, რომელსაც თვალები დასთხარეს. ლევანმა გურიელად დასვა მამიას ძმა აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია, რომელიც განაგებდა სამ საეკლესიო კათედრას: ცაიშელისა, ჯუმათელისა და ხონელისას. მალაქია თავისი საეკლესიო მამულების სიმრავლით და ყმებით არ ჩამოუვარდებოდა წარჩინებულ თავადებს. მას ჰყავდა ლაშქარი და დიდი საზოგადოებრივი გავლენაც ჰქონდა. ლევანმა მას უბოძა გურიელობაც და ამგვარად გურიის სამთავრო მოექცა ლევანის გავლენაში.

ამის შემდეგ, ლევანმა დაიწყო სამზადისი იმერეთზე გასალაშქრებ-

---

[1] *M. Brosset*, Voyage archeologique, I, 1849, 100.

ლად. ამ მიზნით, ლევანი უახლოვდება ირანს, რომლის მოწინააღმდეგე ჯგუფს ეკუთვნოდა იმერეთის მეფე გიორგი IV. ირანის შაჰმა ლევანს ჯამაგირიც კი დაუნიშნა, წელიწადში ათასი თუმანი. როდესაც ქართლში როსტომი გამეფდა (1633 წ.), ლევანი ახლა

ლევან II დადიანი. წალენჯიხის ტაძრის კედლის მხატვრობა (XVII საუკუნე).

მას უკავშირდება და აძლევს ცოლად მას თავის დას მარიამს.

ასეთი კავშირის შეკვრის შემდეგ, ლევანმა გაილაშქრა იმერეთის მეფეზე. შეტაკება მოხდა 1635 წელს. იმერეთის ჯარი დამარცხდა და თვით მეფე გიორგი IV დადიანს ტყვედ ჩაუვარდა. მეფის

განსათავისუფლებლად ლევანმა მოითხოვა 50 კომლი ჩხარის სომეხი და ურია ვაჭარნი, რომლებიც მან დაასახლა რუხს და იქ გააშენა პატარა ქალაქი. ამის შესახებ *ვახუშტი* მოგვითხრობს: „მოეტევნენ გიორგი მეფესა, შეიპყრეს და მიგვარეს ლევან დადიანსა. წარიყვანა გიორგი მეფე და წარვიდა ოდიშს და პატიმარ-ჰყო მუნ მეფე. ხოლო მან მოითხოვა ვაჭარნი ჩიხორისა და ჩხარის სომეხნი და ურიანი სახსრად მეფისა გიორგისა. მაშინ ალექსანდრე (გიორგის-ძე) ულონოქმნილმან მისცა იგინი სრულიად და დაიხსნა მამა თვისი"-ო (საქართ. ცხოვრება, გვ. 302).

ამ გამარჯვების აღსანიშნავად, ლევან დადიანს 1636 წელს შეუმკია ხონის წმ. გიორგის ხატი ასეთი წარწერით: „ჩვენ ხელმწიფემან: დადიანმან: პატრონმა: ლევან: მას ჟამსა: ოდეს: შევებენით: ბალდადს: მეფეს: გიორგის: და: კახს: ბატონსა: თეიმურაზს: და: გაგვემარჯუა: ძლიერებითა: შენითა: თავად: მეფე: ჭელთ: დაგურჩა: და სრულობით: იმერელნი: და: კახნი: დარბაისელნი: ზოგნი: ჭელთ დაგურჩა: და ზოგნი: გარდაიხვეწნეს: კახი: მეფე: თეიმურაზ: და: მეფის: შვილები: ალექსანდრე: და მამუკა: ამავე: ჟამსა: ავჰყარეთ ქალაქი ჩხარისა: და ჩავასხით: ზუგდიდსა: აღვაშენეთ: და: გავაწყვეთ: ქალაქი: რუხისა:" (*ექვ. თაყაიშვილი*, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 276; ***M. Brosset***, Voyage, I, 8).

გაძლიერებული ლევანი თავის თავს ხელმწიფესა და მეფეს უწოდებდა. მისი ოცნება იყო იმერეთის სამეფოს დაპყრობა, დასავლეთ საქართველოს თავისი მფარველობის ქვეშ გაერთიანება და მეფობის მიღება. ამიტომ ლევანი დიდ ყურადღებას აქცევდა სამხედრო ძლიერების შექმნას. მან გაიჩინა არტილერია, ჩამოასხმევინა ერთს ფრანგს 30 ზარბაზანი, შეიძინა თოფები, წვრთნიდა მოლაშქრეებს და სხვ.

ამასთანავე, თავის სამთავროში მან ალაგმა ურჩი თავადები, აღკვეთა ქურდობა, განამტკიცა მართლ-მსაჯულება და ამგვარად დაამყარა მტკიცე მმართველობა. ზუდიდში ლევანმა გამართა ზარაფხანა და აქ იჭრებოდა სპარსული ფული. იგი ხელს უწყობდა სამთავროს ეკონომიკურ დაწინაურებას და ვაჭრობის ხელის შეწყობის მიზნით, რუხში დაასახლა სომეხი და ებრაელი ვაჭრები.

საგარეო საქმეშიც ლევანი აწარმოებდა ისეთ მოხერხებულ პოლიტიკას, რომ მას ოსმალეთ-ირანისაგან საფრთხე არ მოელოდა.

ლევან დადიანის ოსმალებთან ამ ურთიერთობის შესახებ არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: „დადიანს ფრიად პოლიტიკურად უჭირავს თავი ოსმალეთის მიმართ. ის იცნობს ოსმალეთის მტარვალ-

ობას და აგრეთვე იცის, რამდენი მომიჯნავე ქვეყანა დაუპყრია. ოსმალეთმა რომ მისი სამეფოც არ გასრისოს, დადიანი ცდილობს მეგობრობა დაიმსახუროს ოსმალეთისა, მაგრამ ისე კი რომ ამით მთავრის ღირსებას არა მოაკლდეს რა. ასეთი მეგობრის დასაცველად დადიანი ყოველ წელიწადს სულთნის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარკს აძლევს. ამნაირად დადიანი თავის ნებით გახდა ოსმალეთის მოხარკე. ხოლო მთავრის ღირსებას ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარს ბრძანებას ოსმალეთიდან მოსულს არ ასრულებს"-ო (*ა. ლამბერტი*, სამეგრელოს აღწერა, გვ. 24). ამასვე ადასტურებენ მოსკოვის მეფის ელჩების ცნობები, რომ დადიანი ლევანი ოსმალეთის სულთანს ხარკს არ აძლევსო[1]. ირანთან კი ლევანი მეგობრულ ურთიერთობაში იყო მისი სიძის როსტომ მეფის დახმარებით და შაჰისაგან ყოველწლიურად ჯამაგირსაც იღებდა.

1636 წელს ლევანმა დაიწყო მოსკოვის მეფე მიხეილ თეოდორეს-ძესთან დიპლომატიური მოლაპარაკება რუსეთის მფარველობის მიღების შესახებ. ლევანს უნდოდა რუსეთის მხრივაც ჰქონოდა ზურგი გამაგრებული, და მოსკოვის მეფესთან მფარველობის ძიებაში იგი არ ჩამორჩენილიყო საქართველოს მეფე-მთავრებს. ლევანმა ამ მიზნით, 1636 წელს მოსკოვში ელჩად გაგზავნა გაბრიელი, რომელმაც მიხეილ თეოდორეს-ძეს მოახსენა, რომ ლევანს სურვილი აქვს თქვენს სამსახურში იყოს ისე, როგორც სხვანი, თქვენის უდიდებულესობის მონანი არიანო[2]. ელჩი მეფეს არწმუ-

---

[1] Посол говорил: прежние-де дадианские цари давывали туркскому султану дань полотнами, а поскольку давывали того не упоминать а людьми-де николи не давали. А нынешней-де Леонт царь и никакие дани не дает (*М. Полиевктов*, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640 г., Тбилиси, 1937 г., с. 150).

[2] "Раб твой Дадианскiи Государь именем Лев в смиренном образе бьет челом и покланяетца... И желал де он многово времени, чтоб ему служити его великому царствию, да не изыскал такова о времяни, как ему Государю о том побивь челом: а ныние де он послал к его великому царствию крестового своего попа именем Гаврила и покланяетца его царскому величеству. Он раб его... со всю областию своею и со всем державством своим, поддаетца служить его великому царствию и бьет челом, чтоб он великiи Государь пожаловал его, прислал к нему посла с своими царскими грамотами и принял бы их под своею царскую высокую руку, чтоб им всегда быть под его царского величества высокою рукою и служить бы им царствию его, яко и ныне рабы его Государевы, и иметь бы им от него великого Государя себе помощь и заступление, чтоб им стоять о вере Христове" (*Д. Белокуров*, Посольство дьяка Федота Елчина и священика Павла Захарьева в Дадианскую землю (1639-1640 гг.). см. Чтения в общ. истории и древностей Российских при Москов. университете, 1887 г., кн. 2, с. 272).

ნებდა, რომ ლევანი საქართველოში ყველაზე ძლიერია, იგი ხარკს არავის აძლევს და მის სამთავროში ხუთი ქვიტკირის ქალაქიაო.

დადიანის ელჩი მეფეს ამასთანავე სთხოვდა, რომ კაზაკები (ყაზახები) არ დაეცნენ სამეგრელოს ზღვის სანაპიროებს, რადგანაც ეს ხელს უშლის ვაჭრობის წარმოებას თათრებთანო, რომლებსაც ამის გამო სამეგრელოში ვერ შემოაქვთ მარილი და სხვა საჭირო საქონელიო[1], იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს (1639-1666 წწ.)



ლევან II დადიანი. ნახატი კასტელისა. (XVII ს.)

---

[1] *М. Броссе*, Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639-1770 гг. СПБ, 1861 г., с. LV-LVI.

ასეთივე დიპლომატიური მოლაპარაკება ჰქონდა მოსკოვის მეფესთან ალექსი მიხეილის ძესთან, რომელსაც იგი სთხოვდა მფარველობას, ოსმალეთისა და ირანისაგან დაცვას და აგრეთვე დადიანის ალაგმვას. რუსეთის ჩარევამ უფრო გაამწვავა დადიანისა და ალექსანდრეს III-ს შორის ურთიერთობა. მოსკოვის მეფის დახმარებით დაიმედე-

ლევან II-ის მეუღლე შერვაშიძის ასული.
ნახატი კასტელისა.

ბულმა და წათამამებულმა ალექსანდრეს ძმამ მამუკამ დაუწყო კირთება ლევან დადიანს. ის ხშირად არბევდა ოდიშის საზღვრებს: „ძმამან ალექსანდრე მეფისა მამუკამ უწყო ბრძოლა ლევან დადიანსა მცირედ მცირედ და მოსწყვეტდა სპათა მისთა ფრიადად. ამისთჳს ლევან დადიანი მცდელობდა სიკუდილსა ანუ შეპყრობასა მისსა ფრიად“-ო (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრება, გვ. 304). ერთ-ერთი შეტაკების დროს ლევანმა ხელში ჩაიგდო მამუკა და ტყვედ წაიყვანა.

ძმის დატყვევებამ ალექსანდრე III საგონებელში ჩააგდო. ის უგზავნიდა მოციქულებს დადიანს და სთხოვდა მამუკას განთავისუფლებას, მაგრამ დადიანი უარზე იდგა და მამუკას არ უშვებდა. მაშინ ალექსანდრე იძულებული იყო მიემართა შუამდგომლობით რუსეთისათვის: „ხოლო ალექსანდრე მეფემან, ვერსადა შეწევნისა მპოვნელ-მან და მომლოდემან, იხილა გაძლიერება რუსეთის მეფის ალექსისა, განიზრახა, რათა მოიცეს მუნიდამ ძალა"-ო (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრება, გვ. 304). ალექსანდრე მოსკოვის მეფეს სთხოვდა თავის ძმის მამუკას განთავისუფლებას და აგრეთვე დადიანის დასასჯელად დონის ყაზახების გამოგზავნას შავი ზღვის სანაპიროების დასარბევად[1].

ლევანმა მაინც ვერ მიაღწია თავის მიზანს, ვერ შეძლო იმერეთის ხელში ჩაგდება და გამეფება. იმერეთის მეფემ, რომელიც ლევანისაგან განიცდიდა დიდ შევიწროებას, ახლა დახმარებისათვის მიმართა ოსმალეთს. ლევანის გაძლიერება-განდიდებას ოსმალეთი ეჭვის თვალით უცქეროდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლევანმა დაიწყო რუსეთის მეფესთან მფარველობის ძიება და ლევანიც უწინდებურად უკვე არ ემორჩილებოდა ოსმალეთს. ამის გამო ოსმალეთმა გამოგზავნა ჯარი, რომელმაც მოარბია ოდიში და ლევანი ახლა იძულებული გახდა ოსმალებისათვის გამოეცხადებინა მორჩილება და ხელი აეღო იმერეთის დალაშქვრაზე.

1657 წელს გარდაიცვალა ლევან დადიანი და ოდიშის მთავრად დაჯდა ლიპარიტ III, მანუჩარ I-ის შვილიშვილი. ამით ისარგებლა

---

[1] "А недруг де ему Александру Дидьянской Левонтей князь. И людем моим зло делает на пашнях и на изделъях; крадучи и обманом в полон емлет, и бусурманит, и туркам продает многих. А слышал де Александр царь, что есть у него великого государя, вольные люди, живут на Дону казаки; а приходят они часто в Дадьяны и села деревни у него громят и откупи емлют. И только изволит ц-ое в-во тем своим государевым вольным людем итить Черным морем на дадьянского князя и на ево владеньс, и те казаки с. ц-ого в-ва повеления послушают и на Дадьяны пойдут. А яз бы де Александр, совестяся с ними, пошел на Дадьяны с своей стороны, собрав большое войско. И тем бы его дидьянского устрашали.
Да он же Александр царь говорил про брата своего Мамуку да про сына своего Баграта, что ныне они у дидьянского, брат де его Александров взят к нему на бою, а сына его взял в оманаты. И только великий государь брата и сына его от дидьянского свободит, и он Александр братом и сыном своим бьет челом ему великому государю" (М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1657-1652 г., Тифлис, 1926 г., с. 182).

ალექსანდრე III და ოდიშზე შურისძიების მიზნით, დიდი ჯარით შეესია სადდიანოს, აოხრა ქვეყანა, წამოიყვანა ტყვეები, რომელთა გამოსასყიდად მოითხოვდა დიდ ფულს: „მეფემან ალექსანდრემ შემოიკრიბნა სრულიად სპანი იმერთანი და წარვიდა ოდიშს შურისგებად. ამას ვერ წინააღუდგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდიშს, მოსწყიტნა, მოსტყვევნა, მოაოხრნა, აღიღო ციხენი, გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლევან დადიანისანი, შეიპყრა წარჩინებულნი სრულიად ოდიშისანი და დაასხნევინა ვერცხლით ყოველთა თავნი, გამოუხვნა მათვე ძენი, მძევლად და დასვა ოდიშს დადიანად ვამიყ, ძე მამია დადიანისა“-ო (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრება, გვ. 306).



ლევან II დადიანის სასახლე. ნახატი კასტელისა.

ალექსანდრემ ლიპარიტი გადააყენა და დადიანობა უბოძა მის მომხრე ვამეყ III-ს (1658-1661 წწ.), რომელიც იყო შვილი გიორგი ლიპარტიანის და შვილიშვილი ლევან I-ისა. მაშინ ლიპარიტმა დახმარება სთხოვა ქართლის მეფეს როსტომს, ახალციხის ფაშას და გურიელს. მოკავშირეებმა გაილაშქრეს ალექსანდრეს წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა 1658 წ. სოფ. ბანძაში, სადაც გაიმარჯვა ალექსანდრე მეფემ. დამარცხებული ლიპარიტი გადაიხვეწა სტამბოლში, სადაც გარდაიცვალა. ოდიშის დადიანობა დარჩა ვამეყ III-ს. ჩქარა გარდაიცვალა მეფე ალექსანდრეც და იმერეთის მეფედ დაჯდა ბაგრატ

IV (1660 წ.). ამის დროს შინაურმა ბრძოლად და შუღლმა იმერეთის სამეფოში მიიღო უფრო მწვავე ხასიათი. ბაგრატს ექიშპებოდა მისი დედინაცვალი დარეჯან დედოფალი, თეიმურაზ I-ის ასული და ამ ნიადაგზე მათ შორის წარმოებდა ყოვლად დაუნდობელი ბრძოლა. ბოლოს დარეჯანმა ბაგრატს თვალები დასთხარა, რათა უსინათლო მეფეს არ შესძლებოდა ქვეყნის გამგებლობა და მართვა. იმერეთის გართულებული მდგომარეობით ისარგებლეს ვამეყ დადიანმა და ქართლის მეფე ვახტანგ V (1658-1675 წწ.), დაიპყრეს იმერეთის სამეფო და იგი გაიყვეს ორ ნაწილად: იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა ვახტანგს, დასავლეთი კი — ვამეყს. დადიანის გაძლიერება ახლა შურს იწვევდა იმერეთის ფეოდალებში, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო გურიელი, რომელიც თვითონ ცდილობდა იმერეთის ჩაგდებას ხელში. და როდესაც ვახტანგ V-ს და ვამეყს შორის შური და მტრობა ჩამოვარდა, მაშინ გურიელი მიემხრო ვახტანგს. იმერეთის დიდებულების დახმარებით, მათ დაამარცხეს ვამეყ დადიანი, რომელიც გაიხიზნა სვანეთში. ვახტანგის განზრახვით, იგი იქ მოკლეს. ვახტანგმა დადიანის დიდძალი ქონება ხელში ჩაიგდო, ხოლო დადიანის მომხრე ჭყონდიდელი ჩიქვანი, ძმა კაცია ჩიქვანისა[1], შეიპყრო და თან წაიყვანა. ამის შესახებ *ვახუშტი* მოგვითხრობს:

„ვერ წინააღუდგა დადიანი ვამიყ, არამედ განიელტო სვანეთს. ხოლო ვახტანგ მოსრნა ურჩნი ოდიშს, მოსტყვევნა, აღიღო ციხენი და მოადგა ჭაქითის (ჭაქვინჯის) ციხესა შინა, აღიღო იგიც. გამოიყვანა ცოლ-შვილი ვამიყ დადიანისა და გამოიღო საგანძურნი მისნი, მოვიდა ზუგდიდს და მუნ მიერთო შარვაშიძე ძღვნითა დიდითა და აფხაზითა. მერმე დასვა დადიანად ლევან და მისცა ძმისწული თვისი თამარ ცოლად, რამეთუ შეჩენითა ხოსია ლაშხისშვილისათა მოკლეს სვანეთს დადიანი ვამიყ ბრძანებითავე ვახტანგ მეფისათა. კვალად შეიპყრა ვახტანგ მეფემან ჭყონდიდელი ჩიქვანი, ძმა კაციასი და წამოიყვანა პატიმრად“-ო (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრება, გვ. 308-309).

ვახტანგ მეფემ დადიანობა უბოძა მანუჩარ I-ის შვილიშვილს

---

[1] ეს გვარი საისტორიო წყაროებში და წარწერებში იხსენიება: *ჩიქუანი, ჩიქოანი* და *ჩიქვანი*. სამეგრელოში და ლეჩხუმში ხალხი დღესაც *ჩიქვანს* ამბობს. რუსები სწერდნენ *ჩიკოვანი*, რომლის მიბაძვით ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული *ჩიქოვანი*.

შამდავლეს, რომელმაც ბიძის პატივსაცემად დაირქვა სახელად ლევან III (1661-1680 წწ.). ამ ლევან III-ს ვახტანგმა ცოლად შერთო თავისი ძმისწული, სილამაზით განთქმული თამარ, რომელიც

ვამეყ III დადიანი. ნახატი კასტელისა.

შემდეგში შეიქმნა საცილობელი იმერეთის მეფე-მთავართა შორის. იმერეთის მეფედ ვახტანგმა დასვა თავისი შვილი არჩილი (1661 წ.) ცნობილი პოეტი, არჩილიანის ავტორი. უსინათლო ბაგრატი კი თან წაიყვანა ქართლში. ვახტანგ მეფის ჩარევამ და იმერეთის მეფედ არჩილის აღიარებამ, იმერეთში გამოიწვია დინასტიური შუღლი და არევ-დარევა. ამას მიაქცია ყურადღება ოსმალეთმა, რომელიც იმერეთს თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ თვლიდა. ამიტომ ოსმალეთის მოთხოვნით, არჩილი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა იმერეთი, სადაც ისევ ბაგრატ IV გამეფდა. ასეთი ცვლილებით უკმაყოფილო დარჩა დადიანი ლევან III, რომელსაც არ უნდოდა გაეშვა თავის მიერ დაჭერილი იმერეთის დასავლეთი ნაწილი. ამიტომ დაიწყო მან ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელშიაც ჩარეული იყვნენ: გურიელი, ქართლის მეფე და იმერეთის დიდებულები. თითოეული ჯგუფი ცდილობდა თავისი კანდიდატის დასმას იმერეთის მეფის ტახტზე გარეშე ძალის დახმარებით. მაგალითად, არჩილ მეფე ხუთჯერ გამეფდა იმერეთში. ზოგიერთი დიდგვაროვანი თავადები (აბაშიძეები) აწყობდნენ სხვადასხვა ინტრიგას და იმერეთის ტახტზე მეფეებს თავისი სურვილის მიხედვით სვამდნენ. ამ ბრძოლაში ლევან III-ის მეუღლე თამარ გახდა შურისძიების საგანი, რაც იწვევდა მათ შორის მკვლელობას, შფოთს და არევ-დარევას[1].

ამ დროს იმერეთის ფეოდალებს შორის ძლიერდება კაცია ჩიქვანი და მისი ძმა ჭყონდიდელი, რომელიც ვახტანგ V-ს გამოექცა ტყვეობიდან და ისევ მიიღო ჭყონდიდელობა. იგი დაუახლოვდა ლევან III-ს და დაიმსახურა მისი დიდი ნდობა და ერთგულება. ჭყონდიდელის რჩევით და დახმარებით, იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის კარზე ჩქარა დაწინაურდა მისი ძმა კაცია, რომელმაც ისარგებლა იმერეთის შინაური ამბოხებებით და გახდა ლეჩხუმის მეპატონე და ბაგრატ IV-ის ვეზირი. კაცია და მისი ძმა იყვნენ ერთი ღარიბი გორდელი აზნაურის ოჯახიდან, მაგრამ ორივე ძმა თავიანთი გამჭრიახობით და ნიჭით ჩქარა დაწინაურდა. ისინი სარგებლობდნენ

---

[1] ტრაღიკული ეპიზოდებით სავსე ამ მღელვარე ხანის ფაქტები აღწერილი აქვს შარდენს. რომელიც თავის დასკვნაში ამბობს, რომ ამ ველურ ტრაღედიებს ადგილი ჰქონდა 1660 წლიდან. ამ დროიდან 1672 წლამდის ამ მხარეში (იგულისხმება იმერეთი) მოხდა ასამდე ასეთი ტრაღედია, სავსე საზიზღრობებითა და უადამიანობით. მათზე მე ვარჩევ დუმილს, რადგანაც ეს ისტორია მეტად საშინელიაო (*Шарден*, 137).

იმერეთის სამეფოს შინაური შუღლითა და აშლილობით, თანდათანობით იხვეჭდნენ პოლიტიკურ უფლებასა და გავლენას.

იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის დასუსტების მიზნით, ჭყონდიდელმა ურჩია ლევან III-ს, რომ მას დაეახლოვებინა მისი ძმა კაცია, რომლის საშუალებით დადიანს შეეძლო მთელი ლეჩხუმის ხელში ჩაგდება. დადიანმა ამ მიზნით, გადმოიბირა კაცია ჩიქვანი და მას უწყალობა სალიპარტიანოს ბატონობა და შემდეგ სადადიანოს ვეზირობაც. ამას მოწმობს სხვათა შორის მარტვილის ტაძარში დღემდე დაცული კაციასა და მისი ოჯახის წევრების სურათი კედლის შედმეგი წარწერებით:

„შენთა: მინდობილმან: ლეჩხომის: და: საინასარიძოს: და: სალიპარტიანოს პატრონმან: დიდისა ჭელმწიფისა: მეფისა: და: დადიანისა: ვაზირმან: იმერეთისა: ოდიშისა: თაუმან: და სარდალმან: ჩიქვანმან: კაციამ: და: თანა: მეცხედრემაწ: ჩვენმან: დიდისა: ერისთავთ: ერისთავის ქალმან თამარ: და: ძემან: ჩვენმან: გიორგიმ: იოსებ: ოტიამ: დავახატვინეთ:“ (*ეკვ. თაყაიშვილი*, ძველი საქართველო, ტ. III, 121). ასეთივე წარწერა დაცულია ლეჩხუმში, ნაკურალეშის ეკლესიაში, სადაც გამოსახულია კაცია თავისი მეუღლით თამარით: „ქ.: ლეჩხუმის და სალიპარტიანოს პატრონი: ოდიშის:. თავი: იმერეთისა: და ოდიშის სარდალი ჩიქუანი: ბატონი:. კაცია“. ამ კაცია ჩიქვანის განდიდების შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „რამეთუ ვინდგან განდიდნა ჭყონდიდელი ჩიქოანი, ამან მოიყვანა ძმა თვისი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი[1], რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩხუმიცა ლევან დადიანმან; ესე კაცია იყო გორდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სვანეთს ტვირთითა თვისითა ზიდავდა თაფლსა და გამოიზრდებოდა. და ესე კაცია ძმის ჭყონდიდელის გამო განდიდნა და იქმნა პა-

---

[1] *სალიპარტიანო* ეწოდებოდა ოდიშის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს და იგი მდებარეობდა მდინარე ტეხურის ორსავე ნაპირას. ვახუშტის აღწერით: „და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო“, რაც დაახლოებით შეიცავს დღევანდელ მარტვილის რაიონს. სალიპარტიანო ეკუთვნოდა შემკვიდრეობით დადიანის გვარის უმცროს შტოს. დადიანების პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა, რომ სალიპარტინაო სჭეროდა იმათ მახლობელ ნათესავს. პირველ ლიპარტიანად ცნობილია დადიანის მანუჩარ I-ის ძმა გიორგი ლიპარტიანი, ბიძა ლევან II-ისა. ამას მოწმობს ხატის წარწერა: „ლიპარტიანი ბატონი გიორგი ძმა, ჭელმწიფისა მანუჩარისა, ბიძა დიდისა ჭელმწიფისა დადიანისა ლევანისა და ძე დიდისა ხელმწიფისა ბატონისა მამია დადიანისა“ (*ეკვ. თაყაიშვილი*, ძველი საქართველო, III, გვ. 218; *ამ ბრიტ* Voyage arch. Rapp. გვ. 33; ლიპარტიანების შესახებ იხ. *ეკვ. თაყაიშვილი*, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, გაზ. „ივერია“, 1891 წ., №213)

ტივცემულ მეფეთაგან და მის გამო უსმედნენ ლეჩხუმელნიცა. მერმე ლევან დადიანმან მისცა სალიპარტიანო და თვისად მისანდობელ-ჰყო ფრიად, რამეთუ იყო კაცი მხნე და შემძლებელი საქმეთა, არამედ ულთო და მესისხლე, აზრახებდა დადიანსა და მოსვრიდიან წარჩინებულთა ოდიშისათა"-ო (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრება, 314).

ამგვარად, ორივე ძმა ჩიქვანები სადადიანოში გაძლიერდნენ და იმერეთის სინამდვილეში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას თავიანთ სასარგებლოდ მოხერხებულად იყენებდნენ.

1680 წელს გარდაიცვალა ლევან III და ოდიშის დიდებულებმა მოსთხოვეს გიორგი გურიელს დაებრუნებინა ლევანის ძე მანუჩარი, რომელიც მას მძევლად ჰყავდა. გურიელმა ამაზე უარი შემოუთვალა ოდიშელებს და თვითონ განიზრახა გადადიანება. მაგრამ კაცია ჩიქვანის მეთაურობით ოდიშელებმა გაამაგრეს სადადიანოს საზღვრები და გურიელი არ შეუშვეს. მაშინ გურიელმა შური იძია და მანუჩარი მოაკვლევინა, მაგრამ მან გადადიანება მაინც ვერ შეძლო.

ამ უმთავრობის პერიოდში ოდიშის სათავეში მოექცა კაცია ჩიქვანი, რომელიც ახლა გადადიანებაზე ოცნებობდა და ყველა მოწინააღმდეგე პირებს თუ ჯგუფებს შეუბრალებლად სდევნიდა და ხოცავდა. თავის გამარჯვების იმედს კაცია ხმალზე ამყარებდა, რაც იწვევდა ოდიშში საშინელ შფოთსა და არევ-დარევას. ამას დაერთო აგრეთვე აფხაზეთის გამოლაშქრება ოდიშზე. აფხაზებმა ისარგებლეს ოდიშის მძიმე მდგომარეობით და ოსმალების დახმარებით, დაიწყეს ოდიშის აკლება მდინარე კოდორიდან დაწყებული ეგრის წყლამდის (დღევანდელი ღალიძგა). მოსახლეობა ააფორიაქეს, მრავალი ტყვედ ჩაიგდეს და ოსმალებზე გაყიდეს. დაცარიელებულ ადგილებზე გადმოასახლეს აფხაზები. აფხაზების მთავარი სორეხ სუსტარის ძე შერვაშიძე ისე გათამამდა, რომ 1683 წელს იგი ლამობდა მთელი ოდიშის დაპყრობას, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, მხოლოდ შეძლო დროებით თავისი უფლების განმტკიცება ოდიშის ნაწილზე თიოქმის მდ. ენგურამდის.

ამგვარად, ოდიში მოიცვა საშინელმა ანარქიამ. ჩქარა გარდაიცვალა კაცია ჩიქვანიც და ახლა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მისმა შვილმა სალიპარტიანოს პატრონმა გიორგიმ, რომელიც კაციაზე უფრო სასტიკი და შეუბრალებელი იყო. ამ გიორგი ლიპარტიანს ვახუშტი ასე ახასიათებს: „ხოლო შემდგომად მოკუდა კაცია ჩიქუანი და დაიპყრა ლიპარტიანობა ძმან კაციასამან გიორგიმ

უმეტეს მამისა თვისისა და სვრიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყვედ ოდიშართა“ (იქვე, 317).

გიორგი გურიელი, რომელსაც გადადიანება უნდოდა, ბრძოლას განაგრძობდა. მან შეირთო დედოფალი თამარ, ლევან III-ის ნაცოლარი და ახლა მისი დახმარებით განიზრახა ოდიშის დაჭერა. ამ გარემოებით შეშინებულმა გიორგი ლიპარტიანმა მიმართა ახალციხის ფაშას და მოსთხოვა, რომ მას ახალციხეში მძევლად მყოფი ლევან III-ის დადიანის უკანონო შვილი ლევანი გადმოეგზავნა და გაედადიანებინა. ამაზე მალევე მოვიდა სულთნის ბრძანებაც და 1683 წელს ოდიშის მთავრად დასვეს ეს ლევან IV, რომელიც ითვლებოდა მხოლოდ ნომინალურ მთავრად. ფაქტიურად კი ოდიშს განაგებდა გიორგი ლიპარტიანი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ბედავდა ნილაბის მოხსნას და გადადიანებას: „არამედ სახელით ოდენ იყო დადიანი ლევან. გარნა მოქმედი ყოვლისავე იყო ლიპარტიანი. გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კვლითა და ტყვითა ყიდვისათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობით“-ო (*ვახუშტი*, იქვე, 32).

სუსტი ნებისყოფის მთავარმა ლევან IV-მ ვერ გაუძლო გიორგი ლიპარტიანის მძლავრობას და იგი ჯერ გაიქცა ქართლში არჩილ მეფესთან, შემდეგ წავიდა სულთანთან საჩივლელად სტამბოლს, სადაც 1694 წელს გარდაიცვალა. ამით მოისპო ძველ დადიანთა გვარის დინასტია.

ამის შემდეგ, გიორგი ლიპარტიანი გახდა ოდიშის ერთადერთი მბრძანებელი, მაგრამ ლიხთ-იმერეთის დიდებულებისა და მმართველ წრეების შიშით, იგი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა დადიანის ხარისხის მითვისებას. ამის შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „არამედ განძლიერდა ლიპარტიანი გიორგი კვლითა და ტყვისა ყიდვითა. არღა-რა იქნება ლევან დადიანი, განაძო იგი და წარვიდა ქართლს არჩილ მეფისთანა. შემდგომად წარვიდა სტამბოლს და მოკუდა მუნ და დაიპყრა ოდიში ლიპარტიანმან და არა იწოდებოდა დადიანად, არამედ ლიპარტიანად და თავობდა ლეჩხუმსაცა და კნინღა დაიპყრობდა“-ო (იქვე, 327).

კაცია ჩიქვანი. მარტვილის ტაძრის კედლის მხატვრობა.

5. ოდიშის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება განვლილ პერიოდში

ქართულმა ფეოდალიზმმა XII საუკუნეში შეძლო შეექმნა საკმაოდ ძლიერი მონარქია, რომელმაც მთელი საქართველო გააერთიანა ერთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სხეულად. მაგრამ XIII ს-ში მონღოლთა შემოსევით დაიწყო ამ მონარქიის ცალკე სამეფოებად და სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცება. ამას მოჰყვა საქართველოს კუთხეების კულტურულ-ეკონომიკური დაქვეითება, რადგანაც მონღოლთა ბატონობას განსაკუთრებით ახასიათებდა დიდი ხარკიანობა. მათი ხშირი თარეშების გამო მოიშალა სავაჭრო გზები, დაეცა ვაჭრობა და წარმოება, საქართველოს ეკონომიკური მთლიანობა დაიქსაქსა და ფეოდალურმა შულლმა და მტრობამ თავი ერთბაშად იჩინა.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაცემის ეს პროცესი უფრო გაღრმავდა ოსმალების მიერ 1453 წ. კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ. ამით ჩვენში ჩაიკეტა შავი ზღვის პირას მდებარე სავაჭრო გზა, რომელიც შავი და კასპიის ზღვებით აღმოსავლეთში გადიოდა. ამ გზით აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას აწარმოებდნენ ვენეციელები და გენუელები, რომლებსაც შავი ზღვის სანაპიროებზე ჰქონდათ თავიანთი სავაჭროები. მაგრამ როდესაც ოსმალებმა შავი ზღვის სანაპიროები ხელში ჩაიგდეს, მათ ჩაკეტეს დარდანელის სრუტე. გენუელები და ვენეციელები ამით იძულებული შეიქმნენ შეეწყვიტათ ვაჭრობა ოდიშთან და საქართველოს დანარჩენ პროვინციებთან, რადგანაც ამის საშუალებას ოსმალეთი არ იძლეოდა. მართალია, ევროპის ვაჭრობამ ოსმალეთის ამ ძალადობას თავი ადვილად დააღწია და აფრიკის საზღვაო გზის აღმოჩენით 1498 წ. აღმოსავლეთისკენ უფრო მოხერხებული სავაჭრო გზა აღმოაჩინა, მაგრამ ოდიშის სამთავრო დარჩა მომწყვდეული კარჩაკეტილ ზღვაში და იგი თავის კანში იწვოდა.

ამგვარად, XV ს. მთავარი საერთაშორისო ეკონომიკური ძარღვი და დიდი სავაჭრო გზა საქართველოს დაშორდა, რაც შეუძლებელს ხდიდა ჩვენი ქვეყნის აღორძინებას ოსმალეთის ბატონობის ხანაში. ამის გამო, შავი ზღვის სავაჭრო ადგილებმა თავიანთი წინანდელი მნიშვნელობა დაკარგეს და ის დიდი სარგებლობა, რომელიც ოდიშის სამთავროს ბაჟებისა და სხვა საშემოსავლო გადასახადების სახით ჰქონდა, მოისპო და ქვეყანაც სწრაფი უკანდახევის გზას დაადგა.

ამასთანავე, ოდიშის სამთავრო კულტურულადაც მოწყდა იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოების განათლების ცენტრებს და ჩამორჩენილი ოსმალეთის გავლენაში მოექცა. ასეთი იყო ოდიშის სამთავროს საგარეო მდგომარეობა. არანაკლებ გართულებული იყო საქართველოს შინაური მდგომარეობა. იგი დანაწილებულია სამეფოებად და სამთავროებად, ყველგან აღმართული იყო საბაჟოები და საზღვრები, რომლებიც აფერხებდნენ სავაჭრო საქონლის ბრუნვას და აძვირებდნენ მათ ღირებულებას. დაქუცმაცებული საქართველოს კუთხეების ეკონომიკურ დაცემასა და განცალკევებას ხელს უწყობდა აგრეთვე ფეოდალური ბრძოლა და მტრობა, რის გამოც, შემოსავალმა საგრძნობლად იკლო. ხარჯების დასაფარავად კი უმთავრესად, ფული იყო საჭირო და ამისათვის მეფე-მთავრები იძულებული შეიქნენ შემოელოთ ახალი სახის გადასახადები და ძველიც გაედიდებინათ. ეკონომიკურად დაქვეითებულმა მებატონეებმა, შემოსავლის გადიდების მიზნით, ხელი მიჰყვეს თავიანთი ყმებით ვაჭრობას, რამაც უმეტესად გაამწვავა ისედაც გართულებული ბატონყმური ურთიერთობა. ტყვეთა ვაჭრობას, პირველყოვლისა, ხელს უწყობდა ოსმალეთი, რომლის მოხარკედ ოდიშიც ითვლებოდა. დადიანი ვალდებული იყო ოსმალეთისათვის ხარკში ყოველწლიურად მიეცა ოთხმოცი ათასი არშინი ოდიშური ტილო და სულთნისათვის ძღვნად გაეგზავნა ახალგაზრდა ქალ-ვაჟები"[1].

სავაჭრო ურთიერთობა ოდიშს ამ პერიოდში ჰქონდა ოსმალეთთან, საიდანაც ოდიშში შემოჰქონდათ ქსოვილები, ხალიჩები, ტყავეული, იარაღი, ჭურჭელი, შაქარი და სხვა. ლამბერტის ცნობით, სამაგიეროდ, ოსმალები მეგრელებისაგან იღებნდნენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წავის ტყავს, სელის თესლს, ბზის ხეებს და სხვა. ბზის ხეებში თურქები ძალიან იგებდნენ, რადგან სამას თუ ოთხას სკუდის მარილით ყიდულობდნენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთი ათას სკუდზე მეტი ღირსო (*ლამბერტი*, 158).

მოსკოვის მეფის ელჩების ცნობით, ლევან II-ის დროს ოდიშში ამზადებდნენ აბრეშუმისა და ტილოს ქსოვილებს. წინანდელ მთავრებს ვაჭრობა არავისთან არ ქონიათო, ახლანდელ მთავრის ლევანის

---

[1] *Шарден*, с. 101; *Полиевктов*, Материалы, с. 334 ("князь Леван дает туркскому царю подати девками и пушечными запасы, холстами и пенького").

დროს ვაჭრობა წარმოებსო. ვაჭრობენ ოსმალებთან და ირანელებთან, რომლებიც ზღვით მოდიან ოდიშში და აქ ყიდულობენ აბრეშუმს, თაფლს, სანთელს, ტილოს და სხვა საქონელს, რაც მათში მოიპოვებაო (*Полиевктов*, Материалы, с. 149).

ვაჭრობის საგანს ამ პერიოდში შეადგენდა აგრეთვე ტყვეთა გაყიდვა, რაც გაბატონებულ წოდებას საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდა. ტყვეთა ვაჭრობას ხელს უწყობდნენ ოსმალეთი და სპარსეთი, რომლებიც ოდიშიდან ტყვეებს ათასობით ეზიდებოდნენ. XVII საუკ. ოდიშიდან ყოველწლიურად 10-15 ათასი ტყვე მიჰყავდათ ოსმალეთში, სადაც ახალგაზრდა ვაჟებს რიცხავდნენ იანიჩარის ჯარში, სრულწლოვანი მამაკაცები და ქალები მიჰყავდათ მონებად, ახალგაზრდა ქალები კი სულთნის ჰარამხანაში.

შარდენის ცნობით, სამეგრელოდან ყოველწლიურად გაჰყავდათ 12.000 ტყვე. ყველა ესენი ხელში უვარდებოდათ ოსმალებსა და ირანელებს. 3.000 კაცი მიჰყავდათ სტამბოლში, სადაც მათ ცვლიდნენ ქსოვილზე, იარაღზე და სხვა საქონელზე, რომელიც შემდეგ შემოაქვთ სამეგრელოშიო. ყოველწლიურად სამეგრელოს სანაპიროებზე მოდის რამდენიმე ათეული გემი, რომლებიც სამეგრელოში იტვირთებიან ტყვეებით, აბრეშუმით, ტილოს ქსოვილებით, ტყავეულობით, ბეწვეულით, ბზის ხეებით, თაფლით და სანთლით. მეგრული თაფლი საუკეთესოა. თურქები დიდ მოგებას იღებენ სამეგრელოდან შემოტანილ საქონელზეო, იგებენ ერთიორად, განსაკუთრებით დიდ მოგებას იღებენ ტყვეების გაყიდვაშიო (*Шарден*, с. 35, 36).

ა. ლამბერტის თქმით, მეგრელები დიდის სიამოვნებით ჰყიდიან ტყვეებს, რადგან ერთ ტყვეში აიღებენ ყველა საქონელს, რაც სახლში ესაჭიროებათ. ქალების სასყიდლად თურქები ფულს არ ზოგავენ, ოღონდ ქალი ლამაზი იყოს. მეგრელის ქალები ხომ უმეტეს წილად იშვიათი სილამაზის არიან. ზოგჯერ თითო ქალში იძლევიან სამას თუ ოთხას ცეკინოს (იქვე, 160-161).

ტყვეების ფასი ცვალებადი იყო, რაც ტყვეთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. თავდაპირველად ტყვეები მაღალ ფასებში იყიდებოდა და მებატონეებსაც ტყვეებით ვაჭრობა კარგ შემოსავალს აძლევდა. შარდენის ცნობით, მამაკაცი 25-40 წლისა იყიდებოდა 15 მანეთად (ოქროთი), მათზე უფრო ხნიანი 8-10 მან., ლამაზი ქალიშვილი 13-18 წლისა ფასობდა 20 მანეთი, ქალი — 12 მან., ბავშვები 3-4 მან. ასეთი მოგების მიზნით, მებატონეებმა

დაიწყეს ერთმანეთის დალაშქვრა. იტაცებდნენ მოსახლეობას ტყვედ და შემდეგ მათ ჰყიდდნენ ოსმალებზე. ამ საქმეში მებატონეებმა არ იცოდნენ დანდობა და შებრალება, ხშირად ერთი ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე ჰყიდდნენ. ოდიშ-იმერეთში ტყვეთა გაყიდვა განსაკუთრებით გაძლიერდა 1660 წლიდან, როდესაც მეფე-მთავართა შორის წარმოებდა შეუნელებელი ბრძოლა, ამბოხებები, მკვლელობა და ქვეყანა მოიცვა ანარქიამ. ამით სარგებლობდნენ მებატონეები და დიდძალ ტყვეებს ჰყიდდნენ. ტყვეების ფასიც იმ დროს იმდენად დაეცა, რომ ოდიშის სანაპიროზე 1672 წელს 25-46 წლის მამაკაცი ფასობდა 10 მანეთი, ახალგაზრდა ქალი 13-18 წლისა 13-14 მანეთი.

ტყვეთა ვაჭრობამ ოდიშში თანდათანობით მიიღო საშიში ხასიათი და ფულის მოგების მიზნით, არ იყო ერთმანეთის დანდობა და შებრალება. ამის შესახებ XVII ს. ოდიშში მყოფი კათოლიკეთა მისიონერები: იოსებ ძამპი, ჟ. შარდენი და ლამბერტი მოგვითხრობენ შემაძრწუნებელ ფაქტებს. ა. *ლამბერტის* სიტყვით იყო ერთი უპირველესი დიდებულთაგანი ოდიშში, გვარად ჭილაძე, რომელიც შეჩვეული იყო ტყვეთა გაყიდვას. მას ერთ წელიწადს თურქთა გემების მოსვლის დროს დასჭირდა ათი-თორმეტი ტყვე ოსმალებზე გასასყიდად. სამაგიეროდ, უნდა ეყიდნა მათგან სხვადასხვა საქონელი, რომელიც სჭირდებოდა. ეს შეიტყვეს მისმა ყმებმა და თავს უშველეს გაქცევით, რათა ხელში არ ჩავარდნოდნენ მას. მაგრამ ჭილაძემ ეს ხერხი იხმარა საჭირო კაცების მახეში გასაბმელად. გამოაცხადა, რომ ამ და ამ დღესასწაულს დიდებული წირვა უნდა გადავიხადო და ერთ-ერთ ჩვენი კარის ეკლესიაში უნდა მოვიდნენ მღვდლებიო, რომელთაც წირვის შესასრულებლად, უხვად დავასაჩუქრებ და მდიდრულ ნადიმს გავუმართავო. ამ ცრუ დაპირებამ შეაცდინა მღვდლები და დანიშნულ დღეს თორმეტი მღვდელი გამოცხადდა. მათ დიდებულად შეასრულეს წირვა, რომელსაც დაესწრო ჭილაძე. წირვა რომ შეასრულეს, ჭილაძემ ეკლესიის კარები დააკეტინა, ჯაჭვები მოატანინა, თორმეტივე მღვდელი ჯაჭვებში ჩასვა, თმები და წვერები მოაპარსვინა და პირდაპირ წაიყვანა თურქთა გემებზე გასასყიდად. ფასად აიღო ათასი სკუდის სხვადასხვა საქონელი. ამ მხრივ, ამბობს ა. ლამბერტი, მეგრელთა ბარბაროსობა იქამდე მიდის, რომ არც ნათესაობა სწამთ და მზად არიან მეგობრობის ყოველივე კანონი ფეხ-ქვეშ გათელონ. მე ჩემის თვალით ბევრჯერ მინახავს, რომ ქმარს თავისი ცოლი გაუყიდია თურქებზე. ფულს გაანაწილებენ სამად და ერთი წილი ერგება

ბატონს, რომლის ყმად ითვლებოდა ქალი, მეორე — ქმარს და მესამე — ქალის მშობლებსო (იქვე, 161-162). ქართველი ელჩის ნიკიფორეს ჩვენებით, სამეგრელოს მთავარს ლევანს მისი სურვილის მიხედვით, შეუძლია ვინც უნდა გაყიდოს. არამც თუ მთავარი, არამედ მამა შვილებს ჰყიდის, ძმა-ძმას, ქმარი-ცოლს ოსმალების მიერ შემოტანილ საქონელზეო"[1].

ეს ტყვეთა გაყიდვა, რომელსაც ხელს უწყობდა ოსმალეთი და ირანი, დიდ განსაცდელს უმზადებდა ოდიშის მოსახლეობის ფიზიკურ არსებობას. მოსახლეობის შემცირებასთან იგი იწვევდა ხალხში მორალურ დაქვეითებას, ზნეობრივ გახრწნას. ტყვედ გატაცების შიში ამცირებდა გამრავლების უნარიანობას, რადგანაც ძნელი იყო მრავალრიცხოვანი ოჯახის დაცვა ტყვეთა მტაცებლებისაგან. მით უმეტეს, ლამაზი შვილების პატრონი მუდამ შიშის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ, ტანჯულ მშობლებს უმჯობესად მიაჩნდათ შეემცირებინათ შვილოსნობა ან ადრევე მოესპოთ ნაყოფი, რომ იგი ტყვედ არ წაეყვანათ ოსმალეთში. ამით აიხსნება სხვათა შორის, ახალდაბადებული ბავშვების მკვლელობის ის შემთხვევებიც, რომელსაც ადგილი ჰქონია ოდიშის სინამდვილეში. კათოლიკე მისიონერების იოსებ ძამპისა და ლამბერტის ცნობით, ვისაც სილარიბისა და მრავალ-შვილთა გამო, არ შეუძლიათ მათი რჩენა და შვილოსნობას კი ვერ მორჩენილან, როგორც კი მათ დაებადებათ ბავშვი, მაშინვე ცოცხლად მიწაში ჩაფლავენო (*შარდენი*, 47; *ლამბერტი*, 76).

ტყვეთა ვაჭრობასთან დაკავშირებით, გავრცელებული იყო ქურდობა. განსაკუთრებით ბევრი ყოფილან ადამიანის ქურდები, რომლებიც იპარავდნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს და თურქებზე ჰყიდდნენ. ამ ხელობაში, ამბობს ლამბერტი, ისე არიან დაწელოვნებული, რომ ადვილად იპარავენ როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს

---

[1] Дидиянская де земля не велика, а людей де мусково полу вь их земле с 60000; а на войну никуды не ходят. А чин де у них таков, что владетель их Лсонтей тое земли, ково хочет, в ыные государства продают и в поминках посылает; да не токмо де, что владетель продает и отец детей и брат брата и муж жену и жена мужа продают и на товары приезжим торговым людем меняют (Показание груз. посла митрополита Никифора о Дидианской земле в 1639 г., см. Белокуров, Чтения в общ. ист. и древности Росс., 1887 г., Кн. II, с. 267-268).

დაესხმიან მეზობლის სახლს, შესტეხენ ძალით სახლის კარს, შებოჭავენ ვისაც კი შინ იპოვნიან და პირდაპირ ქობულეთში გააქანებენო (*ლამბერტი*, 72). ამ ქურდობაში და ტყვეების გაყიდვაში საზოგადოების ყველა წოდება იყო ჩაბმული და ეს სენი ისე ყოფილა მოდებული, რომ ღარიბი და მდიდარი, პატარა და დიდი, მაღალი წოდება და დაბალი ხალხი, ერი და ბერი, ამბობს ლამბერტი, სულ ქურდები არიანო.

რასაკვირველია, ეს ქურდობა არ იყო მეგრელების თანდაყოლილი თვისება, არამედ იყო იმ დროის საარსებო საშუალება. მის გაძლიერებას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ოსმალეთი და ირანი, რაც მათ კარგ შემოსავალს აძლევდა. ამ საშინელ სოციალურ სენს ებრძოდა ოდიშის ზოგიერთი მთავარი, განსაკუთრებით ლევან II დადიანი, მაგრამ მისი აღმოფხვრა შეუძლებელი იყო, რადგანაც ოსმალეთის წყალობით, მას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მოსახლეობაში. მართალია, ლევანმა დროებით შეძლო ქურდობის შეზღუდვა და როგორც ლამბერტი გადმოგვცემს, „ამ ჟამად ველარ გაიგონებთ მის სამთავროში ისეთს ქურდობას და მტაცებლობას, როგორც წინათ იყო. უწინ უძლიერესი მებატონენი კანონებს არ ემორჩილებოდნენ, უძლურებს ყველაფერს ართმევდნენ და უცხოელს, რომელიც კოლხიდაში მოვიდოდა, სძარცვავდნენ. ამ მთავრის დროს კი ისე შეშინებულნი არიან, რომ ვერც უცხოელებს აწყენინებენ და ვერც უძლურებს აწიოკებენო“ (იქვე, 24).

ამასვე ადასტურებს *ვახუშტიც*, რომელიც ამბობს: „არამედ ლევან დადიანმან სიმდიდრით აღზევებულმან ჰყო სასახლე იბ(=12) ოდიშსა შინა ყოვლითა მოწყობილობითა, რამეთუ არა წარიღის ერთიდამ მეორესა შინა არა-რაიმე სახმარნი ანუ ცხენნი და გარეგმო წყაროთა უახლოესთა დასდგა ფიალანი ოქროსანი და უშორესთა ვერცხლისა, დაბმული ძეწკვებითა, რათა სმიდენ მგზავრნი მით, ვინადგან ვერ-ვინ იკადრებდა ქურდობასა ანუ პარვა-ავაზაკობასა ქვეყანასა შინა მისთა“-ო (საქარ. ცხოვრება, 303).

ლევან II, ამასთანავე, ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას ოდიშში. მას კარგად ესმოდა, რომ ხელოსნობის გარეშე ძნელი იყო შინაური ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება. სამთავროს ეჭირვებოდა იარაღი, ქსოვილები, ჭურჭელი, სამკაულები და სხვა. მართალია, ნაწილი ამგვარ საქონლისა ოდიშში უცხოეთიდან, კონსტანტინოპოლიდან შემოჰქონდათ, მაგრამ ადგილობრივ მოთხოვნას ეს ვერ აკმაყოფილებდა. ამ მხრივ, სამართლიანი

იყო სამეგრელოს დედოფლის საყვედური შარდენის მიმართ: „რატომ სამეგრელოში არ მოდიან ის ევროპიელი ხელოსნები, რომლებმაც ასე მშვენივრად იციან ლითონის, აბრეშუმისა და მატყლის ხელობა და რათ მოდიან მარტო ბერები. ბერები რად გვინდა, ან რისი მაქნისი არიან"[1]-ო (*Шарден*, с. 116).

ვაჭრობისა და ხელოსნობის დაწინაურების მიზნით, ლევანმა, როგორც ვიცით, სამეგრელოში გადმოასახლა ჩხარელი სომხები და ებრაელები. დაარსდა რამდენიმე სავაჭრო ადგილი, სადაც იმართებოდა დიდი ბაზრობა. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით, ლევანმა ზუგდიდში დააარსა ზარაფხანა, რომელშიაც იჭრებოდა სპარსული ყაიდის ფული. სომეხ ვაჭრებს ამ ფულით სპარსეთიდან შემოჰქონდათ ირანული შალეული. დადიანი, ამასთანავე, დიდის ყურადღებით ეკიდებოდა ხელოსნობის დაწინაურებას. სხვადასხვა პრივილეგიით ლევანი იზიდავდა უცხოელ ხელოსნებს და რომ ისინი არ წასულიყვნენ, აძლევდა მიწა-წყალს და უწევდა ყოველგვარ დახმარებას. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება, უეჭველია, ხელს უწყობდა ლევანის გამდიდრებას. ამას სხვათა შორის მოწმობს ლევანის დის, ქართლის მეფის როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის მზითვის წიგნი, რომელზედაც ლევანს ხელი უწერია. მზითვის წიგნში აღნუსხულია ძვირფასი თვალ-მარგალიტები და ქსოვილები, რომლებიც უცხოეთიდან შემოჰქონდათ. აგრეთვე ჩამოთვლილია ის მრავალი ოქრო-ვერცხლის სამკაულები და ჭურჭელი, რომელიც დადიანს მზითევში გაუტანებია მარიამ დედოფლისათვის[2].

ლამბერტის სიტყვებით, დადიანმა სრულებით განაახლა ქვეყანა

---

[1] სამეგრელოში პირველად შემოვიდნენ თეათინელი პატრები ლევან II დადიანის დროს 1633 წელს. ესენი იყვნენ არქანჯელო ლამბერტი და იოსებ ჯუდიჩი, რომლებმაც სამეგრელოში დააარსეს თეათინელთა მისიონი. შემდეგ მათ მოჰყვნენ სხვა პატრებიც: ქრისტეფორე კასტელი, იოსებ ძამბი, კარლო ჯულიანი, იოსებ ტოჩინელი და სხვა. ეს ბერები გამოგზავნილი იყვნენ რომის პაპის მიერ და სამეგრელოში ავრცელებდნენ კათოლიკობას. ამავე დროს, პატრები ეწეოდნენ მკურნალობას. ხალხს აძლევდნენ რჩევა-დარიგებას, ავრცელებდნენ წერა-კითხვას და ევროპიულ კულტურას. ზოგმა მათგანმა, როგორც ლამბერტიმ და ი. ძამბიმ დაგვიტოვეს სამეგრელოზე საუცხოო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები. ქრისტეფორე კასტელიმ ჩასატა იმდროინდელ ოდიშისა და იმერეთის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი სურათები და სხვა. (იხ. *მიქელ თამარაშვილი* „კათოლიკობა სამეგრელოში", ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი 1902 წ., გვ. 169-212).

[2] მზითვის წიგნი, დადიანის ქალის, ქართლის დედოფლის მარიამის 1634 წ. (იხ. *სარგის კაკაბაძე*. ისტორიული საბუთები, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1925 წ., გვ. 136-138).

იმით, რომ მრავალი უცხო ხალხი მოიწვია, განსაკუთრებით სომხები და ებრაელები, რომლებიც ძლიერ ეტანებოდნენ ვაჭრობას. მათ აძლევდა ცხენებსა და ფულს და გზავნიდა ირანსა და თურქეთში, რათა იმ ქვეყნებიდან მოეტანათ ოდიშში მრავალი სავაჭრო, რომლის სახელიც არ იცოდნენ წინათ მეგრელებმა.

ვაჭრობაში ფულის ხმარება სრულიად არ იცოდნენ მეგრელებმა და თავიანთ ნაწარმს ერთს მეორეზე ცვლიდნენ. ახლა კი მთავარს ზარაფხანა აქვს გაკეთებული, სადაც ყოველ წელიწადს სჭრიან რამდენსამე ათას მანეთს. დადიანი დიდის წყალობით იზიდავს უცხოელებს, განსაკუთრებით ხელოსნებს. მოსული რომ აღარ წავიდეს აქედან, მთავარი აძლევს სახლს, მიწა-ადგილს და ყოველსავე, რაც კი შეეფერება მოსულის წოდებას და მდგომარეობას (*ლამბერტი,* 26).

ამ ხელოსნებს დადიანი ამუშავებდა ეკლესიებისა და სასახლეების აშენება-შეკეთებაზე. ოქრომჭედლები მუშაობდნენ ხატების განახლება-მოჭედვაზე, ვერცხლის ჭურჭლისა და ძვირფას სამკაულების დამზადებაზე. მხატვრები ამკობდნენ ეკლესიებს ფრესკებით და სხვა.

ლამბერტის თქმით, არ არის ოდიშში არც ერთი ეკლესია, რომელსაც არ ჰქონდა დადიანის ყურადღება მიქცეული; რომელიც დანგრეული ეკლესია იყო, ხელახლა ააშენა; რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, იმას სახურავი გაუკეთა; რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისევ გააშშენიერა და შეამკო. უთვალავი ოქროვერცხლის ხატი გააკეთებინა თვალ-მარგალიტებით შემკობილი. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტი ოქრომჭედელი ჰყავდა, რომლებიც განუწყვეტლივ აკეთებდნენ საეკლესიო ჭურჭელს. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: ძვირფასი ქვებით შემკული ფიალა, რომელიც ფასობსო, ამბობენ თორმეტი ათასი სკუდი; ღვთისმშობლის ხატი, ხალასი ოქროსაგან გაკეთებული და ძირფასი ქვებით შემკული, რომელსაც აფასებენ ხუთი ათას ოქროდ და მრავალი ამისთანაო (*ლამბერტი,* 26).

ლევან II-ის ამ მოღვაწეობას ადასტურებენ დღემდე დაცული მის მიერ განახლებული და მოჭედილი წარწერიანი ხატები.

როგორც ვიცით, დიდმა მიწისძვრამ ოდიშში დაანგრია მრავალი ეკლესია-მონასტერი და ლევან II-მ და მის მიერ განწესებულმა კათალიკოსმა მალაქიამ ფართო მუშაობა ჩაატარეს ეკლესიების განახლება-შეკეთების საქმეში. ამის შესახებ მოგვითხრობს, სხვათა

შორის, 1619 წლის წარწერა ცაიშის ეკლესიის ჯვარცმის ხატზე, რომელიც განუახლებია კათალიკოს მალაქიას: „...ესრეთ იქნა ძრვა დიდი და საკვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელი ერთი და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი და დაირღვივნეს დაბანი. ხოლო საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავიდგან, ვიდრე საფუძვლამდე გალავნით, ყოვლით ნაშენებით მითურთ და დაილეწნეს ყოველნი ხატნი და იარაღნი ეკლესიისანი და არარა დაშთა რა. ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობითა თვისითა და დაეყენა ძრვა იგი, ამისად შემდგომად წელსა მეორესა მყვეს კათალიკოზ აფხაზეთისა და ჩვენ კათალიკოზ პატრიაქმან, ცაიშელ-ჯუმათელმან, ძემან გურიელისა პატრონისა გიორგისამან, პატრონმა მალაქია, მეორედ ხელვყავ აღშენებად ტაძრისა ამის და მკობად ხატთა“ (*ექვ. თაყაიშვილი*, არქ. მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართ. ტ. III, 168-169).

მაგრამ ლევანის ამგვარი ცდები ოდიშის ყოველმხრივ დაწინაურების საქმეში უდღეური აღმოჩნდა, რადგანაც ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას ხელს უშლიდა ოდიშის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც დამყარებული იყო ბატონყმურ ურთიერთობაზე. ამ საზოგადოების სათავეში იდგა ოდიშის მთავარი, რომლის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ: თავადები და აზნაურები. ეს ჯგუფი წარმოადგენდა გაბატონებულ კლასს. შემდეგ იყვნენ დაბალი წოდების ხალხი: მსახურები, გლეხები და მონები (მოინალეები). მთავრის უფლება გადადიოდა მემკვიდრეობით და სამთავროს იგი განაგებდა ვეზირებისა და მოხელეების დახმარებით, როგორიც იყვნენ: ვეზირი, სახლთუხუცესი, მესტუმრეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, და სხვანი.

თავადები ფლობდნენ საკმაოდ დიდ მამულებს, ეჭირათ სამთავროში მაღალი თანამდებობები. ყავდათ ჯარი და ჰქონდათ თავიანთი შემოსავალიც. თავადი კეთილგანწყობილების მიზნით, ცდილობდა მთავართან დამოყვრებას და ამგვარი ნათესაური კავშირი ხელს უწყობდა მათ შორის ერთგულების განმტკიცებას.

თავადებს ემსახურებოდნენ აზნაურები, რომლებიც თან ახლდნენ თავადებს ლაშქრობაში, ნადირობასა და მგზავრობაში.

აზნურებს ემორჩილებოდნენ გლეხები და მოინალეები, რომლებიც წარმოადგენდნენ საზოგადოების დაბალ წოდებას.

ეს წოდება იხდიდა ბეგარას და მის მოვალეობას შეადგენდა

ბატონის ოჯახში სამსახური. ლაშქრობისა და მგზავრობის დროს გლეხი უნდა ხლებოდა თავის ბატონს. მინდვრის მუშაობაში გლეხი ვალდებული იყო თავისი ჯალაბით, იარაღითა და მუშა საქონელით დახმარებოდა ბატონს.

მოინალეებს, ამას გარდა, კიდევ უფრო მძიმე ვალდებულება ემართათ: ბატონისათვის შეშის ზიდვა და ცეცხლის დანთება, ბატონის ბარგისა და სურსათის ზურგით გადაზიდვა, ნება არ ჰქონდათ ცხენზე შემსხდარიყვნენ, ფეხით უნდა ეზიდათ ყოველ-გვარი ტვირთი.

ამ პირად სამსახურთან ერთად, გლეხი ვალდებული იყო ბატონისათვის წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ეჭმია კარგი სადილი, რაც გლეხის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. ამისთვის გლეხს ბატონთან მიჰქონდა: ურმით ღომი, პური, ღვინო, მიჰყავდა ძროხა და ქათმები. ამას გარდა, როდესაც ბატონს სტუმარი მოუვიდოდა, ყმა-გლეხს ძღვენი უნდა მიერთმია: პური, ღვინო, ქათმები, ყველი და ხილი. დღესასწაულებში ბატონისათვის ძღვენის მირთმევა გლეხისათვის სავალდებულო იყო. როცა მოესურვებოდა, ბატონს შეეძლო მისულიყო თავის ყმასთან სადილად ან ვახშმად და ყმა მას კარგად უნდა გამასპინძლებოდა.

გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდა აგრეთვე მაღალი სამღვდელოება: კათალიკოსი და ეპისკოპოსები. ეკლესია ფლობდა დიდ მამულებს და ჰყავდა მრავალი ყმა. ოდიშის სასულიერო წოდების სათავეში იდგა კათალიკოსი, რომელიც თავისი ძლიერებით და ქონებით არ ჩამოუვარდებოდა ოდიშის მთავარს. კათალიკოსს ემორჩილებოდნენ ეპისკოპოსები და დაბალი სამღვდელოება. აფხაზეთის (ოდიშის) საკათალიკოსო, ამასთანავე, სარგებლობდა შეუვალობით (იმუნიტეტით) და ამის გამო, საეკლესიო ყმების გასამართლება და მათგან ხარჯის აკრეფა კათალიკოსის ხელში იყო. ამას მოწმობს 1526-1550 წწ. შედგენილი აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, რომელიც არსებითად შეიცავს საკათალიკოსო ყმების სამართლის იმუნიტეტს, მეფის მიერ დამტკიცებულს.

ეს იადგარი განსაზღვრავს საერთოდ საკათალიკოსო ყმების შეუვალობის უფლებას: „არც ბაჟი და არც გამოსაღები (საკათალიკოსო ყმებს) არას შეცოდებისათვის არა გადახდებოდეს კიდეგან კათალიკოზისა“[1].

---

[1] *სარგის კაკაბაძე*, აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე, წ. II, თბილისი, 1925 წ., გვ. 182.

ლევან II-ის დროს ოდიშში იყო ექვსი საეპისკოპოსო კათედრა: დრანდისა, მოქვისა, ბედიისა, ცაიშისა, წალენჯიხისა და მარტვილისა.

ამ მაღალ სამღვდელოებას ყმურ სამსახურს უწევდა დაბალი სამღვდელოება — „პაპები“ და აგრეთვე საეკლესიო ყმები. ეს ყმები დაბეგრილნი იყვნენ სხვადასხვა საბეგარო გადასახადით და სამსახურით. საცაიშლო გამოსავლის დავთრის მიხედვით, რომელიც შეუდგენიათ კათალიკოს მალაქია ცაიშელ-ხონელ-ჯუმათელის ბრძანებით (1616-1621 წწ.), საეკლესიო ყმის თითოეულ კომლს ყოველწლიურად უნდა გადაეხადა:

„მართებს მარტიშიას გეგებერიას 1 საკლავი, 1 ქათამი მისის მარილითა, 3 ლიეჯი ღომი, 3 ფოხალი ღვინო და გოჭკომური მისის ღომითა, ღვინითა, ხორცითა, თევზითა, ყველითა, კვერცხითა, სამარსლითა, რაიცა იმ დღეს მოუნდებოდეს“-ო[1].

გლეხი ქალი, ნახატი კასტელისა.

ამას გარდა, ბეგარა ემართა ცაიშის საეკლესიო მამულზე გაშენებულ სოფელს: „არის ჯგალის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის ჯუმალი 45 საკლავი, 6 ქათამი, 6 პური, 140 ლიეჯი ღომი, 178 ფოხალი ღვინო, 4 წონა სანთელი და 300 ადლი ტილო“ (იქვე, 45).

ამგვარად, საეკლესიო ყმებიდან ბეგარის სახით, ეკლესიას შემოუდიოდა დიდძალი სურსათ-სანოვაგე და მეფე-მთავრებისაგანაც სულის საცხონებლად ძვირფასი შემოწირულობანი.

მებატონეები განუკითხავად განაგებდნენ თავიანთ ყმების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. მათ შეეძლოთ თვითნებურად ყმა-გლეხის გაყიდვა, დასჯა, გაცვლა

---

[1] *სარგის კაკაბაძე*, საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, ტფილისი, 1913 წ., გვ. 7.

თუ დაგირავება, რაც ნებადართული იყო ბატონყმური კანონით, რომელიც ამბობდა: „ყმისა ყველა ბატონის არის“-ო.

ოდიშის გლეხობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ლევან II-ის დროს *ა. ლამბერტი* მოგვითხრობს შემდეგს:

„აქაური ბატონის უფლება ბევრად აღემატება ჩვენი იტალიელი თავადების უფლებას, რადგან აქაურ ბატონს შეუძლია გაასამართლოს თავისი ყმა და ყმას ნება არა აქვს მის განაჩენზე იჩივლოს თვით მთავრის წინაშეც. ბატონს შეუძლია არამც თუ დაატუსაღოს თავისი ყმა, არამედ აწამოს და სასტიკად დასაჯოს, მაგალითად, მოსჭრას ხელი, ფეხი, ამოსთხაროს თვალები, წაართვას ყოველივე ქონება და მოუსპოს თვით სიცოცხლეც. გარდა ამისა, თუ რომელიმე ყმა უშვილოდ გადავიდა, მისი ყოველივე ქონება რჩება ბატონს. ზოგჯერ, როცა ყმას მარტო ერთი მცირეწლოვანი შვილი რჩება, ბატონი ამ შვილს ჰყიდის ხოლმე თურქეთში და მის მემკვიდრეობას თვითონ დაიჩემებს. ამრიგად, მეგრელების სიმდიდრე ყმების სიმრავლეზეა დამოკიდებული, რადგან ყოველიფერი ამ ყმებისაგან შემოუდით. ამიტომაც ვისაც მეტი ჰყავს, იგი უფრო მდიდრად. მიაჩნიათ, ვისაც ნაკლები ჰყავს, ის ნაკლებ მდიდრად. ვისაც ნაკლები ჰყავს, ის ნაკლებ მდიდარია. ვისაც იმდენი ყმა ჰყავს, რომ ყოველ დღე მოსდის სასმელ-საჭმელი, იგი მეტად მდიდარ კაცად მიაჩნიათო“. (*ლამბერტი*, 28-29).

ასევე ახასიათებს ბატონყმურ ურთიერთობას ოდიშში მოგზაური *შარდენიც*: „მაღალ კლასს, ამბობს იგი, აქ უფლება აქვს თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და ქონებაზე და ისე მოიხმაროს ისინი, როგორც მოეპრიანება: ქალებსა და ბავშვებს ჰყიდის და ფასს თვითონ მოიხმარს. თითოეულ გლეხს მიაქვს ბატონთან განსაზღვრული რაოდენობის ჭირნახული და ღვინო, მიყავს პირუტყვი და სხვა, ასე რომ, მებატონის სიმდიდრე განისაზღვრება ყმების სიმრავლით. თითოეულმა გლეხმა წელიწადში ერთხელ, ან ორ-სამჯერ მაინც უნდა გაუმართოს სადილი მებატონეს. ამის გამო, მაღალი წოდება ერთი ადგილიდან გადადის მეორეში მთელი თავისი ამალით და სადილებით ანადგურებს გლეხის ოჯახსო“ (*Шарден*).

ეს გაბატონებული კლასი, რომელიც ცხოვრობდა საბეგრო გადასახადებით და ტყვეთა ვაჭრობით, მოკლებული იყო მორალურ შეგნებას და ზნეობრივ სიფაქიზეს. ამიტომ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული იყო ძალმომრეობა, მკვლელობა, მრუშობა და სხვა მრავალი ბიწიერება. გაბატონებული კლასის მორა-

ლურ დაქვეითებას ხელს უწყობდა აგრეთვე ოსმალეთისა და ირანის გავლენა. განსაკუთრებით ოსმალეთი ცდილობდა ოდიშის სამთავროს შინაგან გახრწნას და დაცემას, რომ იგი ადვილად ჩაეგდო ხელში.

ოდიშზე უცხოელების ანტიმორალურ გავლენას აღნიშნავს *ა. ლამბერტი* და ამბობს: „ხოლო მათ ყოველიფერს უფუჭებს ზღვა, საიდანაც მრავალი ნაირ-ნაირი ხალხი ადვილად მოდის და ამ ხალხთაგან ითვისებენ მეგრელები ყოველსავე ბიწიერებას. მართლაც, ბერძნებს, სომხებს, თურქებს, რუსებს და აფხაზებს შემოაქვთ აქ უფრო ბევრი ბიწიერება, ვიდრე სავაჭრო საქონელი და მათ იმდენად მოშხამეს ეს ქვეყანა, რომ აქაური ხალხი ადამიანებს როდი ჰგავს, არამედ ჩვენის აზრით, ბიწიერების ბოროტ ნაშიერს. მეგრელებმა შეითვისეს ბერძნებისაგან ვერაგობა, სომხებისაგან — სიცრუე, რუსებისაგან — თავდაუჭერლობა და ლოთობა, აფხაზებისაგან — სისასტიკე და ქურდობა და თვით თურქებისაგან ღალატობა, ისე რომ, ამ სხვა და სხვა ბიწიერებამ სულ გააქრო მეგრელების სათნოებაო“ (*ლამბერტი*, 163).

მართლაც, როგორც ირკვევა, „მცნება სარჯულოს“ შინაარსიდან, რომელიც შედგენილია დადიან-გურიელის შამადავლეს დროს (1470-1474 წწ.), ოდიშში გაბატონებული კლასის მორალურ დაქვეითებას მიულია საშიში ხასიათი. აქ ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა: ცოლის დაგდება, სისხლის აღრევა, მკრეხელობა, ქურდობა, მრუშობა და სხვა[1]. მაგრამ ანტიოქიის პატრიარქის მიქელის ინიციატივით შედგენილი ეს „მცნება სარჯულო“ მიზანს ვერ აღწევდა, რადგან თვით სასულიერო წოდებაც ეწეოდა უზნეო ცხოვრებას. საეკლესიო უწყებაში ამ დროს გამეფებული იყო „სიმონია“ — საეკლესიო თანამდებობა იყიდებოდა ფულზე, გახშირებული იყო მექრთამეობა, მრავალცოლიანობა და სხვა. *ლამბერტის* თქმით, ოდიშის პატრიარქი არასოდეს არავის ეპისკოპოსად არ აკურთხებს, თუ გასამრჯელოდ არ მიიღებს ხუთას-ექვსას სკუდისო (იქვე, 119). მაშინ, როცა ერისკაცებს აკრძალული აქვთ იყოლიონ ერთი ცოლზე მეტი, ეპისკოპოსის ღირსებას ის უპირატესობა აქვს, რომ შეუძლია აშკარად იყოლიოს სამი თუ ოთხი ცოლიო (იქვე, 121).

ოდიშის დიდებულებმა თურქების მიბაძვით დაიწყეს ცოლების დაგდება და ცვლა. ერთმანეთს სტაცებდნენ ცოლებს, ირთავდნენ

---

[1] *სარვის კაკაბაძე*, მცნება სარჯულო, ტფილისი, 1913 წ.

ახლობელ ნათესავებს და ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა დაუსრულებელ შფოთსა და შურისძიებას. თვით ოდიშის მთავრებიც ამ მხრივ, ცუდი მაგალითის მაჩვენებელნი იყვნენ.

ლევან II-მ თავისი მეუღლე, აფხაზთა მთავრის ასული, დაასახიჩრა, მისგან შეძენილი შვილები დაახოცინა და ცოლად შეირთო ბიძის ცოლი ნესტან-დარეჯანი[1]. ასევე იქცეოდნენ სხვა მთავრებიც. ამასთანავე, შურისძიების სისტემად იყო გადაქცეული თვალების დათხრა, დასაჭურისება, ასოთა მოკვეთა და სხვა.

ამ ეკონომიკურ და მორალურ დაკნინებასთან ერთად, ოდიშის სამთავროს ამ პერიოდში აშკარად ეტყობოდა კულტურული დაქვეითებაც. ქართული ეროვნული კულტურა და მწერლობა თანდათანობით იწყებს დასუსტებას. დასავლეთით ოდიში მოწყვეტილი იყო დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ კულტურას. აღმოსავლეთით იმერეთის სამეფოსთან მუდმივი ქიშპობის გამო, ოდიში თანდათანობით შორდებოდა ქართული კულტურის მხარეს ქართლ-კახეთს. სამაგიეროდ, ოსმალეთის გავლენა სამხრეთ-დასავლეთიდან სწრაფი ნაბიჯით იჭრებოდა ოდიშში და სამეგრელოს მაღალი წოდება ოსმალეთის პოლიტიკურ გავლენასთან ერთად, ითვისებდა ოსმალურ ჩვეულებსა და კულტურას. ოდიშის სამთავროს კულტურულ ცენტრებში, როგორიც იყო მარტვილი, ბედია, მოქვი და სხვა სწავლა-განათლების საქმე ჩაფერფლილი ყოფილა. სასულიერო წოდება, რომლის ხელში იყო იმდროინდელი სწავლა-განათლების საქმე, ისე ჩამოქვეითებულა, რომ უმრავლესობას დავიწყებია ქართული ენა და წერა-კითხვა.

ა. ლამბერტის თქმით, მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის თითქმის არავის ესმის ის ქართული წიგნები, რომლებიც დაწერილია მათის ნამდვილის ძველებურის და წმინდა ენითო. ამ ენისაგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური ლათინურიდან განირჩევა. აქ არ თავდება მათი

---

[1] ამის შესახებ ქართველი ელჩი ნიკიფორე უამბობდა მოსკოვის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს:
"И как де он митрополит Никифор поехал из своей земли и государь де его Грузинской Теймураз царь с их Дадианским владетелем с Леонтьем был не в миру за то, что де тот Леонтей зятя своего ослепил, а сестру свою выдал за кизылбашского шаха. Да он же убил дядю своего, отцове родного брата казнил смертью, а жену ево, а свою тетку взял за себя, а свою жену казнил (*Белокуров*, Чтения, 267).

უმეცრება: ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი, ასე რომ, თუ ვინმეს უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლადო (იქვე, 164).

ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამს შარდენიც, რომელიც ამბობს, რომ ოდიშში წირვა სრულდებოდა ძველ ქართულ ენაზე, რომელიც საერთოდ განსხვავდება ხალხის ენისაგანო. აქეთ ორგვარი დამწერლობა, ერთს ხმარობენ სამოქალაქო უწყებაში, მეორეს კი საეკლესიო უწყებაშიო. მღვდლებში მცირე ნაწილს ესმის ეს ენა, ამიტომ ისინი ამას იზეპირებენ და ისე ასრულებენ წირვას. არამც თუ მღვდლებს, ეპისკოპოსებსაც არ ესმით და ვერ კითხულობენ სალმრთო წერილსო. მამაკაცებში წერა-კითხვა მცირე ნაწილმა იცის, წერა-კითხვის მცოდნე ქალები უფრო მეტიაო (*Шарден*, 80).

გაბატონებულ კლასში წერა-კითხვის უცოდინარობა და კულტურული დაქვეითება საერთო მოვლენა იყო იმ დროისათვის. ასეთ უცოდინარობას იჩენდნენ თვით მეფე-მთავრებიც.

იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ (1639-1660 წ.) წერა არ იცოდა და ხელის მოწერას ვერ ახერხებდა.

მაგრამ მიუხედავად ასეთი საერთო კულტურული დაქვეითებისა, ოდიშის სამთავროს არასოდეს გაუწყვეტია კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოსთან. ოდიშის მთავრებს ქართლ-კახეთთან ამასთანავე ჰქონდათ ნათესაური კავშირიც.

საქართველოს მეფეებს დედოფლები ოდიშიდან მიჰყავდათ და ოდიშის მთავრებიც ირთავდნენ ქართლ-კახეთის მეფეთა ასულებს. თვით ლევან II დადიანი კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის შვილის-შვილი იყო. ლევანის და, ცნობილი მწიგნობარი მარიამ დედოფალი, მეუღლე იყო როსტომ მეფისა.

ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ქართული კულტურის ტრადიციების განმტკიცებას ოდიშის სამთავროში, რასაც, სხვათა შორის, მოწმობენ ლევან II-ის დროს ეკლესიებზე და ხატებზე კარგი ქართული ენით შესრულებული წარწერები და აგრეთვე იმ დროს გადაწერილი წიგნების არსებობა.

6. სამეგრელოს სამთავროს არსებობის უკანასკნელი პერიოდი და მისი რუსეთთან შეერთება

სამეგრელოს სამთავროს XVIII საუკუნის ისტორია იწყება ჩიქვანის გვარის გადადიანებით. ამ ახალი დინასტიის მამამთავარი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, იყო კაცია I ჩიქვანი, ძე გიორგი ლიპარტიანისა. ოდიშში თავისი ძალა-უფლების განმტკიცების მიზნით, გიორგი ლიპარტიანი უკავშირდება იმერეთის ძლიერ ფეოდალს გიორგი აბაშიძეს, რომლის დახმარებით ლიპარტიანმა შეძლო ლეჩხუმის ხელახლა დაპყრობა და იქ თავისი ბატონობის დამყარება: „ამ ჟამთა არ ერჩოდნენ რომელიმე ლეჩხუმელნი ლიპარტიანსა და ეკირთებოდნენ ოკრიბასაცა. ესე აუწყა ლიპარტიანმან აბაშიძეს და ვინადგან იყუნენ მეგობარნი მტკიცენი, შეიკრიბა აბაშიძემ იმერნი, შევიდნენ ლეჩხუმს, ურჩნი მოსწვეს, მოსტყვევნეს და დაუმორჩილა ლიპარტიანსა“-ო (*ვახუშტი*, 330-331).

გიორგი ლიპარტიანი ახლა აბაშიძეს უკავშირდება ნათესაურადაც. იგი გაეყარა თავის პირველ მეუღლეს — შვიდი მოწიფული შვილის დედას და შეირთო გიორგი აბაშიძის ასული თამარ, რომელიც იწოდებოდა ოდიშისა და იმერეთის დედოფლად. თვით გიორგი აბაშიძეც დაინტერესებული იყო ლიპარტიანთან ასეთი კავშირით, რადგანაც მას განზრახვა ჰქონდა ლიპარტიანის დახმარებით გამთავრებულიყო იმერეთში. თავის ამ საწადელს გიორგი აბაშიძემ ლიპარტიანის წყალობით მართლაც მიაღწია. ორივე მოკავშირემ გაილაშქრა იმერეთის მეფე მამია III გურიელზე და მოკლეს იგი. გამთავრდა გიორგი აბაშიძე, რომელიც განაგებდა იმერეთს (1701-1707 წწ.) ამის შემდეგ, გიორგი ლიპარტიანი უფრო გაძლიერდა, მან შეძლო ოდიშში შემოსული აფხაზების დამარცხება და განდევნა. გიორგიმ მიიღო აგრეთვე მიქელაძისაგან ჩამორთმეული საჭილაო და სამიქელაო.

ამგვარად, მოკავშირენი თავიანთ ნებაზე ატრიალებდნენ იმერეთის სამეფოს საქმეებს. მაგრამ გიორგი ლიპარტიანს ახლა გამოუჩნდა მეტოქე, მისი ძმა იესე, რომელიც გამაგრდა ლეჩხუმში. შეშინებულმა ლიპარტიანმა იესე და მისი მოკავშირეები გამოდევნა ლეჩხუმიდან და რომ ოდიშში თავისი ბატონობა შეენარჩუნებინა, უფროსი შვილი კაცია I აღიარა დადიანად (1704-1710 წწ.). მეორე შვილს, ბეჟანს ჩააბარა ლეჩხუმი, უმცროს შვილს გაბრიელს, რომელიც ბერად იყო

შემდგარი, მისცა ჭყონდიდლობა, ხოლო თვითონ კი დარჩა ლიპარტიანად ე. ი. სალიპარტიანოს გამგებლად და სადადიანოს უმაღლეს ზედამხედველად: „შემდგომად განვლტო ლიპარტიანსა ძმა თვისი იესე, რომელსა ეპყრა ლეჩხუმი. ამისთჳს შეშინდა ლიპარტიანი, მივიდა ლეჩხუმს, გამოასხნა სანდონი იესესნი და დაადგინა თვისნი და მისცა ძესა თვისსა ბეჟანს ლეჩხუმი და უხუცესსა კაციას დადიანობა და შედეგსა გაბრიელს მონაზონსა ჭყონდიდლობა და თვით ლიპარტიანობდა კეალად და იყენენ მორჩილებასა შინა მისსა ძენი მისნი“ (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრება, 336).

ლიპარტიანის მიერ კაციას ამ გადადიანებაზე მოგვითხრობს აგრეთვე ცაიშის ეკლესიის გულანის წარწერაც: „აღიწერა და შეიმკო წ-ჲ ესე გულანი გ-ი ლიპარტიანის ძისა სარდლის ბატონის კაციასითა და ამას წელსა აკურთხეს დადიანათ და დაულოცეს ჴმალი. ღ-ნ დაუმტკიცოს ლიპარტიანობაჲ სიგრძესა შინა დღეთასა“-ო (*ე. თაყაიშვილი*, ძველი საქარ., ტ. III, გვ. 190). ამას მიჰყვება მისი მეუღლის წარწერა, რომელშიაც იგი მოხსენებულია დადიანების განმაახლებლად.

„...ოიდიშთაჲ, სუანთაჲ და აფხაზეთთა მფლობელისაჲ ბატონის დადიანის ძედ მოსათვლელისაჲ და ახლად ოდიშის დადიანის ძედ განმაახლებლისაჲ, დადიანის ასულის ბატონის დედოფლის მარიამის ბრძანებითა გაკეთდა წ-ჲ ესე გულანი“-ო (იქვე, 191).

ლიპარტიანის გაძლიერებას და გიორგი აბაშიძის გამთავრებას მოჰყვა დიდი შფოთი და არევ-დარევა ლიხთ-იმერეთში. ამას დაერთო დინასტიური შუღლი და ოსმალების ამხედრება გიორგის წინააღმდეგ. მით უმეტეს, გიორგიმ უარი შეუთვალა ისაყ-ფაშას ხარკის გადახდაზე და საჩუქრებსაც არ უგზავნიდა სულთანს. ამის გამო, სულთნის ბრძანებით, გიორგი აბაშიძე გადააყენეს და იმერეთის მეფედ დანიშნეს ალექსანდრე IV-ის ძე გიორგი VI, რომელიც ახალციხეში იზრდებოდა. იმერეთში გამოგზავნილ იქნა ჯარი შვიდი წლის ვადით, სანამ ცხოვრება იმერეთში დამშვიდდებოდა და ახალ დაყენებული მეფის უფლება განმტკიცდებოდა. ისაყ-ფაშას ჯარი შემოვიდა იმერეთსა და ოდიშში და მათ დაიკავეს ყველა სიმაგრე, ზოგი ციხე დანგრიეს და გიორგი VI გაამეფეს. მართალია, გიორგი VI-ს ზურგი გამაგრებული ჰქონდა ოსმალების ჯარით, მაგრამ მას უხდებოდა გამუდმებით ბრძოლა დადიანის, რაჭის ერისთავებისა და აბაშიძის გვარის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი საერისთაოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

გიორგი ლიპარტიანიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში, მაგრამ გიორგი აბაშიძის დამარცხების შემდეგ, მას მოაკლდა ძლიერი მოკავშირე. ამით ისარგებლეს ლიპარტიანის შვილებმა და ახლა მათ განიზრახეს თავიანთი მამის, გიორგი ლიპარტიანის ბატონობის თავიდან მოშორება. ამ მიზნით, კაცია და ბეჟანი მიემხრნენ გიორგი VI-ს და მას სთხოვეს ოდიშში გალაშქრება და იქიდან გიორგი ლიპარტიანის გაძევება. მეფე გიორგიმ მართლაც გაილაშქრა ლიპარტიანის წინააღმდეგ. ლიპარტიანმა ვერ შეძლო შებრძოლება და გაიქცა აფხაზეთში. მეფემ ოდიშის დადიანად დასვა კაცია I, რომელიც ჩქარა გარდაიცვალა. მაშინ გიორგი ლიპარტიანმა ისევე დაიპყრო ოდიში, შეუკავშირდა გურიელს და დაიწყო ბრძოლა თავისი ძალაუფლების აღსადგენად. 1711 წელს გიორგი VI, რომელიც ებრძოდა იმერეთის ფეოდალებს, იძულებული ხდება შეურიგდეს ლიპარტიანს, რომლის დახმარებით, მან შეძლო რაჭის დაპყრობა. მაგრამ ლიპარტიანი ისევ განუდგება მეფეს, იგი უკავშირდება რაჭის ერისთავს, გურიელს და ლეჩხუმის მებატონეებს და მათ ჩამოაგდეს გიორგი მეფე. მაგრამ გიორგიმ ოსმალების დახმარებით, ისევ მოახერხა იმერეთში გამეფება, რასაც მოჰყვა საშინელი შურისძიებით მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორება. ამ შინაური აშლილობით ახლა ისარგებლა გიორგი ლიპარტიანის შვილმა ბეჟანმა და სთხოვა გიორგი VI-ს მისი მამის ლიპარტიანის ოდიშიდან გაძევება და შეაძლია მას ქრთამი, რომ დადიანობა მისთვის ებოძებინა. ანგარების მოყვარული გიორგი მეფე ამაზე დათანხმდა, გაილაშქრა ოდიშში, საიდანაც ლიპარტიანი გაიქცა და დადიანად ახლა დაჯდა ბეჟანი (1715-1728 წწ.).

მაგრამ გიორგი ლიპარტიანი იარაღს მაინც არ ჰყრიდა, იგი ახლა ებრძოდა თავის შვილს ბეჟანს, რომ მისთვის წაერთმია დადიანობა. მაშინ ბეჟანმა კათალიკოს გრიგოლის დახმარებით, მოახერხა თავისი მამის ლიპარტიანის მოტყუებით ხელში ჩაგდება, ჩასვა იგი ციხეში, სადაც ლიპარტიანი გარდაიცვალა.

ოდიშის ამ შინაურ განხეთქილებით და აშლილობით განიზრახეს ესარგებლათ აფხაზებს, რათა ხელში ჩაეგდოთ ოდიშის ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი. აფხაზეთის მთავარმა ზეგნაყ შერვაშიძემ და მისმა შვილებმა შეძლეს ოდიშის საკმაოდ დიდი ტერიტორიის დაპყრობა, მდინარე კოდორიდან, რომელიც ითვლებოდა ოდიშისა და აფხაზეთის საზღვრად, მდინარე ენგურამდის. ზეგნაყის შვილებმა ეს ტერიტორია დაინაწილეს, მათში ჯიქეშია

შერვაშიძე ფლობდა მთელს მხარეს მდ. კოდორსა და ეგრისს (მდ. ღალიძგა) შორის რასაც ახლა ეწოდება აბჟუა, ანუ შუა ქვეყანა. მისმა უმცროსმა ძმამ ყვაპუმ დაიპყრო მხარე ეგრისსა და ენგურს შორის, რომელიც შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო მისმა შვილმა მურზაყანმა და ამ მხარესაც ეწოდა სამურზაყანო[1].

გიორგი ლიპარტიანი. მარტვილის ტაძრის
კედლის მხატვრობა

[1] *ს. კაკაბაძე* საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფილისი, 1902 წ., გვ. 65-66.

ოდიშისა და იმერეთის სამეფოს ამგვარ აშლილობას ბოლო არ ელებოდა. ამით ისარგებლეს ისევ ოსმალებმა და იმერეთში ჯარით შემოვიდა ისაყ ფაშა, რომელმაც დროებით მაინც შეძლო წესრიგის დამყარება.

ისაყ-ფაშამ იმერეთის მეფედ დასვა ალექსანდრე V (1721-1752 წწ.) და მას მზრუნველად დაუნიშნა ბეჟან დადიანი. ალექსანდრემ ცოლად შეირთო ბეჟანის ასული მარიამი, რომელიც თავის მამასთან ბეჟანთან შეთანხმებით, ფაქტიურად განაგებდა იმერეთის სამეფოს. დადიანის ასეთი გაძლიერება არ მოსწონდა რაჭის ერისთავს შოშიტას და მან იმერეთის ფეოდალების დახმარებით, ბრძოლა დაიწყო მეფესთან. მეფე-ერისთავების მიერ ერთმანეთის დალაშქვრითა და ქვეყნის ასეთი გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობდნენ ოსმალნი. მათ ჩააყენეს თავიანთი ჯარი სოხუმში, ხოლო 1725 წ. ააშენეს ფოთის ციხე და იქ დააყენეს ფაშა. დაანგრიეს ოდიშის მთავარი სიმაგრე რუხის ციხე და ააშენეს ანაკლიის ციხე, რომელსაც ეწოდა რედუთ-კალე: „გამოვიდნენ ოსმალნი ფოთს, აღაშენეს ციხე და დასვეს ფაშა და კვალად ქმნეს ოდიშს ორნი ციხენი სხვანი. შემუსრეს რუხის ციხე სრულიად და ნარღვევითა მისითა აღაშენეს უმჯობესად ანაკრია და ფაშასა ფოთისასა მიათვალეს სრულიად ზღვის პირნი“-ო (*ვახუშტი*, საქარ. ცხოვრ., 351).

იმერეთში ოსმალებს ეჭირათ ქუთაისის, შორაპნის, ბაღდადის და სხვა ციხეები. ოსმალები ხელს უწყობდნენ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვას, შინაურ შფოთსა და ინტრიგებს. ამის გამო უთანხმობა მეფე-მთავართა შორის უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ალექსანდრე მეფე ახლა ოსმალების დახმარებით ცდილობდა ურჩი ფეოდალებისა და მთავრების დამორჩილებას. მეფის ასეთ განზრახვას აუმხედრდნენ დადიანი, რაჭის ერისთავი და აბაშიძეები, რომლებიც ჩვეულებრივი მზაკვრობით წინანდებურად განაგრძობდნენ ფარულ ბრძოლას მეფესთან. მათ შორის ყველზე საშიში მეტოქე იყო ბეჟან II დადიანი, რომელიც ისაყ-ფაშას განზრახვით მოკლულ იქმნა, ხოლო მისმა შვილმა ოტიამ მოასწრო გაქცევა. ოსმალები მას გამოუდგნენ, დალაშქრეს ოდიში, მაგრამ ოტიამ მაინც შეძლო თავისი სამთავროს დაბრუნება და გადადიანება. ოტიაც (1728-1764 წწ.) აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმერეთის შინაურ ბრძოლებში, მით უმეტეს, მას საფრთხე მოელოდა იმერეთის მეფე ალექსანდრე V-საგან, რომელიც მოითხოვდა მისგან ლეჩხუმის დათმობას. როდესაც 1733 წელს ოსმალების ფაშა შემოვიდა ფოთში იმ განზრახვით, რომ

დაეპყრო შავი ზღვის ნაპირები აზოვამდის, ალექსანდრე მეფე დადიანის მტრობით ოსმალებს შეუერთდა.

ოსმალების და იმერლების ჯარმა სამეგრელო დაარბიეს. გაძარცვეს ილორის ეკლესია და მთელი ეს მხარე აიკლეს. აქედან მოკავშირენი გადავიდნენ აფხაზეთში და ისიც დაიმორჩილეს.

ამის შემდეგ უფრო გამწვავდა ურთიერთობა დადიანსა და ალექსანდრე მეფეს შორის. დადიანმა გადაწყვიტა ალექსანდრეს მოკვლა და მისი ტახტიდან გადაგდება. ამ მიზნით, დადიანი უკავშირდება რაჭის ერისთავსა და ზურაბ აბაშიძეს და მათ მოაწყვეს შეთქმულება მეფის წინააღმდეგ. მაგრამ ალექსანდრემ ყველაფერი ეს დროზე შეიტყო, დაეცა მათ ჩიხორთან 1734 წელს და დაამარცხა. სამაგიეროდ, 1741 წელს დადიანი თავისი მოკავშირეებით დაეცა იმერეთს. დასწვა მეფის სამყოფი ვარდციხე და ააოხრა მთელი ეს მხარე. ამას მოჰყვა ისევ ოსმალების ჩარევა იმერეთის საქმეებში. ისაყ-ფაშამ გამოგზავნა ჯარი. დასავლეთი საქართველო ამ ხანებში მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილები ოსმალების ჯარს ეჭირა და ოდიშ-იმერეთი თითქმის ოკუპირებული იყო ოსმალების მიერ. ასეთ მძიმე პოლიტიკურ პირობებში დადიანი და იმერეთის მეფე ერთმანეთს ებრძოდნენ, ხშირად ოსმალებსაც იშველიებდნენ და ამგვარად, თვითონვე ხელს უწყობდნენ უცხო ძალის გაბატონებას დასავლეთ საქართველოში.

ოტიას გარდაცვალების შემდეგ, ოდიშში გადადიანდა კაცია II (1764-1788 წწ.), რომელიც თანამედროვე იყო იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა (1752-1784 წწ.). კაციას დროს იმერეთის მეფესთან ურთიერთობამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სოლომონ I განსხვავდებოდა იმერეთის წინანდელი მეფეებისაგან თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით, მომზადებით და საქმიანობით. სოლომონ I-ს მიზნად ჰქონდა დასახული იმერეთის სამეფოს გაერთიანება და ოსმალების ბატონობისაგან მისი გათავისუფლება. მაგრამ ამისათვის, პირველყოვლისა, საჭირო იყო ურჩი ფეოდალებისა და მთავრების დამორჩილება. სოლომონი ჩქარა შეუდგა თავისი პოლიტიკური ამოცანის განხორციელებას. თავდაპირველად იგი დაუკავშირდა დადიანს და შეირთო კაციას და მარიამი. დადიანთან დაკავშირების შემდეგ, სოლომონმა შეძლო ტყვეთა სყიდვის აკრძალვა, რამაც გამოიწვია ოსმალების გამოლაშქრება იმერეთზე. ოსმალებს მიემხრნენ რაჭის ერისთავი და აბაშიძეები. მაგრამ სოლომონმა და კაცია დადიანმა

ისინი. დაამარცხეს ხრესილის ბრძოლაში 1757 წელს. სოლომონი ჩქარა ისევ მოურიგდა ოსმალებს და ახლა იგი შეუდგა მეამბოხეების დამორჩილების თადარიგს, პირველ ყოვლისა, რაჭის საერისთავოს გაუქმებას. 1769 წელს სოლომონმა დაიპყრო რაჭა. რაჭის ერისთავს როსტომს თვალები დათხარეს.

ამის შემდეგ სოლომონის ხელში იყო მთელი იმერეთი და იგი თანდათანობით ძლიერდებოდა. რაჭის საერისთავოს გაუქმებამ დააფრთხო დადიანი, რომელსაც ეშინოდა, რომ სოლომონს ახლა არ დაეპყრო ოდიშისა და გურიის სამთავროები. ამის გამო, დადიანსა და მეფე სოლომონს შორის ურთიერთობა შეიცვალა და მან ბოლოს მწვავე ხასიათი მიიღო. ოდიშის მთავარი კაცია დადიანი არ ცნობდა იმერეთის მეფის უპირატესობას. იგი ისევ ძველ გზას ადგა და იბრძოდა ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობისათვის. ამგვარი შიშის გამო, დადიანმა ოდიშის ეკლესიაც გამოჰყო იმერეთისაგან და დააარსა ცალკე ოდიშის საკათალიკოსო, რომელსაც მართავდა კათალიკოსი ბესარიონი. ორივე მოწინააღმდეგე ცდილობდა ამ ბრძოლაში თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ როგორც ოსმალეთი, ისე რუსეთიც.

სოლომონი დადიანს თავის ქვეშევრდომად თვლიდა და კაციას ყოველმხრივ ხელს უშლიდა რუსეთთან დაეჭირა უშუალო ურთიერთობა. რუსეთის მთავრობა ამ დროს ოსმალეთთან საომრად ემზადებოდა და იგი დაინტერესებული იყო ამ ბრძოლაში ჩაება სამეგრელოს მთავარი კაცია და იმერეთის მეფე სოლომონი. ამათ გარეშე ძნელი იყო შავი ზღვის სანაპიროებიდან ოსმალების განდევნა და იქ რუსეთის ბატონობის განმტკიცება. ამიტომ, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა დადიანთან ეწარმოებინა ცალკე მოლაპარაკება. დადიანსაც ეს სურდა. მხოლოდ სოლომონ I იმერეთის მეფე უკმაყოფილო იყო რუსეთის ასეთი პოლიტიკით, რადგანაც სოლომონი ოდიშის სამთავროს თავის ქვეშევრდომად სთვლიდა და იგი რუსეთისაგან მოითხოვდა ამ ფაქტის ცნობას და ოდიშის მისთვის დამორჩილებას. ამიტომ სოლომონი გზას არ აძლევდა დადიანს რუსეთში თავისი ელჩების და წერილების გასაგზავნად, რის შესახებ დადიანი უჩიოდა სოლომონს რუსეთის ხელმწიფესთან. ამის შესახებ 1769 წლის რესკრიპტში, ასტრახანის გუბერნატორ გენერალ-მაიორ ბეკეტოვისადმი, ნათქვამია: „რომ სამეგრელოსა და თაკვერის მთავრისაგან კაცია დადიანისაგან მიღებულია წერილი, რომელშიც იგი გვპირდება დახმარებას ოსმალებთან ბრძოლაში.

იგი გვარწმუნებს, რომ მისი სამთავრო უშუალოდ მდებარეობს შავი ზღვის პირას და მას შეუძლია ფართო დივერსიების წარმოება ოსმალების წინააღმდეგ. ამ საქმის შესახებ მას განზრახული აქვს გამოგზავნოს ჩვენთან თავისი ელჩი."

ამავე დროს, გენერალ-მაიორმა პოტაპოვმა ყიზლარიდან გაგზავნა მოხსენება, რომელშიაც სწერს, რომ „იმერეთის მეფე სოლომონი მოითხოვს დადიანისა და სამეგრელოს სამთავროს მისთვის დამორჩილებას, აგრეთვე დადიანის ელჩები და წერილები არ იყოს მიღებული ხელმწიფის კარზეო. მაგრამ, ამასთანავე, იმერეთის მეფე სოლომონი ოსმალებთან ბრძოლაში მონაწილეობას არ გვპირდება, სამეგრელოს მთავარი კი თვითონ მოგვმართავს გაგვიწიოს დახმარება. ამასთანავე, სამეგრელოს სამთავრო თავისი ადგილმდებარეობით შავი ზღვის სანაპიროზეა. მას შეუძლია ჩვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა, რის გამოც, სასურველია ამ მთავრის კეთილგანწყობის მოპოვება და განმტკიცება. ამიტომ მისგან გამოგზავნილი პირები დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ ხელმწიფის კარზე დაშვებულიო. გევალებათ მისწეროთ ყიზლარში, რომ თუ სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის გამოგზავნილი კაცი მოვა და მოითხოვს ხელმწიფის კარზე გაშვების ნებართვას, მაშინვე დაუყოვნებლივ გაატარეთო"[1].

1768 წლის დასასრულს გამოცხადდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ახლა რუსეთის მთავრობა უფრო დაინტერესდა საქართველოს მეფე-მთავრების ამ ომში მონაწილეობის საკითხით და დაიწყო აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკების წარმოება. თვითმპყრობელური რუსეთი ეძებდა გასავალს შავ ზღვაზე და ამიტომ მისთვის აუცილებელი იყო შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობა და იქიდან ოსმალების განდევნა.

საქართველოს მეფე-მთავრებიც დაინტერესებული იყვნენ ესარგებლათ ამ შემთხვევით და თავიდან მოეშორებინათ ოსმალეთის ბატონობა. წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ, გადაწყდა, რომ ოსმალებთან ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მეფე ერეკლე II-ს, სოლომონ I-ს, კაცია დადიანს და გურიელს. მათ დასახმარებლად რუსეთი საქართველოში აგზავნიდა ჯარს გრაფ ტოტლებენის მეთაურობით.

---

[1] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 год, под редакцией *А. А. Цагарели*, СПБ. 1891 г., стр. 66-68.

1770 წელს ჩვენში შემოდის ტოტლებენი რუსის ჯარით და საქართველოს მეფე-მთავრებიც შეუდგნენ ლაშქრობის თადარიგს. მაგრამ სამხედრო ოპერაციები ოსმალების წინააღმდეგ კარგად ვერ მიდიოდა, რადგანაც მოკავშირეთა შორის უთანხმოება არსებობდა. გენერალი ტოტლებენი მოქმედებდა თვითმპყრობელური რუსეთის ინტერესების მიხედვით და მას სრულებით არ აინტერესებდა საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების საქმე. ერეკლე II-ს სურდა ამ მომენტით ესარგებლა და ოსმალებისათვის წაერთმია მესხეთ-ჯავახეთი. სოლომონ I ცდილობდა რუსის ჯარის დახმარებით იმერეთიდან ოსმალების განდევნას და აგრეთვე დადიანისა და გურიელის დამორჩილებას. დადიანი კაცია კი პირიქით, რუსის ჯარის შემწეობით ფიქრობდა იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ყველა ამ მიზეზის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა ერთიანი სამხედრო ოპერაციების წარმოება ოსმალების წინააღმდეგ. მოსახერხებელი იყო მხოლოდ კერძო ხასიათის სამხედრო მოქმედების წარმოება განსაზღვრული მიმართულებით.

ამიტომ რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებული იყო მოერიგებინა სოლომონი და კაცია დადიანი[1], რაც სხვათა შორის,

---

[1] კაცია II დადიანი იყო ერეკლე მეფის სიძე. მას ცოლად პავდა თეიმურაზ II-ის ასული ელისაბედი, რომელიც დასაფლავებული ყოფილა ცაგერის (ლეჩხუმი) ეკლესიის ეგვტერში. ცაგერის მუზეუმში დაცულია ამ ელისაბედ დედოფლის ოქრომკედით ნაკერი ლოდის საბურველი, რომელზედაც შუაში მთელის ტანით ამოქარგულია დედოფლის სამოსელში ელისაბედის პორტრეტი გარშემო ასეთი წარწერით: „ქ: იგურდივ მორთხმული სიცოცხლის აღმწბის საკმილთა საქართველოს მეფის ცხებულის თეიმურაზის თანამეცხედრე. დედოფალი ანასანუმ: ვიწყებ მსმენელნო მოთხრობად თქვენდა. რომელ მომცა საწუთრომა ურიცხვი ბედ კეთილობა სიმდიდრე და დიდებანი ზეგარდამატა უფროს ნილოსისა. მასსა მაშენა ედემსა მაუკვდებრივსა. ველსა მას საწადილოსა. მიორძა ნერგი მულღაზარით: ვარჯოვანი. აღმწყაზრებით ნაწვართი. ჩემდა სიცოცხლედ სულად ქონებული და მჭვრეტთა განსაკვირეო. ოდიშლეჩხუმთა დედოფალი. თანამეცხედრე კაცია დადიანისა. სახელმზიანი ელისაბედ. დედისა გულთა განმცხომი: მაგრა იჩქითად შემახო ბრჭყალი საწუთრომა. თვისი თვისდადვე უკუნხლვად მიმიღო დიდება და სიმდიდრე ჩემი. განმილამა გუგათა თვალთა ნათელი. და ესდენთა სიხარულითა და ძვრიფასთა უნჯთაგან. ცალიერად მიტევა მწყადარი უსულო: დედა მტყებარე შვილსა ზედა სასურველსა. რომელი ესე ძნელ ბედმა მმობელმან მისგან მზისა ჩემისა სახისა წილ აჩრდილი ესე მის უბროსა სახისა ვიმუშაკ. მის კიპაროზისა ტანისა მარლვის სამარისა ლოდისა საბურველად და შვენიერებად. მხილველნო და მსმენელნო ვაებით და სიწყალულით მოგვიგონებდეთ მშობელსა მშობილითურთ. თვესა აგვისტოსა ქკს უნც ქეს აქეთ ჩლო". (=1770 წ.).

ეს ტექსტი მოყვანილია სრულად *სარა ბარნაველის* წერილშიც „ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი" (იხ. საქარ. მუზეუმის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1940 წ., გვ. 208).

დავალებული ჰქონია მეფე ერეკლე II-ს, რომელიც გრაფ *ნ. ი. პანინს* სწერდა: „უმაღლესის ბრძანებით მე და ტოტლებენს დავალებული გვაქვს ოსმალეთის წინააღმდეგ აქაური ქრისტიანების ამხედრება და იმერეთის მეფის სოლომონისა და კაცია დადიანის შერიგება. მეორე წელიწადია, რაც ჩვენ ვცდილობთ მათ შერიგებას, მაგრამ სოლომონს ეს არ სურს და იგი დადიანისაგან მოითხოვს დაუთმოს მას ზოგიერთი ადგილი და მიიღოს მისი მორჩილება. წარსულ წელს მისი უმაღლესობის ბრძანების თანახმად, დადიანს განზრახვა ჰქონდა ჩვენთან გადმოსულიყო და ხელმწიფის კარზე გაეგზავნა თავისი ძმა, მაგრამ სოლომონმა მას გზა შეუკრა და ამის ნება არ მისცა. ახლა არც ჩვენ კაცებსა და წერილებს უშვებს დადიანთანო"-ო (იქვე, 457, ტ. II, გვ. 43).

1770 წელს ტოტლებენმა ერეკლე მეორე თვითნებურად დატოვა ასპინძასთან და გადავიდა იმერეთში, სადაც სოლომონს გაცხარებული ბრძოლა ჰქონდა ოსმალებთან. ტოტლებენის დახმარებით, სოლომონმა შეძლო იმერეთიდან გაედევნა ოსმალები. რუსის ჯარი დაედევნა ოსმალებს, გადავიდა ოდიშში და ტოტლებენმა ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს, სადაც გამაგრებული იყო ოსმალების ჯარი. კაცია დადიანი, წინათ სოლომონის მტრობით ოსმალებს ეხმარებოდა[1] იმერეთთან ბრძოლაში. ახლა, მან რომ დაინახა ტოტლებენის გამარჯვება და მის მიერ ფოთის გარემოცვა, შეუერთდა ტოტლებენს და გადავიდა ოსმალების შეტევაზე. რუსის ჯარმა დაიჭირა რუხისა და ანაკლიის ციხეები და ამგვარად, სამეგრელოს ზღვის სანაპიროები გათავისუფლდა ოსმალეთის ჯარისაგან.

მაგრამ ოსმალებთან ბრძოლაში ფართო ოპერაციების წარმოება ტოტლებენმა მაინც ვერ შეძლო. მაშინ ტოტლებენის ნაცვლად, რუსის ჯარის უფროსად დაინიშნა გენერალი სუხოტინი. იგი 1771 წელს ჩამოვიდა სამეგრელოში და განაახლა ფოთის ციხის გარემოცვა. მაგრამ სასტიკი ციებ-ცხელების გამო, რამაც დიდად დაუზარალა ფოთში მდგარი რუსის ჯარი, სუხოტინმა ფოთის ციხე ვერ აიღო, ალყა მოხსნა და 1772 წელს სუხოტინი გაიწვიეს უკანვე რუსეთში.

---

[1] კაციასა და სოლომონს შორის მტრულ განწყობილებას აღნიშნავს ავრეთვე აკად. *ი. ა. გულდენშტედტი*, რომელიც ამბობს, რომ კაცია რუსეთის ჯარის შემოსვლისას მიემხრო რუსეთს, მაგრამ, ამავე დროს, იგი მხილებულ იქმნა ოსმალებთან საიდუმლო მოლაპარაკებაშიო (იხ. Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа из путешествия г-на академика И. А. Гилденштедта через Россию и по Кавказским горам, в 1770-73 годах, глава II, о Мингрелии, СПБ, 1809 г.

ოსმალების იმერეთიდან განდევნის შემდეგ, სოლომონი ცდილობდა დადიანისა და გურიელის დამორჩილებას. 1771 წელს სოლომონმა გაილაშქრა გურიელის წინააღმდეგ, დაიმორჩილა იგი და ფიციც მიაღებინა გურიელისთავის ერთგულებაზე. ახლა სოლომონი ემუქრებოდა დადიანს. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა მათ შერიგებას, მაგრამ სოლომონი უარზე იდგა და რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ თავის წერილში იგი ამტკიცებდა, რომ ვიღაც კაცია ჩიქვანს უკანონოდ მიუთვისებია დადიანობა და ჩვენი კუთვნილი ლეჩხუმიო და როგორც ძველად ჩვენი მორჩილი ყოფილა დადიანი, ახლაც ისე უნდა დარჩესო (Грамоты, т. II, вып. 1. 69-70).

დადიანისა და სოლომონის შეურიგებლობაზე კაპიტანი იაზიკოვი თავის 1771 წლის რაპორტში ნ. ი. პანინისადმი სწერდა: „მეფე სოლომონისა და თავად დადიანის შერიგება შეუძლებელია, თუმცა მეფე სოლომონი დადიანის სიძეა, მაგრამ ისინი ერთმანეთის ვერაგი მტრები არიან. მე რომ არ გამეფრთხილებინა, ამბობს იგი, იმპერატორის სახელით, სოლომონი აუცილებლად თავად დადიანს გაანადგურებდა, ვინაიდან ახლა სოლომონი გაძლიერდა და მთელი იმერეთი იმის ხელშიაო“ (Грамоты, т. I, 295).

სოლომონის შიშით, ახლა კაცია დადიანი ცდილობს მიიღოს რუსეთის მფარველობა და იგი თავის წერილში ეკატერინე II-ს არწმუნებს ერთგულებაში და სამსახურისათვის მზადყოფნას. მხოლოდ, ამბობს კაცია, მე მყავს ისეთი მტერი, როგორც სოლომონ მეფეა, რომელიც თქვენთან არ მიშვებს და გზასაც არ მაძლევს. სამსახური და ერთგულება ჩვენზე იყოს, გთხოვთ არ ერწმუნოთ ჩვენი მტრის სიტყვასო. კიდევ მეორეს მოგახსენებთ — გვიწყალობოთ პოლკოვნიკის ჩინიო“ (Грамоты, т. I, 300).

ერთი სიტყვით, ამ მიმოწერიდან ირკვევა, თუ როგორ ქიშპობდნენ ერთმანეთში რუსეთის ხელმწიფის კარზე სოლომონ მეფე და კაცია დადიანი თავიანთ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ თვითმპყრობელური რუსეთი სრულებით არ იყო დაინტერესებული მათი ამ უსაფუძვლო ძიების საკითხით. წინააღმდეგ, რუსეთი ცდილობდა ორივეს ერთმანეთზე გადაკიდებით მათ დასუსტებას და შემდეგ ორივეს ხელში ადვილად ჩაგდებას.

თავისი ეს მუხანათური პოლიტიკა მეფის რუსეთმა ჩქარა გამოამჟღავნა ხელშეკრულებაში. ამ ხელშეკრულებით იმერეთის სამეფო და ოდიშის სამთავრო მან აღიარა ოსმალეთის ქვეშევრდო-

მად და პირობაც დასდო, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა იმერეთის პოლიტიკურ საქმეებში. მხოლოდ ოსმალეთი ვალდებული იყო ადგილობრივი მმართველობა დაეტოვებინა უცვლელად. ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდადის ციხეები ამ ხელშეკრულებით ისევ ოსმალეთს გადაეცა (Грамоты, т. I, 413).

ამგვარად, რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩარევამ იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს ვერ მოუტანა დადებითი პოლიტიკური შედეგები. წინაალმდეგ ამისა, ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატით, ოდიში და იმერეთი მათდა უნებურად და დაუკითხავად, თვითმპრობელურმა რუსეთმა ოსმალეთს გადაუბოძა და ამით მისცა მას იმერეთზე და გურია-ოდიშზე გაბატონების იურიდიული სანქცია. ამის შემდეგ რუსეთზე იმედგაცრუებული სოლომონ I და კაცია დადიანი იძულებული შეიქნენ დამორჩილებოდნენ ამ ძალდატანებით აქტს, რომელზედაც ხელი მოაწერა რუსეთის თვითმპყრობელობამ. რუსეთთან კავშირის გამო, ოსმალეთი ახლა ორივეს ეჭვის თვალით უცქეროდა და უფრო მტრულად ეკიდებოდა.

ამის გამო, სოლომონ I და კაცია დადიანი იძულებული იყვნენ საერთო თავდაცვის მიზნით, შეენელებინათ ერთმანეთში მტრული განწყობილება და ეზრუნათ თავიანთი სამშობლოს შენარჩუნებისათვის. მით უმეტეს, რომ ამ დროს ოსმალების წაქეზებით და დახმარებით აფხაზებმა დაიწყეს ოდიშზე თავდასხმა. ამის გამო, კაცია დადიანი შეურიგდა სოლომონ მეფეს, მიიღო მისი მფარველობა და სთხოვა დახმარება. 1780 წელს ზურაბ შერვაშიძე 11.000 კაცით მოადგა მდინარე ენგურს. კაციას დასახმარებლად დიდი ჯარით წამოვიდა მეფე სოლომონი. ბრძოლა მოხდა 1780 წელს რუხის ციხესთან, სადაც გაიმარჯვეს მოკავშირეებმა და კაცია დადიანი დიდი ნადავლით დაბრუნდა.

რუხთან გამარჯვებამ შეაჩერა შერვაშიძეების თავდასხმა სამეგრელოზე და, ამავე დროს, დაამყარა მეგობრული ურთიერთობა დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის. საჭირო იყო გაერთიანებული ძალით ოსმალების შემოტევის შეჩერება. ოსმალებმა სოხუმი დაიპყრეს, აფხაზეთის მთავრად დასვეს თავიანთი მომხრე ქელაიშ-ბეგ შერვაშიძე, რომელსაც სულთნისაგან დაენიშნა წლიური ჯამაგირი.

1774 წელს ოსმალებმა ქობულეთიც დაიჭირეს და ამგვარად ისინი თანდათანობით უახლოვდებოდნენ იმერეთ-ოდიშის საზღვრებს. ასეთ რთულ პოლიტიკურ პირობებში გარდაიცვალა 1781 წელს სოლომონ მეფე და 1788 წელს კაცია დადიანი.

სამეგრელოს მთავრად დაჯდა კაციას შვილი გრიგოლი (1788-1804 წწ.), რომლის წინააღმდეგ იმერეთის მეფეებმა ჯერ დავით II-მ (1784-1789 წწ.) და შემდეგ სოლომონ II-მ (1789 – 1810 წწ.) კვლავ განაახლეს ბრძოლა სამეგრელოს სამთავროს დამორჩილებისა და ლეჩხუმის ხელში ჩაგდების მიზნით, მათ განზრახვა ჰქონდათ გადაეგდოთ გრიგოლი და დადიანად დაესვათ მისი ძმა მანუჩარი, რომელიც იმერეთის მეფეს პირდებოდა ერთგულ სამსახურს. ამას მოჰყვა იმერეთის მეფის მიერ ოდიშის დალაშქვრა. დამარცხებული გრიგოლ დადიანი იძულებული გახდა გახიზნულიყო ლეჩხუმში, საიდანაც იგი ებრძოდა თავის ძმას მანუჩარს და სოლომონ II-ს, რათა დაებრუნებინა თავისი სამთავრო. ბოლოს გრიგოლი გადავიდა ახალციხეში და ოსმალებს დახმარებას სთხოვდა, მაგრამ აქ ის ვერას გახდა[1]. მაშინ გრიგოლმა მიმართა ერეკლე II-ს (1745-1798 წწ.), რომელმაც იკისრა შუამდგომლობა გრიგოლსა და სოლომონ II-ს შორის, რომ მათ მოესპოთ ერთმანეთში შუღლი და მტრობა და სადაო საქმეები მოეგვარებინათ მშვიდობიანი გზით. მაგრამ სოლომონ II გადაჭრით უარზე იდგა, რომ გრიგოლისათვის დაებრუნებინა სამეგრელოს სამთავრო. ბოლოს გრიგოლმა თავისი ბიძის გიორგი დადიანისა და ლეჩხუმის სარდალ-მოურავის ქაიხოსრო გელოვანის დახმარებით, შეძლო გადასულიყო სამეგრელოში, სადაც ის გამაგრდა ნოღას ციხეში. სოლომონ II-მ და მანუჩარ დადიანმა ალყა შემოარტყეს ნოღას ციხეს, მაგრამ ციხის აღება ვერ შეძლეს. მაშინ მეფე იძულებული შეიქმნა საქმე მორიგებით დაებოლოებინა. გრიგოლმა მიიღო დადიანობა, მანუჩარს კი მიეცა სალიპარტიანო (1799 წ.). ეს ზავიც არ იყო ხანგრძლივი და ამ დროებითი შერიგების შემდეგაც დადიანსა და სოლომონ II-ს შორის ფარული ბრძოლა ისევ გრძელდებოდა მით უმეტეს, რომ ამ დროს საქართველოში ადგილი ჰქონდა ისეთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც იყო 1801 წლის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ, რამაც რადიკალურად შეცვალა არსებული მდგომარეობა.

აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთების შემდეგ, თვითმპყრობელური რუსეთი ახლა შეუდგა დასავლეთ საქართველოს ხელში ჩაგდების თადარიგს. ეს საქმე მინდობილი ჰქონდა მთავარ-

---

[1] Brosset, Hist. de la Georgie, II, 2 livr, გვ. 275-285.

მართებელ ციციანოვს, რომელიც ენერგიულად შეუდგა ამის განხორციელებას. რუსეთისათვის ამას ეძლეოდა აქტუალური პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგანაც დასავლეთ საქართველოს შემოერთების საკითხი დაკავშირებული იყო შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებასთან, რის შემდეგ, ოსმალეთის გავლენისა და ბატონობის განდევნაც ადვილი იყო. ამასთანავე, კავკასიის დაპყრობის საქმეში ოდიშ-იმერეთის შემოერთებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლეოდა, რადგან ამით შესაძლებელი ხდებოდა რუსეთიდან შავი ზღვით ჯარების გადმოყვანა ამიერკავკასიაში.

შავი ზღვის სანაპიროებს აგრეთვე უაღრესი ეკონომიკური და სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა და რუსეთის კაპიტალი აქედან ეძებდა გასავალს ხმელთაშუა ზღვაზე და საოკეანო ვაჭრობისაკენ.

მაგრამ იმერეთის დაპყრობას ცდილობდა ოსმალეთიც, რომელიც აჭარა-ქობულეთის გადმოლახვის შემდეგ, პირდაპირ მიიწევდა ოდიშ-იმერეთის ხელში ჩასაგდებად. ეს კი რუსეთს ამიერკავკასიაში განსაცდელს უმზადებდა და ემუქრებოდა მას მდგომარეობის გართულებით. ამიტომ, ციციანოვმა დაიწყო სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით იმერეთ-ოდიშის მეფე-მთავრების გადმობირება. ამისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური პირობებიც იყო შექმნილი იმ ბრძოლისა და ქიშპობის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის. ამ ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, რადგანაც მეფის რუსეთის პოლიტიკური აგენტები ორივე მხარეს რუსეთის დახმარებას პირდებოდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ.

იმერეთის მეფე სოლომონ II კარგად ხედავდა იმ საფრთხეს, რომელიც მას მოელოდა რუსეთის გაბატონების შემდეგ ქართლ-კახეთში და ახლა იგი ცდილობდა შინაგანი ძალების შემომტკიცებით თავი დაეცვა ციციანოვის შემოტევებისაგან. მხოლოდ გრიგოლ დადიანს სოლომონი ამ შემთხვევაში უნდობლად უცქეროდა, ეშინოდა გრიგოლის განდგომისა და ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორმე გადაეგდო გრიგოლი და ოდიშის მთავრად ისევ დაესვა თავისი ერთგული მანუჩარი. 1802 წელს სოლომონმა გრიგოლი დაამარცხა ლეჩხუმში და დადიანობა უბოძა გრიგოლის მეორე ძმას ტარიელს.

ამის შესახებ თავის 1802 წ. 25 აგვისტოს წერილში სოლომონ II წერდა გენერალ ლაზარევს: „არს მთავარი მეგრელთა და ლეჩხუმისა დადიანი გრიგოლ, რომელიც გვართაგან კეთილშობილთა და მდაბალთა ჩიქუანთაგან სამეფოსა ამათ ჩვენთა ოდიშ-

ლეჩხუმთა შინა მთავრობად დაიდგინა და ყმამან სამკვიდრომან ტახტისა ჩვენისამან მრავალ გზის ინება წინააღმდგომა ჩვენი: ჩვენ კაცთმოყვარებითა მრავალგზის მიუტევეთ და რავდენ გზისცა ფიცითა საშინელითა დაგვარწმუნა მონებად მეფობისა ჩვენისა, ეგოდენ დახსნა ფიცი და დაუდგრომლობითა თჳსითა ეძიებდა ღონესა დაცვად წინააღმდგომობისა. ამისთჳს უბრძანეთ ჩვენ შეკრებად ლაშქართა და მივედით ლეჩხუმს ციხეთა და სიმაგრეთა მისთა ზედა. მხნეთ მოსწრაფებითა ლაშქართათა ავიღეთ შვიდნი ციხენი და სიმაგრენი ლეჩხუმისანი"-ო (Акты, ტ. II, გვ. 572-573).

გრიგოლმა დახმარება სთხოვა ქელაიშ-ბეგ შერვაშიძეს, რომელმაც ამისათვის მოსთხოვა გრიგოლს ფული და მძევლად უფროსი შვილი ლევანი. გრიგოლი ამაზე დასთანხმდა და შერვაშიძე 20.000 კაცით გადმოვიდა ოდიშში და დადგა აბედათს. მაგრამ შერვაშიძემ ვერ გაბედა სოლომონთან შებრძოლება და უკანვე გაბრუნდა[1]. სოლომონმა ამით ისარგებლა, შევიდა ოდიშში და იგი დაიპყრო. ამ გარემოებამ აიძულა გრიგოლ დადიანი დახმარებისათვის მიემართა რუსეთისათვის. ციციანოვსაც მიეცა ხელსაყრელი შემთხვევა, რომ იგი ჩარეულიყო იმერეთის შინაურ საქმეებში და მან გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, ჯერ დაიწყო მათთან მშვიდობიანი მოლაპარაკება და ორივეს ურჩევდა ერთმანეთში მორიგებას. მაგრამ სოლომონი უარზე იდგა და იგი კატეგორიულად მოითხოვდა დადიანის მორჩილებას და ლეჩხუმის გადაცემას. გრიგოლ დადიანს ეს არ სურდა, იგი სთხოვდა ციციანოვს სოლომონისაგან დაცვას და მზად იყო მიეღო რუსეთის მფარველობა და ქვეშევრდომობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დადიანი იმუქრებოდა, რომ იგი იძულებული იქნება მიიღოს ოსმალეთის ქვეშევრდომობა. გრიგოლის ეს წინადადება მეტად ხელსაყრელი იყო რუსის მთავრობისათვის, რომელიც თბილისიდან ეძებდა გასავალს შავი ზღვისაკენ. ამიტომ ციციანოვმა გადაწყვიტა მიეღო დადიანის წინადადება, მაგრამ ამ საკითხს უნდოდა შეთანხმება ოსმალეთთან, რომლის პროტექტორატის ქვეშ ნომინალურად ითვლებოდა ოდიში. ამის შესახებ 1803 წელს ციციანოვმა რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში დაავალა გამოერკვია, ოსმალეთის მთავრობა სამეგრელოს შემოერთებას ხომ არ ჩათვლიდა 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის

---

[1] Акты кавказской археологической комиссии, т.I, стр. 578 –579, т.II, стр. 340.

ზავის დარღვევადო (Акты, II, 342). ამავე დროს, ციციანოვი აწარმოებდა მოლაპარაკებას გრიგოლ დადიანთან რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის პირობების შესახებ. თუ რა მნიშვნელობა

ლევან V დადიანი.

ექნებოდა რუსეთისათვის სამეგრელოს შემოერთებას, ციციანოვი მოახსენებდა იმპერატორს, რომ სამეგრელოს სანაპიროს ნავსადგურები ჩვენ საშუალებას მოგვცემს თავისუფალი მიმოსვლა ვაწარმოოთ საქართველოსა და რუსეთს შორისო[1]. ამ ნავსადგურებში ყველაზე მნიშვნელოვანია ფოთის ნავსადგური, რომელიც მდებარეობს რიონის შესართავზე და ამ ერთი პუნქტის ხელში ჩაგდება უფრო მნიშვნელო-

---

[1] *Потто*, Утверждение русского владычества на Кавказе, Тифлис, 1901 г., стр. 118.

ვანია, ვიდრე მთელი სამეგრელოს შემოერთებაო (Акты, II, № 919).

გრიგოლ დადიანის ამ მოლაპარაკებამ რუსეთის მთავრობასთან შეაფიქრიანა იმერეთის მეფე სოლომონ II, რადგანაც მან კარგად იცოდა, რომ სამეგრელოს სამთავროს რუსეთთან შეერთების შემდაგ, იმერეთის სამეფოც რუსეთის ხელში მოექცეოდა. ამიტომ ახლა სოლომონიც ცდილობდა განსაზღვრულ პირობებში უზრუნველეყო თავისი უფლებები იმერეთის სამეფო ტახტზე. ამ მიზნით, 1803 წელს მეფე სოლომონ II-მ პეტერბურგში გაგზავნა სოლომონ ლიონიძე, რომელმაც წარუდგინა იმპერატორ ალექსანდრეს მეფის შუამდგომლობა იმერეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ იმ პირობით, რომ სამეფო ტახტი მეფესა და მის მემკვიდრეებს უნდა დარჩენოდათ და რუსეთს იმერეთის სამეფო დაეცვა შინაური და გარეშე მტრებისაგან. ცალკე ნოტაში სოლომონ ლიონიძემ მოახსენა იმპერატორს, თუ რა ეკონომიკურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა შავი ზღვის სანაპიროების შემოერთებას რუსეთისათვის, სახელდობრ, აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროებს, რომელთა კანონიერი პატრონი იმერეთის მეფე არისო. ამიტომ იმერეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლისას, ეს მხარეები თქვენს მფლობელობაში მოექცევაო.

ციციანოვმა რუსეთის ელჩისაგან მიიღო ოსმალეთის მთავრობის პასუხიც, რომ ოსმალეთის მთავრობას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს, რომ რუსეთმა სამეგრელო შეიერთოსო (Акты, II, 462). ასეთი ხელსაყრელი პასუხის მიღების შემდეგ, ციციანოვი აჩქარებდა გრიგოლ დადიანს, რომ მას ხელი მოეწერა რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ პირობებზე. ეს პირობა შედგენილი იყო 1803 წლის 21 აგვისტოს და შედგებოდა რამდენიმე მუხლისაგან. ამ დოკუმენტში მოცემულია ერთგულების ფიცი და, სხვათა შორის, ნათქვამია: „რათა წმინდითა და უზაკველითა გონებითა ამიერიდგან ვიქმნე ერთგული და ტრფიალ მონებით მსახურებისა მისისა უდიდებულესისა ხელმწიფისა, უფალთ-უფლისა ალექსანდრე პავლე ხელმწიფის ძისა, – რათა არა უკუ-ვიქცე მონებისაგან მისისა, არამედ უმტკიცესად დავემტკიცო უქვეშ-შევრდომესითა სიყვარულითა მონებასა მისსა ქვეშე, ვითარცა უშინაგანესად მსახურნი თვისნი, და ვიწადო ყოველთა დღეთა ჩემთა შესაძინელი და სასიამოვნო სიტყვით და საქმით თავთა შორის ჩემთა თვით და ყოველთა გარემოთა ჩემთა, საზღვართა შორის სამთავროთა შინა ჩვენთა და გარეშე საზღვრისა ჩემისა“ და სხვა (Акты, II, 461-462).

1803 წლის 4 დეკემბერს დადიანმა ხელი მოაწერა ამ პირობას, რომლის მიხედვით, გრიგოლ დადიანი და მისი მემკვიდრე რჩებოდა სამეგრელოს მთავრად. ყოველ ახალ მთავარს ამტკიცებდა რუსეთის ხელმწიფე და უგზავნიდა მას სამთავროს დროშასა და ხმალს. სამთავროში უნდა მდგარიყო რუსის ჯარი, რომელსაც დადიანი უნდა დაეცვა სოლომონის შემოსევისაგან, ლეჩხუმისა და სვანეთის მადნების დამუშავებისას, რუსის მთავრობა ვალდებული იყო მთავრისათვის მიეცა ერთი ნაწილი. შავი ზღვის პირას აშენებული ქალაქების შემოსავლიდანაც რუსეთის მთავრობას უნდა მიეცა განსაზღვრული პროცენტი. ფიცის მიღების და ხელის მოწერის შემდეგ, რუსის მთავრობის წარმომადგენელმა დადიანს მიართვა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს დასავლეთ საქართველოში. სოლომონ II უკვე თავის საქმეს წაგებულად სთვლიდა. მან ახლა მფარველობისათვის მიმართა ოსმალეთის მთავრობას. დადიანთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ, რომელიც ამ დროს მოლაპარაკებას აწარმოებდა სოლომონ ლიონიძესთან, უკვე ზედმეტად ჩათვალა მიეღო სოლომონ II-ს პირობები და მასთან ხელშეკრულება დაედო.

პეტერბურგში უკვე იცოდნენ სოლომონის ოსმალეთისადმი მიმართვის შესახებ და რუსეთის მთავრობამ ლიონიძე უშედეგოდ გამოისტუმრა.

ამავე დროს, გრიგოლ დადიანის რუსეთის მფარველობაში შესვლამ გავლენა მოახდინა ოდიშისა და ლეჩხუმის გავლენიან წრეებზე, რომლებიც წინათ თუ სოლომონ II-ს ეხმარებოდნენ, ახლა კი გადავიდნენ დადიანის მხარეზე. გრიგოლ დადიანს ჩქარა მიემხრო ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი, რომლის დახმარებით, გრიგოლმა შეძლო ოდიშის ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდება და 1804 წელს მთელი ოდიში მას დაემორჩილა.

სოლომონი ციციანოვის შიშით ვერ ბედავდა დადიანზე გალაშქრებას, მით უმეტეს, ციციანოვს პეტერბურგიდან საიდუმლო ბრძანება მოუვიდა იმერეთის მეფე დაემორჩილებინა ანდა იმერეთი დაეპყრო. ციციანოვი შეეცადა სოლომონს ნებაყოფლობით მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა. მაგრამ სოლომონი ამისთვის მოითხოვდა გარკვეულ პირობებს და, სხვათა შორის, თხოულობდა ოდიშის სამთავროსაგან ლეჩხუმის ჩამორთმევას და მისთვის გადაცემას. ამის დაკმაყოფილება ციციანოვს შეუძლებლად მიაჩნდა და მან

იმერეთისაკენ რუსის ჯარი დაძრა. სოლომონი იძულებული შეიქმნა 1804 წელს ხელი მოეწერა ციციანოვის მიერ წაყენებულ პირობაზე, რომლის მიხედვით, მეფე აღიარებდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობას და იგი უარს აცხადებდა ოდიშის სამთავროზე და აგრეთვე ლეჩხუმის მისაკუთრებაზე.

ამგვარად, რუსეთის მთავრობამ ისარგებლა სოლომონ II-ის და გრიგოლ დადიანის ურთიერთშორის კირთებით და შინაური ბრძოლებით და მან ასე იოლად შეძლო ოდიშ-იმერეთის თავის მფარველობისა და პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევა.

1804 წელს გარდაიცვალა გრიგოლ დადიანი[1]. მან ანდერძად დატოვა, რომ „ჩემი ლევანის მეტი ოდიშისა და ლეჩხუმის მემკვიდრე ნურავინ იქნებაო" (Акты, II, 490). მაგრამ ეს ლევანი, რომელიც 12 წლისა იყო, მძევლად ჰყავდა ქელაიშ-ბეგ შერვაშიძეს.

ამით ისარგებლეს მემკვიდრეებმა და დაიწყო ოდიშში დინასტიური ბრძოლა. მაშინ ციციანოვმა შერვაშიძეს მოსთხოვა ლევანის დაბრუნება, შერვაშიძე კი ამისთვის ფულს ითხოვდა. ამ დროს აფხაზეთის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას რუსის ჯარი და ამის გამო, შერვაშიძე შეშინდა და გაანთავისუფლა ლევანი, რომელიც ხელმწიფის ბრძანებით, დაინიშნა ოდიშის მთვრად ლევან V-ის სახელწოდებით (1804-1840 წ.).

მთავრის მცირეწლოვანობისა გამო, ხელმწიფის ბრძანებით, სამეგრელოს რეგენტად დაინიშნა დედამისი დედოფალი ნინო, რომელიც სამთავროს მართავდა ოთხი წევრისაგან შემდგარი საბჭოს დახმარებით (Акты, II, 498-499). საბჭოში შედიოდნენ: ნიკოლოზ დადიანის-ძე, „დიდი ნიკოდ" წოდებული, ჭყონდიდელი ბესარიონი, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქვანი და ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი.

დედოფალ ნინოსი და ამ ახლად არჩეული საბჭოს საზრუნავი საქმე, პირველ ყოვლისა, იყო სამთავროს საქმეების მოწესრიგება. ამ მიზნით, დედოფალმა იმპერატორ ალექსანდრე I-თან გააგზავნა დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდნენ: ნიკო და ბეჟან დადიანის-

---

[1] მისი საფლავი დაცულია ცაგერის (ლეჩხუმში) ეკლესიაში. საფლავის ქვაზე აწერია: ქ. საფლავსა ამას შინა მდებარე მთავარი კავალერ ლეიტენანტი დადიანი გრიგოლ, რომელმანცა აღმოვიგე სრულიად ოდიშ-ლეჩხუმი მოწყალებითა ხელმწიფისა ჩემისა დიდისა როსიის იმპერატორისა ალექსანდრე პავლესძისა, ვინადგან შეეყენერე თავი ჩემი საფარველსა მისსა... მეყვანა მხედრობა როსიისა მცველად ჩემდა და სამთავროთა ჩემთა... და სხვა.

ძეები და დეკანოზი იოსელიანი. დეპუტაციას მინდობილი ჰქონდა დაეცვა სამეგრელოს მთავრის უფლება ლეჩხუმზე, რომელსაც ედავებოდა იმერეთის მეფე სოლომონი. ეთხოვათ ხელმწიფისათვის, რომ აფხაზეთის მთავარს ქელაიშ-ბეგს სამეგრელოსათვის დაებრუნებინა ანაკლია. ურჩთა და ტყვეთა გამყიდველთა ასალაგმავად სამეგრელოში გამოეგზავნათ რუსის ჯარი; შემოეზიდნათ ყირიმიდან სამეგრელოში ფართალი და სხვა სავაჭრო საქონელი. მადნების საძიებლად და დასამუშავებლად გამოეგზავნათ ამ საქმეში დახელოვნებული პირები და სხვა. დეპუტაციას უნდა გამოეთხოვა აგრეთვე დედოფალ ნინოსათვის ორდენი[1]. დეპუტაციამ სამეგრელოდან წაიღო ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი და იგი საჩუქრად მიართვეს ალექსანდრეს.

იმპერატორმა დეპუტაცია კარგად მიიღო და აღუთქვა, რომ შეასრულებს სამეგრელოს დედოფლის ყველა სურვილს. ალექსანდრემ ვლაქერნის ხატი მდიდრულად შეამკო და 1806 წელს დაუბრუნა მთავრის ოჯახს და თანაც ბრძანა, რომ ოდიშში აეშენებიათ ეკლესია ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობაზე იქ, სადაც ამას მოისურვებდა დედოფალი და ეს ხატიც მასში უნდა დაესვენებინათ. ამასთანავე, ალექსანდრემ სურვილი გამოსთქვა, რომ ის ადგილი, სადაც ეკლესია აშენდება, გადაიქცეს სამეგრელოს მთავართა საცხოვრებელ ადგილადო. შემდეგში კი, როდესაც იქ მცხოვრებნი მომრავლდებიან, იგი ქალაქად იქცეს და მას ლევანის მამის გრიგოლ დადიანის პატივსაცემად ეწოდოს გრიგორიოპოლიო (Акты, ტ. VII, 439-440).

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, საბჭო ნიკო დადიანის-ძის მეთაურობით, შეუდგა სამთავროს მართვა-გამგეობის საქმეს, მაგრამ ჩქარა საბჭოსა და დედოფალს შორის ატყდა უთანხმოება. დედოფალს ჰყავდა თავისი ჯგუფი, რომელიც მტრულად იყო განწყობილი საბჭოსა და განსაკუთრებით ნიკო დადიანის-ძისადმი. 1808 წ. დიდი ნიკოს ბრძანებით, დაიჭირეს დედოფლის ფავორიტი გუგუშვილი და ციხეში ჩასვეს. ამან გამოიწვია დედოფლის გულისწყრომა და პროტესტი, რის შესახებ 1808 წელს გენერალი რიკჰოფი სწერდა გუდოვიჩს, რომ დედოფალი დიდად ნაწყენია ნიკო დადიანის-ძეზე მისი ერთგული აზნაურის გუგუშვილის დაჭერის გამო (Акты, II, 516).

---

[1] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе. т. IV, СПБ, 1886 г., стр. 410 – 411

მაგრამ ნინოს ინტრიგებს ჩქარა ბოლო მოელო. 1811 წელს მთავარი ლევანი უკვე სრულწლოვანი გახდა და ხელმწიფის ბრძანებით, იგი აღიარეს სამეგრელოს კანონიერ მთავრად. ლევანის მთავარ-ვეზირი და მრჩეველი გახდა ნიკო დადიანის-ძე, რომელიც ახლა მთელი თავისი ცოდნითა და ძალ-ღონით ცდილობდა დახმარებოდა ახალგაზრდა მთავარს, რათა მას კეთილად წარემართა სამთავროს საქმეები. როგორც მთავარი ვეზირი, იგი იყო ლევანის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში და უწევდა მას ხელმძღვანელობას სამთავროს საშინაო და საგარეო საქმიანობაში. ნიკო დადიანის-ძემ მთავრის სახელმძღვანელოდ შეადგინა „სამთავრო წესდებულება და განკარგვა მფლობელობათა, რომელსაც ეწოდება დასტურ-ლამა“[1]. ამ საყურადღებო წესდებულებაში აღნუსხულია ყველა ის უფლება-მოვალეობანი, რომელთა შესრულება ევალებოდა ახალგაზრდა მთავარს. მაგრამ ლევანი ნაკლებ ინტერესს იჩენდა სამთავროს მართვა-გამგეობის საქმეებში, მას უფრო იზიდავდა ნადირობა და გართობა.

ამ შემთხვევაში ლევანზე მისი განსწავლული ვეზირის არც დარიგება სჭრიდა და არც მუქარა და იგი არხეინად განაგრძობდა უდარდელსა და მხიარულ ცხოვრებას.

ლევან V რუსეთის იმპერატორს ერთგულ სამსახურს უწევდა და რუსეთის მთავრობამაც ლეჩხუმზე დავის საკითხი ლევანის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამის გამო, ლევანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსის ჯარის მიერ ფოთის აღებისათვის ბრძოლაში. 1809 წელს ლევანი შეუერთდა რუსის ჯარს და მათ ოსმალები დაამარცხეს ფოთში და განდევნეს. ამით მოისპო ოსმალეთის ბაზა რიონის შესართავთან.

ასეთივე მონაწილეობას იღებდა ლევანი სოლომონ II-სთან ბრძოლაში. 1810 წ. იმერეთის მეფე სოლომონ II-ს რუსებმა წარუდგინეს კატეგორიული მოთხოვნა, რომ მას მიელო რუსეთის ქვეშევრდომობა და მორჩილება.

სოლომონ II უარზე იდგა და მოითხოვდა ლეჩხუმის დაბრუნებას, იმერეთიდან რუსის ჯარის გაყვანას და სხვა. მშვიდობიანი მოლაპარაკებით საქმე ვერ მოგვარდა. მაშინ რუსებმა გამოაქვეყნეს ბრძანება სოლომონის ტახტიდან გადაყენების შესახებ და სო-

---

[1] *ნიკო დადიანი*, დასტურ-ლამა, ტფილისი, 1897 წ.

ლომონის წინააღმდეგ ახლა დაიძრა რუსის ჯარი, რომელსაც ლევან დადიანიც შეუერთდა 4.500 კაცით. სოლომონმა პირველი შეტაკების დროს შეძლო დაემარცხებინა რუს-მეგრელთა ლაშქარი. მაგრამ, როდესაც მოკავშირეებს შეუერთდნენ გურიელისა და იმერეთის ფეოდალების ზურაბ წერეთლისა და წულუკიძის რაზმები, მაშინ სოლომონ II დამარცხდა ხანის წყლის ხეობაში და აქედან იგი გაიქცა ჯერ ახალციხეში და შემდეგ კი ტრაპიზონში, სადაც მეფე გარდაიცვალა 1815 წელს. სოლომონის დამარცხებას მოჰყვა იმერეთის შეერთება რუსეთთან და ამის შემდეგ, ლევანს ლეჩხუმის დასაკუთრებაში იმერეთის მხრით საფრთხე არ მოელოდა. მხოლოდ სამურზაყანოს გარშემო ისევ წარმოებდა დავა აფხაზეთთან. 1809 წელს ლევანმა ისარგებლა შერვაშიძეებს შორის დინასტიური შუღლით, შევიდა სამურზაყანოში და ამ მხარის გამგეობა გადასცა თავის სიძეს მანუჩარ შერვაშიძეს. მაგრამ დადიანის მომხრე მანუჩარი ჩქარა მოკლა ხუტუნია შერვაშიძემ და ახლა ლევანმა დახმარება სთხოვა რუსეთის მთავრობას და გურიელს. ლევანი ამ რუსულ-მეგრულ-გურულ ჯარით შეებრძოლა შერვაშიძეს ბედიასთან, სადაც დადიანმა გაიმარჯვა და მან სამურზაყანოს გამგებლად თავისი მოხელეები დააყენა. ამის შემდეგ, კიდევ უფრო გამწვავდა სამურზაყანოს გარშემო ურთიერთობა დადიანსა და შერვაშიძეებს შორის. განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდა მიხეილ შერვაშიძე, რომელიც სამურზაყანოზე თავის პრეტენზიებს აცხადებდა.

ამ გარემოებით ისარგებლა რუსეთის მთავრობამ და 1840 წელს დაიწყეს მოლაპარაკება დადიანთან, რომ სამურზაყანო მას რუსეთისათვის დაეთმო. ლევანი იძულებული იყო რუსეთის ეს წინადადება მიეღო, ჩამოართვეს მას სამურზაყანო და ლევანს კომპენსაციის სახით მისცეს 25 ათასი მანეთი. სამურზაყანო რუსებმა აქციეს საბოქაულოდ და აქ დააწესეს რუსული მმართველობა.

ამგვარად, ლევანის დროს სამეგრელოს ხელიდან გამოეცალა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიც იყო სამურზაყანო. სამეგრელოს სამთავრო თანდათანობით კარგავდა ტერიტორიულ მთლიანობასა და ავტონომიურ უფლებებს. მაგრამ ლევანი ამაზე ნაკლებად ფიქრობდა და, როგორც ზუგდიდის ხატის 1814 წლის წარწერიდან სჩანს, იგი თვითკმაყოფილებას გრძნობდა ასეთი გაზვიადებული და ფიქტიური ტიტულის ტარებით: „განმაახლებული ხატისა ამის, მთავარი და მპყრობელი ოდიშ-აფხაზთა, სვანთ-

ლეჩხუმთა, დიდისა რუსეთისა ღენერალ-მაიორი, განსხვავებული ორდენ-კავალერია, დადიანი მეორე ლეონ და თანამეცხედრე ჩემი დედოფალი მართა ძისა ჩვენისა დავითის აღსაზრდელად და სულისა ჩვენისა საოხად. წელსა ქრისტესით ჩყიდ (=1814) მაისის ა (I)[1].

რუსეთის ერთგული ლევანი ახლა ცდილობდა თავის სატახტო ქალაქად გადაექცია ზუგდიდი და აქ თანახმად ალექსანდრე I-ის სურვილისა, იგი შეუდგა ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიის აგებას, რომელიც დამთავრდა 1830 წელს[2].

ამის შემდეგ, ლევანმა მიმართა რუსეთის მთავრობას და სთხოვა, რომ ზუგდიდი[3] ქალაქად ეცნოთ და მისთვის დაერქმიათ გრიგორიოპოლი. ამ თხოვნაზე ნიკოლოზ I-მა თავის ხელით წააწერა: „ეს ადგილი მინახავს და ვეჭვობ აქ როდესმე გაშენდეს ქალაქი, რადგან იქაურობა ხავსსა და ჭაობშია. სამეგრელოს მთავარს რომ ვასიამოვნოთ, მარტო იმისთვის თუ შეიძლება ამ ადგილს გრიგორიოპოლი ვუწოდოთ, მაგრამ ქალაქის სახელი მაშინლა უნდა ვუწოდოთ, როცა მართლა ქალაქი გაშენდება“-ო (Акты, VII, 311, 440).

ლევანის დროს სამეგრელოში არსდება პირველი სასწავლებელი. ეს იყო მარტვილის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც გაიხსნა 1830 წელს. ამ სასწავლებელში იზრდებოდნენ სასულიერო პირები. ლევანმა მოისურვა ასეთივე სასწავლებელი გახსნილიყო თავადაზნაურთა შვილების აღსაზრდელად.

1830 წელს იგი ამის შესახებ განერალ-ადიუტანტ სტრეკალოვს სწერდა: „მსურს რა სამეგრელოს სარგებლობა მოჰქონდეს ხელმწიფე იმპერატორისათვის, რომლის მზრუნველობითაც ამიერკავკასიის მხარე განათლებას ღებულობს, მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, სამეგრელოს ახალ-მოზარდ თავად-აზნაურთათვის დაგვინიშნოთ მასწავლებელი. ეს ჩვენი საყოველთაო სურვილია. ამისათვის მიუჩენ შესაფერს სახლს, მოსამსახურეს, გაუჩენ საჭმელად პურს, ღვინოს, ხორცს და გარდა ამისა, ორას მანეთს ვერცხლის ფულს. სასწავლებელს დავაარსებთ ისეთს ადგილს, სადაც ყველაზე უკეთესი

---

[1] *M. Brosset*, Voyage archeologique en transcaucasie, Mingrelie – Odich. кн. I, СПБ. 1849 г., გვ. 25

[2] *ირინა მეუნარგია*, სამეგრელო დავით დადიანის დროს, ტფილისი, 1939 წ., გვ. 47

[3] ბევი გამსახურდიას სიტყვით "ზუგი" ძველს მეგრულში ნიშნავდა სიმაგრეს, ზუგდიდი კი დიდ სიმაგრესო.

ჰაერია“-ო (Акты, VII, 398). ლევანმა ამასთანავე, არჩილ ბატონისშვილის რჩევით, სალიპარტიანოს ცენტრში, სალხინოში სასახლე ააგო. აქ იყო ოდიშის განთქმული ღვინის „ოჯალეშის“ სამშობლო და ლევანიც სალხინოში დროს ატარებდა ქეიფსა და ლხინში, რის გამო ადგილსაც სალხინო ეწოდაო (*ი. მეუნარგია*, გვ. 63).

ლევანის სისუსტითა და ცუდი მმართველობით სარგებლობდნენ ფეოდალები და ამის გამო სამეგრელოში მრავალ უწესობას ჰქონდა ადგილი. მას, სხვათა შორის, განუდგა კაცია ჩიჩუა, რომელმაც შეაიარაღა სამი ათასი კაცი, გამაგრდა ციხეებში და ებრძოდა ლევანს. ამას დაერთო აგრეთვე მისი ავადმყოფობაც და ლევანმა განიზრახა სამთავრო სიცოცხლეშივე გადაეცა უფროს შვილზე დავითზე, რომელიც უკვე ასრულებდა სამთავროს მოურავთ-მოურავის თანამდებობას (Акты, VII, 399).

სამეგრელოს იმდროინდელ ვითარებას სამთავროს მემკვიდრე დავითი ასე ახასიათებს: „პარტიები მრავალი გაკეთდა ოდიშში საწინააღმდეგოდ ჩვენდა. საქმობა აღარ არის. მამულს და ადგილს (მამა) ბზესავით იცემება. მამაჩვენს ერთი მინუტს თავის მდგომარეობაზე ვერ ნახავს ველარც სტუმარი, ველარც მასპინძელი. შინაურობა ჩვენი ფრიად აღრეულ მდგომარეობაშია. შემოსავალი დატაცებულ, სამართალი დადუმებულ, წესი და წყობილება აღრეულ, მე ველარ შემძლე მუნ რისამე წარმართებისა და სხვა“ (*ი. მეუნარგია*, დავით დადიანი, გვ. 9).

ლევანის თხოვნის თანახმად, 1840 წელს მოვიდა იმპერატორის ბრძანება დავით დადიანის სამეგრელოს მმართველად დანიშვნაზე (Акты, XI, 180). 1846 წელს გარდაიცვალა ლევან V და იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მთავრად დაამტკიცა დავით დადიანი (1840-1853 წ.). დავითი იყო ევროპულად აღზრდილი და განათლებული მთავარი, რომელიც კარგად იცნობდა მაშინდელ რუსეთის სახელმწიფო წყობილებას და პოლიტიკურ ცხოვრებას. დავითმა ისიც კარგად იცოდა, რომ იგი იყო ნომინალური მთავარი, ფაქტიურად სამეგრელოს განაგებდნენ რუსის მოხელეები და სამეგრელოს სამთავროს ჩქარა მოელოდა გაუქმება და რუსეთთან შეერთება. ამის გამო, მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და რეფორმები უფრო მიმართული იყო პირადი ქონების შეძენაზე, რომ სამთავროს გაუქმების შემდეგ, დარჩენილიყო დიდ მემამულე ფეოდალად.

ამასვე ურჩევდნენ დავითს მისი ნათესავ-მეგობრები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბარონი ნიკოლაი, ვასილ ბებუთოვი და სხვა, რომ-

ლებიც არწმუნებდნენ დავითს, რომ სამეგრელოს სამთავრო დიდხანს არ დარჩებოდა დამოუკიდებელ სამთავროდ, რომ საბოლოოდ ამას და მის შვილებს მარტო ის დარჩებოდა, რაც ექნებოდა ხელში სამეგრელოს სამთავროს გაუქმების დროსო (*ი. მეუნარგია*, დავით დადიანი, გვ.92). ამიტომ დავითმა მამულისა და სხვა ქონების შეძენას მაგრად მოჰკიდა ხელიო.

ევროპისა და რუსეთის მიბაძვით, დავითი ცდილობდა სამეგრელიში შემოეღო მმართველობის ახალი სისტემა. სამთავროს კარზე გაბატონებული ფეოდალური ეტიკეტი გარდაექმნა ევროპულ ყაიდაზე. სასახლის კომფორტული მოწყობა და მდიდრული ცხოვრება მოითხოვდა საკმაოდ დიდ სახსრებს, რომლის მისაღე-

დავით დადიანი.

ბად საჭირო იყო მთელი რიგი რეფორმების ჩატარება.

მართვა-გამგეობის მხრივ, დავითმა სამთავრო გაჰყო რამდენიმე ოლქად და თითოეული ოლქის სათავეში დააყენა მდივან-ბეგი, რომელიც განაგებდა სამართლისა და საპოლიციო საქმეებს. გაიჩინა სამდივნო (კანცელარია), შექმნა მოხელეთა შტატი, რომელიც გადაყვანილ იქნა

ჯამაგირზე. დავითმა მოსპო თანამდებობის მემკვიდრეობა და მოხელეების არჩევა-დანიშვნა მთავრის სურვილის მიხედვით ხდებოდა.

დავითი, ამასთანავე, ცდილობდა თავის მეუღლე ეკატერინესათვის შეექმნა ისეთი პირობები, რომ მას სამეგრელოს სამთავროს კარზე თავი ეგრძნო ნამდვილ დედოფლად. ამისათვის საჭირო იყო სასახლის გამშვენიერება და მისი მოწყობა მდიდრულად. ჩქარა სასახლესთან გაშენდა მშვენიერი ბაღი. დედოფლის გასართობად ჩნდება ახალგაზრდათა ამალა. ზუგდიდის სასახლეში ხშირად იმართებოდა წვეულებები, მეჯლისები და სხვა.

დავითის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო ოდიშის მაღალი არისტოკრატია, მით უმეტეს, დავითი ამ წოდების ახალგაზრდობას იშვიათად თუ აძლევდა სწავლის ნებართვას, სწავლის მიღების შემდეგ კი მათ იძულებით აბრუნებდა სამეგრელოში[1].

დავითი, სარგებლობდა რა მთავრის უფლებებით, ცდილობდა არსებულ ბატონყმურ ურთიერთობაშიც შეეტანა თავისი სასარგებლო ცვლილებები, რომ ამით შეეზღუდა მაღალი წოდების საზოგადოებრივ-ეკონომიკური უფლებები. ამ მიზნით, დავით დადიანმან თავად-აზნაურების ყმურ, სამსახურიდან გაანთავისუფლა დაბალი სამღვდელოება, რომელსაც ვალად ედო მებატონის კარის ეკლესიაში შეესრულებინა მღვდელმსახურება. ამასთანავე, დაბალი სამღვდელოება ხშირად მებატონის ყანაზედაც მუშაობდა, უნდა ხლებოდა მებატონეს მოგზაურობაში და სხვა.

1841 წლის 26 იანვარს ამ დაბალ სამღვდელოების განთავისუფლების შესახებ დავითმა სამეგრელოს უზენაეს სასამართლოსადმი გასცა ასეთი განკარგულება: „ღირს პატივისცემა სახლისადმი უფლისა და მის გამო დაუფასებელი კეთილობა ვალად სდებენ ჩვენ ზედა, რათამცა სამღვდელოებანი, ვითარცა მსახურნი საკურთხეველისანი, იყვნენ ჩემს სამფლობელოს შინა თავისუფალნი მონებისაგან მებატონეთასა. ამისათვის ყოველნი სამღვდელონი მიიღებენ დღეიდამ თავისუფლებას შემდგომთა საფუძველთა ზედა“-ო (ჩამოთვლილია განთავისუფლების მუხლები და პირობები, იხ. *ი. მეუნარგია*, დავით დადიანი, 142-143). ამან რასაკვირველია, გამოიწვია მაღალი წოდების გულისწყრომა. მაგრამ დავითი ამაზე არ შეჩერებულა. სამთავროს სხვადასხვა ხარჯის დასაფარავად,

---

[1] *К. А. Бороздин*, Закавказския воспоминания; Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 г. СПБ., 1885 г., გვ. 100.

მან შეაწერა 6.000 სააზნაურო და საეკლესიო გლეხებს გადასახადი „საუდიერო", რომელიც გლეხებს ფულად უნდა გაეღოთ. დავითის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო აგრეთვე მაღალი სამღვდელოებაც. სამთავროს შემოსავლის გასადიდებლად საჭირო იყო საეკლესიო უწყების შეზღუდვაც და ახლა დავითის ყურადღება მიიპყრო საჭყონდიდლოს საეპისკოპოსო კათედრამ, რომელიც დიდ მამულებს ფლობდა, მისი ყმების რიცხვი აღემატებოდა 3.000 კომლს. ამ საეპისკოპოსოს შემოსავლის ხელში ჩაგდების მიზნით, დავითმა ურჩია ჭყონდიდელს, რომ მას ნატურის ნაცვლად გლეხებისაგან ბეგარა ფულად აეღო და შეაძლია 12.000 მანეთი იმ პირობით, რომ საეკლესიო გლეხები სულ შესულიყვნენ მთავრის უწყებაში. ამან საჭყონდიდლოს გლეხებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და დავითმა ვერ მოახერხა ამის განხორციელება. დავითს ის განზრახვაც ჰქონდა, რომ საეკლესიო გლეხები სულ ჩამოერთმია სამღვდელოებისათვის, მაგრამ მან ეს თავის სიცოცხლეში ვერ მოახერხა (*ი. მეუნარგია*, დავით დადიანი, 92).

რაც შეეხება დაბალ წოდებას, მისი მდგომარეობა დავითის დროს უფრო გაუარესდა. წინათ სამთავროს გლეხები სასახლეების აგებაზე მუშაობდნენ სამთავროს ხარჯზე. დავითმა ეს ვალდებულება დაარღვია და იძულებით დააკისრა მათ საკუთარი სურსათით შეესრულებინათ ასეთი სამუშაო. სავალდებულო გადასახადების გარდა, როგორიც იყო საური, სახურო და საციხო და სხვა, დავითმა გლეხობას შეაწერა ახალი გადასახადი „საუდიერო", რომელსაც ერთი მეორეზე შეადგენდნენ: „ერთი ღორი, 10-15 კოკა ღვინო, ერთი-ხუთი ქილა ღომი და ერთი ქათამი"[1].

მაგრამ გლეხებისაგან მიღებულ ამ ნატურალური გადასახადებით არ შეიძლებოდა სამთავროს გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სასახლის მდიდრული ცხოვრება მოითხოვდა პირველ ყოვლისა, ფულს, რომლის საშუალებით შეიძლებოდა უცხოეთის საქონლის შეძენა. მით უმეტეს, იმ დროს სამეგრელოში შემოჭრილი იყო რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალი და ეს გარემოება უკარნახებდა მთავარს შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენის მიზნით, ხელი შეეწყო ვაჭრობისა და წარმოების განვითარებისათვის.

ამ მხრივ, დავითი საკმაო ინტერესს იჩენდა. იგი მფარველობას

---

[1] *В. Н. Иваненко*, Гражданское управление Закавказья, გვ. 488.

უწევდა ვაჭრებს, დავით ჭედიას აგზავნიდა სტამბოლში, საიდანაც მოჰქონდა საჭირო საქონელი. სამეგრელოდან უცხოეთში გაჰქონდათ: აბრეშუმი, სელის ქსოვილი, თაფლი, ტყავი და სხვა. ზუგდიდში, სუჯუნაში, ყულევში და სხვ. იმართემოდა დიდი ბაზრობა. მთავარი ხელს უწყობდა აგრეთვე მეაბრეშუმეობის განვითარებას და მან 1848 წელს ზუგდიდში მოიწვია ფრანგი როზმორდუკი, რომელმაც ზუგდიდში გამართა მეაბრეშუმეობის ქარხანა. აბრეშუმის წარმოება სამთავროს კარგ შემოსავალს აძლევდა. ამის შესახებ მეფის მოადგილე მიხ. ვორონცოვი თავის მოხსენებაში სწერდა ხელმწიფეს: „სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა დიდად ხელი შეუწყო აბრეშუმის მრეწველობას იმით, რომ ერთს პატივცემულ საფრანგეთის ქვეშევრდომს გრაფ როზმორდუკს სამეგრელოს მთავარ დაბაში, ზუგდიდში, მოაწყობინა სამაგალითო ქარხანა, რისთვისაც როზმორდუკმა გამოიწერა რამდენიმე ფრანგი ქალი. ეს ორი წელიწადია ამ მრეწველობას დიდი სარგებლობა მოაქვსო“-ო (Акты, X, 886).

ამ ქარხანამ 1851 წელს დაამუშავა 13 ფუთი ძაფი, რომელიც გაიყიდა ლიონში ფუთი 250 მანეთად (*ი. მეუნარგია*, დავით დადიანი, 152).

დავითმა მოაწყო აგრეთვე არყის გამოსახდელი ქარხნები ზუგდიდსა და სალხინოში. მაგრამ მიუხედავად დავითის ასეთი მცდელობისა, მან მაინც ვერ შეძლო დაქვეითებულ სამთავროს კულტურულ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. მით უმეტეს, რომ მის მოღვაწეობაში უფრო სჭარბობდა პირადი გამდიდრების ტენდენციები და ამის გამო, ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ დავითის პოლიტიკით.

1853 წელს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დავით დადიანი გარდაიცვალა და მას დარჩა მცირეწლოვანი მემკვიდრე ნიკოლოზი. ამის გამო, მეფის მოადგილე ვორონცოვმა აღძრა შუამდგომლობა ხელმწიფესთან, რომ ნიკოლოზის დასრულწლოვანებამდის სამეგრელოს მმართველად დაენიშნათ დედოფალი ეკატერინე. ამაზე 1853 წლის 8 ოქტომბერს მოვიდა ხელმწიფის ბრძანება: „რადგან მთავრის მემკვიდრე უფროსი შვილი მისი, თავ. ნიკოლოზი მცირეწლოვანია განსვენებულის დავით დადიანისა ქვრივი დაინიშნოს მზრუნველად შვილისა და სამეგრელოს მმართველად, სანამ შვილი 20-ს წლისა გახდებოდეს. დამხმარებად და მრჩეველებად მიეცესთ განსვენებულის ძმანი თავ. გრიგოლ დადიანი და თავ. კონსტანტინე დადიანი, აგრეთვე ყოვლად სამღვდელო ჭყონდიდელი ზაქარია“ (Акты, X, 262).

ამასთანავე, იმპერატორმა კეთილგანწყობის ნიშნად, ეკატერინე დედოფალს უბოძა წმ. ეკატერინეს კავალერ-ქალის პირველი ხარისხის ორდენი. ამის შემდეგ ეკატერინე შეუდგა სამთავროს საქმეების მოწესრიგებას და თანახმად იმპერატორის ბრძანებისა, მისთვის რჩევა და დახმარება უნდა აღმოეჩინათ მისივე მაზლებს

ეკატერინე დადიანი.

გრიგოლსა და კონსტანტინე დადიანებს, მაგრამ ამ მმართველ წრეში ჩქარა თავი იჩინა უთანხმოებამ და ამ ნიადაგზე დაიწყო მათ შორის ინტრიგა, რაც თანდათანობით იღებდა მწვავე ხასიათს. გრიგოლ დადიანი უკმაყოფილო იყო ეკატერინეზე მთავრის უფლებების გადაცემით. მას თვითონ სურდა მიეღო მთავრის ხელისუფლება.

ამოტომ, გრიგოლ დადიანი უგულოდ ეკიდებოდა სამთავროს საქმეებს, ცდილობდა რუსეთის მთავრობისათვის ეჩვენებინა ეკატერინეს სისუსტე და შეუფერებლობა, რომ თვითონვე მოქცეულიყო სამთავროს სათავეში. ეკატერინე ამას კარგად გრძნობდა და მას სძულდა გრიგოლი, რომელსაც დედოფალი უნდოდ ეკიდებოდა. ეკატერინე აგრძელებდა და მტკიცედ ატარებდა თავისი მეუღლის დავითის პოლიტიკას სამთავროში. მან იცოდა, რომ სამეგრელოს სამთავროს რუსეთი ჩქარა გააუქმებდა და ამის გამო, ეკატერინეს საზრუნავი საქმე იყო შვილებისათვის მიეცა კარგი აღზრდა და მათთვის შეენარჩუნებინა მეტი მამული და ქონება. მას ნაკლებად აინტერესებდა სამთავროს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის საქმეები, რაც ფაქტიურად უკვე რუსეთის მთავრობის ხელში იყო მოქცეული. თავისი უფლებისა და ქონების დაცვის მიზნით, ეკატერინემ ამასთანავე, დაიახლოვა ჩიქვანები, რომლებმაც



ზუგდიდი. დადიანების სასახლე.

ძლიერი გავლენა მოიპოვეს სამთავროს კარზე. ეკატერინე ახლა ცდილობდა, რომ მისი მომხრე ჩიქვანების გრიგოლ დადიანთან დაპირისპირებით გაენადგურებინა მოწინააღმდეგეთა ჯგუფები.

ამ ორთან არსებობდა აგრეთვე მესამე პოლიტიკური დაჯგუფება, რომელსაც მეთაურობდა ელიზბარ დადიანი. ამ ჯგუფში შედიოდნენ: მხეიძეები, დგებუაძეები და სხვა. ეს ჯგუფი განწყობილი იყო რუსოფილურად და მოითხოვდა სამეგრელოს სამთავროს გაუქმებას და რუსეთთან შეერთებას (*Бороздин*, 99).

ამგვარი პოლიტიკური დაჯგუფებები და ამასთანავე, პირად შურიანობაზე და სიძულვილზე აღმოცენებული ინტრიგები იწვევდა სამთავროში შფოთსა და არევ-დარევას. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა რუსეთის მთავრობას, რომ ბოლო მოეღო სამეგრელოს სამთავროს დამოუკიდებელი არსებობისათვის.

ასეთ დაძაბულ პირობებში, ეკატერინემ განიზრახა პირველყოვლისა, სისრულეში მოეყვანა თავისი მეუღლის, დავით დადიანის, ანდერძი, რომ სუჯუნიდან გადმოეტანათ მარტვილში სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც შეეძლო საკმაოდ დიდი შემოსავალი მიეცა დედოფლის სასახლისათვის. ეკატერინემ ამაზე დაითანხმა ჭყონდიდელი თეოფანე. მაგრამ, როდესაც დედოფლის ეს განზრახვა ხალხს გამოუცხადეს, სუჯუნის საკათედრო ეკლესიის მრევლმა ამაზე უარი განაცხადა, რადგანაც ხატის გადატანის შემდეგ, სუჯუნა კარგავდა მნიშვნელობას, როგორც საჭყონდიდლოს რელიგიური ცენტრი და ამასთანავე, სამღვდელოებასაც შეუმცირდებოდა ის დიდი შემოსავალი, რომელსაც შემოწირულობების სახით ეს ეკლესია იღებდა. სუჯუნის სამღვდელოებამ და თავადაზნაურობამ ამაზე გამართეს ფარული ბრძოლა დედოფლის წინააღმდეგ. მათ შეძლეს დაერაზმათ სუჯუნის ეკლესიის მრევლი და, როდესაც ხატის წასაღებად გამოცხადდნენ დედოფლის კაცები, ხალხი აჯანყდა და მათ გაუწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა: „ატყდა აჯანყება, შეიქმნა ზარის რეკა და ბუკის ცემა დაუცხრომელი ხალხისაგან; არ იყო დაწყნარება ისე მოასკდა უმრავლესი ხალხი; ერთხმად შეთქვეს პირი: ან გაწყვეტა, ან ჩვენი ჩვეულების მოშლა არ იქნესო"[1]. მაშინ ეკატერინემ სუჯუნაში გაგზავნა შეიარაღებული ძალა სახლთუხუცესის კონსტანტიმე დადიანის მეთაურობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩაქერო ამბოხება და ხატი გადაეტანა მარტვილში. მაგრამ კონსტანტინეს გამოჩენამ ხალხი კიდევ

---

[1] *ბ. კოლხიდელი*, გლეხების აჯანყება სამეგრელოში, ტფილისი, 1926 წ., გვ. 16. იხ. ხოშტარიას მოგონება.

უფრო ააღელვა და ახლა სუჯუნის მრევლი გადავიდა აშკარა ბრძოლაზე. კონსტანტინეს მხლებლებს სცემეს და იარაღი აჰყარეს (Акты, XI, 38-39). ამგვარად, ეკატერინემ თავის საწადელს ვერ მიაღწია და ამ შემთხვევაში იგი სასტიკად დამარცხდა. სუჯუნის ამ ინციდენტში ჩაერია მეფის ნაცვალი მურავიოვი, რომელმაც სუჯუნის საქმის შესახებ გამართა მიმოწერა ეკატერინესთან და ურჩევდა მას ხელი აელო თავის განზრახვაზე და საქმის გასარკვევად სუჯუნაში გაეგზავნა კომისია.

გრიგოლ დადიანისა და თეოფანე ეპისკოპოსის შემადგენლობით დედოფალმა გაგზავნა კომისია, რომელმაც ამ საქმის მთავარ დამნაშავედ სცნო დეკანოზი ნიკოლოზ ხოშტარია და იგი სხვა ბრალდებულებთან ერთად, გადაასახლეს სუჯუნიდან. სუჯუნის საქმეში დამარცხებამ შეარყია დედოფლის ავტორიტეტი და გავლენა ხალხში და ამან ფრთები შეასხა დედოფლის მოწინააღმდეგე ჯგუფებს.

შინაური მდგომარეობის შერყევას ჩქარა მოჰყვა საგარეო საქმეების გართულება. ამ დროს წარმოებდა ომი, რომელიც დაიწყო 1853 წ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ოსმალეთის მოკავშირეები იყვნენ ინგლისი და საფრანგეთი და რუსეთს უხდებოდა მათთან ბრძოლა შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩასაგდებად. ამ ომის ერთ-ერთ ასპარეზად იქცა აფხაზეთი და სამეგრელო.

1854 წ. ოსმალებმა აიღეს ყულევი და დაიწყეს შეტევა სამეგრელოზე. ოსმალეთის ჯარის მოახლოების გამო ეკატერინე იძულებული იყო დაეტოვებინა ზუგდიდი და იგი თავისი შვილებით გადავიდა გორდში. 1855 წლის 25 ოქტომბერს ოსმალეთის ჯარი ომერ-ფაშას მეთაურობით მოადგა მდინარე ენგურს და გადალახა ეს მდინარე. სოფ. კოკთან მოხდა პირველი შეტაკება რუსის ჯართან.

დიდი ბრძოლის შემდეგ დაიწყო რუსის ჯარის უკან დახევა, რასაც მოჰყვა ოსმალების გადასვლა შეტევაზე და ომერ-ფაშამ ჩქარა ზუგდიდიც აიღო. რუსის ჯარი განაგრძობდა უკან დახევას ხონისაკენ და დედოფალი ახლა გადავიდა ლეჩხუმში და აქ თავი შეაფარა მურის ციხეს. ოსმალების გამარჯვებამ და სამეგრელოში ოსმალების შემოსვლამ, გამოიწვია ხალხში დიდი შიში და პანიკა. მოსახლეობა გარბოდა სოფლებიდან და ტყეში იხიზნებოდა.

ომერ-ფაშამ გამართა დიპლომატიური მოლაპარაკება ეკატერინესთან, ურჩევდა მას თავისი მემკვიდრით გადმოსულიყო ზუგდიდში, გაეწყვიტა რუსეთთან კავშირი, მინდობოდა ოსმალეთს და

იგი პირდებოდა სამეგრელოს დამოუკიდებლობის დაცვასა და ხელშეუხებლობას. აი ერთი მისი წერილთაგანი:

ზუგდიდი, 30 – 12 – 1855 წელი.

თქვენო უგანათლებულესობავ!

„შემოველ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენი შვილის სახელით თქვენი უგანათლებულესობა ჰმართავს, ჩემს მოვალეობად ვრაცხ გაუწყოთ ზრახვანი ჩემის უავგუსტოესის სულთანისა და დიდთა მის მოკავშირე სახელმწიფოთა.

დღევანდელი ომი, როგორც ეს თქვენმა უგანათლებულესობამ უწყის, დაწყებულია იმ სამართლიანი განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ და ბოლო მოულოთ დაპყრობით წადიერებას რუსეთის იმპერატორისას.

აი, სწორედ ამ მიზნით გახლავართ აქ; თან მყავს იმდენი ჯარი, რომელიც ღვთის შემწეობითა და იმის წყალობით, რომ სამართლიანი საქმისთვის ვიბრძვით, სრულიად საკმაო იქნება განვდევნოთ მტერი ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი უგანათლებულესობა მეფობს; მაგრამ შემოველი რა სამეგრელოში, მე ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფისა და მისი მოკავშირე დიდი სახელმწიფოების სახელით, მონდობილი მაქვს დავუმტკიცო თქვენს უგანათლებულესობას, რომ მათ სრულებით არ სურთ შეეხონ სამეგრელოს მართვა-გამგეობას ან რაიმე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაზე.

მათი ერთადერთი სურვილია, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებელნი რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებისგან და რომ საკუთარი მთავრობანი თავისუფლად მართავდნენ მათ...

როდესაც ჩემმა ჯარმა, სამეგრელოში შემოვიდა რა, დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთ ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი მიუნებებიათ თავიანთ სახლ-კარისა და ქონებისათვის, რაც საერთაშორისო უფლების თანახმად, სამხედრო ნადავლად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, დავინახე, რომ ჯარს სხვა მეზობელი ქვეყნის მკვიდრნი მოჰყვნენ და ადგილობრივ მკვიდრთ რბევა დაუწყეს და აგრძნობინეს ომიანობის მთელი საშინელებანი...

რომ ტანჯვა შემემცირებინა ამ საწყალი ხალხისათვის, მე ვიხმარე მთელი ღონისძიება, რათა ეს უცხოელნი თავთავიანთს ქვეყანაში გამეგზავნა, ხოლო ჩემი ჯარისკაცები სასტიკად დავსაჯე და ამით დავაკავე მკვიდრთა რბევა-აწიოკებისაგან. მცხოვრებთა ერთი ნაწილი უკვე დამშვიდებული დაუბრუნდა თავის სახლთ-

კერას. მაგრამ ამ კაცთმოყვარული საქმის დასასრულებლად, მე ვიწვევ თქვენს უგანათლებულესობას, დაბრუნდეს თავის სასახლეში, განაგრძოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობა და ამგვარად დაამშვიდოს ქვეშევრდომნი და ჩააგონოს მათ, თუ რა სწადია ჩემს ხელმწიფეს, განუმარტოს ისიც, თუ რა აზრით არის აქ მოსული ჯარი, სახელდობრ, აუხსნას ის, რომ ჯარი აქ რუსებს უნდა ებრძოლოს და აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსი თავისი ძველებური მართვა-გამგეობით...

თქვენის უგანათლებულესობის დაბრუნების მოლოდინში მე თქვენს მაგივრად სამეგრელოს მმართველად ვაცხადებ ბატონიშვილ ნიკოს, რომელიც თქვენმა უგანათლებულესობამ ზუგდიდში გამოგზავნეთ, მაგრამ თქვენის შვილის და ქვეშევრდომთა ინტერესებისათვის, მე თქვენ გიხმობთ ჩამობრძანდეთ ზუგდიდში როგორც ეს შესაძლებელი იქნება და თვით ჩაიბაროთ სამეგრელოს მართვა-გამგეობა.

დავრჩები თქვენის უგანათლებულესობის უაღრესი პატივის მცემელი ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი: ომერი" (*Бороздин,* 34-36; კოლხიდელი 19-20).

ეკატერინემ ეს წერილი მიიღო, მაგრამ რუსის მოხელეების რჩევით, იგი მტკიცედ იდგა რუსეთის ერთგულებაზე და პასუხსაც არ აძლევდა ომერ ფაშას. ჩქარა მურავიოვმა ყარსის ციხე აიღო და ამას მოჰყვა ოსმალების ჯარის უკან დახევა. ომერ ფაშას განკარგულებით, ოსმალებმა გადაწვეს ზუგდიდის სასახლე და ბაღი. ოსმალების ჯარმა აიკლო სოფლები და დაბები და იგი დროებით გამაგრდა ქვალონსა, ყულევსა და ნაბადას შორის. მაგრამ ოსმალები აქაც დამარცხდნენ და 1856 წლის 19 მარტს პარიზის ტრაქტატის თანახმად, ოსმალებმა დაცალეს ოდიშისა და აფხაზეთის ტერიტორია (*Потто,* 489).

ოსმალების შემოსევის შემდეგ, სამეგრელოს მოსახლეობა მოექცა უფრო მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებში. სოფლის მეურნეობა დაეცა, აოხრებული სოფლები და ქალაქები მოითხოვდა აღდგენასა და განახლებას. ზუგდიდში დაიწვა სასახლე, გაიძარცვა სავაჭროები, განადგურდა ახალფეხადგმული წარმოებანი და სხვათა შორის, როზმორდუკის საქსოვი ქარხანაც დაიწვა.

ომისაგან დაზარალებული სამთავროს მოსახლეობა ახლა მოითხოვდა დიდ მზრუნველობას და ეკონომიკურად ხელის შეწყობას. ამასთანავე, საჭირო იყო აფორიაქებული მოსახლეობის დამშვიდება, წესრიგისა და სამართლის დამყარება.

მაგრამ ასეთ მზრუნველობას ვერ იჩენდა სამთავროს ხელისუფლება, რომელიც გართული იყო შინაური კინკლაობითა და ინტრიგებით. 1856 წელს ეკატერინე დედოფალი გაიწვიეს რუსეთში ალექსანდრე II-ის გვირგვინის კურთხევის ცერემონიაზე, რომელიც დანიშნული იყო ამავე წლის 26 აგვისტოს. ეკატერინე შეუდგა სამზადისს რუსეთში გასამგზავრებლად და მან თავისი აოხრებული სამთავრო განსაკუთრებული ინსტრუქციით გადააბარა გრიგოლ დადიანს, ხოლო სამთავროს სახლთუხუცესობა დავით ჩიქოვანს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამთავროს მამულის მეთვალყურეობა და აგრეთვე სალხინოს სასახლის შეკეთება. ეკატერინემ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოიჩინა პოლიტიკური გამჭრიახობა და მან სამთავროს საქმეები მიანდო ორს ერთმანეთის მოწინააღმდეგე პირს, რამაც უფრო ხელი შეუწყო სამთავროს საქმეების არევ-დარევას.

დედოფლის პეტერბურგში წასვლის შემდეგ, მებატონეები უფრო გათამამდნენ და ომიანობისაგან დაზარალებულმა მებატონეებმა ხელი მიჰყვეს გლეხების უსაზღვრო ექსპლუატაციას. ამ მიზნით, მებატონეებმა დაიწყეს ისედაც გაღატაკებული გლეხობის სხვადასხვა გადასახადით დაბეგვრა, ხოლო ურჩობისათვის გლეხებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ამ პერიოდში ბატონყმურმა ურთიერთობამ სამეგრელოში მიიღო მეტად მახინჯი სახე, რაც გლეხობაში იწვევდა დიდ უკმაყოფილებას.

გაბატონებულ წოდებას, რომელსაც ეკუთვნოდნენ თავადები, აზნაურები და მაღალი სამღვდელოება, ყმურ სამსახურს უწევდა გლეხობა. ამ მხრივ გლეხები იყვნენ: *მოჯალაბე* ან *დელმახორე*, *მებეგრე* და *აზატი*. მათში ყველაზე დაბალი, დამცირებული და უუფლებო იყო *მოჯალაბე*, რომელიც შეადგენდა მებატონის სრულ საკუთრებას. მებატონეს შეეძლო მისი გაყიდვა, მზითევში გაყოლება და სხვა. მოჯალაბეს ევალებოდა ღომის ცეხვა, რაც სამეგრელოში ითვლებოდა ყველაზე დამამცირებელ სამუშაოდ[1].

გლეხების მეორე კატეგორიას შეადგენდა *მებეგრე*, რომელიც უფლებრივად მოჯალაბეზე მაღლა იდგა და მას საბატონო ბეგარის გადახდა ევალებოდა. ბეგარაც ორგვარი იყო: თავ-ბეგარა და

---

[1] Р. Эристов, О крестьянском сословии в Мингрелии, Журн. «Кавказская старина», год 1, №4-6, 1883г., стр. 148-153; კ. ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში, თ. სახოკიას თარგმანი, ტფილისი, 1927 წ. გვ. 40-50.

დამატებით ბეგარა. თავ-ბეგარა შეიცავდა ერთ ღორს 4-5 მანეთიანს, 1-10 კოკა ღვინოს, 15 ქილა ღომს და ერთ ქათამს. თითოეულ მებეგრე კომლს ეს გადასახადი ყოველწლიურად უნდა მიერთმია თავის ბატონისათვის. ამას გარდა, დამატებით გადასახადში მას უნდა ეძლია მებატონისათვის:

1. საური – საერობო გადასახადი იყო და ეკუთვნოდა თვით სამეგრელოს მთავარს. ამ გადასახადს ყოველწლიურად იხდიდნენ გლეხები კომლზე ათ შეურს;

2. საუდიეროს – იხდიდნენ ყოველწლიურად: თითო ორ მანეთიან ღორს, 10-დან 15 კოკამდე ღვინოს, 1-5 ქილა ღომს და ერთ ქათამს.

3. ოჩამური – ანუ *ოჭკომური* – ბატონის ცოლ-შვილისათვის გლეხს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ უნდა ეჭმია კარგი სადილი;

4. ცხენის ჭმევა – გამოკვება ბატონის ერთი ცხენისა და მეჯინიბესი ერთს ზამთრის თვეში.

5. საბოჭი ქათამი – ხსნილში ბატონი მოითხოვდა თუ არა ქათამს, თითოეულ კომლს თითო ქათამი უნდა მიერთმია.

6. საყველიერო – 30 კბილის (კიპუალი) ყველი, 30-40 კვერცხი და თევზი.

7. ოდიდპიჩური (სადიდმარხვო) – უნდა მიერთმიათ ბატონისათვის სამარხვო საჭმელი.

8. საალდგომო – კვერცხები და ქათამი.

9. ობატკური – საბატკნო, იხდიდნენ ერთ ან ორ ციკანს.

10. ძღვენი – მოჰქონდათ საშობაოდ და საალდგომოდ: ბატკანი, ციკანი, ან ყვერული, ტიკჭორა ღვინო და კვერცხები;

11. სამასპინძლო – ბატონისა და მისი ოჯახის გამასპინძლება წელიწადში ერთხელ.

12. საპურე – პური ანუ სამახებო – ორი დედო პური, ერთი ტიკჭორა ღვინო, ერთი ქათამი ან ორი სულუგუნი.

13. საბურო – ხუროებისათვის ბატონის სახლის აშენების დროს იხდიდნენ.

14. საკურძუალო[1] – ბაზიერ-მეძებართა შესანახავად იხდიდნენ:

---

[1] დადიანს დღევანდელ სოფ. კურზუს მიდამოში ჰყოლია „მეკოლორეები" (მეძაღლეები), რომლებსაც ევალებოდათ მონადირე ძაღლების გაწვრთნა და შენახვა. ასეთი ყოფილან: გაბისონია, ფონია და ესართია. ამის გამო, მათ უწოდებდნენ „კურზულ"-ს (ძაღლის მწყემსი) და სოფელსაც დარქმეულა კურზუ. ეს სოფელი ტეხურის ხეობის სათავეშია და ეკუთვნის მთიან სამეგრელოს. აქ დაცულია გიორგი დადიანის სასახლე „დოხორე".

სამ კოთხო ღომს, თითო კოკა ღვინოს და თითო ციკანს წელიწადში.

15. სამეჯინიბო – სამეგრელოს მთავრის მეჯინიბეთა შესანახავად.

16. საუნადო – მებატონის ყანაში სავალდებულო სამუშაო, ხოლო ამ სამუშაოზე ვინც არ გამოვიდოდა იგი დღეში ათ შაურიდან ოთხ აბაზამდე იხდიდა.

17. საქორწილო – ჯვრისწერის გადასახადი იყო კომლზე ერთი ძროხა.

18. სამარხი – როცა ვინმე მოკვდებოდა ბატონის ოჯახის წევრთაგანი გლეხები იხდიდნენ 1-5 მანეთამდის.

19. საჩექმე – ქალის გათხოვებისას გლეხი იხდიდა ათ მანეთამდის.

20. საქვრივო – როცა გლეხის ქვრივი სხვა მებატონის კაცს მისთხოვდებოდა, მებატონე ერთს ხარს ახდევინებდა.

21. საციხო – ციხეების შესანახად 1 კოკა ღვინო, ერთი ქილა ღომი ან ხორბალი და ერთი ქათამი.

22. სამოურავო – მოურავის შესანახი გადასახადი იყო.

23. ნედლი აბრეშუმი – აბრეშუმის ახალ მოსავალზე ყოველი კომლი იხდიდა 1-4 ლანდს (ძაფს).

გარდა ამისა ახდევინებდნენ ცვილს, თაფლს, კანაფს, სელს, ბრინჯს, ხილს და სხვა.

ამ საბეგრო გადასახადებთან ყმა გლეხს ემართა აგრეთვე ბატონის სამსახურიც და ყოველი მებეგრე კომლი მოვალე იყო ბატონისთვის მიეცა მუდმივი მოსამსახურე – *ფარეში* ანუ *შინაყმა*, რომელიც ბატონის ოჯახში ყველაფერს აკეთებდა, გარდა ღომის ცეხვისა. ფარეშები ბატონის მამულში მუშაობდნენ: ხნავდნენ, მკიდნენ, ღობავდნენ, შეშას ეზიდებოდნენ, სუფრაზე ემსახურებოდნენ და სხვა.

მებეგრე გლეხი ვალდებული იყო მებატონესთვის მიეცა მსახური ქალი – *მოახლე*, რომელიც სამუდამოდ ბატონის ოჯახში რჩებოდა მოსამსახურედ. გლეხს ემართა აგრეთვე *ნადობა* – ბატონის ყანაში მუშაობა, ყანის თოხნა და ჭირნახულის აღება. ვინც ამ სამუშაოზე არ გამოცხადდებოდა, იგი იხდიდა *საუნადო* ბეგარას. *ტვირთობა* – გლეხს ევალებოდა ბატონის ბარგის გადაზიდვა, როდესაც იგი სადმე მიდიოდა და სხვა.

გლეხების მესამე კატეგორიას შეადგენდნენ *აზატები*, რომლებიც პირადი ყმური სამსახურისაგან თავისუფალნი იყვნენ, მხოლოდ გარკვეულ რაოდენობის გადასახადს აძლევდნენ მებატონეს. აზატს ორ წელიწადში უნდა მიერთმია ბატონისათვის:

ერთი ძროხა, ერთი ან ორი ქილა ღომი და ორი კოკა ღვინო. აზატი ბატონს ახლდა მგზავრობაში, ინახავდა და უვლიდა მის ცხენს. აზატები უმასპინძლდებოდნენ ბატონსა და მის ოჯახობას წელიწადში ერთხელ და სხვა.

მცირეოდენ ურჩობისათვის დამნაშავე ყმას მებატონე სასტიკად უსწორდებოდა. ფიზიკური დასჯისათვის გამოყენებული იყო ყოველ-გვარი საშუალებანი: *ხუნდზე* დასმა[1], *ხაჯალურით* (ჯაჭვი) დაბმა, *დილეგში* (ორმოში) ჩაგდება, *თვალების დაწვა შანთით, გაწკეპლვა*[2] და სხვა.

სამეგრელოს 1860 წლის კამერალურ აღწერის ნუსხის მიხედვით, მთელს სამეგრელოში ყოფილა 25. 479 კომლი. მათ შორის:

1. მაღალი უხარკო წოდება:

თავადები.....	303 კომლი;
აზნაურები.....	2. 073 კომლი;
სასულიერო წოდება.....	469 კომლი;

სულ: 2. 855 კომლი.

2. დაბალი მოხარკე წოდება:

აზატი.....	575 კომლი;
მსახური.....	3. 989 კომლი;
გლეხი.....	17. 060 კომლი;
მოჯალაბე.....	990 კომლი;

სულ: 22. 614[3] კომლი.

---

[1]ხუნდი მთლიან ხისაგან იყო გაკეთებული, ზომა და ფორმა მას განსხვავებული ჰქონდა. მაგრამ ჩვეულებრივ ხუნდის სიგრძე 1-2 მეტრამდის აღწევდა. ხუნდში ამოჭრილი იყო ფეხის ჩასადგმელი, რომელშიაც დამნაშავეს ფეხი უნდა ჩაედგა და შემდეგ მას ხის სოლით მაგრა ჩაკეტავდნენ ისე, რომ ტუსაღს სხვის დაუხმარებლად ფეხის ამოღება არ შეეძლო. ამგვარი ხის ხუნდები ჩვენში დაცულია მესტიისა და ქუთაისის მუზეუმებში.

[2]ყმებს ამათრახებდნენ წკნელით. გადაწყვეტილი იყო 60 მათრახი და თუ მემათრახე წყალობდა დამნაშავეს, იგი მოიტანდა ნედლ წკნელებს, თუ არადა ხმელებს. თითო წკნელს სამჯერ არტყამდნენ ტიტველ ტანზე. თუ პირველი დარტყმისას წკნელი გატყდებოდა, მას მერმე აღარ დაარტყამდნენ, იგი ითელებოდა სამჯერ დარტყმულად, ნედლი წკნელი ადვილად ტყდებოდა და სამოცის ნაცვლად დამნაშავეს ნაკლები მათრახი მოხვდებოდა.

[3] К. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии, 49-50.

ამ ნუსხიდან აშკარად ჩანს, რომ მაღალი წოდება დაბალ წოდებასთან ისეთივე დამოკიდებულებაში იყო, როგორც 1:8, ე.ი. რვა მშრომელს კისერზე აწვა ერთი მებატონე, რომელიც მისი ოფლითა ცხოვრობდა.

ყმების ყიდვა-გაყიდვა, საქონელზე გაცვლა და სხვა ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. მაგრამ დროთა მანძილზე სამეგრელოს პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობები არსებითად შეიცვალა, რასაც მოჰყვა ბატონყმური ურთიერთობის შერყევა. ამას ხელს უწყობდა, პირველყოვლისა, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კაპიტალის შემოჭრა სამეგრელოში შავი ზღვის სანაპიროდან. სამეგრელოში თანდათანობით ვითარდება ვაჭრობა და წარმოება. დავით დადიანის დროს ზუგდიდში არსდება აბრეშუმისა და არყის გამოსახდელი ქარხნები, სადაც უცხოელებთან ერთად მუშაობენ მეგრელებიც. ვაჭრობის განვითარებასთან ნატურალური მეურნეობა გადადის ფულად მეურნეობაზე და ეს გარემოება იწვევდა არსებულ სოციალურ ჯგუფებში ქონებრივ დიფერენციაციას. სამრეწველო საქონელთან ერთად, უცხოეთიდან სამეგრელოში შემოდიოდა ახალი იდეები, კულტურა და განათლება. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა სამეგრელოს გლეხობის მოწინავე ჯგუფების გათვითცნობიერებას. ამის შესახებ გენერალი კოლუბიაკინი სწერდა მეფისნაცვალს თავის მოხსენებაში სამეგრელოში გლეხების ამბოხების გამო: „არ არის საეჭვო, რომ მმართველობის ნაკლსა და შინაურ ბოროტ შთაგონებას ზედ დაემატა დასავლეთელების იდეების გავლენა... შემოტანილსმეტყვიან – ვის მიერ, რა გზით. ვუპასუხებ. წარსული ომით, მოვაჭრე უცხოელების აქ ყოფნით, კონტრაბანდისტების მიერ და ბოლოს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ზღვიდან ქარით“-ო (Акты, XII, 172-173).

მით უმეტეს, სამეგრელოს გლეხობა კარგად ხედავდა, რომ იმერეთში რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ ბატონყმური ურთიერთობა საგრძნობლად შეიცვალა და გლეხებიც უფრო ასატან პირობებში ცხოვრობდნენ, ვიდრე სამეგრელოში, ეს გარემოება ამხნევებდა მებატონეებისგან დაჩაგრულ გლეხობას და იგი მზად იყო ამბოხებისათვის, მხოლოდ უცდიდა ხელსაყრელ პირობებს. ეს დროც ჩქარა მოახლოვდა. ეკატერინეს მოსკოვში წასვლის შემდეგ, დავით ჩიქოვანი შეუდგა სალხინოს სასახლის შეკეთებას. ამისათვის მორეკეს გლეხები, რომლებსაც უნდა მოეზიდათ საშენი მასალა. გლეხები თავიანთი ხარჯით შეუდგნენ მუშაობას,

მხოლოდ სთხოვეს ჩიქოვანს ნებართვა, რომ სამთავროს წისქვილში უმინდოთ დაეფქვათ გამოსაკვები ჭირნახული. სახლთუხუცესმა ჩიქოვანმა გლეხებს ამაზე უარი უთხრა და ამან გამოიწვია გლეხობის საშინელი გულისწყრომა და პროტესტი. გლეხებმა აირჩიეს დეპუტაცია და გაგზავნეს ზუგდიდში ეკატერინეს მოადგილე გრიგოლ დადიანთან და სთხოვეს ბაჟისაგან განთავისუფლება, მაგრამ გრიგოლისაგან გარკვეული პასუხი ვერ მიიღეს. მაშინ გლეხები გაიფიცნენ და წაჩხურის ეკლესიის გალავანში ერთმანეთს შეფიცეს მებატონეების წინააღმდეგ ებრძოლათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდის. სახლთუხუცესის მოხელეებს გლეხებმა სცემეს და ჩიქოვანი ახლა გაიქცა გრიგოლ დადიანთან და სთხოვა მას შეიარაღებული ძალით დახმარება. გრიგოლმა ამაზე უარი განაცხადა, რადგან დედოფლის მიერ მოცემულ ინსტრუქციაში ამის შესახებ არაფერი წერიაო.

გლეხების აჯანყება თანდათან ფართო ხასიათს იღებდა. ამ მოძრაობას ჩქარა სათავეში ჩაუდგა არალეგალური წრე „სხუნუ", რომელიც შედგებოდა სამი წევრისაგან. მეამბოხე გლეხები დაბანაკდნენ სალხინოსა და კიწიას საზღვარზე, სადაც აღმართეს წითელი დროშა „შილა" და მეთაურად აირჩიეს მეჭურჭლე გლეხი უტუ თოდუა, რომელსაც უწოდებდნენ „მართალ" თოდუას. მეამბოხე გლეხობას ახლა მთელი სალიპარტიანო გვერდში ამოუდგა. სალხინოდან 4.000 კაცისაგან შემდგარი მეამბოხეთა ლაშქარი „ურდუმი" უტუ თოდუას მეთაურობით გადავიდა წალენჯიხაში, სადაც საერთო ხელმძღვანელად და სარდლად არჩეულ იქნა მჭედელი უტუ მიქავა. ამის შემდეგ მეამბოხეთა რიცხვი უფრო სწრაფად გაიზარდა და მიაღწია 10.000 კაცამდე. უტუ მიქავა იყო მხნე და გამბედავი პიროვნება და ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ამასთანავე იყო მებატონეების შეურიგებელი მტერი. უტუ მიქავას შემუშავებული ჰქონდა სახელმძღვანელო გეგმაც:

1. ყველა იმ გლეხს, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ მეამბოხეებს და არ შეუერთდებოდნენ მათ ფიცით, აპარტახებდნენ ქონებრივად და სჯიდნენ ფიზიკურად;

2. ათავისუფლებდნენ როგორც მოახლეებს, ისე ყოველგვარ მოსამსახურეებს თავადაზნაურების ოჯახებიდან და აქორწინებდნენ მათ;

3. იმ თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც გაუწევდნენ წინააღმდეგობა-ურჩობას ანდა ცნობილი იყვნენ წინათ თავიანთი სასტიკი მოპყრობით ყმებისადმი, ანადგურებდნენ უმთავრესად ქონებრივად;

4. ძალით შეიჭრებოდნენ ეკლესიებში და ძალით შეურაცხყ-

ოფდნენ იმ მღვდლებს და იმ საეკლესიო პირებს, რომლებიც არ თანაუგრძნობდნენ მათ და თავიანთი ქადაგებით ცდილობდნენ მათი მოძრაობის უარყოფას. მეამბოხეთა მეთაურები ხალხში ასეთ პროპაგანდას ეწეოდნენ: „თავადაზნაურობის წოდება არ უნდა არსებობდეს, რადგან ჩვენ ყველანი ძმები ვართ. ფუფუნება ცოდვაა, სავაჭრო მოგება უნდა იქმნას ზომიერი და ამისათვის წესდება ნიხრი ყოველგვარ საქონელზე და სხვა“ (Акты, XII, 107). ცულებითა და კეტებით შეიარაღებულმა გლეხობამ დაიწყო მებატონეების წინააღმდეგ მოქმედება და მათი სახლ-კარის აოხრება. მთელი ამ მოძრაობის ხელმძღვანელი და მმართველი გახდა უტუ მიქავა, რომელსაც ხალხი უწოდებდა „კეისარსა“ და „დადიას“.

უტუს განკარგულებებს ასრულებდნენ მის მიერ განწესებული პირები და მათი მეთაურობით გლეხები ეცემოდნენ მებატონეებს, უნგრევდნენ სახლ-კარს, ართმევდნენ ყმებს და სხვა. შეშინებული მებატონეები გარბოდნენ სვანეთში და აფხაზეთში. ამბოხება იღებდა საშიშარ ხასიათს და სამთავროს დროებითმა მმართველმა ნიკო დადიანმა და ჭყონდიდელმა თეოფანემ სცადეს მეამბოხეებთან მორიგება ეკატერინეს პეტერბურგიდან ჩამოსვლამდე. ამ მიზნით, ისინი გაემგზავრნენ მეამბოხეთა ბანაკში, სოფ. ოჩხომურში, მაგრამ ისინი მეამბოხეებმა არც კი მიიღეს (Акты, XII, 107).

1857 წლის აპრილში ეკატერინე დაბრუნდა რუსეთიდან თბილისში და მან აქ მიიღო პირველი ინფორმაცია გლეხების ამბოხების შესახებ. ეკატერინე ჩქარა შეუდგა საქმის ვითარების გამოძიებას და დავით ჩიქოვანმა მოახსენა მას სალხინოს ისტორია და შეეცადა თავი გაემართლებინა. თავის უმოქმედობას გრიგოლ დადიანი ინსტრუქციით ამართლებდა და ამ ნიადაგზე მათ შორის მოხდა დიდი შეტაკება. ეკატერინე გრიგოლს თავის მტრად თვლიდა და გლეხთა ამბოხებაში მას ბრალსა სდებდა.

ბოლოს ეკატერინემ გადაწყვიტა პირადად ჩარეულიყო ამბოხების საქმეში და იგი ეპისკოპოსის თანხლებით გაემგზავრა სალხინოში, სადაც თავი მოეყარა დიდძალ გლეხობას. მებატონეებისაგან განაწამები გლეხობა დედოფლისაგან მოელოდა შველასა და დახმარებას, მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ. ეკატერინემ ამ შემთხვევაში ვერ გამოიჩინა პოლიტიკური გამჭრიახობა და აღელვებულ გლეხობას მოსთხოვა სრული დამორჩილება და ზარალის ანაზღაურება. გლეხებმა ამაზე უარი განაცხადეს და მტკიცედ იდგნენ თავიანთ გადაწყვეტილებაზე, რომ არ წასულიყვნენ რაიმე დათმობაზე. ხალხის

წინაშე სასტიკად დამარცხებული დადოფლის დარჩენა სალხინოში საშიში გახდა, მით უმეტეს, მეამბოხეებმა ეკატერინეს ზოგიერთი შინაყმები დაატყვევეს და მასაც განსაცდელი მოელოდა. ამის გამო, ეკატერინე გაიხიზნა ქვაშიხორში და აქედან იგი შეუდგა ამბოხების ჩაქრობის თადარიგს. მან დახმარების აღმოსაჩენად მიმართა ქუთაისის გუბერნატორს კოლუბიაკინს, რომელსაც სწერდა: „სამეგრელოს სამფლობელოს დაბალ ხალხში ატყდა უწესრიგობა; გლეხები განუდგნენ თავიანთ მებატონეებს და ადგილობრივ მმართველობას. ისინი ფიცს სდებენ საერთოდ არ ულალატონ ერთმანეთს და ყოველი მდგომარეობის დროს ყველა იყოს ერთისთვის. არ ააშკარავებენ მეტს არავითარ მიზანს ამ უწესრიგობისას; ისინი დღითი დღე ცდილობენ სამეგრელოს ყველა გლეხის ერთ მთლიანობაში ფიცით შეერთებას და ამის შემდეგ ლამობენ იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მათ უწყიან. უმორჩილესად მოგმართავთ თქვენ ამის მიღებისთანავე, გამოგზავნოთ დაბა სენაკში 300 ან რამდენიც ხელს გეყოლებათ დონის ყაზახები კარგი მოთადარიგე ოფიცრით, რომელთაც უბრძანეთ სისწორით აღასრულონ მხოლოდ ჩემგან საკუთრივ გაცემული ბრძანებები“ (Акты, XII, 252-253).

ამ წერილის მიღებისთანავე, კოლუბიაკინი რუსის ჯარით გადავიდა ქუთაისიდან სამეგრელოში, რომ იქ ჩაქრო გლეხთა ამბოხება. ეკატერინემ პირველ შეხვედრისთანავე შესჩივლა კოლუბიაკინს, რომ ამბოხება მოწყობილია მისი მაზლის გრიგოლის მიერ და განაცხადა: „დავუტოვე სამეგრელო ნორმალურ მდგომარეობაში და მან (გრიგოლმა) თავისი მოღალატური მართვა-გამგეობით ააჯანყა გლეხობა. ახლა ჩემი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგაც, თავისი მალული მანევრებით ის ხელს მიშლის დავაწყნარო მხარე. ჯერ სანამ დააწყნარებდეთ სამეგრელოს, საჭიროა გრიგოლის გაძევება“-ო (*Бороздин*, 138-139). კოლუბიაკინმა ურჩია გრიგოლს წასულიყო ტფილისში და შემდეგ თავისი რაზმით საჩქაროდ გაემგზავრა მეამბოხეთა ბანაკისაკენ. სოფ. შხეფის მახლობლად მან შეამჩნია გლეხების დიდი ლაშქარი. როდესაც გენერალი მათთან მივიდა, რუსის ჯარმა მეამბოხეებს ალყა შემოარტყა და კოლუბიაკინმა მათ გამოუცხადა:

„თქვენმა დედოფალმა მომიხმო მე, რათა დაგიმორჩილოთ თქვენ. ნახევარი წელიწადია, რაც თქვენ არ უსმენთ კანონიერ ძალას. დედოფლის ვერავითარმა რჩევამ ვერ გასჭრა თქვენ შესაგონებლად. თქვენ თქვენი მებატონეები არამცთუ მიაგდეთ და არ ას-

რულებთ დაკისრებულ ვალდებულებას, არამედ სასტიკად უმკლავდებით მათ. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ამას ბოლო არ მოელება. მე მოვედი თქვენთან ანგარიშის გასასწორებლად და არ წავალ უამისოდ, თუნდაც რომ მომიხდეს გაწყვეტა“-ო (*Бороздин*, 142).

მაშინ ხალხის მოთხოვნით, გამოვიდა უტუ მიქავა და გენერალს მოახსენა: „დაახლოებით წლის უკან ჩვენი სამშობლო გარემოცული იყო ოსმალეთის ჯარით; მტერმა გასწყვიტა, დაანგრია ყველაფერი – შველას ჩვენ არსაიდან არ მოველოდით. რუსის ჯარი ჩვენგან წავიდა და ჩვენმა მებატონეებმა კი დახმარების მაგივრად, დაიწყეს ბავშვების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა: აუარებელი ბავშვი წაათრიეს ოსმალებმა ოსმალეთში.

მოგვშორდნენ ოსმალები, მაგრამ ჩვენი მებატონეები თვით ოსმალებზე უფრო სასტიკად მოგვეპყრნენ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენი შრომის ყოველგვარი ნაყოფი მათ სასარგებლოდ მიდის. გლეხს, მათი აზრით, არ უნდა გააჩნდეს არაფერი. მათი რწმენით, ჩვენ ყოველგვარ პირუტყვზე დაბლა ვდგევართ: მოეწონება ბატონს მეზობლის ქორი და ის სცვლის მასზე გლეხის კომლს, მწევარსა და მეძებარ ძაღლებზე კი რამდენიმე კომლს. პირუტყვი უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ჩვენ. იქ კი, ცხენისწყლის გაღმა (იმერეთში), არავითარ მსგავს მოვლენას არა აქვს ადგილი. ჩვენ ვიცით, რომ ისინი იქ არ დგანან პირუტყვზე დაბლა, რომ იქ არსებობს მათთვის სამართალი და კანონი. რად ვართ ჩვენ ასე მოძულებული ღვთისაგან, რომ ჩვენშიაც არ დამყარდა ისეთივე რამ. ბატონისათვის ბეგარის გადახდაში ჩვენ ვესწრაფოდით პატივისცემას ადათისადმი, რომელიც დაწესებულია ჩვენი წინაპრების მიერ. მაგრამ ის წმინდა ადათიც დიდი ხანია, რაც მათ შებილწეს და ომის შემდეგ კი, მათმა მძვინვარებამ ყოველს საზღვარს გადააჭარბა. გასაჩივრება? სად? ვის წინაშე? დედოფალი აქედან შორს იყო. მდივანბეგები კი მებატონის მხარეზე იყვნენ; მათგან, გარდა ძალდატანებისა, ჩვენ არაფერი სიკეთე არ გვინახავს; თვით დედოფლის მმართველნი იმ სიმხეცემდე მივიდნენ, რომ საკუთრივ მათმა გლეხებმა უარყვეს მათდამი მორჩილება და დედოფლის ჩამოსვლამდე კიდეც ფიცი დასდეს, არ გაეცათ ერთმანეთი. ჩვენ მივყევით მათ მაგალითს. ვფიქრობდით, რომ ის მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ განვლო თვეებმა, ჩვენ დავხეტიალობდით კუთხიდან კუთხემდე მებატონეებისაგან თავის დასაფარავად, მხოლოდ, როდესაც იმათ ჩვენზე დევნა და ნადირობა დაიწყეს, ჩვენ შევერთდით ამ-

ხანაგურად და ძალდატანებას ძალდატანებით ვუპასუხეთ. ბოლო, ზაფხულს ჩამობრძანდა დედოფალი და რა? არამც თუ ჩვენ მისგან რამე მფარველობა მივიღეთ, პირიქით, მან ჩვენი გაგონებაც არ მოისურვა. „როგორ თუ გაბედეთო, თქვა მან, მებატონეების წინააღმდეგობა – ურჩობა“-ო? ჩვენი წინააღმდეგობა კი მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენ ჩამოვართვით მათ ჯაჭვები და ხაჯალურები, რომლებითაც ჩვენ ისინი მთელი წლობით გვტანჯავდნენ. გამოვიყვანეთ მათი სახლებიდან დები, ქალიშვილები, რომლებსაც ისინი ხასებად იყენებდნენ მოახლის სახელწოდებით და ქრისტიანულად დავაქორწინეთ. სამშობლო ჩვენი ჩვენთვის მობეზრებულია. ჩვენ გადავწყვიტეთ მოვშორდეთ მას სამუდამოდ და ვიაროთ, საითკენაც თვალნი იხედებიან. ის რა სამშობლოა, სადაც შეუძლებელია თავის შეფარვა, სადაც შენზე, ვით მხეცზე, ნადირობენ. დედოფალმა ყველაფერი ეს უწყოდა ჩვენგან, მაგრამ მას ჩვენი შველა არ უნდოდა. არასოდეს და არაფრით ჩვენ მას არ ვაშინებდით. საშიში ჩვენგან არ იყო რა. ჩვენ ავაზაკები კი არ ვართ, არამედ დაბეჩავებული, უბედური, მხოლოდ სიმართლის მაძიებელი ხალხი ვართ. მოგვეცით ეს, გენერალო, ჩვენ გადაჭრით დაგემორჩილებით თქვენ“ (Акты, XII, 253-257; ***Бороздин,*** 144-147).

უტუმ, ამასთანავე, წარუდგინა გენერალს გლეხების ასეთი მოთხოვნები:

1. კაცის (ბატონის) კაცი არ უნდა არსებობდეს;
2. ნაცვლად ბატონების უანგარიშო მმართველობისა, უნდა იქნას ერთი უფლებიანი კანონიერი მმართველი;
3. უნდა მოისპოს ყმების ყიდვა-გაყიდვა;
4. გადასახადს უნდა დაედოს ნორმალური საზღვარი;
5. ყმა უნდა სარგებლობდეს ადამიანური უფლებებით;
6. საკუთრება არ უნდა იყოს დამოკიდებული ბატონის თვითნებობაზე, არამედ უნდა არსებობდეს სავალდებულო ნორმა;
7. უნდა მოისპოს წინანდელი სატანჯი იარაღები და უნდა დაწესდეს სამართალი ბატონსა და ყმას შორის;
8. განმტკიცებულ ადათისადმი უნდა არსებობდეს პატივისცემა. (კოლხიდელი, 47).

უტუმ მოატანინა და იქვე დაჰყარეს ხუნდები, ხაჯალურები და ქანჩები, რომლითაც სტანჯავდნენ გლეხებს მებატონეები. გენერალმა ურჩია მეამბოხე გლეხებს საქმის გარჩევამდის დაშლილიყვნენ და ალუთქვა საქმის გამოძიება და მოწესრიგება. ამის შემდეგ, უტუ

მიქავას დახმარებით, გენერალმა შეძლო აღელვებული გლეხების დაშოშმინება. ეს კი არ ესიამოვნა ეკატერინე დედოფალს, რომელიც კოლუბიაკინისაგან მოელოდა მეამბოხე გლეხების მიმართ უფრო გადამჭრელ ზომებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩაეხშო გლეხების ამბოხების ყოველგვარი ცდა. ამის გამო, ეკატერინე მეტად უკმაყოფილო იყო რუსის მოხელეების მოქმედებით და მათ ბრალსაც კი სდებდა მეამბოხეების მიმხრობაში. ამან გამოიწვია რუსეთის ხელისუფლების ჩარევა სამეგრელოს შინაურ საქმეებში. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ურჩევდა ეკატერინესა და სამეგრელოს თავად-აზნაურებს გამოეჩინათ გლეხებისადმი მეტი ლმობიერება და მკაცრი ფიზიკური სასჯელი გლეხებისა შეეცვალათ უფრო მსუბუქი ზომებით. მაგრამ ისინი დათმობაზე არ მიდიოდნენ. გლეხები კი იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლების ჩარევის შემდეგ არსებული ბატონყმური ურთიერთობა შეიცვლებოდა.

საქმის ვითარების გამოსარკვევად მეფის ნაცვალმა ბარიატინსკიმ სამეგრელოში გამოგზავნა თავისი მოხელე იპოლიტე დიკრუასი, რომელიც გაეცნო გლეხების მძიმე მდგომარეობას, მებატონეების თავგასულობას და სამეგრელოში გაბატონებულ უსამართლობას. იგი ამის შესახებ თავის მოხსენებაში ბარიატინსკის სწერდა: „სიმართლე არაფერში არ არის. ადმინისტრაცია ცხოვრობს ბაჟებით. თვით მონაწილეობას ღებულობს ქურდობასა და ძარცვაში. სამართალი აშკარად იყიდება ფულით. სკოლების ხსენებაც არ არის. დედოფალს სურს მხოლოდ იმეფოს, სასახლენი აშენოს და სრულიად არ ფიქრობს მართვა-გამგეობაზე, მიანდო რა ეს უკანასკნელი ჩიქოვანების თავისუფალ ძარცვა-გლეჯას“-ო (Акты, XII. *Бороздин*, 157-158).

დიკრუასის ამ მოხსენებით ისარგებლა ბარიატინსკიმ და რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა სამეგრელოში დაემყარებინა რუსული მმართველობა. 1857 წ. პირველ აგვისტოს სამეგრელოში შემოდის რუსეთის ჯარი და ამასთან ერთად, გამოქვეყნებული იქნა ბარიატინსკის ბრძანება, რომ სამეგრელოს სამთავროს არსებული ხელისუფლება შეიცვალოს და დაინიშნოს ახალი საბჭო დიკრუასის თავმჯდომარეობით. ამ საბჭოში სამეგრელოს თავადობიდან უნდა შესულიყო ორი საპატიო პირი. საბჭო სამეგრელოს განაგებდა, ვიდრე სამთავროს მემკვიდრე გახდებოდა სრულწლოვანი (Акты, XII, 264-265). ამავე დროს, თანახმად ხელმწიფის ბრძანებისა,

ეკატერინეს წინადადება მიეცა დაეტოვებინა სამეგრელო და ვითომც შვილების აღსაზრდელად გადასულიყო პეტერბურგში (Акты, XII, 291-292). ეკატერინე ამაზე არ თანხმდებოდა, საშინლად ღელავდა, ნერვიულობდა და სიმწარით ამბობდა: „მე ვიცი, რა მომელის. გადამასახლებენ სამეგრელოდან და ქონებასაც ჩამომართმევენ. მე და ჩემს შვილებს გადმოგვიგდებენ მცირე პენსიას, მომექცევიან ისე, როგორც ეს მათ ჩაიდინეს საქართველოს ბატონიშვილების მიმართ, სამეგრელოს კი დადიანის ნაცვლად ვიღაც სალდათის შვილი კოლუბიაკინი უნდა განაგებდეს"-ო (*Бороздин*, 164).

რუსეთის ჯარის შემოსვლამ და სამეგრელოში ახალი მმართველობის შემოღებამ დააფრთხო სადადიანოს ხელისუფლება და თავადაზნაურობა, რომლებიც კარგად გრძნობდნენ, რომ რუსული რეჟიმის დამყარებით ბოლო მოეღებოდა სამთავროს დამოუკიდებელ არსებობას და მათ ბატონობასაც. ამიტომ მათ შეადგინეს გრძელი პეტიცია, რომელზედაც ხელი ეწერა 166 თავადსა და 849 აზნაურს და იგი გადაუგზავნეს მეფის-ნაცვალს ბარიატინსკის, რომ მას ეშუამდგომლა ხელმწიფესთან სამეგრელოს სამთავროსა და მისი დედოფლის უფლებების დასაცავად. ამ მოხსენებაში თავადაზნაურობა ხელმწიფეს არწმუნებდა თავის ერთგულებაში, თავს იმართლებდა სამეგრელოში მომხდარ უწესრიგობაზე და სხვათა შორის მოახსენებდნენ: „სამწუხაროდ, დედოფლისა და მცირეწლოვანი მთავრის წასვლამ წააქეზა ზოგიერთი უწესო პირი ახლანდელი ამბოხების დაწყებაში. მათი მისწრაფებანი დღეს უკვე გამოაშკარავდნენ: ოცნებობენ მოსპონ ჩვენი სამთავრო სახლი და საბაბად გამოჰყავთ ხალხი, რომლის მეთაურად თვით შეიქმნენ. არც მალავენ და კიდეც ბედავენ თქმას, რომ ეს არის ვითომდაც უმაღლესი მთავრობის ნება-სურვილი. ჩვენ აქაური გლეხების არეულობის დასაწყისშივე ვიცოდით, რომ ამბოხება მებატონეების და უეჭველად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ არ შეადგენდა გლეხების მიზანს, ის არ იყო შედეგი მათი შევიწროებისა.

„რის გამოც უნდა იყოს წარმომდგარი სამეგრელოს თანამედროვე უწესრიგობანი, მაინცადამაინც ბრალის დადება დედოფალზე და 10 წლის ყრმაზე ჩვენ ვფიქრობთ, არავინ უნდა ჩაიდინოს"-ო და სხვა (Акты, XII, 241-247). მაგრამ ასეთი მობოდიშება და თავის მართლება უკვე გვიანღა იყო. რუსეთის ხელისუფლებას მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა სამთავროს გაუქმება და იგი ამისთვის ეძებდა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს. ასეთი აღმოჩნდა სხვათა შორის, გლეხების აჯანყება, რომლის შემდეგ, რუსეთის

მთავრობისათვის ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო.

პოლიტიკურად განიარაღებული სამეგრელოს თავადაზნაურობა ახლა იმის ცდაში იყო, რომ შეენარჩუნებინა თავის ადგილ-მამული და ყმები. მაგრამ მათ ასეთ განზრახვას ურჩობას უწევდა გლეხობა, რომელიც იბრძოდა ბატონყმობის მოსასპობად. ამას მოჰყვა მებატონეების წინააღმდეგ გლეხების გამოსვლა საჩიჩუოში და ნახუნუში, მაგრამ რუსეთის ჯარმა ასეთი გამოსვლები მაშინვე ალაგმა (Акты, XII, 322-324).

არც ეკატერინე დედოფალი ისვენებდა, რომ აღედგინა თავისი შელახული უფლებები. იგი ჩიქოვანების დახმარებით, ახლა აწყობდა ინტრიგებს რუსების წინააღმდეგ. ჩიქოვანებმა ამ მიზნით მოახერხეს სოფ. კიჩხისა და ზანის გლეხების რუსებზე ამხედრება, მაგრამ რუსის ჯარმა ესეც ალაგმა (*Бороздин*, 190-198).

დედოფლისა და თავადაზნაურობის ასეთი საქციელი ხელს უშლიდა რუსული რეჟიმის განმტკიცების საქმეს სამეგრელოში. რომ ბოლო მოღებოდა ყოველგვარ მოსალოდნელ ექსცესებს, საჭირო იყო დედოფლისა და მეამბოხეების მეთაურების სამეგრელოდან გადასახლება.

რუსეთის მთავრობა ახლა ამ საქმის განხორციელებას შეუდგა. მეფისნაცვლის ბარიატინსკის წარდგენით, 1857 წლის სექტემბერში ეკატერინემ ხელმწიფისაგან მიიღო უმაღლესი რესკრიპტი, რომ შვილების აღსაზრდელად იგი უნდა გადასულიყო პეტერბურგში (Акты, XII, 316).

ამავე წლის ოქტომბერში ეკატერინე იძულებული იყო თავისი ოჯახით წასულიყო რუსეთში. თავისი ქონებისა და მამულის მზრუნველობა მან ჩააბარა დ. ყიფიანს (Акты, XII, 336).

პეტერბურგიდან, შემდეგ, შვილების აღსაზრდელად ეკატერინე გადავიდა საფრანგეთში და ცხოვრობდა პარიზში.

ამასთანავე, რუსის მთავრობა შეუდგა გლეხთა მოძრაობის ლიკვიდაციის თადარიგს. ამ მიზნით, დააპატიმრეს გლეხების მეთაურები, რომელთა შორის იყვნენ უტუ მიქავა, კოჩა და უტუ თოდუები და ყველანი გადაასახლეს რუსეთის შორეულ გუბერნიებში[1].

უტუ მიქავა გადასახლებიდან სამეგრელოში დაბრუნდა 1867 წელს, როდესაც სამეგრელოში უქმდებოდა ბატონყმობა. გლეხობაში უტუს ისევე დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა და,

---

[1] *ი. ჭეიშვილი*, მასალები სამეგრელოს 1857 წლის აჯანყებაში მონაწილეთა შესახებ (იხ. საისტორიო მოამბე, წ. II, ტფილისი, 1925 წ., გვ. 142-176).

როდესაც 1869 წელს მამასახლისობა დაწესდა, წალენჯიხის საზოგადოებამ ერთხმად მოითხოვა უტუს მამასახლისად დანიშვნა.

უტუ მიქავას გამბედაობა და სიმართლის პირშივე მხილების უნარი თავიდანვე ახასიათებდა. ამის შესახებ ბოროზდინი ასეთ ეპიზოდს გადმოგვცემს: აჯანყების გათავების შემდეგ, დედოფალი ეკატერინე ერთხელ მარტვილის მონასტერში მისულა და მისთვის შინაყმებს მოუხსენებიათ, რომ უტუ მიქავა მარტვილში იმყოფებაო. დედოფალმა მოისურვა თურმე უტუს ნახვა და სთხოვა რაფიელ ერისთავს მოეხმო უტუ მიქავა, რომელსაც დაცინვით უწოდებდა „სამეგრელოს რევოლუციის დანტონს". დედოფალი უტუს მიესალმა თურმე, შემდეგ მას მოგონებია გლეხების ამბოხების მძიმე წუთები და მიქავასთვის უკითხავს: „რატომ, შვილო, გლეხებისაგან წინამძღოლად არჩეული შენ არ მოდი პირდაპირ ჩემთან და არ ამიხსენი მათი საჭიროება და გაჭირვება"-ო.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ამაზე მიქავას დედოფლისათვის მოუხსენებია: — „ბოდიშს ვიხდი, რომ მე თქვენთან არ მოვედი; არ მოვედი, იმიტომ რომ თქვენ ვერაფრით ვერ დამეხმარებოდით, თუნდაც სურვილიც გქონოდათ. აი აქ, მთის ძირას ცხოვრობს თქვენი გლეხი, რომელსაც ჰყავდა ერთადერთი ძროხა, რომელიც მას ბავშვებს უკვებავდა. ის ძროხა ახლა უკვე აღარ არის. ის დაკლეს თქვენმა შინაყმებმა და მისგან ახლა მწვადებს აკეთებენ. არავინ არაფრით არ უნაზღაურებს იმ საწყალ გლეხს მის ძროხას. თქვენ თვით ვერ ამჩნევთ, რომ სადაც თქვენ წახვალთ, ყველგან უბედურება დაგაქვთ"-ო (*Бороздин*, 186-187).

ეკატერინე დედოფლის რუსეთში წასვლის შემდეგ, მეფის მთავრობა შეუდგა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საქმეს. ამისათვის საჭირო იყო არსებული მართვა-გამგეობის შეცვლა ახალი რუსული წეს-წყობილებით. სამეგრელოს მმართველად დაინიშნა გენერალ-მაიორი მიხეილ კოლუბიაკინი, რომელიც განაგებდა მას ხუთი წევრისაგან შემდგარი, ე.წ. „სამეგრელოს საბჭოს" დახმარებით. საბჭოს თავმჯდომარე აღჭურვილი იყო სამხედრო გუბერნატორის უფლებით და იგი ემორჩილებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

სამეგრელოს მმართველი კოლუბიაკინი ახლა შეუდგა სამეგრელოში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას და ამ მიზნით, შემოღებულ იქნა რუსული მართლმსაჯულება და საქმისწარმოება. ყველა მნიშვნელოვან საქმეებს განაგებდნენ რუსი მოხელეები და ეკატერინე დედოფალი, რომელიც ამ დროს პარიზში იმყოფებოდა, ითვლებოდა ფიქტიურ დედოფლად. 1867 წელს სამეგრე-

ლოს სამთავროს მემკვიდრე ნიკოლოზ დადიანი გახდა სრულწლოვანი, მაგრამ სამთავრო ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა და ამის გამო, ნიკოლოზ დადიანი რუსეთის მთავრობის მოთხოვნით, იძულებული იყო ხელი აეღო მთავრის უფლებაზე. სამაგიეროდ, ხელმწიფისაგან მან მიიღო საჩუქრად ერთი მილიონი მანეთი და მასვე კერძო საკუთრებაში გადაეცა სამთავროს მამულები. ამასთანავე, ნიკოლოზსა და მის მემკვიდრეებს მიენიჭათ უგანათლებულესი თავადის მინგრელსკის სახელწოდება.

ამგვარად, 1867 წელს სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა იურიდიულადაც და დედოფალი ეკატერინე და სამთავროს მემკვიდრე ნიკოლოზი დარჩნენ სამეგრელოს მსხვილ მემამულეებად.

სამეგრელოს რუსეთთან შეერთებას ჩქარა მოჰყვა ბატონყმობის გაუქმება. 1864 წლის 13 ოქტომბერს მთავრობამ შეადგინა მეგრულ ენაზე ბატონყმობისაგან განთავისუფლების წესდება — „არდგილო წესიში დოდვალა ყაზახეფიში დაბინეებაშენი, ნამუთი ოხორანანი საპატონო დიხეფს", რომელიც შედგებოდა 145 მუხლისაგან. ამას მოჰყვა 13 ოქტომბრის 1864 წლის დამატებითი წესის შედგენა, „გეძინელი წესი 19 ფრევალს 1864 წანას დოდვალირი კანონიში", რომელიც გამოქვეყნდა 1866 წლის 1 დეკემბერს. მართალია, ბატონყმობისაგან ეს განთავისუფლება არსებითად შეეხო გლეხობის პიროვნულ-უფლებრივ მხარეს, ქონებრივად კი სამეგრელოს გლეხობა ისევე მებატონეების დამოკიდებულებაში რჩებოდა და გლეხი ვალდებული იყო მემამულისათვის მიეცა გადასახადი ფულით თუ ნატურით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბატონყმობის გაუქმებას მაინც დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ დროიდან სამეგრელოს ისტორიაში იწყება ახალი ხანა და სამეგრელოს მოსახლეობა ჩქარა დაადგა გათვითცნობიერებისა და კულტურულ-ეკონომიკურად დაწინაურების გზას.

სამეგრელოს (ოდიშის) მთავართა გენეალოგია.

I. დადიანთა საგვარეულო.

1. გიორგი I	(+1323 წ.)[1]
2. მამია I	(+1345)
3. გიორგი II	(1345 – 1384)

[1] ეს გიორგი, ოდიშის პირველი მთავარი, შვილი იყო მანდატურთუხუცესი ბედან დადიანისა. ორივე მამა-შვილი მოხსენებული იყვნენ წალენჯიხის ხატის წარწერაში (იხ. ეკე. *თაყაიშვილი*, არქეოლ. მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 227)

4. ვამეყ I	(1384 – 1396)
5. მამია II	(1396 – 1414)
6. ლიპარიტ I	(1414 – 1470)
7. შამადავლე	(1470 – 1474)
8. ვამეყ II	(1474 – 1482)
9. ლიპარიტ II	(+ 1512)
10. მამია III	(+ 1532)
11. ლევან I	(1532 – 1572)
12. გიორგი III	(1572 – 1582)
13. მამია IV	(+ 1590)
14. მანუჩარ I	(1590 – 1611)
15. ლევან II	(1611 – 1657)
16. ლიპარიტ III	(1657 – 1658)
17. ვამეყ III	(1658 – 1660)
18. ლევან III	(1660 – 1680)
19. ლევან IV	(1683 – 1691)

II. ჩიქვანთა საგვარეულო.

20. კაცია I	(1704 – 1710)[1]
21. ბეჟან	(1715 – 1728)
22. ოტია	(1728 – 1744)
23. კაცია II	(1745 – 1788)
24. გრიგოლ	(1788 – 1804)[2]
25. ლევან V	(1804 – 1840)
26. დავით	(1840 – 1853)

---

[1] ეს კაცია იყო ოდიშის პირველი მთავარი ჩიქვანის გვარიდან, იგი იყო შვილი გიორგი ჩიქვანისა და შვილიშვილი კაციასი, ლეჩხუმისა და სალიპარტიანოს პატრონისა. კაცას შვილებში დაწინაურდა გიორგი, რომელმაც მიიღო სალიპარტიანო და იწოდებოდა ლიპარტიანად. 1691 წლიდან, როდესაც სტამბოლში გაიხიზნა ოდიშის უკანასკნელი მთავარი დადიანთა გვარიდან ლევან IV, გიორგი ლიპარტიანი შეიქმნა სამეგრელოს სამთავროს ფაქტიური მმართველი, მაგრამ იგი ვერ ბედავდა გამთავრებას. 1704 წელს გიორგი ლიპარტიანმა თავისი უფროსი შვილი კაცია აღიარა ოდიშის მთავრად.

[2] იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან ბრძოლის პერიოდში გრიგოლს აუმხედრდნენ მისი ძმები მანუჩარი და ტარიელი, რომლებიც სოლომონის წაქეზებით და დახმარებით ცდილობდნენ გრიგოლის გადაგდებას და სამთავროს ხელში ჩაგდებას. მანუჩარმა ცოტა ხნით შეძლო გამთავრება (1791-1796 წწ.), ტარიელი კი დადიანად იჯდა 1802 წელს. შემდეგ გრიგოლმა ის გადააგდო და ისევე დაიჭირა სამეგრელოს სამთავრო.

ეთნოგრაფია

მეგრელები ეროვნებით ქართველები არიან. ისტორიულ წარსულში ეთნოგრაფიულ სამეგრელოში შედიოდნენ მეგრელების მონათესავე ტომი ჭან-ლაზები[1], რომლებიც მეგრელებთან ერთად დღესაც მეტყველებენ მეგრულ-ჭანურ ან ზანურ ენაზე[2].

მეგრული ენა, როგორც ცნობილია, ეკუთვნის ქართველურ ენათა ჯგუფს[3] და მეგრელების მშობლიური და სამწერლობო ენაც ქართულია, რომელმაც ხელი შეუწყო სამეგრელოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დაწინაურებას. თვითმპყრობელური

---

[1] ოსმალებმა კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ (1453 წ.) ჩქარა ხელში ჩაიგდეს ტრაპიზონიც (1461 წ.), რასაც მოჰყვა ოსმალების მიერ ჭან-ლაზების ტერიტორიის თანდათანობით დაყრობა და მათი გამაჰმადიანება. ამ მიზნით, ლაზისტანში მედგარ ლაშქრობას აწარმოებდა სულთანი სელიმი (1512 წ.). ლაზები თავდადებით იბრძოლნენ, რომ შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნება და ქრისტიანული რწმენა, მაგრამ ბოლოს მაინც ძლეული ჭან-ლაზები იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ თურქების ბატონობას და მიეღოთ მაჰმადიანობა. ამის შესახებ მისიონერი *ლუი გრანჟიე* (1615 წ.) მოგვითხრობს: „თანდათანობით ისინი (ჭანები) გადადიან მუსლიმანობაში; ჩვეულებრივ ხანში შესულნი იმისათვის, რომ აღიარებენ ქრისტიანულ სამწმუნოებას, აუტანელ ჩაგვრას განიცდიან და იმ მიზნით, რომ თავი დაიცვნიონ მძიმე გადასახადებს, რომლებითაც მათ აწუხებენ, გადადიან თურქების მხარეზე“-ო (იხ. Сборник по описанию местностей и племен Кавказа, т. XIV, განყ. III, გვ. 30-52). დღეს ლაზისტანი, გარდა მისი მცირე ნაწილისა, თურქეთის საზღვარშია მოქცეული. ჭანური ენის შესწავლასთან საჭიროა მათი ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიული წარსულის შესწავლა, რაც ქართული მეცნიერების მორიგ ამოცანას შეადგენს (*Н. Я. Марр*, Из поездки в турецкий Лазистан, I, ИИАН, 1910 г., *Г. Вешапели*, Турецкая Грузия, Лазистан, Трапезунд и Чорохский край, М. 1916 г.; *ზ. ჭიჭინაძე*, ლაზისტანი, თბილისი, 1927 წ.).

[2] Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. – МЯЯ, II, СПБ., 1910 г., *არნ. ჩიქობავა*, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938 წ.; მისივე, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936 წ.; *ს. ჯულინტი*, ჭანური ტექსტები, ტფ. 1938 წ.; პროფ. *იოსებ ყიფშიძე*, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1939 წ.

[3] А. Л. Цагарели, Мингрельские Этюды, вып. I: Мингрельские тексты с переводом и объяснениями, вып. II: Опыт фонетики мингрельского языка. СПБ. 1880 г., *ნიკო მარი*, მეგრული ენა, ცნობის ფურცელიც. 1905 წ., № 2772-73; *კ. ჭარაია* მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მოამბე“ 1895 წ. № 10, 12; 1896 წ., №№ 1, 11;

Н. Марр, Основания таблицы к грамматике древне-груз. языка с предварительным сообщением о родстве груз. языка с семитическими СПБ. 1908 г.; *И. Кипшидзе*, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПБ. 1914 г.

რუსეთის აგენტები, როგორიც იყო, სხვათა შორის, „მუნჯური“ მეთოდის ცნობილი ავტორი ლევიცკი, ებრძოდნენ ქართულ ენას სამეგრელოში და ცდილობდნენ ამ ენის განდევნას სამეგრელოს სკოლებიდან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან და მათ საკუთარი ენა აქვთო[1]. მეგრელების გარუსების[2] მიზნით, ლევიცკი და მისი ჯგუფი ცდილობდნენ მეგრელებისათვის შეექმნათ საკუთარი დამწერლობა და მოსახლეობა მეგრულიდან რუსულ ენაზე გადაეყვანათ. გარუსების ამ პოლიტიკამ დიდად შეაფერხა სწავლა-განათლების საქმე სამეგრელოში. მოსახლეობა ივიწყებდა ქართულ ენას, სამეგრელოს მოწინავე ინტელიგენცია მოწყდა ქართულ კულტურას და დაადგა გადაგვარების გზას, მაგრამ იმპერიამ მაინც ვერ მიაღწია საბოლოო მიზანს.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მეგრული ენის წარმოშობისა და მისი ქართულთან ნათესაობის საკითხების განხილვას. ამის შესახებ საკმაოდ დიდი ლიტერატურა არსებობს. მხოლოდ ამ მეგრული ენის მიხედვით, ჩვენ საშუალება გვეძლევა შემოვხაზოთ ეთნოგრაფიული სამეგრელოს საზღვრები.

ეთნოგრაფიული სამეგრელო *„სამარგალო“*, ანუ ოდიში დღეს შეიცავს საქართველოს შემდეგ რაიონებს: აბაშის, გეგეჭკორის (მარტვილის), წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ცხაკაიას (სენაკის), ხობის და ფოთის. ამას უნდა მიემატოს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოჩამჩირისა და ყოფილი სამურზაყანოს, გალის რაიონის მეგრული მოსახლეობაც, ამგვარად, ეთნოგრაფიული სამეგრელო დღეს შეიცავს ათ რაიონს, რომლის მოსახლეობის საერთო რიცხვი უდრის 450.000 სულს[3].

ეთნოგრაფიულად სამეგრელო საინტერესო კუთხეს წარმოადგენს და იგი წარსულშიც ამ მხრივ დიდ ყურადღებას იქცევდა, განსაკუთრებით უცხოელი მოგზაურებისას, რომლებმაც მეგრელების შესახებ დაგვიტოვეს მრავალი ცნობა და აღწერილობა. XIX საუკუნიდან სამეგრელო დაადგა კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურე-

---

[1] *თ. ყორდანია*, ქართული ენისათვის ბრძოლა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, ქუთაისი, 1913 წ.; *ტრ. ხუნდაძე*, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბილისი, 1940 წ., გვ. 96-134.

[2] *ი. სტალინი*, მარქსიზმი და ნაც.-კოლონ. საკითხი, გვ. 95, გამოც. 1934 წ.

[3] თუ ამას მიუმატებთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ მეგრელებს, მაშინ მათი რიცხვი აღემატება 500.000.

ბის გზას და იგი ჩქარა იქცა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ. ამას მოჰყვა ჩვენში ქალაქური კულტურის შემოჭრა და გაძლიერება, რომელმაც თანდათანობით შეცვალა ეთნოგრაფიული სამეგრელოს თავისებურებანი, განსაკუთრებით ნივთიერი კულტურის დარგში; მოისპო ძველი ტანთჩაცმულობა, დგამ-ავეჯი, ჭურჭელი და სხვა. ყველაფერი ეს სწრაფად შეცვალა ფაბრიკულმა ნაწარმოებმა და ამის გამო, ძველი ყოფის დამახასიათებელმა ეთნოგრაფიულმა აქსესუარებმა ჩვენამდის ვერ მოაღწია. შედარებით შემოინახა ფოლკლორული მასალა, ნაწილობრივად ადათ-წესები და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთები.

7. სოფლის მეურნეობა

საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობების განვითარებასთან იცვლება ადამიანის სამეურნეო ცხოვრების სახე და მისი შრომის პროცესები.

სამეგრელო მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყანაა, ამიტომ დროთა ვითარებაში იცვლებოდა მისი სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა დარგი, საწარმოო იარაღები და შრომა-საქმიანობის პროცესები.

უძველესი დროიდან სამეგრელოში ითესებოდა *ღომი*, (Panicum italicum), მეგრული „ჩხვერი“ და ფეტვი *„ჭკიდი“* (ლათინური milium), რომლებიც მოსახლეობის მთავარ საკვებ პურეულს შეადგენდა[1].

ღომისა და ფეტვის მოყვანა დიდ შრომას მოითხოვდა. ამ მარცვლეულს სთესავდნენ გაზაფხულის მიწურულში ხის კავით „ოგაფა“-თი მოხნულ მიწაზე და შემდეგ მას პატარა თოხებით სამოთხეკერ მარგლავდნენ. ღომი სამეგრელოში იზრდებოდა მაღალი და შემოდგომაზე, ოქტომბერში, როდესაც მისი თავთავი დამ-

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, მიწათ-მოქმედება (იხ. მისი სამეგრელოს აღწერა, გვ. 50-55), ივ. ჯავახიშვილი, ღომი: ცნობები მის შესახებ (იხ. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფილისი 1930 წ., გვ. 366-371). იმეუნარგია, А. Декапрелевич и А. Каспарян, «К изучению итальянского проса Setaria italica P. B. maxima Alf возделываемого в Грузии. (Труды по прикладной ботанике, генетике, селекции, т. вып. 2, Ленинград 1928 г., стр. 533); *ი. მეუნარგია*, დავით დადიანი, გვ. 96.

წიფდებოდა, ნამგლით მომკიდნენ — „გიმუა“, საიდანაც ოქტომბერს „გიმათუთა“ დაერქვა. ღომის თავთავებს გამოსაშრობად ჩაყრიდნენ ძარში, „ნანია“-ში, რომელსაც ძირი ლასტისა ჰქონდა და მაღალ ბოძებზე იყო შემდგარი. ღომის დაბინავების შემდეგ, შეუდგებოდნენ ღომის გაცეხვის თადარიგს. ამისათვის ღომის თავთავებს დაყრიდნენ მოწნულ „ოლეზე“, რომელსაც ძირი ჰქონდა ლასტისა. ამ ოლეს კერის ცეცხლზე ჩამოკიდებდნენ, ქვეშ შეუნთებდნენ ნელ ცეცხლს, რომ ღომი ნებისად გამომშრალიყო. შემდეგ ღომის თავთავებს ფეხით სრესავდნენ („*ჩაჩუა*“) და აშორებდნენ მას ჩალასა და ღეროებს, რასაც უწოდებდნენ „*ტკადუა*“-ს.

გარჩეული ღომის თავთავებს ახლა საცეხველში „*ჩამურში* „ჩაყრიდნენ. ჩამური მთლიანი ხისაგან იყო გამოთლილი და ზემო ნაპირი მას ღრმად ჰქონდა ამოჭრილი. ღომის ცეხვა „*ჩხვარუა*“ სამეგრელოში მძიმე სამუშაოდ ითვლებოდა და ამისათვის მიმართავდნენ სხვადასხვა ხერხს:

ჩვეულებრივად ღომის გაცეხვა წარმოებდა ხელების საშუალებით. სამი ქალი დადგებოდა „ჩამურთან“, რომელშიაც ეყარა ღომის თავთავები, ხელში აიღებდნენ მოკაუჭებული ხისაგან გამოთლილ საცეხველებს — „*კაკუტს*“ და რიგით დაჰკრავდნენ ჩამურში მოთავსებულ ღომის თავთავებს. ხელის საცეხვლებით შეიარაღებული ქალი უნდა ყოფილიყო მხოლოდ სამი, გარკვეული ტაქტის მიხედვით სცემდნენ საცეხველს ჩამურში, რომ საცეხვლები ერთმანეთს არ მოხვედრილიყო. ამის თავიდან ასაცდენად გამოყენებული იყო სხვადასხვა სიტყვა, ხშირად უწმაწურიც. დაიწყებდნენ თვლით: ართი, ჟირი, სუმი და შემდეგ მიაყოლებდნენ სიტყვებს, რაც პირში მოადგებოდათ. ცდილობდნენ ეთქვათ სახუმარო სიტყვები, რომ ამით შეეშსუბუქებინათ თავიანთი მძიმე მუშაობა.

ღომს ცეხვავდნენ აგრეთვე ფეხითაც. ამისათვის მცეხვავი ფეხებით შედგებოდა გრძელტარიან საცეხველზე, რომელსაც თავი ჩადებული ჰქონდა ოჩამურეში. ორივე ხელებს მცეხვავი მოჰკიდებდა მაღლა გამობმულ თოკებს და იგი ფეხების საშუალებით ამოძრავებდა საცეხველს და ღომიც ამგვარად იცეხვებოდა.

გავრცელებული იყო აგრეთვე წყლით მექანიზირებული ჩამურიც, რომელსაც მიმაგრებული ჰქონდა წყლის საქაჩი და ის ამუშავებდა საცეხველს.

გაცეხვილ ღომის მარცვლებს ჩამურიდან ამოყრიდნენ და გობებით ანიავებდნენ „მოხინწუა ან ხიორუა“ და ბურლოიან ნარჩენს („ნოყური“) ქათმებს გადაუყრიდნენ. ღომის გაცეხვა ქალებს ევალებოდა, მამაკაცისათვის ეს სამუშაო, როგორც სადედაკაცო

სამუშაო, დამამცირებლად ითვლებოდა და ამის გამო, ქალები მთელი წლის განმავლობაში იძულებული იყვნენ, ეს მძიმე სამუშაო თვითონვე შეესრულებინათ.

მებატონეებს კი ჰყავდათ ღომის მცეხვავი ყმები, რომლებსაც მოჯალაბეს უწოდებდნენ. მოჯალაბენი სამეგრელოში ეკუთვნოდნენ ყმების ყველაზე დაბალ და დამცირებულ კატეგორიას.

ღომისაგან იხარშებოდა მაგარი ფაფა „*ღუმუ*", ფეტვისაგან კი ცხვებოდა მჭადი „*ჭკიდი*" ან ხარშავდნენ პატარა კვერებს.

ღომის ცეხვა.

ღომი და მჭადი ძნელი მოსაყვანი ჭირნახული იყო, მოითხოვდა მძიმესა და ხანგრძლივ შრომას, მოსავალს კი იძლეოდა მცირეს, ამიტომ მოსახლეობას აქ ჭირნახული არ ჰყოფნიდა და ხშირად შიმშილობას განიცდიდა. ასეთ შემთხვევებში მოსახლეობა იკვებებოდა თხილით და წაბლით. დაფქულ წაბლისაგან მჭადს აცხობდნენ და ჭამდნენო[1].

---

[1] ამას ადასტურებს, სხვათა შორის, *ქსენოფონტეც* (V ს. ძვ. წ.), რომელიც კოლხეთის აღწერაში ამბობს: „ბელელში ეწყო მრავალი წაბლი, რომელსაც მოსინიკები ხარშავდნენ და პურის მაგიერად ხმარობდნენ"-ო (იხ. *ალ. ჭყონია*, ისტორიული ნარკვევი, გვ. 116; Лат.I, 82).

გლეხების გადმოცემით, ძველად სამეგრელოში სამეურნეო იარაღებიც მეტად პრიმიტიული ჰქონიათ. სიმინდის კულტურის შემოსვლამდის აქ რკინის სახნისი არც ყოფილა ხმარებაში. ღომს თესავდნენ და თოხნიდნენ თურმე პატარა თოხით, რომელსაც „*ჩენგს*“ უწოდებდნენო. ხმარობდნენ აგრეთვე ბზისაგან გაკეთებულ თოხებსო. პირველად სახნისი სამეგრელოში შემოსულა უტუ მიქავას დროს. ხალხის გადმოცემით, უტუ მიქავა თვითონ მჭედელი იყო, სახნისი მას სხვაგან უნახავს და იგი სამეგრელოში შემოუღიაო.

სამეგრელოს ზოგიერთ ადგილში ძველად ითესებოდა პურიც „*პიტა ქობალი*“ (ორფხიანი), „*ირქიში*“ ან „*ირქლი*“ (იფქლი) და ჭვავი „*ჭვე*“, რომელსაც მკიდნენ თურმე „*შანკით*“. აიღებდნენ ორ მოკლე ჯოხს, მასში პურის თავთავს გაუყრიდნენ და ისე გლეჯდნენო.

XVII საუკუნის დასაწყისიდან სამეგრელოში შემოდის სიმინდი[1], რომელმაც აქ იპოვა კარგი და ნოყიერი ნიადაგი და XVII საუკუნიდან სიმინდი იქცა მოსახლეობის მთავარ საკვებ პურეულად. სიმინდმა ჩქარა შეცვალა ღომი და ფეტვი. სიმინდის უხვმა მოსავალმა, ამავე დროს, ხელი შეუწყო მოსახლეობის მომრავლებას და მისი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ სიმინდის მოყვანა-დამუშავება ჩვენში წარმოებდა პრიმიტიული იარაღებითა და წესებით, რაც მოითხოვდა მძიმე ფიზიკურ შრომას. სიმინდი ითესებოდა პრიმიტიული კავით და მას ხელით თოხნიდნენ. მუშაობა წარმოებდა პრიმიტიული წესებით. გაბატონებული წოდება სრულებით არ ზრუნავდა სიმინდის მეურნეობის ტექნიკურ გაუმჯობესებაზე და მძიზე შრომის შემსუბუქებაზე.

დაბეჩავებული გლეხი ერთი უღელა ხარითა და კავით მუშაობდა და რასაც სიმინდს მოიყვანდა, ორი მესამედი მემამულისათვის უნდა მიეცა, თვითონ კი ჭირნახული წლის ბოლომდის არ ყოფნიდა და შიმშილობდა.

სამეგრელოში ითესებოდა სხვადასხვა გვარის სიმინდი. მთიან ნაწილში ითესებოდა წვრილი სიმინდი „*რუხულა*“, დაბლობში კი — თეთრი, წითელი და „*ციცუა*“ სიმინდი. საყანე მიწა გლეხს ჯერ უნდა მოესუფთავებინა, შემდეგ მას მოხნავდა ხის კავით

---

[1] *ა. ლამბერტი*, სამეგრელოს აღწერა, გვ. 58; *ივ. ჯავახიშვილი*, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 362-364.

„ოვაფა“, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა რკინის სახნისი. მოხნულ მიწაზე ითესებოდა სიმინდი და შემდეგ მას ფარცხავდნენ. სიმინდს თოხნიდნენ ორჯერ, ზოგან სამჯერაც. მიწა სამეგრელოში ურწყავია და სიმინდის მოსავალიც უმთავრესად ამინდზეა დამოკიდებული. მინდვრის სამუშაოზე იცოდნენ ნადის მიწვევა და ამასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა ნადური სიღერები. ხვნის დროს მღეროდნენ ხარისას „*ხოჯიში გიობირალი*“, რომელიც



მიწის მოხვნა.

ასე იწყებოდა:

აშო მორთი ხოლოშა,
ღვინ მისხუნუ თხოლოშა,
ოჰო ჰოო, ვოჰო ჰოო.
მორთი აშო ხოჯ კვალიშა,
ასე მეუ კვალიშ გალე,
ოჰო ჰოო, ვოჰო ჰოო
და სხვა.

ყანის გათოხნისას მღეროდნენ: *ოცონურს, ოდოია-დოიას, ხემხვაიოს* და სხვა.

სიმინდის ტაროების გარჩევის დროს ნადი მღეროდა *„ოჩეშხვე და ხვარიელი“*.

გარჩეული სიმინდის ტაროებს არწყავდნენ გოდრებით და ჩაყრიდნენ სასიმინდეში. სიმინდს ხელით ფშვნიდნენ ან საჩეჩელში ჩაყრიდნენ და საცეხველით ცეხვავდნენ. დაფშვნილ სიმინდს არწყავდნენ საწყაოთი. ყველაზე დიდი იყო *ქილა*, რომელიც უდრიდა ერთ ფუთს (16 კილოს). *ბათმანი* იყო ნახევარი ფუთი, *კოთხო* 1/5 ფუთისა და *ორგვერდელა* კი უდრიდა 1/2 კოთხოს.

1917წ. ოქტომბრის რევოლუციამდე სამეგრელოს მოსახლეობის ერთადერთი საარსებო წყარო სიმინდი იყო. მართალია, ღომიც ითესებოდა, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. სოფლის მეურნე სიმინდს ჰყიდდა და ამით იკმაყოფილებდა ოჯახის მრავალგვარ



მეგრული „ოგაფა“

1.საწირღე, 2. ოგაფა, 3. ერქვანი, 4. ქური, 5. კინახონა (სახნისი).

მოთხოვნილებას. სიმინდით იკვებებოდა აგრეთვე შინაური საქონელი და ფრინველი. სიმინდის ეს მოსავალი სამეგრელოში ამინდზე იყო დამოკიდებული. ამასთანავე, წინათ არ მისდევდნენ მიწის განოყიერებას, თესლის ცვლა არ წარმოებდა, მიწა მუშავდებოდა უბრალო კავითა და თოხით და გლეხებიც ოფლს უნაყოფოდ ღვრიდნენ. დროთა ვითარებაში, სიმინდის გამუდმებული თესვის გამო, პატივდაუყრელი მიწა გამოიფიტა და სიმინდის მოსავალმა

თანდათანობით იკლო. 1900 წლიდან სამეგრელოს მოსახლეობა განიცდიდა ქრონიკულ დამშევას[1]. ამით სარგებლობდნენ ჩარჩი ვაჭრები და დამშეულ გლეხობაზე მაღალ ფასებში ჰყიდდნენ ოსმალეთიდან შემოტანილ სიმინდს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სამეგრელოში დაიწყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია და კოლექტივიზაცია. ამას მოჰყვა მუშაობის მექანიზირება, მეურნეობის რაციონალიზაცია. სამეგრელოში შემოდის და ვითარდება უფრო რენტაბელური დარგები: ჩაი, რამი, მანდარინი, ტუნგო და სხვა. ყოველწლიურად მცირდება სიმინდის ფართობი, სამაგიეროდ, სწრაფად იზრდება სუბტროპიკული პლანტაციები და ახლო მომავალში მთელი ეს მხარე იქცევა ციტრუსოვან კულტურათა ბალნარად.

სამეგრელოს სუბტროპიკულ რაიონებში დღეს მეურნეობის წამყვანი დარგი ციტრუსია, რომელიც იძლევა უხვ მოსავალს დ კოლმეურნეებიც დაინტერესებულნი არიან მოვლა-მოშენებით. ამან ხელი შეუწყო შეძლებულ და მილიონერ კოლმეურნეთა წარმოშობაგაძლიერებას სამეგრელოს მოწინავე რაიონებში, როგორიც არის, სხვათა შორის, ორსანტიის კოლმეურნეობა ზუგდიდის რაიონში.

მეევენახეობა. ვაზის კულტურა წინათ სამეგრელოში საკმაოდ იყო განვითარებული და ვაზიც აქაურ პირობებში კარგად ხარობდა[2].

სამეგრელოში გავრცელებული იყო ვაზის შემდეგი ჯიშები:

1. *ჩერგვალი* – თეთრი და ტკბილი ყურძენი, მსხვილ მტევნიანი, რომლისაგან დგებოდა საშუალო ღირსების ღვინო;
2. *საკმეველი* – თეთრი და საშუალო ზომის მარცვლოვანი, ღვინო კარგი ღირსების;
3. *კრახუნა* – თეთრი და მსხვილ-მარცვალა, ღვინო კარგი;
4. *ციცკა* – თეთრი და წვრილ-მარცვალა, ღვინო საშუალო;
5. *კაჭიჭი* – თეთრი, მარცვალი საშუალო, ღვინო კარგი;
6. *ჭვიტილური* – თეთრი, მარცვალი საშუალო, ღვინო კარგი

---

[1] პ. კობახიძე, მეგრელთა ქონებრივი მდგომარეობა 1915 წელს და მოსალოდნელი შიმშილობა, გაზ. "სახალხო გაზეთი", 1915 წ., №№ 427-437.

[2] *Е. К. Накашидзе*, Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии, Сбор. свед. по виноград. и виноделию на кавказе, т. IV; *А. Эристов*, Сельскохоз. письма. Как обновить старые виноградники Гурии и Мингрелии, Труды кав. отд. сельск. хоз. 1889 г., №№ 7, 8; *Лавров*, Мингрелия в сельскохоз. отношении, газ. Кавказ, 1912 г., № 102.

და ოქროს ფერი;

7. *ჩეჭიფეში* — თეთრი, მარცვალი საშუალო, ღვინო კარგი;
8. *გრეხი* — თეთრი და მსხვილ-მარცვლოვანი, ღვინო კარგი;
9. *ტოროკუჩხი* — თეთრი, მარცვალი წვრილი, ღვინო კარგი
10. *თხურთხი* — თეთრი, მარცვალი წვრილი, ღვინო კარგი;
11. *ჰანეში* — მუქი ლურჯი ფერისა, მარცვალი მსხვილი, ღვინო კარგი;
12. *დონდღვაბია* — (პაპასქირი), შავი და წვრილ-მარცვლიანი, ღვინო მდარე;
13. *ღღუნდუში* — შავი და მსხვილ-მარცვლიანი, ღვინო წითელი და კარგი;
14. *ოჯალეში* — შავი და წვრილ-მარცვლოვანი, ღვინო საუკეთესო;
15. *ჭოტიში* — შავი, მარცვალი საშუალო, ღვინო მაგარი და მღებავი;
16. *ცხენიშყურძენი* — შავი, მარცვალი მოგრძო და მსხვილი, ღვინო კარგი;
17. *უგვარო* — შავი, მარცვალი საშუალო, ღვინო მაგარი და მწლაკე;
18. *ხოჯიმ თოლი* — შავი და მსხვილ-მარცვლოვანი, ღვინო მდარე;
19. *შონური* — შავი, მსხვილ-მარცვლოვანი, ღვინო საშუალო;
20. *კაბისონი* — შავი, მარცვალი საშუალო, ღვინო საუკეთესო;
21. *ხარდანი* — შავი და წვრილ-მარცვალა, ღვინო კარგი ღირსების;
22. *ოდესა* (იზაბელა) — შავი, მარცვალი საშუალო, ღვინო მდარე და სხვა;

ამ ვაზებს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა *ოჯალეში, ჭვიტილური, ჩეჭიფეში, ხარდანი* და *კაბისონი*. ყველაზე უხვ მოსავალს და საუკეთესო ღვინოს იძლეოდა თურმე *„ოჯალეში“*[1], რომელიც იყო სქელი, მაგარი და საამო დასალევი ღვინო.

ვაზის ეს ჯიშები მაღლარი ყოფილა — „ჯაშ ბინეხი“ და ხეებზე გაბმული. ეს ჯიშები სამეგრელოში ფილოქსერამ უკვე მოსპო, მათი თითო-ოროლა ძირი აქა-იქ თუ არის დარჩენილი. მათ ნაცვლად, დღევანდელ სამეგრელოში გავრცელებულია: ოდესა, კაჭიჭი, ნამყენი, ცოლიკაური, ნოვა, ფრანგულა და საფერავი.

---

[1] *კ. ბოროზდინის* ცნობით, სამეგრელოში პირველი ადგილი ღირსებით „ოჯალეში“-ს ღვინოს ეჭირა. ამ სიტყვის ეტიმოლოგია შემდეგია: *ბა* მეგრულად მზესა ნიშნავს, *ოჯალეში* — სამზეო ადგილს, აქედან წარმოსდგა დამახინჯებული სიტყვა ოჯალეშიო (იხ. ბატონ-ყმობა სამეგრელოში, გვ. 6).

მევანახეობას აქ მისდევენ ჩხოროწყუს რაიონის სოფლები, განსაკუთრებით: ახუთი, ფოცხო და უშაფათი.

ვენახის მოვლა-მოშენება და ღვინის დაყენებაც ჯერ კიდევ ძველი წესებით წარმოებს. ყურძენი სამეგრელოში მწიფდება შემოდგომაზე და იკრიფება ოქტომბრის დამლევს. მაღლარ ვაზს ხეებზე კრეფავენ და მტევნებს ჰყრიან „გიდელში", ჩამოუშვებენ ხიდან და ცლიან გოდრებში. ყურძნით სავსე გოდრებს ეზიდებიან მარანში და იქ საწნახელში ჩაყრიან. საწნახელი მთლიანი ხისაგან არის გათლილი, მიღებულია უფრო ცაცხვის საწნახელი, რომლის სიგრძე დაახლოებით 2,80 მეტრს უდრის. საწნახელში ჩადის 25-30 კალათი ყურძენი. კალათა ყურძენი იწონის ორ ფუთს და მისგან იწურება ერთი კოკა ღვინო. საწნახელში ყურძენს ფეხებით ჭყლეტენ. თავ-ღვინო რომ გამოიწურება, ნარჩენ ჭაჭას დაასხამენ წყალს, დაახლოებით 25 კოკას და ამ წყალს შემდეგ გაატარებენ ოთხი საწნახელის ჭაჭაში. ამ წყალნარევ ღვინოს ჩაასხამენ ქვევრში. ახალ ღვინოს ჩააყენებენ კასრებში ან ქვევრებში და იგი დაიდულებს ერთ თვეში. იანვარში, როდესაც ღვინო დაიდულებს, ახალ ჭურჭელში გადაასხამენ, ქვევრებს მიწაში ჩაფლავენ, ნაპირზე ქვევრს ბლის ქერქს დააფარებენ და ზედ მრავალ ქვას ადებენ. კარგად დამზადებული აქაური ღვინო სძლებს *ათეულ წელს*. ღვინის საწყაოდ იხმარება „*ლიტრა*", რომელიც უდრის ერთ ბოთლს. „*კართხა*" ნახევარი ლიტრაა, „ " — 24 ლიტრა, „*სატარელო კოკა*" — 30 ლიტრაა.

1936 წლიდან სამეგრელოში გაცხოველდა ვაზის კულტურის მოშენების ინტერესები. ამ მიზნით, აქ მუშაობენ აგრონომები, რომლებიც იძლევიან რჩევა-დარიგებას ვაზის ჯიშების შერჩევა-მოშენების საქმეში. დღეს სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში შეხვდებით საკარმოდამო ფართობებზე ლამაზად ჩამწკრივებულ ნამყენი ვაზის ვენახებს.

მესაქონლეობა. მესაქონლეობას სამეგრელოში ძველადვე მისდევდნენ და მეურნეობის ეს დარგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეგრელების ეკონომიკურ ცხოვრებაში. მესაქონლეობას აქ ეწეოდნენ უმთავრესად მთიან რაიონებში, ტეხურისა და ხობის წყლის სათავეებში მოსახლე სოფლები: კურზუ, ჯგალი, მუხური, ჯვარი და ბარდა. ამ სოფლებში მცხოვრებ გვარებს შორის მამაპაპიდან მეჯოგეობას მისდევდნენ: კურზუში-ნაჭყეპია და ჯოჯუა; ჯგალში-კვარაცხელია; მუხურში-თოლორდა და გაბედა; ბარდაში-წულაია

და სულუხია. ჯოგში უმთავრესად ძროხები ჰყავდათ, ცხვრები და თხები კი მცირე. ცხვარს სამეგრელოში არ წველიდნენ. მას მხოლოდ მატყლისა და ხორცისათვის ინახავდნენ. თხებს კი წველიდნენ და ყველსაც აკეთებდნენ. წინათ აქაურ შეძლებულ მეჯოგეთა შორის ცნობილი ყოფილა ძიკი კვარაცხელია, რომელსაც ჰყოლია 300-400-მდე მეწველი ძროხა. მეჯოგე იყენდა..მწყემსებს ხუთი წლის ვადით. მწყემსს ეძლეოდა გასამრჯელო. მწყემსს თუ ძროხების მოწველა არ შეეძლო, მას მეჯოგე აძლევდა 3-5 ძროხის ნახევარს. ვისაც მწყემსობასთან მოწველაც შეეძლო, მას მეჯოგე აძლევდა 5-10 ძროხის ნახევარს მათი ნაწველისა და ნამრავლით. იმ შემთხვევაში, როდესაც მწყემსი ვადაზე ადრე მოისურვებდა წასვლას, მას მეჯოგე ასე უსწორებდა ანგარიშს: ორი წლის ნამსახურს მწყემსს ეძლეოდა ოთხი ძროხის ნახევარი მონაგებით; სამი წლის ნამსახურს კი ექვსი ძროხის ნახევარი მონაგებით. ხუთი წლის შემდეგ, მწყემსი მიდიოდა თავისი საქონლით და იგი ხდებოდა დამოუკიდებელი მეჯოგე. საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი და საქონლის ყველა ხარჯი მეჯოგისა იყო და მეჯოგიდან წასულ მწყემსს ხშირად გაყავდა 15-20 ძროხა. თუ მწყემსი კარგი მომუშავე იყო და მას სურდა მეჯოგესთან დარჩენა, მეჯოგე მწყემსს მეორე ხუთ წელში უმატებდა 2-3 ძროხას.

შეძლებულ მეჯოგეს საკუთარი საზაფხული ქოხი ჰქონდა, სადაც ზაფხულის პერიოდში დგებოდა საქონელი და ძროხებსაც წველიდნენ. აქ იყო მეხელე, რომელსაც ევალებოდა ყველის გაკეთება და საჭმლის მომზადება, აგრეთვე ჭურჭლის დასუფთავება და სხვა. აქვე იყო „მეგინე", რომელიც ხბოებს მწყემსავდა. მას გასამრჯელო არ ეძლეოდა, მხოლოდ კვება ჰქონდა მუქთი.

აქაური ჯოგი ზაფხულობით მთაშია: დვირში, კემლაკესარში და ოცალუეში (ტეხურის სათავეშია აგარაკ ლებარდეს მახლობლად). საქონელი მეგრელებს გადაჰყავთ აგრეთვე რაჭაში, ბაღდადსა და გურიაში.

მთაში საქონელი რჩება 15 ოქტომბრამდე, შემდეგ კი ჯოგებს ბარისაკენ მიერეკებიან და ზამთრობით საქონელი უყენიათ: ჭალადიდში, სირიაჩქონში, აჯამეთში, ხორგა-ხეთაში, სადაც საზამთრო ქოხებია გამართული. ძროხები ადგილობრივი ჯიშისაა — „მეგრული ძროხა", რომელიც იწველის 6-7 თვე.

ჯოგში ძროხებს დილა-საღამოს წველიან. მოსაწველ ძროხებს ერთად შეყრიან, მწყემსები ხელში აიღებენ „ნგგას" და ძროხების

მოწველას შეუდგებიან. გავსებულ ნგგას ხის კასრებში სცლიან. კასრზე გამართულია საწური, რომელშიაც უფენია გვიმრა და რძეც მასში იწურება. რძით გავსილ კასრში ჩაასხამენ ყველის შესადედებელ წამალს, დახურავენ თბილად და ცეცხლთან მისდგამენ. წამალს „*ნაწი*“ აკეთებენ თხის კუჭისაგან და აგრეთვე ხბოსა და გოჭის კუჭისაგან ამზადებენ, უკეთესად ითვლება გოჭისა. კასრში რძე ნახევარ საათში შედედდება და მას გრძელი ჯოხით „*სარსით*“ მოურევენ, შემდეგ შედედებულ რძეს „*დელამოწს*“ ხელით აგროვებენ და ხელით წურავენ. შრატს კასრიდან სხვა ჭურჭელში გადაასხამენ და შემდეგ მისგან ხაჭოს მოადულებენ.

გაივლის ხანი, დაახლოებით 12 საათი და მეხელე შეუდგება ჭყინტი ყველისაგან სულუგუნის გაკეთებას. ამისათვის დაჭრილ ახალ ყველს ჩაყრიან აშშინებულ წყალში და მას ჯოხით მოურევენ. როცა ყველი გაწიალდება, მაშინ ყველს გადმოიღებენ ხონჩაზე და ხელით ზელენ. მოხარშული ყველი კარგად რომ გაიზილება, გუნდებს მოსწყვეტენ დაახლოებით ნახევარ კილოს ოდენობისას და ამ გუნდას ბურთივით ამრგვალებენ. კარგად გაზელილ გუნდას კარგად გააბრტყელებენ და შემდეგ ამ სულუგუნს — „*სიოგინს*“ ხის კალაპოტში ჩადებენ. კალაპოტი წარმოადგენს ხის კასრს, რომელშიაც ჩადის 5-6 სულუგუნი. კალაპოტში სულუგუნი რჩება ერთი დღე-ღამე, შემდეგ ამოალაგებენ და ჩააწყობენ მარილიანი წყლის დიდ კასრში ან ქვევრში. კარგად გაკეთებული სულუგუნი დაახლოებით ინახება 6-7 თვე.

სულუგუნის გარდა, მეგრელები აკეთებენ უბრალო ყველსაც, რომელსაც „*კიპუგვალს*“ უწოდებენ. ეს ყველი მდარე ღირსებისაა და იაფადაც ფასობს. მეჯოგეებს სულუგუნი გუდებით მიაქვთ ბაზარში გასაყიდად, გუდაში ეტევა 30-50 სულუგუნი. მეგრული სულუგუნი კარგი ღირსებისაა, ცხიმიანია და გემრიელი. ყველი აქ კეთდება მოუხდელი. საზოგადოდ სამეგრელოში არ იციან რძისაგან კარაქის გამოხდა. ამიტომ მეჯოგეები არ მისდევენ კარაქ-ერბოს დამზადებას და მათ არც ეხერხებათ კარაქის დამზადების საქმიანობა. ხაჭოსაც მეჯოგეები გემრიელს აკეთებენ.

წინათ აქაურმა მეჯოგეებმა იცოდნენ „*აზარა*“, ერთმანეთის შეწევნა. როდესაც მეჯოგე დაზარალდებოდა, მაშინ იგი აწყობდა აზარას. ამ მიზნით, იგი სადილს გამართავდა და დაიწვევდა მეჯოგეებს, რომლებიც აღუთქვამდნენ დაზარალებულს შეწევნას ფულით თუ საქონლით. ჩვეულებრივ შეეწეოდნენ თითო ხბოთი

(ქართული ოჩხარი).

ამ მსხვილფეხა საქონლის მოშენებასთან ერთად, წინათ ჯვარის თემში მოსახლეობა მისდევდა წვრილფეხა საქონლის — ცხვრისა და თხების მოშენებასაც. ჯვარში ცნობილი ყოფილა ჯარნა არქანია, რომელსაც ჰყოლია 1000 სული ცხვარი და თხა. ზაფხულში ცხვარი ჰყოლიათ გურიის მთებში, ზამთარში კი — სოხუმის დაბლობში. ცხვარს ამრავლებდნენ ხორცისა და მატყლისათვის. სამეგრელოში



ცხვრის სერი „ხნწრა“: 1. „ჩხოტი“, 2. კაკი, 3. სირი, 4. ჭვირთი, 5. წაჭრილი, 6. გახვრეტილი.

გავრცელებული ყოფილა სამი ჯიშის ცხვარი: „*ნამარგალუ*“, შავი ფერისა და საშუალო ტანისა, დუმა აქვს მომცრო, მატყლი საშუალო ღირსებისაა; „*ნაყარაჩუ*“, უმეტესად შავი, ტანი და დუმა მოზრდილი, მატყლი საუკეთესო; „*ქურთი*“, უმთავრესად შავი, ტანი დიდი, მატყლი საშუალო; „*ნაშონური*“, („კატა“) უფრო თეთრი ყოფილა, საშუალო ტანისა, დუმა პატარა, მატყლი კარგი.

თხებში ყველას ჯობდა „*ნამარგალუ*“ რომელიც კარგი მეწველია, ხორციც გემრიელი აქვს და ტანითაც დიდია, ბეწვი კი აქვს მოკლე და ღირსებით მდარე.

ბევრი ცხვრის პატრონი მოჯამაგირედ მწყემსს იყვანდა ხუთი წლის ვადით. ახალგაზრდა მწყემსს ეძლეოდა 25 სული თხა-ცხვრის ნახევარი მათივე ნამრავლით წლის განმავლობაში. გამოცდილ მწყემსს აძლევდნენ 60 ცხვარ-თხებს და ხუთი წლის შემდეგ,

ამ 60 ცხვარ-თხას ნამრავლით შუაზე გაიყოფდნენ მეცხვარე და მწყემსი. თხის ჯოგში იყო მეხელეც, რომელიც თხის რძისგან ამზადებდა მაწონსა და ყველს. მეცხვარე თავის ფარას უკეთებდა ნიშანს. ამისათვის ცხვარს ყურზე უკეთებდნენ სერს და ყურსაც სხვადასხვა სახით ამოუჭრიდნენ, ზოგს ირიბად, ზოგს გაუხვრეტდნენ და სხვა. ასეთ ნიშანს მეგრელები უწოდებდნენ „*ხნწრა*“ (სერი). ის იყო მრავალგვარი: *ჩხოტი, კაკი, სირი, ხვირი* და სხვა.

აქაურ საქონელს სხვადასხვა ავადმყოფობა უჩნდება და წინათ გლეხობა შინაური წამლობით ცდილობდა დაავადებული საქონლის განკურნებას. ეს ავადმყოფობანი შემდეგია:

ჭიჭინა. საქონელს უსივდება მკერდი და მხარ-ბეჭი. ეს ითვლება მძიმე ავადმყოფობად და საქონელიც იშვიათად რჩება.

ყვაკუ. უსივდება თავ-კისერი და მას შელოცვით მკურნალობენ. წამლად ნაყავენ ბალახს „ყოყე“-ს და მას ავადმყოფ საქონელს ყელ-კისერზე წაუსვამენ.

გერცემი. საქონელს ასტკივდება ჭაჭები და იგი სიმწრით ზურგზე გორაობს. მას შეულოცავენ და იტყვიან: „ელუარი მგელუანი, მგელი გეძელუანი, მოდი, წადი უჰ გელსა“ (იტყვიან სამჯერ). საქონელს ზურგზე დააყრიან თოფის წამალსაც.

ბარუ. ძროხა იბერება და ველარ იცოხნის. მაშინ დაუძახებენ იმას, ვისაც „ბარუ“ (მსხვილი და ჭრელი მატლია) მოუკლავს და იგი იმ ფეხს, რომლითაც მას ბარუ მოუკლავს, ძროხას ზურგზე წაუსვამს და იტყვის — „ბარუ მოვკალიო, ავადმყოფი მორჩესო“.

გელა. შეეყრება ძროხას, ზურგი ასტკივდება, ადგომა ეზარება და გორაობს. მას შეულოცავენ, შემდეგ ყურსაც ააჭრიან და სისხლს გამოუშვებენ.

ფარფალუ. უჩნდება საქონელს ღვიძლსა და ფილტვებში. ეს საქონლის პეპელაა და საქონელს უჩნდება დაბლობში ბალახი „მოლი“-საგან.

ფარფალუს სწამლობენ ასე შეზავებული წამლით: კვერცხს, დანაყულ წიწაკასა და ჭვარტლს გახსნიან მწარე ოგრისა და მწვანე შაბის წყალში და დაავადებულ საქონელს შეასმევენ.

მესაქონლეობასთან ერთად, სამეგრელოში მისდევდნენ ცხენების მოშენებას. ცხენი წინად დიდ როლს თამაშობდა სამეგრელოს ეკონომიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცხენი ძველად იყო არა მარტო სახედარი ცხოველი, რომლის საშუალებით ხდებოდა მიმოსვლა და ტვირთის გადაზიდვა, არამედ ცხენზე ჯდომა

და ცხენით ჯირითი ვაჟკაცობად ითვლებოდა. სამეგრელოში ცხენი მეტად უყვარდათ და ვაჟკაცობა ცხენის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ნადირობა და ლაშქრობა უცხენოდ შეუძლებელი იყო, ამიტომ კარგი ცხენის პატრონს თემ-ჯარში თავი დიდად მოჰქონდა. ამის გამო, კარგი ჯიშიანი ცხენის მოშენება-გახედვნას სამეგრელოში ძველთაგანვე მისდევდნენ. ჯიშიან ცხენად იქ ითვლებოდა *„ნამარგალუ“* და *„ხაინდრავა“*.

ნამარგალუს ჯიშის ცხენი ტანით დიდია და მუშაც, მაგრამ ტლანქია და მას ფეხმარდობა აკლია. ხაინდრავას ჯიშის ცხენი კი ტანით უფრო მორჩილია, მაგრამ იგი კოხტაა და კარგი თოხარიკიც.

მეცხენეობასთან დაკავშირებით, სამეგრელოში გავრცელებული იყო ცხენის ქურდობაც, რაც ვაჟკაცობად ითვლებოდა. ცხენის მოპარვა მოითხოვდა გულადობას და დიდ მოხერხებას, რომ ნაქურდალი ცხენი პატრონს ვერ გამოეცნო და ქურდის ვინაობა არ გამომჟღავნებულიყო, რაც საძრახისად ითვლებოდა. ამას აღნიშნავს სამეგრელოში თითქმის ყველა უცხოელი მოგზაურიც. *შარდენის* თქმით, სამეგრელოში მამაკაცები ქურდობაზე არიან აღზრდილნი. ისინი ქურდობის ხერხებს სწავლობენ და მას თავიანთ პროფესიად იხდიან. ეს აძლევს მათ სიამოვნებას და სახელს, ქურდობისათვის მათ აქებენო. *ა. ლამბერტის* სიტყვით, წმ. გიორგის მეგრელები აკუთვნებენ ქურდის სახელს და ამტკიცებენ, რომ ილორობას იგი ხარს იპარავს და ეკლესიაში მიჰყავსო. ამოტომ იმ ღამეს მეგრელები ქურდობენ და თან ამტკიცებენ, რომ თუ წმინდანი იპარავს, ჩვენც მას უნდა მივბაძოთ და ჩვენც მოვიპაროთო (*ა. ლამბერტი*, 144).

მეგრული ხალხური თქმულება მდიდარია ცხენის ქურდობის ეპიზოდებით. ცხენის ქურდობა სამეგრელოში სასახელოდ ითვლებოდა და კარგ ქურდს მოწონება ჰქონდა საზოგადოებაში. სადაც ასეთი სახელოვანი ქურდი იყო, იმ სოფელსა და თემს ქურდობის შიში არ ჰქონდა, რადგანაც სხვა ქურდი ვერ გაბედავდა იქ შესვლას და ქურდობის ჩადენას.

ამიტომ ასეთი სახელოვანი ქურდი თემ-საზოგადოებისათვის საჭირო კაცი იყო. ვაჟკაცი რომ ახალ ჩოხას ჩაიცვამდა, ის მეორე დღეს დახეული უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით ჩოხის კალთები და სახელოები. ეს იყო ვაჟკაცობის ნიშანი და იტყოდნენ, რომ იგი ცხენის საქურდლად წასულა და ტანისამოსი შემოხევიაო. ამის გამო, ზოგიერთი ჩოხის სახელოებს განგებ დახევდა თურმე, რომ ეთქვათ, იგი ცხენის ქურდია და ვაჟკაციაო.

ქურდობის წინააღმდეგ საჭირო გამხდარა რაიმე ნაშნის დადება ცხენზე, რომ მეპატრონეს თავისი დაკარგული ცხენი გამოეცნო და უკანვე დაებრუნებინა. ერთ ასეთ საშუალებად მიღებული იყო ცხენის დადაღვა. სამეგრელოში დღემდის ცხენის მრავალი დაღებია შემონახული, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხენის ეს დაღები სპეციალური შესწავლისა და გამოკვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა.

ამავე დროს, დაღისა და მისი ნიშნების წარმოშობას საყურადღებო ისტორია აქვს. თავდაპირველად დაღები ჰქონდათ მაღალი წოდების თავად-აზნაურებს. თითოეულ მებატონეს თავისი საკუთარი დაღის ნიშანი ჰქონია. ყმებს ცხენი თუ ეყოლებოდათ, მათ მებატონის დაღი უნდა გამოეთხოვათ. ამისთვის ყმასა და ვალდებულ გლეხს დაღის ჯარიმა მართებდა და მებატონისათვის დაღის გადასახადი უნდა მიერთმია.



ცხენის დაღები: 1. დადიანი, 2. ხაინდრავა,
3. საცაიშლო.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, შეძლებულმა გლეხებმა დაიწყეს თავიანთი ცხენების დადაღვა თავისივე ნიშნით ან თავისი გვარის პირველი ასოს გამოსახვით, როგორც, მაგალითად, გვასალია „გ“, ჯანაშია „ჯ“ და სხვა.

ცხენის დაღებს შორის ყველაზე გავრცელებული და ცნობილია სამეგრელოში ორი დაღი: *ხაინდრავასი* და *შელიასი*.



ცხენის დაღები.



ცხენის დალები.



79



80



81



82

83



84



85



86

ცხენის ლაღები.

დაღების მეპატრონეთა დასახელება (იხ. სურ. 26, 27, 28).

1. ჭურღულია, გლეხი, ყულისკარი.
2. საჯაია, აზნაური
3. კიზირია, გლეხი, ფიჩორი.
4. ჭითანა, გლეხი, რეფი.
5. წულაია, გლეხი, სკურდი.
6. ნადარაია, გლეხი, ხორგა.
7. ჭუბაბრია, გლეხი, ზუგდიდი.
8. ჩხეტია, აზნაური, კოკი.
9. ეხვაია, გლეხი, ოტობე.
10. ფიფია, გლეხი, ჯვარი.
11. აფშილა, გლეხი, ჯვარი.
12. „ხიბულური დაღი“ სოფ. ხიბულა.
13. ჭუბაბრია, გლეხი.
14. ფიჩხაია, აზნაური, ნაფიჩხოუ.
15. შენგელია, გლეხი, ახუთი.
16. დგებია, აზნაური, სალედგებიო.
17. შერვაშიძე, თავადი.
18. ფაღავა, აზნაური, ბანძა.
19. ქორთუა, აზნაური, ხეთა.
20. შედანია, გლეხი, კორცხელი.
21. წურწუმია, გლეხი, ლეწურწუმე.
22. ლაშქარია, გლეხი, ქვალონი.
23. გადილია, გლეხი, ხეთა.
24. „ჭინუში დაღი“ სალიპარტიო.
25. გვათუა, აზნაური, ხორში.
26. გაბუნია, აზნაური, ბანძა.
27. ხარება, გლეხი, აბასთუმანი.
28. გაბელია, აზნაური, ჭოლა.
29. ჩიტაია, გლეხი, ჩხოროწყუ.
30. კემულარია, გლეხი, ზუბი.
31. ანჯაფარია, აზნაური, კიწია.
32. შავდია, აზნაური, ჯვარი.
33. ბოხუა, გლეხი, დაღი საცაიშლო.
34. ხაინდრა, აზნაური ლეხაინდრე.
35. ქირია, გლეხი, ცაიში.

36. შელია, აზნაური, გარახა.
37. ჟვანია, გლეხი, ზუგდიდი.
38. სიჭინა, გლეხი, ლესიჭინე.
39. პატარაია, გლეხი, ფიჩორი.
40. თოფურიძე, აზნაური, აბაშა.
41. ჯაბუა, გლეხი, ზუგდიდი.
42. ხოჭოლა, აზნაური, ქვალონი.
43. აფაქია, აზნაური, საჩინო.
44. ჩაჩიბაია, გლეხი, ალერტი.
45. ლემონჯა, გლეხი, მუხური.
46. წურწუმია, გლეხი, წალენჯიხა.
47. ქანთარია, გლეხი, სენაკი.
48. გვალია, გლეხი, შუახორგა.
49. დარსალია, გლეხი, ზუგდიდი.
50. ქობალია, გლეხი, ოდიში.
51. ჭანია, გლეხი, ერგეტა.
52. „მარხეულიშ დაღი“.
53. გარიჩა, გლეხი, თეკლათი.
54. ხორავა, გლეხი, ოჩხამური.
55. „ჩერტიშ დაღი“, მაქაცარია, გლეხი, ზუგდიდი.
56. გოგოლი, გლეხი, ჭალადიდი.
57. ჭიჭალუა, გლეხი, ინჩხური.
58. ქოჩაქია, თავადი, ჭალადიდი.
59. ჩიჩუა, აზნაური, ზუგდიდი.
60. ჩხოლარია, აზნაური, გალი.
61. კობახია, აზნაური, ხეთა.
62. ლოლუა, აზნაური, ქვალონი.
63. ემუხვარი, თავადი, სამურზაყანო.
64. მამფორია, გლეხი, ფიჩორი.
65. ანჩიბაია, აზნაური, ფოქვეში.
66. რაფავა, აზნაური, კორცხელი.
67. მარღანია, აზნაური, სამურზაყანო.
68. „ჭყონდარიში ჩაღი“.
69. დადიანი, თავადი.
70. ბენდელიანი, გლეხი, მუხური.
71. გვასალია, გლეხი, ხორში.
72. ჩხოლარია, აზნაური, მუხური.

73. შარაშია, აზნაური, მუხური.
74. ჯანაშია, გლეხი, დიდჭყონი.
75. სამუშია, გლეხი, ლია.
76. გულუა, გლეხი, ხაბუმე.
77. თურქია, გლეხი, გეჯეთი.
78. ხობის მონასტერი.
79. ჭურღულია, გლეხი, ყულისკარი.
80. მალაზონია, გლეხი, სამურზაყანო.
81. ღურწკაია, გლეხი, ახუთი.
82. კუკავა, გლეხი, დიდინები.
83. რევია, აზნაური, ხუნწი.
84. ჩიქვანი, აზნაური, მუხური.
85. აბრამია, აზნაური, ხორგა.
86. ფიჩხაია, აზნაური, ომარტე.

ხაინდრავას დაღი გავრცელებულია ტეხურისა და აბაშის წყლის მიდამოებში (ყოფილი სენაკ. მაზ.), შელიას დაღი კი ხობის-წყლის მიდამოში (ყოფილი ზუგ. მაზრა).

ხაინდრავას და შელიას გვარები მეცხენეობას მისდევდნენ, მათ ჰყოლიათ ცხენის ჯოგები და დახელოვნებული ყოფილან ცხენის გახედვნა-წვრთნაში და კარგი ჯიშების შერჩევაში.

ცხენს დალავდნენ, როდესაც იგი ორი წლისა გახდებოდა. დაღვის წინ უკეთებდნენ ცხენს შემდეგ ოპერაციას: ამოჭრიდნენ სარსესა და სახოპს, სარსეს ცხვირში ააჭრიან, ის არის ხრტილიანი ძვალი, რომელიც ცხენს ძოვას უშლის თურმე. შემდეგ აჭრიან სახოპს, სასის ქვემო ზედმეტ ღრძილს. კუდის თავზე ააჭრიან ძვარეს, რომელიც ქავილს იწვევს. ძვარეს ძარღვს ამოიღებენ და ცხენს კუდის ქავილი მოშორდებაო. ცხენის დადაღვა ჩვეულებრივ ხდება მარტიდან — მაისის დამლევამდის. ცხენს დაღავენ მარცხენა მხარეზე, ე. ი. იმ მხარეზე, საიდანაც ცხენზე სხდებიან. მდაღველიც ამ საქმის სპეციალისტია. ცხენის დადაღვა ყველას არ შეუძლია. ის მოითხოვს ცოდნასა და გავარჯიშებულ ხელს. დასადაღ ცხენზე იმ ადგილას, სადაც დაღი უნდა დაუსვან, ჯერ დაღის გამოსახულებას ცარცით ან ნახშირით გამოსახავენ, შემდეგ მდაღველი აიღებს გახურებულ შანთს (რკინის ჯოხია) და ამით კანს ამოსწვავს.

ზოგი დაღის მზა ფორმაც არსებობს. თუ დაღის გამოსახულება მარტივია, მაშინ დაღის რკინის ფორმას გაახურებენ და პირდაპირ

დაადებენ დაღის გამოსაყვან ადგილზე. დადაღვის ტკივილებს საშინლად გრძნობს ცხენი, მაგრამ მას ოთხივე ფეხი მაგრად აქვს შეკრული და არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. მეორე დღეს დადაღულ ადგილზე ცხენს ძროხის ქონს წაუსვამენ, მაგრამ ქურდებმა იცოდნენ დაღის გადაკეთებაც, რომ დაღით პატრონს თავისი ცხენი არ გამოეცნო. არსებულ დაღს ქურდი წაუმატებდა რაიმე ნიშანს ან ხაზს და ასეთ დაღს ცხენის პატრონი ძნელად თუ გამოიცნობდა. მაგალითად, ადვილი გადასაკეთებელი იყო შენგელიას, ანჯაფარიას და გაბელიას დაღები. ზოგჯერ, თუ დაღი მცირე მოხაზულობისა იყო, მას ქურდები ტყავიანად ამოჭრიდნენ. იცოდნენ აგრეთვე ცხენზე თეთრი ნიშნის „*კიასპი*“-ს გაკეთებაც. იმ ადგილს, სადაც თეთრი ნიშანი უნდა ყოფილიყო, ჯერ ხის ნაჭრით ხეხავდნენ, შემდეგ მას ცხელ რძეს წაუსვამდნენ, რომ ბალანი მოშორებულიყო. გაივლიდა ოციოდე დღე და გახეხილ ადგილზე ცხენს თეთრი ბალანი ამოუვიდოდა. ზოგჯერ ასეთ ხერხსაც მიმართავდნენ: ცხენს მოსაჭერს მაგრად მოუჭერდნენ და აჭენებდნენ, სანამ ძალიან არ გაოფლიანდებოდა. შემდეგ მოსაჭერს შეხსნიდნენ, როდესაც ბალანი მოშორდებოდა. ზოგჯერ ქურდები ცხენს ფეხის ტყავს გაუჭრიდნენ და ბერავდნენ. ასეთი ცხენი ადამიანს გასუქებული ეჩვენებოდა და პატრონიც ვერ იცნობდა მას. ბებერ ცხენს ქურდები კბილებს ჩაუქლიბავდნენ და ასეთი ცხენის კბილების გასინჯვის დროს პატრონი შეცდომაში შეჰყავდათ.

ცხენის პატრონებმა ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ და ცდილობდნენ ეხმარათ ისეთი დაღი, რომლის გადაკეთება საერთოდ ძნელი იყო. ამგვარ დაღად ითვლებოდა: სალიპარტიო დაღი, ხაინდრავასი, შელიას და ხოჭოლავას დაღი. დაღს ცხენს ჩვეულებრივად გავაზე უკეთებდნენ, მაგრამ ქურდებს დაღი რომ ვერ გადაეკეთებინათ, ხშირად ცხენს ორსა და სამ დაღსაც კი უკეთებდნენ. ამ შემთხვევაში, ერთი დაღი გავაზე აქვს ცხენს, მეორე — კისერზე ან წინა ფეხზე. ზოგ შემთხვევაში კი სამივე ადგილზე აქვს ცხენს დაღი გამოსახული, როგორც, მაგალითად, ფიჩხაიას დაღი, კუკავას დაღი, ჩიქოვანისა და სხვა (იხ. სურ. 29).

დადაღვასთან ერთად მთავარი იყო ცხენის გახედნაც და ამასაც თავისი მცოდნე პირი ჰყავდა. გამხედნავი ცხენს სიარულში ავარჯიშებდა 2-3 თვეს. ამასაც თავისი სახელები ჰქონდა: „*ლაფშური*“ — არის ჩქარი ნაბიჯით სიარული, „*ძგვალი*“ — ბუნძულით სიარული და *თოხარიკი* (იორღა) — მარდად და კოხტად მავალი.

ამათში ყველაზე კარგია თოხარიკი, რომელშიაც გამხედნავი ცხენს საგანგებოდ წვრთნიდა. თოხარიკში გასავარჯიშებლად ცხენს ოსტატი ბარკლებს შეუკრავდა და ისე ატარებდა, რომ ცხენი შეჩვეოდა მოკლესა და მარდი ნაბიჯის გადადგმას.

ცხენის დაკოდვა ხდება მე-4 წელს, როცა ცხენი ოთხ კბილს გამოიცვლის.

ცხენის ჯირითი და გათამაშება სამეგრელოში ძალიან გავრცელებული იყო. ცხენის „მარულა"-ს აწყობდნენ წელიწადში რამდენჯერმე, რომელიმე დიდ დღესასწაულთან დაკავშირებით. მარულაში და ცხენის დოღში გამარჯვებულს ასაჩუქრებდნენ დროშით, ფულით და ნივთებით. ასეთი გამარჯვება სასახელო საქმე იყო და მეგრელებიც დოღის ცხენებს საგანგებოდ უვლიდნენ და ინახავდნენ.

ცხენის თამაშობებში ცნობილი იყო: *„ქართაში ლა აფი"*, *„კიდირობა"*, *„ისინდუა"* (ცხენოსნები ისროდნენ ხელშუბებს, რომლებსაც წვეტიანი რკინის წვერები ჰქონდა და იჭერდნენ), თარჩია — ბაირაღის გატაცება და სხვა.

მარულას მოწყობა-ორგანიზაციაში სამეგრელოში ცნობილი იყვნენ ქვარცხავები, კვარაცხელიები, ახალაიები, შენგელიები და სხვა. სასოფლო დღესასწაულზე (ხატობა) ეს გვარები ცხენის დოღს (მარულას) გამართავდნენ. ამისათვის შესაწევარ ფულსაც კი აგროვებდნენ. ვინც მარულაში პირველი მოვიდოდა, მას წითელი ბაირაღი ეძლეოდა საჩუქრად. შემდეგ ის, ბაირაღით ხელში, ერთს კიდევ გაირბენდა, რომ ხალხს გამარჯვებული ცხენოსანი დაენახა და მისთვის ქება შეესხა.

ცხენის მოშენებას, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ხაინდრავები მისდევდნენ (ყოფილ სენაკის მაზრაში). ისინი ცნობილი იყვნენ ცხენის გახედვნასა და ჯიშის შერჩევა-გაუმჯობესებაში. მათი ცხენის დაღის გაკეთებაც ქურდებს უძნელდებოდათ, ამიტომ ეს დაღი სამეგრელოში გავრცელებული იყო. ხაინდრავები ცხოვრობენ სახაინდრაოში, რომელიც მდებარეობს სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარზე, მდინარე ცხენისწყლის ნაპირზე. ამავე სოფელში ცხოვრობენ დანელიები, ცხენის სახელოვანი ქურდები. უეჭველია, ამ ორ გვარსა აზნაურ ხაინდრავასა და გლეხ დანელიას შორის ცხენის მოშენებასა და ქურდობაშიაც მჭიდრო კავშირი არსებობდა. ხაინდრავების ხელისშეწყობით დანელიები ქურდობას ეწეოდნენ. ამას გარდა, ეს სოფელი გზა იყო, საიდანაც ზაფხულობით ცხენები ასხის მთაზე მიჰყავდათ საძოვრად. აქვე იყვნენ ცხენების მწყემსები, რომლებიც

ასხის მთაზე ცხენებს მეთვალყურეობდნენ. ასხის მთა ცხენების საუკეთესო საძოვრად ითვლებოდა. აქ მეცხენეებს ქოხები ჰქონდათ აგებული და ცხენის მწყემსი მეპატრონისაგან ზაფხულის განმავლობაში იღებდა 5 მანეთს. მწყემსი პასუხისმგებელი იყო ჩაბარებული ცხენის მოვლა-პატრონობაში. ცხენი თუ უნიშნოდ დაიკარგებოდა, მწყემსს იგი პატრონისათვის უნდა ეზღო. თუ ცხენი მოკვდებოდა, მაშინ მწყემსი დაღიან ტყავს ააჭრიდა და მას პატრონს წარუდგენდა. მაგრამ მწყემსს ყველაზე დიდი საფრთხე მოელოდა ქურდებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით ცდილობდნენ კარგი ცხენების მოპარვას. თავადები აქურდვინებდნენ აზნაურებს, აზნაურები კი — თავიანთ ყმა-გლეხებს. ცხენის ქურდობის ეპიზოდები და თქმულებები დღესაც შემონახულია სამეგრელოში. ჩვენ აქ მოვიყვანთ ორიოდე შემთხვევას.

ცხენის დაღები: 1. ფიჩხაიასი, 2. ხოჭოლავასი, 3. ხეციასი.

ერთხელ, ხაინდრავა და დანელია სწვევიან იმერეთში თავად წერეთელს, რომელსაც ორი ნაქები ცხენი ჰყოლია. წერეთელს პატივისცემით მიულია სტუმრები და შემდეგ მათთვის უჩვენებია თავისი ცხენები. ხაინდრავას დიდად მოსწონებია წერეთლის ცხენის სიმშვენიერე და გაწვრთნილობა, დანელიას კი გულში განუზრახავს ამ ცხენის მოპარვა. წერეთლის ეზოს შემოვლებული ჰქონია მაღალი და მაგარი ღობე. მას ჰყოლია ორი ძაღლი, რომლის შიშით, წერეთლის ეზოს მახლობლად ქურდი ვერ გაიჭაჭანებდა.

წერეთელიც ტრაბახობდა თურმე, რომ ჩემი ცხენის მოპარვას ვერავინ გაბედავსო. წერეთელს პატივისცემით გაუსტუმრებია ხაინდრავა და მისი მხლებელი დანელიაც. გასულა ხანი და დანელიაც შესდგომია წერეთლის ცხენის მოპარვის თადარიგს. დანელიას მოუწნავს ორი გრძელი გოდორი „გიდელი", შიგ ჩაულაგებია ხორცი და შელამებისას შეპარულა წერეთლის ეზოში და სანამ ძაღლებს აუშვებდნენ, ის ეზოში მდგარ კაკლის ხეზე აცოცებულა. დაღამებულა. მოჯამაგირეს ძაღლები აუშვია, ცხენი კი უკანა ეზოში ყოფილა დაბმული. წერეთლის ოჯახს რომ დაუძინია, დანელიას ერთი ხორციანი კალათი კაკლიდან ძირს ჩამოუშვია, ხორცის სუნზე კალათს ჯერ ერთი ძაღლი მივარდნია, ჩაუსუნია და ხორცის ამოსაღებად თავი კალათაში ჩაუყვია თუ არა, დანელიას კალათი მაღლა გაუქანებია. კალათაში თავდაღმა ჩავარდნილ ძაღლს შიშისაგან ხმა გაუმქენდია და კალათიც დანელიას ხის მაღალ ტოტზე მიუბამს. ახლა დანელიას მეორე ხორციანი კალათი ჩამოუშვია. მეორე ძაღლი კალათს მივარდნია, მასაც შიგ თავი ჩაუყვია თუ არა, დანელიას ეს კალათიც მაღლა აუწევია და ხის მეორე ტოტზე მიუბამს. შემდეგ დანელია კაკლიდან ჩამოსულა, წერეთლის ცხენი აუხსნია და გაპარულა.

დანელიას, მოპარული ცხენი ისეთ ადგილას გადაუმალია, რომ წერეთელს მისი კვალისათვის ვერსად მიუკვლევია. გასულა დრო და დანელიას ეს ამბავი ხაინდრავასთვის გაუმხელია და უთქვამს, რომ წერეთელი ტრაბახობდა, ვითომც მისი ცხენის მოპარვა არავის შეეძლოს. ის ახლა მაინც დარწმუნდეს, რომ დანელია თუ მოინდომებს, ცხენს ყოველთვის მოიპარავსო. ხაინდრავას ეს ამბავი წერეთლისათვის უცნობებია. გახარებულ წერეთელს სადილი გაუმართავს და ხაინდრავა და დანელია დაუპატიჟია. იმერეთის მებატონეს დანელია წერეთლის ცხენზე შემჯდარი ხლებია და წერეთელს იგი დაუსაჩუქრებიაო.

არის ასეთი თქმულებაც. ცხენის ქურდს დანელიას მოსთხოვეს თურმე ხატზე დაეფიცა, რომ ცხენი მისი მოპარული არ იყო. დანელია ამაზე დათანხმებულა. იგი ჯერ სახლში გაქცეულა, აკვანზე გადაწოლილა და ცოლისათვის უთქვამს დამარწიეო. შემდეგ ამდგარა, მისულა ხატთან და დაუფიცავს, რომ რაც მე აკვნიდან ამოვედი, მას შემდეგ თუ რამე მომეპაროს, შენი მადლი გამიწყრესო.

ცხენის ქურდები ხშირად მამასახლისებსაც ქრთამავდნენ და

მათგან იღებდნენ ცხენის ყალბ მოწმობებს. ქურდს მამასახლისი აძლევდა რომელიმე მიცვალებულის სახელზე შედგენილ მოწ-მობას, რომლის ძალით, ქურდი მოპარულ ცხენს, სხვაზე ნახევარ ფასად ყიდდა. მყიდველმაც იცოდა, რომ ცხენი ნაქურდალი იყო, მაგრამ მამასახლისის დახმარებით და ქრთამების მიცემით იგი მაინც ბედავდა ასეთი ცხენის შესყიდვას.

აქაურ ცხენს სხვადასხვა ავადმყოფობაც უჩნდება: *ჩამური* — ცხენის სენია და ამით დაავადებულ ცხენს ახველებს. *უკა* — ცხენს კისერი უსივდება, ზოგჯერ კისერში ბალღამიც ჩაუდგება. *წიფრე* — ცხენის სხეულის სიმსივნეს იწვევს. *კვერცხი* — ცხენს უჩნდება მუხლზე და ეს სიმსივნე მას მუხლზე კვერცხივით აზის. *ლაკა* — ცხენს ამ ავადმყოფობის დროს გავა ექავება, ექერცლება და სხვა.

კვება. საზოგადოებრივ-ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად, იცვლება და უმჯობესდება ადამიანის კვების პირობები. ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა და შრომის ნაყოფი-ერება უმთავრესად დამოკიდებულია კვების რაციონალიზაციაზე.

სამეგრელოს მოსახლეობა კვების კულტურის მხრივ, დღემდის ჩამორჩენილი იყო და იგი ცუდად იკვებებოდა. ეს, რასაკვირველია, გამოწვეული იყო სამეურნეო ცხოვრების ჩამორჩენით, როდესაც პრიმიტიული სამუშაო იარაღები და არაორგანიზებული შრომა არ იძლეოდა საშუალებას, რომ ადამიანს მიეღო მეტი დოვლათი და ამით გაეუმჯობესებინა თავისი საარსებო საშუალებანი.

ძველად სამეგრელოში იკვებებოდნენ ღომით და ფეტვით. ღომი-საგან ხარშავდნენ მაგარ ფაფას, რომელსაც ღომს უწოდებდნენ. ფეტვის ფქვილისგან კი შჭადს აცხობდნენ. ღომი და მჭადი იყო მოსახლეობის მთავარი საკვები პურეული. განიავებულ ღომის მარცვლებს ჩაჰყრიდნენ ქვაბში, კარგად გამორეცხავდნენ და ქვაბს ცეცხლზე ჩამოჰკიდებდნენ. მდულარე წყალში ღომი ღვივდებოდა, მას „*ჩოგანით*" მალ-მალე მოურევდნენ, ღომი სქელდებოდა. ერთი საათის ხარშვის შემდეგ ღომი უკვე მზად იყო. მოხარშულ ღომს ამოიღებდნენ ჩოგანით და ტაბაკზე ჩამოარიგებდნენ. მამაკაცს კერძში ეძლეოდა ორი ჩოგანი ღომი, დედაკაცს კი ერთი ჩოგანი. ფეტვის მჭადს კერაზე აცხობდნენ, მოზელილ ცომს მწვანე ფოთლებში შეახვევდნენ და კერაზე ისე აცხობდნენ.

მჭადი და ღომი ძნელი მოსაყვანი ჭირნახული იყო, მოსავალი იცოდა მცირე და ამიტომ მჭადსა და ღომს მოსახლეობა და-ზოგვით ხმარობდა და მაძღრისად ვერ ჭამდა. ეს გარემოება

აბრკოლებდა მოსახლეობის ზრდის ბუნებრივ პროცესს და საფრთხეს უმზადებდა მის ფიზიკურ არსებობასაც. მხოლოდ სიმინდის კულტურის გავრცელებამ XVII საუკუნიდან ხელი შეუწყო სამეგრელოს მოსახლეობის კვების გაუმჯობესებას და სიმინდი გადაიქცა მთავარ საკვებ პურეულად.

სიმინდის ფქვილისაგან მეგრელები ხარშავენ ღომს და აგრეთვე აცხობენ მჭადს. სამეგრელოში ღომი უფრო უყვართ, ვიდრე მჭადი. ღომი კეთდება ორგვარი: *ღარღილის ღომი* და *ფქვილის ღომი.* მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ღარღილის ღომს აკეთებენ ღარღილისაგან, ე. ი. მსხვილად დაროშვილ სიმინდის ფქვილისაგან. ღარღილს ჯერ გაცრიან, ქატოს მოაშორებენ, შემდეგ ქვაბში ჩაყრიან და კარგად გარეცხავენ. ქვაბი რომ ადუღდება და ღარღილი გასქელდება, მაშინ ფქვილს მოუკიდებენ და ფაფას ორსამჯერ მაგრად მოზელავენ. ფქვილის ღომს კი ღარღილს არ უშვებიან. ფქვილის ღომისათვის ჯერ წყალს აადუღებენ, შემდეგ ფქვილს ჩაყრიან და რამდენჯერმე მოზელავენ. ღარღილის ღომი უფრო გემრიელია და მარგებელი, ფქვილის ღომი კი თხელია, უგემური და თუ იგი კარგად მოხარშული არ არის, მაწყინარია.

ღომს ცხლად ჭამენ. ცივი ძნელი საჭმელია, განსაკუთრებით ზამთარში, ადამიანს წყენს. ამიტომ მეგრელები ცხელ ღომს ჭამენ. ღომი დღეში ჩვეულებრივ ორჯერ კეთდება: სადილად და ვახშმად. მეგრელებს უყვართ ცხელი ღომი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის მიერ ცხელი საჭმლის მიღების მოთხოვნილებას. მჭადს აცხობენ უფრო დილის საუზმისათვის. მჭადის ცომს მოზელენ ნელ-თბილ წყალში და ისე აცხობენ. არ იციან მჭადის ცომის გალვივება და საფუარის გაკეთება. მჭადს აქ აცხობენ ქვის კეცებზე. კეცს კერის ცეცხლზე გაახურებენ, შემდეგ გადმოიღებენ და მასზე მჭადის ცომს დააკრავენ. კეცი დახურულია თუნუქით — „თანაქა"-თი, რომელზედაც დაყრიან ნაღვერდალსა და ნაკვერჩხალს. კეცის მჭადი სქელია და მძიმე მოსანელებელი. მჭადსაც ცხლად ჭამენ, ცივი მჭადი აქ მიღებული არ არის.

მჭადი და ღომი მეგრელის ყოველდღიური საჭმელია, მაგრამ დღესასწაულებში და ბედნიერ დღეებში (ქორწილი, დაბადება და სხვ.) აქ პურსაც ხმარობენ.

პურის ცომისაგან ჩვეულებრივ ხაჭაპურებს აცხობენ. მეგრული ხაჭაპური გემრიელია და ნოყიერი. ხაჭაპურში დებენ მოუხდელ ჭყინტ ყველს, ფქვილი იზილება რძით, ცომს აღვივებენ და ისე

აცხობენ. ზოგჯერ საჭაპურის ზედაპირს კვერცხში გათქვეფილი ყველით შეაზავებენ. აკეთებენ აგრეთვე *ჭეოშტარს* — ყველის გულიან მჭადს. ხარშავენ ყველის გულიან კვერებს (ხინკალს) და „*ხოზო*"-ს, რომელიც წარმოადგენს მოგრძო ფორმის კვერს.

სამეგრელოს საჭმელებში ცნობილია „ელარჯი", რომლითაც აქ უმასპინძლდებიან საპატიო სტუმარს. ელარჯს ყველით აკეთებენ.

ღომის მოზელვა.

ადუღებულ წყალში გახსნიან სიმინდის ფქვილს და შიგ ჩააჭრიან ბლომად ჭყინტ ყველს. ელარჯს რამდენჯერმე მაგრად მოზელენ. ფქვილი რომ მოიხარშება, ელარჯი ღომივით გასქელდება. შემდეგ ელარჯს ჩოგანით ამოიღებენ და ჭამენ. ელარჯი ძალიან გემრიელი და მსუყე საჭმელია, ადამიანი მას ბევრს ვერ შეჭამს. ელარჯი მეჯოგეების საყვარელი საჭმელია.

„*ჩემხვა*" — სიმინდის ფქვილს რძეში ჩაყრიან, კარგად მოზელენ, როგორც ფქვილის ღომს და შემდეგ ამოიღებენ ჩოგნით და ჭამენ.

შეჭამანდებში აქ ხმარობენ ყველს, ხორცს, ლობიოს, ფხალს და სხვას. რძის ნაწარმიდან სამეგრელოში კარგად აკეთებენ სულუგუნს, რომელიც ერბოიანია და გემრიელი. მეგრელის ყოველდღიური საჭმელია ცხელი ღომი და სულუგუნი.

ხორცი აქ უფრო შემწვარი უყვართ და მას ჭამენ ტყემლისა

და წიწაკისაგან შეზავებული საწებლით (წვენი). ან ნიგვზითა და მწვანილით შეაზავებენ მას და ისე ჭამენ. ძროხის ხორცისაგან აკეთებენ გემრიელ ხარჩოს.

ღორის ხორცი მეგრელებს უყვართ და იშვიათია ოჯახი, რომ წელიწადში ერთი ღორი მაინც არ დაკლას, განსაკუთრებით ზამთარში. მას დაამარილებენ და გამოზოგვით ჭამენ.

ფრინველის ხორცს (ქათამი, ბატი, ინდაური და სხვა) ჭამენ შემწვარს, საწებლით.

კარტოფილს და მისგან შეზავებულ ხორცის წვენს (ბორში, სუფი და სხვა) მეგრელები არ ხმარობენ. მეგრელები დღემდის არ აკეთებდნენ და არც ხმარობდნენ ერბოსა და კარაქს, რადგანაც მათი წარმოდგენით, ეს არ უხდება ღომსა და მჭადს. ერბო-კვერცხს მოსწვავენ ღორის ქონში ან დაფშვნილი ყველით და ისე ჭამენ.

საზოგადოდ მეგრული კერძი შეზავებულია ღომთან. მართალია, კერძი იციან უწვნო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საწებელს, მაგრამ ღომი თვითონ თხელია და წვნიანი და ამ მხრივ, იგი აკმაყოფილებს ადამიანში წვნიანი საჭმლის მოთხოვნილებას. ღომით გამძღარ ადამიანს ნაკლებად სწყურდება. მჭადი კი შედარებით უფრო მშრალია, ადამიანს აწყურებს და ამიტომ მეგრელები მჭადს უფრო დილით ჭამენ, შუადღისას კი — ღომს, რომ ჭის წყალი ნაკლებად დალიონ.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ერბო-კარაქით შენელებული საჭმელები სამეგრელოში დღემდის არ იხმარებოდა, მაგრამ ცხიმოვანობის სინაკლულეს აქ ავსებდა მსუქანი ხორცეული, მოუხდელი და მაღალცხიმოვანი სულუგუნი.

მეგრულ კერძებში ცნობილია „*საციკი*", რომელსაც ამზადებენ ინდაურის ხორცისაგან. საციკი მეგრელების საყვარელი საჭმელია. შემწვარ ინდაურის ხორცს ჩაამუჟუჟებენ ნიგვზიან წვენში, რომელიც შეზავებულია სხვადასხვა სუნელით და მას ღომით ჭამენ.

მეგრელები დღეში სამჯერ ჭამენ: საუზმეს „*საკაკალო*", სადილს, „*ონდღური*" და ვახშამს, „*ოსორშო*". სუფრაზე იციან კერძის განაწილება და ყველას ეძლევა თავისი წილი — „*თია*".

სიმინდით ხანგრძლივ კვებას სამეგრელოში მოჰყვა ავადმყოფობა „პელაგრა", რომელმაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საგრძნობი ზიანი მიაყენა. ციტრუსების კულტურის მოშენებასთან სამეგრელოში იწყება მოსახლეობის პურით მომარაგება და ახლო მომავალში სიმინდი აქ პურმა უნდა შეცვალოს. კვების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ზრდას, ჯანმრთელობას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

8. შინამრეწველობა და ხელოსნობა

შინამრეწველობა და ხელოსნობა დაკავშირებულია ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნასთან და ჩვენი შინამრეწველები ქალაქად თუ სოფლად ამზადებენ იმ საქონელს, რომელიც ესაჭიროება რაიონის მოსახლეობას. სამეგრელოს რაიონების ქალაქებში ჩამოყალიბებულია შინამრეწველთა და ხელოსანთა არტელები, რომელთაც აქვთ თავიანთი წესდება, ჰყავთ გამგეობა და ხელმძღვანელი ორგანოები. შრომა არტელებში ორგანიზებულია და ტექნიკურადაც გაუმჯობესებული.

ჩვენ აქ მოვიყვანთ სამეგრელოს რაიონებში დღემდის დაცული ზოგიერთი ხელოსნობის, ტექნიკური იარაღებისა და შრომა-საქმიანობის აღწერას.

ფეიქრობა. წინათ სამეგრელოში ქსოვილებს ოჯახებში ამზადებდნენ. ქალები გავარჯიშებული იყვნენ ბამბის, აბრეშუმისა და შალეულის ქსოვაში და თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდათ საპენტი იარაღები, ჩიხრიხი, საქსოვი დაზგა თავისი მოწყობილობით და სხვა. დღეს, რასაკვირველია, ფაბრიკულმა ქსოვილებმა ყველაფერი ეს შეცვალა. ხალხი უკვე არ იმოსება შინ დამზადებული ქსოვილებით, რადგანაც ის უფრო ძვირი ჯდება, მოუხეშავია და ფაბრიკულთან შედარებით, სინაზესა და სილამაზეს მოკლებული.

მხოლოდ ზოგან ჯერ კიდევ მისდევენ, განსაკუთრებით მთიან ადგილებში ქსოვილების ოჯახში დამზადებას. ქსოვენ უფრო აბრეშუმს, რადგანაც აქ ამისათვის ნედლეული ბლომად მოიპოვება. შინ მოქსოვილი აბრეშუმი „დარაია“ კარგია და გამძლე. დარაიას იყენებენ საბნის პირებად და აგრეთვე მისგან იკერება ფოჩიანი მანდილი, რომელიც სამეგრელოში გავრცელებულია და მას თითქმის ყველა ატარებს.

ბამბისაგან იქსოვება საპირსახოცე, საფენი, საცვალი — „*ბამლენი*“ და სხვა. ბამბა სამეგრელოში კარგად ხარობს და მას მაღლობსა და ქვიან ადგილას სთესენ.

მთიან ადგილებში, სადაც ცხვარი ჰყავთ, შალეულსაც ქსოვენ, შალისაგან იკერავენ ჩოხას, ყაბალახს და სამუშაო ტანისამოსს (მეჯოგისა და მეცხვარის ტანისამოსს).

ჩიხრიხი — „ჩიჩიხი“ ეს ხის მანქანაა, რომელიც ბამბას კურკას აცლის („ობუწკალი“). ჩიხრიხი სხვადასხვა ზომისაა, მისი საშუალო ზომა ნახევარ მეტრს უდრის. ჩიხრიხის ორი „ტანი“ ბოძი

დამაგრებულია ბრტყელ ფიცარზე, რომელსაც ეწოდება „ფეხი“. ბოძებში გაყრილია ორი მრგვალი ჯოხი „*კიჯი*“, რომელსაც ბოლოებში გაყრილი აქვს სახელური „ხელი“. „კიჯები“ მოძრაობის დროს ტრიალებენ.

ჩიხრიხზე მუშაობს ორი კაცი — ერთი მარჯვნივ ატრიალებს კიჯს, მეორე კი — მარცხნივ. გასაწმენდად ბამბას კიჯებს შუა უდებენ და ბამბას კურკები სცვივა და იწმინდება. კურკები გროვდება ერთ მხარეზე, სუფთა ბამბა კი — მეორე მხარეზე.



ჩიხრიხი.

გაწმენდილი ბამბა შემდეგ იპენტება ხის მშვილდით, რომელსაც „*კიტოლით*“ (პატარა ჯოხია) ამუშავებენ.

შემდეგ იწყებოდა ბამბისა, აბრეშუმისა და მატყლის დართვა თითისტარზე. ძაფის შულოების ასაწონად ხმარობდნენ „*ლალანკონს*“[1], რომელიც დღემდის არის შემონახული მთიან სამეგრელოში.

ლალანკონი შედგება მოკლე და მრგვალი ჯოხისაგან, რომელზე-

---

[1] წონის ეს საზომი ძველად ჩვენში გავრცელებული იყო და ეწოდებოდა „ლალარიკონი“, რომელსაც ხმარობდნენ სანთლის ასაწონად (ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა, თბ. 1925 წ. 91 გვ.); სულხან-საბა ორბელიანს აქვს „ლოღარიკი“ — ცალსასწორი. (იხ. მისი ქართული ლექსიკონი, თბ. 1884 წ. გვ. 163).

დაც მიმაგრებულია სასწორი (გირი). ლაღანკონის ჯოხზე რამდენიმე ხაზია დაჭდეული. თითოეულ ნაჭდევის წონადობა გამოანგარიშებულია კვერცხებზე. მაგალითად, ლაღანკონი უდრის 12 კვერცხის წონას და დაახლოებით შეიცავს 600 გრამს.

სანი არის ოთხი კვერცხი და უდრის 200 გრამს; ერთი კვერცხი უდრის 50 გრამს, ანუ სანის 1/4. ამ სასწორის წონასწორობაში მნიშვნელობა აქვს ლაღანკონის ბოლოზე მიმაგრებულ გირს, რომელიც ლაღანკონის ჯოხზეა წამოცმული. ეს გირი განსაზღვრული წონისაა, იგი ქვისაგან ან ლითონისაგან არის გაკეთებული და აქვს მრგვალი ფორმა.

სასწორი ლაღანკონი.

ასაწონ საგანს ლაღანკონის ჩანგალზე ჩამოკიდებენ და ისე ასწონიან. ამწონავს ლაღანკონი ხელში უჭირავს კანაფით, რომელიც ზედ ლაღანკონის ტარზეა შებმული და ამ კანაფის გადაწევ-გადმოწევით ნაჭდევზე ამწონავი იგებს საგნის წონით რაოდენობას. შემდეგ მას იგი გამოიანგარიშებს კვერცხებით.

აწონილ შულოებს შიბავენ, ღებავენ და სხვა. ყველა ამ პროცესების შესრულების შემდეგ, ქალები შეუდგებიან ქსოვის თადარიგს.

საქსოვი იხმარებოდა ხისა და ქსელს გაამბმნენ საქსოვის ჩარჩოში. სამეგრელოში გავრცელებული იყო ოთხკუთხი ფორმის საქსოვი დაზგა, რომელიც შედგებოდა ოთხი ბოძისაგან. საქსოვზე

გამართული იყო ქსელი და სავარცხელი. ამ ქსელში საზედაო ძაფს უყრიდნენ მაქოთი („მარქვი") და სავარცხელის მოძრაობით ქსოვდნენ, რაც იქსოვებოდა, მას ახვევდნენ „ლირეზე", რომელიც მიმაგრებული იყო საქსოვი დაზგის ბოძებზე. ასეთ საქსოვზე იქსოვებოდა ვიწრო განის ქსოვილი და კარგი მქსოველი ქალი დღეში მოქსოვდა დაახლოებით შვიდ მეტრ აბრეშუმს ან შალეულს.

მოქსოვილ შალს მოთელავდნენ, და რეცხვის შემდეგ აშრობდნენ. ახალ მოქსოვილ აბრეშუმს ცხელ წყალში მოხარშავდნენ და შემდეგ აშრობდნენ.

მთიან სამეგრელოში, სოფ. ჯვარში და ხუდონში, ქალები



საქსოვი დაზგა: 1. სავარცხელი, 2. „ზინგი", 3. ლირე, 4. საფეხური, 5. ქსელი, 6. „ხვიცელი", 7. თოკი, 8. ჩარჩო.

აკეთებდნენ ნაბდებსა და ნაბდის ქუდებს. სანაბდედ არჩევენ შავ მატყლს, თუ მატყლი ფერადია მას შავად ღებავენ. გარჩეულ მატყლს ჯერ კარგად გარეცხავენ, შემდეგ შავად ღებავენ და ლასტზე ან ფიცარზე ხელით მოთელავენ.

საქუდე მატყლს უფრო ნაცრისფრად ღებავენ, შემდეგ მას ხელით მოთელავენ და კალაპოტზე ამრგვალებენ.

ქსოვილის გასაზომად იყენებენ ბუნებრივ საზომებს: გონჯი (გოჯი), ცინდა (ციდა), ტკუ (მტკაველი), ხეშფორი (ხელის დადება), ჭყითა (ერთი მკლავი), ორგია (ერთი მხარი) და სხვა.

მეჭურჭლეობა. მეჭურჭლეობას სამეგრელოში ძველადვე მის-

ნაბდის ქუდის
გაკეთება.

ძაფის დართვა.

დევდნენ. განსაკუთრებით აკეთებენ თიხის ჭურჭელს, რასაც ხელს უწყობს საჭურჭლე თიხის დიდი მარაგი. მეჭურჭლეობა გავრცელებულია ზუგდიდისა და სენაკის რაიონებში. ამ მხრივ, სამეგრელოში ცნობილია სოფ. ნამკოლუ, სადაც კეთდება კარგი ხარისხის თიხის ჭურჭელი. ამ სოფელში თიხის ჭურჭლის გაკეთებას დაახლოებით 200-მდე კომლი მისდევს და ეს ხელოსნობა ოჯახში მემკვიდრეობით გადადიოდა.

მეჭურჭლეებს აქ თავიანთ ეზოებში გამართული აქვთ ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა და სახელოსნო, სადაც მოთავსებულია ჭურჭლის გასაკეთებელი ჩარხი და ხელსაწყოიარაღები. ოჯახში ერთი ან ორი პირია ამ ხელოსნობაში გავარჯიშებული და ჭურჭელსაც ისინი აკეთებენ. ჭურჭლის სახელოსნო ჩვეულებრივად სამზარეულო სახლის ერთ რომელიმე კუთხეშია მოწყობილი. ვისაც შეძლება აქვს, მას სახელოსნო ცალკე სადგომში აქვს გამართული. ზაფხულში ჭურჭელს გარეთ, ღია ცის ქვეშ ამზადებენ. ჭურჭლის დამზადებაში მთავარია საჭურჭლედ ვარგისი თიხა-მიწა და საწვავი მასალის მარაგი.

ამ მხრივ, ნამკოლუს აქვს ხელშემწყობი პირობები. მიწას ეზიდებიან ადგილ „ენწერიდან", რომელიც ნამკოლუდან ორი კილომეტრით არის დაშორებული. ენწერი დავაკებული ველია და აქ მეჭურჭლეები მიწას ბარით თხრიან და ურმებით შინ

ეზიდებიან. კარებზე მიტანილ მიწას შემდეგ ზელენ ფეხით, მაგრამ ჭურჭელი რომ გამოვიდეს მაგარი, თიხას ქვიშასაც ურევენ. ქვიშა გაცრილია. თიხას ურევენ ერთ მესამედ ქვიშას და მაგრად მოზელენ. ქვიშის რაოდენობაზეა დამოკიდებული ჭურჭლის სიმაგრე და გამძლეობა. ამიტომ, ამისდა-მიხედვით ურევენ თიხას ქვიშასაც. ერთი ურემი ტალახის (თიხის) დამზადებას მეჭურჭლე ორ დღეს უნდება.

თიხის დამზადების შემდეგ, მეჭურჭლე შეუდგება ჭურჭლის გაკეთებას. ამ მიზნით, იგი მოუჯდება პრიმიტიული კონსტრუქციის ჩარხს, რომელიც გაკეთებულია ხისაგან და შედგება ასეთი ნაწილებისაგან: „*ბარბაი*“ ბზრიალას ფორმისაა და მთლიან ხისაგან არის გამოთლილი. მას ზედაპირი აქვს მრგვალი და ბრტყელი. კარგად არის ზედაპირი გასიპული. „ბარბაი“-ს გარშემოწერილობა უდრის 1.20 სმ-ს. „*ბარბაი“-ს* ძირი აქვს ვიწრო, დიამეტრით 15 სმ. და შუაში ამოხვრეტილია. ნახვრეტის ზომებია 5X5 სმ. „ბარბაი“ გამართულია ფიცარზე, რომელსაც ეწოდება „*ჩაფულა*“. იგი სხვადასხვა ზომისაა. ჩვეულებრივ კი მისი სიგრძე უდრის 66 სანტიმეტრს, განი კი — 20 სანტიმეტრია.

ნაბდის მოთელვა.

ამ ფიცარზე დამაგრებულია პატარა მრგვალი სოლი „გუ-გულე“, რომელიც ბზის ხისაგან მზადდება. გუგულეს სიმაღლე 15 სანტიმეტრია და გუგულეზეა წამოცმული ბარბაი და მას ხელით ატრიალებენ.

მეჭურჭლე მოუჯდება ამ ხელის ჩარხს, ერთ ფეხს „ჩაფუ-ლაზე“ დაადგამს და მარცხენა ხელით ჩარხს ატრიალებს, მარჯ-ვენა ხელით თიხას აიღებს, ჩარხზე დადებს და ჭურჭლის გაკე-თებას შეუდგება. თიხას ჩარხზე დებს, ხელით ასწორებს და იგი თითების საშუალებით თავდაპირველად ჭურჭლის ნაპირს გამო-იყვანს 5-10 სანტიმეტრის სიმაღლეზე.

შემდეგ აიღებს მოზრდილ გუნდას, ასორსოლებს მას და მოაბამს თიხის ჭურჭლის ნაპირს. მას, ამ დროს, ხშირად მეორე პირი შეეშველება, რომ თიხა არ გაწყდეს. დასორსოლებული თიხა ორივე ხელით უჭირავს და ისე ნებისას უმარჯვებს მეჭურჭლეს.

თუ რა სახისა და დანიშნულების ჭურჭელი კეთდება, იმისდა მიხედვით ხდება ჭურჭლის ფორმის მიცემაც: მეჭურჭლეს ჯერ ამოჰყავს მუცელი, შემდეგ ჭურჭლის ყელი და ტუჩი. ბოლოს მას ყურსაც მოაბამს.

გაფორმებული ჭურჭლის ზედაპირს ასწორებენ სამკუთხედი ფორმის ფიჭვის საფხეკით, რომლითაც ჭურჭლის გარშემო დარ-ჩენილ უსწორ-მასწორო ადგილებს ასწორებენ.

გასიპვის შემდეგ მეჭურჭლე აიღებს წყლიან ჩვარს და ჭურ-ჭელს წაუსვამს, რომ მისი ზედაპირი გასწორდეს.

უკვე დამზადებულ ჭურჭელს ოსტატი ხის დანით ძირს შემო-უჭრის და ჭურჭელსაც ჩარხიდან აიღებს.

თუ ჭურჭელს ყელი ვიწრო აქვს, როგორც, მაგალითად, ლიტ-რასა და სურას, მაშინ ყურის გაკეთების დროს, ჩაყოფენ შიგ „კეკეკა“-ს — კომბლის მაგვარ ჯოხს და შიგნიდანვე ასწორებენ გარედან მიბმულ ყურს. წინათ სცოდნიათ ჭურჭლის სხვადასხვა სახით დაჭრელება: არშია, ფრჩხილა, კუწუბები, წრეები და სხვა. ოსტატების თქმით, ნაჭრელ ჭურჭელს დრო მეტი მიაქვსო და ფასი კი ერთიაო. ამიტომ ოსტატები ახლა სადა ჭურჭელს აკეთებენ.

აკეთებენ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ჭურჭელს: *ყარყაი* (ყარყარა), *კოკური* (პატარა კოკა), *ცოცო* (პატარა ქოთ-ანი), *დერგი* (ქოცო), *ოუჯელი* (დიდი ქოთანი), *საწყიბოლი* (ქარ. დორა), *ორკოლი* (ლიტრა), *თუნგური, ბანკა, ლიაგვანი* (ქვევრი), *გვიმი* (ჭაზე დასადგამია) და სხვა.

ჭურჭელი შრება რამდენიმე დღე. ეს ამინდზეა დამოკიდებული. ჯერ ჩრდილოში აშრობენ ჭურჭელს და შემდეგ შემშრალი გადააქვთ ღუმელში (ქურა).

ქურას რიყის ქვისაგან აგებენ და გარშემო თიხით არის გალესილი. ქურა სხვადასხვა ზომისაა და თითქმის ყველა მეჭურჭლეს თავისი საკუთარი ღუმელი აქვს ეზოში გამართული. ქვევრების გამოსაწვავი ღუმელი დიდია, ქოთნებისა კი — მომცრო. ქურის კედლის სისქე უდრის 20-25 სანტიმეტრს. გარშემო დატანებული აქვს მრგვალი თვლები (ჭუჭრუტანა), რომ ცეცხლის ალსა და სიმხურვალეს საშუალება ჰქონდეს გარეთ გავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგუბებული ცხელი ჰაერი მას გახეთქავს.



თიხის ჭურჭლის დასამზადებელი ხელის ჩარხი: 1. ბარბაი, 2. „ჩაფულა“, 3. „გუგულე“.

ღუმელს წინ აქვს გამართული ცეცხლის შესანთები კარი, რომლის ზომებია 60X60 სანტიმეტრი. ღუმელის შიგ გამართულია ტახტი, რომელზედაც გამოსაწვავ ჭურჭელს ალაგებენ. ტახტს სიგრძეზე აქვს გამართული ორი ბოძი, ნაგებია თიხისაგან. ბოძებს შუა რიყის ქვებია დალაგებული ისე, რომ მათ შორის ხანი იყოს დატოვებული, საიდანაც ცეცხლის ალი და სიმხურვალე ედება გამოსაწვავ ჭურჭელს.

ღუმელს ერთ მხარეზე გამოარღვევენ და იქიდან ჭურჭელს შიგ ჩააწყობენ. ღუმელი გადახურულია ხის ფარდულით.

ერთ ღუმელში ეტევა დაახლოებით 200-300-მდე ჭურჭელი.

თიხის ჭურჭლის გაკეთება. დაწყებითი პროცესი.

ჭურჭელს ალაგებენ მწყობრად და მჭიდროდ.

ჭურჭლის ჩალაგების შემდეგ, გამორღვეულ კედელს ისევ ამოაშენებენ და ქურას ცეცხლს შეუნთებენ. პირველად, ნელ ცეცხლს შეუნთებენ, რომ ჭურჭელი ნებისას გამოშრეს და ერთბაშად არ დასკდეს. ასე იწვის ორი დღე და ღამე. მეორე დღეს, ძლიერ ცეცხლს შეუნთებენ, რომ ჭურჭელი კარგად და მაგრად გამოიწვას. ჭურჭელი ჯერ გაშავდება, შემდეგ კი მაღალ ტემპერატურაზე გაწითლდება. სამი ღუმელი ჭურჭლის გამოსაწვავად საჭიროა ერთი საჟენი შეშა. გამოწვის შემდეგ, ჭურჭელს აციებენ, კედელს გამოარღვევენ და გამომწვარ ჭურჭელსაც მწყობრად და ნელა გამოალაგებენ.

ჭურჭელს გასინჯავენ, გაბზარულები თუ ურევია, გადაარჩევენ. შემდეგ ფორმისა და დანიშნულების მიხედვით დააჯგუფებენ და შემდეგ უდგებიან ჭურჭლის ბაზარზე გატანის სამზადისს.

ლასტებიან ურემში ჭურჭელს თვლით ჩაალაგებენ, ზედ ჩალას დაალაგებენ და ბაზარში მიაქვთ გასაყიდად. აქაური ნაკეთი ჭურჭელი ძლებს დაახლოებით სამ წელიწადს. ნამკოლუს ჭურჭელს ფართო ბაზარი აქვს მოპოვებული მარტვილისა და აბაშის რაიონში. ნაწილი გააქვთ იმერეთში და უმთავრესად საღდება ხონში, ჯიხაიშსა და ქუთაისში.

გაკეთებული ჭურჭლის ჩარხიდან აღება.

ხის ჭურჭლის დამზადება. ხის ჭურჭლის გაკეთება დღეს გავრცელებულია უმთავრესად მთიან სამეგრელოში, აბაშისა და ხობისწყლის სათავეებში, სადაც მდიდარი ტყეებია და საჭურჭლე მასალაც ბლომად

მოიპოვება. ამ მხრივ, მარტვილის რაიონში ცნობილია მეჭურჭლეობით ორი სოფელი: ვახა (სალხინოსთან) და ზარდა (გაჭედილთან). ამ სოფლის მცხოვრებლები ამ ხელოსნობას მისდევენ, მიემგზავრებიან ტეხურას ხეობაში და ზაფხულობით იქ მუშაობენ. ამისათვის ტყეში შესაფერ ხეებს არჩევენ: — თხმელა, თელა და ცაცხვს. ხეს ყიდულობენ, შემდეგ მას მოსჭრიან და გათლიან.

ხის ჭურჭლის ჩარხი შედგება ორ-კაპიან ხისაგან, რომლის შუაზე გამართულია თავწვეტიანი ღერძი. ამ ღერძს სახელურებით

ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა

ატრიალებენ. ღერძის ნემს-კავის შუა მოთავსებულია გასაჩარხი ხის მრგვალი კოპიტი.

საზოგადოდ გასაკეთებელ ჭურჭელს ჯერ ნახევრად გათლიან და დაამრგვალებენ, შემდეგ მას „*შუბსა*“ და „*ძუძუს*“ შუა ათავსებენ. ერთი ოსტატი ზედ ორკაპიან ჩარხზე ჯდება, ხელში აიღებს ხვეწნს და ამით ჩარხავს ხის ჭურჭელს. მეორე ოსტატს კი ორივე ხელით უჭირავს ღვედიანი სახელურები და ჩარხის ღერძს ატრი-

ალებს. ხვეწით საჭურჭლე მორს ჯერ შემოათლიან გარე ნაპირებს, შემდეგ გადავლენ გულის ამოჭრაზე და ჭურჭელიც თანდათანობით იღებს გარკვეულ ფორმასა და სახეს. აქ ამზადებენ თაბახს, გობს, ჯამებს, როდინებს და ხის კოვზებს. ოსტატები დღეში აკეთებენ 20 ცალ ჯამს, 6 თაბახს და 4 როდინს. ხის ჭურჭელი გასაყიდად გააქვთ ბაზარზე სენაკში, ბანძაში, ხონში, სამტრედიაში, ზუგდიდსა და დიდ ჯიხაიშში.





ქურის ნაწილები: 1. საჰაერო ხვრელი — „თოლი“, 2. ჭურჭლის ჩასაწყობი, 3. ტახტი, 4. რიყის ქვები, 5. ღუმელი.

კალათების დამზადება. კალათაზე სამეგრელოში დიდი მოთხოვნილებაა. ოჯახში კალათა საჭიროა სიმინდის ტაროების გადასაზიდად, ღომის შესანახად და სხვა. ამიტომ კალათების გაკეთების ოსტატობა აქ გავრცელებულია, განსაკუთრებით სამეგრელოს მთიან რაიონებში, სადაც საამისოდ საჭირო მასალაც მო-

იპოვება. კალათს საზოგადოდ წნავენ თხილის ხის წნელისაგან. ამისათვის ტყეში მოჭრიან თხილის ახალსა და სწორ წნელებს, შემდეგ მას აპობენ ბრტყელ ფენებად და სანამ გაშრება, მანამდის უნდა კალათა დაწნან. კალათისათვის ჯერ საჭიროა ბრტყელი სალტეები — „ბეტკები", რომელიც უნდა იყოს მაგარი ხისაგან, ჩვეულებრივ, ამისათვის ხმარობენ მუხასა და აკაციას. ამ სალტეებისგან იწნება კალათის ძირი. კედლების ამოსაყვანად ხმარობენ თხილის წნელებს. ნაპირს კარგად და მაგრად გადაუწნავენ ისე, რომ კალათა ხმარებაში დიდხანს არ დაიშალოს.

ერთ კაცს შეუძლია დღეში ერთი გოდრის დამზადება, რომელშიაც ჩადის ორი ფუთი სიმინდი.

კალათები გასაყიდად ბაზარზე გააქვთ, განსაკუთრებით შე-



ქურის ჭრილი და შიგ მოთავსებული ჭურჭლის წყობა.

მოდგომით. როდესაც სიმინდის გარჩევის დრო დადგება, მაშინ გოდრებზე დიდი მოთხოვნილებაა და იგი ბლომადაც საღდება. გოდორ-კალათები ბევრი იყიდება ბანძაში, მარტვილში, ზუგდიდში, აბაშაში და სხვაგან.

ყავრის დამზადება. საშენ მასალებში ყავარს მთავარი მნიშვნელობა ეძლევა. სამეგრელოში სახლები უმთავრესად ყავრით იხურება. ყავრით გადახურული ოდა მეგრელებს უყვართ და დიდად მოსწონთ. ამიტომ სამეგრელოში ყავარს ეტანებიან და ცდილობენ, სადაც უნდა იყოს, შეიძინონ ყავარი.

ყავარი სამეგრელოს პირობებში მაინც დიდხანს ვერ ძლებს. ნესტისა და ხშირი წვიმების გამო, ყავარი აქ ჩქარა ლპება და დაახლოებით იგი ძლებს 15 წელიწადს.

ხის ჭურჭლის გაკეთება.

ყავრის დამზადებას მისდევენ მთიანი სამეგრელოს სოფლები, განსაკუთრებით კურზუსა და სალხინოს მცხოვრებნი. ყავარს აგრეთვე მუხურის თემშიაც ამზადებენ, სახელდობრ, ხობისწყლის სათავეში. ყავარი მზადდება ფიჭვისა და ნაძვის ხისაგან. ამიტომ ყავრის დამზადებისათვის მთავარია ფიჭვისა და ნაძვის ტყეების მარაგი. ასეთი ტყეები დღეს სამეგრელოში მოიპოვება ტეხურასა და ხობისწყლის სათავეებში და ყავრის ოსტატებიც ზაფხულობით იქ მიდიან სამუშაოდ.

ტყეში ჯერ არჩევენ საყავრედ გამოსადეგ ფიჭვისა და ნაძვის ხეებს. უპირატესობა ეძლევა ნაძვს, რომელიც, მართალია, ძნელი გასაპობია, მაგრამ უფრო მეტ ხანსა ძლებს, დაახლოებით 20 წლამდე. ფიჭვი კი უფრო ადვილი გასაპობია, იგი ძლებს 15 წელიწადს.

კალათის გაკეთება.

საყავრე ხეს არჩევს გამოცდილი ოსტატი. ხე უნდა იყოს სწორი. თუ ხეს ტანი მრუდე და დაგრეხილი აქვს, იგი საყავრედ არ გამოდგება. საყავრე ხეს ქერქის მიხედვით არჩევენ. შემდეგ არჩეულ ხეს მოსჭრიან და გასთლიან. ხეს დასჭრიან 1,15 მეტრი სიგრძით. ცოტა რომ შეშრება, კუნძებს ოთხკუთხედად დააპობენ, რომელსაც „*ლარჩვი*“ ეწოდება.

ლარჩვი მზადდება ტყეში გაზაფხულ-ზაფხულში. მას ჩაყრიან მდინარე წყალში და როცა წყალი ადიდდება, ლარჩვები მას ბარში ჩააქვს. აქ მეპატრონეები ლარჩვებს წყლიდან ამოზიდავენ და მდინარის ნაპირზე აწყობენ.

შემდეგ ურმებით შინ ეზიდებიან და ამ ლარჩვებისაგან ყავარს აპობენ.

წყალში ნაყარი ლარჩვისაგან დამზადებული ყავარი უფრო მდარე ღირსებისად ითვლება, ვიდრე ადგილზე დაპობილი ყავარი. მაგრამ დამზადებული ყავრის მთიდან ჩამოტანა ძნელია და ძვირი ჯდება. მთიდან ყავარს ეზიდებიან ცხენებით და ცხენის ქირაც ყავრის მყიდველს დაეწერება.

ყავრის დასაპობად, პირველყოვლისა, საჭიროა „*ხუნდი*", რომელიც წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედს. იგი მზადდება ხისაგან და მისი ოთხივე ფეხები შეკრულია გვერდის ფიცრებით.

ოსტატი ამ ხუნდში ჩასდგამს „*ლარჩვს*" (კუნძს), ხელში აიღებს „*დაშნა*"-ს რომელიც წარმოადგენს გრძელსა და ბრტყელპირიან დანას. დაშნას აქვს მოკლე ტარი. ოსტატი ლარჩვზე დადებს ამ დანას, დაჰკრავს ხის ჩაქუჩს „*კვეკვა*"-ს და ძარღვის მიხედვით, დაშნას გადასწ-გადმოსწევს, რომ მიიღოს სწორი და მთელი ყავარი.

დაპობილ ყავარს შემდეგ დათვლიან და დაალაგებენ „*ბაღუ*"-დ, რომელიც შეიცავს 200 ცალ ყავარს.

ერთ ოთხ-თვალიან სახლს უნდება 5 „ბაღუ" ყავარი (1000 ცალი) და ერთი კარგი ხისაგან გამოდის 15 ბაღუ ყავარი. ოსტატს დღეში შეუძლია ორი ბაღუ ყავარის დამზადება.

დამზადებული ყავარი გასაყიდად მიაქვთ ურმებით ბაზარში: ხონში, ქუთაისში, ბანძაში, აბაშასა და სენაკში.

მჭედლობა. სამეგრელოში მჭედლობა ძველადვე ყოფილა გავრცელებული. მჭედლობას აქ თითქმის ყველგან მისდევენ და დიდ სოფლებში სამჭედლოებია გამართული. მჭედლები ამზადებენ ცხენის ნალებს, თოხებს, ცულებს, კარის რაზებსა და ჩანგლებს, სახნისს და სხვა. სამჭედლოები ჯერ კიდევ პრიმიტიულად და ძველებურად არის მოწყობილი. შუაში გამართულია ქურა საბერველით, იქვეა გრდემლი.

წინათ მჭედლებს ჰყავდათ შეგირდები, რომლებსაც იყვანდნენ ორი წლით. ჭამა-სმა ხელოსნისა იყო. შეგირდს გასამრჯელო არ ეძლეოდა. როცა შეგირდი მჭედლობას შეისწავლიდა და მას შეგირდობის ვადაც გაუთავდებოდა, შეგირდს მოჰყავდა საკლავი. ოსტატი მას დალოცავდა, შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და სუფრას გაშლიდნენ. სადილზე დაიწვევდნენ ყველა შეგირდს და მჭედელს. აქ ხდებოდა შეგირდის დალოცვა და მისი ოსტატად აღიარება. ოსტატი შეგირდს აძლევდა ხელსაწყო-იარაღებს და

ახალი მჭედელიც ცალკე გადიოდა და თავის საკუთარ სამჭედლოს ხსნიდა. მაგრამ შეგირდს თუ სურდა, შეეძლო ოსტატის ამხანაგად დარჩენილიყო და ორივეს ერთად ეშუშავათ. ამ შემთხვევაში, სამჭედლოს მეპატრონე ოსტატი ანგარიშის გასწორების დროს, გამოქვითავდა ბინისა და ხელსაწყო-იარაღების ხარჯებს და რაც წმინდა მოგება დარჩებოდა, იმას ორივე თანაბრად ინაწილებდა.

მჭედლობასთან დაკავშირებული იყო ზოგიერთი რელიგიური რწმენა-წარმოდგენა და რიტუალური წესი. ასეთი იყო სხვათა შორის, „*ხეხუჯის*" სალოცავი.

ახალ-წლის წინა საღამოს მჭედელი შედიოდა სამჭედლოში, გრდემლის გარშემო აანთებდა სანთლებს, იქვე დააწყობდა ხელსაწყო სამუშაო იარაღებს და ასე დაილოცებოდა: „სუმოშ სუმონეჩ სუმი ხელუაშ მორჩქინე წმ. სოლომონ, ხე-ხუჯის ქომუჩი ჭყანი დო ღონე"-ო.

ახალწელიწადს მეკვლე სამჭედლოსაც უკვლევდა. შევიდოდა სამჭედლოში, ფეტვს მოაბნევდა, წყალს მოასხამდა და საახალწლოდ დაილოცებოდა.

მჭედლები აგრეთვე ლოცულობდნენ შაბათ საღამოს ან კვირას დილით. აიღებდნენ სანთლებს და მიაკრავდნენ გრდემლს, იქვე დააწყობდნენ ხელსაწყო-იარაღებს და შეეევედრებოდნენ წმ. სოლომონს.

9. მატერიალური კულტურა

სამეგრელო მდიდარია ნივთიერი კულტურის ძეგლებით და აქ თითქმის ყველა რაიონში დაცულია ძველი ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები, ძველი ტიპის სადგომები და სხვა.

მათ შორის შესანიშნავია: მარტვილის მონასტერი, ბედიის ან აგუბედიის ტაძარი, ხობისა, ცაიშისა, წალენჯიხისა, ოცინდალისა და სხვა ეკლესიები, რომელთა აღწერა მოეპოვება პროფ. *ეკ. თაყაიშვილს* თავის არქეოლოგიურ მოგზაურობაში სამეგრელოში[1].

შედარებით ნაკლებად არის ცნობილი და შესწავლილი სამეგრელოში დაცული *ციხე-კოშკები* და საცხოვრებელი ბინები. ამიტომ

---

[1] *ეკ. თაყაიშვილი*, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III ტფილისი, 1913-1914 წწ.; გვ. 1-269; ***Brosset***, Voyage arch. rapp. VII, VII; ***Бакрадзе***, Кавказ в древн. пам. христ.; ***Кондаков и Бакрадзе***, Опись памят. древности; *თ. ჟორდანია*, ქრონიკები, II.

ჩვენ აქ შევეცდებით ზოგადად აღვწეროთ მათ შორის უფრო ტიპიური და შედარებით კარგად დაცული ძეგლები.

აქაური ციხე-კოშკები აგებულია სტრატეგიულად და გეოგრაფიულად მნიშვნელოვან პუნქტებში, უმეტეს შემთხვევაში, მდინარის პირას, რომლის მიმართებით გადიოდა სამხედრო თუ სავაჭრო მნიშვნელობის გზა. თავიანთი ნაგებობის ტექნიკით და გეგმით ეს ციხე-სიმაგრენი ეკუთვნიან სხვადასხვა დროს. მათ შორის უძველესად ითვლება ნოქალაქევის ციხე, ძველი არქეოპოლისი[1], ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობილი ქუჯის[2] ციხედ, რომელიც ეკუთვნის V-VI საუკუნეებს. მისი ციხე და გალავანი დღეს თითქმის დანგრეულია, მაგრამ ამ ციხის გრანდიოზული ნაგებობანი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

ნოქალაქევის ციხე აგებულია საკმაოდ მაღალ მთაზე, რომელიც გამაგრებული ყოფილა სამი წყება გალავნით. პირველი გალავანი იწყება ნოქალაქევის ხიდიდან და მისდევს მდ. ტეხურის ნაპირას, შემდეგ იგი მთისკენ უხვევს და გადაჭრის ნოქალაქევ-მარტვილის შარაგზას. გზის გაყვანის დროს ეს კედელი გამოუნგრევიათ და დღეს მიმოსვლა წარმოებს ამ ძველი კედლის თაღებში. კედელი ნაგებია თლილი ქვით, მისი სისქე უდრის ერთ მეტრს, სიმაღლე კი 3-4 მეტრს.

ამ პირველი გალავნის არეში დასავლეთის მხარეზე მოთავსებულია გვირაბი, რომელიც პირდაპირ გადის მდინარე ტეხურში, საიდანაც წყალს ეზიდებოდნენ მეციხოვნენი. გვირაბი ქვითკირით არის ნაგები. ჩასავალში ქვის კიბეა გამართული. გვირაბს აქვს ლამაზთაღებიანი შესასვლელი. ამ გვირაბის მხარეზე საყარაულო კოშკია აგებული, რომელიც უკვე ჩამონგრეულა.

მთის შუა წელზე მეორე გალავანი ყოფილა შემოვლებული. ამ გალავნის ნაწილი აქა-იქ არის შემორჩენილი. მესამე გალავანი მთის თხემზეა, სადაც ციხის მთავარი ნაგებობანია დაცული. ციხის მოედნის ფართობი აღემატება 2000 კვ. მეტრს და მთელი ეს ფართობი შემოზღუდულია ქვითკირის გალავნით, რომელსაც შესა-

---

[1] *ს. ყაუხჩიშვილი*, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტფ., 1936 წ. გვ. 318.

[2] *ეანუშტი*, ნოქალაქევის ციხეს ასე აგვიწერს: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული. ეს ადაშენა პირველ მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთავო იყო სრულიად რიონის დასავლეთი სვანეთით“-ო (იხ. მისი გეოგრაფია, გვ. 298).

ვალი კარი აქვს სამხრეთის მხარეზე. ციხის გალავნის ეს კარი იკეტებოდა ურდულით — კედით. საკედური დაცულია, რომლის სიღრმე უდრის ერთ მეტრს და ამოგებულია რომაული აგურით. გალავანში დასავლეთის მხარეზე ჩაშენებულია ორსართულიანი

ნოქალაქევი. „ორმოცმოწამეთა" ეკლესია და ციხე-კოშკი.

ქვითკირის გრძელი შენობა, რომლის ქვემო სართულში მოთავსებულია ლამაზთაღებიანი ოთახები. ამ შენობას აკრავს სამსართულიანი ქვითკირის მაღალი კოშკი. ასეთივე ტიპის კოშკი მოთავსებულია ციხის აღმოსავლეთის მხარეზე. ციხის შუა მოედანზე დაცულია თლილი ქვით ნაგები ძველი ტაძარი, რომელსაც უწოდებენ ჯეგე-მესარონს.

ნოქალაქევის ციხე ძნელი მისასვლელია. მას გარშემო აკრავს მეტად დაქანებული ფერდობები, რომელიც ტყითა და ჩირგვებით არის დაფარული. დასავლეთ-სამხრეთით ციხეს მდინარე ტეხური უვლის. ამ ციხის მაღლობიდან მოჩანს ძველი კოლხეთის მთელი მიდამო შავ ზღვამდის.

ნოქალაქევის ციხის მახლობლად არის *შხეფის ციხე*, რომელიც მაღალი მთის თხემზეა აგებული და გადასცქერის სამეგრე-

ლოს ვაკეს. ეს ციხე ქვითკირით არის ნაგები და ეკუთვნის XVI საუკუნეს. მას აქვს შიგნით შესასვლელ კარებთან ასომთავრული წარწერაც: *„ქ. კოშკი: ესე: კარის: თუვალი: შედან: აღაშენა: შეუნდვნეს: ღმერთმან: ვინცა სთქვა: შეუნდვეს ღმერთმან“*[1].

ნოქალაქევის გალავანი რესტავრაციამდე.

ერთი ძველი და საყურადღებო კოშკი დაცულია წალენჯიხის რაიონში, აგარაკ სკურის მახლობლად. წალენჯიხიდან სკურამდე

---

[1] *ვახუშტი* შხეფის ან შხეთის ციხეს ასე აღწერს: „ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“-ო (იხ. მისი საქარ. გეოგრაფია, გვ. 297).

შხეფის ამ ციხეში დატუსაღებული იყო მცირეწლოვანი ლევან დადიანი გიორგის ძე (1572-1582 წწ.). ლევანს მტრობდა მისი ბიძა მამია, რომლის ჩაგონებით ეს პატარა ლევანი მოიპარა მამია გურიელმა და იგი ჩაგდო შხეფის ციხეში. ლევანმა განიზრახა ციხიდან გადმოხტომა და გაქცევა, მაგრამ გადმოხტომისთანავე, იქვე მოკვდარა.

შხეფის ციხეში დაპატიმრებული იყო აგრეთვე იმერეთის მეფე ლევანი (1585-1590 წ.), რომელიც ტყვედ ჩაიგდო მამია დადიანმა და ჩაგდო შხეფის ციხეში, სადაც იგი მოკვდა 1590 წ.

15 კილომეტრია. სკური[1] წენ-წყლის სათავეშია. ადგილი მთაგორიანია და აქ გამოდის მინერალური სამკურნალო წყალი, რომელსაც „*სკურიში მენჯს*“ უწოდებენ. ჯგალიდან სკურის მიმართულებით რამდენიმე გამაგრებული ადგილია წენ-წყლის ხეობაში. გზა აქ ვიწროა, ხეობა ღრმა და ძნელ-გასავლელი. პირველი სიმაგრე, რომელიც ამ გზაზეა აღმართული, არის ადგილი „*ლაყორია*“-ში და იგი წარმოადგენს საყარაულო კოშკს. გზა გადის ამ კოშკის ქვემო სართულის თალიან კარებში. მისი ორივე მხარე გამაგრებულია: ერთის მხრივ, ღრმა ხევია, მეორეს მხრივ, მიშენებული აქვს მაღალი კედელი, ციხე ყოფილა ორსართულიანი, ახლა დარჩენილია მისი ქვედა სართული. კოშკი ქვითკირით არის ნაგები, ქვა ნათელია და კედლის სისქე უდრის ხუთ მეტრს.

ნოქალაქევის გალავნის ფრაგმენტი.

---

[1] სკური ადგილია, სადაც გამოდის მინერალური წყალი მენჯი. სკურიდან წარმოებული სახელწოდებანი გავრცელებულია სამეგრელოში: მასკური, ეწოდებოდა მთის ნიავს, ფუსკური, მთის ღელეა სკურის მახლობლად. სკურდილა ადგილია და წყალიც სოფ. ენწერში, გოლასკური, სოფ. ქვალონთან და მდინარე წყალიც. სკურია პატარა ღელეა ხორშში. სამსკური ხეთასთან ღელეა და სოფელიც. სკური წყლის სახელია მუხურში. სკურია (რუკაზე სკურდა) ღელეა პალიასტომთან გურიის საზღვარზე და სხვა. ამ გეოგრაფიულ სახელწოდებას სკურს უეჭველია კავშირი აქვს ძველ კლასიკურ მწერლობის კოლხეთის საგეოგრაფიო სახელებთან, მაგალითად დიოსკურიასთან და სხვა.

ამ საყარაულო კოშკის თაღში რომ გაიცლით, სკურის მიმართულებით, დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე არის ადგილი „*ნოჯიხენი*“, სადაც აგებულია მრგვალი ფორმის სიმაგრე, რომელიც შემოზღუდულია ქვითკირის გალავნით. ეს კოშკი ქვითკირისაა და გარედან შეძერწილია ნათალი დიდი ქვის ფიქალებით, რომლის ზომა უდრის 80X50 სანტ. ამ ნაგებობის ზედა სართული ჩაქცეულია და ახლა ხეებია ამოსული. დარჩენილია მხოლოდ ქვემო სართული, რომელსაც აქვს სათოფურები და სარკმელები. მისი სიმაღლე უდრის 5 მეტრს. ციხე ლამაზად არის ნაგები, თვით შეძერწვის ტექნიკაც მაღალი ხელოვნებითაა შესრულებული. კოშკი გადასცქერის წენ-წყლის ხეობას და გზას, რომელიც მას სამხრეთით უვლის.

ჭაქვინჯის ციხე.

ეს ციხე დარღვეულია და ძნელია მისი გეგმის დადგენა. ამასთან, მისი აგების შესახებ ხალხში გადმოცემები არ შემონახულა. ამიტომ ძნელია ასეთი ძეგლის დათარიღებაც. ყოველ შემთხვევაში, სათოფურების მიხედვით შეიძლება იგი მიეკუთვნოს XVI საუკუნეს.

ზუგდიდის რაიონში საყურადღებოა *ჭაქვინჯისა* და *რუხის ციხე*. ჭაქვინჯის ჯიხა (ციხე) წენ-წყლიდან ორი კილომეტრით არის დაშორებული. წენ-წყალი მას აღმოსავლეთის მხარეზე ჩამოუდის. ეს ციხე ლამაზია და შედარებით კარგად არის დაცული. ციხეს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს და იგი აგებულია მაღალ

გორაკზე. ციხის ეზო შემოზღუდულია მაღალი გალავნით, რომლის სიმაღლე უდრის 5 მეტრს, კედლის სისქე — 1 მეტრს. ჩრდილოეთის მხარეზე გალავანს აქვს ერთი შესასვლელი კარი, ზომა 2მ. X 1.50 მ. ციხის კარი თაღიანია და შესასვლელი წარმოადგენს პატარა ოთახს ორი კარით: ერთი კარი შიგ შესასვლელია, მეორე კი გადის ციხის ეზოში. შესასვლელ კარის მარცხნივ დახურული გვირაბია, რომელიც ჩადის ციხიდან მოშორებით ვაკეზე მდგარ კოშკში. ეს კოშკი უნდა ყოფილიყო ციხის საყარაულო. კოშკი უკვე დაშლილია. ციხის შუა ეზოში ერთი დიდი ორმოა, რომელიც ჭა ყოფილა და ამიტომ ციხესაც ჭაქვინჯი (ჭის ფსკერი) ეწოდაო. ჭის ორმო დღეს უკვე ამოვსებულია. ციხის გალავნის კედლებში დატანებულია სათოფურები და გარშემო კი მიშენებული აქვს მეთოფურეთა მოსათავსებელი კვარცხლბეკი. გალავნის კედელში ჩაშენებულია ოთხი მოზრდილი კოშკი და ორიც პატარა. მათ შორის ორი კოშკი დარაჯობს ციხის შესასვლელ კარს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს კი თითო კოშკი, სამხრეთის მხარეზე მოთავსებულია ორი პატარა კოშკი. ჯაქვინჯის ციხის კოშკები სვანური ტიპისაა, ზემო სართულში აქვს თაღიანი სათოფურები. კოშკი სამსართულიანია და ქვითკირით არის ნაგები. კოშკს აქვს ერთი შესასვლელი კარი, სართულებში გამოჭრილია სათოფურები და სარკმელები.

ჭაქვინჯის ციხე ჯერ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული, მაგრამ მაინც შესაძლებელია მისი დღევანდელი სახით იგი მიეკუთვნოს XVI-XVII საუკუნეებს.

რუხის ციხე ზუგდიდიდან 9 კილომეტრით არის დაშორებული და იგი მდებარეობს ენგურის პირას სოფ. რუხში. ციხეს არტყია მაღალი კედელი, რომლის სიმაღლე აღწევს ექვს მეტრამდის. შესავალი კარი ციხეს აქვს აღმოსავლეთის მხარეზე. კედლების სისქე უდრის 3 მეტრს. ციხე და მისი კედლები ნაგებია ენგურიდან ამოზიდული რიყის ქვით, მჭიდროდ და ლამაზად. ციხის კედლებში ჩაშენებულია ოთხი კოშკი, ყველა თავმორღვეულია და ჩაქცეული. პირველი კოშკი დარაჯობს შესავალ კარებს და ეს კარებიც კოშკის ქვემო სართულშია გამოჭრილი. მეორე კოშკი დარაჯობს ჩრდილოეთის მხარეს, მესამე — დასავლეთის მხარეს, მეოთხე კი — აღმოსავლეთის მხარეს. კოშკის ფართობი უდრის 5X5 კვ. მეტრს. გალავნის ჩრდილოეთის მხარეზე რამდენიმე ოთახია მიშენებული. კოშკებსა და ციხის კედლებში დატანებულია სათოფურები და სამზირები.

ციხის მოედანი საკმაოდ დიდია, დაახლოებით იქნება ერთი

ჰექტარი. იგი იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი იწყება შესავალი კარებიდან და ის უფრო დიდია. აქედან ასასვლელია მეორე ნაწილში, სადაც სადარაჯო კოშკია აღმართული და ეს კოშკი გასცქერის ენგურის ხეობას და მაღალ მთის წვერზე მდებარე ციხეს *„სათანჯოს“*.

ციხის ნიადაგიდან დასავლეთის მხარეზე გამოდის დიდი წყალი *„ოძილე“*.

რუხის ციხეს ისაკუთრებენ ხვიტიები. ეს ციხე მათ მამულში ყოფილა აშენებული და ციხესაც ხვიტიები ეპატრონებოდნენ თურმე.

რუხის ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლეოდა სამგრელოს სამთავროს თავდაცვის საქმეში. ამ მიზნით, რუხი ციხე-ქალაქად აქცია ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.), რომელმაც აქ დაასახლა მოვაჭრე ურია და სომხები. რუხის ციხე დარაჯობდა ოდიშის სამთავროს დასავლეთის საზღვარს, საიდანაც მას საფრთხე მოელოდა ჯერ ოსმალებისა და შემდეგ აფხაზების მხრით. ოსმალებმა რუხის ციხე 1725 წელს საგრძნობლად დააზიანეს. 1780 წელს, როდესაც სამურზაყანოს დაპყრობის მიზნით, გამწვავდა ურთიერთობა ოდიშსა და აფხაზეთს შორის, რუხის ციხესთან მოხდა სასტიკი ბრძოლა. ამ ომში დამარცხდა აფხაზეთის მთავარი ზურაბ შერვაშიძე და გაიმარჯვა ოდიშის მთავარმა კაცია დადიანმა, რომელსაც დარჩა დიდი ნადავლი.

რუხის ციხის პირდაპირ ენგურის გაღმა დიხაზურგ-ჭუბურხინჯის გზაზე მოთავსებულია პატარა ციხე-კოშკი — *„ოკარცეში ჯიხა“*. ეს კოშკიც რიყის ქვით არის ნაგები. კოშკს დასავლეთის მხარეზე მოშენებული აქვს თაღიანი ოთახი. კოშკი სამსართულიანია: პირველი სართული ბნელია და დახურული, მას ვიწრო ჩასასვლელი აქვს მეორე სართულის იატაკიდან, საიდანაც გვირაბი გადის ენგურში. მეორე სართულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეზე აქვს შესასვლელი კარი. ამ სართულის ჭერი თაღიანია და აქვს გასაძრომი ხვრელი „საკომი“, მესამე სართულში. კოშკის კედლებში დატანებულია სათოფურები და ნიშები.

ამავე მხარეზე, მაღალი მთის ქედზე მოთავსებულია ციხე *„სათანჯო“*[1], რომელიც მდებარეობს სოფ. დიხაზურგსა და ჭუბურხინჯს შორის. სათანჯო ნაგებია კირქვით, შიგნით და გარეთ შეძერ-

---

[145] სახელწოდება სათანჯო წარმოშობილია ტერმინი *„თანჯიდან“*, რომელიც ნიშნავს სამანს, საზღვრის ნიშანს. აქედან არის ნაწარმოები *„გაგნუთანჯი“* (გაუზომე), *„ჟიგნოთანჯუ“* (გადაზომა) და სხვა. ირკვევა, რომ სათანჯო არის საზღვრის კოშკი ან სიმაგრე.

წილი ყოფილა კირქვის ფიქალებით, მაგრამ დროთა ვითარებაში ეს ფიქალები ჩამოცვენილა. ციხე ოთხსართულიანია, მისი სართულები ჩამონგრეულა. სათანჯოს აქვს ფართო ეზო და მაღალი გალავანი, რომელიც უკვე დაშლილია. სათანჯო პირდაპირ გასცქერის რუხის ციხეს. იგი მოჩანს ძლიერ შორი მანძილიდან და ეს კოშკი ასრულებდა საგუშაგოს დანიშნულებას. სათანჯოზე ანთებული ცეცხლის კოცონი იყო მტრის მოახლოების საგანგაშო ნიშანი ენგურის ხეობაში და რუხისა და მისი მიდამოს მეციხოვნენი მზად უნდა ყოფილიყვნენ მტრის დასახვედრად.

მარტვილის რაიონში საყურადღებოა *თამაკონისა* და *ნოლას* ციხა. *თამაკონის* ციხა მდებარეობს სალხინოს მახლობლად. აქ იყო სადადიანოს ცენტრი და დარჩენილია რამდენიმე ციხის ნანგრევი. მათ შორის შედარებით კარგად არის დაცული თამაკონის ციხე, რომელსაც მაღალი გალავანი ჰქონია შემორტყმული. ციხე ნაგებია ქვითკირით, კედლები დარღვეულია და ჭერ-სახურავი ჩაქცეული. სამხრეთის მხარეზე მიშენებული აქვს ოთხსართულიანი



ოცარცის კოშკი.

საყარაულო კოშკი, რომელსაც აქვს სათოფურები და ჩარდახები.

ციხეში ქვევრებია ჩაფლული. ამ ქვევრებში სადადიანო კულუხის ღვინოს ასხამდა თურმე.

ციხე მაღალ გორაკზეა აშენებული და გასცქერის მდ. აბაშის და ტეხურის ხეობას.

მეორე ციხე მდებარეობს სოფ. ნოლაში, ახუთის მახლობლად

და მას უწოდებენ „*ნოღაშ ჯიხა*“-ს. ეს ციხეც მაღალ გორაკზეა აგებული, ნაშენია ქვითკირით და იგი საინტერესოა თავისი ნაგებობის ტექნიკით, ფორმით და გეგმით. ნოღას ციხე მაღალი კედლით არის შემოზღუდული და მრგვალი ფორმისაა. მას აქვს ერთი შესასვლელი კარი დასავლეთის მხრიდან, მეორე პატარა კარი გადის აღმოსავლეთის მხარეზე კორიდორით. ციხის კორიდორი დახურულია და მას კარი არა აქვს. ამ კორიდორში დადიანები წართმეულ საქონელს ამწყვდევდნენ თურმე. ციხის შიგნით მოზრდილი ეზოა. კედლებში მოთავსებულია სულ ოთხი კოშკი: პირველი კოშკი შედარებით დაბალია და იგი იცავდა ციხის შემოსასვლელ კარს. ეს კოშკი ყოფილა ორსართულიანი და მას ჰქონია ორი კარი — ერთი რკინისა, მეორე მუხისა. კოშკის პირველ სართულში ბუხარია გამართული და კედლებში თახჩებია დატანებული. ამ კოშკის ფართობი უდრის 3,40X3,80 კვ. მეტრს, სიმაღლე უდრის 7 მეტრს.

მეორე კოშკი არის სამხრეთის მხარეზე. იგი ოთხკუთხედია და



ნოღას ციხე.

მას უწოდებენ ჯაიანის ჯიხას. გადმოცემით, ეს ჯიხა დადიანს ჯაიანებისათვის წაურთმევია. კოშკის სიმაღლე აღწევს 10 მეტრს, მას აქვს ერთი კარი, რომელიც გამოდის ციხის ეზოში. ციხის სართულები ჩაქცეულია, ოთახები ყოფილა გამართული და კედლებზე დატანებული აქვს სათოფურები და სარკმელები.

მესამე კოშკი აღმოსავლთის მხარეზეა, იგი მრგვალია და სამ-

სართულიანი. პირველ სართულში ყოფილა ეკლესია. მას აქვს ორი კარი და ორივე გამოდის ციხის ეზოში. კოშკის ფართობი 3,80X4 კვ. მეტრს შეიცავს. ეზოს მხარეზე აქვს სამი მოზრდილი ფანჯარა და ნიშები. ამ კოშკის მეორე სართული წარმოადგენს ოთახს, რომელსაც ეზოსკენ აქვს ორი ფანჯარა. მესამე სართული საომარი დანიშნულებისა ყოფილა, სადაც გამართულია სათოფურები.

ჩრდილოეთის მხარეზე მეოთხე კოშკია, იგი მრგვალია და ოთხსართულიანი. პირველ ქვედა სართულს „დილეგს" (სატუსაღოს) უწოდებენ. იგი წარმოადგენს ბნელსა და დახურულ სარდაფს.

მეორე სართულში ერთი შესავალი კარია 1 მX1,9მ. ამ სართულის ფართობი შეიცავს 4,10X4,70 კვ. მ. მას აქვს სამი სათოფური. მესამე სართულში ოთხი სათოფურია და სამი სარკმელი. მეოთხე სართულის გარშემო დატანებულია ექვსი სათოფური. ამ კოშკში ტუსაღებს ამწყვდევდნენ თურმე. პირველ სართულში ათავსებდნენ ტყვეებს და ყმებს, მეორეში — აზნაურებს, მესამეში — თავადებსო.

ნოღას ეს ციხე იყო სადადიანოს ცენტრში და ამ ციხეში უცხოვრიათ დადიანებს. ბოლო დროს ციხე კუთვნებია ნიკო დადიანს. სოფ. ნოღას მცხოვრებლებს კარგად ახსოვთ თუ რამდენი ტანჯვა-წამება განუცდიათ მათ წინაპრებს დადიანებისაგან ამ ნოღას ციხეში. ციხის მახლობლად მცხოვრებმა ასი წლის მოხუცმა *ფართხუ ქურჩას ძე შამთავამ* გვიამბო, რომ ნოღას ციხის ეზოში დადიანი ყმებს თურმე ამათრახებდა. გადაწყვეტილი ყოფილა 60 მათრახი. თუ მემათრახე გწყალობდა, თქვა მან, მაშინ იგი მოიტანდა ნედლ წნელებს, თუ არადა — ხმელებსაო. თითო წნელს დაარტყამდნენ დამნაშავეს ტიტველ ზურგზე სამჯერ. თუ პირველ დარტყმისას წნელი გადატყდებოდა, მაშინ ამ წნელს არ დაარტყამდნენ, რადგანაც იგი ითვლებოდა სამჯერ დარტყმულადო. ამის შემდეგ ყმას ჩააგდებდნენ ნოღას ციხის დილეგში (სატუსაღოში).

დამნაშავე ყმას მებატონე ზოგჯერ მიუსჯიდა ჯაჭვით დაბმას. მაშინ ყმას კისერზე დაადებდნენ მძიმე ჯაჭვს, რომელსაც „*დადიანური*" ეწოდებოდა. კისერზე დადებულ ჯაჭვის საყელურს ბოქლომით დაკეტავდნენ. ჯაჭვს გაუყრიდნენ ციხის კედელში და შიგნით მიამაგრებდნენ. პატიმარს არ შეეძლო დაკეტილი ბოქლომის გახსნა და არც ციხის კედლიდან ჯაჭვის გამოძრობა. ციხის გალავანიც დაკეტილი იყო და სანამ ბატონის სურვილი არ იქნებოდა, პატიმარს ტანჯვა მოთმინებით უნდა გადაეტანაო.

მესამე გავრცელებული სახე სასჯელისა ყოფილა *ხუნდზე*

დაჯდომა. ხუნდი იყო ოთხკუთხად გაჩორკნილი ხის მორი, რომელსაც შუაში ამოჭრილი ჰქონდა ფეხის ჩასადგმელი *კალაპოტი*[1]. დამნაშავეს ამ კალაპოტში ფეხს ჩააყოფინებდნენ და მას ფეხი რომ არ ამოელო, გვერდზე სოლს ჩასვამდნენ. ამასთანავე, დამნაშავეს ორივე ხელებს ხუნდის საზურგეზე მიუკრავდნენ, რომ ხელით მას ხუნდიდან სოლი არ ამოეძრო. ხუნდზე სვამდნენ ერთ კაცს, ზოგჯერ გრძელ ხუნდზე ორ თუ სამ კაცს ერთად თურმე დასვამდნენ. ზოგიერთს დანაშაულის მიხედვით ორივე ფეხით დასვამდნენ ხუნდზეო. სოფ. სეფიეთში მცხოვრებმა 95 წლის მოხუცმა ალექსი ოჩიგავამ გვიამბო, რომ ზურაბ ფალავა ისეთი სასტიკი ბატონი ყოფილა თურმე, რომ ფრინველსაც კი სვამდა ხუნდზეო. კოდალა ხეებს მიფუჭებსო, უთქვამს მას და კოდალა ამისათვის ხუნდზე დაუსვამსო.

ფართხუ შამათავამ გადმოგვცა, თუ როგორ იტაცებდნენ ადამიანებს და ჰყიდდნენ ოსმალებზე. მებატონეებს ამისათვის ჰყოლიათ საგანგებო კაცები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ ლამაზ, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მოტაცება. მათ მეგრელები *„ყურსალებს“* ეძახდნენო (ხალხური განმარტებით ყურსალი ეწოდებოდა კაცის ქურდს). ოსმალოს გემი *„ბაჯაკ“* მოადგებოდა თუ არა რიონს მდ. ციცის შესართავთან, მაშინ ყურსალებს იქ მიჰყავდათ ხელებშეკრული ტყვეები და ჰყიდდნენ ოსმალებზეო. გაყიდვის დროს ადამიანის სიმაღლეს ზომავდნენ მტკაველით და ამის მიხედვით იყო ადამიანის ფასიც გამოანგარიშებულიო. ყმა რომ ბატონს შესდებოდა, ყმას ბატონისათვის სალამი უნდა მიეცა ფეხებგადაჯვარედინებულად და გულხელდაკრეფილად, რასაც *„ყაჭათ დგომა“* ეწოდებოდაო. ყმა ასე უნდა მდგარიყო, სანამ მას ბატონი არ უბრძანებდაო.

აქაურ დადიანსო, თქვა მოხუცმა, ასი ულელი ძაღლი ჰყავდა და როდესაც იგი სანადიროდ წავიდოდა, ნოღაში მცხოვრებ ყმებს რიგით უნდა ეზიდათ ძაღლებისათვის საჭმელიო. ნადირობის წინ, დადიანის მოურავები ხალხს გამოუცხადებდნენ, რომ საქონელი არ გამოეშვათ. ყველაზე დამცირებული ყოფილა დოლმახორე, რომელიც ჰყოლიათ აზნაურებს და შეძლებულ პირებს. დოლმახორე იყო ღარიბი და შეუძლო გლეხი ან ნატყვევარი, ნაყიდი თუ ხიზანი. ის

---

[1] ასეთი ხუნდი დღეს დაცულია ქუთაისისა და მესტიის (ზემო-სვანეთის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სახლდებოდა შეძლებულის მიწაზე და მას ემსახურებოდა: ხნავდა, თესავდა და სხვა. ასეთ ყმას მებატონე ცოლსაც შერთავდა, ქალი თუ იყო, ქმარს მოჰგვრიდა და თავის მეზობლად დაასახლებდაო.

დოლმახორე ჰყოლია შეძლებულ გლეხსაც, რომელსაც *„ფიოშს“* უწოდებდნენო. ფიოში დაჰყვებოდა აზნაურს მგზავრობისა და ლაშქრობის დროს, მაგრამ იგი მებატონის მიწას არ ამუშავებდაო. ფიოშს მებატონე ძალას ვერ დაატანდა, იგი ნებაყოფლობით ეხმარებოდა ბატონს შინდვრის მუშაობაში. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ფიოშებმა თავი დაიხსნეს თურმე „საფიოშო“ გადასახადის გაღებით.

დადიანის მოურავებში ყველაზე მკაცრი და შეუბრალებელი ყოფილა ჯოღორია დგება, რომელიც გლეხებს მოუკლავთ და მასზე ეს ლექსი გამოუთქვამთ:

„ჯოღორია გეგელუ, მუჭო ბედიქ დეგელუ,
კოჭოიაშ ტყვიაქ ხინჯის ქიგოკერკელუ,
ასე ხოლო ვაღურიო, ჯოღორქ ქიგობებელუ“[1].

მარტვილის რაიონში დაცულია დადიანის სასახლე სოფ. კურზუში და სალხინოში.

სოფელი კურზუ იყო საბატონო და ეკუთვნოდა დადიანებს. ეს სოფელი მოთავსებულია ტეხურის ხეობის სათავეში და იგი მთიანი სამეგრელოს უკანასკნელი სოფელია. მოსახლეობა მისდევს მესაქონლეობას. დადიანებს აქ ჰქონიათ სასახლე, რომელიც დღესაც დაცულია. სასახლე აუშენებია გიორგი დადიანს და ამ დოხორეში მას უცხოვრია ზაფხულობით. ზამთარში კი დადიანი საცხოვრებლად სოფელ რეყეში გადადიოდა. სასახლე ერთსართულიანია და ნაგებია ქვითკირით. მისი დარბაზები საკმაოდ ფართოა, ჭერი აქვს მაღალი. სასახლე ნაგებია ევროპულ ყაიდაზე. გამართულია ქვის ბუხრები, განიერი ფანჯრები და აივანი. სახლის უკან მიშენებულია ბნელი ოთახი, სადაც ეკიდა თურმე ყმების დასაბმელი ჯაჭვი *ბაჯალური*[2].

---

[1] ჯოღორია (სახელია) გეგლუ, ბედი როგორ დაგელია, კოჭოიას (სახელია) ტყვიამ ბოგირთან გადაგაგორაო; ახლა კიდევ არ კვდებიო, ძაღლმა გაგაბინძუროსო.

[2] ჯაჭვის სახელი *„ბაჯალური“* უნდა იყოს დაკავშირებული ბაჯალიებთან, რომლებიც დადიანისათვის სჭედავდნენ ამ ჯაჭვებს. თ. სახოკიას ცნობით, მას უნახავს ერთი ასეთი ჯაჭვი, რომელიც ინახებოდა სოფ. კურზუში დადიანის ყოფილ სასახლეში. მისი სიტყვით, დადიანის მემკვიდრეს ამ ჯაჭვისათვის უფრო პრაქტიკული როლი დაუკისრებია: მთიდან ძელების ჩამოსათრევად ხმარობდა. შემდეგ მას დაპატრონებია მღვდელი სპ. ბერულავა და ნაჭის (საკიდელის) მაგივრად ხმარობდაო (ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 6).

დადიანის ეზოში იდგა ორი დიდი საჩრდილობელი ხე — ერთი ცაცხვი და მეორე — უთხოვარი. ცაცხვი დღესაც დგას, უთხოვარი კი მოუჭრიათ. მთხოვნელები ამ ცაცხვის ძირში იცდიდნენ თურმე და ელოდნენ ბატონის განკარგულებას თუ როდის ინებებდა იგი მათ მიღებას. კურზუში ცხოვრობდნენ აზნაურებიც ალშიბაია და ფიჩხაია, რომლებიც ემსახურებოდნენ დადიანს. ალშიბაია, ხალხური თქმულებით, მოსულა ალანეთიდან (თუ აფხაზეთიდან) და იგი დადიანის აზნაური გამხდარა. მათი წინაპარი ჭუკი ალშიბაია ცნობილი ყოფილა ადამიანების მოპარვაში. ის მათ ოსმალებზე ჰყიდდა თურმე. როდესაც დადიანის აზნაური უმემკვიდრეოდ გარდაიცვლებოდა, გვიამბო კურზუში მცხოვრებმა *ალექსი სისოს ძე ალშიბაიამ* (85 წლისა), მისი მემკვიდრე იყო დადიანი და მას მიჰქონდა „ნაუსკუ"-ო. დადიანი მიცვალებულის წილს „ნაუსკუს" გამოუყოფდა გარდაცვალებულის ძმებს, რომლებსაც შეეძლოთ დადიანისაგან ნაუსკუს ფულით გამოსყიდვაო.

კურზუში მცხოვრები გლეხების ერთი ნაწილი ემსახურებოდა დადიანსო, მეორე ნაწილი კი — აზნაურებსო. ალშიბაიას ყმები ყოფილან ახალაია, ჩიქობავა და პაპავა. ჩიქობავას ვალად ედო ღომის ცეხვა, ახალაია და პაპავა კი შინამოსამსახურენი ყოფილან. ახალაია ალშიბაიას „მეხელე" (მოურავი) ყოფილა.

დადიანს კურზუში ჰყოლია *„მეჯოლორეები"* (მეძაღლეები), რომლებსაც ევალებოდათ მონადირე ძაღლების გაწვრთნა და შენახვა. მეძაღლეები ყოფილან: გაბისონია, ფონია და ესართია, რომლებსაც „კურზუალ"-ს უწოდებდნენ თურმე (ძაღლების მწყემსს).

ალექსი ალშიბაიას ახსოვს უტუ მიქავა და გლეხების ამბოხება სამეგრელოში. ის მაშინ ყოფილა 10-12 წლის. კურზუდან უტუს ჯარში მოქმედებდა ისიდორე ფირცხალავა, ნაფიჩხუდან კი ხუტუია ბერიაო. მიქავამ მებატონეებს მსახურები წაართვა, ჩვენი ოჯახიდან, თქვა მან, გააქციეს შინამოსამსახურე 10 წლის კოკია გაბისონიაო. ბავშვი უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა და ამის გამო ალექსის დედას წერილი მიუწერია უტუსათვის და ეს წერილი დედას გაუტანებია ალექსისათვის, რომელიც მისულა დიდ ჭყონში, სადაც უტუ თავის ჯარით მდგარა. უტუს წერილი წაუკითხავს და უთქვამს: ეს ბიჭი ჯერ პატარაა და ჩვენ არ გამოგვადგებაო, დროებით დაუბრუნდეს ალშიბაიას, როდესაც ის გაიზრდება, ბატონისაგან თვითონ წავაო.

მებატონეებთან ბრძოლაში ცნობილი ყოფილა აგრეთვე *საბია*

ოჩიგავა, რომელიც ცხოვრობდა სოფ. სეფიეთში. ერთხელ საბაიას ელიზბარ დადიანის მოურავები გაურეკია. ელიზბარი ცხოვრობდა შხეფში და იქიდან ღალის ასაკრეფად სეფიეთში გამოუგზავნია თავისი კაცები „მებონდე"-ები, რომლებსაც უნდა წაეღოთ მომკილი ღომი. საბაია დასდევნებია ამ მებონდეებს და ღომით დატვირთული ურმები უკან გამოუბრუნებია. დადიანს ეს რომ გაუგია, საბაია დაუბარებია თავის სასახლეში. საბაია მისულა შეიარაღებული. კარისკაცებს უთქვამთ — იარაღი აიხსენი და ისე უნდა შეხვიდე ბატონთანო. საბაიას ამაზე უარი უთქვამს და სასახლეში არ შესულა. საბაია დამჯდარა ეზოში მდგარ ცაცხვის ძირში და უცდიდა ბატონის გამოსვლას. ბოლოს დედოფალი გამოსულა სასახლიდან და საბაიასათვის უთხოვია, შინ შესულიყო. საბაია სასახლეში შესულა და ბატონისათვის საყვედური უთქვამს: ეს ჭირნახული თქვენი დედის, ჭავჭავაძის[1] ქალის მზითვის მამულიდან არ იყო აკრეფილიო, ის ჩვენი მიწის მოსავალია და ჩვენ გვეკუთვნისო; შენი მოურავები და მოხელეები გადამიდგნენ, ისინი ათნი იყვნენ, მე კი ერთიო, მაგრამ ყველანი გავრეკე. მე ერთმა, ჭირნახულიც წავართვი და პატრონებს დავუბრუნეო. დადიანი ვერაფერს გამხდარა საბაიასთან და იგი დასაჩუქრებული გაუსტუმრებია.

ოჩიგავას გვარს ვალად ჰქონია დადებული აზნაურის თოფურიძის ხარების გაძღოლა — „გეკინუა". საბაიას ამაზე უარი უთქვამს და დადიანსაც ღალას არ აძლევდა თურმე. ამის გამო საბაიას ნიკო დადიანმა მიუსაჯა ცალი ხელით ხეზე ჩამოკიდება. მაგრამ ამან ვერ შეაშინა საბაია და იგი მაინც უარზე იდგა და გაიძახოდა — „ვაგვაკინექი"-ა (არ გავუძღვებიო). მაშინ საბაია მიწაზე დაუწვენიათ და 12 წნელი დაურტყამთ. შემდეგ შეეკითხეს, ახლა რას ფიქრობ საბაიაო. საბაია ისევ უარს გაიძახოდა, ბოლოს მოიტანეს გახურებული შანთი, საბაიას ხელის გულზე ქაღალდი დააფარეს და უთხრეს, უნდა გადახტე სამჯერ და შანთი გადაგდოო. საბაიამ ესეც შეასრულა და მაინც არ დამორჩილდაო. საბაიამ ვერ გაუძლო ამდენ ტანჯვას, ის გაქცეულა ასხის მთაში და თან გაუტაცია დადიანის 200 სული საქონელი, რომელიც შემდეგ გადაურეკია ანჩიბაიასთან აფხაზეთში. ანჩიბაია დადიანის მტერი ყოფილა და საბაია ოჩიგავას მასთან დროებით თავი შე-

---

[1] აქ იგულისხმება დავით დადიანის მეუღლე დედოფალი ეკატერინე (ჭავჭავაძის ასული).

უფარებია. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საბაია დაბრუნებულა თავის სამშობლოში[1].

სამეგრელოში სოფლის მოსახლეობა ცხოვრობს გაფანტულად და ამის გამო, ერთი კომლი მეორისაგან საკმაო მანძილით არის დაშორებული. თითოეულ სოფელს აქვს თავისი საზღვარი და სახლწოდება. წინათ აქაური სოფლები დასახლებული იყო გვარებად და სოფელიც ამ გვარის სახელწოდებას ატარებდა, როგორც მაგალითად: საჯალაღანიო, ლესიჭინე, ლეწურწუმე, ლეხაინდრე, ლეძაძამე, ლესავჯე, ლედარსალე, ლეგოგუე, საროგა, ლეჯიქე, საჩიჩუო (ჩიჩუა), სახარბედიო, საშურღაიო, საცხვიტა (ცხვიტია), საგუგუნო, საჯოლიო, საჭოჭუო და სხვა.

ერთი სოფლისა და გვარის მოსახლეობას ჰქონდა თავის სალოცავი ხატი — „*ჯინჯი ხატი*", რომელსაც მთელი გვარი თაყვანსა სცემდა. შემდეგში საგვარეულო ტიპის ეს სოფლები თანდათანობით დაიშალა უბნებად და დღეს სამეგრელოს სოფლებში თითოეულ გვარს უჭირავს სოფლის ერთი უბანი. საყურადღებოა, რომ სამეგრელოში მოსახლე გვარებმა იციან, თუ საიდან გადმოსახლებულან მათი წინაპრები და სად იმყოფება საგვარეულოს „ჯინჯი ხატი".

მაგალითად, სოფ. ჯვარში პირველად დასახლებულა ქარდა,

მეგრული კარმიდამო XVII საუკუნეში. ნახატი კასტელისა.

რომელიც გადმოსულა სვანეთიდან. ქარდა სამი ძმა ყოფილა. მათ კაცი მოუკლავთ ლატალში და ჯვარში გამოქცეულან. აქ დადიანს ისინი მიუღია და დასახლებულან ჯვარში. მათი გვარის კაცები სვანეთში არიან ქალდანნი, რომლებიც ლატალში ცხოვრობენ. სოფ.

---

[1] გვიამბო სოფ. სეფიეთში მცხოვრებმა 95 წლის ალექსი ოჩიგავამ.

ჩხოროწყუში მცხოვრები პაპასქირის გვარი გადმოსულა ცაგერიდან (ლეჩხუმი), სადაც მათ წინაპარს კაცი მოუკლავს. ამ გვარის სალოცავი ხატი ყოფილა ცაგერის მთავარანგელოზი. სკურში და ჯგალში მოსახლე კვარაცხელიების წინაპარი გადმოსულა სვანეთიდან. ილორელი ნარმანია მოსულა ოცინდალედან, სადაც მის წინაპარს კაცი მოუკლავს და გამოქცეულა ილორში. მათი ჯინჯი ხატი ოცინდალეა (მარტვილის რაიონი).

სეფიეთელი ოჩიგავების წინაპარი მოსულა ოსმალეთიდან, სადაც იგი ტყვედ ყოფილა გაყიდული. წალენჯიხელი შენგელიების წინაპარი გადმოსახლებულა ობუჯიდან, სადაც ყოფილა მათი ჯინჯი ხატი მიქელ-გარიო ქიაჩი. სეფიეთელი მაკალათიები გადმოსახლებულან სუჯუნიდან, რომლის წმ. გიორგი ითვლებოდა ამ გვარის ჯინჯი ხატად. სოფ. ჭოლაში მცხოვრები ცხვიტია გადმოსახლებულა ცაგერიდან და ამ გვარის ხატი ყოფილა წმ. გიორგი ლელაშისა და სხვა.

წინათ სამეგრელოშიაც იყო დიდი ოჯახი, სადაც განუყოფელი ძმები ერთად ცხოვრობდნენ. ასეთ ოჯახში ყველაფერი საერთო იყო. შრომა-საქმიანობაც ოჯახის წევრთა შორის განაწილებული ყოფილა. ოჯახის სათავეში იდგა უფროსი მამაკაცი „ბაბუ“ და დიასახლისი „ბები“. თუ ისინი ღრმა მოხუცები იყვნენ, მაშინ ოჯახს უფროსი მაზლი და რძალი განაგებდნენ.



მეგრული სახლები: 1. „კუნჭულა“ ფაცხა, 2. ფაცხა „ამხარა“, 3. ჯარგვალა, 4. „ფოდორა“ ან „პიტაფიცარა“ სახლი.

მეგრელი გლეხის კარ-მიდამო ლამაზია და სუფთა. მას უჭირავს საკმაოდ დიდი ფართობი. ეზოები შემოღობილია და აქვს ერთი შემოსასვლელი ჭიშკარი. ეზოში მოთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების სადგომები, რომლებიც განლაგებულია გარკვეულ გეგმაზე. მაგრამ, სანამ ჩვენ შევუდგებოდეთ თანამედროვე მეგრული ტიპის კარ-მიდამოს და ნაგებობათა აღწერას, საჭიროა მოკლედ შევეხოთ, თუ როგორ ვითარდებოდა ბინათმშენებლობა სამეგრელოს სინამდვილეში.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით იცვლება ადამიანის საცხოვრებელი ბინის ფორმა და მისი მშენებლობის ტექნიკა. ბინა წარმოადგენს რთულ სოციალ-ეკონომიკურ კომპლექსს, რომელშიაც მოცემულია შრომის საშუალებანი, მშენებლობის ტექნიკა და იდეოლოგია, მატერიალური შესაძლებლობანი, მოხმარების ფუნქციონალობა და სხვა. ბინის მშენებლობა, ამასთანავე, დაკავშირებულია გეოგრაფიულ პირობებთან და საშენი მასალის მარაგთან. ბინის ფორმა და მისი ნაგებობის ტექნიკა კი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური პირობებით განისაზღვრება და მეურნეობის ამა თუ იმ დარგთან დაკავშირებით საცხოვრებელი ბინის ტიპიც განსხვავებულია.

წინათ სამეგრელოში გლეხები ცხოვრობდნენ ფაცხებში და მიწური ხის სახლებში. მეგრული *ფაცხა* წარმოადგნდა საცხოვრებელი ბინის პრიმიტიულ სახეს. მისი აგება არ მოითხოვდა ტექნიკის და შრომის რთულ პროცესებს. ფაცხას გლეხი თვითონვე იშენებდა. ამისათვის ის ჯერ აირჩევდა საფაცხე ადგილს, რომლის ფართობი უდრიდა 3X3 კვ. მ. შემდეგ ჩასვამდნენ სარებს და მას გარშემო წნელით შემოღობავდნენ. ფაცხა იყო ორგვარი: „*კუნჭულა*“ და „*ამხარა*“ ფაცხა. მათ შორის ის განსხვავება იყო, რომ „*კუნჭულა*“ ფაცხას ჰქონდა მრგვალი და წოპიანი სახურავი, ის გადახურული იყო გვიმრით.

„ამხარა“-ს კი სახურავი უფრო დაბალი ჰქონია, მას ისლით ხურავდნენ. ფაცხას შიგნით და გარეთ ტალახით გალესავდნენ ასეთ ფარღალალა ფაცხაში ცხოვრობდა გლეხობა. ფაცხას სარკმელი და ბუხარი არ ჰქონდა, სიბნელისა და კერის ბოლისაგან მობინადრეები იხრჩობოდნენ. ფაცხაშივე ადამიანებთან ერთად ცხოვრობდა. საქონელიც, რომლის შარდისა და ნეხვის სუნს ადამიანიც სუნთქავდა. ფაცხა, ამასთანავე, არც რაიმე მატერიალურ ღირებულებას წარმოადგენდა და მას მყიდველიც არ ჰყავდა. ამიტომ

მებატონეებისაგან შევიწროებული გლეხიც ასეთ ფაცხას ადვილად ტოვებდა და თავშესაფარს სხვაგან ეძებდა.

ასეთივე ტიპის სადგომი იყო „*ჯარგვალი*“ სახლი, რომელიც ფაცხისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მისი კედლები ნაგები იყო გაჩორკნილი გრძელი მორებით. ჯარგვალიც მიწური იყო, ზომით პატარა და ოთხკუთხედი ფორმის. ჯარგვალს სახურავი ორფარდულიანი ჰქონდა და ისლით იყო გადახურული. ჯარგვალის აგება ფაცხასთან შედარებით მოითხოვდა მეტ შრომას, ცოდნასა და საშუალებას.

ფაცხა და ჯარგვალი დღეს სამეგრელოში არ არის ხმარებაში და იშვიათად თუ შეხვდება ადამიანი რომელიმე შორეულ სოფელში.

მესამე ტიპის სადგომი, რომელიც ახლაც გავრცელებულია

მეგრული ოდა

სამეგრელოში ეს არის „*გოდორი*“ ან „*პიტაფიცარა*“ სახლი. ასეთ სადგომს კედლები აქვს ნაგები გათლილი და მოკლე ფიცრით, უმეტეს შემთხვევაში, მასალა მუხისაა და მწყობრად არის ფიცრები ერთმანეთზე მიყენებული. „გოდორი“ წარმოადგენს ერთს მოზრდილ ოთახს და იგი ჯარგვალთან შედარებით უფრო გაუმ-

ჯობესებული ტიპის სადგომია. ამ სახლსაც იატაკი აქვს მიწური, გადახურულია ისლით, ზოგჯერ ყავრითაც, მაგრამ არა აქვს ბუხარი და ფანჯარა.

ასეთი ფიცრული სახლის აგება, რასაკვირველია, მოითხოვდა ოსტატს, საშენ ფიცრებს და სხვა ხარჯებს, რაც ღარიბი გლეხისათვის მიუწვდომელი იყო. ამიტომ, წინათ ფაცხიდან და ჯარგვალიდან ფიცრულ სახლში გადასვლა გლეხის ოცნებას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ასეთი სახლის შინა-მოწყობილობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის ცარიელი იყო. სახლის ერთ კუთხეში გამართული იყო ფიცრის ან ლასტის ტახტი, რომელზედაც ეფარა ჭილობი ან ქეჩა. ლოგინი წინათ ყველას არ ჰქონდა, წვებოდნენ ჩალაზე კერის მახლობლად. იქვე იდგა სამფეხა, რომელზედაც ათავსებდნენ ანთებულ „ჭრაქს“.

მოსახლეობის შეძლებული ნაწილი კი იშენებდა ოდას, რომელსაც „*სოდარ*“-ს უწოდებდნენ. ოდა შედგებოდა რამდენიმე ოთახისაგან, რომელსაც ჰქონდა გამართული ფიცრული ჭერი და იატაკი. ოდის აგება საკმაოდ დიდ ხარჯს მოითხოვდა. ამისათვის საჭირო იყო კარგი და გამძლე მასალა, დახელოვნებული ოსტატები და სხვა. ოდის ასაშენებლად ხმარობდნენ წაბლის, მუხის, ფიჭვის და თელის ხის ფიცრებს. ხე-ტყით მდიდარი იყო სამეგრელო და საშენ მასალას ეზიდებოდნენ განსაკუთრებით მთიანი რაიონებიდან. ფიცარი იხერხებოდა ხელის ხერხით, რაც მოითხოვდა მძიმესა და ხანგრძლივ მუშაობას. ოდას აგებდნენ დახელოვნებული ოსტატები, რომლებისთვისაც ეს სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგანაც ოდის გეგმა აქ სტანდარტულია და ოდებიც ერთი ტიპისაა, განსხვავება მხოლოდ ოთახების რაოდენობაშია და გარეგანი ნაწილების მორთვა-მოჩუქურთმებაში.

მეგრული ოდა ჩვეულებრივ შედგება ოთხი ოთახისაგან: დარბაზი, სასადილო და ორიც საშუალო ზომის ოთახი. წინ და უკან ოდას აქვს აივანი, რომლის მოაჯირი და სვეტის თაღები ლამაზად არის მოჩუქურთმებული. ოდის წინა ფასადზე კარ-ფანჯრებია გამართული. ჩვეულებრივ, მეგრული ოდა ერთსართულიანია და შემდგარია ბოძებზე, რომელთა სიმაღლე ერთ მეტრამდეა. ხშირია ორსართულიანი ოდებიც, რომლის ქვედა სართულს ეწოდება „*პალატი*“. შიგ ოდის ოთახებში ბუხრებია გამართული. ოდის სახურავი ოთხ-ფარდულიანია და იგი გადახურულია ყავრით ან კრამიტით.

ოდური სახლი წინათ ძვირად ფასობდა და გლეხს არ შეეძლო მისი შეძენა. გაბატონებული კლასებისათვის ოდების აგება სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგანაც მათ ხელში იყო ხე-ტყე, იაფფასიანი მუშახელი და ფულიც. ამიტომ, წინათ ოდებით ვაჭრობა კარგ შემოსავალს იძლეოდა. ხშირად ერთი და იგივე ოდა რამდენჯერმე იყიდებოდა. ოდებს არღვევდნენ და ერთი სოფლიდან გადაჰქონდათ მეორეში და იქ ხელმეორედ აგებდნენ. ოდის უკან იდგა საოჯახო დანიშნულების შემდეგი ნაგებობანი: „*სამუარხე*“ (სამზარეულო), რომელშიაც საჭმელს ამზადებდნენ. აქვე იყოს სამზარეულოს ჭურჭელი და დგამი, ენთო კერის ცეცხლი და მოხუცებიც ამ სამზარეულოში წვებოდნენ. სადილ-ვახშამსაც აქ ჭამდნენ ტაბაკზე ან „*ბედე*“-ზე. ბედე ტაბაკის მსგავსია, მაგრამ მასზე ამოჭრილი იყო ჯამები, რომელშიაც თბილ შეჭამანდს ჩაასხამდნენ, გვერდზე მჭადს ან ღომს დასდებდნენ და ისე ჭამდნენ.

„*ბაღ*“ და „*ხულა*“ ორივე ერთი და იგივე დანიშნულებისაა, განსხვავება მხოლოდ მოცულობაში იყო. ბაღ უფრო დიდია, ხულა კი მომცრო. ორივეში ინახებოდა სურსათ-სანოვაგე, დაფქული ჭირნახული და სხვა. ბაღ და ხულა ფიცრული იყო, კარი ჰქონდა მაღლა მოჭრილი ისე, რომ ადამიანს უკიბოდ გაუჭირდებოდა ასვლა და მის ვიწრო კარებში გაძრომა.

მის მახლობლად იდგა მარანი, რომელშიაც საღვინე ქვევრები იყო ჩაფლული. აქვე ინახებოდა საწნახელი და ღვინის დასამზადებელი იარაღები. მარანი, ამავე დროს, ასრულებდა „ოხვამერი“-ს (სამლოცველოს) დანიშნულებასაც. მარანი ფიცრული შენობა იყო. უკანა ეზოში იდგა „*ქუფე*“ (ძარი), რომელიც მოწნული იყო და მასში სიმინდს ინახავდნენ. მის მახლობლად იდგა ჩალის შესანახი „*ოფურჩე*“.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, გაბატონებულ წოდებას ჩამოერთვა ტყეები და გადაეცა მოსახლეობას და დღეს მას საშუალება ეძლევა მიწური სახლიდან გადავიდეს ოდაში. ამის შესაძლებლობას სამეგრელოს სუბტროპიკულ რაიონში ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ციტრუსების მოშენება, განსაკუთრებით ჩაის კულტურა, რომლის უხვი შემოსავალი ხალხს საშუალებას აძლევს იცხოვროს შეძლებულად და კულტურულად. დღეს ვერ იპოვნით ძველებურ ფაცხასა და ჯარგვალს. ყველგან ხედავთ ჩამწკრივებულ ლამაზ ოდებს, გამწვანებულ ფართო ეზოს, რომელსაც შემოვლებული აქვს მწვანე ღობე შუაში განიერი ჭიშკრით.

ეზოში თვალსაჩინო ადგილზე დგას ოდა. მის გვერდით სამზარეულო სახლია, რომელიც მიწურია და მას არა აქვს ფანჯარა, ჭერიატაკი და ბუხარი. სამზარეულო სახლში გამართულია კერა, რომელზედაც ცეცხლი ანთია. აქ ამზადებენ საჭმელს, ასრულებენ საოჯახო სამუშაოებს, უვლიან აქვე ბაგაზე დაბმულ საქონელს და სხვა. ეზოს უკან უდგათ სასიმინდე. მის მახლობლად დგას „ხულა", სადაც ინახება სანოვაგე: ხორცი, ფქვილი, ყველი და სხვა.

მეგრელი მამაკაცი ნაციონალურ ტანსაცმელში
(XIX ს.).

ერთი სიტყვით, სამეგრელოში შეძლებული მოსახლის ტიპიური კარ-მიდამო დღეს შედგება ამ ოთხი შენობისაგან, მათ შორის მთავარია ოდა, რომელიც ითვლება სასტუმრო სახლად და მისი შინა-მოწყობილობა ქალაქურია.

მაგრამ ჩვენ თუ ამ ლამაზ კარ-მიდამოს პრაქტიკული თვალით და თანამედროვე საბინაო პირობების მოთხოვნის მიხედვით განვსჯით, მასში ბევრ ნაკლსა და უარყოფით მხარეებს ვიპოვნით.

ჯერ ერთი, მეგრული ტიპის სახლებში რაციონალურად გამოყენებული არ არის საცხოვრებელი ბინის ფართობი. ოდას, რომელიც 3-4 ოთახისაგან შედგება, აქვს გამართული ბუხარი და განიერი კარ-ფანჯრები, დღისით, თუ ოჯახში სტუმარი არ არის, დაკეტილია. ოჯახი პრაქტიკულად ცხოვრობს სამზარეულო სახლში, სადაც გამართულია კერა და ამზადებენ საჭმელს, აქვე საქმობენ და ვახშმის შემდეგ დასაძინებლად ოდაში შედიან.

აქაური სამზარეულო სახლი უფანჯროა და ბნელი. ამიტომ დღისით მისი კარები ღიაა, რომ სინათლე შემოვიდეს. ეს სახლი ზამთარში ცივია. ამასთანავე, აქ ანთია კერა, რომლის გარშემო ოჯახის წევრები სხედან და საქმობენ. ამ კერას ღია კარებიდან მუდამ ნიავი უბერავს, ადამიანი კერის ბოლით იხრჩობა და იცრემლება. ბოლისაგან ეს სახლი და მისი შინა-მოწყობილობა შავად გაჭვარტლულია.

ეს მიწური სამზარეულო სახლი თავისი პრიმიტიული კერით წარსულის გადმონაშთია და იგი უნდა შეიცვალოს უფრო გაუმჯობესებულ ახალი ტიპის სადგომზე. შუაკერა უნდა მოისპოს. კერის მავნებლობა დღეს ყველასათვის აშკარაა. კერის ბოლი აზიანებს ადამიანის ფილტვებს, თვალებს, აყვითლებს პირის კანს და სხვა.

რაც შეეხება ოდას, არც ის აკმაყოფილებს თანამედროვე საცხოვრებელი ბინის ძირითად მოთხოვნილებას. ოდას აკლია ნაგებობის სიმკვიდრე და სითბო. ოდის კედლები ფიცრულია, იგი შიგ და გარეთ არ არის გალესილი და ამიტომ სითბო-სიცივის გამტარია. ზაფხულში ოდაში ცხელა, ზამთარში კი ცივა. კედლებში, ჭერ-იატაკში ჭუჭრუტანებია, საიდანაც ქარი უბერავს.

ასეთი სახლების აგება წინათ გამოწვეული იყო ვაჭრული ანგარებით, როდესაც სახლი წარმოადგენდა სავაჭრო საგანს და მისი გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომ სახლის აგების დროს ყურადღება არ ექცეოდა ნაგებობის სიმკვიდრეს და საბინაო პირობების ელემენტარული მოთხოვნილებების დაცვას. დღეს შენდება გეგმიანად ახალი კონსტრუქციის სახლები, რომლებიც შედგება ორ-სამ ოთახისაგან. ნაგებობა მკვიდრია, ბინა თბილია და ნათელი. ასეთ სახლებში გამართულია ღუმელები, სახლები მოწყობილია ქალაქურად და იგი აკმაყოფილებს ადა მიანის ჰიგიენურსა და ესთეტიკურ მოთხოვნებს.

რაც შეეხება სახლის შინა-მოწყობილობას, სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში ბინები ქალაქურად აქვთ მოწყობილი. წინათ ფაცხაში და ჯარგვალში, გლეხს გარდა ლასტის საწოლისა, ხის ტაბაკისა

და ჯირკვის საჯდომისა („კველა“) არაფერი მოეპოვებოდა, დღეს კი საშუალო მეგრელი კულტურულად ცხოვრობს. ყველას უდგას მაგიდა, ვენური სკამები, რკინის საწოლები სუფთა ლოგინით გამართული. კედლის სარკე, ბუფეტი, ფაიფურის ჭურჭელი მოთხოვნილების საგნად არის გადაქცეული. მსხვილ ცენტრებში ოთახები განათებულია ელექტრონით. ძველებურ სანათურს „ჭრაქს“ ადამიანი აქ ძნელად შეხვდება.

ოდებში ოთახები გაფორმებულია ლამაზად და სუფთად. ფან-

მეგრელი ქალი ნაციონალურ ტანსაცმელში
(XIX ს.).

ჯრებზე ჩამოფარებულია ფარდები. კედლებზე გამწკრივებულია სურათები, ნაქარგ-ნაკერები და ხალიჩებზე კი ჩამოკიდებულია სხვადასხვა პორტრეტები. ლაზათიან და სუფთა ჩაცმა-დახურვას სამეგრელოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კარგი ჩაცმა მეგრელის კულტურულ მოთხოვნად არის გადაქცეული. დღეს აქ

იცვამენ ქალაქურ მოდაზე. წინათ მეგრელი გლეხი ატარებდა შინ მოქსოვილ ბამბის გრძელ პერანგს, რომელსაც ეწოდებოდა *„ბამლენი-ში ოსარე“*. მას წელზე თოკი ჰქონდა შემოჭერილი. დადიოდა ის ფეხშიშველი და თავშიშველი. გლეხებს სამეგრელოში დღესაც ახს-



ექვსლეროვანი ლარჭემი.

ოვთ და ხშირად იგონებენ, რომ ძველად გლეხებს შარვალი არ სცმიათ თურმე. სოფელში ერთი ბამბის (ხამელენის) *„ძეკა“* შარვალი ჰქონიათ და როდესაც ვაჟი ქალის გასასინჯად მიდიოდა, იგი ამ შარვალს ითხოვებდა, მას კისერზე გადაიკიდებდა და ისე წავიდოდა ქალის გასასინჯადო. როდესაც ის მიუახლოვდებოდა ქალის სახლს, მაშინ ვაჟი ამ შარვალს ჩაიცვამდა, მაგრამ გამობრუნებისას, მას ისევ გაიხდიდა, რომ გზაში შარვალი არ გაცვეთილიყო. ეს ამბავი დღეს წარსულის მწარე მოსაგონრად არის დარჩენილი.

რაც შეეხება მაღალ წოდებას და მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს, ისინი ატარებდნენ ქართულ ტანისამოსს. ქალები იცვამ-

დნენ სარტყელ-გულისპირიან და ყურთმაჯებიან გრძელ კაბას, თავზე კი შემოხვეული ჰქონდათ ლეჩაქი. მეგრელი მამაკაცები ატარებდნენ გრძელ ჩოხა-ახალუხს, ზედ წამოსხმული ჰქონდათ ნაბადი, თავზე ეხურათ მაღალი ქუდი და ყაბალახი, წელზე იკრავდნენ



ხუთლეროვანი ლარჭემი.

ქამარ-ხანჯალს და სხვა.

დღეს გლეხები სამეგრელოში არ ატარებენ ამ ძველებურ ტანისამოსს. ყველას აცვია შალისა და აბრეშუმისაგან შეკერილი ქალაქური მოდის ტანსაცმელი. ამ მხრივ ქალაქსა და სოფლის მცხოვრებთა შორის ჩვენში განსხვავება აღარ არსებობს.

სამეგრელოში შემონახული ნივთიერი კულტურის ნაშთებში საყურადღებოა ერთი უძველესი საკრავი, რომელსაც აქ „ლარ-*ჭემს*“ უწოდებენ. ეს მეგრული ლარჭემი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ეგრეთ წოდებული პანის სალამურთან, რომელი საკრავიც გავრცელებული იყო საბერძნეთში და ძველი ალმოსავ-

ლეთის სხვადასხვა ქვეყანაში[1].

დღეს ეს საკრავი სამეგრელოში მივიწყებულია, ახსოვთ მხოლოდ მოხუცებს, განსაკუთრებით ჯვრის მხარეს და ხობის რაიონის მახლობელ სოფლებში.

ჯვრის მახლობლად სოფ. ჩქვალერში ცხოვრობს ორი ცნობილი მელარჭემე: *ვიცი ჯათუს ძე ფიფია* 78 წლისა და *კოწია ქაუს ძე ქუხილა* 70 წლისა. ვიცი ფიფია ნამწყემსარია და ლარჭემს პატარაობიდან უკრავდა თურმე. მისი სიტყვით, ლარჭემს საერთოდ, მეჯოგეები უკრავდნენ და ისინი ამით ერთობოდნენო. ლარჭემი მცენარეა, რომელიც მთიან სამეგრელოში იზრდება. იგი წააგავს ლერწამს, მხოლოდ უფრო მსუბუქი და გამძლეა. ლარჭემის მოჭრა და საკრავის გაკეთება უკეთესია ივლისის ბოლოს, მანამდე იგი ნედლია და კარგი ხმიანი საკრავიც გამოდისო. ლარჭემს აკეთებენ აგრეთვე კალმისაგან „*ჩალამ-კალამი*"-საგან (ლერწამი), მაგრამ ასეთ ლარჭემს ხმა არ უვარგა და დასაკრავადაც არ არის სასიამოვნო.

ლარჭემის გაკეთება ყველას არ შეუძლია, მას აკეთებს მხოლოდ ის, ვინც ლარჭემს უკრავს, რადგანაც ამ საკრავს უნდა აწყობა.

სამეგრელოში გავრცელებული ყოფილა ექვსღეროვანი ლარჭემი მთიან რაიონებში, ბარში კი ხობის რაიონში ხუთღეროვანი[2].

ლარჭემის გაკეთების დროს მნიშვნელობა ეძლეოდა თითოეულ ღეროს სიგრძე-სიგანეს, ზომას და სხვა, შემდეგ კი ღეროებს ხმის მიხედვით არჩევდნენ.

ამიტომ ოსტატებმა ჯერ ხმიანობა უნდა გაუსინჯონ ლერწმის ღეროს და შემდეგ უნდა ისინი შეკრან ლარჭემად, რომლის შესაკრავად ჩვეულებრივ ხმარობენ ბლის თხელ ქერქს. ხმა და ბგერები ლარ-

---

[1] ამ საკრავის შესახებ გამოვიდა სპეციალური გამოკვლევა ვ. კ. სტეშენკო-კუფტინასი (იხ. В. К. Стешенко-Куфтина, Флейта пана, Тбилиси, 1936 г., აქვს ქართულ ენაზე რეზიუმე). ამიტომ, ჩვენ აქ არ შეეხებით ამ საკრავის წარმოშობის ისტორიის დადგენას. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სტეშენკო-კუფტინას ამ შრომაში მეგრული ლარჭემის შესახებ მოპოვება შეცდომები, როგორც თვით ამ საკრავის აღწერაში, აგრეთვე ტერმინოლოგიაში, ლარჭემის ტიპის დადგენა-გარკვევაში და სხვა.

[2] ვ. სტაშენკო-კუფტინამ არ იცის ხუთღეროვანი ლარჭემის არსებობა და იგი ამის შესახებ ამბობს: „მეგრული ლარჭემი, ისე როგორც გურული სოინარი, ყოველთვის ექვსღეროვანია" (იხ. Флейта пана, გვ. 208).

ჭემს სალამურისა აქვს, მხოლოდ იგი მრავალხმიანია და შეწყობილი. ლარჭემზე დამკვრელს, სიმღერა თუ რაიმე დასაკრავი, სმენით გადააქვს და ლარჭემზე ისე უკრავს. ლარჭემს ხშირად ორნი უკრავენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან დაკვრაში. ვიცი ფიფიამ იცის 38 სხვადასხვა ჰანგზე დაკვრა. წინათ ლარჭემს უკრავდნენ ქორწილებში, ღამისთევაში, ხატობა-დღეობებში და „ბოხარჭალაფა“ ღამეს. ზოგჯერ ლარჭემს უკრავდნენ და თან ცხვირით ამღერებდნენ. წინათ ლარჭემი იყიდებოდა ხობის ბაზარზე — „ხობალა“-ს, რომელიც იმართებოდა აგვისტოში „*მარაშონა*“ დღეს ხობის მონასტერთან. იქ თურმე მოჰქონდათ გასასყიდად ბევრი ლარჭემი. გამყიდველები უკრავდნენ ლარჭემს და ამით მუშტარს იზიდავდნენო.

ლარჭემის დაკვრა.

აღსანიშნავია, რომ დღესაც, თუ ვინმე მიდის ხობში, ხუმრობით ეტყვიან: „ლარჭემი მოგვიტანეო“.

10. ხალხური ჩვეულებანი

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან, სამეგრელოს მოსახლეობაში იცვლებოდა არსებული ადათ-ჩვევები. ამის გამო ის წესები, რომელიც ახასიათებდა გვაროვნულსა თუ ფეოდალურ წყობილებას, იცვლებოდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როდესაც ახალი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებასთან იქმნებოდა ახალი ჩვევები და წესები. მაგრამ ძველიც სამუდამოდ არ ისპობოდა და ამ ძველის დამახასიათებელი ზოგიერთი ჩვევა გადმონაშთის სახით არსებობას განაგრძობდა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ხალხურ ჩვეულებაში დაცულია სხვადასხვა დროისა და წყობილების დამახასიათებელი წესები; მეგრული ხალხური ჩვეულებანიც ამ მხრივ საყურადღებო მასალების შემცვე-

ლია, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს გავერკვიოთ სამეგრელოს მოსახლეობის ძველს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობაში და მისი საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ მოვლენაში.

ჩვენ მიერ აქ აღწერილი ადათ-ჩვევები ეკუთვნის 1917წ. ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდს და იგი არსებითად განსხვავდება დღევანდელისაგან, როდესაც ახალ სოციალისტურ წყობილებაში ძველის სამუდამო მოსპობასთან ერთად იქმნება ახალ პირობებზე აღმოცენებული ახალი ყოფა-ცხოვრება მისი დამახასიათებელი ჩვევებით. მაგრამ იმ ძველი ადათების ზოგიერთი დამახასიათებელი წესები ხალხში ჯერ კიდევ ცოცხალია და მათ გაცნობას ჩვენ აქ ვიწყებთ ქორწილის წესების აღწერით.

ნიშნობა და ქორწილი. სამეგრელოში წინათ ქალ-ვაჟის დაქორწინება მხოლოდ მშობლებს ეკითხებოდა და ვისაც მშობლები აირჩევდნენ, ჯვარსაც იმაზე იწერდნენ. ნიშნობამდის, პირველ ყოვლისა, უნდა გამოერკვიათ ქალ-ვაჟისა და მათი მშობლების ვინაობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. ამისათვის ირჩევდნენ შუაკაცებს — „*მარებელს*“, რომელსაც ევალებოდა ამ საქმის გამორკვევა. შუაკაცი, ჩვეულებრივ, იყო ერთი ქალი და მეორე კაცი. ამ ორ „მარებელზე“ იყო დამოკიდებული საქმის მოგვარება. შუამავლები ამისთვის იყენებდნენ ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას, რომ თავიანთ მიზნისათვის მიეღწიათ, საქმე კეთილად დაებოლოებინათ, რისთვისაც იღებდნენ გასამრჯელოს — „*ნამარებუს*“-ს ფულად. შუამავლების დახმარებით, ჯერ იძიებდნენ ქალ-ვაჟს შორის არ ყოფილიყო რაიმე, თუ გინდ შორეული ნათესაური კავშირი, რაც სასტიკად აკრძალული იყო — „ვაშინერსი“-ია. ერთი გვარისა და ხატის ქალ-ვაჟის შეუღლება არ შეიძლებოდა, არც დედის გვარის ქალის შერთვა შეიძლებოდა. არ ირთავდნენ აგრეთვე თავის მოგვარე გათხოვილი ქალის შვილსაც. ამასთანავე, აკრძალული იყო („*ვაშინერსი*“) გამზრდელის, ძიძის — „*ძიძექკუამ*“ ნათესავისა და გვარის შერთვა და არც ძმად, დად, დედად თუ მამად მოგებულ — „*ჩაფილის*“ ნათესავისა და მახლობლის შერთვა. არ ირთავდნენ აგრეთვე შვილობილის „*სკუალაფირი*“-ს გვარისას და ნათესავს. ერთი სოფლისა და ხატის ქალ-ვაჟის შეუღლებასაც გაურბოდნენ და უფრო სასურველი და მიღებული იყო ქალი სხვა სოფელში გაეთხოვებინათ. ერთი სიტყვით, ამ წესებს მტკიცედ იცავდნენ და ვინც ამას დაარღვევდა, მას სასტიკად კიცხავდნენ და სდევნიდნენ.

ამასთანავე, ოჯახში იცავდნენ საქორწილო ქალისა და ვაჟის

უპირატესობას უფროს-უმცროსობის მიხედვით. ჯერ აქორწინებდნენ უფროსებს და შემდეგ რიგის მიხედვით უმცროსებს. ამის დარღვევა ოჯახში დიდი სირცხვილი იყო და უმცროსის დაქორწინების შემთხვევაში, უფროსი ხშირად დაუქორწინებელი რჩებოდა, რადგანაც იგი სახელგატეხილად ითვლებოდა და მის შერთვას

მეგრელი ქალი (ტიპი)

გაურბოდნენ. ამიტომ, ოჯახის უფროსები საქორწინოდ პირველად დააყენებდნენ უფროს ქალსა და ვაჟს და დაიწყებოდა შუაკაცების სიარული და ნიშნობაზე ზრუნვა.

ძველად სამეგრელოში ცოდნიათ ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა, რასაც „ონწეშ-იკოდგუმა"-ს უწოდებდნენ[1]. ამას აწყობდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მშობლებს ერთმანეთის ხათრი და სიყვარული ჰქონდათ და სურდათ დანათესავება. მაშინ ვაჟის მშობლები

---

[1]ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938 წ., გვ. 82; **Ф. Сахокия**, По Мингрелии (брачные обряды). აკვანში დანიშვნა ან დაწინდვა წინათ საქართველოში გავრცელებული იყო (იხ. 1103 წ. ძეგლის წერა რუის-ურბნისის კრებისა, თ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. II, თბილისი, 1897 წ., გვ. 64; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, თბილისი, 1929 წ., გვ. 364-366).

ბავშვს მიიყვანდნენ ქალის ოჯახში და აქ ორივე აკვანს ერთად დადგამდნენ და იტყოდნენ: „იყავით ბედნიერი ცოლ-ქმარიო და ღმერთმა ერთმანეთს მზე და მთავარესავით შეგაბეროთო“. დასასრულს, ბავშვის მშობლები ერთმანეთს გადაკოცნიდნენ და უსურვებდნენ ახლადდანიშნულებს გაზრდასა და ბედნიერებას. ამასთანავე, ვაჟის პატრონი ქალის აკვანზე ჩამოკიდებდა სანიშნოდ რაიმე სამკაულს და ამ დღიდან ქალი ითვლებოდა ვაჟის საცოლედ. როცა ორივე გაიზრდებოდა და ასაკში ჩადგებოდა, მაშინ მათ დააქორწინებდნენ. პირობის დარღვევა და უარის თქმა არ შეიძლებოდა, ეს გამოიწვევდა ამ ორ ოჯახს შორის მტრობასა და შურისძიებას.

სამეგრელოში წინათ გავრცელებული იყო აგრეთვე ქალის მოტაცება. იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჟსა და მის მშობლებს ქალი მოსწონდათ, მაგრამ ქალის ოჯახი მათ სწუნობდა და ქალს არ აძლევდა, მაშინ ვაჟი ამხანაგების დახმარებით, საცოლეს იტაცებდა და მას ერთი წლით სადმე გადამალავდა. მოტაცებულ ქალს საქმროზე უარი რომ არ ეთქვა და იგი მშობლებთან არ გაქცეულიყო, ვაჟი მასთან ძალდატანებით იჭერდა სქესობრივ კავშირს. ერთი წლის შემდეგ მშობლები იგებდნენ ქალის ამბავს, მაგრამ სასიძოს არ ურიგდებოდნენ. ვაჟი და მისი ოჯახი უგზავნიდა შუაკაცებს ქალის მშობლებს და სთხოვდა შერიგებას. ქალის მომტაცებელს უნდა გადაეხადა ჯარიმა — ხარი, ცხენი, ფული და სხვა, რასაც მიუსჯიდნენ მას არჩეული კაცები. თუ ქალს შვილი გაუჩნდებოდა, მაშინ მშობლები იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ სასიძოს, მაგრამ ამის შემდეგაც, მათ შორის არ იყო კარგი განწყობილება და ქალის მშობლების ოჯახი თავს შეურაცხყოფილად თვლიდა. საზოგადოდ, სამეგრელოში ქალის მოტაცება ვაჟისა და მისი ოჯახისათვის სასახელო და საქებარი საქმე იყო, ქალის ოჯახისათვის კი ეს გარემოება იყო დამამცირებელი და სამარცხვინო. ამის გამო, ქალის გატაცების დროს, იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა და სისხლიც იღვრებოდა. ამ ძალდატანებით მოტაცებასთან იყო შემთხვევები, როდესაც ქალი ვაჟს ნებაყოფლობით მოატაცინებდა თავს, რასაც უწოდებდნენ „*გითოტყუაფა*“-ს. ესეც მშობლების სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა და ისინი დიდხანს არ შეურიგდებოდნენ სასიძოს, ვიდრე იგი ჯარიმას არ გადაიხდიდა. ძალით თუ ნებით მოტაცებულ პატარძალს ქმრის ოჯახში თავი ამაყად ეჭირა და ასეთ ქალებსაც სამეგრელოში მეტი პატივი და მოწონებაც ჰქონდათ.

ჩვეულებრივად კი, როდესაც ქალი და ვაჟი ასაკში ჩადგებოდა, მშობლები ცდილობდნენ მათთვის მოეძებნათ სასურველი მეუღლე. ამ შერჩევაში გადამწყვეტი ხმა და გავლენა ჰქონდა დედის ძმას (ბიძას) და ქალის უფროს ძმას, რომელთა დაუკითხავად და დასტურის გარეშე, ქალ-ვაჟის დანიშვნა ძნელად თუ მოხერხდებოდა. ერთი სიტყვით, ქალ-ვაჟის დანიშვნის საქმეში მთავარ როლს თამაშობდნენ მათი დედ-მამა, ბიძა, ძმა და შუამავლები — „მარეგელი". მათი შეთანხმების შემდეგ, ეწყობოდა ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის გასინჯვა, რასაც ეწოდებოდა „გინოძირაფა".

გასინჯვა წინათ უფრო ღამე სცოდნიათ, რომ სოფელში ხალხს არ გაეგო ეს ამბავი, რადგანაც დაწუნების შემთხვევაში, ქალს სახელი გაუტყდებოდა. ამიტომ, ცდილობდნენ ქალის გასინჯვა მოეწყოთ ოჯახში ფარულად და საიდუმლოდ. ქალის გასასინჯად მიდიოდნენ ქალის ოჯახში და ვაჟს მიჰყვებოდნენ დედ-მამა და ბიძა. ქალს მორთავდნენ და დასვამდნენ სახლის ერთ კუთხეში, ვაჟი და მისი მხლებლები მას სინჯავდნენ. ქალსა და ვაჟს ააყენებდნენ და გაატარებდნენ ოთახში, უნდა ელაპარაკათ და სხვა, რომ გამოერკვიათ თუ ჰქონდათ მათ რაიმე ფიზიკური ნაკლი. მოწონების შემთხვევაში, სუფრას გაშლიდნენ და სტუმრებს გაუმასპინძლდებოდნენ და აქ წყდებოდა მათი დანიშვნის საქმეც, თუ არადა, მისი მშობლები მაშინვე უკანვე ბრუნდებოდნენ. მოწონების შემდეგ, დაიწყებოდა საუბარი ქალის მზითევზე — *„ოჭყუდური"* და ნიშნობის დღის დანიშვნაზე. მზითევის განსაზღვრა დამოკიდებული იყო ქალის მშობლების შეძლებაზე და ვაჟის მოთხოვნაზე. ამ შემთხვევაში, საქმეს არიგებდა შუამავალი, რომელსაც ფულადი ქრთამიდან ერგებოდა ერთი მეათედი. იქვე ჩამოსწერდნენ ქალის მზითვისა და ფულადი ქრთამის რაოდენობას და ყველაფერი ეს უკლებლივ უნდა ჩაებარებინათ სასიძოსათვის ჯვრისწერის ღამეს. ამასთანავე, განსაზღვრავდნენ ნიშნობის დღესაც და ვაჟი თავის მხლებლებით შინ ბრუნდებოდა. შუამავლები კი ხშირად დადიოდნენ ორივე ოჯახში და სიტყვა-პასუხი მიჰქონდ-მოჰქონდათ.

ნიშნობის დღეს ქალის ოჯახში გაიმართებოდა სადილი და ვაჟი გამოგზავნიდა ბიძასა თუ ძმის ხელით სანიშნო ტანისამოსს და სამკაულებს — *„შანა"*-ს.

ჩვეულებრივ, სასიძო გამოუგზავნიდა საპატარძლოს საყურეს, ჯვრისსაწერ თეთრ ტანისამოსს, ბეჭდებს, სამაჯურს და სხვა. ამით შეამკობდნენ საპატარძლოს, რომელიც ამ დღიდან ითვლებო-

მეგრელი ქალი (ტიპი).

და დანიშნულად — „*შარილილ*“. დანიშნული ქალი ზოგჯერ წლამდის რჩებოდა მამის სახლში. იკერავდა საქორწილო ტანისამოსს, იმზადებდა მზითევს და სხვა. ქალის დანიშვნის შემდეგ, პირობის დარღვევა არ შეიძლებოდა. თუ ქალის მშობლები პირობას დაარღვევდნენ, მაშინ „შანა“ უკანვე უნდა დაებრუნებინათ ვაჟისათვის. თუ ვაჟი უარს იტყოდა დანიშნულ ქალზე, მას ქალის მშობლები „შანა“-ს არ უბრუნებდნენ. მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევა იყო, რადგანაც ამას მოჰყვებოდა მათ შორის მტრობა და ერთმანეთზე გადაკიდება. ქალის დანიშვნის მიზნით, წინათ ვაჟის მამა ან ბიძა ქალს ცეკვის დროს ქუდს ესროდა — „*ქუდიშ-ფაჩუა*“ და იგი მის დანიშნულად ითვლებოდა. თუ ქალის მშობლები ამაზე უარს იტყოდნენ, მაშინ მათ აჯარიმებდნენ და ეტყოდნენ: „ქუდი მოხვდა და არ მოგვყვებაო“. უარის შემდეგ, შეეცდებოდნენ ამ ქალის მოტაცებას. ამისათვის საჭირო იყო ვაჟის მხრივ გულადობა და ვაჟკაცობა, რომ ეს განზრახვა აესრულებინა, რაც ყველას არ შეეძლო. თუ არადა, ასეთი ქალი ვერ გათხოვდებოდა, რადგანაც იგი დანიშნულად ითვლებოდა და იტყოდნენ „*ნაქომონჯუენია*“ ე. ი. ქმარ-ნაყოლიაო.

ქალის ნიშნობას ჩქარა მოჰყვებოდა ჯვრისწერა და ქორწილი. ამისათვის დღეს ამოირჩევდნენ, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, რომელ დღეებში ჯვრისწერა არ შეიძლებოდა — „ვაშინერსია“. დანარჩენ დღეებშიც კი ნებადართული იყო. მაგრამ ჯვრისწერა სასურველი იყო უფრო კვირა დღეს, რომელიც ითვლებოდა ბედნიერ დღედ და ამ დღეს იცოდნენ ჩვეულებრივად ჯვრისწერაც ვაჟის სოფელში. ზოგჯერ ჯვარს ქალის სოფელშიაც დაიწერდნენ. ვაჟის მამა ან ბიძა მაყრით მოვიდოდა ქალის წასაყვანად. ქალის ოჯახში გაშლიდნენ სუფრას და მაყარს დაიწვევდნენ, პატარძალი

კი ამ დროს დაიმალებოდა და იგი არ ეჩვენებოდა სასიძოს, დედეს და მაყარს. ქალები შეუდგებოდნენ „*მოჭყუდუს*“ – პატარძალის მორთვას, ჩააცმევდნენ მას ჯვარსაწერ ტანისამოსს, თავ-პირზე ჩამოაფარებდნენ საბურველს და ისე გამოიყვანდნენ. ასეთ მორთულ პატარძალს უწოდებდნენ „*მოჭყუდუს*“ ან „*ხაც�ს*“. პატარძალს მოჰყვებოდა თავისი დედე და მაყრები. ქალის წაყვანამდის მოითხოვდნენ მზითევისა და ქრთამის ჩაბარებას. ერთს კაცს დასვამდნენ და იგი შეადგენდა მზითევის სიას, მეორე – ფულს თვლიდა და ყველაფერი ეს უნდა ჩაებარებინათ ვაჟის მამისათვის. თუ რაიმე დააკლდებოდა მზითევს ან ფულს, მაშინვე ასტეხდნენ განგაშსა და ვაჟის მხარე მოითხოვდა მზითევისა და ფულის უკლებლივ მოცემას.

შემდეგ გამოიყვანდნენ ატირებულ პატარძალს, რომელიც ეთხოვებოდა თავის დედ-მამასა და ამხანაგ-მეგობრებს. პატარძალს ცხენზე შესვამდნენ და მას მიჰყვებოდა დედე, ძმა და ბიძა. ყველანი გაემართებოდნენ ვაჟის სოფლისაკენ, სადაც ნეფე-დედოფლისათვის ჯვარი უნდა დაეწერათ. აქ მას დახვდებოდა ნეფე თავისი ამხანაგებით და ნეფე-პატარძალს ეკლესიაში შეიყვანდნენ. სადაც ეკლესია არ იყო ან ძალიან შორს იყო იგი, ნეფე-დედოფალს ჯვარს გადასწერდნენ მარანში, სადაც სალოცავი ქვევრები ჰქონდათ ჩაფლული. მღვდელი მას ჯვარს დასწერდა საეკლესიო წესით, თავზე დაადგამდა ტოტებიან გვირგვინს, რომელსაც სამეგრელოში „ძაფეძიას“ უწოდებდნენ. პატარძალს მღვდელი პირბადეს ახდიდა, შეასმევდა სასმისს და შემდეგ ისევ პირბადეს მოახვევდნენ. ჯვარდაწერილ ნეფე-დედოფალს ეკლესიიდან გამოიყვანდნენ, კარებში ორი მაყარი დადგებოდა გადაჯვარედინებული ხმლებით, რომლის ქვეშ გაატარებდნენ „*სინჯა დო მოჭყუდუ*“-ს ნეფე-დედოფალს. ამ დროს მაყარი ასტეხავდა სროლასა და „*კუჩხა ბედნიერა*“-ს (ფეხბედნიერი) სიმღერით ყველანი გაემართებოდნენ ნეფის ოჯახში. წინ გაიქცეოდა მახარობელი, სროლით შევიდოდა ოჯახში და დაიძახებდა: „მოგვყავს ნეფე-დედოფალი, გამხიარულდი ოჯახო, კეთილი და ბედნიერი იყოს მისი ფეხიო“ და სხვა. მას უმასპინძლდებოდნენ სასმელითა და მწვადებით. ჩქარა გამოჩნდებოდა მაყრიონი ნეფე-დედოფლით, რომელსაც სახლის კარებში დახვდებოდა ვაჟის დედა, დალოცავდა ორივეს და შეაჭმევდა შაქარს ან თაფლს, შეასმევდა აგრეთვე წყალსაც. ნეფე ამ დროს კარებთან დამხობილ თეფშს ფეხის ერთი დარტყმით გატეხავდა, დედოფალი

კარებთან მდგარ ჭიქით ღვინოს წააქცევდა და ნეფე-დედოფალი სახლში შევიდოდნენ. პატარძალს ხელში მისცემდნენ ღომის მარცვლებით სავსე ჯამს, რომელზედაც იდო ერთი კვერცხიც. ამ ჯამით პატარძალი კერას გარშემო შემოუვლიდა და თესავდა ღომის მარცვლებს, მაყარი მას უკან მისდევდა და მღეროდა „კუჩხა ბედნიერა“-ს. ბოლოს, პატარძალი ხელს წაავლებდა საკიდელს და კერიდან გამობრუნდებოდა, დედამთილი მას დალოცავდა „ჯგირი ნერჩიში ქოფედავა“ (კარგი ფუძისა იყავიო). მას დასვამდნენ სკამზე, ხელში ხაჭაპურს მისცემდნენ და კალთაში ვაჟს ჩაუსვამდენენ. ხაჭაპურს მაყარი მოსტაცებდა. აისროდა მაღლა და დაიჭერდა ხაჭაპურს, ის გაიქცეოდა, სხვები მას გამოეკიდებოდნენ, ხაჭაპურს ამტვრევდნენ და სჭამდნენ. პატარძალი კალთიდან ბავშვს ჩამოსვამდა და მას ასაჩუქრებდა.

გაიშლებოდა ქორწილის სუფრა. თუ დიდი ქორწილი იყო, აშენებდნენ ფარდულს — „სეფა“-ს, სადაც ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ. დადე და მაყრები პირველად შემოიყვანდნენ პატარძალს და სუფრასთან დასვამდნენ. გაიმართებოდა შესაწევარი — „გინოთამა“ და პატარძალს ეწეოდნენ ფულით თუ ნივთებით. ამ მიზნით, სუფრიდან ერთი ვინმე მოკეთეგანი ადგებოდა, ხელში აიღებდა მზითევში მონაყოლ სინს ან ტაშტს და დადგებოდა ნეფე-დედოფლის პირდაპირ. მიწვეულები მიდიოდნენ და სინზე ჰყრიდნენ შესაწევარ ფულებს. იქვე მეორე კაციც იდგა, რომელიც ამ ფულებს თვლიდა, თან ოხუნჯობდა და ამბობდა:

მეგრელი (ტიპი).

„ეს ოქროს ხუთი მანეთიანი მოგართვათ თუთაშხიამ, რომელმაც მოიბოდიშა მეტის მოტანა მინდოდაო, მაგრამ ჭირნახულის მოუსვლელობამ დაგვაზარალა და მეორე რძლის მოყვანისას, უფრო მეტს მოგართმევო“ და სხვა. ყოველი შესაწევარის მიღე-

ბის დროს, ასეთ სახუმარო სიტყვებს ატანდა და სტუმრებიც ამაზე იცინოდნენ და მხიარულობდნენ. ნეფე-პატარძალს ყველანი ასაჩუქრებდნენ, გარდა ქალის მომყოლ-მაყრებისა, რომლებსაც შესაწ-ევრის გაღება არ ევალებოდათ. ამის შემდეგ, დადე დედოფალს პირბადეს ახდიდა. მაშინ პირველად დაინახავდნენ დედოფალს, სინჯავდნენ მას და სიხარულის ნიშნად თოფებს ისროდნენ. შემ-დეგ შემოიყვანდნენ ნეფეს და ახლა იგი გაუმასპინძლდებოდა მაყ-არს სასმელითა და თამბაქოთი. ნეფე-დედოფალს ერთად დასვამდ-ნენ და დაიწყებოდა მათი დალოცვა. ნეფე-დედოფალს სუფრასთან უვლიდა დადე, რომელიც პატარძალს გაატარებდა, ტანისამოსს გაუსწორებდა, ცოტა რამეს შეაჭმევდა, შეასმევდა და სხვა. ირჩევდნენ სუფრის თამადას. ქალისა და ვაჟის მაყრები დასხდებოდნენ ცალკე და პირისპირ, დაიწყებოდა ღვინის სმა გრძელი სადღეგრძელოე-ბით. ამას მოჰყვებოდა სიმღერა და ცეკვა-თამაში. მღეროდნენ ორ წყებად და შაირობდნენ მხიარული და სააშიკო ლექსებით:

დაბალ ქგვანას ვოხორანქი
ათომილუ ჭოროფაქი,
მალა-მალას ვაგორწყექი,
გინომილუ ოროფაქი.

—

ჩქიმ ჩონგური, ჯგირ ჩონგური
ჯგირი კოჩიში ნათოლარე,
ჩქიმ ქომონჯი საცოდარი
ჩქიმ თოლიში ნაგორარე.

—

ართ შარაშა გინივლიდო
ქეგოუხვილე კვარია,
ახაიგაზდა ქორექიდა
ვამომჩინა ვარია.

—

მიცორქიდო მიღირუქი,
ბამბეშ ძაფით მიკურუქი,
თინა მუჟანს მეხორცქუნი
საუკუნოთ მიდინუქი.

დაბალ ქვეყნის მოსახლე ვარ,
ლამის ავდარმა წამლეკოს.
ხშირად რომ ველარა გხედავ,
სიყვარულმაც გაიარა.

—

ჩემი ჩონგური, კარგი ჩონგური
კარგი კაცის განათალი,
საცოდავი ჩემი ქმარი,
ჩემი თვალით მონაძებნი.

—

ერთს გზაზე გადავიარე,
დავინახე ყვავია,
თუ ხარ ახალგაზრდაო,
ნუ შემომითვლი ვარსაო.

—

მიყვარხარ და გაფასებ,
ბამბის ძაფითა დაბმულო,
ის როდესაც გაწყდება,
საუკუნოდ მეკარგები.

ამ გაშარებაში იმარჯვებდა ის მხარე, რომელიც მეტს დალევდა, მღეროდა და შარობდა უკეთესად. ეს იყო ერთგვარი შეჯიბრი ქალისა და ვაჟის მაყრებს შორის, რაც ხშირად მთავრდებოდა ორივე მხარის უსიამოვნო შეტაკებით და ჩხუბით. სამეგრელოში იშვიათად იყო უჩხუბო ქორწილი. ასეთ ქორწილს აქ არც ჰქონდა მოწონება. ჩხუბი და აყალ-მაყალი ქორწილში სასახელოდ მიაჩნდათ. საქმე მხოლოდ ჯობნაზე იყო, თუ რომელი მხარე დასძლევდა. ქალის მაყრების ჯობნა დიდი დამცირება იყო ვაჟის ოჯახისა და გვარისა და ამის გამო იმართებოდა მათ შორის ხელჩართული ბრძოლა. ყოფილა შემთხვევა, რომ დამარცხებული ქალის მაყარს ნეფის სახლკარისათვის ცეცხლი წაუკიდნია და ადამიანიც უმსხვერპლია.

ქორწილის მეორე დღეს მაყრებმა იცოდნენ ქათმების ხოცვა და აგრეთვე ნიშანში სროლა. ამ მიზნით, დადგამდნენ „ყაბახს". ხეზე მიაკრავდნენ გრძელ ჯოხს, რომელზედაც თეფში იყო ჩამოკიდებული და ვინც მას ნიშანში ამოიღებდა და ჩამოაგდებდა, მას ასაჩუქრებდნენ. წასვლის წინ ქალის მაყარს ნეფე ასაჩუქრებდა შეძლების მიხედვით 2-3 ცხენით. თუ ქალის პატრონი ქალის წაყვანისას ვაჟის მაყრებს ცხენებით დაასაჩუქრებდა, მაშინ ნეფეს ქალის მაყრისათვის საჩუქრად ზედმეტად 1-2 ცხენი უნდა მიეცა.

ახალგაზრდები (ტიპები).

ქალის პატრონი სასიძოს ასაჩუქრებდა ცხენ-უნაგირით, აძლევ-დნენ აგრეთვე ნაბადსა და იარაღს. სიძე სიდედრს აძლევდა „ნაძუძურს“ 10-20 მანეთამდის, შუამავალს – „მარებელს“ ეძლე-ოდა ფულად ქრთამის ერთი მეათედი და საკლავი ტყავ-ფეხები. პატარძალი კი მას საჩუქრად აძლევდა ქისას, პირსახოცს და სხვა.

მეორე ღამეს ნეფე-დედოფალს ლოგინს გაუმართავდნენ „ხემან-წყუ“ ცალკე სადგომში, რომელსაც ეწოდებოდა „ამხარა“. „ხემან-წყუ“ (ხელის შემწყობი) პატარძალს მიიყვანდა ამხარაში და იქ დააწვენდა. შემდეგ დადეს ნეფე მიყავდა, მას ამხარის კარებამ-დის მიაცილებდა და გამობრუნებისას დამბაჩას გაისროდნენ. ხემან-წყუ ამხარის ახლოს ტრიალებდა, ყურს უგდებდა მათ საუბარს და თუ რამე დასჭირდებოდათ, შეუტანდა. ნეფე-დედოფალი იქ რჩებოდა სამი დღე-ღამე. ნეფე ხემანწყუს ფულით ასაჩუქრებდა.

ნეფე-პატარძალი წლის განმავლობაში ხალხში ერთმენთს ხმას არ გასცემდნენ, რადგანაც სირცხვილად იყო მიჩნეული. ცოლ-ქმარი წინათ სამეგრელოში თავის სიცოცხლეში ერთმანეთს არ ეტყოდნენ ნამდვილ სახელს და ამას უწოდებდნენ „*სახელიში ფულუა*“-ს (სახელის დამალვას), სამაგიეროდ, არქმევდნენ პირო-ბით სახელს. მაგალითად, ქმარი ცოლს ეძახოდა: *მუთარე, თოლი, ვოსი, სახანაგი* და სხვა. ცოლი ქმარს: *ბოში, ჩქიმთურ-კოჩი, საკო, შური, თოლიგე* და სხვა.

პატარძალი დედამთილისა და მამათილის სახელსაც ვერ იტყოდა, ამბობდა დედა და მამა. მაზლსა და მულსაც შეცვლილი სახელით იხსენიებდა. მაგალითად, თუ მაზლს ერქვა ნესტორი, რძალი მას არქმევდა თამუკი, ხარიტონს – ჭიჭიკოს და სხვა. უფროს რძალს თუ მართა ერქვა, უწოდებდა ბედიშს, თამარს – მელანიას და სხვა. საზოგადოდ, უფროს მაზლს პატარძალი იხსენიებდა „*ბატონად*“, საშუალოს „*ბატა*“-დ და პატარას კი „*ჭიჭე ბოში*“. იმ შემთხვევაში, თუ პატარძალი რაიმე საქმის გამო, იძულებული იყო ეთქვა მაზლის ნამდვილი სახელი და გვარი, მაშინ იგი მივიდოდა მეზობლის სახლში, იქიდან წამოიყვანდა ვინმეს და მას ათქმევინებდა მის სახელსა და გვარს. პატარძალს, ამასთანავე, პატივი უნდა ეცა უფროსებისათვის, რაც გამოიხა-ტებოდა მათი ფეხების დაბანაში 1-3 წლამდის. ოჯახში სტუმარი რომ მოვიდოდა, უმცროსი ქალი ან რძალი ვალდებული იყო სტუმ-რისათვის ფეხი დაებანა, შარვალი გაეხადა და დაეწვინა. ერთი წლის შემდეგ, პატარძალს თავის დედ-მამის ოჯახში დააბრუნებდ-

ნენ. აქ გაიმართებოდა ლხინი და ნათესავ-მოკეთეები ასაჩუქრებდნენ სიძე-პატარძალს. ამის შემდეგ, პატარძლობაც თავდებოდა და იგი შეუდგებოდა ოჯახის დიასახლისობას. ახლა პატარძლისაგან შვილის მოლოდინში იყვნენ, რომ იგი გამხდარიყო ოჯახის ნამდვილი და საპატიო წევრი. უშვილობა სამეგრელოში არასასიამოვნო შემთხვევად იყო მიჩნეული. თუ პატარძალი შვილის გაჩენამდის გარდაიცვლებოდა, მის მზითევს მშობლები უკან წაიღებდნენ.

თუ პატარძალი უშვილო გამოდგებოდა ან მას მხოლოდ ქალები უჩნდებოდა, მას პირველად წაიყვანდნენ და ალოცებდნენ თავის გვარის ხატში – „*ჯინჯი ხატში*". თუ ეს არ უშველიდა, მაშინ ცოლ-ქმარი წავიდოდა სოფ. წაჩხურში და იქ შეევედრებოდნენ წაჩხურის მთავარანგელოზს შვილის მოცემას და თან შესაწირავად მიიტანდნენ სანთლებსა და აკვნის გამოსახულებას. ამის შემდეგაც თუ უშვილოდ დარჩებოდნენ, მაშინ მიმართავდნენ ასეთ სიმულაციას: წინასწარი შეთანხმებით ორსული ქალისაგან ბავშვს იშვილებდნენ და უშვილო ქალი მუცელზე ბალიშს გაიკეთებდა, ვითომ ორსულად იყო. როდესაც ორსული ქალი მოიმშობიარებდა, უშვილო ქალიც ლოგინად წვებოდა და როგორც მშობიარე კვნესოდა. ამ დროს მალულად მოიყვანდნენ ახლადდაბადებულ ბავშვს და მას ლოგინში შეუგორებდნენ, რასაც ეწოდებოდა „*მითორგინაფა*" ან „*მითოდგუმა*"[1] და ასეთი ბავშვი ითვლებოდა მის ნამდვილ შვილად.

---

[1] ეს მეგრული „*მითორგინაფა*" წარმოადგენს „კუვადას" (couvade) ერთგვარ ნაშთს და ახასიათებდა დედამთავრული ოჯახიდან მამამთავრულზე გადასვლის პერიოდს. კუვადას წესებში მოცემული იყო ბავშვის ვითომცდა მამაკაცისაგან შობის სიმბოლური ნიშნები. ამგვარი ჩვეულება ჯერ კიდევ *აპოლონ როდოსელმა* (III ს. ძვ.წ.) მცირე აზიაში მობინადრე ტიბარენებს შორის აღნიშნა, ის, სხვათა შორის, წერდა, რომ „მათში ქალი ბავშვს შობს მამაკაცის დახმარებით, ეი. მამაკაცი იქ მშობიარესავით ლოგინში წვება, კვნესის, თავს იბურავს და ბრძანებასაც სცემს, რომ გასაბანი წყალი დაუმზადონ"-ო В. В. Латышев Scythica et Caucasia I, 414.

სტრაბონის მოწმობით, ასეთივე წესები მშობიარობის დროს არსებულა დასავლეთის იბერებში, კელტებში და სკვითებში (Geographica III 4, 17). თ. სახოკია ამ კუვადის წესებს უკავშირებს მეგრულ „მითორგინაფა"-ს. (Ф. Сахокия по Мингрелии, Брачные обряды, "Петроградские Ведомости" 1916 г., № 176). პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგსაც მეგრული „მითორგინაფა" მიაჩნია „კუვადის" წესის გადმონაშთად. (Л. Меликсед-Беков, К вопросу об обычае кувады на Кавказе, Юбил. сборник XLV в честь акад. *Н. Я. Марра*, Акад. Наук СССР 1935 г. с. 732).

მშობიარობა. ფეხმძიმე ქალი მშობიარობის შემსუბუქების მიზნით, სხვადასხვაგვარ ცრუმორწმუნეობას მიმართავდა. იგი მუცელზე ჩამოიკიდებდა თევზის წებოს, არ ჭამდა თხილსა და ნიგოზს — ბავშვს თავი და ტანი უსუფთაო ექნებაო. საქონლის ტყირპსაც არ ჭამდა — ბავშვი ტყირპიანი იქნებაო. არც თაფლს შეჭამდა — ბავშვი დორბლიანი იქნებაო. ფეხმძიმეს სისხლი არ უნდა გამოედინა — ბავშვი ბნედიანი იქნებაო და სხვა. მშობიარეს მიწაზე დაგებულ ჩალაზე დააწვენდნენ, თავქვეშ ამოუდებდნენ მაკრატელს ან ხანჯალს, რომ ავი და მავნე არ მიეკარებაო. მელოგინეს თუ გაუჭირდებოდა ბავშვის დაბადება, მაშინ მას მუხლებზე დააყენებდნენ, ხელში მისცემდნენ ცარიელ ბოთლს, რომელშიაც უნდა მაგრად ჩაებერა, რომ ამით ძალა დაეტანებინა მუცლისათვის. მის ახლოს იქვე ჩამოკიდებდნენ ბადეს, რომ მას მავნე არ მიკარებოდა. მძიმე მშობიარობის დროს, დამსწრე ქალი ფეხებს მიწაზე წაუსვამდა და იტყოდა: „ჯიხაშ კარი გამიღიაო“. ვინც შეეიდოდა, ყველას უნდა შეეხსნა ქამარი და კაბის სალტა და ეთქვა: „ღმერთო, ასე გაათავისუფლეო“. ეხვეწებოდნენ ქალის „ჯინჯი ხატს“, მარიამ ღვთისმშობელს და მას შეუთქვამდნენ „*ოდაბადე*“-ს (სამშობიაროს) და ამასთანავე, შეულოცავდნენ: უჩა გვილას, უჩა წყარი მურს, უჩა დეიში ზისხირი გეურს, უძალო ძალიანი, ძელ დამაგრებელიანი ძროხა შვილი დამაგრებულა დედა-მამის“-ო. მძიმე მშობიარეს გულზე დაადებდნენ ქმრის ქალამნებს, გველნაკლავ ცულს მუცელზე სამჯერ შემოუტარებდნენ. თუ ფეხმძიმობის დროს მშობიარე ძაფს მურგვალზე ახვევდა ან თითისტარზე ართავდა, მაშინ ქალები აიღებდნენ ამ ნართს, დაშლიდნენ და მას ხელმეორედ ამოახვევდნენ, მშობიარეს კი საქსოვის მაქოთი წყალს შეასმევდნენ. მშობიარესთან ფეხმძიმე ქალს არ შეუშვებდნენ, რადგანაც ფეხმძიმის ბავშვი მშობიარეს ბავშვს ეტყვის — მე მომიცადეო და ამით მშობიარეს ბავშვის დაბადება გაუჭირდებაო.

ბოლოს შემოიტანდნენ „*სოლომაქი*“-ს თვალს, რომელიც შვინდის ფერი თუ ღვინის ფერის ქვა იყო და ამ სოლომაქის თვლიან ბეჭედს მშობიარეს გადაავლებდნენ და მათი წარმოდგენით, რაც უნდა მძიმედ ყოფილიყო მშობიარე, იგი ჩქარა მორჩებოდა. ამ თვალს ხალხის რწმენით, შეეძლო ნაყოფის მოშორება და მოსპობაც. ოჯახში შემოტანისთანავე, ქათმების კვერცხები დალაყდებოდა, ძროხა ხბოს გააგდებდა და სხვა. ამ თვალს თურმე ინახავდნენ ისეთ ადგილას, სადაც ადამიანს არ შეეძლო მიგნება.

სოლომაქის გადავლების შემდეგ, მშობიარეს ბავშვი უნდა დაებადა. ბავშვს პირველად აიყვანდა „*დედმანია*“ — ბებიაქალი, რომელიც ბავშვს ჭიპს მაკრატლით შეაჭრიდა და ბავშვს შეახვევდა. ბავშვის ბუდესა და სისხლიან ჩალას მიწაში ჩაფლავდნენ. ამ დღეს იქ მყოფ ქალებს ბებია ხელში პურის მარცვლებს ჩაუყრიდა — „*ხეშ კაკალიში გითოლვაფა*“ და ისინი სამჯერ მუჭებში გაატარებდნენ ამ მარცვლებს და დაილოცებოდნენ მშობიარეზე.

შემდეგ მშობიარეს სასიმრთელოდ — „ტანიში სასინთელო“ ბებია დაილოცებოდა გამომცხვარი კვერებით. ბავშვს პირველად ჩააწვენდნენ ხოჭიჭში — „*ტეფიაში*“. შემდეგ, რამდენიმე კვირისა, მას აკვანში გადაიყვანდნენ, მაგრამ ცარიელ აკვანს არ დაარწევდნენ — ბავშვს მუცელი ატკივდებაო. აკვანში მწოლარე ბავშვს თავქვეშ რაიმე რკინეულს ამოუდებდნენ, რომ მას ავი და ეშმაკი არ მიეკაროსო. ავი თვალის საწინააღმდეგოდ, აკვანზე ჩამოკიდებდნენ: ალის კბილს. ოვალის მძივს, გახვრეტილ ფულს, ჯვარს, ბუს ფრჩხილს, ავგაროზს, კვიმრას ძირს და სხვა. ამასთანავე, ახლადდაბადებულ ვაჟს ხელს მოაკიდებინებდნენ თოხზე, სახნისზე ან ნაჯახზე — კარგი მუშა გამოვაო. თუ ქალი იყო, მას ხელში მისცემდნენ თითისტარს, მაკრატელს და სხვა რაიმე ქალის იარაღს — კარგი დიასახლისი იქნებაო. თავადები და აზნაურები კი ბავშვს ხელში მისცემდნენ თოფს ან ხმალს, ცხენის აღვირს — კარგი მხედარი და მეომარი გამოვაო. ბავშვს აგრეთვე უჩვენებდნენ პირველად გადაკრეჭილ თმას და ეტყოდნენ: „ვისია ეს თმაო?“ თუ იგი იტყოდა ადამიანისაო, მაშინ მას სიცოცხლეში ადამიანისაგან პატივისცემა ექნებაო. თუ ცხოველს მიაკუთვნა, საქონელით ბედნიერი იქნებაო. თუ ბავშვს რაიმე ცუდი ზნე დაჰყვებოდა

მეჩონგურე ქალი.

და ძილში კრთოდა — „*გოლაფა*“, მაშინ ეკედრებოდნენ ალერტის წმ. გიორგის და მას შეუთქვამდნენ შავ ქათამს, აკვანზე ჩამოკიდებდნენ ნათვალავის წამალს, რომელშიაც ურევდნენ შაბს, გოგირდს, ნიორს და ნადირის ბალანს. ბავშვი თუ სამთვარიოს „*თუთაშს*“ იგრძნობდა, მაშინ შეულოცავდნენ სამთვარიოს და ასმევდნენ წამალს. სამთვარიოთ ან „თუთაშით“ დაავადებული ბავშვი ხალხის წარმოდგენით, ავადმყოფობას იგრძნობს ყოველს ახალ მთვარეზეო, ბავშვს ამ დღეს სიცხეს მისცემს და ბოდვას დააწყებინებსო. ზოგჯერ ბავშვს პირიდან დორბლი გადმოსდის, კუჭი აეშლება, აუტყდება პირღებინება და გრძნობასაც კარგავსო. ავადმყოფობა გრძელდება 3-4 დღე. „თუთაშით“ დაავადებულ ბავშვს მარჯვენა ხელის ნეკიდან სისხლს გამოუშვებენ. ასმევენ „*ბაკერია*“ ბალახისაგან დამზადებულ წამალს, დღეში 5-6 ჩაის კოვზს. ზოგჯერ ამ წამალში წყლის შავ ხოჭოსაც გაურევენ და ისე ასმევენ. როდესაც ბავშვს მეზობლისას პირველად გადაიყვანენ, მას რომ ავი თვალი არ ეცესო, შუბლზე ჯვარულად ნახშირს წაუსვამენ.

ერთი თვე რომ გაივლიდა, წინათ მელოგინეს უნდა გადაეხადა „*გალენიშიში ორთა*“. დაკლავდნენ საკლავს, ვაჟზე მამალ ციკანს, ქალზე კი, დედალ ციკანს და დაილოცებოდნენ: „გალენიში ორთა დიდებული და სახელ ხვამილი დიდას ტანსინთელე ქემეჩი, ბაღანას ჯგირობუა დო რდუალა“-ო.

შემდეგ წლის ბოლომდის ბებია მელოგინეს შეულოცავდა „*შქაში ნერჩი*“-ს ან „*ლუბაშ-კვერს*“. ამისათვის გამოაცხობდნენ ოთხ კვერს და ამ კვერებზე დაადებდნენ მამლის თავს. მელოგინეს ბებია დაბალ სკამზე დასვამდა, აიღებდა მამლისთავიან კვერს და მელოგინეს მას ლაჯებში სამჯერ გამოუტარებდა და იტყოდა: „ოთხი კვერი, შქაში ნერჩი, მახოდალს ძალი მეჩი, ჩიჩქი ჭუკიჯგუა, ოლე ტურკიჯგუა“-ო. იმ ქალებს, ვინც მშობიარობას შეესწრებოდნენ, ყველას უნდა გაემეორებინა ეს ლოცვა ამავე წესით. ამის არ შესრულება დაუშვებელი იყო. ბებია იტყოდა: „ხელი მექნება შეკრულიო და საიქიოში დავიტანჯებიო, აქაც ხელგაუხსნელს არ შემეძლება ბებიაობა გავწიო, რადგანაც ჩემი აყვანილი ბავშვი უნაყოფო (უშვილო) იქნებაო. შენ თუ გრცხვენია და არ გსურს ამ წესის შესრულება, ეტყოდა ბებია მელოგინეს, მე მაინც შევასრულებ ამ წესს, მაგრამ შენთვის ცუდი იქნებაო“. ამ დღეს წალენჯიხის რაიონის სოფლებში წინათ იცოდნენ დიდი სადილის გამართვა, საკლავსაც დაკლავდნენ და მეზობლებს დაიწვევდნენ.

ამავე წესს ასრულებდნენ ჩხოროწყუს მხარეში და აქაც ბებია

მელოგინეს კვერებს მუხლებში გამოუტარებდა და იტყოდა: „ჟინი ღორონთი დო თუდონი ნერჩი, მახოდალს ძალი მეჩი, ჩურს სახანთი (წადილი) მეჩი“-ა. შემდეგ მელოგინესთან სხვა ქალები მიდიოდნენ, კვერებს გამოუტარებდნენ მუხლებში და იმავე სიტყვებს გაიმეორებდნენ. ეს კვერები მშობიარეს უნდა შეეჭამა. ვინც ამას არ შეასრულებდა, ხალხის წარმოდგენით, მისი ბავშვი უშვილო იქნებოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ბავშვის პატარაობისას მელოგინეს ეს წესი არ შეუსრულებია, შემდეგ კი ეს ბავშვი უშვილო გამომდგარიყო და დედა იძულებული ყოფილა „შქაში ნერჩი“-ს წესი შეესრულებინა შვილის დიდობისას[1].

ბავშვს აკვანში ზრდიდნენ თითქმის წლამდის. თუ ბავშვს რაიმე მიზეზის გამო წლამდის ფეხის ადგმა გაუჭირდებოდა, მაშინ ბავშვს ორ ჯოხში — „ორულაშე“ ჩააყენებდნენ, გამოაცხობდნენ კვერებს და ამ კვერებს მისცემდნენ ბავშვს, რომელიც გაიქცეოდა. მშობლები მიუთითებდნენ გაქცეულ ბავშვზე და ეტყოდნენ: „ისე რომ გარბოდე, ღმერთმა ჩვენ თვალს აჩვენოსო“.

ბავშვი ერთ წლამდის უნდა მოენათლათ საეკლესიო წესით. ნათლიად ხშირად ირჩევდნენ მეჯვარეს, რომელიც ითვლებოდა ოჯახის მეგობარ-მოკეთედ. მას მოჰქონდა ბავშვის ჩასაწვენად კარგი ქსოვილი, ნათლიდედისათვის საკაბე. ნათლობის დროს ბავშვს მღვდელი არქმევდა საეკლესიო სახელს, მაგრამ შინაურობაში მას არქმევდნენ მეგრულ სახელს.

მამაკაცის სახელები: არდიანი, აბი, აგრე, ბოშიკა, გურკოჩა, ფია, შუკო, მირდია, ბუჭუჭია, სქვამა, გაძინია, ფაცურია, ქუჩუ, ცუტუ, უჩანა, ჯვატალია, შავარდენი, ობიშხელა, ბებე, ფუცხე-

---

[1] „*შქაში ნერჩი*“-ს ეს წესი საყურადღებო გადმონაშთია და იგი დაკავშირებულია ფალოსის კულტის რწმენასთან (იხ. ამის შესახებ: *ს. მაკალათია*, ფალოსის კულტი საქართველოში, ჟურ. „მიმომხილველი“, I ტფილისი, 1926 წ., გვ. 122; *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფ. 1928 წ., გვ. 36-37; განაყოფიერებისა და შვილიერობის ღვთაება კვირია“).

ფალოსის ღვთაება გაუთვითცნობიერებელ ადამიანს წარმოდგენილი ჰქონდა მამაკაცის სქესობრივი ასოს „ფალოსისა“ და დედაკაცის სქესობრივი ასოს „კტენისის“ სახით. იგი მას შესთხოვდა ნაყოფიერებასა და შვილების მოცემა-გამრავლებას. ეს რწმენა მეგრულ „შქაში ნერჩში“ მთელი მისი პრიმიტიული რეალობით არის მოცემული. ქალის სქესობრივი ასო ამაში წარმოდგენილია „*ნერჩი*“-ს სახით, ე.ი. ფუძის ან დედამიწის სახით, რომელსაც ანაყოფიერებს მამაკაცის ასო. ლოცვაში ბებია ღმერთს შესთხოვს მამაკაცს მიეცეს გამანაყოფიერებელი ძალა, დედაკაცს კი სქესობრივი განაყოფიერების წადილი.

ლია, ქერექია, მაძინია, ახალკოჩი, ძაძღალია, ცაკვა, ცექვე, შილი, უჩანა, სქვამური, პასა, ოქრია, თანაფია, ოთიე, ჯუნი, თუთაშხია, ქუთუ, ქუთარ, შავა, კვირა, მაშურია, ბათაყვა, ბიჯგვა, ხუსენია, თემურყვა, ჯურუმია, უჩარდია, ქისეშია, ნარტია, ქომიხერდა, ქერექია, ჯოღორია, ბურდღუია, ძუბღუელა, მაძია, გვატია, ბოშინა, ქუჩუია, გვაჩია, ბოშკოჩი, ხუტუია, ბაღირია, ტუტუია, ქაქუჩია, გულო, გუტა, გუდულა, მანჩა, მაკოია, კავში, ბეკოია, საბაია, სისოია, კოჭიე, ბაკუია, კუჭუ, გოჩა, კოკია, კიკოია, ბაზალ, ჯაკუია, ყაზანა, ქუთუ, კანი, ომერია, ბოშიკელა, კარაბედი, ბერუკია, ბათა, ნატეია, კვიჭი, ხახუია, კვიკვინია, გვიჩი, ბახუ, ქუთა, ხახუ, უთუ, მაჯი, საბა, უტუნა, ბეჩუ, მურზა, ფართხუ, გვადა, კინტირია, ბატუ, გახა, ლაჟუნია, ქისელია, ბეკო, დიტოია, კოტატია, პახვაია, საჩი, ბათაყვა, კოხტაია, ბესია, ჯარუ, ბარდღუ, ყათლარი, ძუკუ, ქენჩი, ათიე, პეხუია, ჩობუია, კალმახი, თამაზი, პეხუ, პაპუნია, ძოკია, ვატაია, გახუნია, ერისტუ, ბასაია, გაბი, ფუთულა, შავაზი, კურუია, ხიხი, ბეჟუკია, თარალე, ზებე, თარაფონი, ქიშვარდი, ადილარი, გულაღია, გუჯმახანი, აფიონი, თარაზხანი, ტაგუ, დუტუ, პახვალა, ბოშინა, შიშონა, ხოზიკია, შაქარია, მახუია, უჩარდია, ტოტიე, ხარა, შამუ, ვარადებული, მეთოია, ყალმათი, ტაია, ლომკაცი, ჯურუმია, ლომკა, მაცი, ბოჩია, ჯაგა, ჯოტი, ბადური, ხოჯგენი, ბურდა, ბურდუკი, გერა, კვიტი, გაჯია, ზუბაია, კიტუ, შუკო, კოჩობა, ბეგოია, ჩათა, გენათი, ალონია, ვაღურია, ჯურხა, ზაკაია, გვეძე, ახირუ, კვილიკე, ძუკუ, თათა, ჯამლეთი, გურიშია, ჯონდი, ძიკინია, კემია, მუთუნია, შარვანი, კიწი, ჯარმა, ერუე, ჭიკო, კიკაჩანა, ძოკია, ისლამური, შაუ, ყარა, მამუკია, კიმოთე, ქვაჩა, სპილი, ფახურია, კოჭოია, გერიე, ბათურა, ბადურა, ირემია, კუჭულია, შავაზია, სისო, ბასა, თურქა, სესია, მედუ, დუნდული, ტოჩიე, ადამური, თამკოჩი, გუგულიკა, ბოშმორთი, თასკოჩი, უტუელა, გიორგიტა, ზიყვა, ნოჩო, ბიბულა, ტუშა, მოგელია, შუკოჩია, თანაფია, ძორგოია, გეყვა, ბაზალა, ჭინჭა, საყვა, პეპუ, ვათათია, ქუნჩაია, გოტიო, გუტუ, შახი, ბაბაკოჩი, შამყვა, ნამვორდა, ჭიგვა, ხონელია, ანდიო, ჩიტი, მოსოსია, რუხა, ერი, ცოცორე, მაშურია, ვარდენ, გუჯა, მაკო, ჯაყელი, თათარყანი, გურიკა, ხოჯია, გურკოჩია, ბანძღი, ქირსეია, შიკვა, კაკუ, სოსრანი, ტიტია, მიქე, ზორყანი, ჯუკილია, უკოჩობა, გიძო, თამუ, მეირდია, ტოტო, კაბე, კოჭი, ყამზა, შაუ, ვიცი, მაქი, ჯიგი, დივა, კაჟნა, ბოღოზა, ხიმში, ნაუ, ახრუ, გუდუმი, შემუ, სოულახ, ნარიქ, დუმუ, მეუღუდუ, ჯამაია,

ბაქია, აჩგერია, ხაზალია, ჯამაია, ყალმათი, კაპა, გოჯო, ცექუ, ჯახუ, გეყვაია, ბიბუ, ჯღაკურა, სოსა, გუშარია, გიშინ, დურჩე, კაჭალა, ამლე, კუტურია, უმარია, ნიჩვი, ვაგა, ჭიტო, ძვაძვალა, ქეთია და სხვა.

ქალის სახელები: დარჯან, როდა, მაკა, ელისა, მარიკა, მაია, თათია, ხანტუ, ტატა, გუქიტი, სადა, დოდო, სოსუ, ანუსი, ასანდა, ცირა, ჭუჭა, ფეჩე, გულქანი, მადა, რუსუ, ციცია, ხანიძე, ჩვავი, ასტანდარ, სკვამცირა, ჩუია, ჩუკა, ხიამზე, ქვეთე, ხვახვა, ვარდია, თუთუ, ხაჯიხან, ჩუბუ, ჩეცირა, ჩელა, მისო, მაცირია, ეკაია, ბახლხანი, ძინუხან, პიპა, შავაია, სუნთა, მუხია, სუსანა, ეშახან, ცოცო, ჯოლიკი, კაზირხანი, კეკელა, შუკო, ვასასი, სასია, თუთა, სუნთა, ხანძე, გაკა, ზეხა, ხელქანი, მანტილო, ფაჩუია, ჩვათა, სადუ, ფეფია, ციცუნია, სადიკო, გუქა, დუდუხანი, ქოჩო, ჩუხუ, ჭონტია, ხიმური, გუქიტი, ქარჩია, კალამხანი, ასანდა, მენიკი, ეინე, ედუ, ზენათე, აბი, ელპიტი, ფუტა, ესა, სუნდუხია, ფაჩუ, მატი, მეტია, ეშხან, მიდიხანი, ძაძუ, ფაქიზო, მინავა, გუხა, თიშონა, თათუ, ანდა, კამა, თათუშა, ხილემხანი, ოქრო, ასათინი, შუქური, თუთაცირა, კარამხანი, ზედეხანი, სალემხანი, გუქა, ხელქანი, ჯარამხანი, ვოცირა, ხვახვაია და სხვა.

ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, სამეგრელოში ძველად გავრცელებული და წესად იყო მიღებული ბავშვის გაძიძავება. ეს წესი ხელს უწყობდა ღარიბსა და შეუძლო გლეხს დაახლოებოდა შეძლებულ ოჯახს, რომელსაც შეეძლო მისთვის გაეწია დახმარება და მფარველობა.

ამ მიზნით, გლეხის ოჯახი სთხოვდა თავადს, აზნაურს, შეძლებულ ვაჭარსა თუ მოხელეს შვილს გასაზრდელად. თუ ძიძა ქალს კარგი ძუძუ ჰქონდა, შეთანხმებაც ადვილი საქმე იყო და ეს ძიძა „*ძიძე*“ თავის „*მორდილს*“ ზრდიდა შვილივით და ხშირად უსასყიდლოდ. ზოგჯერ ძიძა გადადიოდა ბავშვის მშობლების ოჯახში და იქ უვლიდა თავის „მორდილს“. მაგრამ უფრო მიღებული იყო ბავშვის ძიძის სახლში წაყვანა, სადაც იგი იზრდებოდა გლეხის ოჯახის გარემოში. ძიძასთან „მორდილი“ რჩებოდა 5-10 წლამდის და მათ შორის არსებობდა დედა-შვილური სიყვარული. ძიძის ქმარიც ბავშვს მამასავით უვლიდა და მას უწოდებდნენ „*მორდუ*“-ს. ამიტომ „მორდილი“ ძიძისა და მორდუს ძნელად თუ მოშორდებოდა. ძიძასა და მორდუს ბავშვის მშობლები ასაჩუქრებდნენ ერთი ხელი ტანისამოსით, აძლევდნენ ძროხას, ჭაკ ცხენს საშენად და ფულსაც. ბავშ-

ვის აღმზრდელებს მებატონისაგან თავის დახსნაც კი შეეძლოთ, თუ იკისრებდნენ შვილის აღზრდას. მორდილს თავისი გამზრდელები დედ-მამაზე უფრო უყვარდა, მათთვის ზრუნავდა და როდესაც ისინი დაიხოცებოდნენ, თავისი ხარჯით დამარხავდა. ძიძის შვილებიც მას და-ძმად მიაჩნდა და არ შეეძლო მათი გვარისა და ნათესავის შერთვა. როდესაც ძიძის ქალი გათხოვდებოდა, მორდილი მას მაყრად წაჰყვებოდა და იგი სიძეს ცხენს აჩუქებდა და სხვა.

ამასთან დაკავშირებით, იცოდნენ აგრეთვე ძუძუზე კბილის დადგმა — *„ძუძუ დო კობირიში გედგუმა“*. იმ შემთხვევაში, როდესაც უნდოდათ ვინმესთან დედა-შვილურად დანათესავება, მაგრამ სასურველი პირის „მორდილად“ აყვანა არ შეიძლებოდა, რადგანაც იგი ბავშვურ ასაკს გადაცილებული იყო, მაშინ ვაჟი მივიდოდა დედა-ქალთან, საჩუქრად მიიყვანდა ცხენს ან ხარს და მის წინაშე დაიჩოქებდა. დედა-ქალი მარჯვენა ძუძუს ამოიღებდა, ზედ ხელსახოცს გადააფარებდა, ვაჟი ამ ძუძუზე კბილს სამჯერ დაადებდა და იტყოდა: „შენ დედა, მე შვილიო“. შემდეგ დედა-ქალი ადგე-

ქალი ინკრუსტირებული ჩონგურით.

ბოდა, დაჩოქილ ვაჟს სამჯერ შემოუვლიდა და იტყოდა: „მა მოკოქი სი მორდილო, მა დიდა დო სი სქუავა“ (მე მსურს შენ იყო ჩემი გაზრდილი, მე დედა და შენ შვილიო). ამ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, აიყვანდა დაჩოქილ ვაჟს და დედა-შვილური გრძნობით

აკოცებდა მას.

გართობა-თამაშობანი. როდესაც ბავშვები წამოიზრდებოდნენ, ისინი ერთობოდნენ სხვადასხვა სათამაშოებით:

„*სადუა*“-ს თამაშობდნენ ოთხი კაკლით. ერთ კაკლს დააყენებდნენ, მეორეს ესროდნენ მას და თუ გაიტანდა, მომგები ამ კაკალს წაიღებდა.

„*ჭარკენტი*“ ან „*ჭარკინუა*“. გააკეთებდნენ ხის ბურთს, მოთამაშენი ამ ბურთს გაისროდნენ მოკაუჭებული ჯოხით (ჩოგნით) სცემდნენ და თითოეული მხარე ცდილობდა ლელო გაეტანა.

„*ციხირძინობია*“. აკეთებდნენ ჩაღრმავებულ წრეს. მოთამაშეთა ნახევარი ამ წრეში ჩადგება, მეორე ნახევარი კი დადგება მოშორებით და თითოეული მათგანი იქიდან გამოიქცევა და ცდილობს ჩახტეს წრეში, მაგრამ შიგ მდგომნი, მათ მედგრად იგერიებენ. თუ წრეში ჩახტა, მაშინ იგი იკავებს ერთ რომელიმე ადგილს. ზოგჯერ ორივე მხარე ერთმანეთს ერთბაშად შეუტევს და გაიმართება ერთი წიოკობა და ბრძოლა.

„*შინკობაია*“. მოთამაშეები მიწაზე დაწვებიან, ვითომც ნესვებია. ერთი მებაღეა და მას ჰყავს ძაღლი. მეორე კი ქურდია და ცდილობს გაიტყუოს მებაღე და ნესვი მოპაროს. მებაღე გამოეკიდება და თუ დაიჭირა, ქურდი დამარცხებულია.

„*აჩიბაჩი*“. დაჯდება ერთი „დედაბერი“ და მის მუხლზე მოთამაშეები სალოკ თითებს დააწყობენ. დედაბერი თითებზე სათითაოდ ხელს არტყამს და იტყვის: „აჩი-ბაჩი ბაჩანაკი, ძუაძელი სატყვაცელი, იწელი ბუწელი ტყობი, კვაჭი გიოდინი, გიოლური, ვაძირადა აშო მორთი, ქოძირათი ვიშო მეუ“. ტყობი დაიმალება, კვაჭი მას ეძებს და თუ ტყობი გამოიქცა და დედაბერს გვერდში ამოუდგა, მაშინ კვაჭი მას ხელს ვერ ახლებს და იგი გამარჯვებულია.

„*ჭადრაკია*“. თამაშობენ 24 ჩხირით და ამ ჩხირებს ხელის გულზე დაიწყობენ და ისვრიან მაღლა. ერთი მათგანი ნიშანდადებულია და ის უნდა დაიჭირონ. ვისაც მოუცდება, იგი ჩხირებს მეორეს უთმობს. თამაშობენ აგრეთვე „*თუთა-ბეა*“-ს, „*ვინოსხაპუა*“-ს (ზურგზე გადახტომა), „*კენჭობაია*“-ს, ხუთი კენჭით თამაშობდნენ. „*ცირკანტია*“ ან „*ციდაფა*“-ს თამაშობდნენ დანით. გაზომავდნენ ერთ ციდა მიწას და დანის სროლით ასრულებდნენ სხვადასხვა რთულ მანიპულაციებს. იცოდნენ ბურთის თამაში, ფეხით და ხელით გასროლა — „*მოლაკვატაფა*“; „*შქურდუმი*“ (შურდულით ქვის სროლა); „*თახვანტია*“-ს გასროლა. — გამოღრუტნულ

ხისაგან აკეთებდნენ, მას სტენიდნენ ხის ნაჭრებით და ისროდნენ; „*ქაშქილი დო ქასაგანი*“ (მშვილდ-ისრის სროლა); „*ქულაია*“ (ასკინკილა); — ცალფეხით გაქცევა; „*მაჭყუდია*“ — დედოფალას თამაში; „*წიწიკვაკვა*“; „*როსტოკაკა*“ — კაკლის ან თხილის გადამალვა; „*კიდობანაია*“; „*გულობაია*“ და სხვა.

ცეკვებში მიღებული იყო აფხაზური ლეკური, რომელშიაც მთავარი იყო ფეხების წვერის ოსტატური ათამაშება, შემოვლის სიმარდე და მოთამაშე ქალისათვის გზების გადაღობვა და სხვა. ცეკვის დროს უკრავდნენ ჩონგურს, ლარჭემს და აგრეთვე გოგრისაგან გაკეთებულ ჭიანურს, რომელზედაც ცხენის ძუა იყო გაბმული. გავრცელებული იყო აგრეთვე დაირაზე და „გარმონზე“ დაკვრაც. ჯგუფურ საცეკვაოებში იცოდნენ „*ძავრალე*“. დადგებოდა ორი ხელი-ხელ ჩაკიდებული ჯგუფი, თამაშობდნენ ფერხულივით და თან მღეროდნენ ძავრალე, ძავრალეო და სხვა.

დაირაზე დაკვრა.

„*ხუჯიში ოსხაპური*“. ეს იყო ფერხული. აკეთებდნენ წრეს და ისე უვლიდნენ. მოთამაშეებს ხელები ჰქონდათ ჩაკიდებული და ფეხის ნელი ნაბიჯებით მოძრაობდნენ.

„*ობობა*“. მოცეკვავენი ორ ჯგუფად იყოფიან. თითოეული ჯგუფი ხელჩაკიდულია და ერთი მათგანი შაირობს ლექსით, სხვები კი მღერიან. ორი მხარე ერთმანეთს ლექსავს, ფეხების ათამაშებით მოპირდაპირენი უახლოვდებიან ერთი მეორეს და ისევ დაშორდებიან. საქმე გაშაირებაში ჯობნაზეა, რაც ხშირად ჩხუბითა და აყალ-მაყალით თავდება.

მიცვალებულის გასვენება, ტირილი და გლოვა

ადამიანის გარდაცვალების მწუხარებას სამეგრელოში გამოხატავენ კივილით, თმების გლეჯითა და პირისახის დაკაწვრით, რაც დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს მეგრული ტირილისათვის. მომაკვდავ ადამიანს ხელში მისცემენ ანთებულ სანთელს, კარფანჯრებს გააღებენ, რომ მიცვალებულის სული დაუბრკოლებლივ გავიდეს სახლიდან და საიქიოში გაემგზავროსო. ადამიანის სული მათ წარმოდგენილი აქვთ ჩიტის სახით და იგი თავისუფლად გადაფრინდება საიქიოშიო. ჭირისუფალი სახლიდან კარში გადის, აქ დასხდებიან და დაიწყებენ მოთქმით ტირილს, მაგრამ სანამ მომაკვდავი სულს არ განუტევებს კივილს ვერ ბედავენ, იტყვიან — „ვაშინერსია". სულთ-მებრძოლთან რჩება ორი ადამიანი, რომელიც მიცვალებულს თვალებს დაუხუჭავს და პირისახეს გაუსწორებს. გარდაიცვლება თუ არა ადამიანი, მაშინვე ჭირისუფალი ასტეხს საშინელ კივილს, კაცები კი ხმამაღლა მოსთქვამენ[1]. მიცვალებულის ლოგინს მაშინვე მოარღვევენ და მას სხვაგან გადაასვენებენ. კივილით სოფელი იგებს ადამიანის გარდაცვალებას და ყველანი გამორბიან მიცვალებულის ოჯახში, სტირიან მოთქმით და ხელებს თავ-პირში იცემენ. ნიშნად დიდი მწუხარებისა დედა და დები ლოყებს იკაწრავენ და თმებს იგლეჯენ. იმავე დღეს ნათესავ-მოკეთეებში აგზავნიან *„მაგინაფალს"*, რომელიც აცნობებს მათ გარდაცვალების ამბავს. წინათ „მაგინაფალს" ზურგზე ტომარა ეკიდა თურმე, ხელში ეჭირა ჯამი, მივიდოდა ოჯახში და აცნობებდა მიცვალებულის ტირილის დღეს და თან ლობიოს წამოიღებდაო. ამბის მიმტანი — *„შემაცხადაფალი"* მარტო არ მივიდოდა ოჯახში, იგი ვინმეს მიიყვანდა და ამბავს შორიდან მოჰყვებოდა, ბოლოს მიახვედრებდა მათ, თუ რა უბედურება ეწია ოჯახს. ამის გაგონებაზე, აქაც ატყდებოდა წივილ-კივილი, ტიროდნენ მიცვალებულს. მეზობლები თავს მოიყრიდნენ და ანუგეშებდნენ მწუხარეებს. მესამე ან მეოთხე დღეს შეუდგებოდნენ მიცვალებულის

---

[1]ეს მეგრული კივილი თავისი პრიმიტივობით წარმოადგენს შორეული წარსულის ატავისტურ მოვლენას. იგი ახასიათებდა საზოგადოებრივი განვითარების იმ დაბალ საფეხურს, როდესაც ადამიანს კივილის გარდა სხვა სასიგნალო საშუალება არ მოეპოვებოდა. მით უმეტეს, სამეგრელოში, სადაც მოსახლეობა შორ მანძილზე იყო გაფანტული და მხოლოდ კივილით შეიძლებოდა უბედური .შემთხვევის გადაცემა.

გასვენების თადარიგს. მსუდრავები მიცვალებულს დაბანდნენ, ჩააცვამდნენ მას ახალ ტანისამოსს და კუბოში ჩაასვენებდნენ. შიგ ჩაატანდნენ ყველაფერს, რაც მას სიცოცხლეში უყვარდა; ქამარხანჯალს, ფულს, თამბაქოს, ხილს სასმელს ბოთლით ჩაუდგამდნენ, და სხვა. კუბოს თავთან დასდგამდნენ პატარა მაგიდას, რომელზედაც ენთო სანთელი, ეწყო პური, მარილი და ღვინო. სანამ მიცვალებული ოჯახში ესვენა, საჭმელს არ ამზადებდნენ და საზოგადოდ, არც მუშაობდნენ. მეზობლები უგზავნიდნენ სადილვახშამს არამც თუ ჭირისუფალს, არამედ ყველას, ვინც იქ ეხმარებოდა: ზოგი სამგლოვიარო ტანისამოსს კერავდა, ზოგი ეზიდებოდა ქელეხისათვის საჭირო სანოვაგეს: პურს, ლობიოს, თევზს, სასმელს და სხვა რაც საჭირო იყო ტირილის დღისათვის. თუ დიდი ტირილი ეწყობოდა და ბევრი მოკეთე ნათესაობა იყო მიწვეული, მაშინ ეზოში აგებდნენ „სეფას“ და ამ გრძელსა და განიერ კარავში გამართავდნენ ფიცრის გრძელ მაგიდებსა და სკამებს. ტირილის დღეს მიცვალებულის ეზოს ერთ მხარეში ცეცხლს დაანთებდნენ, შედგამდნენ ქვაბებს, რომლებშიაც იხარშებოდა: ლობიო, ბრინჯი, ღომი და სხვა სამარხვო საჭმელები. დამხმარე პირთა შორის სამუშაო და მოვალეობანი განაწილებული იყო: ერთი ჯგუფი მზარეულობდა, მეორე ჯგუფი ასრულებდა მერიქიფეს მოვალეობას, და მას ებარა სასმელი და ჭურჭელი. მესამეს დავალებული ჰქონდა მოტირალი სტუმრების დახვედრა და მათი პატივისცემა. მეოთხეს სტუმრების ბარგის, ცხენებისა და ხარურმების მეთვალყურეობა და სხვა.

ტირილის დღეს მოიწვევდნენ მოზარეებს, რომელიც შედგებოდა ოთხი—ხუთი კაცისაგან. ერთი იყო დამწყები, მეორე — წვრილი, დანარჩენები კი — მებანეები. ტირილის დღეს დილიდანვე დაიწყებოდა ხალხისა და მოტირალთა დენა. ნიშნად მწუხარებისა, ჭირისუფალი თმას გაიშლიდა და ისე დასტიროდა მიცვალებულს. თმის გაშლის დროს, ვისაც ძმა ცოცხალი ჰყავდა, იგი გაშლილ თმაში გაუშვებდა იმდენ წვრილ ნაწნავს, რამდენიც ძმა ჰყავდა. ეს თმაგაშლილი ქალები მოუსხდებოდნენ მიცვალებულის კუბოს ორ მწკრივად. პირველ რიგში ისხდნენ: კუბოს თავთან დედა და გამზრდელები, დები, ფეხებთან ჯდებოდა ცოლი. მეორე რიგში კი ახლობელი ნათესავები ისხდნენ. ეზოში დააყენებდნენ შავად შემოსილ მიცვალებულის ცხენს, თუ მამაკაცის იყო, დაადგამდნენ მამაკაცის უნაგირს, ქალისას — ქალის უნაგირს. ჩვეულებრივ,

ძიძის შვილებს ეჭირათ ორი ცხენი, ერთი კაცის უნაგირით იყო შეკაზმული, მეორე კი ქალისა. ცხენებზე შავი მიტკალი იყო გადაფარებული. იქვე იდგა მაგიდა, რომელზედაც ელაგა მიცვალებულის ვერცხლის სამკაულები. შუადღისას გაიმართებოდა ქელეხი სამარხვო საჭმელებით. თუ კარგი დარი იყო, ხალხს ეზოში დასვამდნენ, სადაც გამართული იყო ფიცრის მაგიდა-სკამები და ყველას ჩამოურიგებდნენ სათითაოდ ნახევარ პურს, ლავაშს, შემდეგ ლობიოს, ფლავს და სხვა სამარხვო საჭმელებს. მეღვინეები ხელში საღვინე დოქითა და ჭიქებით ყველას ჩამოუვლიდნენ და შეასმევდნენ მიცვალებულის შესანდობარს, ქელეხის გათავებამდის, ტირილი არ დაიწყებოდა. თუ მანამდის მოტირალი მოვიდოდა, იგი ცოტა მოშორებით დაიცდიდა, სანამ ქელეხი არ მორჩებოდა. ქელეხში მიღებული იყო შესაწევარი „ვინოფურუა“ (გადაბურვა) ფულით. წინათ შეეწეოდნენ უფრო სურსათით და უგზავნიდნენ ლობიოსა და ფქვილს. ქელეხის ნასუფრალს პარკში შეახვევდნენ და შინ მიჰქონდათ.

ქელეხი გათავდებოდა თუ არა, დაიწყებოდა მიცვალებულის დატირება. სახლიდან, სადაც მიცვალებული ესვენა, ყველას გამოიყვანდნენ ეზოში და პირველად ზარით დაატირებდნენ ჭირისუფალს, დედ-მამას, დას, ძმას და სხვა. ესენი ორ-სამ კაცს შეჰყავდათ გაკავებული, რადგანაც ნიშნად დიდი მწუხარებისა, ისინი

მოხუცები (ტიპები).

იგლეჯდნენ თმებს, იკაწრავდნენ სახეს და თავს მიწაზე ახეთქებ-დნენ. მათ შემდეგ, რიგით ატირებდნენ დანარჩენ ჭირისუფალს. მოზარეები მონოტონური ვა, ვა, ჰო, ჰო შებანებით ჭირისუფალს ატირებდნენ მიცვალებულის კუბოსთან და შემდეგ ისევ გარეთ გამოდიოდნენ და ახლა სხვას ატირებდნენ და ეს გრძელდებოდა ბოლომდის. მერმე დაიწყებოდა შორიდან მოსული ნათესავებისა და სტუმრების დატირება. ისინი მოდიოდნენ ცხენებითა და ურ-მებით და კარგ მოკეთეს თავისი მოზარეც მოჰყავდა. როცა მიუახ-ლოვდებოდნენ მიცვალებულის ოჯახს, დაიწყებდნენ მოთქმით ტი-რილს, შემდეგ კივილს და ამით წინასწარ იგებდნენ მოტირალის მოახლოებას. ყველანი ემზადებოდნენ მათ დასახვედრად.

სატირლად მოსულებს მიეგებებოდნენ ჭიშკართან, სტუმრებს ჩამოართმევდნენ ცხენებსა და ბარგს და დააყენებდნენ შუა ეზოში. მივიდოდნენ მოზარეები და დაიწყებოდა სტუმრების სათითაოდ სატირლად წაყვანა. თმაგაშლილსა და ლოყებდაკაწრულ ქალებს იღლიაში მამაკაცები ხელს გაუყრიდნენ და ისე მიჰყავდათ სატირ-ლად. რაც მეტად გაუძალიანდებოდა მოტირალი ქალი მამაკაცებს, მით დაამტკიცებდა თავის დიდ მწუხარებას. იყო შემთხვევა, რომ მოტირალ ქალს ხუთი-ექვსი კაცი ძლივს ამაგრებდა, იგი თავ-პირს იგლეჯდა, სახეზე სისხლი სდიოდა და ხელში ბლუჯად ეჭირა დაგლეჯილი თმები. ასეთი სცენა ხალხს ატირებდა. მიცვალე-ბულის ამგვარი დატირება თავმოსაწონად ითვლებოდა. ძიძა და მისი შვილები სატირალში ფეხშიშველი მოდიოდნენ, ტანისამოსს პირუკუღმა იცვამდნენ და მწუხარების ნიშნად, პირისახეს იკაწრავდნენ. ძველად მათრახების ტყლაშუნით იცოდნენ ტირილი თურმე. მათრახები ეკიდა სახლის აივანზე და, როდესაც მოტირალი შემოვიდოდა, ის წელზემო ტანისამოსს გაიხდიდა, შემდეგ მათრახს ჩამოიღებდა და თავ-კისერ-ზურგზე მას იტყლაშუნებდა და ისე ტიროდა. ვინც დიდი მწუხარე იყო, იგი მათრახით ტანს დაისისხლიანებდაო.

მეზარეები სტუმრებს რომ დაატირებდნენ, შემდეგ მათ ქელეხ-ზე მიიწვევდნენ. სუფრა გაშლილი იყო სეფაში და სტუმრებს გაუმასპინძლდებოდნენ სამარხვო საჭმელებით. საღამო ჟამს, მიცვა-ლებულს სახლიდან გამოასვენებდნენ, მის კუბოს (ფეხებით) სამჯერ კარებს მიაჯახუნებდნენ, რომ ეს იყოს უკანასკნელი მწუხარება ამ ოჯახში და მწუხარება სიხარულით შეეცვალოსო. თან სახ-ლსაც გამოგვიდნენ.

კუბოს ეზოში დაასვენებდნენ, მოტირალი მას წრეს შემოარტყამდა

და აქ უკანასკნელად მოთქმით ერთხელ კიდევ დაიტირებდნენ. ერთი ჭირისუფალთაგანი დედა ან და, მოთქმით დაიტირებდა მიცვალებულს, სხვები შეუბანებდნენ მას და ქვითინებდნენ. ხშირად იცოდნენ გამოპასუხებაც. ვინც ახალი მიცვალებულის პატრონი იყო, იგი დაატირებდა თავის მიცვალებულსაც და სთხოვდა საიქიოში წაელო ამბავი და გადაეცა იმისათვის მათი უსაზღვრო ტანჯვა და მწუხარება. შემდეგ მიცვალებულს ცხენს შემოუტარებდნენ, ჭირისუფალიც ტირილითა და მოთქმით შემოუვლიდა მიცვალებულის კუბოს. ვისაც სასაფლაოზე წასვლა არ შეეძლო, იგი იქვე გამოეთხოვებოდა მიცვალებულს და ამის შემდეგ კუბოს წაასვენებდნენ სასაფლაოზე. მიცვალებულის გადასვენებისას, იცოდნენ ეზოში ხის მოთხრა, განსაკუთრებით, როდესაც გარდაიცვლებოდა ოჯახის უფროსი ადამიანი. თუ იგი მამაკაცი იყო, მაშინ ამოთხრიდნენ ვაზიან ხეს, უფროს ქალზე კი — თუთის ხეს მოგლეჯდნენ. ამისათვის ეზოში ხეს აარჩევდნენ, ყველანი მიცვივდებოდნენ, ხეს მოთხრიდნენ ფესვებიანად და მას მიცვალებულის კუბოს სამჯერ შემოუტარებდნენ, შემდეგ წაიღებდნენ და საფლავზე დარგავდნენ. რაც უნდა ცუდი ამინდი ყოფილიყო, ჭირისუფალი მიჰყვებოდა მიცვალებულს სასაფლაომდე.

მესაფლავეები გაჭრიდნენ საფლავს სოფლის სასაფლაოზე, სადაც თითოეულ საგვარეულოს თავისი კუთხე ჰქონდა გამოყოფილი. მესაფლავე არ შეიძლება ყოფილიყო მიცვალებულის ნათესავი, ირჩევდნენ უფრო შორეულ მოკეთეს ან მეზობელს. სამარის გაჭრის დროს მესაფლავეები თუ წააწყდებოდნენ ძველი მიცვალებულის ჩონჩხს, ამას ამოიღებდნენ, გარეცხავდნენ და ახალგაჭრილ საფლავის ერთ კუნჭულში მიაწყობდნენ. წინათ არც კუბო სცოდნიათ, მიცვალებულს სუდარაში შეახვევდნენ თურმე, დაასვენებდნენ საკაცეზე, ისე მიიტანდნენ სასაფლაოზე და ჩამარხავდნენ.

მიცვალებულის კუბოს სამარესთან დაასვენებდნენ და აქ უკანასკნელად ეთხოვებოდნენ მას ჭირისუფალ-მოკეთეები. შემდეგ კუბოს სამარეში ჩაუშვებდნენ და ყველანი მას თითო მუჭა მიწას მიაყრიდნენ და შენდობას ეტყოდნენ.

ძმის საფლავზე მგლოვიარე და ერთ ნაწნავს მოიჭრიდა, მას ჯოხზე წამოაცვამდა და ამ ჯოხს ძმის საფლავზე დაარჭობდა. ზოგჯერ ამ მოჭრილ ნაწნავს და კუბოში ჩაატანდა და ამას უწოდებდნენ *„ჯიმაშენ თომაშ კვათუა“*-ს კაცები ნიშნად გლოვისა და მწუხარებისა, თმა-წვერს მოიპარსავდნენ, ქალები კი კისერთან

თმას ორ ადგილას გამოსჭრიდნენ და ამის შემდეგ კაცები თმასაც და წვერ-ულვაშსაც იზრდიდნენ და არ მოიკრეჭავდნენ.

სასაფლაოდან დაბრუნებულ ჭირისუფალს ეზოშივე ხელ-პირს დააბანინებდნენ, რომ კურცხალი — ცრემლი შინ არ შემოჰყვესო. მგლოვიარე დედა და ცოლი ზოგჯერ წლამდის შავ ძაძებში და ფეხშიშველი დადიოდნენ, ლოგინშიაც არ წვებოდნენ, მარხულობდნენ და შიმშილობდნენ.

დასაფლავების მეორე დღეს, გამართავდნენ მიცვალებულის ნიშანს. სახლის ერთ კუთხეში გააწყობდნენ ტახტზე მიცვალებულის ტანისამოსს და ამ ნიშანთან დაიტირებდნენ მას, როდესაც ვინმე სამძიმრისათვის მოვიდოდა. წლამდის ყოველ შაბათს, მზის გადახრისას, მიცვალებულის ნიშანს კარში გაიტანდნენ და დაიტირებდნენ.

მესამე დღეს იცოდნენ *„კილეშ გონწყუმა“*, რომ სახსნილო ეჭამა ჭირისუფალს და ამის შემდეგ, მიცვალებულის მოკეთეებსა და მეზობლებს შეეძლოთ ხორცის ჭამა. ამ დღეს დაკლავდნენ გოჭს ან ქათმებს, დაიწვევდნენ მეზობელ-მოკეთეებს და ჭირისუფალს ხორცზე კბილს დაადგმევინებდნენ. ამის შემდეგ ყველანი პირს გაიხსნილებდნენ. თუ მარხვის დღე იყო, მაშინ თევზითაც შეიძლებოდა. მიცვალებულის ცხენს წლის თავამდის არ ამუშავებდნენ და არც გაყიდდნენ, მას საგანგებოდ უვლიდნენ. ცხენი რომ არ დასუსტებულიყო და არ მომკვდარიყო, მას ყოველი 25 დღის შემდეგ, შეულოცავდნენ *„ეკალენიში“*-ს. გამოაცხობდნენ *„ხოზოკარს“*, დაკლავდნენ მამალს და *„ეკალენიშის ორთას“*-ს ლოცულობდნენ. მიცვალებულის მიერ ნატარები ურმის ხარებს დაუკლავდნენ ციკანს და დაილოცებოდნენ, თორემ ხარები მოკვდებიანო.

მეორმოცე დღეს, შაბათს გადაიხდიდნენ მიცვალებულის ორმოცს. ამ დღეს დაიწვევდნენ ნათესავ-მოკეთეებს, წაიღებდნენ ნიშანს სასაფლაოზე და იქ დაიტირებდნენ. წლამდის მიცვალებულის ოჯახში ტაბლა იდგა და მის კერძს აჭმევდნენ ბავშვებს ან მგზავრებს. მიცვალებულის პატრონიც წლის თავამდის შაბათობით არ მუშაობდა.

ამის შემდეგ დაიწყებოდა სამზადისი მიცვალებულის წლისთავის მოსაწყობად, რომელსაც *„მოწანუა“*-ს უწოდებდნენ და ამ დღეს აწყობდნენ *„შაყრა“*-ს. წლის თავზე დაიწვევდნენ ნათესავ-მოკეთეებს, დახოცავდნენ საკლავს და იმართებოდა დიდი ქელეხი. მიცვალებულის ნიშნის ტანისამოსს ჩალით ან ბამბით გატენიდნენ *„ნიშანიში ფიბუა“* და ჩაცმულ-დახურულ ნიშანს, როგორც ცოცხალ ადამიანს, დასვამდნენ ტახტზე. გარშემო ჭირისუფალი შემოუსხდებოდა და მას მოთქმით დაიტირებდნენ. შავად შემოსილ მიცვალებუ-

ლის ცხენსაც სახლის ბოძზე მიაბამდნენ და დაიწყებოდა „შაყრაზე“ მომსვლელთა დახვედრა-მიღება. მიცვალებულის გამზრდელებს ძიძასა და მორდუს მოჰქონდათ *„კილანტარი“* (კელაპტარი), რომელსაც აკეთებდნენ გრძელი ალვის ხისაგან. შეიძლებოდა სხვა ხეც, გარდა მუხისა, მხოლოდ რაც შეიძლება გრძელი უნდა ყოფილიყო. ამ გრძელ ხეს შემოახვევდნენ შავი და თეთრი ფერის გასანთლულ

„კილანტარი“.



„ჟინჟლი“.

მიტკალს, ზედ მის წვერზე დააკრავდნენ ხისაგან გამოთლილ იხვის მაგვარი ფრინველის ქანდაკებას. გარშემო კილანტარს ანთებული სანთლები ჰქონდა გაკეთებული. ამ კილანტარს ეზოში დადგამდნენ და ერთ ადგილზე გაამაგრებდნენ. ამასთანავე, ძიძასა და გამზრდელებს მოჰყავდათ შავად შემოსილი ბუღები — *„სურდილი ბოკეფი“*. იყო შემთხვევა, რომ გამზრდელებს და მის საგვარეულოს მორდილის შეყრაზე მოჰყავდა ოცამდე ხარი, რომელსაც ზედ შავი ჰქონდა გადაფარებული, რქებზე ეკეთა ანთებული სანთლები და თავ-კისერზე კი ეკიდა რამდენიმე ასხმა წაბლი.

ამ ხარებს ეზოშივე გაუშვებდნენ. ხალხი ხარებს შემოაცლიდა წაბლს. შემდეგ ამ ხარებს დაჰკლავდნენ და შეყრა-დღეს ხალხს უმასპინძლდებოდნენ. თუ მიცვალებული ქალი იყო, მას შეყრა დღეს ძროხას დაუკლავდნენ. ნიშანის დატირების შემდეგ, მამაკაცის წლისთავზე გაიმართებოდა დოღი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ყველა, ვისაც სურდა მიცვალებულის პატივისცემა. დოღში მსაჯულად აირჩევდნენ ერთ საპატიო და მართალ პიროვნებას, რომელიც განსაზღვრავდა სადოღე ადგილის მანძილს, დაახლოებით 10-15 კილომეტრამდის. ცხენოსნები დანიშნულ ადგილას მივიდოდნენ და შემდეგ იქიდან გამოაჭენებდნენ ცხენებს. მაგალითად, თუ მიცვალებული იყო სოფ. ჯვარიდან და მისი „ჯინჯი ხატი" იყო ჯვარში, შემდეგში კი გადმოსახლებული სოფელ ხუმუშკურში, ცხენებს გამოაქცევდნენ ჯვრიდან ხუმუშკურამდის. გამარჯვებულებს ეძლეოდათ „სასყიდელი" საჩუქარი ფულით, საქონლით, აძლევდნენ ტანისამოსს და სხვა. ასაჩუქრებდნენ მეექვსე ცხენოსნამდე. ყველაზე მეტ საჩუქარს იღებდა პირველი ცხენოსანი, რომლის საჩუქარი ფულად აღემატებოდა ას მანეთს (ოქროთი). შემდეგ გამართავდნენ „*ყაბახს*". ამისათვის ეზოში აირჩევდნენ ყველაზე მაღალ ხეს და ამაზე მიამაგრებდნენ გრძელ ჯოხს, რომელსაც თავი ჰქონდა გახლეჩილი და ნიშნის ამოსაღებად შიგ ჩადებული იყო თეფში ან ფიცარი, ზოგან კი ჯოხზე მიცვალებულის ქისას ჩამოჰკიდებდნენ. ყაბახის სიმაღლე უდრიდა 10-15 მეტრს. ყაბახის მანძილი თოკით იყო შემოფარგლული და მეთოფეებიც ამ თოკის გარშემო გამწკრივდებოდნენ ისე, რომ გულ-მკერდი თოკზე უნდა ჰქონოდათ მიბჯენილი და დაიწყებდნენ თოფების ნიშანზე სროლას. ვინც ნიშანს მოახვედრებდა, მას ეძლეოდა საჩუქარი ფულით, საქონლით ან რაიმე ნივთით. შემდეგ მეთოფენი ესროდნენ „კილანტარის" ჩიტს და ვინც ჩიტს ჩამოაგდებდა, მას ასაჩუქრებდნენ 15-30 მანეთით. საღამო ჟამს, ერთი ვინმე, მიცვალებულის საყვარელი ადამიანი, შეჯდებოდა მიცვალებულის შავად შემოსილ ცხენზე და თარჩიას გააკეთებდა, სხვები მას გამოედევნებოდნენ და ცდილობდნენ ცხენისათვის შავები შემოეხიათ. ამ ცხენს თუ ოჯახში მომვლელი არ ჰყავდა, მიცვალებულის მეგობარს აჩუქებდნენ. წლისთავზე ჭირისუფალი სამგლოვიაროდ დაყენებულ თმას მოიპარსავდა. მაგრამ ვისაც სურდა მიცვალებულის სანაცვლოდ საყვარელი ადამიანის მოგება, მას თმას შეაკრეჭინებდა, რასაც უწოდებოდნენ „*თომაში მიკოთამ*"-ს. წლის თავზე ეს

არჩეული პირი მაკრატელს აიღებდა და შეაჭრიდა თმას მგლოვიარეს და იგი ამ დღიდან ითვლებოდა *„ჩაფილად“*, ე. ი. მოგებულად. მაგალითად, დიდა-ჩაფილი (დედის მაგიერ ან მონაცვლე), ჯიმა-ჩაფილი (ძმის მაგიერ), და-ჩაფილი (დის მაგიერ) და სხვა. ჩაფილი თმას შეაჭრიდა მგლოვიარეს ორ-სამ ადგილას და ამ თმას ჩვარში გამოახვევდა და შეინახავდა. როდესაც ჩაფილი თმას მოჭრიდა — „მიკო თამა“, მკვდარი იტყვის ჩემი მაგიერი იშოვნესო და ახლა კარგი გული მექნებაო, რადგანაც, ხალხის რწმენით, ჭირისუფალი, როცა შეწუხებულია, მიცვალებულიც შეწუხებულია. ახლად მოგებულ „ჩაფილს“ აძლევდნენ ნახევარს, რაც დარჩებოდა — მიცვალებულს, სამაგიეროდ, სკუაჩაფილი, თუ ჯიმა-ჩაფილი მას უვლიდა, როგორც ღვიძლი შვილი და ძმა. ერთმანეთში მათ დიდი სიყვარული ჰქონდათ, წყენინება ან რაიმე უწესობის ჩადენა დიდი სირცხვილი იყო. როდესაც და-ჩაფილი გათხოვდებოდა, მას ძმა-ჩაფილი, როგორც ძმა, ქორწილში წაჰყვებოდა და იქ ძმის მოვალეობას ასრულებდა. ვაჟის ქორწილში კი და-ჩაფილი ასრულებდა დის მოვალეობას. თუ მათ შორის რაიმე სამდურავი ჩამოვარდებოდა, მაშინ შენაკრეჭ თმას უკანვე უბრუნებდნენ და ამით ეს წესიც ირღვეოდა. როდესაც „ჩაფილიც“ მოკვდებოდა, მის სანაცვლოდ არავის არ მოიგებდნენ და სამგლოვიარო თმას ჩაფილზე თვითონვე მოიჭრიდნენ და გადააგდებდნენ.

წლისთავზე მიცვალებულს საფლავზე ქვას დაადებდნენ, რომელსაც ეწოდებოდა *„ოდუდალე ქუ“*. საფლავის ქვაზე აწერდნენ მიცვალებულის ვინაობას, გარდაცვალების დროსა და რიცხვს. საფლავის ქვა დაჭრელებული იყო სხვადასხვა ჩუქურთმიანი ორნამენტებით და სახეებით.

როდესაც ადამიანი სხვაგან შორს გარდაიცვლებოდა და მისი ჩამოსვენება შეუძლებელი იყო, მაშინ გააკეთებდნენ მის ნიშანს და მას დაიტირებდნენ ჩვეულებრივი წესით. ტირილის შემდეგ, ამ ნიშანს ეზოდან გადაასვენებდნენ, დაშლიდნენ და ნიშნის ტანისამოსს ნათესავები გაინაწილებდნენ. წყალში დამხრჩვალი ადამიანის სულის მოსაყვანად ასეთ წესს ასრულებდნენ: იქ, სადაც ადამიანი დაიხრჩობოდა, წაიღებდნენ ჩონგურს და დაუკრავდნენ. შემდეგ წყალში ციკანს ჩააგდებდნენ, დაახრჩობდნენ და იტყოდნენ: „სული ჩვენი ანგელოზო, დაგვიხსნია და ეშმაკს ეს ციკანი ყავდესო“. ხალხური რწმენით, დამხრჩვალს ეშმაკი დაეპატრონებაო და ამაზეა ნათქვამი: „ეშმაკმა თქვა — ხიდან ჩამოვარდნილი და წყალში დამხრჩვალი ჩემი იყოსო. ხოლო ვინც ხეზე ასვლისას პირჯვარს დაიწერს, იგი ღვთისა იყოს“-ო.

მიცვალებულის ხსოვნას წლისთავის შემდეგაც არ ივიწყებდნენ და ყოველ დიდ დღესასწაულებში — შობას, აღდგომას,

ამალლებას და სხვა დღეებშიც სასაფლაოზე აგზავნიდნენ საკურთხს, დაუნთებდნენ საფლავზე სანთლებს და შენდობას ეტყოდნენ. ამას გარდა, მიცვალებულთა სულების მოსაგონრად განკუთვნილი იყო ერთი დღე, რომელსაც „*სუნთაობა*"-ს, სულთა კურთხევის დღეს უწოდებდნენ. ეს მიცვალებულთა დღეს იყო, ოჯახებში ამზადებდნენ სადილს და სასაფლაოზე კი აკურთხებინებდნენ მიცვალებულის საკურთხს. ამ დღის სუფრაზე შესვამდნენ მიცვალებულის შესანდობარს და სულების პატივისცემის მიზნით, ცდილობ-



საფლავის ქვა.

დნენ ცუდი რამე არ ეთქვათ და არ გაეკეთებინათ, რომ ამით არ შეებღალათ მიცვალებულის ხსოვნა.

სამეგრელოში გლოვაც ხანგრძლივი იცოდნენ. ზოგიერთი 10-15 წელიწადს გლოვობდა საყვარელ ძმასა და ქმარს. ქვრივი ქალის გათხოვება არ იყო მოსაწონი, ამიტომ ქმრის მოსიყვარულე ქალი მეორეჯერ არ თხოვდებოდა. ახალგაზრდა ქვრივ ქალს ოჯახში თუ არ ჰყავდა პატრონი, მას შვილებიანად წაიყვანდა დედ-მამა ან ძმა თავის ოჯახში და შვილების გაზრდამდის შეინახავდნენ. შემდეგ კი ქვრივი ისევ ბრუნდებოდა ქმრის ოჯახში.

11. რელიგია

ხალხური რელიგიური რწმენა-წარმოდგენები გენეტიკურად დაკავშირებულია ამა თუ იმ სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან. ადამიანის რწმენა და მისი რელიგიური შემეცნება დროთა ვითარებაში განიცდიდა ცვლილებებს. ამის გამო, ყოველი სარწმუნოებრივი მოძღვრება თავისი დოგმატიკის შექმნით ცდილობდა ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან შეგუება-შეზრდას. მაგრამ რელიგიის განყენებული დოგმატიკა ხალხისათვის მუდამ გაუგებარი იყო, მხოლოდ მისი გამოსახულების რიტუალი კი უფრო თვალსაჩინო და მისაწვდომი ხდებოდა. ამიტომ, ერთხელ შეთვისებულ რიტუალურ წესებს ხალხი ძნელად ივიწყებდა, ახალს ივი ძველთან შეადარებდა და ორივეს ერთად ასრულებდა. ამით აიხსნება რიტუალური წესების ხანგრძლივობა, რომლის ერთგული დარაჯი იყო ხალხი და სასულიერო წოდება. მართალია, რიტუალური წესების პირვანდელი გაგება ხალხში მივიწყებულია და გაუგებარი, მაგრამ მახვილ თვალს და განსწავლულ გონებას შეუძლია მათი რაობის ჭეშმარიტი გაგება. საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან რელიგიური შემეცნების ცვალებადობაზე დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე მეზობელ ერებთან კულტურულ-იდეოლოგიურ ურთიერთობებსაც. ამ მხრივ მეგრელები, სხვა ქართველ ტომებთან ერთად, უძველესი დროიდან, განიცდიდნენ ასეთ გავლენას და არ ყოფილა ისეთი დიდი რელიგიური მოძრაობა, რომელსაც ჩვენში არ დაეტოვებინოს თავისი ბატონობის ძლიერი კვალი. ყველაფერი ეს აღბეჭდილია იმ მდიდარ მასალაში, რომელიც ხალხს შემოუნახავს. ჩვენ დღეს საშუალება გვეძლევა ამ მასალის შესწავლით გავაშუქოთ მეგრელების სარწმუნოებრივი შემეცნება და დავადგინოთ მისი განვითარების ძირითადი მომენტები.

მეგრული რიტუალური წესების აღწერისას, ჩვენ შევეცდებით დავიცვათ მათი შესრულების კალენდარული თანმიმდევრობა თვისა, რიცხვისა და დღეების აღნუსხვით. ქართული წარმართული წესების შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა კვირეულის დღეების მეგრულ სახელწოდებას, რომელიც დაკავშირებული იყო მნათობთა თაყვანისცემასთან. ამას პირველად ყურადღება მიაქცია *მ. ჯანაშვილმა* და მან მეგრულ-ჭანური კვირეულის სახელები შეადარა ბერძნულ-რომაულს და დაადგინა ამ დღეების

სახლწოდებათა წარმართული წარმოშობა[1]. შემდეგში პროფ. ივ. ჯავახიშვილმა ეს საკითხი უფრო ვრცლად გააშუქა[2]. კვირეულის დღეების მეგრულ სახელწოდებათა მიხედვით, მოცემულია მნათობ-ღვთაებათა შვიდეულის ასეთი შემადგენლობა და სახელები:

ქართული	მეგრული
კვირა (მზის დღე)	*ჯაშხა*
ორშაბათი (მთვარისა)	*თუთაშხა*
სამშაბათი (არია-მარსი)	*თახაშხა*
ოთხშაბათი (ჰერმეს-მერკური)	*ჯუმაშხა*
ხუთშაბათი (აფროდიტე-ვენერა)	*ცაშხა*
პარასკევი (ზევსი-იუპიტერი)	*ობიშხა*
შაბათი (კრონოსი)	*საბატონი*

აქედან ირკვევა, რომ წარმართობის დროს თითოეულ ღვთაებას შვიდეულის ერთი რომელიმე დღე ჰქონდა განკუთვნილი და ეს დღეც მის სახელს ატარებდა. მაგალითად, *თახა* უნდა ყოფილიყო, როგორც რომაული მარსი ბრძოლისა და ომიანობის ღმერთი, *ჯუმა* წარმოადგენდა ჰერმესის ან მერკურის მსგავს ღვთაებას, რომელიც ითვლებოდა მწყემსების მფარველად, ცა(შხა) აფროდიტე-ვენერას მსგავსად უნდა ყოფილიყო მშვენიერებისა და სილამაზის ღმერთქალი, *ობი* ან *ვობი* კი, როგორც რომაული იუპიტერი, ჭექა-ქუხილის ღმერთი და სხვა.

ერთი სიტყვით, ამ მეგრულ შვიდეულში დაცულია წარმართ ღვთაებების სახელები და მათ თაყვანისცემად კვირეულის ამა თუ იმ დღეებში იმართებოდა სადღესასწაულო რიტუალი, რომლის აღწერას ჩვენ ვიწყებთ ახალ-წლის მიგებების წესებით.

ახალი წლის დღესასწაული საზოგადოდ, მზის ღვთაების თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული. მზე, როგორც სინათლისა და სითბოს მომცემი, ყველა ძველ კულტურულ ერებში უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა, რომლის დღესასწაული დიდის ზეიმით იმართებო-

---

[1] *მ. ჯანაშვილი*, ვახუშტი და მისი შრომა, სარწმუნოება. გვ. პგ-ეგ. (იხ. მისი რედაქტორობით გამოცემული ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1904 წ.).
[2] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია. წ. I, თბ., 1928 წ., „მნათობღვთაებათა შვიდეულის შემადგენლობა და სახელები“, გვ. 115-136.

და და, რომელიც, იმავე დროს, წლისთავის დასაწყისიც იყო[1].

ძველ საქართველოში, როგორც საზოგადოდ ყველგან წარმართულ ქვეყნებში, ახალი წლის დღესასწაული დაკავშირებული იყო მზის ღვთაებასთან. ამიტომ მისი შესაფერი რიტუალიც იყო შემუშავებული. მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელებისას, წლისთავი წმ. ბასილი დიდის ხსოვნას დაუკავშირეს და ამიტომ საჭირო შეიქმნა ამ დღის წარმართული წესების გადმოქრისტიანება. მაგრამ ეკლესიამ ეს სავსებით ვერ შეძლო ჩვენში. ამ დღესასწაულს სახე მოჩვენებით გაუქრისტიანდა, მაგრამ რწმენა წარმართული შერჩა. ამის საყურადღებო მასალა მოცემულია მეგრულ ახალი წლის მიგებების დღეებში, რომელსაც მეგრელები „*კალანდა*"[2]-ს უწოდებენ.

კალანდას სამეგრელოში ძველად დიდი ზეიმით ეგებებოდნენ და ამ დღისათვის, პირველ ყოვლისა, ამზადებდნენ „*ჩიჩილაკს*" ან „*ქუჩუჩს*". ჩიჩილაკისათვის არჩევდნენ თხილის ან ძეძვის ხეს. ამ ხეს რამდენიმე დღით ადრე მოჭრიდნენ გრძელ ტოტს და შეინახავდნენ. კალანდის წინა დღით ოჯახის უფროსი მამაკაცი შეუდგებოდა ჩიჩილაკის გაკეთებას. საჩიჩილაკე ჯოხს ჯერ ცეცხლზე გარუჯავდნენ, შემდეგ მას გარეკანს, რომ დარბილებულიყო და სათლელად ადვილი ყოფილიყო, შემოაცლიდნენ და დაიწყებდნენ გათლას. ჩიჩილაკის ნათალი უნდა ყოფილიყო გრძელი

---

[1] წლისთავის დასაწყისად საქართველოში, როგორც საზოგადოდ ყველგან, სხვადასხვა დრო და რიცხვი იყო მიღებული. მაგალითად, წარმართულ დასავლეთში წლისთავი დაკავშირებული იყო ზამთრის მზის მობრუნებასთან, რომელიც 25 დეკემბრიდან იანვრის 6-მდე გრძელდებოდა. ხალხის რწმენით, ამ დროის განმავლობაში იბადებოდნენ მზის ღმერთები და ახალ წელიწადსაც მაშინ ეგებებოდნენ. ამ დღეს „ახალი მზის" დაბადების დღეს უწოდებდნენ. სარწმუნოებრივ ცვალებადობასთან დაკავშირებით, საქართველოშიც იცვლებოდა ახალი წლის შეხვედრის დრო და რიცხვი. წარმართობის პერიოდში ჩვენში ახალ წელიწადს ეგებებოდნენ 11 აგვისტოს. VII საუკუნიდან — 1 სექტემბერს, შემდეგში კი, დაახლოებით IX საუკუნიდან საქრისტიანო ქვეყნებში წლის თავის დასაწყისად პირველი იანვარი განწესდა. ეს წელთაღრიცხვა *იოანე ზოსიმეს* მიერ შედგენილი კალენდარის მიხედვით, საქართველოშიც X საუკუნიდან შემოღებული ყოფილა. ერთი სიტყვით, XI საუკუნიდან ჩვენში მიღებული იყო ორგვარი წელთაღრიცხვა, 1 სექტემბერი და 1 იანვარი. ერთი მათგანი განწესებული იყო საეკლესიო წელთაღრიცხვის და მეორე — სამოქალაქოსათვის. მხოლოდ XVII ს. რუსეთის ეკლესიის ზეგავლენით, სამოქალაქო და საეკლესიო წელთაღრიცხვის დასაწყისად ჩვენში პირველი იანვარი წესდება (*ს. მაკალათია*, ახალი წელიწადი საქართველოში, თბილისი, 1927 წ., გვ. 6-8).

[2] სიტყვა „*კალანდა*" რომაულია და ეწოდებოდა თვის პირველ რიცხვს. აქედან წარმოსდგა წლის აღმრიცხავი ტერმინი — კალენდარი.

და ხუჭუჭა, რომელსაც „*წილამური*“ ეწოდებოდა. ჩვეულებრივ, ჩიჩილაკს აკეთებდნენ 1-2 მეტრი სიგრძისას, მაგრამ ზოგან, უფრო შეძლებულ ოჯახებში აკეთებდნენ გრძელ ჩიჩილაკს, რომელიც სახლის ჭერამდის აღწევდა. ჩიჩილაკის სილამაზე იყო მისი თეთრი და გრძელ-ხუჭუჭა წილამურები, რომელსაც „*ბასილა*“-ს წვერი ეწოდებოდა. ჩიჩილაკს თავი ოთხად ჰქონდა გაჩეხილი და შიგ გაყრილი იყო ჯვარედინად წვეტიანი ოთხი ჯოხი, რომლის ოთხივე წვეტზე მიკრული იყო ანთებული სანთლები. ჩიჩილაკს ამკობდნენ ხილითა და ტკბილეულით: ვაშლებით, ბროწეულით, ჩამოჰკიდებდნენ ჩურჩხელებს, კანფეტებს და სხვა. ამასთანავე, ჩიჩილაკს ამკობდნენ აგრეთვე კაკლიან სუროთი, წითელნაყოფიან კურკანტელათი, კუკუროიან თხილისა და დაფნის ტოტებით. ჩიჩილაკს გარშემო შემოახვევდნენ აბრეშუმის ძაფს, ჩამოჰკიდებდნენ ოქროვერცხლის სამკაულებს, ფულებს და სხვა. ასე მორთულ ჩიჩილაკს ოჯახის უფროსი სახლის ერთ კუთხეში მიაყუდებდა.

დიასახლისი ამ დროს აცხობდა საახალწლო კვერებს. ჯერ გამოაცხობდა ერთ დიდ ქონიან მჭადს, რომელსაც „ბასილა“-ს უწოდებდნენ. აცხობდნენ აგრეთვე ღორის ქონიან პატარა კვერებს და ამ კვერებს ოჯახის უფროსი ჩაალაგებდა გიდელში, მიიტანდა საწნახელთან და იქ ჩამოკიდებდა. შემდეგ გამოაცხობდნენ პატარა მოგრძო კვერებს ღორებისათვის და თაბახზე დაალაგებდნენ. ბოლოს დიასახლისი გამოაცხობდა მოგრძო პურს „*ღვეზელს*“, რომელშიაც დებდნენ „*დაჯერჯილ*“ (გამხმარ) კვერცხის გულს.

ახალი წლის წინ ღორსაც დაკლავდნენ და მოხარშულ ღორის თავს დადებდნენ საახალწლო ხონჩაზე, რომელზედაც იყო მოხარშული კვერები, საახალწლო „ღვეზელი“, „ბასილა“ და სხვა. ხონჩაზე მიკრული იყო ანთებული სანთლები. ამ ხონჩასაც ჩიჩილაკთან მისდგამდნენ. როცა ყველაფერი ეს გამზადდებოდა, დიასახლისი შეუდგებოდა სახლის დაგვა-დასუფთავებას და შემდეგ დაიწყებდნენ კაკლის მტვრევას და ბედ-იღბალზე მარჩიელობას. აიღებდნენ კაკალს, დაარქმევდნენ ვინმეს სახელს რაიმე ნატვრით და თუ გატეხილი კაკალი აღმოჩნდებოდა სავსე და მთლიანი, მაშინ ის სურვილი და ნატვრა იმ პირს შეუსრულდებოდა დამდეგ წელს; თუ არა — რჩებოდა გაცუდებული. დაძინების წინ, ოჯახის მეკვლე უფროსი მამაკაცი ჩიჩილაკსა და ხონჩას სახლიდან გაიტანდა მარანში ან სხვა რომელიმე უფრო მოშორებით მდგარ სადგომში და თვითონაც იქ დაიძინებდა. ახალი წლის დილას, გათენებისას,

მთელს სოფელში ატყდებოდა თოფების სროლა. ოჯახი, სადაც მამაკაცი იყო, არ შეიძლებოდა თოფის სროლით არ მიგებებოდა ახალ წელიწადს. თოფის სროლა ნიშნავდა მტრებზე გამარჯვებას და თოფის ხმაზე ხალხის წარმოდგენით ფრთხებოდნენ ავი და ბოროტი სულები. თოფის ხმაზე გამოიღვიძებდა თუ არა მეკვლე, ის მაშინვე გაეშურებოდა წყაროზე, ხელ-პირს დაიბანდა და წყალსაც პირველად მოიტანდა. შემდეგ მოწიწებით აიღებდა ჩიჩილაკს, სანთლებს აანთებდა და დაილოცებოდა. მეორე ხელში მეკვლე დაიჭერდა ჯამს, რომელშიაც იყო ღომის მარცვალი და ზედ კვერცხი, როგორც სიცოცხლის სიმბოლო. მეკვლე ხელში ჩიჩილაკითა და ჯამით შემოუვლიდა ეზო-კარმიდამოს და დაილოცებოდა ადამიანისა და საქონლის გამრავლებაზე, კარგ და ბედნიერ ახალ წელიწადზე, დოვლათიანობაზე და სხვა. მეკვლე თან ღომის მარცვალს თესდა და ამბობდა: „ღმერთო, მრავალი ახალი წელიწადი გაგვითენე ბედნიერად, დოვლათიანად, მოგვეცი საქონელი მრავალი, კარგი ჭირნახული, ადამიანის გამრავლება, ჯანმრთელობა“ და სხვა. ყველა სადგომს ასეთი ლოცვით რომ შემოუვლიდა, მეკვლე ახლა მიადგებოდა საცხოვრებელ სახლს და კარებზე სამჯერ დააკაკუნებდა და სამჯერ იტყოდა: „კარი გამიღეო“.

თეთრებში გამოწყობილი დიასახლისი დაკეტილი კარებიდან უპასუხებდა: „ვინა ხარ, რა მოგაქვსო?“ მეკვლე სამჯერ უპასუხებდა: „წმინდა ბასილის წყალობა, ოჯახის მშვიდობა, ოქრო, ვერცხლი, პირუტყვის გამრავლება, აბრეშუმის ჭიის ყოფნა“ და სხვა. შემდეგ დიასახლისი მას გაუღებდა კარებს, მიულოცავდნენ ერთმანეთს ახალ წელიწადს და გადაკოცნიდნენ. მეკვლე ჩიჩილაკით ხელში და ღომის მარცვლის თესვით დაუვლიდა სახლს და დაილოცებოდა. დასასრულს, მეკვლე ჩიჩილაკს თაროზე მიაყუდებდა, იქვე ჯამს მიუდგამდა და მოუჯდებოდა საახალწლო სუფრას, რომელზედაც ელაგა ღორის თავი, ბასილა თავისი ხაჭაპურკვერებით, ხილი, ტკბილეული და სხვა. ამის შემდეგ, ოჯახის წევრებს შეეძლოთ ადგომა და მათ საუზმის წინ მეკვლე ტკბილეულით „დააბერებდა“ და ახალ წელსაც მიულოცავდა.

ახალი წლის დილას მეკვლე პირველად შევიდოდა მარანში, სადაც ეკიდა გიდელი საახალწლო კვერებით, ჩამოიღებდა ამ გიდელს, საწნახელს მიარტყამდა და დაიძახებდა: *„ჩქიმ მამული ხარგელია, შხვაშ მამულს ფურცელია“*-ო (ჩემი მამული ჭირნახულით დაზვინული, სხვისი კი აჩალულიო). ზოგან, სადაც ვაზი ხარობდა,

იტყოდნენ: *„ჩქიმი ურზენი ტიანია, შხვაშ ურძენს ფურცელია“*-ო (ჩემი ვაზი მტევნიანი, სხვისი მხოლოდ ფოთლიანიო). ამის შემდეგ საწნახელს მიადგებოდნენ ბავშვები, ურტყამდნენ მას ჯოხებს და იმეორებდნენ მეკვლეს სიტყვებს. მარნიდან მეკვლე კვერებით მივიდოდა საღორესთან და აქ დაილოცებოდა ღორების გამრავლებაზე. დასასრულს, ამ კვერებს მაღლა აისროდა, ბავშვები კვერებს აკრეფდნენ და ვინც მეტს გაიტაცებდა, იმ წელიწადს გამარჯვებული ის იქნებოდა.

ახალწელიწადს დილიდანვე დაიწყებოდა ერთმანეთში სიარული და ახალი წლის მილოცვა. თან მიჰქონდათ თუთის წნელები, რომელსაც ამბორით გადასცემდნენ დიასახლისს. ახალ წელიწადს, ხელცარიელი ერთმანეთთან არ გადავიდოდნენ და თან მიჰქონდათ რაიმე ტკბილეული ან ხილი და ერთმანეთს შეაჭმევდნენ. ახალ წელიწადს იცოდნენ ნათლიების მოკითხვა ძღვენით, რომელსაც შეადგენდა ორი პური „ღვეზელი“, ყველი და ერთი ხელადა ღვინო.

მეგრული ჩიჩილაკი.

შუადღისას, აიღებდნენ ქონიან დიდ მჭადს „ბასილა“-ს, დადებდნენ კერის თავზე და იგი უნდა გაეტეხათ. ოჯახის უფროსი მამაკაცი და დედაკაცი კერის ორივე მხარეზე დადგებოდნენ და მჭადს მოჰკიდებდნენ ხელს და იტყოდნენ „ბალ ევშა, მარან ევშა“ (სამჯერ) და მჭადს გატეხდნენ. რომელი მხარეც მეტს მოტეხავდა, ის იყო გამარჯვებული. მამაკაცი მეტს მოტეხავდა, ღვინო იქნება მეტიო, თუ ქალი — სიმინდის მოსავალიო.

ოჯახის ახალგაზრდა ქალ-ვაჟი კერაზე დადებდნენ თხილის ჯოხს და, როცა მას წაეკიდებოდა და შუაზე გადაიწეოდა, ჯოხის თითო ნახევარს ქალი და ვაჟი ხელს დაავლებდნენ, გაიქცეოდნენ კარში და შორს გადაისროდნენ. რომელი მათგანიც სახლში წინ შემოვიდოდა, იგი იყო გამარჯვებული. თუ ქალი სჯობნიდა, აბრეშუმი იქნებაო, თუ ვაჟი — ჭირნახულიო.

ახალ წელიწადს იცოდნენ ადამიანის მოტაცების ინსცენირება.

მოიტაცებდნენ განსაკუთრებით სტუმარს, რომლის მოსატაცებლად უბანი მიდიოდა უბანზე. სტუმარს გაიტაცებდნენ, მას პატრონები დაედევნებოდნენ, გაიმართებოდა ერთი წიოკობა, აყალ-მაყალი, სიცილი და ხუმრობა. მოტაცებულ სტუმარს ასაჩუქრებდნენ, პატივსა სცემდნენ და მას მეორე დღემდის არ გაუშვებდნენ. ახალ წელიწადს საღამოს იცოდნენ *„ტყაპობა“*. ქალ-ვაჟები ოჯახში მივიდოდნენ და ერთმანეთს სიმინდის ცომით თხუპნიდნენ. იმართებოდა მოთხუპნაში ბრძოლა და საქმე იყო გამარჯვებაზე. ვინც მოუთხუპნავი გადარჩებოდა, იმ წელიწადს იქნებოდა გამარჯვებული და ბედნიერი.

ახალი წლის მეორე დღეს იცოდნენ ფერხაობა, რომელსაც *„კუჩხა“*-ს უწოდებდნენ და ამ დღეს იყო ქათმების ფერხაობა. კუჩხა დილას ოჯახში არავის შემოუშვებდნენ, სანამ მეკვლე არ შემოვიდოდა და არ დაილოცებოდა. *„კუჩხა“*-დღეს, თუ არ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სხვის ოჯახში არავინ გადავიდოდა, არც რამეს ითხოვებდნენ და გასცემდნენ, რომ ოჯახს ცუდი რამე არ დაეკვებოსო. ამ დღეს იწვევდნენ მხოლოდ *„მაკუჩხურს“*, რომლის ფეხი კარგად ჰქონდათ დაცდილი, როგორც ბედნიერი ოჯახში თუ უბანში.

კუჩხა-დილას აცხობდნენ ქათმის კვერებს, რომელსაც აჭრელებდნენ ქათმის ფრთით და იტყოდნენ: „ბრუიშიე ჩელაია ჩეთ მომიხრიალე ოშ-ათას ჩქიმი თისი, ართი მეზობელიშ თის“-ო (ბრუშიე თეთრებო, თეთრები მომგვარე ასი ათასი ჩემს ოჯახშიო, ერთი მეზობლის ოჯახშიო). სახლის ჭერზე ისროდნენ ცომის პატარა გუნდებს, სიმინდის ბევრი მოსავალი იქნებაო, იქიდან ჩამოვარდნილი ნამცეცების მიხედვით ამბობდნენ წიწილები რამდენი გვეყოლებაო. შემდეგ წიწილების ამ კვერებს ღომის მარცვლიან ჯამზე დაალაგებდნენ, ღომს სახლში სთესდნენ და იმავე სიტყვებს იმეორებდნენ ქათმების გამრავლებაზე. შემდეგ შემოვიდოდა ოჯახის მეკვლე, რომელიც დაილოცებოდა ქათმების გამრავლებაზე, სახლს სამჯერ შემოუვლიდა და კრუხივით კრუხუნებდა. მეკვლეს მუჭით ფეტვი ეჭირა, მას, უკან ბავშვები მისდევდნენ და წიწილებივით წიოდნენ. ფეტვიან მუჭას მეკვლე წყალში სამჯერ ჩაყოფდა და სინჯავდა, თუ ფეტვი მშრალი იყო, წელიწადი ტაროსიანი იქნებაო, თუ სველი, მაშინ იტყოდნენ ავდრიანი იქნებაო. წყალ-კურთხევამდის (6 იანვრამდის) ჩიჩილაკს ოჯახში ინახავდნენ, შემდეგ მას შემოაცლიდნენ ტკბილეულს და სამკაულებს, ჯერ ცეცხლს წაუკიდებდნენ

და როდესაც თეთრი წვერი დაიწვებოდა, გატრუსულ ჯოხს წყალში გადააგდებდნენ ან ბოსტანში ჩაფლავდნენ, რომ ბოსტანი ჭია-მატლმა არ გააფუჭოსო. ზოგიერთი ჩიჩილაკის ჯოხს სხვის ეზოში გადააგდებდა მალულად და იტყოდა: „შენი ოჯახის ბარაქა და ხვავი ჩემს ოჯახს შეემატოსო, ჩემი ჭირი და ფათერაკი — შენს ოჯახსა"-ო. ამით თავდებოდა ახალი წლის მიგებების სადღესასწაულო რიტუალი.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული „კალანდა"-ს დამახასიათებელი საგანთაგანი „ჩიჩილაკია", რომლის გავრცელება დასავლეთ საქართველოს არ სცილდება. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩიჩილაკი თავისი თეთრი, გრძელი და ხუჭუჭა წვერებით მზის სიმბოლო იყო, რომლის ხელის შეხებით მეგრელი მეკვლე დაილოცებოდა ადამიანისა, საქონლისა და ჭირნახულის გამრავლებაზე. გარდა ამისა, ჩიჩილაკს თხილის ჯოხისაგან აკეთებდნენ და მისივე კუკურიანი ტოტებით ამკობდნენ. შეიძლება ამ ხეს მზის თაყვანისცემასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ თხილის ხეს სხვა შემთხვევაშიაც ჩვენში თაყვანსაც სცემდნენ. მაგალითად, აფხაზები მას წმინდა ხედ თვლიდნენ და კვერებით ულოცავდნენ[1]. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში, ხის თაყვანისცემასთან გვაქვს საქმე. სამეგრელოში ხომ ცნობილი იყო მუხის თაყვანისცემა[2].

საზოგადოდ, ხეთა თაყვანისცემა დაკავშირებულია მნათობთა თაყვანისცემასთან და ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თხილის ხე, როგორც ნაყოფიერი და ნოყიერი ნაყოფის მქონე, მზის ღვთაებისადმი ყოფილიყო შეწირული და ამიტომ ახალი წლის დღესასწაულზე მის სიმბოლო — ჩიჩილაკს, თხილის ჯოხისგან აკეთებდნენ. საახალწლო ჩიჩილაკს სამეგრელოში აგრეთვე ამკობდნენ სუროს, დაფნის, თუთის და რცხილის ტოტებით. ყველა ეს მცენარე ხალხის რწმენით, რომელიმე მნათობ-ღვთაებასთან დაკავშირებული იქნებოდა. ეს ხეები დიდ მუხასთან ერთად, წარმოადგენდნენ წმ. ხეივანს, სადაც მნათობის თაყვანისმცემელი ხალხი ლოცულობდა და მათ ტოტებს მრავალი შესაწირით ამკობდა. გარდა

---

[1] Н. Джанашия, Религиозные верования абхазцев, Христианский Восток, т. IV, Вып. I, 1915 г., с. 99.

[2] *იე. ჯაჯანიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი 1928 წ.. გვ. 87.

ამისა, ჩიჩილაკს ხილეულით, ძვირფასი ნივთებით, აბრეშუმის ძაფით და ტკბილეულით ამკობდნენ. ხილთა შორის ბროწეული ჩიჩილაკის აუცილებელი სამკაული იყო. ბროწეულით მეგრელები ახალ წელიწადს ერთმანეთს ულოცავდნენ. ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბროწეულის ხეც მზის ღვთაების საკუთრებას შეადგენდა. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ძველ აღმოსავლეთში, სირია-ელამში, ღვთაება ასტარტს (მზის ღვთაება იყო) ბროწეულს სწირავდნენ, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს[1].

მეგრული ჩიჩილაკი თავისი მორთულობით თვალსაჩინოდ წაგავს ბერძნულ „ირესიონ"-ს, რომელსაც აპოლონ ათინელს, როგორც სინათლის და სითბოს ღვთაებას, უძღვნიდნენ. ამგვარად, მეგრულმა ჩიჩილაკმა, როგორც მზის ღვთაების სიმბოლომ, თავის სამკაულთა შორის ჩვენამდე დაიცვა იმ მცენარეთა ტოტები და ხილთა ნაყოფი, რომელსაც დიდ მუხასთან ერთად, ჩვენი წინაპარნი შორეულ წარსულში თაყვანსა სცემდნენ.

ამასთანავე, მეგრული კალანდის ტაბლაზე საპატიო ადგილი ეჭირა ღორის თავს. ამ ცხოველის კულტიც დაკავშირებული იყო ახალი წლის ღვთაების თაყვანისცემასთან. ცნობილია, რომ წარმართულ სამეგრელოში გავრცელებული იყო მუხის თაყვანისცემა, რომელიც საზოგადოდ მზის ღვთაების სადგომად ითვლებოდა. ამასთანავე, წმ. მუხას ეტანებოდნენ ღორები, რომლებიც მისი ნაყოფით იკვებებოდნენ. ამიტომ ეს ცხოველიც მორწმუნეთა შემეცნებაში მუხის ღვთაებისადმი შეწირულად ითვლებოდა. ეს გარემოება გვიკარნახებს ვიფიქროთ, რომ წარმართულ სამეგრელოში, სადაც გავრცელებული იყო მუხის თაყვანისცემა, ღორი წმინდა ცხოველად ითვლებოდა და მორწმუნეთა შორის მათი ხელის ხლება და ხორცის ჭამა სასტიკად აკრძალული უნდა ყოფილიყო. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, წლისთავზე, ღორს მზის ღვთაებას მსხვერპლად სწირავდნენ. რომ ჩვენი წარმართი წინაპარნი ღორს მუხას სწირავდნენ, ამას, სხვათა შორის, მოწმობს სამეგრელოში დაცული სალოცავები „*კაპუნობა*" და „*მირსობა*", რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის გავრცელებისას, მრავალი წარმართული წესის შეცვლასთან ერთად, ღორზე და სხვა ცხოველებზედაც

---

[1] *Е. А. Рагозина*, История Ассирии, СПБ, 1902 г., с. 126.

დადებული აკრძალვა „ტაბუ“ თანდათანობით მოისპო და მათი ხორცის ჭამაც ქრისტიანებისთვის ნებადართული შეიქმნა. ამას, სხვათა შორის, მოწმობს ჩვენში დარჩენილი ერთი თქმულება ღორისა და წმ. ბასილის შესახებ. ამ თქმულებით, ღორს მუცელში ეშმაკი ჰყავდა და იმისი ხორცი არ იჭმეოდაო. წმ. ბასილი მას ხელში ჯვრით გამოეკიდა, კუდზე ღორს ფეხი დააბიჯა, იმავ წამში ეშმაკი ღორიდან გადმოხტა და წყალში გადავარდაო. მაშინ ბასილმა ღორი აკურთხა და საჭმელად გაგვიჩინა, ამიტომ ღორს კუდის ბოლო გაბრტყელებული აქვსო[1].

თებერვალში, დიდმარხვის დაწყებამდის, მეგრელები იხდიდნენ *„მირსობა“*-ს და ამ დღისათვის საგანგებოდ ასუქებდნენ ღორს, რომელსაც *„ომირსე“* ეწოდებოდა. მირსობა დღეს, ხუთშაბათს (მეგრ. ცაშხა), ოჯახის უფროსი ამ ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა შემდეგი ლოცვით:

დღაბი მირსობაში მოზოჯუა!	დღეს, მირსობის მობრძანებავ!
მა დო ჩქიში ჩილი დო სქუას	მე და ჩემს ცოლს და შვილს
ბედი მეჩი, ბედნიერო დაარინე,	ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე.
ირი ალიანი და ჩალიანი	ყოველი ალიანი და ჩალიანი
ქგგარაი, ირი უბადო შარას,	გაუქარვე, ყოველი ავი გზისაგან,
წყარს სი ქოთხილეე, სქანი	წყლისაგან შენ დაიცავი, შენ,
სახელი ხვამელი.	სახელ-დალოცვილო.

ლოცვის დასასრულს, ღორს დაკლავდნენ. შემდეგ დიასახლისი ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ მრგვალ კვერს და კვერცხს მოხარშავდა. სადილის წინ, ოჯახის წევრები უფროს-უმცროსობით, კერასთან მდგარ ტაბაკთან მივიდოდნენ, სათითაოდ აიღებდნენ თავიანთ კვერებსა და კვერცხებს, თვალებზე მიიფარებდნენ, თან ატრიალებდნენ და შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდნენ:

წმ. მირსა! ამუდღა ვსამულენქი	წმ. მირსა! დღეს ვლოცულობ
ჩქიმი თოლისი სასიმთელოთ	ჩემი თვალის სიმრთელისათვის
კვერცხით დო ხვიანდით, უბადო	კვერცხით და კვერით, აეი
თოლიშ ჭუა, უბადო თოლიში	თვალის ტკივილი, ავი თვალის
ფაცუცუა შორიშა ქგგომირაი.	დაწირპლვა შორს დამიქარვე.
გოლას ჭანჯი მეფურინუნდას	მთაზე ბუზი მიფრინავდეს,

[1] ჟურნ. „ნაკადული“, 1905 წ., №III, გვ. 135; „მოამბე“, 1897 წ., № I, გვ. 91; *ს. მაკალათია*, ახალ-წელიწადი საქართველოში, გვ. 42-44.

ჩქიმ თოლს ქაადირი; გოლას
ჭიჭვიტია მეხოხუნდას, ლორონთი,
ჩქიმ თოლს ქაადირი,
ჩქიმ თოლიში ნაქმინათი
ჩქიმი გური გაახარი.

ჩემს თვალს დაანახვე. მთაზე
ჭიანჭველა მიცოცავდეს, ღმერთო,
ჩემს თვალს დაანახვე.
ჩემი თვალის ნაქნარით
ჩემი გული გაახარე.

ლოცვის დასასრულს, კვერსა და კვერცხს იქვე შეჭამდნენ. მაგრამ მირსობის ეს რიტუალი უფრო კარგად და სრულად დაცული ყოფილა წინათ მთიან სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონის სამ სოფელში: გოდოგანში, გარახაში და ჯუმითში. მირსობა დღეს ამ სოფლებში იმართებოდა ხატობა, რომელსაც *„ჯეგე ან ჯგეგე[1] მისარიონი“* ეწოდებოდა. დღეობა იმართებოდა თებერვალში ორი კვირით წინ ყველიერამდის. სალოცავად ბევრი მხვეწარი მოდიოდა თურმე, განსაკუთრებით ის გვარები, რომელთა ფუძის ან გვარის „ჯინჯი“ ხატად ის ითვლებოდა: ფიჩხაია, ბერულავა, ჩარგაზია, მიქაია, გოგუა, ლაშხია, ნაჭყებია, აშორდია, ფონია, კვაშილავა, გაბედავა, არაჭამია და სხვა. ჩარგაზიას და ნაჭყებიას გვარიდან ირჩევდნენ მნათეებს, რომლებიც ხალხს ამწყალობებდნენ. მირსობა დღეს გოდოგანში ომირსე ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ და ჯეგე-მისარიონს (წმ. მირსას) შესთხოვდნენ ოჯახის კეთილდღეობას, მაგრამ ომირსე ღორის ხორცის ჭამა დაღამებამდის არ შეიძლებოდა. დილით კი მოხარშული კვერებით და კვერცხებით ჩვეულებრივი წესით თვალის საღობაზე დაილოცებოდნენ და შემდეგ ყველანი მიდიოდნენ ჯეგე-მისა-



შუხვეწილის შვილდში გატარება.

[1] ჯეგე, ჯგეგე, ჯგეპე, გეგე ნიშნავს წმინდას; ჯგეგე მარიამი (წმ. მარიამი), ჯგეგე გიორგი და სხვა; ზოგჯერ კი იხმარება წმ. გიორგის მნიშვნელობით. (*И. Кипшидзе*, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПБ, 1914 г., გვ. 412, იხ. სიტყვა ჯეგე).

რიონის ეკლესიაში, სადაც ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს, ლოცვა-ვედრებას, რომელსაც მოჰყვებოდა ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვა გართობანი. საღამოს მლოცველები სახლში ბრუნდებოდნენ, ოჯახის უფროსი ომირსე ღორით დაილოცებოდა, გაშლიდნენ სუფრას და ღორის ხორცს შეჭამდნენ.

ამ დღეს სალოცავად მიდიოდნენ გათხოვილი ქალები, რომელთა ფუძის სალოცავად, „ჯინჯი ხატად" ჯეგე მისარიონი ითვლებოდა და მათ მოჰქონდათ სანთელ-შესაწირი და დაკლული ღორები. გვარის მნათეები მათ აქ დალოცავდნენ და შემდეგ მშვილდში გაატარებდნენ. ვისაც დათქმული ჰქონდა, იგი ჯეგე მისარიონს ღამეს უთევდა. აქ მოჰყავდათ სულით ავადმყოფები და თვალით სნეულნი, რომლებსაც მისარიონის ხატის წინ დააწვენდნენ — *„ხატიში ითონჯირაფა"*, ღამეს უთევდნენ და ჯეგე მისარიონს შესთხოვდნენ ავადმყოფის განკურნებას. თვალით სნეულებს შესაწირად მოჰქონდათ ორი სანთელი, ორი კვერი, ორი კვერცხი და თეთრი ფულები. ისინი მუხლმოყრით ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ და ეეედრებოდნენ ჯეგე-მისარიონს თვალის სალობას.

ასეთივე ხატობა იცოდნენ სოფელ გარახაში, რომელიც მდებარეობს ჩხოროწყუს მახლობლად. თებერვალში მირსობა დღეს აქ გარახას წმ. გიორგის ეკლესიაში იმართებოდა ჯეგე-მისარიონის დიდი ხატობა. ამ ხატის ყმებად ითვლებოდნენ: მამფორია და უბირია და მისარიონის მნათეებსაც ამ გვარიდან ირჩევდნენ. აქ მოჰყავდათ თვალით სნეულები და სულით ავადმყოფები და გარახას ჯეგე-მისარიონს შესთხოვდნენ მათ განკურნებას. შეხვეწილები ხატს სწირავდნენ თვალის სანთლებს, რომლებიც წარმოადგენდნენ თვალის კაკლის ოდენა სანთლის რგოლებს. გარახიდან გათხოვილი ქალები აქ მოდიოდნენ შესაწირავით, მოჰქონდათ დაკლული ღორები და ლოცულობდნენ. შემდეგ მათ მნათეები მშვილდში გამოატარებდნენ.

გარახისა და ჩხოროწყუს მახლობლად მდებარეობს სოფელი ჯუმითი და მირსობას აქაც იცოდნენ ჯუმითის წმ. გიორგის ეკლესიაში დიდი ხატობა. ჯუმითის ჯეგე-მისარიონი უბირიების საგვარეულო ხატი იყო და მნათეებსაც ამ გვარიდან ირჩევდნენ. აქ მოჰყავდათ თვალით სნეულები, სულით ავადმყოფები და ბნედიანები, რომლებსაც ალოცებდნენ ჯუმითის წმ. გიორგის მირსას ხატს და შესთხოვდნენ მას შველას და განკურნებას. აქ მდგარა ხის ეკლესია, რომელიც ამ სამი წლის წინათ დაუშლიათ. დარჩე-

ნილა ერთი დიდი ცაცხვის ხე და მირსობას ამ ხის ძირში ლოცულობენ. ჯუმითიდან გათხოვილი ქალები მირსობას სალოცავად აქ მოდიოდნენ, მოჰქონდათ საწირ-სანთელი, დაკლული ღორები და მწათეები მათ ამწყალობებდნენ. შემდეგ მშვილდს დააყენებდნენ, წინ ორ ხმალს მიწაში ჩაარჭობდნენ, რომ ბოროტი და მავნე სული არ მიეკარაოსო და ქალებს მშვილდში ისე გაატარებდნენ.

სოფელ ჭაქვინჯთან არის სოფელი ჯიხაშკარი, რომელიც ზუგდიდიდან დაშორებულია 7 კილომეტრით და აქ დღესაც დაცულია ერთი მოედანი, რომელსაც უწოდებენ *„მისარონ-კარს“*. მას უჭირავს საკმაოდ მოზრდილი და გაშლილი ფართობი და დაფარულია ცაცხვისა და მუხის ხეებით. შუა მოედანზე დგას ხის პატარა სამლოცველო და მას აქ *ჯეგე-მისარონს* უწოდებენ. გადმოცემით, წინათ აქ მდგარა ქვითკირის შენობა, რომელიც თათრებს დაუნგრევიათ, მისარონის ხატი თათრების შიშით მიწაში ჩაუფლავთ და დაკარგულა. მისარონის ეს ხის სამლოცველო შიგ ცარიელია, მხოლოდ მის კედლებზე შერჩენილია წმ. გიორგის ქაღალდის ხატები. ნაღდგომევს, ახალ კვირის სამშაბათს მისარონ-ხატში იმართებოდა ხატობა, სადაც სალოცავად მიდიოდნენ: ზარანდიები, შენგელიები, ჩარგაზიები, რომელთა საგვარეულო ხატად, „ჯინჯიხატად“ იგი ითვლებოდა. ხატობა დღეს რიგის მიხედვით ამ საგვარეულოდან ერთ-ერთი ოჯახის უფროსი მისარონ-ხატზე მიიყვანდა კერატს, დაილოცებოდა გვარის კეთილდღეობაზე, შემდეგ ღორს იქვე დაკლავდა და ხორცს მლოცველებს გაუნაწილებდა. ღორის თავს კი იგი გადაულოცავდა იმ მეკომურის უფროსს, რომელსაც რიგით მეორე წელიწადს ჯეგე-მისარონისათვის კერატი უნდა დაეკლა. ამ საგვარეულოდან გამოთხოვილ ქალებს ხატობა დღეს ჯეგე-მისარონში მიჰქონდათ საწირ-სანთელი, ღორის თავფეხი, კვერცხები და სხვა.

ჯეგე-მისარონის სამლოცველო იყო აგრეთვე სოფ. გეჯეთში, რომელიც ნოქალაქევიდან სამი კილომეტრით არის დაშორებული. აქ დღესაც დაცულია მისარონის ადგილი, სადაც წინათ მდგარა ქვის პატარა შენობა. თებერვალში მირსობა დღეს სალოცავად მოდიოდნენ გეგენავები, ალასანიები და აქ ჯეგე-მისარონს შესთხოვდნენ თვალის სისაღეს, ყურის, თავის და წელის ტკივილისაგან განკურნებას. ხატს სწირავდნენ: მძივებს, ფულებს, ნემსებს, ფერად ძაფებს და სხვა.

ხალხური გადმოცემით, მისარონის სამლოცველოდან არაფრის

წაღება არ შეიძლებოდა, დამნაშავეს მისარონი დააბრმავებდაო.

საყურადღებოა, რომ ძველი ნოქალაქევის (არქეოპოლისის) ციხის გალავანში დღესაც დაცულია ეკლესია, რომელსაც ჯეგე-მისარონს უწოდებენ. იგი ნაგებია თლილი ქვით და ეკუთვნის რომაელ-ბერძნების პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის პერიოდს ძველ ლაზიკაში, დაახლოებით V-VI სს. ნოქალაქევის ჯეგე-მისარონს თავის მამულიც ჰქონია, რომელსაც პერტაიას გვარი უვლიდა. მისარონის მამულზე ვაზი ყოფილა გაშენებული და პერტაიას გვარი ვალდებული იყო ამ ვაზის მოსავლიდან დაეყენებინა ღვინო და ხატობას იგი მიეტანა მისარონის კარზე, სადაც ამით მლოცველებს უმასპინძლდებოდნენ. დღეობა სცოდნიათ შემოდგომაზე და აქ სოფელი დაკლავდა საერთო ფულით ნაყიდ ერთ ძროხას. მლოცველებს



ნოქალაქევი. ეკლესია „მისარონი"

მიჰქონდათ თითო კონა ღომის თავთავები. ხატის მნათე მლოცველებს დააჩოქებდა და ჯეგე-მისარონის სახელით დაილოცებოდა. აქ დღესაც იციან ჯეგე-მისარონის სახელით წყევლა და დალოცვაც. მაგალითად, იტყვიან: *„ვაგიწყრეს ჯეგე-მისარონი"*, ან *„ჯეგე-მისარონმა დაგლოცოსო"* და სხვა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში თუ ვინმეს რაიმე უბედურება ეწვია ან ცეცხლისაგან ზიანი მოუვიდა, ამას მირსას განრისხებას მიაწერს.

ამ მეგრულ წარმართულ მირსას ან მისარონის რწმენას გენეტიკური კავშირი აქვს ირანულ-აღმოსავლურ „მიჰირ"-თან, რომელიც ითვლებოდა სინათლის ღვთაებად[1]. თუ ჩვენ მეგრულ მირსობას და მის რიტუალს შევადარებთ ირანულ-რომაულ მითრას კულტს, მათ შორის საგულისხმო მსგავსებას აღმოვაჩენთ. გარდა სახელწოდების მხრივ მსგავსებისა (ირანული მიჰირი, რომაული მიტრა, მეგრ. მირსა), ამ ორ ღვთაებას რამდენიმე შინაგანი მომენტიც აახლოებს ერთმანეთთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეგრელოში მირსობა თვალის სალოცავია, რომელიც მუდამ სინათლის ემბლემა იყო. ღვთაება მითრაც აჰურა-მაზდას თვალად იწოდებოდა და მითრას ემბლემად თვალის გამოხატულება იყო მიღებული. ძველს სომხეთში მზე და მთვარე მითრას თვალად იწოდებოდა[2], კვერცხი, რომელსაც მისრობის დღეს თვალებთან ატრიალებენ, სიცოცხლის სიმბოლო იყო. მაგრამ მირსობის რიტუალში საყურადღებოა ღორის მსხვერპლად შეწირვა. ღორი ითვლებოდა მითრას ცხოველად და თავისი მახვილი ეშვებით იგი შველოდა მითრას ბოროტი სულების შემუსვრაში. ამიტომ ღორი ითვლებოდა ტოტემად და იგი სხვა ცხოველებთან ერთად, გამოსახულია მითრას ბარელიეფებზე[3]. სამეგრელოშიც მირსობა დღეს ღორის ტოტემსაც საპატიო ადგილი ეჭირა და ღორის ხორცის ჭამაც თავდაპირველად აკრძალული უნდა ყოფილიყო — „ვაშინერსი". ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში მირსობას თებერვალში იხდიდნენ, როგორც ეს აღმოსავლეთის ქვეყნებში იყო მიღებული და ძველ ქართულ კალენდარში თებერვალს ეწოდებოდა „თთუეი მიჰრაკანის" (ანუ მიჰრაკანი), ე.ი. მიჰრას ანუ მირსას თვე[4].

---

[1] *ს. მაკალათია*, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში (საქართ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., 1927 წ., გვ.179-193.

[2] *Н. О. Эмин*, Очерк по религии армян: исследования и статьи, Москва, 1896 г., стр. 26-28.

[3] *Josep de Hammer*, Mithriaca au Les Mithria, Vol I, Paris, 1833, Atlas, planches III, V; *F. Gumont*, textes et monuments figures, relatifs aux mysteres de mithra, Paris, t. II, 1896 u, Fig. 115, 218.

[4] *პავლე ინგოროყვა*, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბ., 1931 წ., ტ. VI, გვ. 438.

მეგრელები მირსობას იხდიდნენ ხუთშაბათს, რომელსაც ცააშხა ეწოდება, ამიტომ საფიქრალია, რომ ხუთშაბათი ჩვენში მიკუთვნილი ყოფილიყო მითრასადმი, რომელიც ბრწყინვალე ზეცის მეფედ ითვლებოდა და მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით, ბნელ ძალებს გამუდმებით ებრძოდა.

შემდეგში, ქრისტიანობის პერიოდში, ამ ღვთაება მითრას რწმენა და კულტი თანდათანობით შეცვალა წმ. გიორგიმ და სამეგრელოს სინამდვილეში მან შეინარჩუნა „ჯეგე-მისარიონის" (წმ. გიორგი-მითრას) სახელწოდება[1].

თებერვლიდან ზამთარი ილევა და ბუნებაც იწყებს გამოღვიძებას. მეგრელები ახლა შეუდგებოდნენ საგაზაფხულო რიტუალების შესრულებას, რომ გამოეწვიათ ბუნების განაყოფიერების მეტი პოტენციალობა და მიელოთ ჭირნახულის დოვლათიანობა, ადამიანისა და საქონლის გამრავლება. ამ მიზნით, ყველიერის წინა კვირას, ხუთშაბათ საღამოს, სამეგრელოში იხდიდნენ „*კაპუნობა*"-ს, რომელსაც აგრეთვე უწოდებდნენ „*დოდგიმირს*". მას მსხვერპლად სწირავდნენ კერატს, რომელსაც ამ მიზნით ასუქებდნენ და „ოკაპუნე"-ს უწოდებდნენ. ოთხშაბათ საღამოს ოჯახის უფროსი ოკაპუნე ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, შენ სახელდალოცვილო კაპუნია, ჩემს ოჯახს მრავალი ეს დღე მხიარულად გაუთენე, მოგვეცი საქონლის სიმრავლე, ოჯახის დოვლათიო" და სხვა. შემდეგ იგი ღორს კერის „ბუკზე" (კერისთავზე) დაჰკლავდა ისე, რომ მისი სისხლი ზედ კერაზე დაილვაროს. ოთხშაბათს ღორის ხორცს მოხარშავდნენ, დაკლავდნენ მამალს და გამოაცხობდნენ ყველიან კვერებსაც. ხუთშაბათ დილას ოჯახის უფროსი მამაკაცი გამომცხვარ კვერებს, ღორისა და მამლის თავს, ღორის გულ-ღვიძლს დაალაგებდა ხონჩაზე, გარშემო მას მიაკრავდა ანთებულ სანთლებს და დადგამდა კერის პირას, შემდეგ იგი დაიჩოქებდა, ხონჩას სამჯერ მარჯვნივ მიაბრუნებდა და დაილოცებოდა:

„ღორონთი პატონი ამ, დღაშ ცააშხა სი გომიტიბინე, ვსამულეი დოდგიმირს, სი დამიცვი ირი უბადოშე ჩიმო დო სკუამო, ბრელ დოდგიმირში ხვამა ქიდმაცალი გური მხიარულო".

„ღმერთო ბატონო, დღევანდელი ხუთშაბათი შენ შეგვარგე, ვლოცულობ დოდგიმირს, შენ დამიცავი ყოველივე ცუდისაგან ცოლი და შვილი, ბევრი დოდგიმირის ლოცვა დამაცადე გულმხიარულადო".

---

[1] *ს. მაკალათია*, ჯეგე-მისარონის კულტი ძველს საქართველოში, თბ., 1938 წ., გვ. 19-40.

ლოცვის დასასრულს, ოჯახის უფროსი და ოჯახის წევრები სათითაოდ მივიდოდნენ გობთან, დაიჩოქებდნენ, გადაივლებდნენ თავზე საკმეველს და იქვე ნაკვერჩხალზე დასწვავდნენ. ლოცვის გათავებამდის ღორის ხორცის ჭამა აკრძალული იყო, შემდეგ სუფრას გაშლიდნენ და სადილად დასხდებოდნენ. დოდგიმირის ხორცს მარტო ოჯახში მყოფნი ჭამდნენ, ოჯახის უფროსი კი მხოლოდ ღორის ყიყვსა და კვერებს შეჭამდა. გარეშე პირს, თუ გინდ ნათესავიც ყოფილიყო, მის ხორცს არ აჭმევდნენ. გამონაკლისი იყო მხოლოდ შემოსწრებული სიძე, რომელსაც ეჭმეოდა დოდგიმირის ხორცი. გათხოვილი და ოჯახიდან წასული ქალი მის ხორცს არ ჭამდა. ამ წესებს სასტიკად იცავდნენ და თუ კაპუნობა დღეს ოჯახს ვინმე უცხო ესტუმრებოდა, მასპინძელი მას ზურგზე აიკიდებდა და ხმის გაუცემლად (მუნჯად) თავის ეზოს ღობიდან გადასვამდა. ამას გარდა, დოდგიმირის ხორცს ქალები ხშირად ძღომაზე ჭამდნენ, რადგანაც მათი რწმენით, ვინც მეტს ჭამდა ამ ღორის ხორცს, მას ბევრი აბრეშუმი მოუვაო. ცდილობდნენ დოდგიმირის ხორცი სამ დღეში შეეჭამათ და თუ გადარჩებოდათ — ღორს ამარილებდნენ, ხოლო ნარჩენ ძვლებს ცეცხლში სწვავდნენ ან მიწაში ჩაფლავდნენ, რომ იგი რამემ არ დასუნოსო.

სალოცავ კაპუნობის ან დოდგიმირის შესახებ ხალხში ასეთი გადმოცემა არსებობს: კაპუ ან კაპუნია ყოფილა ღვთაება და ადამიანს ვალად სდებია მისთვის შეეწირა ადამიანის სული — „კოჩიშა გინოძე კოჩიში შურია". ამიტომ ვისაც შვილი ეყოლებოდა, ერთი შვილი მისთვის უნდა მიეცაო. შემდეგ ხალხს მისგან თავი დაუხსნია და კაცის სულის სანაცვლოდ ღორი გაუჩენიათო. „*კაპუ*" ან „*ყვაპუ*" ღორის ან საერთოდ შინაური საქონლის ავადმყოფობას ეწოდებოდა. ყვაპუ ღორს რომ შეეყრებოდა, მას ყელი უსივდებოდა და ასე შეულოცავდნენ: „დვრუ ასა, ასა, ასა, უკაპ წინდალსა მარიამ მახანწარსა, ძელსა და ძვლისა გაუშვი ღორსა"-ო. კაპუს სახელით სამეგრელოში იწყევლებიან და იტყვიან: „კაპუ ქირდკოლაფუდასია" (კაპუ ჩაგივარდეს პირშიო) ე. ი. ყელის ტკივილმა დაგამუნჯოსო[1]. კაპუ მძიმე ავადმყოფობად ითვლება, საქონელს ყელი უსივდება და ხმის ამოღება არ შეუძლია. კაპუნობას ეწო-

---

[1] *И. Кобалия*, Из мифической Колхиды, Сборн. мат. для описания мест. и племен Кавказа, т. , отд. стр. 99; *И. Кипшидзе*, კაპუნია, (იხ. მისი Грамматика мингрельского яз., გვ. 252).

დება აგრეთვე დოდგიმირი და ამის შესახებ ხალხში დარჩენილია ასეთი თქმულება: წარმართობის დროს, როდესაც მეგრელები „დიდ-ჭყონს“ — დიდ მუხას თაყვანსა სცემდნენ, მას მსხვერპლად სწირავ-დნენ დაკლულ ღორებსო, რომელსაც შიგ მუხაში შესდგამდნენ — „*დოდგუმ*“ და ამიტომ ამ სალოცავსაც დოდგიმირი ეწოდაო. მაგრამ, როდესაც ქრისტიანობა გავრცელდა და ანდრია მოციქულ-მა ეს მუხა მოაჭრევინა, მაშინ დოდგიმირის სალოცავი მორწ-მუნეებმა ოჯახებში გადაიტანესო. ამიტომ ზოგან სამეგრელოში ამ სალოცავს ფუძის სალოცავს — „*ფუძეშ ობვამერს*“ უწოდებენ. ზოგიერთი მოძმეები კაპუნობას ერთად იხდიდნენ და მათში უფრო-სი დაილოცებოდა პირველად და იგი ღორის თავს ღვინით სავსე სასმისით გადაულოცავდა მეორე ოჯახის უფროსს, რომელსაც ევალებოდა შემდეგ წელიწადს გადაეხადა კაპუნობა.

კაპუნობა დღეს მთიან სამეგრელოში (მუხური-ჯვარი) ასეთ წესსაც ასრულებდნენ თურმე: დიასახლისი წაკუზული დადგებოდა მოშორებით, ქმარი მას ეტყოდა „იქოზალა ქოზალა“.

ცოლი უპასუხებდა: „აშო მომიტუტუცე“-ო. და სიმბოლურად ასრულებდნენ სქესობრივ აქტს, რომ შვილები გაგვიმრავლდესო.

ერთი სიტყვით, დოდგიმირის რიტუალში მთავარი იყო ღორის კულტი, რომელსაც სწირავდნენ ღვთაება კაპუნიას. ეს გარემოება ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ წარმართობის ხანაში ღორი სამეგრელოში უნდა ყოფილიყო ტოტემური ცხოველი, რომელსაც წმ. მუხასთან დაკავშირებით ხალხი თაყვანსა სცემდა. ამის გამო, ღორი მორწმუნეთა შეხედულებით, წარმოადგენდა ერთგვარ „ტაბუს“ და მისი ხორცის ჭამაც თავდაპირველად აკრძალული იყო — „ვაშინერ-სი“ (ს. მაკალათია, ახალ-წელიწადი საქართველოში, გვ. 42-50).

ყველიერის დასასრულს, იცოდნენ „*ხოზოკვარი*“ ან „*ხოზო-კონი*“. ამისათვის დაფქვავდნენ ღომის მარცვლებს, მასში პურის ფქვილს გაურევდნენ და ცომს მოზელავდნენ. ამ ცომისაგან გაა-კეთებდნენ კვერებს, რომელშიაც ყველს ჩასდებდნენ და მოხარ-შავდნენ. ერთ-ერთ კვერში ჩუმად ჩაატანდნენ კაკლის ჩხირს და ვისაც ეს კვერი ერგებოდა, ის იქნებოდა იმ წელიწადს ბედნიერი და დღეგრძელი. მოხარშულ კვერებს ხონჩაზე დაალაგებდნენ და ოჯახის უფროსი დაილოცებოდა, თან იტყოდა: „ვისაც ეკლიანი (კაკლის ჯოხიანი) კვერი ერგოს, იგი იყოს ბედნიერი და დღეგრ-ძელი“. შემდეგ კვერებს შეჭამდნენ. ვისაც ეკლიანი კვერი ერგე-ბოდა, მას უნდა წვეულება მოეწყო და ყველას გამასპინძლებოდა.

თუ ის ღარიბი იყო, მაშინ გადაიკიდებდა ხურჯინს და შესაწევარს მოაგროვებდა. ყველანი აძლევდნენ ლობიოს, ნიგოზს, ღომს და სხვა სამარხვო სანოვაგეს, რომლისგან იგი სადილს გამართავდა და მათ უმასპინძლდებოდა.

ხოზოკვარის მეორე დღეს, დიდმარხვის პირველ ორშაბათს, ზუგდიდში აწყობდნენ „*ყეინობა*"-ს[1]. ყეინად აირჩევდნენ ხუმარა კაცს, რომელსაც სასაცილოდ მორთავდნენ. მას თავზე დაახურავდნენ მაღალსა და წოპწოპა ქუდს, სახეზე ნიღაბი ჰქონდა აფარებული გრძელი წვერ-ულვაშით. ყეინს ეცვა გრძელი ტანისამოსი, უკან კუზი ჰქონდა, ხელში ეჭირა გრძელი ჯოხი და მას ვირზე შესვამდნენ. ვირის კუდი ერთ კაცს ეჭირა, ვირის ლაგამი კი — მეორეს და ისე დაჰყავდათ ყეინი. გვერდით ყეინს ჰყავდა თავისი დედოფალი — „მოჭყუდუ", რომელიც ქალურად იყო გადაცმული და ისიც ვირზე მჯდარა. ორივეს მხლებლები ახლდნენ თურმე ჯოხებითა და ხმლებით შეირაღებულები. ყეინს ბიჭები აჯავრებდნენ და მას ზურგზე სცემდნენ, მაგრამ მათ მხლებლები იგერიებდნენ და ვისაც დაიჭერდნენ, ჯარიმას ახდევინებდნენ. დედოფალსაც ეარშიყებოდნენ თურმე. დასასრულს ხალხი ყეინს მივარდებოდა და მას ტანისამოსს შემოაგლეჯდა. გაიმართებოდა სიცილი, მხიარულება და ცეკვა-თამაში.

„*თერდობა*" (თევდორობა) ცხენის სალოცავია და მას სამეგრელოში დიდმარხვის პირველ კვირის შაბათ საღამოს იხდიდნენ. ცხენის პატრონი ამ დღეს აცხობდა ცხენის ქანდაკებას მთელი მისი შეკაზმულობით: უნაგირით, უზანგით, ალვირით და სხვა. აცხობდნენ აგრეთვე ცხენის ჩოჩორიკის ფორმის კვერებს იმდენს, რამდენიც ოჯახში სული იყო. საღამოს ცხენის ქანდაკებას და კვერებს ხონჩაზე დაალაგებდნენ, იქვე სავსე ჭიქით ღვინოს მოათავსებდნენ და გარშემო ხონჩას ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ხონჩასთან პირველი მივიდოდა ოჯახის უფროსი მამაკაცი და იგი შეევედრებოდა წმ. თევდორეს ცხენების გამრავლებას და მათ დაცვას ქურდებისა და ნადირისაგან. შემდეგ იგი ზურგზე ხელებდაკრეფილი, ჭიხვინითა და ,,წიხლების სროლით დაიხრებოდა ცხენის ქანდაკებაზე, მოკბეჩდა მის რომელიმე ნაწილს და ჭიხვინ-

---

[1] როგორც ადგილზე გამოკითხვით დადასტურდა, ყეინობას სამეგრელოში მხოლოდ ზუგდიდში ასრულებდნენ, სხვაგან არ იცოდნენ. ეტყობა თბილისის მიბაძვით მას აწყობდნენ ზუგდიდის მოქალაქეები და თავად-აზნაურული არისტოკრატია.

ითა და წიხლების ცემით უკანვე გამობრუნდებოდა. მას მიჰყვებოდნენ ოჯახის წევრები და უფროს-უმცროსობის მიხედვით მივიდოდნენ ცხენის ქანდაკებასთან და ჭიხვინითა და წიხლების ცემით იგივე მოქმედებას შეასრულებდნენ. ბოლოს ვახშამს გამართავდნენ და ცხენის კვერებს ყველას ჩამოურიგებდნენ. მეორე დღეს ცხენებს სანთელ-საკმეველს გადაავლებდნენ, დაილოცებოდნენ ცხენების გამრავლებაზე და ამ სანთელ-საკმეველს გაგზავნიდნენ წმ. თევდორეს სალოცავში (ეკლესიაში) და მას იქ შესწირავდნენ.

თერდობა დღეს ოჯახის უფროსი აიღებდა კაკალს და ყველა ჭირნახულის ცოტაოდენ თესლს, ეზოში გაიტანდა და იქ დასთესავდა. შუაში კაკალს მოათავსებდა, გარშემო კი სხვადასხვა ჭირნახულის თესლს და კარგი ჭირნახულის მოსავალზე დაილოცებოდა. „თერდობას" ამზადებდნენ სიმინდის ქუმელს — „ქუმუ"-ს, რომელსაც თაფლში მოზელავდნენ და აკეთებდნენ იმდენ ცალს, რამდენიც ოჯახის წევრი იყო. ცხენებს საზიაროდ „საშულოდ" უგზავნიდნენ მოკეთეებს, რასაც „სათერდობო"-ს უწოდებდნენ.

ცხენი, როგორც სახედარი ცხოველი, სამეგრელოში ითვლებოდა მნიშვნელოვან საწარმოო ძალად და ამიტომ გლეხი მიბაძვითი მაგიური[1] ხასიათის რიტუალის შესრულებით ცდილობდა ცხენების მომრავლებას. ცხენიც წარმართულ სამეგრელოში ითვლებოდა ტოტემად და მისი ხორცის ჭამაც აკრძალული იყო — „*ეაშინერსი*".

„*ტიანობა*"-ს ასრულებდნენ დიდმარხვის პირველ კვირას. გამოაცხობდნენ კერაზე ერთ დიდს ოთხკუთხა მჭადს — „*ბადიდ ჭკიდს*", აგრეთვე შვიდ ცალ პაწია, მრგვალი ფორმის „ზნახარს", შემდეგ ოჯახის უფროსი მივიდოდა კერასთან, „ბადიდ მჭადს" ხელით აბრუნებდა, პაწია „ზნახარებს" ცეცხლში ჩაჰყრიდა, და რომ დაიწოდა, იტყოდა: „შქვით ტიანობაშ მოზოჯუაშახია შქვით წანაშა უბადო შორიშა ქიგომირაითია, სიშა ზნახარს კერიაშე ვეკიკვლანთია შქირენა დო უმენიშე დამიფარითია" (შვიდი ტიანობის მობრძანებამდის, შვიდ წელიწადს ყოველი ცუდი შორს გაგვიქარვე; სანამ „ზნახარს" — კვერებს კერიიდან არ გამოვიღებთ, მანამდის დაგვიფარე შიმშილისა და წყურვილისაგანო).

---

[1] *Джеймс Фрезер*, Магия и религия, Золотая ветвь, вып. 1928 г., с. 37-62.

„*გაძღიკობა*“. დიდმარხვის 24-ე დღეს ოთხშაბათს მოაგროვეებდნენ გაზაფხულის პირზე პირველად ამოსულ ნორჩ ბალახებს — ჭინჭარს, ბურცხალეს, მაჭარხეიას და სხვას, მოხარშავდნენ და მხალს დაამზადებდნენ. მასვე მიუმატებდნენ მოხარშულ ლობიოს, მხალისა და ჭარხლის მწნილს, სხვადასხვა ჭირნახულისაგან გამომცხვარ კვერებს და ყველა ამ საჭმელს დაალაგებდნენ სახლის შემოსასვლელ კარის თაროზე — „*ბუძუზე*“. შემდეგ დიასახლისი მივიდოდა თაროსთან, აიღებდა პურისა და მჭადის ლუკმას, დააწყობდა ფხალზე და სახლის ოთხივე კედლისაკენ გადაისროდა და იტყოდა: „ესეც დაძღიკიას კერძი იყოსო“. ხალხის წარმოდგენით, ამ დღეს ოჯახს ესტუმრებოდა „*გაძღიკია*“, რომელიც მივიდოდა სახლის თაროსთან და დაათვალიერებდა თავის სუფრას. გაძღიკიას სუფრა თუ მოეწონებოდა, იტყოდა: „ვისაც აქვს, მას კიდევ მიემატოსო“. თუ არადა, იგი სუფრის პატრონს დასწყევლიდა თურმე და იტყოდა: „ვისაც არა აქვს, ღმერთმა ნუ მისცესო“. დიასახლისი ამ დღეს სახლს რომ დაგვიდა, ნაგავს სხვის ეზოში ჩუმად გადაყრიდა — რწყილი ჩვენსას არ იქნებაო.

„*ოთხარჭალაფა*“ ან „*შურუბუმობა*“-ს აწყობდნენ დიდ ხუთშაბათს და ოჯახში ამ მიზნით აირჩევდნენ „*მეშურუბუმეს*“, რომელიც უნდა ყოფილიყო უმანკო ქალი. იგი განგებ დამუნჯდებოდა და ხმას არავის გასცემდა. ვახშმის შემდეგ, არჩეული ქალი აიღებდა თითისტარს და მასზე მატყლს დაართავდა და ამის შემდეგ იგი ითვლებოდა „*მეშურუბუმე*“-დ ე. ი. დადუმებულად. რაც უნდა მომხდარიყო, მას ხმას არ ამოაღებინებდნენ. მამლის ყივილისას, მეშურუბუმე ჩუმად ადგებოდა, ოჯახის წევრებს ფეხზე მატყლის ძაფს შეაბამდა, შემდეგ იგი აიღებდა ქვაბს ან ტაშტს, მას ჯოხით სცემდა და ამით ყველას გამოაღვიძებდა. ოჯახის წევრები ადგებოდნენ, მიეხვეოდნენ მეშურუბუმეს და ცდილობდნენ მისთვის ხმა ამოეღებინათ, მაგრამ ამაოდ და მეშურუბუმე სდუმდა. მეშურუბუმეს ხელში სალამურით და ლარჭემით შეუერთდებოდნენ მამაკაცები და დაიწყებოდა თამაშობა, დაკვრა, ხმაური და მხიარული სცენები. მეშურუბუმეს მეთაურობით მთელი ეს პროცესია შემოუვლიდა ეზოს, სახლს, მარანს, ბოსელს და სხვას. ბოლოს მეშურუბუმე აიღებდა თოხს და სახლის სხვენზე ავიდოდა. მისი მოპასუხე კი დაჯდებოდა კერასთან, ხელში საცეხველს აიღებდა და მას სცემდა კერაზე. მეშურუბუმე ზევიდან დაიძახებდა: „მი ცხვენი დო მი ბერგია მი წყირი დო მიუდეო“ (სად სხვენი და სად თოხიო, სად

რწყილი და სად სახლიო).

მოპასუხე ამაზე იტყოდა: „*რწყილი დიხაშ ოთხორალია*“ (*რწყილი მიწაში დასამარხიო*), თან საცეხველს კერაზე სცემდა, ვითომც რწყილს ხოცავდა. ამას სამჯერ გაიმეორებდნენ და ამით თავდებოდა რწყილის დაჭერის წესი — „*წყირიში ჭოფუა*“. შემდეგ მეშურუბუმე თავის მოპასუხესთან ერთად დაუვლიდა ეზოში მდგარ ხეხილებს და რომელიც მეწლეევე იყო და ყოველ წელს არ ისხამდა, მოულერდა ცულს და იტყოდა — „*უნდა მოვჭრაო*“, მოპასუხე მას ხელს დაუჭერდა და პირობას აძლევდა, რომ იგი ხეხილი მომავალ წელს მოისხამსო. მეშურუბუმე შემოუვლიდა აგრეთვე მსხმოიარე ხეხილსაც „*ჟუხარკალუანდუ*“, რომ სეტყვამ და ელვამ მას ნაყოფი არ დააყრევინოსო. შემდეგ მას მატყლის ძაფსაც შემოაკრავდა.

მეშურუბუმე წნელს დაარტყამდა ხარს, რომ მას ხარაბუზა „*კვამარზია*“ არ მიეკარებაო.

მეშურუბუმეს ოჯახში ყველგან ფეხი უნდა შეედგა, რომ მავნე სულებსა და ქვეწარმავალს იქ არ გაეჭაჭანა. ოჯახის დიასახლისი ამ დღეს კომშის ხეს ძირში თეთრ ქვებს შემოუმწკრივებდა, რომ ის არ გახმესო. სახლის გარშემო შემოხაზავდა ნახშირის წრეს — ეშმაკი არ გაგვეკარებაო. მეშურუბუმე საქონელს ხელს გადაუსვამდა, ბუზი არ მიეკარებაო, კაცსაც ხელს წაუსვამდა — რწყილი არ ეყოლებაო. დასასრულს, მეშურუბუმე ამეტყველდებოდა და ყველას დალოცავდა. ღამე ბიჭები უკრავდნენ „*ოელია*“-ს, რომელსაც აკეთებდნენ კაკლის ქერქისაგან. იმ ღამეს მელას შვილები ეყოლებაო და ამის საწინააღმდეგოდ წავიდოდნენ მახლობელ ტყეში აყვირებდნენ ოელიას, რომ მელიები დაფრთხნენ და შვილები არ დაყარონო. ამ დღეს მოხვეტილ ნაცარს ინახავდნენ და თუ ბოსტანში ან ბაღში მავნებლები გაჩნდებოდა, მაშინ ამ ნაცარს — „*შურუბუმ- ტუტა*“-ს იქ მოაყრიდნენ.

„*ფუძეშ-ოხვამერი დო თუთაშხა ბედნიერი ანუ ოთუთაშხურე*“, შემოკლებით „*ოთხაშური*“ არის ფუძის სალოცავი. მას მეგრელები დიდ მარხვაში ასრულებდნენ, ახალი მთვარის ორშაბათ საღამოს. დღე აუცილებლად ორშაბათი უნდა ყოფილიყო. ორშაბათ დილასვე შეუდგებოდნენ სახლისა და ეზო-კარმიდამოს დასუფთავებას. შემდეგ ოჯახის დიასახლისი ხელ-პირს დაიბანდა და სახლის სხვენზე ავიდოდა. აქ იდგა ხის კოდი ანუ ქვევრი, რომელშიაც ამ დღისათვის შენახული იყო პურის ფქვილი, ლობიო, ხახვი და სხვა სამარხვო საჭმელები. სხვენზე დიასახლისი საოთხაშურო

კოდს სამჯერ მარჯვნივ მოაბრუნებდა და ღმერთს შეევედრებოდა ოჯახის გამრავლებას და კარგად ყოფნას. შემდეგ კოდიდან ამოალაგებდა სანოვაგეს და სხვენიდან ჩამოვიდოდა. კერაზე ცეცხლს გააჩაღებდნენ და ახლა დიასახლისი შეუდგებოდა კვერების გამოცხობას. ოჯახში რამდენი წევრიც იყო, იმდენს ორ-ორ კვერს გამოაცხობდნენ, ერთი კვერი ცხვებოდა მოგრძო ფორმისა, მეორე კი — მრგვალი. აცხობდნენ აგრეთვე თხუნელისა და ქორის გამოსახულების ორს კვერს. კერაზე გამოაცხობდნენ ფეტვის ერთ დიდ მჭადსაც. საღამო ჟამს ამ კვერებს ჩაალაგებდნენ კალათში და სახლის კერასთან მისდგამდნენ. გამოჩნდებოდა თუ არა ახალი მთვარე და ვარსკვლავები, ოჯახის წევრები კარში გავიდოდნენ. დიასახლისი კი სახლში რჩებოდა, კარებს მიხურავდა, სანთლებს აანთებდა, კერასთან დაიჩოქებდა, კალათას ხელით აბრუნებდა და დაილოცებოდა:

თუთაში ჯღვერი[1], სქანი ბედნიერი დუდს უხვამნქი ჩქიმი ქომონჯი დო სკუაშ სასინთელოთ, ფუძე-ნერჩი[2] ქომითხილე. ირი ჭირიშე, ფათარაკიშე, სინჩხეშე, ჩხურუშე, უბადო შეხვამილაფაშე სი ქოვთხილე. თუთაშხა ბედნიერი, ჩქიმი სკი გაბრალი, წი მუდა კოჩიდუნი იდა ჟირი კვერით გიხვამნქი, წანას მაჟირა თეზუმა ორდასინითეში გაბრალი ჩქიმი უდეს, კოჩი დო ოსური.

მთვარე წინამძღოლო, შენს ბედნიერ თავს ვლოცულობ ჩემი ქმრისა და შვილის სასიმრთელოდ. ფუძენერჩი დამიცავი ყოველი ჭირისაგან, ფათერაკისაგან, სიცხისაგან, სიცივისაგან, ცუდის შეხვედრისაგან შენ დაგვიცავი. ორშაბათ ბედნიერო, ჩემი ძე (ვაჟი) გაამრავლე, წელს რამდენი კაცი იყო, იმდენი ორი კვერით გილოცავ, გაისად ორ ამდენად გაამრავლე ჩემს სახლში კაცი და ქალიო.

ლოცვის დასასრულს, დიასახლისი კარს გააღებდა და კარში მყოფ ოჯახის წევრებს დაუძახებდა. თითოეულ მათგანს ხელში ეჭირა ბალახიანი ბელტი და სახლში შემოდგამდა ფეხს თუ არა, მაშინვე ბელტს კედელს ესროდა და დაილოცებოდა: „ღმერთო და თუთაშხა ბედნიერო, ამ ბელტის ბალახის რაოდენობით გაამრავლე

---

[1] სიტყვა „*ჯღვერი*" ნიშნავს მეთაურს, წინამძღოლს. მაგალითად, იტყვიან ოგაფაში ჯღვერი ეი. ვინც წინ მიუძღვის ხარებს ხვნის დროს. ***Н. Кипшидзе***, Грам. мингрельского языка, СПБ. 1914 г., с. 417.

[2] სიტყვა „*ნერჩი*" ეწოდება იმ ადგილს, რომელზედაც სახლი დგას და ნიშნავს ფუძეს. შესაძლებელია ნერჩი ფუძის ანგელოზის სახელიც იყოს (იხ. ***Н. Кипшидзе***, იქვე, გვ. 288).

ამ ოჯახში ადამიანი და საქონელიო“.

ქორის გამოსახულების კვერს უმცროს ვაჟს მისცემდნენ და იგი ამ კვერით სახლს გარშემო შემოურბენდა და გაიძახოდა: „ღმერთო, დაიცავი ჩვენი ოჯახი ყველა მტაცებელ ფრინველებისაგანო“. ეს კვერი მარტო მას უნდა შეეჭამა.

თხუნელას გამოსახულების კვერს გოგოს მისცემდნენ, ისიც კვერით ხელში ეზოს შემოურბენდა და გაიძახოდა: *„აფუღუ დო ფუღუ წვერი ა უკუდა უკუწვერიო“*. ის კვერს იქვე შეჭამდა. დასასრულს, ვახშმად დასხდებოდნენ და სათითაოდ ყველას ჩამოურიგებდნენ საოთხშაურო ორ-ორ კვერს. მეორე დღეს, სამშაბათ დილას, ფეტვის მჭადს დასდებდნენ ტაბაკზე. უფროსი მას ატრიალებდა და თან დაილოცებოდა ოჯახის გამრავლება-ბედნიერებაზე. შემდეგ ამ მჭადსაც ოჯახის წევრებს გაუნაწილებდნენ.

საზოგადოდ *„თუთაშს“*-ს (ორშაბათს) მეგრელები განსაკუთრებული პატივით იცავდნენ. („ვაშინერსია“) ამ დღეს არ შეიძლებოდა მოგზაურობა და ოჯახიდან სხვაგან არ წავიდოდნენ. არაფერს არ გასცემდნენ, — ხელი გადაყვებაო. ორშაბათს არ შეიძლებოდა თავის დაბანვა, — ძმა მოგიკვდებაო, არც ტირილი და მიცვალებულის დასაფლავება, — ჩქარა ოჯახის სხვა წევრიც მოკვდებაო. ამ დღეს არ დაიწყეელიდნენ, რადგანაც წყეელა მალე ასრულდებაო და სხვა.

„საღმრთო-საოხორო“[1] სახლის სალოცავია და მას მეგრელები ასრულებდნენ აღდგომა დღეს. ამ სალოცავს თავისი ქვევრი — „ლაგვანი“ ჰქონდა მიჩენილი[2]. ოჯახის უფროსი აღდგომა დღეს ამ ქვევრის თავზე დაკლავდა ბატკანს ან გოჭს. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა.

---

[1] სიტყვა *„საოხორო“* ნიშნავს სამსახლო ადგილს, მიწას (იხ. *Н. Кипшидзе*, Грам. мингрельского языка, გვ. 295).

[2] *„ლაგვანი“* საზედაშე ქვევრია, რომელსაც მეგრელები „ოხვამერს“ (სალოცავს) უწოდებდნენ. ეს ქვევრები ჩაფლული იყო მარანში, რომელიც აქ ასრულებდა სამლოცველოს (ეკლესიის) როლს. წინათ, როდესაც სამეგრელოში ვაზი მრავლდებოდა, ოხვამერის ამ ქვევრებში ღვინოს ასხამდნენ და ისე ინახავდნენ. სალოცავი ქვევრების მოვლა და მეთვალყურეობა ოჯახის უფროსს ევალებოდა, ოჯახის გაყრის დროს, ძველად ოხვამერი ქვევრები ხელუსლებლად რჩებოდა და ძმათა შვილებს შორის საერთო საკუთრებად ითვლებოდა. შემდეგში კი ამ ქვევრებსაც იყოფდნენ. მხოლოდ „საღმრთო-საოხორო“-ს ქვევრი მაინც ალბად რჩებოდა დედა ფუძეში, სადაც განაყარი მოძმენი წელიწადში ერთხელ, აღდგომა დღეს, თავს მოიყრიდნენ და საერთო ხარჯით საღმთოს გადაიხდიდნენ.

ის, ამასთანვე, ოჯახში სიმშვიდეს იცავდა და ყოველგვარ უსიამოვნებას გაურბოდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდნენ ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და ოჯახის მამასახლისი მას წაიღებდა მარანში, დადგამდა სალმრთო-საოხოროს ქვევრის თავზე. იქვე მოიყვანდა ვაჟიშვილებს და ყველანი დაიჩოქებდნენ ქვევრთან. ოჯახის უფროსი ასე დაილოცებოდა:

„ღლაბი ჟაშხა ბედნიერი დო შვენიერი, ვიხვამანქ ჩქიმი საკუალეფიში საჯგიროთი, სი დეფარი ჭირიშე დო ფათარაკიშე. ღორონთი პატონი, ამ დღაშ ხვამა სი გომიტიბინე ჩილამო სკუალამო. მონწია ბრელი ქუმიონი, საქონეი, გაბრაი, კოჩი გაბედნიერი დო ჩქიმი საოხოროს ქოგმორჩინე“.

დღის კვირა ბედნიერო და მშვენიერო, ვლოცულობ ჩემი შვილების კარგად ყოფნისათვის, შენ დაიცავი ჭირისა და ფათერაკისაგან. ღმერთო ბატონო, დღეის ლოცვა შენ შემარგე ცოლ-შვილიანად, მოსავალი ბევრი მოიყვანე, საქონელი გაამრავლე, კაცი გაბედნიერე და ჩემს სამოსახლოზე დამბერეო.

ლოცვის დასასრულს, ის ქვევრს თავს მოხდიდა, ღვინოს ხაპით ამოიღებდა, დაილოცებოდა და შესვამდა, თუ ღვინო არ იდგა, ცარიელ ქვევრში საზედაშედ ღვინოს ჭიქით ჩაასხამდა. ერთ კვერსა და მსხვერპლის გულ-ღვიძლს იქვე შეჭამდნენ და ხონჩიანად სახლში დაბრუნდებოდნენ და ამ პატარა გუნდებს ზურგს უკან გადაისროდნენ: „ღმერთო, მას გააყოლე ჩემი ოჯახის ფათერაკი და ჩემ მიერ მის მოძებნამდე ოჯახს სიავე ააშორეო“.

ბოსლობა სამეგრელოში ნაადგომევის პირველი კვირის ხუთშაბათს იცოდნენ. ამ დღეს შინაურ საქონელზე ორ-ორ კვერს აცხობდნენ. კვერზე იყო ამა თუ იმ ცხოველის გამოსახულების რაიმე ნიშანი. საღამო ჟამს, ოჯახის უფროსი ამ გამომცხვარ კვერებს ხონჩაზე დააწყობდა და ბოსელში შევიდოდა. აქ ხონჩას დადგამდა და ღმერთს შეევედრებოდა საქონლის გამრავლებაზე და იტყოდა — რამდენი ბალანიც ჩემს საქონელს ასხია, იმდენი საქონელი მომეციო. შემდეგ საქონელს სათითაოდ ხელს გადაუსვამდა და კვერსაც შეაჭმევდა.

„*საოცოდინარო*“ მეტად საპატიო სალოცავად ითვლებოდა. მას ჰქონდა საკუთარი ქვევრი, რომელსაც არავინ არ უნდა მიჰკარებოდა. საოცოდინაროს ასრულებდნენ ნაადგომევს, დღე და რიცხვი მას განსაზღვრული არ ჰქონდა, არჩევანი ოჯახის უფროს

მამაკაცზე იყო დამოკიდებული. საოცოდინაროს ერთ წელიწადს გოჭით ან ბატკნით იხდიდნენ, მეორე წელს კი — თევზით. ამასთანავე, უნდა დაეკლათ მამალი ზედ ქვევრის თავზე ისე, რომ მამლის სისხლი შიგ ქვევრში ჩასულიყო. აცხობდნენ აგრეთვე ყველიან კვერებსაც. დილით ოჯახის უფროსი დიასახლისი გამომცხვარ კვერებს წაიღებდა მუხის ხესთან, დაიჩოქებდა იქ და დაილოცებოდა: „იცი და არ იცი, სძალო მადლო, გთხოვთ, თუ რამე შევცოდე და დავაშავე, ჩემი უცოდინარობით შეგვაძლებიო შენი ლოცვაო" (ამას ქართულად წარმოსთქვამდა). ლოცვის დასასრულს, კვერს იქვე მარტო შეჭამდა და იგი სახლში გამობრუნდებოდა. იმავე დღეს, შუადღისას, ოჯახის უფროსი მამაკაცი ხონჩაზე დაალაგებდა შემწვარ გოჭს, მამლის თავს, ყველიან კვერებს, საკმეველს, მიაკრავდა ანთებულ სანთლებს და მიიტანდა საოცოდინაროს ქვევრთან, თვითონ იქვე დაიჩოქებდა, ხონჩას მარჯვნივ ატრიალებდა და თან ღმერთს შეევედრებოდა — მიუტევოს მას ყოველი შეცდომანი მისი უვიცობით ჩადენილი და მისი ოჯახი დაიფაროს ყოველგვარი ბოროტებისაგან. შემდეგ შესვამდა. საკმეველს ნაკვერჩხალზე დაწვავდა, ცოტას დანაყრდებოდა და ხონჩიანად ბრუნდებოდა სახლში, სადაც სუფრას გაშლიდნენ და სადილობდნენ. ხონჩაზე დალაგებულ სანოვაგეს რძლებს არ აჭმევდნენ, ოჯახში დაბადებულებს კი შეეძლოთ მისი მირთმევა.

„*ჯგერაგუნა*"[1] ფუტკრის სალოცავია და მას ასრულებდნენ ამაღლებას. ამ დღეს დიასახლისი აცხობდა „ ვარაბინა" კვერებს, რომლებსაც ამზადებდნენ წმინდა პურისაგან. მჭადის ფქვილის კვერები არ შეიძლებოდა, რადგანაც ხალხის რწმენით, ფუტკარი მჭადივით ფიჭას გააკეთებს და თაფლიც ცუდი და უგემური იქნებაო. გამომცხვარ კვერებს კერის თავთან მიიტანდნენ, სანთლებს აანთებდნენ და იტყოდნენ:

„ჯგერ-აგუნა სკანი სახელი ხვამილი, ჩქიმი სკალეფი გამიშხუნე, ბრელი ქომიია, ჯგირ თოფური გაკეთებაფე, მავნე ალიან-ჩალიან შორიშა ქომირაი, თენა ჩქიმი სასარგებლო ქოია".

ჯგერ-აგუნა, შენი სახელი დალოცილი, ჩემი სკები გამიმრავლე, ბევრი მომეცი, კარგი თაფლი გააკეთებინე, მავნე სიბოროტე-სიავე შორს გაუქარვე, ეს ჩემ სასარგებლოდ გახადეო.

---

[1] ჯგერაგუნა შედგება ჯგერ-აგუნასაგან, რაც ნიშნავს წმ. აგუნას. ჯგერ, ჯგვირაგ. გეგე და სხვა ნიშნავს წმინდანს, აგრეთვე გიორგის (იხ. მაკალათია, ჯეგე-შისარონის კულტი საქართველოში, გვ. 19-20). აგუნა გურულ-მეგრულ მითოლოგიაში ღვთაების სახელია.

კვერებს იქვე შეჭამდნენ. ამ დღეს დაკლავდნენ ციკანსაც და მას შესწირავდნენ ჯგერაგუნას და სთხოვდნენ ფუტკრის გამრავლებას და კარგი თაფლის მოსავალს.

„გინორჩქილაფა“ სამეგრელოში იცოდნენ ელიობის წინა დღეს 19 ივლისს (ძვ. სტ.). რამდენიმე ქალი და კაცი ღამე ჩუმად გაიპარებოდნენ სადმე შორს და იქ მაღლობ ადგილზე დასხდებოდნენ, ხმასა და კრინტს არ დასძრავდნენ და განაბულები სმენად იყვნენ გადაქცეულნი. თუ რომელიმე ოჯახიდან მათ შეშის ჭრა მოესმოდათ, იქ მამაკაცი იმ წლის განმავლობაში უნდა მომკვდარიყო; თუ ღომის ცეხვა მოესმოდათ, მაშინ ქალი მოკვდებოდა, რამდენჯერ დაკრავდა საცეხველას, იმდენ წლის შემდეგო.

„*ეიობა*“-ს ასრულებდნენ „ჭეჭეთობის“ მეორე დღეს — 20 მკათათვეს. ხალხის წარმოდგენით, ეს დღე იყო ავსულებისა და კუდიანების დღესასწაული. ამ დღეს კუდიანები იკრიბებოდნენ ტაბაკონის მთაზე (მარტვილის მახლობლად მდებარე მაღალი მთაა), სადაც ისინი მიემგზავრებოდნენ საწნახელებით, რომელშიაც თეთრი მგლები იყო შებმულიო. ზოგი კუდიანი დედაკაცი თეთრ მგელზე შეჯდებოდა თურმე და ხელში თითის ტარით ტაბაკონისაკენ გაემგზავრებოდაო. ტაბაკონაზე ელიაობა ღამეს კუდიანები დიდის მოლხენით დროს ატარებდნენ, აქვე ბჭობდნენ ადამიანების ბედ-იღბალზე და ბოროტ გეგმებს იმუშავებდნენო. მათგან თავდაცვის მიზნით, ოჯახებში აკეთებდნენ თაფლის სანთლის პაწია ჯვრებს და მას მიაკრავდნენ ოჯახის ჭურჭელს, საქონელს და ადამიანებს შემდეგი სიტყვებით: „ჯვარი აქა, ჯვარი აქა, შენი სვი და შენი ჭამე, ამას (დაასახელებენ) ჯვარი დაუწერე, ფუი ურიასა“-ო (ამას ქართულად ამბობდნენ). კუდიანების მოჯადოებისაგან ყანებიც რომ დაიფარონ, ასეთივე ჯვრიან ჯოხებს ყანაში დაარჭობდნენ. ნივთებსა და ტანისამოსს ყუთებში ჩაკეტავდნენ, რადგანაც ხალხის რწმენით, იმ ღამეს კუდიანები სახლებში შეიპარებოდნენ და თუ ვინმეს ტანისამოსს იპოვნიდნენ, მაშინვე ამოჭრიდნენ და ამ ნაჭერს პატრონის მოსაჯადოებლად თან წაიღებდნენო. ამის გამო, ოჯახის უფროსები ელიობა ღამეს ფხიზლობდნენ, გაუქრობელი სანთელი ენთო, რომ კუდიანები სახლში არ შესულიყვნენ.

ხალხს ეს კუდიანები წარმოდგენილი ჰყავდა სხვადასხვა ცხოველის სახით, უმეტესად კი კატის სახით. თუ ელიობა ღამეს სახლში შავი კატა შემოძერებოდა, მაშინვე დაიჭერდნენ მას, სცემ-

დნენ უწყალოდ, ცხვირ-პირს ცეცხლზე შეუტრუსავდნენ და შემდეგ კი კატას კარში გააგდებდნენ. სოფლის ახალგაზრდობა ამ ღამეს არ იძინებდა, ეშინოდათ მოჯადოების, შეიკრიბებოდნენ სოფლის მოედანზე და დროს ცეკვა-თამაშობაში ატარებდნენ. იქვე ანთებდნენ ცეცხლის კოცონს, ზედ ხტებოდნენ და გაიძახოდნენ: „ალული კუდიანებსაო“. ელიობის მეორე დღეს ოჯახში გამოაცხობდნენ მოზრდილ ხაჭაპურს, ხონჩაზე დასდებდნენ მას და ზედ ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ამ ხაჭაპურიან ხონჩას კერის ცეცხლთან მიიტანდნენ, დიასახლისი ამ ხონჩის ქვეშ ნამგალს სამჯერ გამოატარებდა და იტყოდა:

„წმ. ეიასი ქოვთხილე დაჩხირიშე, მარცხიშე დო ზიანიშე, სი ნიმეჩა ათეში იშე დაჩხირს ძალას.“

წმ. ელია, შენ დაგვიფარე ცეცხლისაგან, მარცხისაგან და ზიანისაგან. შენ ნუ მიცემ ამაზე ზევით ცეცხლს ძალასო.

„ჟინიში ხვამ“. ჟინიშის[1] ლოცულობდნენ ივლისში კვირა დღეს. დაკლავდნენ ციკანს სადმე სახლიდან მოშორებით და იქვე მოხარშავდნენ. აცხობდნენ კვერებსაც და ჟინიშის შეევედრებოდნენ საქონლისა და ადამიანის მფარველობასა და გამრავლებას. ვისაც დათქმული ჰქონდა „ჟინიშის“ ხვამა, მას წმ. გიორგის ეკლესიაში შესაწირავად მიჰქონდა რკინის ორკაპიანი ბოძალი, რომ მის ოჯახს მეხი არ დასცემოდა. ამ ბოძალს შეუკვეთავდნენ მჭედელს და სანთელსაკმეველით მიჰქონდათ წმ. გიორგის ხატში: ილორში, ჯეგეთაში, სოფ. ხეთაში და სხვა ძლიერ წმ. გიორგის ეკლესიაში. თუ ადამიანი ჟინიშის „ბრალით“ ავად გახდებოდა, მას წაიყვანდნენ ილორის წმ. გიორგის ხატში, შესაწირში მიჰქონდათ ავადმყოფის სიგრძის სანთელი და ვერცხლის ძაფი (წვრილი მავთული). ჟინიშით დაავადებულ ადამიანს ბნედიანის ნიშნები ჰქონდა თურმე, იგი ბორგავდა და ზოგჯერ ადამიანსაც ერჩოდაო. ასეთ ავადმყოფს მიიყვანდნენ ილორში და შესთხოვდნენ „ჟინიშს“ მის განკურნებას.

„ჯაშქეჩერი“[2]. ამ რიტუალს ასრულებდნენ სამურზაყანოში მარიამობის 15 აგვისტოს, როდესაც ყურძენი და ხილი მწიფდება. აქაური ვაზი საერთოდ მაღლარია და რომ ხილისა და ყურძნის მკრეფავი ხიდან არ ჩამოვარდეს, ასრულებდნენ ასეთ წესს: მარი-

---

[1] სიტყვა „ჟინიში“ ნიშნავს ზემორეს, ზეციერს.

[2] ილორში ამბობენ „ჯაშქეშია“.

ამობა დღეს, ოჯახში გამოაცხობდნენ იმდენ კვერს, რამდენიც იყო ოჯახის წევრი. ყველანი აიღებდნენ სათითაოდ თავიანთ კვერებს, მივიდოდნენ დანიშნულ ხესთან, რომელზედაც ვაზი იყო მირგული, მას მარჯვენა ფეხს მიადგამდნენ, ქვეშ კვერს გამოატარებდნენ და დაილოცებოდნენ:

„დღარ მარაშონაში მოზოჯუა, სქანი ტიბინი ქომუჩი სი, სოთ იშევლათი, ხუმელა გამილადირი, ჯერლ გამგარ, გურ გამგარ, სქან ტიბინი ქომუჩი".

დღეს მარიობის მობრძანებას, შენი წყალობა მომეცი მე. სადაც ავიდე, ხმელი გამინედლე, ნედლი გაამაგრე, ძარღვი გამიმაგრე, გული გამიმაგრე, შენი წყალობა მომეცი.

დასასრულს, კვერს მკერდზე მიიკრავდნენ და შემდეგ იქვე შეჭამდნენ.

„*შქვითული*" იცოდნენ ჭირნახულის აღებისა და დაბინავების შემდეგ, ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ორშაბათ დღეს. ამ დღეს დაკლავდნენ შვიდ სულ სხვადასხვა ცხოველს და აქედან არის წარმომდგარი მისი სახლწოდებაც — შქვითულიც, რაიც ნიშნავს შვიდეულს. შქვითულში უნდა დაეკლათ: გოჭი, ბატკანი, ხბო, მამალი, იხვი, ციკანი და თევზი. აგრეთვე აცხობდნენ პურის, ფეტვის და სიმინდის კვერებს. ოჯახში დაიწვევდნენ მოკეთეებს. სადილის წინ ყველა მამაკაცი ოჯახის უფროსის წინამძღოლობით მივიდოდა შქვითულის ქვევრთან და იქ დაიჩოქებდა. იქვე დასდებდნენ ხონჩას, რომელზედაც ელაგა კვერები და დაკლული ცხოველების გულ-ღვილძლი და თავები. ოჯახის უფროსი ქვევრის თავს მიაკრავდა ანთებულ სანთლებს და სამადლობელო ლოცვას წარმოსთქვამდა კარგი და დოვლათიანი მოსავლისათვის. სთხოვდა ღვთაებას ოჯახის კეთილდღეობას და მფარველობას. იქ დამსწრენი საკმეველს თავზე შემოავლებდნენ და მას ნაკვერჩხალზე დასწვავდნენ. დასასრულს, შქვითულის ქვევრს თავს მოხდიდნენ, დანაყრდებოდნენ და ყველანი ბრუნდებოდნენ ოჯახში, სადაც გაიმართებოდა სადილი.

„*საჯვევო*"-ს ასრულებდნენ შემოდგომაზე და მას მიუჩენდნენ ერთ ძროხას. როდესაც ეს ძროხა პირველ სახარე ხბოს მოიგებდა, იმას ჯეგეს (წმ. გიორგის) შესწირავდნენ. დანიშნულ დღეს ამ ხბოს დაკლავდნენ და გამოაცხობდნენ აგრეთვე ყველიან კვერებს.

საკლავის თავს და მის გულ-ღვიძლს, ხაჭაპურის კვერებს და ლავაშებს ხონჩაზე დაალაგებდნენ, გარშემო ხონჩას მიაკრავდნენ ანთებულ სანთლებს და ოჯახის უფროსი ასე დაილოცებოდა: „წმ. გიორგი ჯეგე, სქანი ტიბინი სი ქომუჩი, ჩილი დო სკუა გამიბრალი, ქოვთხილე ირი ფათარაკიშე. ჯეგე, ოთაღუ სქანი ტიბინი სი ქომუჩი, სქანდა მა თუდ მითომიჭოფუ დო სქანი სახელი ხვამირი“ და სხვა. (წმ. გიორგი ჯეგე, შენი წყალობა მომეცი, ცოლი და შვილი გამიმრავლე, დამიფარე ყოველივე ფათერაკისაგან. ჯეგე, მოგვანიჭე მრავალი წყალობა, მეყავ მფარველი და სხვა).

„*სანწკელო*“-ს იხდიდნენ შემოდგომით. ამ სალოცავს ქვევრი ჰქონდა მარანში ჩაფლული. ლოცვის დღეს აცხობდნენ ლავაშის ფორმის პურს, აანთებდნენ სანთლებს. ოჯახის უფროსი ქვევრის თავთან მუხლს მოიყრიდა და ასე დაილოცებოდა: „მარდიან მანცხვარ წკნელ, სქანი ტიბინი სი ქომუჩი მა (იტყვის სახელს), ჩქიმი მოთასი დო გამნაჭყამს“-ო (მადლიანო მაცხოვარო წკნელ, შენი წყალობა მომეცი მე, ჩემ შვილიშვილს და შთამომავალსო).

„*ხეხუჯო*“ ხელ-მხარის სალოცავია და მას 31 დეკემბერს ასრულებდნენ.

ამ დღეს ოჯახის თითოეულ წევრზე აცხობდნენ ორ-ორ კვერს და მოხარშავდნენ თითო კვერცხს, რომელსაც დაალაგებდნენ ხონჩაზე და კერის პირას დადგამდნენ.

პირველად კერასთან მიდიოდა ოჯახის უფროსი, ის ხონჩას მარჯვენივ მოატრიალებდა და დაილოცებოდა:

„ხეხუჯი ბედნიერი დო მშვენიერი, ჩქიმი ხე დო ხუჯიშ ნაქიმინათ ჩქიმი გური გაახარი, ჩქიმი ხე დო ხუჯიშ ჯგირობუას სი ქიგმორჩინე. ხეში ტახა, ხუჯიშ ჭუა მა დო ჩქიმ ჩილი დო სკუას შორიშა ქიგომირადითი“.

ხელმ-მხარი ბედნიერი და მშვენიერი, ჩემი ხელისა და მხარის ნაჭარით ჩემი გული გაახარე, ჩემი ხელი და მხარის ჯანმრთელობით შენ დამბერე. ხელის ტეხვა, მხარის ტკივილი მე და ჩემ ცოლშვილს გაგვიქარვეო.

უფროსის შემდეგ, ოჯახის დანარჩენი წევრები რიგით მივიდოდნენ ხონჩასთან, გაიმეორებდნენ იმავე ლოცვას და თავიანთ კვერსა და კვერცხს იქვე შეჭამდნენ.

ხეხუჯობას განსაკუთრებით ასრულებდნენ მჭედლები და იმ ღამეს მჭედლები იხდიდნენ „*ოჭკადირეშიშ ოხვამერს*“ (სამჭედლოს ლოცვას). ხეხუჯობას მჭედლის ოჯახში დაკლავდნენ გოჭს

და გამოაცხობდნენ კვერებს. საღამოს ამას ხონჩაზე დაალაგებდნენ, იქვე დადებდნენ სამჭედლოს იარაღებს: ქურას, კვერს, გაზს და სხვა ხელსაწყო-იარაღებს. ამ ხონჩას მჭედელი შეიტანდა მარანში, სადაც სამჭედლო ქვევრი იყო ჩაფლული, თუ არადა, სამჭედლოში წაიღებდა. ქვევრთან მას წაჰყვებოდნენ მხოლოდ მამაკაცები, დედაკაცი კი სახლში რჩებოდა და იქ ლოცულობდა კვერებითა და სანთლებით. მას იმდენი სანთელი უნდა ჰქონოდა, რამდენიც ოჯახიდან გამოთხოვილი ქალი იყო. თუ ოჯახიდან გამოთხოვილი ქალი ახლოს იყო, იგი თვითონვე გამოგზავნიდა კვერსა და სანთელს, თუ არადა, მის წილ სანთელსა და კვერს ოჯახში დაამზადებდნენ. მჭედელი დაიჩოქებდა ქვევრთან და ასე დაილოცებოდა:

„სუმოშ სუმონეჩ სუმ ხელუაშ გორჩქინუ წმ. სოლომონ მარდიანი, სქანი ტიბინი სი ქომუჩითი ჩქიმ ბაბუშ გიმნარყის, მოთას, სკუას დო ოჯახიშ მედგუმუს. სქან მოხვეწე ვორეთ ამდღა, ჩილაფირ ვორეთ დო მემიტეთ, წმ. სოლომონ სქანი სახელი ხვამილი, ბედნიერი ხვამა ქომიი“ და სხვა.

სამას სამოცდასამი ხელობის გამჩენო წმ. სოლომონ მადლიანო, შენი წყალობა მოგვეცი ჩემ ბაბუის შთამომავალს, შვილსა, შვილი-შვილს და ოჯახის მიმდგომს. შენი მხვეწარი ვართ დღეს, შემცოდარი ვართ და გვაპატიე, წმ. სოლომონ, შენი სახელი დალოცვილი, ბედნიერი ლოცვა მოგვმადლე და სხვა.

ლოცვის დასასრულს, ხელის მუჭებს შეკრავდნენ და ერთმანეთზე დააწყობდნენ. ზედ მჭედელი შეკრულ მუჭას დაადებდა და შიგ წყალს ან ღვინოს ჩაასხამდნენ. სითხე მუჭებში მილივით გავიდოდა ძირს და უფროსი იტყოდა: „წმ. სოლომონქ წყარიშო მიდეონას ჩქინი საქმე“-ო (წმ. სოლომონმა წყალივით წაიყვანოს ჩვენი საქმეო). მჭედელი ქურაზე კვერს დაჰკრავდა და იტყოდა: „შენი წყალობა მოგვეციო წმ. სოლომონ“.

სამჭედლოს ძველ სამეგრელოში ერთგვარი პატივისცემით ეკიდებოდნენ. ფიცი და ხატზე გადაცემა იცოდნენ სამჭედლოში. როდესაც მჭედლის ოჯახში ვაჟი დაიბადებოდა, სამჭედლოს სწირავდნენ ციკანს და შესთხოვდნენ ვაჟის გაზრდასა და მჭედლობაში დახელოვნებას. ხალხის რწმენით, ვინც ამ წესს არ შეასრულებდა, იმ ოჯახში დაბადებული ბავშვი იქნებოდა ბეჩავი და ავადმყოფი. ასეთ ბავშვს მუცელი ებერებოდა და უფერული იყოო. ამიტომ ვაჟი რომ დაიბადებოდა, სამჭედლოს სწირავდნენ მამალ ციკანს,

ქალის დაბადებისას კი, „ხოზო კვარს“ (ყველიან კვერს). ოჯახიდან გამოთხოვილ ქალს ვაჟი რომ შეეძინებოდა, იმას მამის სახლში უნდა გამოეგზავნა მამალი ციკანი. ქალი თუ ეყოლებოდა, „ხოზო კვარს“ აგზავნიდა.

ასეთი იყო მეგრული წარმართული წესების ძველი კალენდარი. მაგრამ, ამასთანავე, არსებობდა აგრეთვე რიტუალური წესებიც, რომლებსაც არ ჰქონდა განსაზღვრული დრო და რიცხვი და ეს წესები სრულდებოდა ამა თუ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობა, შინაური საქონლის გამრავლება, ჭირნახულის დოვლათიანობა და სხვა.

ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იყო *„ოდუდია სამგარიო“*[1], რომელსაც ოჯახის უფროსი თავის სასიმრთელოდ იხდიდა. ამ სალოცავს ასრულებდნენ ზამთარში დეკემბრის ან იანვრის ერთ რომელიმე დღეს და აცხობდნენ ოთხ ყველიან კვერს, დაკლავდნენ აგრეთვე გოჭსა და მამალს. ყველა ამას ხონჩაზე დაალაგებდნენ, მიაკრავდნენ ანთებულ სანთლებსაც და ოჯახის უფროსი მამაკაცი თავისი უფროსი ვაჟის თანხლებით, ხონჩას „ოდუდია სამგარიოს ლგვანთან“ მიიტანდა. ორივენი იქვე დაიჩოქებდნენ. უფროსი ხონჩას მარჯვენივ სამჯერ მოაბრუნებდა, რომ ღმერთმა მას მისცეს ჯანსაღობა, დაიფაროს ყოველგვარ სენისა და ცუდი შემთხვევისაგან. შემდეგ ქვევრს თავს ახდიდა და შიგ საზედაშედ ღვინოს ჩაასხამდა. სანთელსა და საკმეველს თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხალზე დასწვავდნენ. ერთ კვერს, მამლის თავსა და გოჭის გულ-ღვიძლს იქვე შეჭამდნენ და შემდეგ ხონჩიანად ბრუნდებოდნენ სახლში, სუფრას გაშლიდნენ და ოჯახის უფროსს დალოცავდნენ.

„სადაბადო“ ქალის სალოცავი ქვევრი იყო, რომელიც ცალკე ემარხა მიწაში ოჯახის „ოხვამერი“-ს ცოტათი მოშორებით. სადაბადოს იხდიდა ოჯახის დიასახლისი და ამისათვის ის დააყენებდა ძროხას და როცა სახარე ხბოს მოიგებდა, დაკლავდა მას და სადაბადოს ილოცებოდა, შესთხოვდა ღმერთს ჯანმრთელობას და ქმარ-შვილის ბედნიერ ცხოვრებას. თუ ძროხა ფურს მოიგებდა,

---

[1] სიტყვა „დუდი“ ნიშნავს თავს, „სამგარიო“ კი შემოკლებულია და ნიშნავს სამიქელგაბრიოს, „ოდუდია სამგარიო“ — თავის ჯანსაღობაზე ლოცვას. თუ ვაჟს პატარაობიდან რაიმე ცუდი სენი, ანუ ავზნე დაჰყვებოდა, მშობლები მას „ოდუდია სამგარიო“-ს დაუწესებდნენ და ამისათვის „სამგარიო“ ქვევრსაც მიუჩენდნენ.

მაშინ იგი სადაბადოს ილოცებოდა კვერებით, ფურს კი საძროხედ გაუშვებდა. როცა „სადაბადო“ ძროხა დაბერდებოდა, მას დაკლავდნენ, სამაგიეროდ, მის ფურს დააყენებდნენ „სადაბადოდ“.

„*თემიშ ხვამა*“ იცოდნენ წელიწადში ერთხელ რომელიმე დღესასწაულთან დაკავშირებით. ამ დღეს მოგვარეები საერთო ხარჯით დაკლავდნენ ზვარაკს და შეიკრიბებოდნენ სოფლის მოედანზე, სადაც ოჯახებს მიჰქონდათ სანთელ-საკმეველი. აქ ყველანი დაიჩოქებდნენ, თემის უხუცესი წევრი მათ სანთლებს ჩამოართმევდა და ამ სანთლებს ერთად შეკრავდა, ჯოხზე დააკრავდა და ისე შემოუტარებდა დაჩოქილ ხალხს. თემის უხუცესი, ამასთანავე, წარმოთქვამდა ლოცვას, რომელშიაც ის ღმერთს შესთხოვდა თემის გამრავლებას, მშვიდობიან და კეთილ ცხოვრებას, მტრებზე გამარჯვებას და სხვა. დასასრულს, დაკლულ ზვარაკის ხორცს გაინაწილებდნენ, ჯოხებზე წამოაცმევდნენ და თავიანთ ოჯახებში ბრუნდებოდნენ.

„*იენა ლატარიში*“ ან „*საიანოშო*“-ს ასრულებდნენ ჯვარში წელიწადში ერთხელ და ამ სალოცავს რამდენიმე მოძმე ერთად იხდიდა. ზოგიერთი ოჯახი კი თვითონ მოაწყობდა მას და მოძმეებს დაპატიჟებდა. ამ დღეს დაკლავდნენ ღორს, მოხარშავდნენ ყველიან ან ქონიან კვერს ორ ცალს და დაილოცებოდნენ „გეკულა“ დღეს (ორშაბათს, ხუთშაბათს ან შაბათს). როდესაც მოძმეები თავს მოიყრიდნენ, მათი უფროსი ადგებოდა, ხელში აიღებდა ანთებულ სანთლებს და დაილოცებოდა: „იენა ლატარიში[1] სკანი სახელი ხვამელი დო დიდებული, ქომუჩითი სინთელე დო გომორძგუა ირო ჯგირო დიმორინეთი ჩქინი ჩილამო დო სკუალამო“ და სხვა. (შენი სახელი დალოცვილი და დიდებული, მოგვეცი სიმრთელე და გამარჯვება, მუდამ კარგად გვამყოფე ჩვენი ცოლითა და შვილებით).

„*ნაფრა*“. ვისაც ხელ-ფეხი ეხუთებოდა ან ფეხის ძვლის ტეხვა ჰქონდა, ისინი განკურნებას შესთხოვდნენ „*ნაფურნახეს*“. ლოცვის წინ დაკლავდნენ ბატკანს და რძეში მოხარშავდნენ. რძეშივე მოხარშავდნენ ყველიან ხუთ კვერს, მაგრამ ამ ყველს ღორის წამალა

---

[1] ეს ზემო სვანეთშია „ იან ლატლიშ“, რომლის ეკლესია ლატალშია სოფელ იენაში და ლოცულობენ იონა ლატალის სახელით. როდესაც ქალებს თვალები ასტკივდებათ, ამ ხატს სწირავენ ფეტვის მჭადს. ამ ეკლესიის (იონა წინასწარმეტყველის) ხატ-ჯვრები აღწერილი აქვს უვაროვას (იხ. მისი Мат. по археол. Кавказа, т. I, с. 179).

(ყველის შესადედებელი ხსნარი) არ უნდა ჰქონოდა. შემდეგ ავადმყოფს ჩუმად სადმე განმარტოებულ ადგილზე მიიყვანდნენ, რომ იგი არავის დაენახა: ეს ადგილი ღორის ნავალი არ უნდა ყოფილიყო და მათ არც ღორის ნავალი გზით უნდა გაევლოთ. დანიშნულ ადგილზე ავადმყოფი დაიჩოქებდა და ის პირს დასავლეთისაკენ იბრუნებდა. მლოცველი შეევედრებოდა:

„ნაფურნახე[1] დიდებული, სქანი სახელი დიდებული, სქანი ტიბინი სი ქიმერი თეში მახვამალს (იტყვიან ავადმყოფის სახელს), კუჩხიში ჭუა, ძვალიში ტახა, შორიშა ქიგურადი სქანი სახელი ხვამილი"-ო (ნაფურნახე დიდებულო, შენი სახელი დიდებული, შენი წყალობა მიეცი ამის მლოცველს, ფეხის ტკივილი, ძვლის ტეხვა შორს გაუქარვე-ო).

დასასრულს, კვერებს იქვე შეჭამდნენ, საკმევლის ნაცვლად ავადმყოფს თავზე ნახშირს შემოუტარებდნენ და იქვე გადააგდებდნენ. თუ კვერები ვერ შეჭამეს, დანარჩენს იქვე მიწაში ჩაფლავდნენ. თუ ნაფრას კვერი სხვამ შეჭამა, იმანაც „ნაფრა" უნდა გადაისადოს, თორემ მას ფეხი ატკივდებაო.

„დიხაშ-ხვამა". იმ ადგილას, სადაც სახლი უნდა დაედგათ, ოჯახის უფროსი მივიდოდა და მიწას ოთხჯერ ამოთხრიდა. ხელში აიღებდა ოთხ კვერს, რამდენიც კუთხე სახლს ჰქონდა. ოთხ ქვაზე ოთხ ანთებულ სანთელს მიაკრავდა და ასე დაილოცებოდა: „დიხაში ნერჩი ბედნიერი ქომი თე ადგილი დო ოხორუ, კოჩიში დო ორინჯიში გამრავლება, ჯგირი ოფა" და სხვა (მიწის ნერჩი-ფუძეევ, ბედნიერი იყოს ეს ადგილი და სამოსახლო, ადამიანისა და პირუტყვის გამრავლება, კარგად ყოფნა და სხვა).

„წყარიშ გოჭოფუა". თუ წყლიდან რაიმე ავადმყოფობა ამოყვებოდა (ბანაობის დროს, გაცივება თუ სხვა შემთხვევის გამო), ასეთ ავადმყოფს მიიყვანდნენ იმ ადგილას, სადაც მას ავადმყოფობა შეეყარა. აიღებდნენ ცულს და მისი პირით წყალს ჩაასხამდნენ გოგრის ქერქში და იტყოდნენ: „თე ლახარა თეშ დასქირე, მუჭო თე წყარი ჭურასია" (ეს ავადმყოფობა ისე დააშრე, როგორც ეს წყალი გოგრაშიო). ამ წყლიან გოგრის ქერქს საკიდელზე ჩამოკიდებდნენ და წყალიც ჩქარა ამოშრებოდა.

---

[1] *ნაფურნახე*, როგორც ლოცვიდან ჩანს, ღვთაების სახელია, მისი დაბოლოება – ხე მოწმობს, რომ იგი ქალღმერთი უნდა ყოფილიყო.

„*ჯანალინი*“. ვის ხეზეც მეხი დაეცემოდა, ის ოჯახი ხატისაგან ითვლებოდა დამიზეზებული და გალახული — „ჟვარილი“. ამიტომ ოჯახს უნდა ელოცა — „განალინი“. ეხვეწებოდნენ ილორის წმ. გიორგის დაეფარა მათი ოჯახი მეხისა და ცეცხლისაგან. შემდეგ ბატკანს ან ციკანს შესაწირად წაიყვანდნენ ილორში და იქაც ლოცულობდნენ.

ერთი სიტყვით, ასეთი იყო მეგრული წარმართული ხასიათის სალოცავები, რომლებსაც ოჯახის კეთილდღეობისათვის წლის განსაზღვრულ დროში ასრულებდნენ ოჯახის უფროსები. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ამ ლოცვების უმეტესი ნაწილი დაკავშირებული იყო ოჯახის კერასთან, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ საკულტო ადგილს, სადაც ოჯახის დიასახლისი ლოცულობდა ფუძე-ნერჩის გამრავლებაზე.

როგორც ცნობილია, ადამიანს პირველად კერამ აგრძნობინა სიცოცხლის სიტკბოება. კერის ცეცხლი მას სადგომს უნათებდა და უთბობდა, მან განუმტკიცა ადამიანს ოჯახის საფუძველი და მშობლიური სიყვარული. კერის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში ჩვენ შორეულ წინაპართათვის კულტის მიმართულებით გამოიხატებოდა კერისადმი ღვთაებრივ თაყვანისცემაში. კერის კულტი, ამის გამო, ყველგან გავრცელებული იყო, დღესაც მოიპოვება მისი მრავალი გადმონაშთი[1]. კერისადმი რწმენის გამო ქართველ ხალხს ოჯახის სათანადო რიტუალიც შეუქმნია. ახალ-წელიწადს ჩვენში მეკვლე პირველად კერის ცეცხლს ულოცავდა. მას აჩაღებდა შერჩეული ფიჩხებით და ზედ ხტებოდა. სვანეთში კერის სალოცავი „კელემზირი“-ც არსებობდა, რომელსაც წელიწადში ერთხელ ოჯახის უფროსი დიასახლისი ასრულებდა. ის გამოაცხობდა კვერებს, რომელსაც კერის ფეხთან ატრიალებდა და თან კერას შესთხოვდა ოჯახის ბარაქას, ადამიანისა და საქონლის გამრავლებას. კერა ჩვენში აგრეთვე ოჯახის უფლებათა მატარებელი იყო და ყოველი მისი წევრი ჯერ კერის წევრი უნდა გამხდარიყო, რისთვისაც მოითხოვდნენ სათანადო სიმბოლური წესების შესრულებას. მით უმეტეს, ეს იყო გვაროვნულ ოჯახში, სადაც კერა წინაპართა სულების სადგომად ითვლებოდა და

---

[1] *ს. მაკალათია*, „გვაროვნული საზოგადოების შემეცნებისა და რწმენის სამყარო“ (იხ. საზოგადოებრივი ფორმათა განვითარების ისტორია, ტფ. 1928 წ., გვ. 99-114).

მის წინაშე ყველანი მოკრძალებას განიცდიდნენ. ამით აიხსნება ჩვენში გავრცელებული ჩვეულება — პატარძლის კერის გარშემო სამჯერ შემოტარება და შემდეგ პატარძლის მიერ საკიდელზე ხელის წავლება, რომლის შემდეგ, იგი ხდებოდა ოჯახის ფაქტიური წევრი. კერა ჩვენში დიდ სიწმინდედ ითვლებოდა და მტრობის დროს კერის დანგრევა უდიდეს შეურაცხყოფად მიაჩნდათ. ოჯახის უფროსი კერის გარშემო ასრულებდა საოჯახო სალოცავებს, განაგებდა და იცავდა კერის სიწმინდეს და აგრეთვე მოსამართლეობდა. სვანეთში, მტრისაგან დევნილი პირი თუ ოჯახში მოასწრებდა შევარდნას და კერის საკიდელზე ხელის წავლებას, მაშინ მტერს არ შეეძლო მისთვის რაიმე ზიანი მიეყენებინა, რადგანაც ის კერის სიწმინდემ დაიფარაო.

სამეგრელოში კერის ცეცხლზე წყლის დასხმა და ჩაქრობა არ შეიძლებოდა, იტყოდნენ „ვაშინერსია". მეგრელები კერის ცეცხლზე ფიცულობდნენ და იწყევლებოდნენ. კერის ცეცხლს ორშაბათობით და ახალ წელიწადს ოჯახიდან არ გასცემდნენ, ოჯახს ბარაქა არ ექნებაო და სხვა. ამგვარად, აქ მოტანილ მეგრული სალოცავების ერთ ნაწილში და განსაკუთრებით *„ფუძეშ ოხვამერში"* მოცემულია კერის თაყვანისცემის საყურადღებო წესები.

ამ სალოცავების ნაწილი კი დაკავშირებული იყო „ოხვამერ ლაგვანთან", როგორიც იყო სალმრთო, საოხორო, საოცოდინარო, შქვითული, სამგარიო, სადაბადო და სხვა, რომლებსაც უწოდებდნენ საერთოდ *„ოხვამერს"*. ეს „ოხვამერი" მოთავსებული იყო მარანში, რომელიც ითვლებოდა სამლოცველო ადგილად, სადაც გარდა ოჯახის უფროს მამაკაცისა, არავის შეეძლო შესვლა და სამლოცველო რიტუალის შესრულება. ქალს მარანში არ შეუშვებდნენ და მას არც რაიმე რიტუალის შესრულება შეეძლო მარანში მოთავსებულ ქვევრებთან. სალოცავ ქვევრებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ: ზოგი მათგანი საერთო საოჯახო იყო, ზოგი კი — პიროვნული. მაგალითად: *„ოდუდია-სამგარიო"* ოჯახის უფროს მამაკაცსა და უფროს ვაჟს ეკუთვნობდა. პიროვნული ქვევრი პატრონის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა *„ბენი"* ე.ი. თავისუფალი და მას ოჯახის უფროს ვაჟს მიუჩენდნენ. თუ ოჯახში ვაჟის შეძენისას თავისუფალი ქვევრი მარანში არ აღმოჩნდებოდა, მაშინ მისთვის ახალ ქვევრს იყიდნენ და მარანში ჩაფლავდნენ. სალოცავი ქვევრების მოვლა-პატრონობა ოჯახის უფროს მამაკაცს ჰქონდა მინდობილი. მისივე განკარგულებაში იყო აგრეთვე სალო-

ცავი ქვევრების გამოსარეცხი იარაღები და ღვინის ამოსაღები ხაპი „ხირკე“, რომელსაც იგი სხვა საჭიროებისათვის არ ხმარობდა და იქვე მარანში ინახავდა. ამას გარდა, ოჯახის უფროსის მოვალეობას შეადგენდა ყველა სალოცავის წესების ცოდნა და რიტუალის შესრულება. ლოცვის დასრულებამდის მას გული არ უნდა მოსვლოდა და არც არავისთვის ნება მიეცა, რომ ხონჩაზე დაწყობილი სანოვაგიდან თუ გინდ ერთი ნამცეცი პირში ჩაედო,



მეგრული „ოხვამერის“ ქვევრები: 1. „სამგარიო“, 2. „სალმრთო-საოხორო“, 3. „საოცოდინარო“, 4. „შქვითულ“, 5. „საწაჩხურე“, 6. „სადაბადო“.

რაც ცოდვად ითვლებოდა და სასტიკად იყო აკრძალული.

მამასახლისის ეს უფლება-მოვალეობანი მემკვიდრეობით გადადიოდა მის უფროს ვაჟზე. ძმების გაყრის დროს, სალოცავი ქვევრები ხშირად მათ საერთო მფლობელობაში რჩებოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ძმები ქვევრებსაც იყოფდნენ და მხოლოდ „სალვთო“-ს სალოცავის ქვევრს საძმოდ დედა-ფუძეში ტოვებდნენ და აქ მთელი საძმო თავს იყრიდა და საერთო ხარჯით „სალვთო“-ს გადაიხდიდნენ.

ახლა ჩვენ გადავალთ ადამიანის ეკონომიკურ ცხოვრებასთან

დაკავშირებულ რიტუალის აღწერაზე. გლეხური მეურნეობა უმთავრესად დამყარებული იყო მიწათმოქმედებაზე და მესაქონლეობაზე, რაც სოფლის მოსახლეობის საარსებო წყარო იყო. გლეხს სწამდა, რომ მას შეეძლო შელოცვებითა და სხვა ჯადოსნური ხერხებით საქონლისა და ჭირნახულის გამრავლება.

შინაური საქონლის გამრავლების მიზნით, მეგრელები ასრულებდნენ: „*მობენება*“-ს. ძროხა რომ პირველად ხბოს მოიგებდა, მის ნაწველს „დააბენებდნენ“, ე. ი. ერთი კვირის განმავლობაში პირველად მოწველილ რძისაგან გაკეთებულ ყველს არ შეჭამდნენ და ინახავდნენ. შემდეგ ამ ყველს ხონჩაზე დააწყობდნენ, ძროხასთან მიიტანდნენ, ძროხას რქებზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ და ოჯახის დიასახლისი დაილოცებოდა: „ჟინი ღორონთი, ათე ჩხოუს ძუძუ გუჭყანიერი, სი გაბრაი მუდა თუმა მიკოჩანს, თიზმაშე“-ო (მაღალო ღმერთო, ამ ძროხას ძუძუ მიეცი ლონიერი, შენ გაამრავლე იმდენად, რამდენიც მას ბალანი ასხიაო). ამის შემდეგ ძროხის ყველს თავისუფლად ჭამდნენ.

„ჟინი ანთარი“[1]. დიდ მარხვაში კერაზე გამოაცხობდნენ ერთ დიდ მჭადს, რომელსაც ოჯახის უფროსი დადებდა ტაბაკზე და დაილოცებოდა:

„ჟინი ანთარი, პატენი გომორძგვილი! ჩქიმი ორინჯი სი ამიშინი; ოშოშო გეშაფჭოფუნდეე დო მუთას მააკორდგდასგნი, უსაფუ დო ხაფილც ვაიშებჩინენდეე თეში.“

ზეციერო ანთარო, ბატონო გამარჯვებულო, ჩემი საქონელი შენ გაამრავლე, ასობით ვიჭერდე და არაფერი აკლდებოდეს, უშობელსა და ხბოიანს ვერ ვარჩევდე ისე.

ლოცვის დასასრულს, მჭადს დაჭრიდნენ და შეჭამდნენ. რაც ნამცეცი დარჩებოდა, მოაგროვებდნენ — ბუზებისა და ყვავების კერძიაო და დილაადრიან მას სახლის ბანზე დაყრიდნენ, რომ ოჯახი ბუზებმა არ შეაწუხონ და სიმინდი ყვავებმა არ გააფუჭონ.

---

[1] ნიშნავს ზეციერი ანთარი. *Н. Кипшидзе*, Грам. мингрельского языка, იხ. „ანთარი ჟინი“, გვ. 194-195. *ს. ბაკალათია*, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, გვ. 184-185.

„ისკიოდობა“. პირველი მაისიდან საქონლის პატრონი ძროხის ნაწველს „გოჭოფუნდუ“, ე.ი. შეკრავდნენ ერთი კვირით და ამ ხნის განმავლობაში რძის ნაწარმი არავის ეჭმეოდა. შემდეგ ერთი კვირისა, გამოაცხობდნენ კვერებს, რომელშიაც ამ ყველს ჩადებდნენ. გამომცხვარ კვერებს ხონჩაზე დაალაგებდნენ, ოჯახის უფროსი ვაჟებს წაიყვანდა და ამ ხონჩას წაიღებდა „ისკიოდაშ ჯასთან“ (ხესთან), რომელიც სახლიდან მოშორებით იდგა და ეს ხე იყო მუხა ან ცაცხვი. ამ ხესთან ხონჩას დადგამდნენ, დაიჩოქებდნენ და ოჯახის უფროსი შეევედრებოდა „ტყაშ პატონს“ — ტყის ბატონს, რომ მას დაეფარა შინაური პირუტყვი ნადირისაგან. შემდეგ აიღებდნენ სანთელს, აანთებდნენ მას და მიაკრავდნენ ხეზე. ძროხის ბალანს ბურთივით დაახვევდნენ, შიგ ლურსმანს გაუყრიდნენ და ხეზე მიაკრავდნენ, თან იტყოდნენ: „ათაშ კიბირ გურგილე უჭუ-უხაშუში მაჭკომალს“ — ასე კბილი გაუციავ (უმისა) შეუმწვარ-მოუხარშავის მჭამელსო. ამის შემდეგ, შინ ბრუნდებოდნენ და ყველიან კვერებს შეჭამდნენ.

„გალენიში ორთა“. საქონლის პატრონი, რომ დაეცვა შინაური პირუტყვი მოარული სენისაგან, „გალენიში ორთა“-ს მიუჩენდა კურატს ან ციკანს და სანიშნოდ მას ყურს ააჭრიდა. გაივლიდა ერთი ან ორი წელიწადი, ამ შესაწირავს დაკლავდნენ, გამოაცხობდნენ კვერებს და გააკეთებდნენ „ელარჯს“. შემდეგ დააწყობდნენ ხონჩაზე კვერებს, ყველს, თეთრ ფულს, ღვინოს, საკლავის გულღვიძლს და სხვა. დაიწვევდნენ ვისაც კარგი ფეხი ჰქონდა და ის დაილოცებოდა: „გალენიში ორთა დიდებული სკანი სახელი ხვამილი, სი ქოთხილე უბადო ალიან-ჩალიანიშე ჩქიმი ორინჯი, გამიბრალი დო თიში ნაბრალითი ჩქიმი გური გახარია“ (გალენიში ორთა, დიდებული, შენი სახელი დალოცვილი, შენ დაიფარე ცუდი შემთხვევისა და სიავისაგან ჩემი საქონელი, გამიმრავლე და მისი ნამრავლით ჩემი გული გაახარეო). დასასრულს, ღვინოს მაღლა აასხამდნენ და იტყოდნენ — ამდენი საქონელი გაგვიმრავლეო.

„ოცაშხურე“ იცოდნენ ყველიერის ხუთშაბათს და ამ დღეს ლოცულობდნენ საქონლის გამრავლებაზე. აიღებდნენ დიდ ყველს და გამომცხვარ კვერებს, ოჯახის უფროსი აანთებდა სანთლებს და დაილოცებოდა: „ცააშხა დიდებული, სი გაბრალი ჩქიმი საქონელი, ქომითხილე ირი უბადოშე, ლახარა შორიშა ქიგარაგი, ჩხოუს ბრელი ჭვალა ქემეჩი, ფუჯით დო ხოჯებით იოფში ჩქიმი სადგიმია“. ცააშხა (ხუთშაბათი) დიდებული, შენ გაამრავლე ჩემი

საქონელი, დაიცავი ყოველივე ცუდისაგან, ავადმყოფობა შორს გაუქარვე, ძროხას კარგი წველა მიეცი, ფურითა და ხარებით აავსე ჩემი ოჯახიო).

სხვადასხვა ხასიათისა იყო ბუნების მოვლენასა და ჭირნახულის მოსავალთან დაკავშირებული რიტუალი.

„სოფელიში ხვამა“ იცოდნენ გაზაფხულზე, როდესაც სოფელი ხვნა-თესვას მორჩებოდა. სოფელი საერთო ხარჯით იყიდდა საკლავს თხას ან ცხვარს, ზოგჯერ კურატსაც. ოჯახის უფროსები შეიკრიბებოდნენ სოფლის მოედანზე და აქ სოფლის უფროსი დაილოცებოდა კარგს ამინდზე და ჭირნახულის დოვლათიან მოსავალზე. შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და გაინაწილებდნენ. აქვე დაადგენდნენ პარასკევ დღეს არ ემუშავათ, რომ ავდარმა და გვალვამ ჭირნახული არ გააფუჭოსო. ვინც ამას დაარღვევდა, სოფელი მას დასწყევლიდა — „ვინოჩამა“. ამ დღიდან პარასკეობით არ იმუშავებდნენ.

„ბორიაშ ოხვამერი“. ამას ასრულებდნენ ქარის წინააღმდეგ სიმინდის დატარიანების დროს, რომ ქარს ტაროიანი სიმინდი არ დაემტვრია. ამისათვის ოჯახის უფროსი მამაკაცი დაკლავდა წიწილას და თვითონვე გააკეთებდა, შემდეგ შემწვარ წიწილას სიმინდის ყანაში წაიღებდა და იქ დაილოცებოდა, რომ ქარმა არ გააფუჭოს ჩემი ყანაო და წიწილასაც მარტო იქვე შეჭამდა.

„სკიბუშ ოხვამერი“. შობა-კალანდას შუა, ერთ რომელიმე დღეს, გამოაცხობდნენ „ჭვიშთარს“ (ყველიანი ან ქონიანი მჭადია), მიიტანდნენ მას ხელის საფქვავთან უფროსი დაილოცებოდა: „ღმერთო, ამის დაფქული მუდამ ხვავიანი და გემრიელი იყოსო, ჩემს ოჯახს არასოდეს დაკლებოდეს ამის ნაფქვავიო“ და სხვა.

„ღუმუშ ოხვამერი“. როდესაც ღომი თავთავს იკეთებდა, მაშინ გამოაცხობდნენ კვერებს და წაიღებდნენ ყანაში, სადაც კვერებს მიწაში ჩაფლავდნენ, ზედ ჯვარს დაასვამდნენ, თან ღმერთს შეეხვეწებოდნენ — ბევრი ღომი მოგვეციო.

„ურზენიში ოხვამერი“. ყურძნის დამწიფების წინ გამოაცხობდნენ კვერებს, ვენახში წაიღებდნენ და იქ მიწაში ჩაფლავდნენ, თან ლოცულობდნენ, რომ ღმერთმა ყურძნის ბევრი მოსავალი მოგვცეს, ღვინო კარგი და მაგარიო.

„ძივავა“. როდესაც დადგებოდა გვალვა, მაშინ სოფლის გოგოები გააკეთებდნენ დედოფალას, რომელსაც ქალურად მორთავდნენ. დედოფალას სოფელში შემოატარებდნენ, შემდეგ მას

ქალები დაიტირებდნენ, წყალში გადააგდებდნენ და დაასრჩობდნენ — წვიმა მოვაო. ზოგჯერ სოფელი საკლავსაც დაკლავდა და შესთხოვდა ცა-ღრუბლის უფროსს ნამის მოცემას.

„ჯორგოთობა“. ნაკრძალი დღე იყო და ამისათვის 13 ივნისს უქმობდნენ. სოფელში არავინ მუშაობდა, რომ გვალვამ ნათესები არ გააფუჭოსო.

„კოხინჯრობა“-ც ნაკრძალი დღე იყო და 13 მაისს უქმობდნენ. არავინ მუშაობდა, რომ კოხმა და ავდარმა ნათესი არ გააფუჭოსო.

„მესეფობა“ იცოდნენ ოქტომბრის დასასრულს და ნოემბრის თვის დასაწყისამდე გრძელდებოდა, ე.ი. 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდის. ხალხის წარმოდგენით, მესეფი იყო წყლის დედა და იგი ამ დროს ზღვიდან ამოდიოდა. მესეფი შეიძლება კაციც და ქალიც ყოფილიყო. თუ ნაბდიანი კაცი მესეფობას ზღვიდან გამოვიდოდა, მაშინ იმ წელიწადს წვიმა და ავდარი იქნებოდა, თუ ქალი ლეჩაქიანი გამოვიდოდა, ის წელიწადი ტაროსიანი იქნებოდა. ქალს მცველად ფინია ძაღლი მისდევდა და მესეფობას მონადირე ვერ წავიდოდა სანადიროდ, — მესეფი დამამიზეზებსო.

ამას გარდა, სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენებით გაჟღენთილი იყო სამეგრელოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაც და ადამიანი ცდილობდა სხვადასხვა სახის მაგიური წესების შესრულებით, მოეპოვებინა ჯანმრთელობა და ოჯახის კეთილდღეობა.

როდესაც ადამიანს ჰქონდა *„ხურება“* და ამის გამო მას აციებ-აცხელებდა, მაშინ ავადმყოფს საღამოობით სამჯერ „სუმ გეკულას“ — ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს მიიყვანდნენ ერთ დიდ მუხასთან და მას იქ მიაბამდნენ ბამბის ძაფით, ზოგან კი სხვადასხვა ფერად ნაჭრებისაგან დაგრეხილი თოკით. მესამე მისვლისას, ავადმყოფს ეს სარტყელი მუხისაგან უნდა მოეგლიჯა და იტყოდა: „გომიტალენქი დო გოიტალე, ვაგომიტალენქო, ვაგოიტალე“ (თუ გამიშვებ, გაგიშვებ, არ გამიშვებ და არც მე გაგიშვებო). ამას იტყოდა სამჯერ, სარტყელს გაგლეჯდა და ავადმყოფი გაიქცეოდა. ზოგან მუხას ასე ეტყოდნენ: „შენ იჩემებ — მუხას გავახმობო, მუხა გაახმე, ციება მუხას შეეყაროსო“. შედეგ აიღებდნენ ნემსს ან ლურსმანს, მიაკრავდნენ მას მუხას და იტყოდნენ: „ჩემი ხურება და ციებ-ცხელება შენთვის ჩამიბარებია“-ო.

„კორკოცე“ ბავშვს რომ დაემართება, ბავშვს ახველებს და იგი ცუდად ხდება. მაშინ ავადმყოფ ბავშვს სამჯერ გაატარებენ კაკლის ფესვში და შეევედრებიან კაკლის ანგელოზს კორკოცესაგან ბავშ-

ვის განკურნებას.

ადამიანი ხიდან რომ ჩამოვარდება, მაშინვე მას იმ ხის ირგვლივ სამჯერ შემოატარებენ და იტყვიან: „ხე ხმელი და შენ (იტყვიან სახელს) ნედლიო". შემდეგ იქ, სადაც ადამიანი დაეცა, მიწას ამოთხრიან, შიგ ნაპოვნ ნახშირს ამოიღებენ, დანაყავენ და წყალში გახსნიან. ამ წყალს ხიდან ჩამოვარდნილს შეასმევენ.

„ბატონები". მეგრულად მას *„ჰატონეფი"* ეწოდება. *ქუნთრუშას, წითელას, ყელჭივრებას, ყბაყურას* — *„ ვა ვირე"* და ყვავილს, საერთოდ, დიდ ბატონებს ეძახიან. ხალხის წარმოდგენით, ყვავილ-ბატონები ოჯახს სიზმარში ევლინება ახლგაზრდა ქალის ან ვაჟის სახით. თუ იგი ქალის სახით მოეჩვენათ, სახადი მსუბუქი იქნება, თუ ვაჟისა — მძიმე იქნებაო. ყვავილიან ავადმყოფს არ მკურნალობენ და არც რაიმე წამალს შეასმევენ, — ბატონები გაჯავრდებიანო. მას ართობენ სიმღერით და ჩონგურზე დაკვრით, უმღერიან იავნანას. ოჯახში არ საქმობენ, ნემსს ხელში არ აიღებენ, არც სადილს აკეთებენ და ყველაფერს მეზობლები უგზავნიან. ხმაური, ჩხუბი და აყალ-მაყალი ყვავილიან ავადმყოფთან სასტიკად აკრძალულია. ძღვენში მოჰყავდათ თეთრი ვარიები, რომელსაც თავი, გული და ფეხები წითლად ჰქონდა შეღებილი, ზოგჯერ თეთრ ვარიას წითელი ნაჭრებით მორთავდნენ და ავადმყოფს ისე მიჰგვრიდნენ. ღორს არ დაკლავდნენ და არც მის ხორცს ჭამდნენ. რასაც ყვავილიანი ავადმყოფი მოისურვებდა, უნდა შეესრულებინათ, თორემ ბატონები სახადიანს შეაწუხებენო. თუ ავადმყოფი მოითხოვდა მეზობლის ცხვრის ან ხბოს ხორცს, ბატონების შიშით, მაშინვე უსრულებდნენ მოთხოვნას. თუ ავადმყოფობა გართულდებოდა, მაშინ მოიხმობდნენ ბატონებნახად სამ კაცს „შემხვეწეს", რომლებიც დაიჩოქებდნენ ავადმყოფთან, მიწას ჰკოცნიდნენ, ცოტა მიწასაც შეჭამდნენ და ისე ევედრებოდნენ ყვავილ ბატონებს ავადმყოფის განკურნებას. ხატს შეუთქვამდნენ საწირსაკლავს და ავადმყოფის „ჯინჯი" ხატში გაგზავნიდნენ. განსაკუთრებით ევედრებოდნენ წმ. ბარბარეს, რომელსაც სთვლიდნენ ბატონების მამიდად და ამ ბარბარეს ეკლესიაში აგზავნიდნენ შესაწირავს, რომელშიაც იყო თეთრი ფულები, აბრეშუმის ძაფი, წითლად შეღებილი კვერცხები და სხვა. განკურნების შემდეგ, ავადმყოფს მიიყვანდნენ ბარბარეში ფეხშიშველს და იქ შეახვეწებდნენ მას ბატონების მშვიდობიანად მოხდის შესახებ. ვისაც ყვავილის მოხდის შემდეგ, დაჰყვებოდა რაიმე სიმახინჯე — სიბრმავე, დაყრუება,

სიმუნჯე და სხვა, გააკეთებნენ „*ხელ-ძღვენს*“ — ხაჭაპურს, ქათამს, ზოგი ციკანსაც დაკლავდა და ამ ხელძღვენიანად ავადმყოფს მიიყვანდნენ იმ ოჯახში, სადაც ბატონები იყო და იქ შეეევედრებოდნენ ბატონებს ავადმყოფის განკურნებას.

ამასთანავე, მორწმუნე ადამიანს სამეგრელოში დაცდილი ჰქონდა ამა თუ იმ მოვლენის ავ-კარგიანობა, რომლის მიხედვით, იგი მომავალზე წინასწარმეტყველებდა. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს: 23 აპრილს, გიორგობას, გლეხი კარში გაიტანდა კვამლიან მუგუზალს და უცქეროდა კვამლის მიმართულებას; თუ კვამლს ზღვაური დაუბერავდა, ავდარი იქნებაო, თუ მთის ქარი — გვალვა იქნებაო. „*თბორილიშ ბორია*“ — გურიის ქარი დილით ქრის — წვიმაა, საღამოთი კი — ტაროსიაო. ზემოური ქარი — კარგი ამინდია, ჯვარული ქარი — კი ავდარია. იტყოდნენ: „ონჯუაშ გურულია, ნოდიშა ირულია“ (საღამოს გურიის ქარმა თუ დაბერა, ნადის მოსაწვევად გაიქეცი). თუ გოჭები თამაშობენ — წვიმა იქნებაო; კატა თუ დასავლეთით პირს იბანს, წვიმააო, თუ ჩრდილოეთით — ტაროსიო. თუ კატას ბეწვი დაეწვის — თოვლი მოვაო. თუ ცხენმა დაიფრთხიალა — თოვლი მოვაო. ჩიტები თუ გროვდებიან და მიწაზე სხდებიან — თოვლი იქნებაო. ბოლოქანქარა თუ სახლის ახლოს დაჯდება, ოჯახში ხმლიანი კაცი შემოვაო. საკიდელი თუ დაიხმაურებს, სტუმარი მოვაო. ოფოფის დანახვა და ოჯახში შესვლა არ ვარგა — გლოვას მოასწავებსო. ბუ, სადაც დაიკივლებს, იქ ადამიანი მოკვდებაო. მოლაღურის ეზოში შემოსვლა არ ვარგაო, ის თავის ბარტყებს ეძებს და ტირისო და ოჯახშიც მწუხარება შეაქვსო. მერცხლის ჭიკჭიკი სახლში ვაჟის შეძენას ნიშნავსო. კურდღელი ადამიანს გზაში თუ შეხვდა — არ ვარგაო, უნდა გაბრუნდეო. მამალი თუ კარზე შემოფრინდა და სახლში შემოიყივლა, ეს მწუხარების ნიშანიაო და ვინმე ცუდ ამბავს მოიტანსო. ქათმები თუ საღამოს ხეზე ადრე ადიან, ეს შიმშილის მომასწავებელიაო. თუ მამალმა ადრე დაიწყო ყივილი, სოფელში მავნე კაცი შემოვაო და სხვა.

ცისარტყელას რომ დაინახავდნენ, პირზე ხელს დაიფარებდნენ — კბილებს გააფუჭებსო. ვის სახლსაც ცისარტყელა დაადგება, იქ კაცი მოკვდებაო. ახალი მთვარის დანახვისას, იტყოდნენ: „თუთა ახალი, ღორონთ სი გამახარი, სი ჯვეში დო მა ახალი“ (მთვარე ახალი, ღმერთო შენ გამახარე, შენ ძველი და მე ახალიო). სინჯავდნენ ოქროს ნივთს და სარკეში იცქირებოდნენ. კუდიანი

ვარსკვლავის გამოჩენა ნიშნავს მეფის ტახტიდან გადმოგდებას და ომიანობასო.

„ქაცარიში რეკვინ“, როდესაც თხა ციკანს მოიგებს, სანამ ახალდაბადებული ციკანი დაიკიკინებს, ადამიანმა აუნდა დაასწროს მას და თქვას: „გაკობე, გაკობე, გაიზარდე ციკანო“. თუ არა და, ციკან ნაკობნ ადამიანს ხშირად წამოსცდება საწყენი სიტყვებიო. სანამ მერცხალი მოფრინდება და მას პირველად დაინახავენ ან გაზაფხულზე მის ხმას გაიგონებენ, ყოველ დილა წყალნარევ ღვინოს შესვამენ. შემდეგ რომ დაინახავენ მერცხალს, დაიძახებენ: „მერცხალო, მერცხალო, გაკობეო“, თუ არადა, მერცხლის ჯობნა ცუდიაო.

გუგულისა და მოლალურის ხმას სანამ პირველად გაიგონებდნენ, დილაადრიან ცოტა შენაყრდებოდნენ. მათ ხმას რომ გაიგონებდნენ, დაიძახებდნენ — „გაკობეო“. ახლად გამოჩეკილი წიწილის დანახვისას, უნდა შენაყრდე, თუ არადა, ადამიანს გულის დალევა მოუვაო.

ყვავზე გამარჯვების მიზნით, ყველიერის დიდ მარხვაში ნასუფრალიდან რაც დარჩებოდა — ცოტა ყველს, ხაჭაპურს, კვერცხს და სხვა, ჩადებდნენ კვერცხის ნაჭუჭში და დილაადრიან სხვის ყანაში გადაადგებდნენ და დაიძახებდნენ სამჯერ — „ყვავო გაკობეო“. ამის შემდეგ, ყვავი ოჯახს ქათმისა და ჭირნახულის ზარალს არ მიაყენებსო. ახლად დაბადებულ გოჭთან მივლენ საღორეში, ყურებზე თითებს დაიცობენ და იტყვიან — გაკობეო“. თუ გოჭმა დაასწრო და დაიჭყივლა, მაშინ სიარულის დროს, ყოველთვის ტალახი მოგეცხებაო.

ასოთსამლერელი. თუ ყური გიწივის, კაცი მოკვდებაო; თუ ყური გექავება, ავდარი იქნებაო; თუ ცხვირი გექავება, საწყენი შეგხვდებაო; თუ თვალი გექავება, ცხენიანი კაცი მოვაო; თუ წამწამი უთამაშებს, უცხო კაცს დაინახავო და სხვა.

„ვაშინერსი“ ნიშნავს აკრძალულს, რისი ხსენება და გაკეთება თუ შესრულება არ შეიძლება. ეს სიტყვა ნაწარმოებია *„შინუ“*-დან, რაც ნიშნავს ხსენებას, აქედან „ვაშინერსი“ არსახსენებელი ან უხსენებელი. ამ ვაშინერსის ქვეშ მოქცეულია ყველა ის აკრძალული მოქმედება და საგნები, რომელთა ხსენებას და შესრულებას შეუძლია ადამიანსა და მის ოჯახს უბედურება მიაყენოს. ასეთი შიშის გამო, მორწმუნე მეგრელები წინათ სასტიკად იცავდნენ „ვაშინერსის“ წესებს. ვაშინერსის ანალოგიურ წესებს ადგილი ჰქონდა ყველა კულტურული ერის ცხოვრებაში, საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ პერიოდში და ის ეთნოგრაფი-

ულ ლიტერატურაში ცნობილია „ტაბუ“-ს სახელწოდებით[1]. ტაბუს მიზანი იყო ადამიანი დაეცვა ყოველგვარი მავნე სულებისა და ბოროტი ძალების ზეგავლენა-მოქმედებისაგან.

სამეგრელოში ამ „ტაბუ“-ს ან „ვაშინერსი“-ს გადმონაშთებს დღემდის მოუღწევია. მაგალითად, როდესაც სახლში აბრეშუმის ჭია ჰყავთ, რომ ამ ჭიას ზარალი არ მიაყენოს თაგვმა და ჭიანჭველამ, მათი ხსენება არ შეიძლება — „ვაშინერსი“. სახელის ნაცვლად, თაგვზე იტყვიან „კიბირ მოჭკადირი“ (კბილებ მოჭედილი), ჭიანჭველაზე კი — „პუხ ტახირი“ (ზურგ გატეხილი), მელას უწოდებენ „კუდელ ქვაჩალა“ (კუდ ხუჭუჭა), გველს — „უსახელოს“, მგელს — „ნოტყელს“. ამას გარდა, აკრძალულია („ვაშინერსი“) ორშაბათობით ოჯახიდან გასვლა და მგზავრობა, არც ფრჩხილებისა და თმის მოჭრა შეიძლება, იტყვიან ძმა მოუკვდებაო. ავადმყოფთან მიცვალებულის სახელის ხსენება „ვაშინერსი“ და სხვა (იხ. ხალხური ჩვეულებანი გვ. 159-290).

წყევლა. ხაჯალურს გიგობუნუანდანი, თეში გაალებური (ისე გაგიუდი, რომ ხაჯალურით იყო დასაბმელიო).

ჩქიმ მარძგვან კილეშე ძვალ ვეშელანი, თინა სოიშა ვეგნოილუან, თეიშა სკანი საშუელი ვემეჩამირი (სანამ ჩემ მარჯვენა მკლავიდან ძვალი არ ამოიღო და იგი არ გადაგავლონ, მანამდის შენი ხსნა ნუ იქნება).

სქან სკუა დო მოთაშენი ხეჭკურელი დოგიხუნუდასი (შენს შვილზე და შვილისშვილზე გულხელდაკრეფილი დამჯდარიყავი).

ჯეგეში ბორზალი გეთხაფილი სქან უჯგუშ ოროფილს (ჯეგეს ე.ი. წმ. გიორგის ბოძალი დაეცეს შენს საუკეთესო საყვარელს).

თეშ დიგოშინუასი ღორონთქია, ჩქიმი ნათუხა ჩერია ვაგონჭუნდასია (ღმერთმა ისე დაგასიოს, რო თითის ტარზე ჩემი ნართი არ გაგწვდებოდესო).

ჯვარული ჯეგე მისარონქი გიგაჭყორუა დო მეზობელიშ ჩხულეფიში გითანჯირალო გინორთუმდასი სქანი ოჯახი (ჯვარული წმ. გიორგი — მისარონი გაგიწყრეს და მეზობლის ძროხების დასაწოლად იქცეს შენი ოჯახიო).

ჯაშქვინდაქია ჯას-ქიგაკირასია, თეშ ქიგოკირუდასი ირი სიავე თიშ ოჯახისია (როგორც სვია ხეს შემოეხვევა, ისე შემოეხვიოს

---

[1] Джеимс Фрезер, "Табу - запреты", Золотая ветвь, вып. II, 1928 г.

მის ოჯახს ყოველივე სიავე) და სხვა.

მორწმუნე ადამიანს, ამასთანავე, სწამდა არსებობა სხვადასხვა სულისა, რომელიც მის წარმოდგენაში იყოფოდნენ კეთილ და ბოროტ არსებად. ეს სულები ბინადრობდნენ ტყე-ველებში და მათ კეთილ განწყობაზე იყო დამოკიდებული ადამიანის პირადი ჯანმრთელობა და მისი ოჯახის კეთილდღეობა. ასეთია, სხვათა შორის, მეგრული: „*ტყაში-მაფა*", „*ოჩოკოჩი*" „*ჭინკა*", „*წყარიშ-დიდა*", „*მაზაკვალი*" და სხვა.

მეგრელების წარმოდგენით, „*ტყაში-მაფა*" — ტყის დედოფალი ტყეებში ცხოვრობს და ნადირთა პატრონია. ტყაში-მაფა ლამაზი ქალია, რომელსაც აქვს ორი გრძელი და ოქროსფერი ნაწნავი. მონადირის ბედ-ილბალი მასზე იყო დამოკიდებული. თუ იგი მონადირეს წყალობდა, მონადირის ტყვია ნადირს არ აცდებოდა, თუ გინდ მას თოფი უკულმა გაესროლა. ტყის დედოფალი ადამიანის შეხვედრისას, მას სახელს თურმე დაუძახებდა, მაგრამ ადამიანს მისთვის ხმა არ უნდა გაეცა, თორემ ჭკუიდან შეშლიდაო. ტყის დედოფალს მამაკაცი თუ მოეწონებოდა, ის მოისურვებდა მასთან სქესობრივ კავშირს რამდენიმე ხნით. მამაკაცს თავისი სურვილი უნდა ენიშნა თითებით, თუ რამდენი თვით ან წლით შეეძლო ტყის დედოფალთან ცხოვრება. ამის შემდეგ, ისინი ერთმანეთთან იჭერდნენ სქესობრივ კავშირს და მამაკაცის ოჯახს ამ დღიდან მფარველობას უწევდა ტყის დედოფალი, რომლის წყალობით, ოჯახს მოელოდა ყოველივე სიკეთე, ბედნიერება და დოვლათიანობა. მაგრამ მამაკაცს ყველაფერი ეს დიდ საიდუმლოებად უნდა შეენახა და არავისთვის არ უნდა ეთქვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტყის დედოფალი მას დაწყევლიდა და მის ოჯახსაც გააუბედურებდაო.

„ოჩოკოჩი" ხალხის წარმოდგენით მამაკაცი იყო, რომელსაც ცული აქვს მხარზე გადებული და ამით ცდილობს კაცი მოკლას. ის ადამიანის მტერია და ჭამს კაცის ნათეს-ნაამაგარსო. ოჩოკოჩი დიდი ტანისაა, მსხვილია და ბალნით შემოსილიო. იგი ბინადრობს ძველ ციხე-კოშკებში და გამოქვაბულებშიო. აქ ოჩოკოჩი მგზავრებს ყარაულობს თურმე და ცდილობს მსხვერპლის ხელში ჩაგდებას. ადამიანს იგი ემტერება, ცულს დაარტყამს და მოკლავს, შემდეგ წავა და მის სარჩო-ჭირნახულს შეჭამსო. ოჩოკოჩს მხოლოდ ცეცხლისა ეშინია და ამიტომ, ვინც გამოცდილია, ის ღამე ცეცხლს დაანთებს ტყეში ან გამოქვაბულთან, რომ მას არ მიეპაროს ოჩოკოჩი და ცულით არ მოჰკლასო.

„*ჭინკა*“ — ხალხის წარმოდგენაში ბავშვის ტანისაა, ის ტიტველია და აქვს დიდი ყურები. ჭინკები ტყეში ცხოვრობენო. ადამიანს გზის პირას დახვდებიან და სახელს დაუძახებენ. ჭინკა ადამიანს იმასაც ეტყვის თურმე, თუ იგი სად მიდის, გულში რას ფიქრობს და ჯიბეში რა უდევს. თუ ადამიანი სახლში მარტოხელა დაიგულა, ჭინკა სახლში შევა, მიუჯდება კერას და ადამიანს ესაუბრებაო. მაგრამ ჭინკას ცეცხლისა ეშინია და თუ ვინმემ მუგუზალი მოუქნია, მაშინვე გაიქცევაო. ხალხის რწმენით, ჭინკას არც ვნება შეუძლია და არც სარგებლობის მოტანა, იგი მხოლოდ ადამიანს აფრთხობს სახელის დაძახებითო.

„*წყარიში დიდა*“ — თეთრი ქალიშვილია და სატრფოს ეძებს და თუ ვინმე მამაკაცი დაიჭირა, მოხიბლავს მას და დაიმორჩილებს. ასეთი მამაკაცი ოჯახში უგონოდ და უგულოდ არის, იგი სახლში ვერ მუშაობს, გარე-გარე დადის და გატაცებულია წყლის დედის სიყვარულითო.

უნდა ითქვას, რომ მეგრელებს ყველაზე საშიშ არსებად მიაჩნდათ ავი და ბოროტი სულები, რომლებიც წარმოდგენილი ჰყავდათ კუდიანებისა და ეშმაკების სახით. ესენი ადამიანსა და მის ოჯახს მტრობდნენ, ამიტომ ცდილობდნენ სხვადასხვა მაგიური მანიპულაციებითა და შელოცვებით მათგან თავდაცვას. წინათ სამეგრელოშიაც სწამდათ ავი თვალის არსებობა, რომელსაც შეეძლო ყველაფრის მოხიბლვა-მოჯადოება და ამის საწინააღმდეგოდ გამომუშავებული იყო მრავალი შელოცვაც.

სამეგრელოში შელოცვების უმეტესი ნაწილი ქართულად არის დაცული, მათი შინაარსი შემლოცავ დედაკაცებს დღეს არც კი ესმით, მხოლოდ ის იციან, რომელი შელოცვა რა ავადმყოფობას რგებს. შელოცვათა შორის ყველაზე გავრცელებულია ნათვალავის შელოცვა. ავი თვალის არსებობა მორწმუნეებს სწამთ და ის შემლოცველი დედაკაციც, რომლის შელოცვაც სჭრის, მათში ერთგვარ პატივში იყო. ერთმა შემლოცავმა დედაკაცმა ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ გაითქვა მან სახელი, მიპასუხა — ხელი მიჭრისო, რასაც შელოცვით ხელს შევახებ, ის ავი თვალისაგან მაშინვე განიკურნებაო. მაგრამ, სამაგიეროდ, ავი სულები ღამე არ მასვენებენ, მძინარეს ყელში მიჭერენ და დაღრჩობას მიპირებენო. შემლოცველებს ეშინიათ განსაკუთრებით ელიობა ღამეს, რომელიც ხალხის რწმენით, კუდიანებისა და ავსულების დღესასწაულად ითვლება. ხალხის წარმოდგენით, ავთვალნაკრავ ადამიანს ჭამის მადა ეკარგებოდა, ის უგუნებო და გულმავიწყი ხდებოდა, ფიზიკურად სუსტდებოდა და ფერსაც ჰკარგავდა. ასეთ ადამიანს

ლამე ცუდად ეძინა, ვერ ისვენებდა და ხშირად ბოდავდა. ავადმყოფის ავი თვალისაგან განსაკურნავად მოჰყავდათ შემლოცველი, რომელიც ხელში აიღებდა ნახშირსა და შავტარიან დანას. ნახშირს ის დანით ფხეკდა, ნახშირის ფხვნილს სულის შებერვით აბნევდა და თან ძალზე ამთქნარებდა. შეულოცავდა ჩურჩულით, რომ მისი სიტყვები არავის გაეგონა. ზოგჯერ ისე ძლიერ ამთქნარებდა, რომ თვალებიდან მოსდიოდა ცრემლები, რომლის მიხედვით, ის იგებდა, თუ როგორი სიძლიერით იყო ავადმყოფი ავი თვალისაგან მოხიბლული. ზოგჯერ ნათვალავს შეულოცავდნენ საჭმელზე და მას მოხიბლულს შეაჭმევდნენ. გარდა ამისა, ნათვალავის წინაალმდეგ ხმარობდნენ სხვადასხვა თილისმას. აიღებდნენ სამკუთხედად გამოჭრილი ტყავის პატარა ნაჭერს, რომელზეც ჩადებდნენ მგლისა და მელიის პაწაწინა ნაღველას, მათ ფრჩხილებს, გულისა და თვალის ნაწილებს, სამოთხის საკმეველს, დიდი ოთხშაბათის სეფისკვერ-ნაწილს, სამკურნალო ბალახს და შემდეგ ამ ტყავს აბრეშუმის ძაფით შეკრავდნენ. ამ თილისმას გაუყრიდნენ სამფერა ძაფისაგან — წითელი, თეთრი და შავისაგან დაგრეხილ ზონარს და გულზე დაიკიდებდნენ. სახლ-კარის ავი თვალისაგან დასაცავად ეზოს ღობეზე ჩამოჰკიდებდნენ ცხენის თავს, სახლის კარებზე კი მიაკრავდნენ ნალს და გახვრეტილ ქვას.

„*ნათვალავის შელოცვა*"-ს მეგრელები უწოდებდნენ „*ნათოლე*"-ს. სახელისა ღვთისა, მამისა და სულისა წმიდისა, ლოცვანი ნათოლესი: თვალს ნაცარი, გულს ლახვარი, სამოცი და სამი წმ. გიორგის ბორძალი დაეცეს ამის მოარმეს, ამის მოქიშპეს, ამის (იტყვიან ავადმყოფის სახელს) ავი თოლითა და სულითა შემხედველს. ქალი იყოს მაინც, კაცი იყოს მაინც, დიდი იყოს მაინც, მას შენ გადააყარე უფალო ღმერთო მოწყალეო, ცხელი ღადარი. ამას შენ არგე ლოცვა ჩემი, მლოცველი მე ვარ, რგებელი შენ ხარ. დედა მარია ქალწული და მიქელ-გაბრიელი ჯდიდა სამოთხის კარსა, მოვიდა მიქელ გაბრიელი მთავარანგელოზი და ჰკითხა, დედა მარია ქალწულო, რას ტირი? რას ჟივი? რას ჰყრი ოქრო პირთა ცრემლსა? გაციოდა ვარდსა ვარდისა. ბატონო მიქელ-გაბრიელო, მთავარანგელოზო, რავა რას ვსტირი, რავა რას ვჟივი, შენ რომ უკან სასეირნოდ გაბრძანდი, მოვიდა ქუთაიდან ერთი გრძნეული ურიის ქალი შავიანი, ოქროს კარზე ყური მომიტეხა, გახურებული ქვაი გამიხეთქა, ქრისტეს სკამი წამიქცია. ქსელი გევიდგი საქსოვი, თავშესაქცევი ამიწყვიდა, დამიწყვიდა, მეც დამაყრეია მხარი, რა არის მისი წამალი, შენ უნდა დამასწავლო? რა არის და დედა-მარია ქალწულო, ადექ, ნაკვერჩხალს წყალი

დაასხი, ისე დეექცევა ავი თოლისას თოლი. წითელი ქალი და კაცი მოდიოდა, წითელი ფოჩხი მოქონდა, წითელი წყალში ჩოუყო, წითელი გველი ამოიყვანა, გველმა გასკდა, მოგისმან გაჭკნა, რასაც მელო ვორასა, ვორასა სანსაცილელო, შავი ქალი და კაცი მოდიოდა შავი ფიჩხი მოქონდა, შავ წყალში ჩაუყო, შავი გველი ამოიყვანა, გველმა გასკდა, მაგის მან გაჭკნა, რასაც ნელო ვორასა სანსაციმელო. უფალ მოწყალო ღმერთო, რავა დედის ნამუშევარი შვილიზა გირგია და შვილის ნამუშევარი დედიზა გირგია, ისე არგე ლოცვა ჩემი. რავა მისი ხელის მონაჭერი ცული და წაბლიზა ტარათა გირგია, ისთე არგე ლოცვა ჩემი. მლოცველი მე ვარ და რგებელი შენ ხარ. წითელი ურია, შავი ურია, ყვითელი ურია, მწვანე ურია, თეთრი ურია, ფუი, ასე გააქარვე ამას რა სულიერმა გარდახედოს, მზაკვრობითა, სიხარბითა. სამოცდასამი წმ. გიორგის ბორზალი დაეცეს ამის მოარმეს, ამის (დაასახელებენ) მოქიშპეს. უფალო მოწყალე ღმერთო, შენ აძგერე თორმეტი გველების მართვები, შენ გადააყარე ცხელი ღადარი. მაცხოვარო, მოდი დაწერე ჯვარი შენი, გადაავლე თვალი შენი, გადუქნიე ჯვარი შენი, ურგე ლოცვა ჩემი (შეულოცავენ სამჯერ):

მთქმელი ვარდაყან ოჩიგავა, სოფ. სეფიეთი, 1937 წ.

ვისაც ეს შელოცვა არ შველოდა და ავი თვალისაგან ძლიერ იყო მოხიბლული, შემლოცველი დედაკაცი ავადმყოფის ტანისამოსის ნაჭრებისაგან შეკერავდა დედოფალას — „მოჭყუდია"-ს და ორივე ჩუმად წავიდოდა ტყეში. იქ ერთ ადგილას დაიჩოქებდნენ, მიწას ამოთხრიდნენ და დედოფალას შიგ ჩაფლავდნენ ამ სიტყვებით: „როგორც ეს ადამიანის სახით ვერ ადგება, ადამიანად არ იქცევა, ისე შენ მავნეს არ ეაროს და არ ეცოცხლოს, შენ (იტყოდნენ ავადმყოფის სახელს) თავისუფალი იყავიო". შემლოცველი ავადმყოფს ზურგზე ხელს გადაუსვამდა და ნათვალავის წამალსაც ყელზე ჩამოკიდებდა.

ამასთანავე, ავი თვალით მოხიბლულს[1], ზოგჯერ ასე შეულოცავდნენ სამჯერ: „ელიმფა მექსილნა, მისლუნათ, არნუშ ბარ-

---

[1] ავი თვალით მოხიბლულის დაავადების ნიშანიაო: თავის გამუდმებული ტკივილი, გულის რევა, დაღლილობა, თვლემა და უმადობა. ღამე ასეთ ავადმყოფს მაჯლაჯუნა აწვება და აღრჩობსო. ამის სამკურნალოდ ხმარობდნენ შემდეგ ბალახებს: ქრისტეს ბეჭედს, დედა-ბოსტანას, ლაკარტიას, მარწყვის ფოთოლს, წყისეს, შავ ბალახსა და მაჭკიდიას. ამ მცენარეებს დანაყავდნენ და წვენს ავადმყოფს შეასმევდნენ.

აკეთებდნენ აგრეთვე გულზე სატარებელ ჯადოს, რომელშიაც ჩაკერებული იყო: მგლის კბილი, წითელი ტყემლის ქერქი, წითელი ეაშლის ქერქი, კატის ბალახი, მწვანე შაბი, კაეის ნატეხი, ნახშირი და ზემოთ დასახელებულ მცენარეთა ფესვებიც.

ნუშ, საყარნუშ, ოლა ჰოლა, ანა, ჰია ბელა, ბიო ალიმ ჟიმ“, ეს მიაჩნდათ უებარ საშუალებად, შეულოცავდნენ წყლით, რომელშიაც შემლოცველს ენა უნდა ჩაეყო, ცოტა ნერწყვიც ჩაეშვა და ეს წყალი ავადმყოფს უნდა შეესვა. შემდეგ შელოცვის სიტყვებს ქაღალდზე დაწერდნენ, დაუსვამდნენ სამ ჯვარს, გამოჰკრავდნენ სამკუთხედად რაიმე ჩვარში და ავადმყოფს ყელზე შეაბამდნენ.

„*ნათოლეს*“ შელოცვები გავრცელებული იყო სამეგრელოში. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ შელოცვის რამდენიმე ვარიანტს.

„*ნათოლე*“ სახელითა ღვთისათა მამისათა და ძისათა. იჯდა დედა მარია სამოთხესასა, შემოიარა ურია ქეთერამ, შემთვალა, შემყვარა, შემკვრა შემანძრეულა, განადული დედა ქვაბი თვალსა ნაცარი, გულსა ლახვარი, ვაი და უი კვაჭალური ასი ბასქარი, სამი კონა მახათი, წმ. გიორგის ბორზალი, წმ. გიორგის ლახვარი რა სულმა დაბადებულმა (მოხიბლულის სახელს იტყვიან) ამას ავი თვალით შეხედა, ხაბრების თვალით შეხედა, ავი თვალისათვის, ავი თვალი დაუსვი, ავი სულისათვის ავი სული ამოახდინე. ამას დასწერე, ქრისტეი, ჯვარი შენი, გადაავლე თვალი შენი. წმ. ბარბარე სულთა მკურნალო, შენ აკურთხე ეს (დაასახელებენ) ავი თვალი და ავი სულისაგან, ცხრა თავი გაუხეთქე ამას ავი თვალით გადახედოს, ამას არგოს, იმას ავნოსო.

მთქმელი ელისაბედ მაკალათია სოფ. სეფიეთი.

„*ნათოლე*“ სახელითა ღვთისათა მამისა ძისა, წითელი ქალისა, წითელი კაცისა, შავი ქალისა, შავი კაცისა, თეთრი ქალისა, თეთრი კაცისა, ავი სულისა, ავი ნალაპარაკისა. ამას ჯვარი დაუწეროს. შავი წყალი მოდიოდა, შავი გველი მოყვებოდა, ჩავკარ ხელი, ამოვიღე შავი გველი, ჩავკიდე შავ ღობერს, ისე ჭკნოდეს, ის დნებოდეს ის ავსულიანი:

მთქმელი ცაბუ კიკიანი სოფ. გარახა

ნათვალავის შემლოცავი.

1. ალე გალე სალენდოლე ეფრემი და ხიდესა დედასა შვილი მისდევდა. შვილმა დედას ძუძუ მოსთხოვა, მისი ცოდვით აინდადგა, ბაინ დადგა, ხე დადგა, ქვა დადგა, დადგა და დამაგრდა შიანკოდა, შეამაგრა, უბე უბესთან ინძრა და არ ჩამოვარდა უკუდგა მისა ბუდესა. დედა ღვთისა შემოთვალა შვილი მისი (იტყვიან ავადმყოფის სახელს) დღემდე შემინახეო[1].

2. ეინძრა ბრეინძრა არსებანი არსევანი, თვარანედა ხილცედა დედა შვილი მივჯვნილობა, ქვალანა შენებულია ამ ძროხას მუცელში შვილი დამაგრებულია. ერთ და მერთი დედა შვილობამ თქვა, ვიჯდომია ახსა გახსა კიდობანი. შეკრა ღმერთო, შენ შეუკარ ამ ქალსა ჭმელსა მუცელსა შვილია აინძრა, მაინძრა, ეწერს მოხდა, ინძრა ამ ქალის მუცელში, სული მოიდგაო.

„*ნალის*" შელოცვა. ნალი თვალის ავადმყოფობაა, როდესაც ადამიანის თვალის გუგაზე გადაეკვრის თეთრი ბისტი და ხელს უშლის მხედველობას. შელოცვის დროს, აიღებენ ცხენის ნალს, რომელსაც გაუყრიან უხმარ ნემსზე აგებულ წითელ ძაფს და ამ ნალის ერთ-ერთ ნაჩვრეტს ავადმყოფმა უნდა უცქიროს, თან შეულოცავენ:

1. შვილიათა მაღათა შინა ხელმწიფე ურცხოულად მე და ტარიელ ქორწილი ჰქონდა და შვილო რა ნაირი წამალი; სამი ძირი სამყურა, უხმარი ნემსი და წითელი ძაფი, ურიას ცხენი, ტარიელის ნალი.

2. დად მიშველია დად მიშველია, დღას მის გაგონებუ ზღვას ბოგა გოდგუდუნი, დღას მის გაგონებუ ცას კიბე მედგუდუნი, დღას მის გაგონებუ. თოლს ფიცი გეძუდუნი ფუი, გაბრიელ სი გუნქარი თოლიში ჭუა.

დად მიშველია დად მიშველია, თავის დღეში არ გაგონილა ზღვაზე ხიდი გადებულიყო, არას დროს არ გაგონილა ცაზე კიბე მიედგათ. თავის დღეში არ გაგონილა თვალზე ბეწვი დებულიყოს. ფუი, მიქელ გაბრიელ, შენ გაუქარვე თვალის ტკივილი.

---

[1] ამას შეულოცავდნენ ორსულ ქალსა და მაკე საქონელს იმ შემთხვევაში, თუ მათ რაიმე მიზეზისა გამო მუცელი უდროოდ ასტკივდებოდათ. შეულოცავდნენ რაიმე საჭმელზე და შემდეგ შენალოცს ავადმყოფს შეაჭმევდნენ.

თვალში რომ რაიმე ნამცეცი ჩაუვარდებათ, მივლენ შემლოცავთან, რომელიც ხელში აიღებს მარილს და იტყვის სამკერ:

დღას მისი გუგონებუ გვერს ულუ გედგუდუნი დო ეკოხონსი ხონუნდუნი, ცირა ყანჭი მი გაბარი მუღოლე? მემიდინუ. ფუ, თეში მიდოთ თოლს მუთუნი გეძუდასი. თვალში თუ რამე ძევსო.	თავის დღეში არ გაგონილა, გველს რომ უღელი სდგომოდა და აღმართი ეხნა. ცირა, ყაჭი მოგაბარე, რა უყავი? დამეკარგა. ფუი, ისე დაკარგე, თვალში თუ რამე ძევსო.

შელოცვის დასასრულს მარილს წყალში ჩააგდებენ.

„შაკიკის შელოცვა“. შაკიკი თავის ტკივილია, ადამიანს ნახევარი თავი ძლიერ სტეხავს. შემლოცავი ხელში აიღებს ნახშირს და იტყვის:

1. შაკიკი შემომეყარა სალამოს და დილასაო, ისე სჭამდა სილასაო, როგორც ხარი თივასაო. გაუწყრეს წმ. გიორგი, გამეპარა დილასაო.	2. შაკიკი შემოპარვია სათიბისა კლდესაო, ასე სჭამდა სილასაო, როგორც ცხვარი თივასაო. გაწყრომია წმ. გიორგი, გაპარია დილასაო.

შელოცვის დასასრულს, ნახშირს ჯვარულად გადასახავენ და შემდეგ ამ ნახშირს კარის ზღურბლზე ფეხით გასრესენ.

„უუმური“-ს შელოცვა. უუმურიან ადამიანს შეამციენებს, შემდეგ სიცხეს მისცემს და ბოდავს.

„სახელითა მამისათა, ძისათა, და სულისა, წმიდისათა. ლოცვა უუმურისა: სამოცდახუთი ჭირის გამქრობელო, ღმერთო სამაო, ღმერთო იელო სამებაო სრულიადუ მიუკიებელო, რომელი კრეფუ ყოველსა სენსა, ყოველთა უშლებელთა მოიხილე ვისაცუ წაეკითხოს ასე მოწყალეთა, თვალთა ტკივილთა და გულთა დაეხსენი ყოველსა ავი სულისა და ავი თვალისაგან, ავი პირისაგან, ავი ჩვეულებისაგან, ავი სიზმრისაგან და ავი ძილში გათავებისათვის, ავი სიტყვისაგან, ავი ქარისაგან და ავი შინდისაგან, ავი ცხელებისაგან და ავი ჭირისაგან და ავი ეშმაკისაგან. მიხსენი ღმერთო, ყოველთა მამუნებელთა ხორციელთაგან მონა ესე შენი (იტყვიან ავადმყოფის სახელს).

მთქმელი ზეხა პაპასქირი, სოფ. ნამკოლუ, 1936 წ.

„მონახვამულაფაში“ შელოცვა. ამას შეულოცავენ ადამიანს, როდესაც მას რაიმე ცუდი ჰაერი დაჰკრავსო. შელოცვის დროს, ასრულებენ ერთგვარ რიტუალს, რომელსაც „ვითოფუნაფა“-ს ე. ი. გამოდულებას უწოდებენ. ამისათვის ავადმყოფის სახლის ოთხივე კუთხის მიწას ამოსთხრიან და ამ მიწას თიხის უხმარ ქოთანში ჩადებენ. ქოთანშივე ჩადებენ ერთ კვერცხსა და რამდენიმე ტყვიას. კარის ზღურბლზე ავადმყოფს დასვამენ და მას თავზე დაადგამენ წყლიან თაბახს და შეულოცავენ: „მონახდომო დედიანო, მონახდომო მამიანო, ძირი ბარაგანიანო, შენი დედა ტირის, შენი მამა ტირის, წაქარეი დოუკლავენ, ტყავი მოუფენიენ. იქა ცეკვაა, იქა თამაში, აქა რა გინდა ქვეშეფსიასა, უთვალავი დედაბრის ნახვეტზე გაგაყოლებენ. ფაცაციას ქალი მოყავს. სამი გვარი კაციისაო, გოუშვ თუ არ გაგიშობ, ორშაბათს ხარ, სამშაბათს ხარ, პარასკევს ხარ, შაბათს ხარ, კვირისა ხარ, კვირა დილისა ხარ; ადგომისა ხარ, დაჯდომისა ხარ, ჭამისა ხარ; სმისა ხარ; სიცილისა ხარ, ღობრისა ხარ, ღობრის კუჭუხურისა ხარ, ტყისა ხარ, ნატყურისა ხარ, ველისა ხარ, მინდორისა ხარ. გადი გამოდი ჩემსა ლოცვასა ამას გეეცალე, სხვას შეეყარე, ტარიელ ჟირიელ წადი, თუ არა არ გაგიშობ“-ო.

დასასრულს, შემლოცავი ქოთანს აიღებს და ავადმყოფს ილლიებში გამოუტარებს, ნაწილს ტყვიას ქოთნიდან ამოიღებს, ცეცხლზე გაადნობს და მას თაბახის წყალში ჩააგდებს. წყალში ტყვია გაიშლება თუ შეიკუმშება, გაშავდება თუ თავის ფერზე დარჩება, ამის მიხედვით მკითხაობენ, თუ სად და როდის შეეყარა ავადმყოფს მონახვედრი და იგი რა სახისაო. ბოლოს კვერცხს ავადმყოფს შეაჭმევდნენ, თაბახის წყალს სახლის სახურავზე შეასხამდნენ.

„მატავარი“-ს შელოცვა. მატავარით დაავადებულ ადამიანს ხელფეხი უსივდება და საშინლად სტეხს. შემლოცავი ავადმყოფს ხელს წაუსვამს და იტყვის: „მოვიდა მატაური და მატაური და კატაური მობულოდა მელავითა, სარსალობდა ქარივითა, მობლოდა, შემოეყარა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი; სადუ მოხვალუ შენ მატაურო? სადუ მიბლავი კატავითა? სადუ მიდინაროფუ გველივითა? სადუ მისრიალოფუ ქარივითა? გურ ჩვილი ყმაწვილის საკიალებელათ სათქნარებლად, უფერულის ფერის მისაცემადუ, ფეროვანის ფერის წასაღებადუ. არ გაგიშობუ მამაძემ და სულმა წმიდამ, ვერც წახვალ ხელთა ჩემთა, ჩაგაგდებ წისქვილის კნილთა დასატანჯველად, გარეთ ცეცხლსა შამოგინთებუ გეგენისა ნურცა

— ცეცხლსა შამოგინთებუ გეგენისა, სადაც ეს ლოცვა სამჯერ დათავდეს და ხმა თქვენი ისმოდეს, იქ ვარვემუნოთ ამუ ყმაწვილისა მოუხდეს. ღვთის ბრძანებითა მასვე ნამუს განვეშორეთუ ამუ ყმაწვილისა"-ო.

„*საწერელი*"-ს შელოცვა. საწერელი ადამიანს ხელის თითზე უჩნდება და გასივებასთან ერთად იწვევს მწარე ტკივილებს. შემლოცავი დანას აიღებს და ასე შეულოცავს: „საწერელო სად მიხვალ? ადამიანის ტანში მივალ. ადამიანის ტანში რათა მიხვალ? რბილის საჭმელად, ძვლის სატკვერად, ტვინის საწურწმულებლად; არა მამაძემა და სულმა წმიდამა, არ გაგიშვა არც რბილის საჭმელად, არც ძვლის სატკვერად, არც ტვინის საწურწმალებლად. შენი წამალი რა არის? დამასწავლე, თუ არაო; პურისა ხავინი, კვერცხის გული, ძერწისა ცილი, სუს ნახევი საწერ-კალამი. ვაი, რა მოვიგონეო ჩემი თავისა ჭირიო".

„*ჭვალის შელოცვა*". „ემკობილი, შემკობილი ცხრა საყდარი შედგომილი. პეტრემ უთხრა პავლესაო, რატომ არ სჭამ პურსაო? რა მაჭმევს პურსაო, ჭვალვა მასვია გულსაო, დავკარ ცულსაო, გარვაგდებ ნამსაო".

„*ანაჭყვედიში შელოცვა*". როდესაც ადამიანს გაუწყდება კისრის ან ზურგის ძარღვი, მაშინ შემლოცავი აიღებს შავტარიან დანას, რომელსაც დაადებს იქ, სადაც ტკივილსა გრძნობს და იტყვის: „აბა აბაია, თაბა თაბაია იესო დო ლასარია, მაკო გისხუნუდო, მარიამ ხოჯ-ირემს მურთუმუ, დუუნჯირი, ეუდგინუ, კონ დორთე, ადამიშ შურს ოჭიში ჭყვადუ, მეჭიში დო უშველია, ვარდა ფუი თეშ განქარია" (აბა აბაია, თაბა თაბაია იესო და ლასარია, მაკო გირჩევნია, მარიამ ხარ-ირემი მოსულა, დაწოლილა, ამდგარა, დაბრუნებულა, ადამის სულს ზურგი გაწყვეტია, მიუსწარი და უშველე, თუ არა და ფუი, ასე გააქარვეო).

„*ნაჭყვედიში შელოცვა*".სადამიანს ძარღვი რომ გაენასკვება, მას ასე შეულოცავენ:

ასამარია, დასამარია,
ჟი დო ჩქიმია,
თუდო მარია.
ჯგეგე, ქრისტექ მოგიჩინ
ადამიში სქუას
ხორცი ჭყვადუ,

ასამარია, დასამარია
ზევით და ჩემი,
ქვევით მარია.
ჯგეგე, ქრისტემ შემოგითვალა
ადამის შვილს
ხორცი გასკვნია,

ზესხირი ლანდღუ,
მიეხვარებუქ დო ვარია?
მივოჭიშე დო მივოხვარებუქ,
ვარა აკვორღვა
მუში მარდუმეო“.

სისხლი ამღვრევია.
მოეხმარები თუ არაო?
თუ მიუსწარი მოვეხმარები,
თუ არა დავშლი
მისი მადლი მეო“.

„გველის ნაკბენის შელოცვა“. შელოცვის დროს გოგირდსა და თოფის წამალს წყალში გახსნიან, ნაკბენ ადგილს წაუსვამენ და ასე შეულოცავენ:

1. „მამისა, ძისა, სული წმიდისა, ამთე კამთე, შთოფე შთოფარფარა. ლექთასუნი, აზმათა, კბენელი მოკვდეს, ნაკბენი მორჩეს. მიქელ გაბრიელ შენ უშველე“.

2. „სახელითა ღვთისა მამისა, ძისა, სულის წმიდისა,ან და ბანდა, ანთა შვანთა, ხელითა ფეშტითა, კბენელი მოკვდეს, დაკბენილი მორჩეს“-ო.

„მორიელის ნაკბენის შელოცვა“. აიღებენ ტყის მსხლის ცხრა სხვადასხვა ჯიშის ფოთლებს, დანაყავენ და მის წვენში ამოვლებულ ნაჭერს ნაკბენზე დააფარებენ და შეულოცავენ: „მორიალე მოთა გველსა, ნოსა დედა, ნოსა შვილსა, ნოსა აბრალებ მაჭვა წელსა, ფუ ასე გააქარე მორიალე და მისი შვილი“-ო.

„ქარების შელოცვა“. „ჩვენ ვიყავით სამი ძმანი, სამებისა ძალისანი, ვიარებოდით მთის მთამდი, ქალაქის ქალაქამდე. ვეძებდით წამალს ოჯონისასა, მაჯონისასა, ჯდომისასა, ჯდომ საყმაწვილოსასა, ქარისასა, ქართეთისასა, ქარისასა, ქარ წითელისასა, ქარისა ქარ შავისასა. არსად დაგანებებ ძვალსა სარებად, არსად დაგანებებ ტანსა სარებად, არსად დაგანებებ პირსა სარებად. ძვალში ხარ, რბილში გამოდი, მაძებარია შენი სამასი სამი წმ. გიორგი დაგაწვენს და დაგარწბილებს“-ო.

„მუნაჟამა“. მიწაზე ნაწოლ ადამიანს თუ შეამცივნა, მას შეულოცავენ „მუნაჟამა“-ს. შემლოცველი აიღებს „მოჟამილი“-ს დაცდილის ქამარს და მუჭაში კი დაიჭერს ნაცარს და იტყვის: „ანასაო, ნანასაო, ნანა თეიმურაზსაო, სი ურია, სი ურჯულო სერით გიაბურდღინუქი, დღაშით კოჩი ვარძირუნსი, ფუი თეშ განქარი მოჟამოლი“-ა (ანასაო, ნანასაო, ნანა თეიმურაზსაო, შე ურია, შე ურჯულო, ღამე დაბურტყუნობ, დღისით კაცი ვერ გიპოვნის, ფუი, ასე გააქარვე მოჟამილი-ო).

დასასრულს, შემლოცავი თვალხუჭულა და ზურგშექცევით მივა სახლის კარებთან და ამ ნაცარს კარებს მიაყრის. თუ ნაცარი კარს მოეკიდა, ავადმყოფი მოჟამილია, თუ არა და ნაცარი ძირს ჩამოცვივაო. ძაღლსაც კარში გაახტუნებენ — „ჟამს“ წაიღებსო, ზოგან ამ მიზნით, კატას კარში გააგდებდნენ.

„გერცემული“. ამას შეულოცავენ მგლისაგან დაშავებულ საქონელს და შელოცვის დროს მას სცემენ ატმის შოლტს და იტყვიან:

1. „ელივორდა, გელივორდა,
მგელი გერცემული ვორდა
ასთე უსთური,
ურია კალანდარი,
ხაშხაშური,
უფუ გერცემულს“-ო.

2. ელუანი, გელუანი, თურქი და ბერძენი ლახთ გადაწნული უჰ, გერცემული“ -ო.

ლამე კარში დარჩენილი საქონლის შელოცვა. აიღებენ ფილთაქვასა და ციცხვს, შეკრავენ კანაფით, აგორავებენ და შეულოცავენ:

1. „ეკენია, ბეკენია,
ბეკეს ხატი ხსომებია,
მეფეო შემოკარი
ნადირს კბილი შეუკარი.
ქრისტე ღმერთმა ჩამოუშვა
ხეს ბორკილი რკინისაო,
უწვავ-უხარშავის მჭამელი
შენ ჩაუშვი ზამში,
ნუ გაუშვებ გზაში“-ო.

2. „ეკენია, ბეკენია,
ბეკეს ხატი სვენებია.
მეუფეო ჩამოყარე
ხე ბარკილი რკინისაო,
ნადირს კბილი შეუკარი
მეკაბრისა ხელ და ფხარი,
ჩააგდე ზღვაში
ნუ გაუშვებ გზაში“-ო.

„ცუდებაში შელოცვა“. გალახულ მაკე ძროხას შეულოცავენ, ხელში უჭირავთ შელოცვის დროს მარილი ან სიმინდი: „დედავო, დედავო, დედა შენ მე დედავო, ირემისა ხარ ირემისა წყა დადგებისა, კიდობანი ანელი, დანელი შეკლი გიარგი, ღმერთო, შენ შიარგი საქონელს. ცა დეინძრა. მიწა დეინძრა, ცაც დამდგარა, მიწაც დამდგარა. ღმერთო, შვილი შეუმაგრე ძროხას“-ო. დასასრულს, სიმინდს ძროხას შეაჭმევდნენ.

„ყვაპუ“-ს შელოცვა. ღორს კისერი უსივდება, აიღებენ სიმინდს ხელში და ასე შეულოცავენ: „ასა დვუსა, ყვაპუსა, ყვაპუ

სა, ძელსა ძვალსა შეეხვეწა მარიამსა, გუჯი კარი მითაშქვი ღეჯი, გამოუშვი ღორი“-ო. დასასრულს, სიმინდს ღორს შეაჭმევენ.

„გველის“ შელოცვა. როცა გველის დაჭერა უნდოდათ, აიღებდნენ თხილის ჯოხს, გველს დაუმიზნებდნენ და იტყოდნენ:

1. „ილან, ილან ამირან,
დამიდო მირან,
ინჯირ დაურან მას ხანა,
ურთუ და ურთუკუ სულეიმან,
აზან, აზან ჩალა ზედეგურან,
აზეილან, ზობეილან,
გეჯილაი მალარსან“-ო.

2. „ილან, ილან ნაფიოს„
ველანდურ საფიოს,
ქილი ფითონ ქიშქიშ,
ბადელადურ საჩალი,
ადურ ფადურ,
არესა მარესა,
საბ დედა სარესა,
სათანდელი გველეშაპი
მის დედა მაქიოს,
წყალ იყოს, ღვინ იყოს
მემწისა და მემთვარე
მის მოციქულ“-ო.

(იტყვიან სამჯერ)

.შელოცვის დასასრულს, გველი ჯოხზე აცოცდება და ზედვე ჩამოეკიდება და შემდეგ შეგიძლია, სადაც გსურს იქ წაიყვანო.

12. საკულტო ადგილები და მათთან დაკავშირებული რიტუალი

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, სამეგრელოში დაიწყო ძველი წარმართობის დროის საკულტო ადგილებზე ქრისტიანული ეკლესიების აგება და წარმართული რწმენა და წესებიც სასტიკად იდევნებოდა. ასეთი ბრძოლის შესახებ სამეგრელოში დღემდის დაცულია თქმულება ანდრია მოციქულზე, რომელსაც მარტვილის ძველი მუხა მოუჭრია და ქრისტიანებისათვის აუკრძალავს მუხის თაყვანისცემა. ამ მუხის — „დიდი ჭყონის“ ადგილზე აუშენებიათ მარტვილის ეკლესიაო. ამ ბრძოლის მიუხედავად, ქრისტიანობამ მაინც ვერ შეძლო წარმართული რწმენისა და წესების მოსპობა და სამეგრელოს სინამდვილეში მოხდა მათი შეგუება ქრისტიანულ მოძღვრებასთან და სამეგრელოში ქრისტიანულმა ეკლესიებმა შემოინახეს მრავალი წარმართული ხასიათის რიტუალი და წესები.

წინათ მთელს სამეგრელოში ყველაზე უფრო ძლიერ ხატსამლოცველოდ ითვლებოდა *ილორის წმ. გიორგის ეკლესია*, რომელიც მდებარეობს სოფ. ილორში. ეს ეკლესია სამი კილომეტრით არის დაშორებული ქ. ოჩამჩირეს. ილორის ეკლესია ქვითკირით არის ნაგები და შემოზღუდულია მაღალი გალავანით. ეკლესია უნდა იყოს აშენებული XVII საუკუნეში. გალავანი კი უფრო ძველია. ეკლესიას აქვს პატარა ეზო, ალაყაფის კარი, რომელიც იკეტება ბოქლომით. სამრეკლოც გალავანშია მოთავსებული და ეზოს შესასელელი კარები აქვს სამრეკლოდან. ილორის ეკლესია უგუმბათოა, გარედან შეთეთრებულია და აღმოსავლეთის მხარეზე კედელში ჩაყენებულია რამდენიმე ქვა: ერთზე გამოსახულია წმ. გიორგი ცხენზე მჯდომი და გველეშაპის განმგმირავი, სამ ქვაზე წარწერებია ხუცურად, იგი მაღლაა და შორიდან ძნელი წასაკითხია. შიგ ეკლესია მოხატულია, ფრესკები ახალია, მხატვრობაც უბრალოა და დაბალი ხელოვნებით შესრულებული. წინათ ილორის ეკლესია მთელ სამეგრელოში განთქმული იყო თავისი ხატ-ჯვრებით და საეკლესიო განძეულობით. აქ ინახებოდა ძველი ნაჭედი ხატები ისტორიული მნიშვნელობის წარწერებით. მათ შორის შესანიშნავი იყო ილორის წმ. გიორგის ხატი, რომელზედაც გამოხატული იყო წმ. გიორგი ხელში შუბითა და ფარით. ეკლესია დღეს უკვე გაუქმებულია.

ილორის ეკლესიაში ინახება წმ. გიორგის მშვილდი „შქვილი", რომელიც რკინისაა და სიმაღლით ერთ მეტრამდის აღწევს. დაცულია აგრეთვე საყვირი სპილენძისა „ოე" და წმ. გიორგისადმი შეწირული *„ბორზალი"*.

წინათ ილორში მლოცველი გამოულეველი იყო, ყოველ დღე დიდძალი მხვეწარი მოდიოდა შესაწირით და საკლავებით. მოჰქონდათ ადამიანის სიგრძის ჩამოქნილი სანთლები, ვერცხლის მავთულები, მოჰყავდათ კურატი ან ცხვარი და ილორის ხატის[1] წინ მხვეწარს მნათე (მეხატული) ამწყალობებდა. ილორში მნათეებად ირჩევდნენ იმ გვარიდან, რომელთა „ჯინჯი ხატად" იგი ითვლებოდა. ასეთები იყვნენ მალიშა, სებეკია, მარკელია, ბჟანია, მერჭულე, ჯიგანია, ხასია, ხოჭა და კიტა. ამიტომ მნათეებსაც მორიგეობით ამ გვარებიდან ირჩევდნენ. მნათეებს ყოველწლიურად

---

[1] *M. Brosset*, Voyage archeologique, წიგნი 1, გვ. 95 – 109.

ირჩევდნენ ხუთ კაცს. ერთი უხუცესი მათგანი უფროსი იყო, სხვები კი მისი თანაშემწენი. მნათეები მთელი წლის განმავლობაში ეკლესიაში იყვნენ და მას მორიგეობით ყარაულობდნენ,

ილორის ეკლესია.

მხვეწარს ამწყალობებდნენ და იღებდნენ მათგან ხატის შემოწირულობას. მნათე ხატში წმინდობდა და იმ წლის განმავლობაში იგი ქალთან არ წვებოდა. მნათეს ეძლეოდა „ხეში გინალუაფარი" (დასამწყალობელი) ფულად და ეს იყო მისი გასამრჯელოც. ილორში განსაკუთრებულ პატივსა სცემდნენ კუპრას გვარს. გადმოცემით, როდესაც ილორის ეკლესიას აგებდნენ თურმე, მისი კედლები ინგრეოდა და ეკლესია ვერ შენდებოდაო. მაშინ და-ძმა კუპრა ჩაუტანებიათ ეკლესიის საძირკველში და ილორის ტაძარიც აშენებულაო. ამის გამო, ილორობას ხარი რომ დაიკვლებოდა, მას კუპრას გვარის უფროსი კაცი თავის მარჯვენა ხელს დაადებდა და სადაც მოისურვებდა, ხორცს იქ ამოუჭრიდნენო.

მნათეები მლოცველებს სხვადასხვა სამსახურს უწევდნენ. ხატისაგან დამიზეზებულს, მშვილდში გაატარებდნენ. ხატზე გადაცემა, ფიცი და სხვა მნათეს ეკითხებოდა. ვისაც ილორის წმ. გიორგი-

სათვის რაიმე ავადმყოფობისა გამო დათქმული ჰქონდა მშვილდში გატარება, მას მნათე დააყენებდა ილორის წმ. გიორგის ხატის წინ, აიღებდა რკინის მშვილდს და შეხვეწილს მასში სამჯერ გაატარებდა. თუ შეხვეწილი მოხიბლული იყო, ან ავი თვალით მოჯადოებული, მაშინ მას მშვილდში გატარების შემდეგ დააჩოქებდნენ, მნათე აიღებდა საყვირს „ოეს", მიუახლოვდებოდა დაჩოქილს და სამჯერ „ოეს" დააყვირებდა, რომ ამით ეშმაკები და ავი სულები დაეფრთხო და ავადმყოფობისაგან გაექარვა. მშვილდში გატარებისას იტყოდნენ: „ეშმაკებს გომიფართხუნსია" და მნათეც ასე დაილოცვებოდა: „უბადო ალიან-ჩალიანი შორიშა დამიფარია. ამ დღარიში იშო ალობა უღუდასი, უბადო გური, უბადო თოლი, უბადო შური შორიშა ქიგარაი"-ა (ცუდი სიავე შორს გაუქარვე, დღეიდან შვება ჰქონდეს; ცუდი გული, ავი თვალი, ავი სული შორს გაუქარვეო).

ილორის ხატში მიჰყავდათ სულით ავადმყოფებიც, რომლებსაც ხშირად ხელები შეკრული ჰქონდათ ჯაჭვი-„ხაჯალურით". სულით ავადმყოფებს დააყენებდნენ ეკლესიის კარებთან, თუ საკლავიც მოჰყავდათ, მაშინ საკლავს ავადმყოფს გარშემო შემოუტარებდნენ და იტყოდნენ: „სქანი გამოოფე თენა ლეხი, სქანი ძალაშე ამდღარიში იშო სითავისუფლო სი ქემეჩი"-ა (შენი მიზეზით ყოფილა ეს ავადმყოფი, შენი ძალით დღეიდან მიეცი სითავისუფლეო). შემდეგ ავადმყოფს შეიყვანდნენ ეკლესიაში, დააჩოქებდნენ მას ილორის წმ. გიორგის ხატის წინ და ეხვეწებოდნენ ავადმყოფის შველასა და განკურნებას. ვისაც დათქმული ჰქონდა, იგი უთევდა ღამეს და ავადმყოფს ხატის წინ დააწვენდნენ — *„ხატიში ითონჯირაფა"*. ზოგჯერ ერთი კვირით დგებოდნენ ილორში და ღამეს ათევდნენ. თუ ავადმყოფი შეპყრობილი იყო „ჟინიში ლახარათი" და ბნედა მოსდიოდა, მაშინ მას „ატლეჩობა"-ს ათამაშებდნენ. დაუკრავნენ ტაშს და იტყოდნენ: „ატლეჩობა თემურ ყვარა, ღორონთქ მეჩას მუშ მოხვარა, გევდირთათი ქოვსხაპათო აწ მიღუნა ჩქი მოხვარა"-ო (ატლეჩობა თემურ ყვარა, ღმერთმა მისცეს თავის შველა, ავდგეთ ვიცეკვოთ, აწ გვექნება ჩვენ დახმარეაო). ავადმყოფი ამ დროს დახტის, ფეხებს გაუსვამს და თამაშობს.

ვისაც ოჯახში მეხისაგან რაიმე ზარალი მოსდიოდა, მას ილორის წმ. გიორგის დამიზეზებას მიაწერდნენ. მაშინვე მჭედელს შეუკვეთავდნენ სხვადასხვა ზომის „ბოძალს", რომელიც ორკაპიკი-

ანი იყო და ჰქონდა ისრის წვერის ფორმა. ზოგი ბოძალი ერთი მეტრი სიგრძისა იყო და ამ ბოძალს მიიტანდნენ ილორში საკლავ-საწირავით. აქ შეხვეწილებს მნათე დაამწყალობებდა, შესთხოვდა ილორის წმ. გიორგის მეხისაგან დაცვასა და მფარველობას. ილორში სალოცავად მიდიოდნენ აგრეთვე უშვილონიც, რომლებიც შესთხოვდნენ მას ვაჟის მოცემას: „ჩქიმი სკი დო კვეთი ვაშა ოთა, ჩქიმი ორდალო ქომაჩუქია“ (ჩემი ძე და წილი არ მოსპოო, ჩემ გასაზრდელად მაჩუქეო). შეხვეწილი უშვილო ქალი ზოგჯერ ვერცხლის პატარა აკვანს მიიტანდა ილორის შესაწირავად და სთხოვდა შვილის მიცემას, ღამესაც უთევდნენ. დაწვებოდა ხატის წინ და ისე სთხოვდა მოწყალებას ილორის წმ. გიორგის.

მაგრამ ყველაზე სამძიმო საქმე იყო ილორის ხატზე ადამიანის გადაცემა — „ვინოჩამა“. ხალხის რწმენით, ილორის ხატზე გადაცემულ მტყუანს უეჭველად ილორის წმ. გიორგი დაამიზეზებდა და ბოლოს მოულებდა, ამიტომ ილორის ხატზე გადაცემას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. დაზარალებული ამის შესახებ წინასწარ გააფრთხილებდა დამნაშავეს და შეუთვლიდა მას, რომ განზრახვა აქვს გადასცეს იგი ილორის წმ. გიორგის. თუ არ იცოდნენ, ვინ იყო ქურდი ან ბოროტი საქმის ჩამდენი, მაშინ სასოფლო ყრილობაზე, ან ეკლესიაში წირვის შემდეგ, გამოაცხადებდნენ, რომ ესა და ეს ადამიანი მიდის ილორში ხატზე დამნაშავის გადასაცემადო. დაიცდიდნენ რამდენიმე დღეს და თუ ქურდი არ გამოჩნდებოდა და ნაქურდალს არ მოიტანდა, მაშინ დაზარალებული მიდიოდა ილორში, მოიტანდა საწირში სანთელსა და და ფულს და სთხოვდა მნათეს ხატზე გადაცემას. მნათე მას მიიყვანდა ილორის ხატთან, დააჩოქებდა, სანთლებს აანთებდნენ და დაზარალებული ხელაპყრობით დაიწყებდა გადაცემას და იტყოდა: „დიდებულო ილორის წმ. გიორგი, ვინც მე ეს და ეს ნივთი ან საქონელი წამართვა, ან მომპარა (თუ იცის ვინ არის, დაასახელებს), ორი კვირის განმავლობაში მოატანინე თავის ხელითაო, თუ არა და გეეჯერები გამოიჩინე შენი ძალა, გააგიჟე და ისე გაამწარე, რომ ის ჩემს სახელს ყვიროდესო“ და სხვა. გადაცემის დროს, დაიწყეველებოდნენ სხვადასხვაგვარად: „წმ. გიორგი ილორისაო, მისი ქალიშვილი გააგიჟე და შენს კარზე თმებით დააბიო; ვაჟი კი ხაჯალურით შეკრული მოიყვანე და შენს კარზე დააბიო“. ამაზე მნათე იტყოდა: „შეუსრულე ილორის წმ. გიორგი ისე, როგორც გეხვეწებაო“ და დაამთავრებდა სამჯერ „აამენ“-ის თქმით.

წყევლას რომ გაეჭრა, გადამცემი ილორში ყოველ წელიწადს აგზავნიდა საწირავ-სანთელს და სთხოვდა ილორის წმ. გიორგის ჩქარა გამოეჩინა თავისი ძალა და რისხვა. თუ გადაცემულის ოჯახში (როცა იცოდნენ დამნაშავე) ვინმე მოკვდებოდა, იტყოდნენ — წყევლამ გაჭრაო და გადამცემი მაშინვე ილორში წაიყვანდა ციკანს „განალენს", ილოცებდა იქ, რომ წყევლა მას არ დაბრუნებოდა.

ამის შიშით, რამდენიც ხატზე გადაცემულის ოჯახში კაცი მოკვდებოდა, გადამცემს ხატზე იმდენჯერ ციკანი უნდა მიეყვანა ილორში. ზოგჯერ ხატზე გადაცემულის შთამომავლობამ არც კი იცოდა, თუ მისი წინაპარი ილორის წმ. გიორგის ხატზე იყო გადაცემული. ასეთ შემთხვევაში, მიმართავდნენ მკითხავს, რომელიც ეტყოდა მათ, რომ თქვენი პაპა თუ პაპის პაპა ამ და ამ კაცის მიერ გადაცემული ყოფილა ილორშიო და სთხოვე გამოლოცვაო — „გითოხვამუა". ხატისაგან დამიზეზებული, მივიდოდა გადამცემის ოჯახში და სთხოვდა გამოლოცვას. რადგანაც წყევლა დროგადასული იყო, ხატის შიშით, ორივე მხარე ადვილად თანხმდებოდა შერიგებაზე. ხატზე გადაცემული თავის ოჯახში დაიწვევდა გადამცემს, კარგად გაუმასპინძლდებოდა და მისცემდა საწინდრად („გინალუეფი") რაიმე ნივთს, იარაღი იქნებოდა ეს თუ რაიმე ჭურჭელი. საწინდარს გადამცემი თავის სახლში წაიღებდა და შეინახავდა. შემდეგ მკითხავის მითითებით, ორივენი საწირსაკლავით წავიდოდნენ ილორში და აქ ილორის წმ. გიორგის ხატის წინ გამოილოცებდნენ და გადამცემი მას საწინდარს დაუბრუნებდა.

გადამცემის ოჯახი არც ქორწილში და არც ტირილში არ მიდიოდა გადაცემულის ოჯახში, სანამ ორივე მხარე ცოცხალი იყო. შემდეგ კი მათი შთამომავალნი მიდიოდნენ ერთმანეთში, მაგრამ არაფერს შეჭამდნენ.

ხატზე გადაცემული ქურდი ზოგჯერ შეშინდებოდა, ნაქურდალს მიიტანდა და ჩაყრიდა ილორის ეკლესიის ეზოში, მაგრამ ამის წაღება პატრონს არ შეეძლო და ყველაფერი ილორის ეკლესიაში რჩებოდა. მხოლოდ, ილორის შიშით, იძულებული იყო წყევლა მოეხსნა, თორემ ხალხის რწმენით, დაზარალებული ილორი მაწყევარს დაამიზეზებდაო. მაგრამ ზოგი ადამიანი გაკერპდებოდა თურმე, წყევლას არ მოხსნიდა და იტყოდა: ილორის წმ. გიორგო, სანამ ქურდი ჩემის თვალით არ ვნახო, ჩემი წყევლა ძალაში დარჩესო. ხალხური რწმენით, როდესაც წყევლა გაჭრიდა, გადაცემულის ოჯახის

რომელიმე წევრი გაგიჟდებოდა და ყვიროდა თურმე გადამცემის სახელს. მაშინ, როგორც გადამცემმა დაწყევლა, გიჟს დაბამდნენ ილორის წმ. გიორგის კარზე და იქ გამოილოცებოდნენო.

ილორში იცოდნენ ხარის ქურდების გადაცემა. დაზარალებული ილორში მიიტანდა ხარის უღელს, მივიდოდა ილორის ეკლესიის გალავნის მახლობლად, უღელს ცაცხვზე მიაკრავდა და დაიწყევლებოდა: „ამ უღლის ხარები ვინც მოიპარა, წმ. გიორგი ილორისაო, მისი ოჯახი დაამხე, ვაჟი გაუგიჟე და აყვირე ჩემი სახელი, ვიდრე ხარს არ მოიყვანს, ეს უღელი არ მოხსნას და უღელში შებმული ხარი ჩემს ოჯახში არ მოიყვანოსო“ და სხვა.

ილორში ხატობა იმართებოდა 23 აპრილს, განსაკუთრებით დიდი ხატობა იცოდნენ 10 ნოემბერს. ამ დღეს აქ თავს იყრიდა მრავალი მლოცველი დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. შეხვეწილებს მოჰყავდათ შესაწირავად ხარები, ცხვრები და ციკნები, იმის მიხედვით, თუ ვის როგორ ჰქონდა დათქმული. ზოგი ილოცებოდა და საკლავსაც იქვე დაკლავდა და შეჭამდნენ, ზოგი საკლავს ცოცხალს გაუშვებდა. ამ შემოწირული ზვარაკების მთელი ჯოგი დგებოდა. ამ ჯოგს ეკლესიის მნათეები შემდეგ ნახევარ ფასად ჰყიდიდნენ. ამასთანავე, მიჰქონდათ შესაწირავად აბრეშუმის ქსოვილები, თოფობით ჩითები, სამკაულები, ფული, სანთელ-საკმეველი და სხვა, რომელსაც ეკლესიის მსახურნი ინაწილებდნენ. ილორობას იცოდნენ ღამის თევა და „ხატიში ითონჯირაფა“. მოჰყავდათ სნეულები, განსაკუთრებით, სულით ავადმყოფები და აქ ალოცებდნენ. ილორის წმ. გიორგი, ამასთანავე, ითვლებოდა სასწაულმოქმედად და ხალხის რწმენით, მას ილორობა ღამეს ხარი მოჰყავდა. ხალხის დასაჯერებლად ეკლესიის მსახურნი საღამო ჟამს ეკლესიის გალავნის კარებს დაკეტავდნენ და ზედ ბოქლომს დაადებდნენ. ხალხი გალავანს გარეთ დაისადგურებდა და ღამეს უთევდა, მაგრამ იმ დროს როდესაც ილორის წმ. გიორგი ვითომცდა ხარს შემოიყვანდა, ყველას ჩასთვლემდა და არავის შეეძლო ამ სასწაულის დანახვა. გათენებისას, მლოცველები აიშლებოდნენ, დაკეტილ გალავანს გააღებდნენ და დაინახავდნენ გალავანში მწოლიარე ხარს. დაიწყებოდა დიდი ვედრება, ლოცვა და სხვადასხვა რიტუალის შესრულება. ხალხური გადმოცემით, წმ. გიორგი ამ ხარს ილორობა ღამეს იპარავდა და ილორის ეკლესიაში მოჰყავდა. ამიტომ ის თავის დღეობაში ყველას ნებას აძლევს იქურდოსო. ამის გამო, ვინც ილორობა ღამეს ქურდობდა, იმის

ხატზე გადაცემა არ შეიძლებოდა, რადგანაც წყევლა არ გასჭრიდა — „ვეცილებუნია“ და წყევლა მაწყევარს დაუბრუნდებაო.

ილორობას, ილორის მნათეს თურმე ერთი თურქი შეედავა, რომ თუ წმ. გიორგის ხარის მოყვანა შეუძლია, მოიყვანოს ჩემი თეთრი ხარი სტამბოლიდანო. მნათე ამაზე შეევედრებია წმ. გიორგის, რომ მას თურქისათვის თავისი ძალა ეჩვენებინა. ილორის წმ. გიორგის ეს ხარი სტამბოლიდან მართლაც წამოუყვანია. ხარი

ლურსმნის მიკვრით ხატზე გადაცემა ილორში.

მას ბუზად უქცევია და ისე გამოუფრენია, ილორში კი ისევ ხარად ქცეულა. მეორე დილას, ილორობას ხარი ეკლესიის ეზოში თურქს თავისი თვალით უნახავს და თურქიც იქვე მომკვდარაო.

ამ „სასწაულს“, რასაკვირველია, თვით ეკლესიის მსახურნი აწყობდნენ. ეკლესიის დასავლეთ მხარეზე, გალავანს ქვეშ თხრილი

იყო გაყვანილი, საიდანაც ღამე ჩუმად ხარებს შემოაპარებდნენ და ხალხს არწმუნებდნენ, რომ ხარი წმ. გიორგიმ მოიყვანაო.

ილორში იცოდნენ ქადაგად დაცემა. განსაკუთრებით „ჟინიშით“ დამიზეზებული ქალები დაეცემოდნენ ქადაგად. ქადაგი ავიდოდა ილორის სამრეკლოში და იქედან დაიწყებდა ილორის წმ. გიორგის სახელით ქადაგებას, მოუწოდებდა ხალხს თაყვანი ეცათ ილორისათვის, შეენახათ იგი წმინდად და მოწიწებით, წყევლიდა ქურდებს, ავაზაკებს და ავსულ-კუდიანებს. შემდეგ ქადაგი იქვე უსულოდ დაეცემოდა, კიბიდან ძირს დაგორდებოდა, აქ იგი ბორგავდა და ოხრავდა და შემდეგ ისევ დაიწყებოდა წმ. გიორგის სახელით ქადაგებასო. ხალხი ქადაგს შემოეხვეოდა, ხელებს გულზე იცემდნენ, სტიროდნენ და ილორის წმ. გიორგის შესთხოვდნენ მის შველასა და ახსნას.

ჩვენ აქ ილორობის დღესასწაულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ყველაზე ძველსა და საყურადღებო აღწერას, რომელიც ეკუთვნის *არქანგელო ლამბერტის:* „ოც ნოემბერს (ახალი სტილი ე. ი. 10 ნოემბერს), მთავარი, ყველა თავის კარისკაცებით, თავადაზნაურობით და ოდიშის ხალხით მოდის ილორის ეკლესიაში დღესასწაულზე დასასწრებად და იმის სანახავად, თუ როგორ მოიყვანს წმ. გიორგი ხარს. მარტო ოდიშელები კი არა, აფხაზებიც და სვანებიც ბლომად მოდიან ამ დღესასწაულზე. ეკლესიას გარს უვლის გალავანი, რომლის სიმაღლე იქნება თითქმის თხუთმეტი მტკაველი. შესასვლელთან დიდი კარებია, და ამ კარებზე აგებულია მშვენიერი სამრეკლო მრავალი ზარით. წინა დღით, როცა დაბნელდება, მთავარი მოვა ამ კარებთან დიდის ამალით, რომელშიაც არიან ეპისკოპოსები, თავადები და აზნაურები, კლიტით დააკეტინებს ამ კარებს და გარდა ამისა, კლიტეს დაასვამს თავის ბეჭედს და წავა მოსასავენებლად. მეორე დილას, გათენებამდე, მთავარი ისევ მოვა იმავე ამალით. რაკი დარწმუნდება მთავარი და მისი მხლებლებიც, რომ ბეჭედი მთელია და ხელი არავის უხლია მისთვის, მოხსნის ბეჭედს და გააღებს კარებს. შიგნით, გალავანსა და ეკლესიის შუა, დაინახავენ ხარს. ამის დანახვაზე მთელი ხალხი დიდის მოწიწებით მადლობას შესწირავს წმ. გიორგის ამისთანა ხარის მოყვანისათვის. მაშინვე შეუდგებიან ზარების რეკვას და ყველგან გაიგებენ, რომ ხარი იპოვესო. ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ხარი თავისი ხელით იმ ღამეს გამოიყვანა წმ. გიორგიმო. ამბობენ კიდევ, რომ წმ. გიორგი სამჯერ მოიყვანს იმ ხარს ზღვიდან

მთამდიო და სამჯერ — მთიდან ზღვამდი და ამ გზით ნაკურთხ ხარს ეკლესიის გალავანში დატოვებს ხალხის სასარგებლოდო. ხალხში დიდ ლაპარაკს გამოიწვევს ეს ხარი იმისდა მიხედვით, თუ რა სახით ნახავენ მას. თუ დაჭერის დროს ხარი არ დანებდება და წიხლებს ისვრის ან რქებით ირჩოლებს, იტყვიან, რომ წელს უსათუოდ ომი იქნებაო. თუ ხარი ზურგზე წამოწოლილი და მტვერში ამოსვრილი იპოვეს, იტყვიან, რომ კარგი მოსავალი იქნება ღომისა, ბოსტნეულისა და პურისაო. თუ ხარი ცვრით დანამული იქნა, კარგი მოსავალი იქნება ღვინისაო. თუ ფერით ქერაა, ადამიანთა და პირუტყვთა ხშირი სიკვდილი იქნებაო და თუ თეთრი და ან ჭრელია, ფრიად კარგი ნიშანიაო.

ხარს გაიყვანდნენ გალავნის გარეთ და დააკვლევინებდნენ იქაურ მცხოვრებს, რომლის ოჯახს ძველიდანვე ეკუთვნის ეს ხელობა. ამ ოჯახშივე ძველიდანვე დარჩენილია ნაჯახი, რომლითაც უნდა დაიკლას ის ხარი და რომელსაც ინახავენ, როგორც სალმრთო ნივთს და სხვაზე არაფერზე არ ხმარობენ. ის კაცი რომ დაკლავს ხარს, გაანაწილებს კიდეც: უმეტესი ნაწილი რქებითურთ ეკუთვნის მთავარს. ამ რქებს მთავარი შეამკობს ოქროთი და ძვირფასი ქვებით და დიდ დღესასწაულში იმ რქებით ღვინოს დალევს წმ. გიორგის სადიდებლად. სხვადასხვა ძველებურს გვარს ოდიშში თავისი წილი აქვს მიჩენილი. რაც დარჩება, დაჭრიან ძალიან წვრილ-წვრილად და დაურიგებენ ხალხს. ამ ხორცს გაახმობენ კვამლზე და დიდი სასოებით შეინახავენ ავადმყოფობის დროს მოსახმარებლად. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ხორცი საუკეთესო წამალია ყოველგვარ ავადმყოფობის წინააღმდეგ"[1].

ილორის წმ. გიორგის ამ სადღესასწაულო რიტუალში მოცემულია წარმართული რწმენის საყურადღებო გადმონაშთები და თუ ჩვენ ილორობის წესებს შევადარებთ დასავლეთის ძველ ქვეყნებში ცნობილ მითრაიზმის მისტერიებსა და ტავრობოლიებს, ბევრ საინტერესო მსგავსებას აღმოვაჩენთ[2]. ჯერ ერთი, წმინდა გიორგი ხარს იპარავდა და ეს მოპარული ხარი მას ღამე მიჰყავდა ილორის ეკლესიაში და იქ ამწყვდევდა. მითრაც ხარს თვითონვე იჭერდა და თავის სადგომში, გამოქვაბულში ამწყვდევდა. ილორის წმ. გიორგი „ხარიპარიად" იწოდებოდა. მითრას ერთ-ერთი ეპიტეთიც „ხარიპა-

---

[1] *არქანჯელო ლამბერტი*, სამეგრელოს აღწერა, ტფ. 1938 წ., გვ. 142 — 143.
[2] *ს. მაკალათია*, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 30-35.

რა“ (buklopos) იყო[1]. შემდეგ, საყურადღებოა ხართან ბრძოლისა და დაკვლის მომენტი, რომლის მიხედვით, ილორში წინასწარმეტყველებდნენ ბოსტნეულის, პურისა და ღვინის მოსავალზე, აგრეთვე შინაურ საქონლის გამრავლებაზე და სხვა.

ასევე იყო მითრას მისტერიებში ხარის დაკვლის მომენტში. მორწმუნეების წარმოდგენით, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უდიდეს სასწაულებრივ მოვლენებს: ხარის სისხლისაგან აღმოცენდებოდა ყურძნის მტევნები, ხერხემლის ტვინისაგან — პურეული, მომაკვდავი ხარის სხეულიდან სასარგებლო მცენარეები, ბალახები[2] და სხვა.

რაც შეეხება ილორობას ხარის ხორცის მორწმუნეთა შორის განაწილებას და მისი სისხლით განათვლის წესებს, აქ ჩვენ სრული ანალოგია გვაქვს მითრას რომაულ ტავრობილიებთან, სადაც მითრას მიმდევრებს აპკურებდნენ ხარის სისხლით, ხორცს კი „საძმო“ სუფრასთან შეექცეოდნენ.

ამას გარდა, ილორის წმ. გიორგი ცნობილი იყო როგორც ავზნიანებისა და სულით ავადმყოფების მკურნალი. გიორგობას ილორში მოჰყავდათ „ხაჯალურებით“ შეკრული ავადმყოფები და ვისაც დათქმული ჰქონდა, სულით ავადმყოფს ილორის წმ. გიორგის ხატს წინ დაუწვენდა „ხატიში ითოჯირაფა“, ღამეს უთევდა და ევედრებოდა მის განკურნებას. ასევე მიმართავდნენ მითრას მისი მორწმუნენი და ევედრებოდნენ ავი სულით შეპყრობილების განკურნებას, სულით ავადმყოფი ითვლებოდა ბოროტი სულით შეპყრობილად და ამიტომ საჭირო იყო მითრასადმი ვედრებით მისი განკურნება.

ერთი სიტყვით, ილორობის ამ წარმართული რწმენისა და რიტუალის შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ მას გენეტიკური კავშირი ჰქონდა წარმართულ ღვთაება მითრას რწმენასთან, რომლის კულტი მითრაიზმის სახით გავრცელებული იყო ძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში.

ალერტობა იცოდნენ სოფ. ალერტში, რომელიც მდებარეობს მარტვილის რაიონში. ალერტის წმ. გიორგი ითვლებოდა ძლიერ

---

[192] Проф. *И. А. Боричевский*, Митраизм и христианство, Лен. 1929, с. 45.
[193] *Н. А. Кун*, Предшественники христианства, Москва, 1922 г., с. 135; *С. Рейнак*, Орфей (История религии), Москва, 1919 г., с. 11-112; *F. Gumont*, Les mysteres de Mithra, Bruxelles, 1902.

ხატად მთელს სამეგრელოში. ნოემბრის პირველ ხუთშაბათს ოჯახებში იხდიდნენ „საალერტო“-ს რომელიც დაწესებული იყო სურდოხველისა და სხვა *მოარულის* წინააღმდეგ. სალოცავ საალერტოსათვის წლის დასაწყისშივე ერთ ვარიას დააყენებდნენ იმ პირობით, რომ მისი ნამრავლი უკლებლივ ალერტის წმ. გიორგისათვის შეეწირათ. ალერტობას, ამ ვარიის ნამრავლ ქათმებს და ხოცავდნენ, გამოაცხობდნენ კვერებს და ოჯახის უფროსი დიასახლისი ყველა ამას ხონჩაზე დაალაგებდა და კერიის ნაპირას მიდგამდა. დიასახლისი კერასთან დაიჩოქებდა, ალერტის წმ. გიორგის შეევედრებოდა, რომ მან მისი ოჯახის წევრები დაიფაროს სურდოხველისა და ყოველგვარ მოარულისაგან. ვისაც დათქმული ჰქონდა, იგი საწირავ-საკლავით მიდიოდა ალერტში და იქ ალერტობას, ღამეს უთევდა და ევედრებოდა ალერტის წმ. გიორგის.

ხალხური გადმოცემით, ალერტისა და ილორის წმ. გიორგი ძმებიაო. ალერტი ითვლებოდა ჩაჩიბაიების საგვარეულო ხატად. მათი წინაპარი წამოსულა ბიჭვინტიდან და თან წამოუღია ილორის წმ. გიორგის ნაწილი, რომელიც ჩაჩიბაიას ყელზე შეუბამს. ჩაჩიბაიას იქიდან გამოჰყოლია პერტაიაც და მათ სოფელ ალერტში აუშენებიათ პატარა საჯვარე და ეს ნაწილიც აქ დაუსვენებიათ. ამ საჯვარესთან შემდეგ აუგიათ ხის პატარა ეკლესია. მხოლოდ XIX ს. ორმოციან წლებში აუშენებიათ მაღალგუმბათიანი ქვის ეკლესია, რომელიც დღესაც დაცულია.

ხატობა აქ იცოდნენ 23 აპრილს და 10 გიორგობისთვეს, სალოცავად ხალხი მიდიოდა სამეგრელოს ყველა კუთხიდან და აგრეთვე აფხაზეთიდან. ხატის მნათეებს ჩვეულებრივ კენჭისყრით ირჩევდნენ. პირველად ირჩევდნენ ჩაჩიაბაიასა და გოგიას გვარიდან, შემდეგ კი სხვა გვარებიდან, რომლებიც მოსახლეობდნენ სოფელ ალერტში. ალერტობას აქ მოდიოდნენ უმთავრესად ისინი, ვისაც ჰქონდა რაიმე საწყევარი და უნდოდა ვინმეს დაწყევლა და ხატზე გადაცემა — „გინოჩმა“. ალერტის ეკლესიაში დაცულია წმ. გიორგის ეს ხატი, რომელიც ვერცხლით არის ნაჭედი, ზედ გამოსახულია ცხენოსანი წმ. გიორგი, ხელში მას შუბი უჭირავს და კლავს გველეშაპს. ხატის ზომა 37X45 სმ., ხუცურად აწერია წმ. გიორგი. ხატი ნაჭედია ამობურცვილ ხელობით და უნდა ეკუთვნოდეს XV-XVI სს. ამ ხატს ზურგზე აქვს სანაწილე პატარა კარით, რომლის ქვეშ მოთავსებულია მხედრული წარწერა:

„მთავრობასა მინგრელიასა შა დავით ლეონის ძე დადიანისა

და მღვდელ მთავრობასა ჭყონდიდელისა ანტონი მეორისა დადიანოვისასა ვიგულისმოდგინე შეკრებად მოსურნეთა მიერ კეთილ შემომწირველთაგან ალერტის ეკლესიისათა. მოვაჭედინე და შევამკობინე ხატი ესე ჩის მთავარ მოწამის გიორგისა ბლაღოჩინმან და მღვდელმან ამა ეკლესიისამან ნიკოლოზ ბერიძემ წელსა ჩყნ-სა (1850 წ.)".

ალერტის ამ ხატის წინ, ალერტობას, იმართებოდა „ხატიში

ხარის უღელით ხატზე გადაცემა ალერტში.

ითონჯირაფა". ავადმყოფს, ვისაც დათქმული ჰქონდა, დააწვენდნენ ხატის წინ, ღამეს უთევდნენ და ალერტის წმ. გიორგის ევედრებოდნენ მის განკურნებას. მკითხავისა და ქადაგის რჩევითა და მითითებით, ალერტში გამოსალოცად მიჰყავდათ სულით ავადმყოფები, ბნედიანები და აგრეთვე ვისაც საშარდე ბუშტის ავადმყოფობა ჰქონდა და შარდს ვერ იკავებდა. ავადმყოფს მეხატული (მნათე) დააყენებდა ალერტის ხატის წინ საწირ-სანთლებით და დაამწყალობებდა. შემდეგ ავადმყოფს ჯაჭვში სამჯერ გამოატარებდნენ, იგი ხოხვით შემოუვლიდა ეკლესიას და ეამბორებოდა ეკლესიის კედლებს.

ვისაც რამე დაკარგული ჰქონდა, ხოლო ქურდი ან მიმთვისებელი ამაზე არ ტყდებოდა და დანაკარგს მას არ უბრუნებდა, მაშინ დაზარალებული საწირ-სანთლებით მივიდოდა ალერტში. მას მეხატული ეკლესიაში შეიყვანდა და დააჩოქებდა ალერტის წმ. გიორ-

გის ხატის წინ. მეხატული ხელში ხატს დაიჭერდა და დაზარალებული დაიწყევლებოდა: „ალერტის წმ. გიორგი, ვინც ჩემი (დაასახელებდა დანაკარგს) მოიპარა, მისი ოჯახი ძირფესვიანად ამოაგდე, აყვირე ჩემი სახელი, მანამდის არ გატყდება და შენი კარის წინაშე არ მოიტანს ნაქურდალს“-ო. შემდეგ ამავე წყევლას გაიმეორებდა მეხატულიც, ორივენი ხატს ემთხვეოდნენ და ეკლესიის ეზოში გავიდოდნენ. აქ იდგა დიდი ცაცხვი, რომელთანაც მივიდოდა მაწყევარი, აიღებდა გრძელ ლურსმანს, მიაკრავდა ხეს და იტყოდა: „სანამ თავის კბილით ეს ლურსმანი ჩემმა დამზარალებელმა არ გამოაძროს, წმ. გიორგი ალერტისაო, ნუ მისცემ მას საშუალებას დედამიწაზე იაროს. დაამხე და გაანადგურე მისი ოჯახი და ცოლ-შვილიო“.

ხატზე გადაცემის შემდეგ, ერთი კვირა რომ გაივლიდა, მაწყევარს უნდა გამოელოცა — „გითოხვამა“. ამისთვის დაჰკლავდნენ მამალს, გამოაცხობდნენ კვერებს და ამას საზედაშე ღვინით წაიღებდნენ ალერტში და სთხოვდნენ მას — წყევლამ ჩქარა გაჭრას და ავნოს გადაცემულს, მაწყევარს კი მისცეს წყალობა და მშვიდობაო. ასეთი გამოლოცვა საჭირო იყო ყოველ მესამე წელიწადს, რომ წყევლას გაეჭრა.

ამას ხატზე გადაცემული რომ გაიგებდა, იმ შემთხვევაში თუ იგი მტყუანი იყო, მაშინვე ძღვენითა და საწირ-საკლავით წავიდოდა ალერტში, მას თან მიჰქონდა დანაკარგიც, რომელიც უნდა გადაეცა დაზარალებულისათვის. მეხატული დაუძახებდა მაწყევარსაც და ყველანი შევიდოდნენ ეკლესიაში. გადაცემული დაიჩოქებდა ხატის წინ და მაწყევარი იტყოდა: „დღეიდან ხარ ახსნილი და ხატის ვნებისაგან განთავისუფლებულიო“. ორივე ხატს ემთხვეოდა და იქვე შერიგდებოდა. დაბრუნებული დანაკარგის ერთი მესამედი ხატისა და მისი მსახურისა იყო და მაწყევარს ეს წილი მაშინვე უნდა გადაეცა ხატისათვის. ხალხის რწმენით, თუ გადაცემული დროზე არ გამოილოცებდა და არ დააბრუნებდა დანაკარგს, ის ხატის დამიზეზების გამო ამოწყდებოდა. მაშინ, მაწყევარის ოჯახს, რომ წყევლა არ დაბრუნებოდა, საჭირო იყო მაწყევარს გამოელოცა — „გითოხვამა“. ამ მიზნით, მაწყევარი ალერტში მიიტანდა სანთელ-საწირავს და სთხოვდა მას წყევლის გაბათილებას.

ალერტობას აქ მოდიოდნენ ქადაგები და ისინი ალერტის წმ. გიორგის სახელით ქადაგებდნენ, მოითხოვდნენ შეესრულებინათ ხატისათვის დანაპირები, დაეცვათ რწმენა, სასოება და სხვა.

ქადაგებს აქ მოჰყავდათ ხატისაგან დამიზეზებული ავადმყოფები, ალოცებდნენ მათ, უსრულებდნენ სხვადასხვა წესს და ამისათვის იღებდნენ გზის ქირასა და გასამრჯელოს. წინათ მაწყევარს შეეძლო ალერტის ხატის გამოწვევა თავის სოფელში და იქ გადაეცა ხატზე დამნაშავე. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ხელისუფლების ნებართვა — მოითხოვდნენ მამასახლისის მოწმობას. ნებართვის მიღების შემდეგ, ალერტის მეხატული ხატს კისერზე ჩამოიკიდებდა, შეჯდებოდა ცხენზე და ხატს იმ სოფელში მიასვენებდა და ამისათვის მეხატულსაც გასამრჯელო ცალკე ეძლეოდა. ხატს იმ სოფლის ეკლესიის ეზოში შეასვენებდნენ და აქ მოწმეების თანდასწრებით მაწყევარი საჯაროდ გადასცემდა ხატზე დამნაშავეს და სთხოვდა ხატს მალე გამოეჩინა თავისი ძალა და დაესაჯა დამნაშავის ოჯახი.

ალერტს აქვს თავისი ნიშიც, რომელიც დაცულია სოფელ წალენჯიხაში და მას უწოდებენ „ალერტ-ხარჩილს". იგი წამოადგენს ნანგრევს და მოთავსებულია ერთ მაღალ გორაკზე. ალერტ-ხარჩილს დაახლოებით უჭირავს 3X3 მეტრი ფართობი. დარჩენილია ამ სამლოცველოს პატარა საძირკველი და ქვები. იგი ნაგები ყოფილა რიყის ქვებით. ამ ნანგრევის შუაში აღმართულია ხის ბოძი, რომელზედაც გაკეთებულია რკინის დიდი ბოძალი. წინ აქვს გამართული პატარა თარო და მასზე ალაგია თეთრი ქვები, თაფლის სანთლის პატრუქები, თეთრი ფულები და სხვა. ვინც მძიმე ავადმყოფის პატრონი იყო, იგი ალერტ-ხარჩილს შეუთქვამდა — თეთრ ქვაზე დავდგები და ავადმყოფი მომირჩინეო. შემდეგ ეს კენჭები იქ მიჰქონდათ და სწირავდნენ ალერტ-ხარჩილს.



ალერტ-ხარჩილის ნიში.

ვისაც შვილი ავად ჰყავდა ან შორს გაგზავნილი, ის შეუთქვამდა ალერტ-ხარჩილს, — სანამ ავადმყოფს მომირჩენ ან შორიდან მშვიდობით დამიბრუნებ, ყელზე ხატის უღელი — „ხატიში უღუ"

ვატაროო. აღთქმის დადების წინ, დედაკაცი შეჭამდა სამ ლუკმა თეთრ მიწას. ულელს შეუკვეთავდა მჭედელს და კისერზე ატარებდა მას, სანამ ხატი აღთქმას არ შეუსრულებდა. შემდეგ კი ულელს შეიხსნიდა, მიიტანდა ხატში და იქ შესწირავდა.

მარიამობას — *„მარაშინ“*-ს წალენჯიხიდან გამოთხოვილი ქალები მოდიოდნენ ალერტ-ხარჩილში სალოცავად — „გითახვამუშა“, მოჰქონდათ საწირავ-სანთლები და სთხოვდნენ მას ჯანმრთელობასა და გამრავლებას.

„ჭყონ მიოხვამუ“ სოფ. კორცხელშია, სადაც ეკლესიის მახლობლად გზის ნაპირას იდგა ერთი დიდი მუხა, რომელსაც თაყვანსა სცემდნენ. ამ მუხასთან მახვეწარი უფრო შემოდგომით მიდიოდა და თან მიჰქონდა სანთელ-საწირავი, თეთრი ფულები, სანთლის პატრუქები. აქ ეხვეწებოდნენ მუხის ანგელოზს ადამიანის კარგად ყოფნას, საქონლის გამრავლებას და სხვა. ეს მუხა 1935 წ., გამხმარა და 1936 წელს მოუჭრიათ.

„ყულის კარი“ („ყულიშ-კარი“) ზუგდიდიდან დაშორებულია 7 კილომეტრით და აქ დაცულია ყულის კარის ეკლესია, რომელიც განთქმული იყო მთელს სამეგრელოში, როგორც ძლიერი ხატსამლოცველო. ეკლესია მაღლობზეა აშენებული და აქვს მაღალი გუმბათი. იგი ნაგებია თლილი ქვით და შიგ მოხატულია. ფრესკები ახალია და შესრულებულია XIX ს. მეორე ნახევარში. ფრესკები საყურადღებოა თავისი პრიმიტივობით, ფერების შეხამებით და ტიპაჟებით. აშკარად ეტყობა, რომ მხატვრობა შესრულებულია ორი მხატვრის მიერ და ფერწერის მანერა ძლიერ წააგავს ფიროსმანიშვილის სტილს. ყულის-კარის ეს ეკლესია მოუხატავს მაჭავარიანს და მის მოწაფეს არჩილ ანთელას. სუსტი მხატვრობა შესრულებულია ანთელას მიერ. ფრესკებზე მხედრული წარწერებია, მოხსენებული არიან დადიანები და სხვა პირებიც, რომლებსაც საფასური გაუღიათ ეკლესიის მოხატვაში. მხატვრობა დათარიღებულია „ჩყდთ“ (1869) წლით. ამ ეკლესიაში ინახებოდა „სასწაულთმომქმედი“ ჯვარი, რომელსაც მეგრელები „ყულიშ ხატს“ უწოდებდნენ. ეს ჯვარი გაუსინჯავს და აღწერილი აქვს ექვ. თაყაიშვილს, რომელიც ამბობს: ჯვარი სულ უბრალო ხელობის არის, ვერცხლით შეჭედილი 29X19 სანტიმეტრი. ვერცხლის ფირფიტებზე გამოსახულია ძლიერ ულაზათოდ ოთხი სურათი წმ. გიორგისა. ქვემოთ წმ. გიორგი ფეხზე მდგომარეა. დანარჩენ სამ ფრთაზე ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს, ხოლო

შუაში წელს ზევით სურათია მთავარ-ანგელოზისა მედალიონში. ზემო ფრთას ექვსი თვალი უზის, მეორე მხარეს სადა ვერცხლზე უშნო მხედრულით XIX საუკუნისა, აწერია:

„მღ(დელ)მა გაბრიელ როგავამ გავაჭედიე ხატი სულის ყულისა"[1]-ო. ეს ჯვარი მთელს სამეგრელოში ითვლებოდა „სასწაულთმოქმედად" და მასზე გადაცემის შიშით იშვიათად თუ ვინმე გაბედავდა ტყუილის თქმას, ფიცს, ქურდობას და სხვა ბოროტების ჩადენას.

ყულის წმ. გიორგის ეს ჯვარი (ხატი) ხალხური გადმოცემით, სვანეთიდან ჩამოუტანია როგას წინაპარს. ამ ხატს თვლიან ილორის წმ. გიორგის ყურად, ილორის გიორგი კი გულიაო. ყულის ხატის მეხატულებსა და მღვდლებს ირჩევენ როგასა და მაქაცარიების გვარიდან. ხატობა აქ იმართებოდა 10 ნოემბერს და დიდძალი მლოცველი თურმე მოდიოდა, განსაკუთრებით ისინი, ვისი წინაპარიც ამ ხატზე ყოფილა გადაცემული და ყულის ხატის მიზეზიც გამოუვიდოდა. ამიტომ ვისაც მისი მიზეზი გამოაჩნდებოდა, ის ხატში მიდიოდა და ყულის-კარში მიჰყავდა ზვარაკად ხარი, ცხვარი ან ცხენი „კაცის სულის სამაგიეროდ" და იქ შესთხოვდა ყულის-კარის ხატს პატიებას. ხატის გადაცემის საქმე მეხატულებს ეკითხებოდათ და მათ იცოდნენ დაწყევლისა თუ გამოლოცვის წესები. ამიტომ ჯერ მიმართავდნენ მეხატულს, რომელიც ორივე მხარეს — მაწყევარსა და გადაცემულს ხატის წინ დააჩოქებდა და შეევედრებოდა ხატს წყევლის გაბათილებას. შემდეგ მათ ორივეს დალოცავდა და შეარიგებდა. ზვარაკს, ხარი იქნებოდა თუ ცხვარი, იქვე ეკლესიის ეზოში მიაბამდნენ. მეხატული გადაცემულს აგრეთვე მშვილდში გაატარებდა. შემოსული შესაწირავიდან ხატს ნახევარი რჩებოდა, მეორე ნახევარს კი მღვდელი და მეხატული იყოფდნენ. მეხატული იღებდა აგრეთვე „ხეშ გინალუაფარს" ფულად.

ვისაც ხარი დაეკარგებოდა, იგი ყულის-კარის ხატში მიიტანდა ხარის უღელს და აქ ცაცხვის ხეზე ჩამოჰკიდებდა, ხარის ქურდს გადასცემდა და ასე დაიწყევლებოდა: „ყულის წმ. გიორგი, სანამ ქურდი შენ კარზე არ მოვიდეს, ეს უღელი არ ჩამოხსნას და ჩემი ხარი არ შეაბას და ჩემს ოჯახში არ მოიყვანოს, მანამ ჭირში და უბედურებაში ამყოფინე ქურდის ოჯახიო". რომ ყულის წმ. გიორგის გამოეჩინა თავისი ძალა და ევნო გადაცემულისათვის, მაწყე-

---

[1] *ეკ. თაყაიშვილი*, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III ტფილისი, 1913-1914 წწ., იხ. „ყულის-კარის ჯვარი", გვ. 199-200.

ვარს ყოველ მესამე, თუ მეოთხე წელიწადს უნდა შეესრულებინა „*ფანალინი*“ და „*ზისხირიში ოწუმაფ*“. ამ მიზნით, გადამცემი ყულის-კარში წაიღებდა საკლავის თავსა და მის გულ-ღვიძლს, აგრეთვე საზედაშე ღვინოსა და პურს. აქ მეხატულის დახმარებით, მაწყევარი ხატის წინაშე შერისხავდა გადაცემულს და სთხოვდა ყულის წმ. გიორგის მისი წყევლა ჩქარა მოეყვანა სისრულეში.

როდესაც გადაცემულის ოჯახს წყევლა ავნებდა, მაშინ მაწყევარი, რათა წყევლა მას არ დაბრუნებოდა, ასრულებდა „*არსება*“-ს და ამისათვის ის საკლავით მიდიოდა ყულის-კარში, სადაც მეხატული შესთხოვდა ყულის ხატს მაწყევარის შებრალებას და წყევლის გაბათილებას.

ზოგჯერ სიშორის გამო, მაწყევარს არ შეეძლო ყულის-კარში მისვლა. მაშინ ბლაღოჩინის ნებართვით, შეიძლებოდა ხატის გადატანა. ნებართვის შემდეგ, მეხატული ყულის ჯვარს გადაიკიდებდა, შეჯდებოდა ჯორზე და მიდიოდა იქ, სადაც ის დაბარებული იყო. გზადაგზა მას ეგებებოდნენ ისინი, ვისაც რაიმე უჭირდა და ასრულებდნენ „ოწოხვამა“-ს. ზოგი დაიწყევლებოდა და დამნაშავეს ხატზე გადასცემდა, ზოგი კი გამოილოცებდა და სხვა. მეხატულსა და ხატს ისინი ასაჩუქრებდნენ. მაგრამ ენგურის გაღმა ყულის-ხატს არ გაიყვანდნენ, რადგანაც იქით ილორის საბატონო იყო.

ყულის-კარშია დაცული აგრეთვე „*სარკის ეკლესია*“, რომელსაც წმ. გიორგის სახელით ლოცულობდნენ. აქვეა ალერტის წმ. გიორგის სამლოცველო პატარა ეკლესია. ხალხური წარმოდგენით, ალერტის და ყულის წმ. გიორგი ძმებად ითვლებიან და ამიტომ ვინც ყულის-ხატს შესაწირს მიუტანდა, იგი ვალდებული იყო მისი ერთი ნაწილი იქვე ალერტისათვის მიერთმია.

„*წაჩხურის მთავარანგელოზი*“ მოთავსებულია სოფელ წაჩხურში მარტვილის რაიონში და სოფელ ტალერიდან ის სამი კილომეტრით არის დაშორებული. ეკლესია მაღლობზეა აგებული და ძნელი მისასვლელია. წაჩხურის ეკლესია არ არის ძველი. ადგილი, რომელზედაც ტაძარია აგებული, ყოფილა ციხე — „წაჩხურის ჯიხა“. ამ ციხის კედლები და გალავანი დაცულია. ციხის გალავანში ძველად ყოფილა პატარა ეკლესია, რომელიც შემდეგ დაუშლიათ და აუშენებიათ ახალი და დიდი ეკლესია. აქ იყო დაცული წაჩხურის მთავარანგელოზის ხატი[1], რომელსაც უწოდებდნენ „*მოსკე-წაჩხურს*“, ე. ი. ვაჟების მომცემს. აქ სალოცავად მოდიოდნენ სამეგრელოს ყველა მხრიდან, აგრეთვე სამურზაყანო-

---

[1] *ეკ. თაყაიშვილი*, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 129-130.

აფხაზეთიდან და „სათათრეთიდანაო“ — ლაზისტანიდან. წაჩხურში დიდი ხატობა იმართებოდა ნაალდგომევის პირველ ხუთშაბათს (ცაششა დღეს).

სალოცავად აქ უმთავრესად ისინი მოდიოდნენ, ვისაც შვილი არ ჰყავდა ან ვაჟი არ ებადებოდა. წაჩხურობას ასეთი ცოლ-ქმარი მიდიოდა წაჩხურში და შესაწირად მიჰქონდათ: თავიანთი სიგრძის სანთელი, ვერცხლის ძაფი, სანთელ-საკმეველი, ფული და აკვნის გამოსახულება. აქ ხატის წინ, მათ დააჩოქებდა მნათე, დაამწყალობებდა და ხატს შესთხოვდა მიეცა მათთვის შვილი, სახელდობრ, ვაჟი. ზოგი შეხვეწილი წაჩხურის ხატს ღამეს უთევდა, ცოლ-ქმარნი წვებოდნენ ხატის წინ, „ხატიში ითონჯირაფა“ იმ მიზნით, რომ ვაჟი გასჩენოდათ. ამის შემდეგ, შეხვეწილებს თუ ვაჟი ეყოლებოდათ, ისინი მეორე წელიწადს წაჩხურში წავიდოდნენ გამოსალოცავად და თან მიჰყავდათ სამადლობელი საკლავი, რომელსაც ხატს შესწირავდნენ.

სამეგრელოში, ამასთანავე, ყველა ოჯახში იხდიდნენ „საწაჩხურო“-ს, რომელსაც ასრულებდნენ მუცლისა და წელის ტკივილის წინაალმდეგ. მაისის თვის ერთ-ერთ ხუთშაბათ დღეს, გამოაცხობდნენ მრგვალ კვერებს, დაჰკლავდნენ გოჭსა და ბატკანს და აგრეთვე მამალს. ყველა ამას საკმეველით და საზედაშე ღვინით დაალაგებდნენ ხონჩაზე, რომელსაც გარშემო მიაკრავდნენ ანთებულ სანთლებს და მიიტანდნენ წაჩხურის ქვევრთან. აქ ოჯახის დიასახლისი და მამასახლისი ორივე დაიჩოქებდა, ხონჩას სამჯერ მოაბრუნებდნენ და დაილოცებოდნენ:

წაჩხური ბედნიერი, სი ქოფთხილე ქორაში დო ოჭიშიში ჭუაშე, უბადო გოლაფაშე სკუალამო დო მოთამო, ამუდღარი ხვამა სი გომიტიბინე. სკი გამიბრალი, მოსკე წაჩხური, ჩქინი ნაბრალით, ჩქინი გური გაახარი, სქანი სახელი ხვამილ ოში წანაში ხვამა სი ქოდმაცალ.

წაჩხურო ბედნიერო, შენ დაგვიფარე მუცლისა და წელის ტკივილისაგან. მავნე თრთოლვისაგან შვილებითა და შვილი-შვილებითა. დღეის ლოცვა შენ შეგვარგე. ვაჟი გამიმრავლე, ვაჟიანობის წაჩხურო. ჩვენი ნამრავლით ჩვენი გული გაახარე, შენ სახელდალოცვილო, ასი წლის ლოცვა შენ დაგვაცადე.

ლოცვის დასასრულს, წაჩხურის ქვევრს თავს მოხდიდნენ, საზედაშე ღვინოს ქვევრში ჩაასხამდნენ, ანთებულ სანთლებს ქვევრის ნაპირას მიაკრავდნენ და მამლის თავს და გოჭის გულ-ღვიძლს ერთი კვერით იქვე შეჭამდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში წაჩხურის ქვევრი არ ჰქონდათ, მაშინ აიღებდნენ ვაზს, რგოლისებურად დაგრეხდნენ და მასზე ლოცულობდნენ. შემდეგ, ვისაც დათქმული ჰქონდა, ის საკლავ-საწირით მიდიოდა წაჩხურში და ლოცულობდა. წაჩხურის ბეგარას დადიანიც იხდიდა თურმე და დიდ ხუთშაბათს ის წაჩხურში აგზავნიდა 2 კოკა ღვინოს და ერთ ქილა (ფუთ) ღომს (ჩხვერს).

სოფელ ჯვარში, რომელიც ენგურის ნაპირას სამეგრელო-სვანეთის საზღვარზეა, არის ხატ-სამლოცველო, ე. წ. *ჯგეგე*. აქ წინათ ყოფილა ძველი ეკლესია, მაგრამ იგი დღეს დანგრეულია და დარჩენილია მისი კედლები. ჯგეგე ითვლებოდა ძლიერ ხატად და გადმოცემით, ეს ჯგეგე არქანიებს მოუტაციათ სვანეთიდან (მესტიიდან) და დაუსვენებიათ სოფელ ჭალეში, სადაც არქანიები მოსახლეობდნენ. იმ ადგილს, სადაც მისი ეკლესია იყო აგებული, ეწოდებოდა „*ჯვარზენი*". მისი ხატობა სცოდნიათ 10 გიორგობისთვეს და ამ დღეს ჯგეგეში მახვეწარს მიჰქონდა შესაწირავი. იქ მიჰყავდათ სულით ავადმყოფები — „*ხანვები*", რომლებსაც მშვილდში სამჯერ გაატარებდნენ. მიდიოდნენ აგრეთვე გამოსალოცავად — „ვილახვამუშა", ვისაც რაიმე დაპირება ჰქონდა.

ჯგეგეს მნათეებად იყვნენ: გეთიას და ეფსაიას გვარის უფროსი კაცები და ისინი ამწყალობებდნენ ჯგეგეში მოსულ მლოცველებს. ჯვარიდან გამოთხოვილ ქალებს „საჯინჯხატო"-დ მოჰყავდათ ჯგეგეში ციკანი და შესაწირში კი მიჰქონდათ „*ზინდილ-ვარჩხილი*" (ვერცხლის ძაფი).

მეორე ძლიერი ხატი ჯვარში იყო „*ლეშამუგეს ქირსე-მანცხვარი*". აქ ამალლების მეორე კვირას „*ზვარაკუა*" იცოდნენ თურმე. მეორე ხატობა მისი იყო „*გიორგობას*" — 10 ნოემბერს. ამ დღეს აქ მრავალი მლოცველი მოდიოდა. ვისაც დაპირება ჰქონდა, ის მიდიოდა ფეხშიშველი, მიჰყავდა შესაწირავად ბატკნები, ციკნები და სხვა. აქვე სცოდნიათ ხატზე გადაცემა და დაწყევლა. ვისი წყევლაც გასჭრიდა, წყევლა მაწყევარს რომ არ დაბრუნებოდა, გადამცემი ასრულებდა „განალინ"-ს და ამ მიზნით, იგი დაუკლავდა ხატს საკლავს და შესთხოვდა წყევლის გაბათილებას.

ხალხური რწმენით, ჯგეგეს და ქირსეს წელიწადში ერთხელ, გიორგობა დღეს, ხარი მოუვიდოდა. ხარი გიორგობა დღეს თავის ფეხით მიდიოდა, საყდრის კარებთან დადგებოდა, მნათე მას დაიჭერდა და დაკლავდაო. ამ ხარის ხორცს ხალხს აჭმევდნენო. ხშირად ჯგეგე და ქირსე გადაცემულ ადამიანს თავის ფეხით მიიყვანდა ეკლესიის კარებთანო. გადაცემულს ეკლესიის კარებთან მიაბამდნენ. გადაცემის დროს მაწყევარი იტყოდა: „ჩემი მავნებელი, ჯგეგე და ქირსე, ისე ცუდად გახადე, რომ იგი აიძულე შენს კარზე თავისი ფეხით მივიდეს და იქ მიაბანო". ამის გამო, გადაცემული ადამიანი თუ ცუდად გახდებოდა, ის მკითხავის რჩევით, მიდიოდა ქირსეს კარებთან და მას იქ დააბამდნენ. მას დაიხსნიდა მისივე მოკეთე, რომელმაც მკითხავის მითითებით იცოდა, თუ რამდენი ფული უნდა მოეტანა ხატისათვის ავადმყოფის დასახსნელად. ხშირად ადამიანის სანაცვლოდ, ცხენს ან ხარს მიაბამდნენ ხატის კარებთან და ამის შემდეგ ავადმყოფი ახსნილად ითვლებოდა და ის იკურნებოდაო.

ამ ქირსეს ხატთან დაკავშირებით, სხვათა შორის, ასეთი თქმულება არსებობს: ერთი კაცი ყოფილა, სახელად *არამხუტუ*, რომელსაც ყურსალები ჰყოლია, ადამიანებს იპარავდა თურმე და ოსმალებზე ჰყიდდა. არამხუტუს მამას რქმევია აფიცება და იგი ჩამომავლობით ყოფილა აფხაზი. ერთხელ არამხუტუ მოსულა ჯვარში და აქ ერთ განაპირა ადგილას უნახავს, რომ დედა-შვილი ღომსა მკიდნენ. არამხუტუ მათ მიპარვია, და დედისათვის მოუტაცია ახალგაზრდა გოგონა და გაქცეულა. დედის კივილზე ხალხი შეყრილა და ქარდავებს შეუხვეწნიათ ქირსეს ხატისათვის არამხუტუს მუხლები მოჰკვეთე და გოგონა პატრონს დაუბრუნეო. ქალის მამა და ქარდავები გამოჰკიდებიან არამხუტუს, რომელსაც ჩქარა უგრძვნია მუხლების ტკივილი და დაუწყია მუხლების სრესა. ამის გამო, მდევარიც მას ჩქარა დასწევია, ის მოუკლავთ და თავიც მოუჭრიათ. ეს თავი გრძელ ჯოხზე ჩამოუკიდიათ და ქირსეს ეკლესიის კარებზე დაურჭვიათ. აქვე მიუყუდებიათ მისივე რკინის წვეტიანი ჯოხი „ლაბაშა", არამხუტუს საპირისწამლე კი ჯგეგეს ეკლესიაში ჩამოუკიდიათ.

„*კვირიკე*"-ს ხატი მოთავსებულია ჯვარში, ენგურის გაღმა სოფელ ჭალეში. კვირიკეს მეხატული ყოფილა შონია და აქ მლოცავი მოდიოდა გამოსალოცავად — „გითახვამუშა". საკლავის ნაცვლად მიჰქონდათ ფული და სანთლები. 10 ნოემბერს კვირიკეს მეხატულები ამ ხატს წაიღებდნენ ჯვარზენში ჯგეგეს დღეობაზე

და მხვეწარს ამწყალობებდნენ. მესამე დღეს კვირიკეს ხატს უკანვე დააბრუნებდნენ.

„ჯეგეთა“ ან *„ჯეგე-მისარი“*-ს სამლოცველო მოთავსებულია სოფელ ხეთაში ერთ მაღალ და ტყიან გორაკზე, რომელსაც „ურთა“-ს უწოდებდნენ. ამ ურთას წვერის დავაკებაზე დაცულია ძველი პატარა „ჯეგეთა“-ს ეკლესია. ნიადაგი კირქვიანია. ეკლესია ნათალი ქვით არის ნაგები და უგუმბათოა. მისი სიგრძე უდრის 6 მეტრს, განი კი 3 მეტრს. ეკლესიას ერთი კარი აქვს დასავლეთის მხარეზე, რომლის კარიბჭეზე დაცულია ვრცელი ხუცური წარწერა, წარწერა ეკუთვნის XVII ს. პირველ ნახევარს, ლევან II დადიანის დროს. წარწერაში მოხსენებულია აფხაზეთის კათალიკოსი და ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსი გურიელი გიორგის ძე მალაქია, რომელიც მოგვითხრობს დიდ მიწისძვრაზე, ცაიშისა და ურთის ეკლესიების დანგრევაზე და შემდეგ მის მიერ მათ აღდგენა-განახლებაზე. ეკლესია შიგ მოხატული ყოფილა. შერჩენილია ერთ კედელზე მთავარანგელოზის სურათის ზემო ნაწილი.

ეკლესიის დასავლეთ მხარეზე დაცულია ძველებური „სასანაკო“, სადაც ხატობას ღამის მთევლები დგებოდნენ თურმე. იგი ნაგებია ლამაზად და მკვიდრად, ოთახები თაღებიანია, ზემო სართული ეტყობა მიწისძვრისაგან დაქცეულა. ჯეგეთაში დიდი ხატობა იმართებოდა 23 აპრილს და აქ ლოცულობდნენ წმ. გიორგი ჯეგე-მისარს. მომლოცველი ღამე დგებოდა და ხატს ღამეს უთევდა — „ხატიში ითონჯირა“. ჯეგეთაში შეხვეწილებს მიჰქონდათ ბოძლები. ვისაც რაიმე ავადმყოფობის გამო ჯეგე-მისარისათვის შეთქმული ჰქონდა ბოძალის მიტანა, ის მას შეუკვეთავდა მჭედელს და შემდეგ ამ ბოძალით მიდიოდა ჯეგეთას ეკლესიაში, სადაც ევედრებოდა ჯეგე-მისარს მეხისაგან დაცვას და აგრეთვე ყოველგვარი ბოროტ და მავნე სულებისაგან მფარველობას. შემდეგ ამ ბოძალს იქვე ტოვებდნენ. ამის გამო, აქ დიდძალი სხვადასხვა ზომის ბოძლები ინახებოდა. ამ ბოძლების მიხედვით, ხატის მსახურნი წინასწარმეტყველებდნენ ჯეგეთობა დღეს. ჯეგეთაში ბოძლები განსაკუთრებით კუკავას გვარის მლოცველებს მიჰქონდათ. ჯეგეთას ეკლესია მთელი წლის განმავლობაში დაკეტილი ყოფილა და მას მნათეები მხოლოდ ერთხელ 23 აპრილს გააღებდნენ თურმე. ამ დღეს მნათეები გადამალულ ბოძლებს ეკლესიაში შეიტანდნენ. თუ ბოძალი ბევრი იყო, მაშინ იტყოდნენ, რომ კარგი

მოსავალი იქნებაო. თუ ცოტას შეიტანდნენ — ცუდიო. ხალხის წარმოდგენით, ეს ბოძლები ეკლესიაში ვითომც წმ. გიორგის შეჰქონდა ხატობა დღეს. დღეობის შემდეგ, მნათეები ამ ბოძლებს ისევ გადამალავდნენ და ხალხს არწმუნებდნენ, რომ ბოძლები წმ. გიორგიმ ისევ გაიტანაო. ამის მიხედვით, ხალხი წინასწარმეტყველებდა და ამბობდა, როცა წვიმიანი ამინდებია, ბოძალი ბევრი იქნებაო, გვალვაში კი ნაკლებიო. როცა ავდარია, წმ. გიორგის ბოძალი ჯეგეთას ეკლესიიდან გააქვს და ამით სცემს გველეშაპს, რაც იწვევს ქუხილსა და მეხსაო.

აქვე ყოფილა დაცული მშვილდი, რომელშიაც მნათეები მახვეწარს გაატარებდნენ. ხეთიდან გამოთხოვილ ქალებს ჯეგეთაში მიჰქონდათ შემწვარი გოჭები, რომლის თავს აძლევდნენ მნათეებს, ხორცს კი თვითონვე ჭამდნენ. ვისაც დათქმული ჰქონდა, აქ მოჰქონდა „*ბონი*“, რომელიც გრძელი და სწორი ხე იყო, სიგრძით აღწევდა 3-4 მეტრს. ბონისათვის არჩევდნენ იფნის, ცაცხვის ან ფიჭვის სწორსა და ლამაზ ხეს. მას ფერადი საღებავებით ააჭრელებდნენ, შეამკობდნენ საწირ-სანთლებით. ბონს ძირი ჰქონდა ბოძალივით წაწვეტებული და მას მიიტანდნენ ეკლესიაში და იქ მიაყუდებდნენ, მეხატული მხვეწარს დაამწყალობებდა წმ. გიორგი ჯეგე-მისარის სახელით. ხეთაშივეა „კვირკველი“-ს სამლოცველო-ეკლესია, რომელიც არჩენდა, ხალხის რწმენით, მუცლის სისუსტით დაავადებულებს.

აქვე იყო „*ლარჩვის მთავარანგელოზი მიქანგარიო*“, რომელსაც შესთხოვდნენ საქონლის გამრავლებას. იქვე არის „*მისარონ ფერდი*“, რომელიც მოთავსებულია ხამუსკურის ღელესთან. ეს მისარონი ითვლებოდა ხეთელ ფარცვანიების „ჯინჯი ხატად“. აქ წინათ ყოფილა პატარა ეკლესია ჯეგე მთავარანგელოზ-მისარონის სახელზე. ხალხურ გადმოცემით, ეს ეკლესია თათრებს დაუნგრევიათ, ხატები წაულიათ აჭარაში და აქ განუზრახავთ მისარონის ხატის დამტვრევა, მაგრამ ისინი დაბრმავებულან და მათში თვალის სნეულება გავრცელებულაო. მაშინ თათრებს გამოუგზავნიათ ერთი ულელი ხარი მისარონში და უთხოვიათ პატიება. ხარი დაუკლავთ და საღვთო გადაუხდიათო. ხატობა მისარონის ფერდზე იცოდნენ თებერვალში, დიდმარხვის წინ. ხატში შესაწირავად მიჰქონდათ მოხარშული კვერები, კვერცხები და აქ მისარონს შესთხოვდნენ თვალის საღობას.

„*მიქელგარიო ქიაჩი*“ თავის სიძლიერით ცნობილია წალენჯი-

ხის რაიონში. ეს ხატი მოთავსებული იყო სოფ. ობუჯში და მასზე აფიცებდნენ ქურდებს, ავაზაკებსა და მათ მოწმეებს. ხატი წარმოადგენდა ვერცხლის სამწერობელს, ოქროთი დაფერილს. მასზე, სხვათა შორის, გამოსახული იყო წმ. მიქელ და გაბრიელი. თავისი ნაჭედობითა და წარწერებით, იგი თარიღდებოდა XIII-XIV ს.ს. ობუჯის ქიაჩის ხატი ეკუთვნოდა შენგელაიას გვარს და მნათეებსაც ამ გვარიდან ირჩევდნენ. დღეობა აქ იმართებოდა 15 აგვისტოს და დიდძალი ხალხი მიდიოდა სალოცავად, განსაკუთრებით ისინი, ვისაც უნდოდა ხატზე გადაცემა-დაფიცება, წყევლა და სხვა. აქ მოჰყავდათ სულით ავადმყოფები და ხატს ახვეწებდნენ მათ განკურნებას.

„*ჭვენიერობა*“ იცოდნენ სოფელ ბანძაში ნაალდგომევს, ახალი კვირის ორშაბათს. ამ დღეს ბანძელები დაიწვეევდნენ თავიანთ ოჯახებში ნათესავ-მოკეთეებს და ისინიც ძღვენით მოდიოდნენ ბანძაში, სადაც იმართებოდა დიდი დღესასწაული. ყველა ემზადებოდა სტუმრების დასახვედრად და ვისაც ბევრი სტუმარი მოუვიდოდა, ის ოჯახი უფრო სახელოვანი იყო. ჭვენიერობას ბანძაში მიდიოდნენ ბანძიდან გამოთხოვილი პატარძლები — „მოჭყუდუეფი“, რომლებსაც თან მიჰქონდათ ძღვენი და თავიანთ ძმებთან ერთად მივიდოდნენ „სადაბადო“ ქვევრის თავთან, დაიჩოქებდნენ და ღმერთს შეევედრებოდნენ და-ძმური სიყვარულის განმტკიცებას, ოჯახის გამრავლებას, ჯანმრთელობასა და სხვა. ყველა ოჯახში იმართებოდა დიდი სადილი, რომლის შემდეგ, შეზარხოშებული ხალხი თავს მოიყრიდა ბანძის ეკლესიის მოედანზე. აქ გაიმართებოდა ცეკვა-თამაში და სიმღერა, ვიდრე მთელი სოფელი თავიანთი სტუმრებით თავს მოიყრიდა. ნაშუადღევს, ერთი უხუცესი გაბუნიას გვარიდან, აიღებდა ბურთს და სხვებთან ერთად შემოატარებდა ეკლესიის გარშემო, სამჯერ დაილოცებოდა და იტყოდა: „წმ. გიორგი, დღეის ჭვენიერობაში შენ მოგვეცი გამარჯვება, ძალი და ღონე, იყავი ჩვენი ხალხის მფარველი. გაგვიმრავლე ჭირნახული და საქონელი, მტერი დაგვიმარცხე, შენს კარზე მოსულ სტუმარ-მასპინძლებს აუსრულე ლოცვა-ვედრება“ და სხვა. შემდეგ ის წითელი ბურთით ხელში მოედანზე გავიდოდა. აქ ხალხი გაიყოფოდა ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად და უხუცესი ბურთს მაღლა აისროდა. ვინც ლელოს პირველად გაიტანდა, ის მხარე სიმღერითა და ბუკის დაკვრით გაემართებოდა ეკლესიისაკენ. მათ მიჰყვებოდა მეორე მხარე და მთელი ხალხი „კირი-

ელეისონის“ გალობით ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდა და გაემართებოდა ხის მოსათხრელად — „*ჯაში სოფუა*“. მოსათხრელ ხეს წინასწარ აირჩევდნენ ეკლესიის ეზოში, სულერთია, რა ხეც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ცდილობდნენ რაც შეიძლება უფრო მსხვილი მოეგლეჯათ. გაბუნია და კეკელიას გვარის კაცების მეთაურობით, ხალხი ხეს მისცვივდებოდა, ზოგი ხის წვეროზე მოექეოდა, ზოგი ტოტებზე შეხტებოდა, სხვები ხის ტანსა და ფესვებს მოებღაუჭებოდა, ხეს არყევდნენ, ყოველ მხრივ აწვებოდნენ და ცდილობდნენ, სწრაფად მოეგლეჯათ. ამის გამო, ატყდებოდა დიდი ჟივილ-ხივილი, თან გაიძახოდნენ „კირიელეისონს“ (უფალო შეგვიწყალე) და ევედრებოდნენ წმ. გიორგის ხის მალე მოგლეჯას, რაც კარგის მომასწავებელი იყო. ასეთი რწმენით გატაცებული და შეზარხოშებული ხალხი რაც უნდა დიდი ხე ყოფილიყო, ჩქარა ამოთხრიდა დიდი ზეიმით, ზარების რეკვით, ბუკის ყვირილითა და „კირიელეისონის“ გალობით ამ ხეს და სამჯერ ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ. შემდეგ ააყუდებდნენ ხეს და მასზე ავიდოდა კეკელიას ან გაბუნიას გვარის უხუცესი კაცი, გადაისახავდა პირჯვარს, ხალხს დალოცავდა წმ. გიორგის სახელით და იტყოდა: „ყოვლად ძლიერო წმ. გიორგი, შენ მიეცი ბანძელებს მშვიდობა, დღეგრძელობა და მტერზე გამარჯვება, დაასწარი მრავალ ჭვენიერობას ჩვენი სტუმრებითა და მოკეთეებით“. ხალხი დაიძახებდა „აამენ“. შემდეგ ის დაწყევლიდა ქურდ-ავაზაკებს: ვინც დღევანდელ დღეს იქურდოს და რამე მოპაროს სტუმარ-მასპინძლებს და ნაქურდალი არ გამოაჩინოს, წმ. გიორგი ძლიერო, დაჰკარი მას შენი ბოძალი და ოჯახიანად გაანადგურეო“. ხალხი დაიძახებდა „აამენ“!

ამის შემდეგ, ხალხი მისცვივდებოდა ხეს, მოტეხავდნენ ჰატარა ტოტებს და შინ მიჰქონდათ, როგორც წმინდა ნაწილი. მოთხრილ ხეს ეკლესიის მახლობლად ააყუდებდნენ და ერთი წლის შემდეგ მას დაწვავდნენ.

ხის აყუდების შემდეგ, გაიმართებოდა ბურთაობა, ცხენების ჯირითი და ცეკვა-თამაში. მთელი სოფელი სტუმრებიანად გაიყოფოდა ორ მოწინააღმდეგე მხარედ: ერთ მხარეს მეთაურობდა ფაღავა, მეორეს — გაბუნია. გამოიტანდნენ წითელი მეშისაგან შეკერილ დიდ ბურთს, რომელსაც ჰაერში აისროდა ეკლესიის მნათე და გაიმართებოდა ბურთაობა. რომელი მხარეც ლელოს გაიტანდა, ის იქნებოდა იმ წელიწადს გამარჯვებული და „ჭვენიერობა“-ც

მას შეეწეოდაო.

„სუჯუნის წმ. გიორგი“ ძველ სამეგრელოში ძლიერ ხატად ითვლებოდა. სუჯუნა ოთხი კილომეტრით არის დაშორებული სადგურ აბაშიდან. სუჯუნა ჭყონდიდელების საზამთრო სადგური იყო და მას მარტვილის შემდეგ პირველი ადგილი ეჭირა. სუჯუნის ეკლესია მდიდარი იყო, ჰყავდა მრავალი ყმა და შემოსავალიც დიდი ჰქონდა. სუჯუნის ეკლესიაში დაცული ყოფილა ძვირფასი ხატ-ჯვრები[1]. აქ ესვენა „სასწაულთმოქმედი“ სუჯუნის წმ. გიორგის ხატი, რომლის ხატობა იმართებოდა 23 აპრილს. ამ დღეს იქ დიდძალი მლოცველი მიდიოდა. ვისაც შეპირებული ჰქონდა, ისინი ღამეს ათევდნენ, საკლავს ხოცავდნენ, მუხლის მოყრით ეკლესიას გარშემო უვლიდნენ და სხვა. სუჯუნის წმ. გიორგი ითვლებოდა სულით ავადმყოფების მკურნალად. ისინი ხატობა დღეს იქ მიჰყავდათ და ალოცებდნენ. სუჯუნაში იცოდნენ ხატზე გადაცემაც. მაწყევარი დადგებოდა სუჯუნის წმ. გიორგის ხატის წინ, სანთლებს აანთებდა და შესთხოვდა მას გამოეჩინა ძალა და გაენადგურებინა მტერი და მავნებელი.

სუჯუნაში იცოდნენ ქადაგად დაცემაც. აირჩევდნენ ერთ მოხუცს, რომელიც ხალხში ითვლებოდა კეთილ და სათნო ადამიანად (ასეთი პირი ხშირად მნათეს მოვალეობასაც ასრულებდა) და მას გიორგობა ღამეს ეკლესიაში დაამწყვდევდნენ. ის იმ ღამეს ლოცვაში ატარებდა. ხალხური გადმოცემით, მას გამოეცხადებოდა სუჯუნის წმ. გიორგი. მეორე დილას, მოხუცი ავიდოდა სამრეკლოზე და ქადაგად დაეცემოდა. ის ხალხს მოუწოდებდა მტკიცედ დაეცვათ სუჯუნის წმ. გიორგის რწმენა და ეკლესიის სიწმინდე, დასწყევლიდა ქურდს, მავნესა და ყველა იმას, ვინც თავისი მოქმედებით ზიანს აყენებდა ხატსა და მორწმუნეებს. ამასთანავე, ქადაგი წინასწარმეტყველებდა მომავალზე, ჭირნახულის მოსავალზე, ამინდის შესახებ, ლაშქრობა-ომიანობაზე და სხვა. სუჯუნის ქადაგს დიდი საზოგადოებრივი გავლენაც ჰქონია და სამეგრელოს მთავრები დადიანებიც ანგარიშს უწევდნენ მის წინასწარმეტყველებასო. ამ ქადაგის შიშითა და მითითებით მთავრები ამკობდნენ ოქრო-ვერცხლით სუჯუნის ხატებს და ვერ ბედავდნენ სუჯუნის ხატი სხვაგან გადაეტანათ. ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა დავით დადიანის დროს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეკატერინე დედოფალი ვერაფერს გახ-

---

[1] *ეკ. თაყაიშვილი*, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 22-31.

და და იძულებული იყო თავის ასეთ განზრახვაზე ხელი აეღო.

„*თერდობა*“ — *თევდორობა* იცოდნენ სოფელ ორქაში, რომელიც ბანძიდან ექვსი კილომეტრით არის დაშორებული. წინათ აქ ყოფილა ძველი სამლოცველო წმ. თევდორეს სახელობისა. ნაალდგომევს, ახალ ორშაბათს, იქ მიდიოდნენ მლოცველები შესაწირავებით და შესთხოვდნენ წმ. თევდორეს ცხენების გამრავლებას. თან მიჰქონდათ ცხენის ბალანი ან კუდის ბოლოს მონაჭერი. მნათე მლოცავს დაამწყალობებდა და იტყოდა: რამდენი ცალი ბალანია, იმდენი ასობით ცხენი გაგიმრავლდესო. თევდორობას ორქაში სალოცავად მოდიოდნენ აფხაზეთიდან, სვანეთიდან და გურია-იმერეთიდანაცო. აქვე სცოდნიათ ცხენის ქურდების თევდორეს ხატზე გადაცემა. დაწყევლის დროს ხეზე ლურსმანს მიაჭედებდნენ და სხვათა შორის იტყოდნენ: „სანამ ჩემი ცხენი არ მოიყვანოს და ეს ლურსმანი თავისი კბილით არ ამოაძროს, წმ. თევდორეე, მას საშველი არ მისცეო“.

ბიბლიოგრაფია

სამეგრელოს შესახებ საკმაო ლიტერატურა მოიპოვება. მაგრამ ჩვენ აქ ვათავსებთ მხოლოდ იმ შრომებსა და ნარკვევებს, რომლებსაც თავიანთი შინაარსისა და მასალის მხრივ, სამეგრელოს შესწავლისათვის მნიშვნელობა დღემდის არ დაუკარგავთ. რაც შეეხება სამეგრელოზე პერიოდულ გამოცემებში მოთავსებულ წერილებსა და კორესპონდენციებს, მკითხველს შეუძლია მათი მოძებნა ქართულსა და რუსულ საბიბლიოგრაფიო კრებულებში (იხ. ქართული ბიბლიოგრაფია, პეტროგრადი, 1916 წ. გვ. 136, მეგრელები; ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნარკვევი I (1852-1877), თბ., 1940 წ., გვ. 257, სამეგრელო; Д. Д. Пагирев, Перечень некоторых книг, статей и заметок о Кавказе, Зап. Кав. отд. РГО, кн. XXX, Тифлис 1913 г. с. 520, Мингрелия и мингрельцы.

ართმელაძე ტ. წაბურვიანი ტირილი გურია-სამეგრელოში. ცნობის ფურცელი 1899 წ., № 872, 873, 874)

Акты - Кавказской Археографической комиссии т. I, II, VII, VIII, XI, XII.

Бакрадзе Д. З. Очерк Мингрелии, Самурзакани и Абхазии. Газ. Кавказ 1860 г., № 48, 49.

ბარნაბიშვილი დავითი. ერთი წარმართული დღესასწაული სამეგრელოში. დროება, 1870 წ., № 20.

***Bergй A.** Voyage en Mingrelie executй en 1862. (Revue de I'Orient de l'Algerie et des colonies 1864, VII, VIII.

Булокуров Д. Посольство дьяка Федота Ильича и священника Павла Захарьева в Дадиановскую Землю (1639-1640 г.) См. чтения в общ. истории и древностей Российских при москов. универ. 1887 г. кн. 2, Моск. 1887 г.

Бороздин К. А. Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 г. (წიგნის ქართული თარგმანი ეკუთვნის თ. სახოკიას, სამეგრელო, ტფ. 1937 წ.)

Бороздин К. А. Крепостное состояние в Мингрелии Зап. Кав. Отд. Рус. Геогр. О-ва, т. VII. (ამის ქართული თარგმანი მოთავსებულია თ. სახოკიას, „ბატონყმობა სამეგრელოში", ტფ., 1927 წ.)

Brosset M. Voyage Archeologique, Rapports, I, 1842, Mingre-

lie, - Odich.

Броссе М. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1639-1770 гг. СПБ, 1861 г.

ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1460-1700 წ., თბ., 1913 წ.

ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1904 წ., („აღწერა ეგრისის ქვეყნისა", გვ. 255-317 მ. ჯანაშვილის რედაქციით გამოცემული).

Ган К. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, II. Лазика и Иберия. Сбор. мат. для описания мест. и племен Кавказа, вып. IX, Тиф. 1890 г.

გვასალია კ. შობა სამეგრელოში. ივერია, 1898 წ., № 277.

Грен А. Н. Мингрельские Легенды, Кавказ, 1887 г., № 41.

Гроздов Х. Мингрельские народные песни, Сб. мат. для описания мест. и племен Кавказа, т. XVII.

დადიანი ნ. დასტურ-ლამა, ტფილისი, 1897 წ.

Дубровин Н. История войны и владычества русских на Кавказе. т. IV, СПБ, 1886 г.

Дюбуа-де-Монпере, Путешествие вокруг Кавказа, Абхазии и Мингрелии. (Библиотека для чтения 1839 г. №35, 36).

თაყაიშვილი ექვ. არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში. (ძველი საქართველო, ტ. III, ტფ. 1913).

თაყაიშვილი ექვ. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა. ივერია, 1891 წ., № 213, 224, 225.

კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1920.

კალანდარიშვილი ტრ. ახალწლის მიგებება და ფერხაობა სამეგრელოში. ივერია, 1890 წ., № 3.

И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (Иверского) языка с хрестоматией и словарем, СПБ. 1914 г.

ლამბერტი არქანჯელო. სამეგრელოს აღწერა (ა. ჭყონიას თარგმანი, ტფ. 1938 წ.).

Латышев В. Известия древних греческих и римских писателей о Скифии и Кавказе, т. I и II.

Lucca (de) Relation de tatares, percopites et nogais, des circassiens, mingreliens etc. (Relacions des divers voyages curieux), 1864.

Ломинадзе Ш. К. Мингрельские сказки (сб. мат. вып. XVIII).

Марушко М. Г. Мингрельские сказки (сб. мат. вып. XXXIII).

მარი ნ. მეგრული ენა. ცნობის ფურც. 1905 წ., № 2781-73.

Мачавариани К. Д. Археология, изыскания по

Мингрелии, Древности, т. XV, 2.

Мегрелидзе И. В. Лазский и Мегрельский слой в Гурийском, Ленинград 1938 г.

მეუნარგია იონა. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბილისი, 1939 წ.

მოსიძე ი. ლაზიკა (კოლხიდა) და დიდი ბრძოლა იუსტინიანესა და ყეენის კასრეს შორის. ცისკარი, 1864 წ., № 6, 7, 8.

კოლხიდელი მ. გლეხების აჯანყება სამეგრელოში, თბ., 1926 წ.

Кобалия И. Из мифической Колхиды, Сборн. мат. для описания мест. и племен Кавказа, вып. XXXII, отд. III.

Колюбакин Н. П. По случаю крестьянского вопроса в Имеретии, Гурии и Мингрелии (Чтения в имп. о-ве ист. и древностей России при москов. университете).

Кордзахия М. Д. Встреча и празднование нового года у мингрельцев. Сбор. мат. вып. XXXII

Курнали Н. Хозяйство Мингрельцев, Кавказское сельское хозяйство 1897 г. № 183.

Klaproth M. Details cur le dialecte georgien usite en Mingrelie – Journal asiatique, Ferier, pp. 156-161; 18, 54.

Лаврентьев А. И. Военно-стратегич. описание Кут. генерал-губ. Мингрелии, Абхазии и Сванетии СПБ. 1858 г.

Лавров Е. Мингрелия в сельскохоз. отношении. Кавказ., 1912 г. № 102.

Murier J. La Mingrelie (Ancienne Colchide). Odessa, 1884.

Накашидзе Е. К. Очерк виноградства и виноделия в Гурии и Мингрелии (Сб. свед. по виноград. и винод. на Кавказе, т. 4).

Пантюхов И. И. Заметки по антропол.. Кавказа (Мингрельцев и Гурийцев) протокол рус. атнропол. о-ва. 1890 г.

Петров И. Мингрелькие тексты. Сб. мат. XXXII.

Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, Тиф. 1901 г.

Радде Г. И. Путешествие в мингрельск. альпах и в трех их верхн. продольн. долинах (Рион, Цхенис-цкали и Ингур), Зап. Кав. отд. РГ о-ва, вып. VII.

Rosen G. Ossetische Sptrachlehre nebst abhandlung uber die mingrelische, swanetische und abhasische.

სახოკია თ. ახალწელიწადი სამეგრელოში (კალანდობა).

სარჩევი

სერგი მაკალათიას ცხოვრება და მოღვაწეობა 5

წინასიტყვაობა 76

1. ძველი კოლხეთი 79

2. ლაზიკა-ეგრისი 107

3. ეგრისის სამეფოს დაშლა და აფხაზეთის
საერისთავოს დაარსება 138

4. ქართული ფეოდალური მონარქიის გაძლიერება,
მისი დაცემა და ოდიშის სამთავროს წარმოქმნა.....153

5. ოდიშის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური
და კულტურული ვითარება განვლილ პერიოდში.....192

6. სამეგრელოს სამთავროს არსებობის უკანასკნელი
პერიოდი და მისი რუსეთთან შეერთება 207

7. ეთნოგრაფია 257

სოფლის მეურნეობა 259

მევენახეობა 265

მესაქონლეობა 267

კვება 284

8. შინამრეწველობა და ხელოსნობა 288

ფეიქრობა 288

მეფურჭლეობა 291

კალათების დამზადება 298

ყავრის დამზადება 299

მჭედლობა 301

9. მატერიალური კულტურა 302

ციხე-კოშკები 302

მეგრული სახლები.....318

ტანთჩაცმულობა 324

საკრავები 326

10. ხალხური ჩვეულებანი 329

ნიშნობა და ქორწილი 330

მშობიარობა 341

გართობა-თამაშობანი 348

მიცვალებულის გასვენება, ტირილი და გლოვა 350

11. რელიგია 360
კალანდა 362
ჭეგე-მისარონი 372
სალოცავები „ოხვამერი“ 375
ასოთსამღერელი 403
„ვაშინერსი“ 403
შელოცვები 407
12. საკულტო ადგილები და მასთან დაკავშირებული
რიტუალები 416
ილურობა 416
ალერტობა 416
ყულის-კარი 431
წაჩხური 433
ჭვენიერობა 439
თერდობა 442

13. რუკები.....448


PONTUS EUXINUS
COLCHIS
IBERIA
LAZI
MOSCHI
GOGARENE
OTENE
Tibilis
Caspia
Harmastica
BYZERES
CALARZENE
COLLI
SIRACENE
ARARAT
CHALYBES
TIBARENI
MOSYNOECI
COLCHI
CAPESUS
MACRONES
HYSPIRATIS
TAOCHI
SASPIRES
CHALDAEI
Comana
Danaba
Zara
Sabala
Baiberdon
Arane
Melitene
ARMENIA
TOSPITIS
(ALARODII)
PHASIANE
ARAXES
CYRUS
Phasis
Batys
Cylaca
Carsaena
Carsaena
Carsaena


TABVLA
SARMATIAE VTRIVSQVE
DACIAE CAVCASI
SECVNDVM
CL. PTOLEMAEVM
GONAPSENI
CERCETAE
HENIOCHI
SVANNOCOLCHI
COLCHIS
IBERIA
ALBANIA
PONTVS
EVXINVS
ARMENIA MAIOR
MARE
MYRCANVM
DIDURI
SAIIARAEI


ეთნოგრაფიული რუკა
VIII-IX საუკ.
ახალი ეთნიკური ერთეულების წარმოქმნა
ЭТНОГРАФИЧЕСКАЯ КАРТА ЭГРИСИ
VIII-IX вв.
ОБРАЗОВАНИЕ НОВЫХ ЭТНИЧЕСКИХ ГРУПП
ЧЕРНОЕ МОРЕ